

1951/6



მნათობი

12

დბკმბბბბ



1951

ენათობი



ქრეველთმეურაი ლიტერატურულ-მხატვრული
და სასოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მფირლავის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხვი



12



დამკვეთი

19

სახელგაში
თბილისი

51



შინაარსი



კონსტანტინე ბაგსახურონი — ვაჟის ყვავილობა. რომანი. ვაგრაძელება	3
შალვა ფორჩხიძე — საპი ლექსი	22
თიმიოზაუ ჯანაშვილი — დღევანდელ იყავ. ლექსი	24
მიხეილ სანიძე — შეხვედრა გორში. ლექსი	25
შალვა შავთელაძე — მშვიდობის პირველი, სამგლო, ლექსი	25
ჯანსუღ ჩარკვიანი — ბერლინი ენახე ისევ. ლექსი	26
გიორგი ბიბაძე — ორი ლექსი	27
ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ. რომანი. ვაგრაძელება	29
გიორგი კახიანი — ორი ლექსი თბილისზე	57
მიხეილ მარაბიძე — მეგობრობა. ვაგრაძელება	59
შალვა აბრამიანი — ვატეხილი ფიცი. ლექსი	78
აკაკი ბელიანი — ოქროს ჩარდახი. რომანი. პირველი წიგნის დასასრული	79
შალვა ტოგონიძე — მტკერის სანაპირო. ლექსი	116
დავით ბაძრაძე — ვეფხთა სისხლით. ვაგრაძელება	117
ნიკო ბვარდაძე — მოგონება ლაღო მესხიშვილზე	133
სერგი შილაძე — ილო მოსაშვილი. წერილი	136

გიგლიორაფია

ბ. ფიცხელაური — სერგო კლდიაშვილი „რჩეული პრინცი“	147
სოლომონ ტაიშვილი — გრიგოლ ორბელიანი „ლირიკა. ეპოსი. თარგმანები“	151
პეტრე ბახტარაძე — სერგო კილაია „ვალაკტონ ტაბიძის პოეზია“	156
ვლ. ჯიბუტი — ზეთი საბავშვო წიგნი	160
დ. მარაბიძე — გ. აბუნიანიძე „ქართული კლასიკის პოეზია“	163
შალვა ბაძრაძე — იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“	165
ბ. ანთიძე — „ქართული მეცნიერება“	168

ახალი წიგნები მე-3 გვ. ვარჯიანი

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

საარქივო კოლეჯია:

ნიკოლოზ აბაშიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მუსაშვილი, შალვა რაფიანი, ლეო კიკელიძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი შილაძე.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 16/1-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10³/₄ ფ. ში 00905. შეე. № 813. ტირაჟი 5,500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. № 3-23-42.

ვახის ყვავილობა

რომანი *



მასტანგ კორინთელის მოგონებათა ლაში

გადაიკარა.

უწყინარმა ქარმა აღმოსავლეთისაკენ გადარეკა წვიმის ღრუბლები; მხოლოდ აქიქ თუ შერჩნენ ცას გამჟვირვალე ფრთილები, ისეთი თეთრი, როგორც ახლადმოგებული ბატკნები დოლის მეორე დღეს.

მთვარემ გადაათოვა ალაზნის ველს. კავკასიონი ჯერ ცარცისფერი იყო, მაგრამ იძალა ღამემ და შაბიამანის სილურჯე მინიჭა მყინვარებს.

ჩვენი გმირები ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ბერძუნისაკენ, უკანუკან იხედებოდნენ, მაგრამ არსად სჩანდა მანქანა, რომლის წამოსაყვანად გოდერძი ჰყავდათ ვაგზავნილი წინასწარ.

მათი საუბარი ბერძუნის კოლმეურნეობის სამერძისო გეგმებს დასტრიალებდა. რაიკომის მდივანი წარამარა ვაჭრავდა ხოლმე ასანთს, თავის მაჯის საათს უთვალთვალებდა.

როცა ეწერი მოთავდა და ველზე გამოვიდნენ, მხოლოდ მაშინ წამოეწიათ მანქანა.

სასტუმრომდის მივიყვანათო, ეუბნება რაიკომის მდივანი პროფესორს; თუმცა ეს უკანასკნელი საკმაოდ მოქანცული იყო, მაგრამ იცოდა ყვარელში ეჩქარებოდათ სხვა დანარჩენებს, მეცხოველეობის თათბირზე, ამიტომაც თავაზიანი უარი უთხრა კორინთელმა მდივანს.

არწმუნებდა, ფეხით ვავლა მირჩევნიაო.

მაშ გოდერძის გაგაყოლებთო, ემუდარა თედო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„რად შეაწუხებთ გოდერძის. მე ჯერ ისე არ დავებრებულეარ მარტოკა სია-

რული რომ ველარ შევძლო. სჯობს გოდერძი თან გაიყოლო თათბირზე“. მიუგო კორინთელმა.

როცა ყველას დაემშვიდობა და მეორე დღის შეხვედრის საათი დასთქვეს, აუჩქარებელი ნაბიჯით მიჰყვა კორინთელი ბერძუნისაკენ მიმავალ თემშარას. ქამიდან ქაშზე თვალს გადაჰკრავდა ალაზანს, ორაგულის ქერეცსავით მოელვარეს.

ხევიდან მოისმოდა მეურმის „ჰაამო“. მახლობელ ბოგირზე ბავშვები ცეკვავდნენ და მღეროდნენ, კორინთელი შესდგა, შესცქეროდა ამ მორიალე ლანდების როკვას.

ხევის წყალი დაუცხრომლად ჩხრიალებდა. ველიდან ტრაქტორის გუგუნე მოისმოდა, უკაცრიელ მინდორზე რაბრახით მიმოდოდა ტრაქტორი.

ბოგირთან ქონგურებშელეწილი ციხე იდგა, ფეხშიშველა ბიჭუნა ლაფში ამოთხვრილ კამეჩებს მოერეებოდა, მხერა გააყოლა კორინთელმა ამ საყვარელ ცხოველებს. ერთობლივად და ტაატით მოდიოდნენ ბეჭემოტების ეს გატრუსული ნაშიერები, სიბნელეს ჰფენდნენ მთვარით განათებულ თემშარას თითქოს ეს ღამე, მათ ჩასვლიდათ გვამში.

მათ უკან ფიჩხით დატვირთულნი ვირები მოჩაჩქაქებდნენ, გარშემოკრულ ფიჩხის მარაგებიდან ძლივს მოუჩანდათ თავები. გროტესქულ ზღარბებს მიაგავდნენ ისინი ამ მთვარიან ღამეში.

ეს მოლუშული ციხე, ლაფში ამოგანგლული კამეჩები, ფიჩხით დატვირთული სახედრები და ხევიდან მოსული „ჰაამოს“ შეძახილი, თავის სიყმაწვილეს მოაგონებდა კორინთელს.

ბეჭობზე გამოჩნდა ვაჩნადისეული სასახლის უზარმაზარი სილუეტეი. ორად

ორი განათებული ფანჯარა გადმოს-
ცქეროდა აღმა მიმავალ გზას.

ვანტანგ კორინთელს ეჩვენა, იმ ფან-
ჯარებს გადაღმა რიალებდა მისი შე-
უღლის, შედეგს ლანდი.

შესდგა, კარგად დააკვირდა: მართ-
ლაც დადიოდა ვილაც, ხან შესდგებოდა
ლია ფანჯარასთან, ხანაც გაივლიდა,
დაჯდებოდა, ისევ აღგებოდა და ზოლ-
თას სცემდა ფანჯარებს გადაღმა.

ბატონკაცურ ალაყაფის კარებში შე-
უხვია გზამ. კვითკირის ძველთაძველ
ქიშკარზე ხის კამარა გაეკეთებინათ,
ფერადი ელნათურები ბეჭუთადნენ
ირგვლივ. წყართის ოღენა ასოებით
ეწერა კამარაზე: „დი დე ბა დიდ
ს ტ ა ლ ი ნ ს“.

ვრცელ ეზოში უკვე აღარ სჩანდნენ
კორინთელის ნაცნობი მსხლის, ნუშისა
და ფშატის ხეები, მათ ნაცვლად ფიჭ-
ვები და ნაძვები მოეშენებიათ პარკად-
ქცეულ ხილნარში.

მაგნოლიები და ალენდრები კვლავ
ვინდებურად იდგნენ სასახლის წინ,
ხოლო ამ უკანასკნელის გადაღმა ძველ-
თაძველი ბასტიონის ბნელი კონტურე-
ბი აღანძულიყვნენ.

კორინთელმა ახელ-დახელა გზის გა-
ყოლებით მდგარ ვერხვებს. პაწია ხეები
იყვნენ მის სიყმაწვილეში ესენი, ვახ-
ტანგის მამა როსტომი მიწისმზომლად
მსახურებდა თელავში. ნიკო ვაჩნაძეს
გაუთავებელი დავა ჰქონდა ყვარელის
თავადებთან მამულებისა და მოჯინების
გამო, ასე რომ როსტომ კორინთელი
და მისი ოჯახი ზმირი სტუმრები იყვნენ
ვაჩნაძიანთ სასახლეში. ვანტანგის პა-
ტარა დაიკო ნანა და მედეა ერთბი-
ლანი იყვნენ. ეს სამი ბავშვი აღრიან
სიყრმოდანვე ბალღური, უმანკო სიყვარ-
ულით დაუკავშირდნენ ურთიერთს.

გასცქეროდა ვანტანგ კორინთელი
მაგნოლიებისა და ალენდრების ჩრდი-
ლებს. აქ დაკვირბრებდა მათ ბალო-
ლობაში შვლის ნუკრი, რომელსაც „მე-
დიკო“ შეარქვა ნიკო ვაჩნაძემ ოღეს-
ლაც. მაგნოლიებსა და ალენდრებს გა-
დაღმა ახლა უფრო მკაფიოდ მოსჩან-
და ორი გაშუქებული ფანჯარა და მათ
უკან ეგულებოდა კორინთელს თავისი
მედეა.

რა შეუშინებლად გადაიჯირითეს
წლებმა, თითქოს ეს ყოველივე გუშინ
იყო, ან გუშინწინ! რა მტკივნეულად

ეჩვენებოდათ ამ ხანში მომხდარი ამ-
ნები მათ გადამტანთ და რა დარჩა/მათ-
გან? მოგონებთა ნამუსხრევებო: სხვა
არაფერი.

განსჯილენ

მიჰყვა თავიჩინდრული კორინთელი
ვერხვების გასწვრივ მიმავალ აღმართს,
რომელიც ათასგზის აურბენია სულ-
მოუთქმელად სიხარულისგან ფრთაშე-
სხმულს, მხოლოდ ახლა ნამეტნავად
დაცვრებულს ეჩვენა იგი.

სამი ათეული წლის მანძილზე გაწე-
ულმა განუზომელმა შრომამ, უცხოო-
ბასა და მარტობაში თეთრად გათენე-
ბულმა დამებმა, ორი ფაქულტეტის
დასამთავრებლად და ოცდაათი შრო-
მის დამწერამ, ათასგვარმა უსიამო ვან-
ცდამ, რომელიც უღარაჯებდნენ ადა-
მიანს თავის ცხოვრების გზაზე, ვანტანგ
კორინთელის გული ისე მოღალა, ამ
მცირე შეღმართხედაც უჭირდა ასვლა.

ეს იყო თითქოს გუშინ, თუ გუშინ-
წინ და ეს ვერხვები ცას მისწვდნო-
დნენ უკვე.

კორინთელს სიყრმოდანვე სძაგდა
ლოყებლაქოაქა, მუდამ ნასმურევი,
ბუხუნა ნიკო და მისი ფაშფაშა შეუღ-
ლე თამარიც, რომელიც ნადიმებიდან
ნადიმებამდის ცხოვრობდნენ მხოლოდ,
რადგან შრომა მათ გლეხების მოვა-
ლეთობად მიაჩნდათ, სამაგიეროდ ვახ-
ტანგ კორინთელის სიხარულის დაუშ-
რეტელი წყარო იყო პორცელანის ფი-
გურასავით რბეული მედიკო.

„პირველი სიყვარული მუდამ შეუ-
ღველი რჩება, რადგან წარუხოციელია
პირიოლი ვნება“. თიქრობდა ვანტანგ
კორინთელი და განათებულ ფანჯარე-
ბთან მორიალე ლანდს გასცქეროდა.

თავდაპირველად ისე კეთილად წარი-
მართა ყოველივე, თითქოს ბედისწე-
რაც ზრუნავდა იმისთვის, რომ ამ ორი
ადამიანის ცხოვრების ეტლებს პარი-
ლელურად ეარნათ მუღნაქამს.

ოთხ წელს ერთად სწავლობდნენ თე-
ლავში: ვანტანგი, მედიკო და ნანა, მო-
მდევნო რვა წლის მანძილზედაც თბი-
ლისში, სადაც ერთსა და იმავე წელს
გადასახლდნენ როგორც ვაჩნაძიანთ,
ისე კორინთელიანთ ოჯახები.

თბილისში უკვე შეღერებულ ყმაწ-
ვილებს: მედიკოსა და ვანტანგს ოჯა-
ხური ეტიკეტი ვერ უკავდაც ყოველ-
დღიურ ურთიერთობის გზას, რამდენა-
დაც მედიკო და ნანა განუყრელი მე-
გობრები იყვნენ.

ბოლოს, როცა ნიკო ვაჩნაძემ ბერძნის მამულები მიჰყიდა-მოჰყიდა და ცოლშვილიანად პარიზს წავიდა, ვახტანგ კორინთელი „ეკოლ დე მინში“ სწავლობდა უკვე.

ნიკოსა და მის მეუღლეს ისე შეჩვეული ჰქონდათ თვალი მდღივოსა და ვახტანგის ბავშვობისათვის, მათ არც გაჰკვირვებიათ, ესენი პარიზშიაც რომ განაგრძობდნენ მეგობრობას.

მხოლოდ მაშინდა ეფემიას ეჩოთირა ამ „ლატაკი“ სტუდენტის მოსწირობული ტელეფონები და ხშირი სიარული თავისი ძმის ოჯახში, დელიკატურად ურჩია თავის რძალს:

ერთად ყოფნა ჩვეულებად ექცევათ ახალგაზრდებს და სიყვარული ბოლოს და ბოლოს ჩვევის შედეგიათ და სხვა არაფერი.

უფრო რადიკალურ ზომებსაც მიმართა მაშინდა ეფემიამ.

მედეა თბილისელი ლამაზმანების თვალი იყო ოდესღაც, ამიტომაც არ დაიყოვნა მალამ დე მასპერომ და პარიზელ „მალალ საზოგადოებას“ — „ზომონდს“ საგანგებოდ გამოართულ ბანკეტებზე მოაჩვენა მედეა.

ამ საზოგადოების უდიდესმა ქორიკანებმაც ვერავითარი ზადი ვერ უპოვნეს „ქართველ პრინცესას“. ეს იყო მხოლოდ მანერებს უწუნებდნენ მას.



ნიკოს დროზე ურჩია მისმა სიძემ — ბანკირმა დე მასპერომ — საქართველოდან ჩამოტანილი ოქროები ბანკში შეეტანა და ამ თანხის პროცენტებით ხელი მოემართა, ეს გაფრთხილება იწყინა ხელგაშლილმა თავადმა: მევახშე ხომ არა ვარო? (იგი მომჭირნეობას ტუნწებისა და ებრაელების საქმედ სთვლიდა).

არც ლუერში შეუვლია მას ოდესმე, არც პარიზულ თეატრებში შეუხედავს, წიგნის კითხვა „მოცლილი დიაცების“ საქმეო, ამტკიცებდა.

ამიტომ პარიზშიაც შეეყარა სპლინი და „გულის დარღების“ გასაქარვებლად აქაც გაიჩინა ძმა-კაცები, პირველხარისხოვან რესტორნებში; დაიწყო ქეიფი.

ნიკო ვაჩნაძეს ქირისდღესავით სძაგდა რევოლუცია, მასთან ყველაფერი

წითელი, მაგრამ ის რესტორანში შეუყვარდა, რომელსაც „მულენ რუჟი“ — წითელი წისქვილი ეწოდება.

„მულენ რუჟის“ ოფიციალტებმა სულ მალე გაიცვენს „კეთილშობილი ქართველი პრინცი“, რომელიც ხურდას იშვიათად ართმევდა მათ და გარდა ამისა, სვავივით სვამდა წითელ ბორღოს.

ერთი რამითაც მიინიშნეს იგი: ნიკოს თუმცა თუთიყუშვივით ჰქონდა დაზეპირებული რესტორანში მოსასმარი რამდენიმე ფრანგული ფრაზა, მაგრამ მათ ვაგონებზე თვით თავაზიანი პარიზელებიც ვერ იკავებდნენ ღიმილს. ხანდახან ამის შედეგი ის იყო, რომ ნიკო ვაჩნაძე ცხვირპირს ამოუხსაყავდა ხოლმე სიცილის გუნებაზე მოსულთ.

ერთ ორჯერ პოლიციაშიც ამოაყოფინეს თავი. ასეთ შემთხვევაში მაშინდა ეფემია დაფატურდებოდა და როგორც კი გამოირკვევოდა, რომ ამ სკანდალების მომწყობი ბანკირის დე მასპეროს ცოლის ძმა იყო და „საქართველოს პრინცი“, წამსვე უკან იხევდა პოლიცია.

მალამ დე მასპერო ხედავდა, რომ მის ძმას საქართველოდან ჩამოტანილი ოქროები თოვლის ფიფქივით ხელში ადნებოდა, თუმცა ნიკო დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა თავის მოღურავს ბერძნულში, ათასების დაუყოვნებლივ გამოგზავნას მოითხოვდა, მაგრამ არც ფული სჩანდა სადმე და არც პასუხი.

ვაჩნაძიანთ ოჯახს ერთადერთი კაბიტალი შერჩა ხელში, ეს იყო მშვენიერი მედეა, რომელიც მალალ საზოგადოებაში გასვლას არჩევდა „საწყალ სტუდენტთან“ — ვახტანგ კორინთელთან ერთად თეატრებსა და გამოფენებზე სიარულს.

ამიტომაც მაშინდა ეფემიამ ენერგიულად მოსთხოვა ნიკოსა და მის მეუღლეს, ეს ლატაკი სტუდენტი — კორინთელი სახლიდან დაეთხოვათ; დაუყოვნებლივ თავზე დაახვია მედეას მასწავლებლები მანერებისა, მუსიკისა, ცეკვისა, ფრანგული და იტალიური ენებისა.

ყოველმა, თუნდაც ზერელედ განათლებულმა ევროპელმა იცის ცნობილი მითი ბერძენი ავანტიურისტის, იაზონის მიერ კოლხთა მეფის, აეტესის ქალის — მედეას მოტაცების შესახებ არსებული.

ეს მითიც ერთგვარ რომანტიულ იერს აძლევდა „ქართველ პრინცესას“, რომელმაც პარიზს ჩასვლის უმაღლესი შეაშფოთა ბირჯისა და სალონების „ლომები“.

მამიდა ეფემია წარამარა მართავდა ბანკეტებსა და „სუარეობას“, წამიერად მოაწვევებდა თავის ძმისწულს ბანკეტებს, ბარონებს, ამერიკელ მილიონერებს და საუკვო საქმეთა ოსტატებს, მერმე რამდენიმე დღით ჩაკეტავდა მედიას და მათ მიერ ატეხილი ტელეფონების რეკეთ ამოწმებდა, თუ ვინ უბრალებდა „რეალურ გამიჯნურებას“ მედიას.

ხანდახან ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ვახტანგ კორინთელის მოკრძალებული ხმა გაისმოდა ამ აურზაურში, მაგრამ მამიდა ეფემია ტლანქად გასცემდა მათ პასუხს: შინ არ არისო.

ჩვენ არ შევუდგებთ იმ პირთა ჩამოთვლას, რომელთაც მედიას ხელი თხოვეს იმ ქაშად მამიდა ეფემიას. მათ შორის იყვნენ პარიზელი ბანკირები, იტალიელი გულამშიერი აზნაურები, ამერიკელი „ბიზნესმენები“, რომელნიც ტრაგულიად განიცდიან თავიანთ უკვირობას და საკუთარი „სისხლის გასაყვითლოშობილებლად“ საგანგებოდ ჩამოდიან ხოლმე ევროპაში დიდგვაროვანი პრინციების საძებნად.

სწორედ ასეთი მიზნით პარიზს ჩამოსული იყო იმ წლებში ვაშინგტონელი მილიონერის ვაჟი — ჰარი სნოუდენი, რომელიც წმინდა სისხლიან ცხენებს ეტანებოდა პარიზში და ასეთსავე პრინციებს საცოლედ.

მისტერ სნოუდენმა მედიას შერთვის იმედით უარი უთხრა თავის დანიშნულს, იტალიელ ბარონესას და მედიას ხელი თხოვა მადამ დე მასპეროს. მამიდა ეფემია განგებ შეყოყმანდა, თუმცა ცას ეწია სისარულისგან. ვაშულუქებული მისტერ სნოუდენი გააოცა თუნდაც ოდნავ პასიურმა წინააღმდეგობამ, მაგრამ მაინც მოუხშირა დარბაზობას ბანკირის დე მასპეროს სახლში.

ახლა მედიას უკვე კატეგორიულად აეკრძალა ვახტანგ კორინთელთან თეატრებში სიარული, მამიდა ეფემიამ კარჩაკეტილ რეჟიმში ჩააგდო თავისი ძმისწული და მოსამსახურეებს მტკიცე დაავლება მისცა: სტუდენტის კორინთელის მიერ დარეკილ ტელეფონზე საერთოდ არავითარი პასუხი არ გაე-

ცით, პირდაპირ უხმოდ დაეკიდათ მილი.

კონსტანტინე

ამასობაში ვახტანგ კორინთელი მთავრად უმაღლეს აგრონომიულ ინსტიტუტში გადავიდა სასწავლად, მამიდა ეფემია დამშვიდდა და იმედს არ ჰკარგავდა, რომ მედიას, როგორც თვითონ ამბობდა, „ამ გაჯიუტებულ გომბოს“ ნიშნობაზე დაითანხმებდა, მაგრამ ამასობაში მოხდა ერთი საკმაოდ კურიოზული ამბავი.

ერთ საღამოს მისტერ სნოუდენი და მისი ამერიკელი მეგობრები — ვაშინგტონელი ბანკირები მულენ რუჟში ქეიფილდენზე პარიზულ უწესო დიაცებთან ერთად.

სტუმრები უკვე კარგად შეზარხოშებული იყვნენ „ვისკის“ სმისაგან, როცა მეზობელ კაბინეტში თავის ძმაკაცების მიერ მიწვეულ ნიკო ვაჩნაძეს კაბინეტის კარი აერია და ამერიკელებთან შებორილდა საკმაოდ შეზარხოშებული.

სიგარით შებოლვილ კაბინეტიდან თავი გამოჰყო სნოუდენის ერთ-ერთმა მეგობარმა და უკმეხად შეაგინა დაუპატეხებელ სტუმარს.

ნიკომ არც ერთი სიტყვა არ იცოდა ინგლისური, მიუხედავად ამისა, მაინც შეიგნო, რომ მაინც და მაინც დიდ კომპლიმენტებს არ ეუბნებოდნენ, ამიტომაც საკმაოდ უწამაწური ავლაბრული გენებით უპასუხა.

ახლა ამერიკელიც მიხვდა, რომ არც მას ასხამდნენ ხოტბას, მკერდზე ხელი ჰკრა თავადს, რომელსაც თავისი განუყრელი ფაფაზი თავზე ეხურა და ცინიკურად შესთავაზა ყველა ენაზე იოლად გასაგები: „ბეე“.

მოკლედ, ამით აშენო: ვერძი ზარო.

მამინ დატრიალდა ეს ვერძი, ხელი წამოუსვა ვისკის ბოთლებითა და თეფშებით დატვირთულ ოფიციალს და ისე მაგრად დააჯახა ამ ლობიან ამერიკელს, იგი იმ წუთშივე იატაკზე დეგორდა.

ამ აურზაურში წამოცვენილი ახალგაზრდები, და მათ შორის მისტერ სნოუდენი, ეგგონენ თავადს, მაგრამ მკლავი გაიშამაცურა ამ უკანასკნელმა და ვისკის ბოთლები უთავაზა მათ, ბოლოს ისე დაერია დანარჩენ ამერიკელებს, როგორც ტარიელი როსტევეან მეფის მოყმებს.

ამ ამბავს დიდი უსიამოვნება მოჰყვა. შუბლგაჩეხილმა მისტერ სნოუდენმა მეორე დღესვე საკმაოდ არათავზიანი წერილი მისწერა მადამ დე მასპეროს და თავისი წინადადება უკან წაიღო.

ერთი კვირაც არ გასულა და მისტერ სნოუდენმა დასწყევლა პარიზი და ვაშინგტონს გაემგზავრა, ხოლო ვაჩნაძეს საძი თვის პატივობა ძლივს აკმარა პარიზის პრეფექტმა.

ამგვარად იმავე ქალაქში, სადაც თავისი თავზიანობითა და გონებაშახვილობით საბა ორბელიანიმ საფრანგეთის მეფე ლუი XIV და მისი მინისტრები მოხიბლა ოდესღაც, თავადაც ვაჩნაძემ სკანდალებით გაითქვა სახელი.

ეს იყო ოლონდ, დანარჩენი სასიძოვები ვერ დაატოტხო ამ გარემოებამ. პირიქით, პარიზის არისტოკრატიული კვარტალის — ფობურგ სენ ერემენის სალონების უსაქმურებს დიდხანს ჰქონდათ ეს ამბავი სალაცხოდ და ვასართობად.

მოცილობები ათასგვარ კორებს თხზავდნენ: პრინც ვაჩნაძეს უწყსო დიაცებთან ქეიფის დროს შეუსწრია თავისი ანერტიკელი სასიძო და მაგრად დაუფეხავსო.

არც მეღვას აქციები დაწეულა ამ ამბის მიღებით. ერთ ერთ მორიგ ბანკეტზე, რომელიც ბანკირმა დე მასპერომ გამართა თავის ზეულის — ვიქემიას დაბადების დღეს, მეღვა ვაიცნო ლუსიენ შარკუტიემ, რომელსაც უამრავი ქარხნები ჰქონდა სენის დეპარტამენტში და თვალუწვდენი ვენახები შამპანის პროვინციაში.

ლუსიენ შარკუტიეს ისე სწრაფად და მძაფრად შეუყვარდა შშვენიერი მეღვა, ტელფონების რეკვით აიკლო ბანკირის დე მასპეროს ოჯახი.

შარკუტიეს ხიბლავდა არა მარტო სილამაზე მეღვასი და ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი „ეგზომ რომანტიულ ქვეყნიდან“ იყო ჩამოსული, ნონმარტელი მღაბორის — ღვინის ვაჭრის ოჯახის ნაშვირს „თავადური სისხლი“ ენატრებოდა.

შამილა ეფემია კარგად ამჩნევდა შარკუტიეს ლოქისავით დაბჩენილ ტუჩპირასა და მოქციულ ყბას, მაგრამ ისიც იცოდა, თუ რამდენი მილიონი ფრანკი ჰქონდა შემონახული ამ უკანასკნელს დე მასპეროს ბანკში.

როცა მან დედის თანდასწრებით მტკიცედ განუცხადა მეღვას: ლუსიენ შარკუტიეს უნდა გაყვეო, მეღვამ ერთი დაიკვილა შეცხადებულთვით პეშვებში სახე ჩარგო და იატაკზე დაეცა.

როცა მოაბრუნეს გულშემოყრილი, წამოდგა და განაცხადა: უმალ სენაში დაეინარჩობ თავს, ან მრეცხავად დადგები ამ დაწყევლილ პარიზში, ვიდრე ამ გასივებულ ლეშს, ამ თვალებგამოკარკულულ გომბემოს ცოლად გავყვირიო.

„მამ რა გინდა ქა, ეგებ გეგონოს მაგ გულამშიერ სტუდენტს — იმ უბედური მიწისმზომელის ვაჟს გავაყოლოთ? ჰა?“

უთხრა ამრეზილად თავის მშისწოლს მადამ დე მასპერომ. თვეები გავიდნენ. ეფემიამ ხელი აიღო ჩიჩინზე, რადგან კარგად ხედავდა რომ თვრამეტი წლის მედიკოს ჯერაც ვერ მოესწრო იმ „სიქველეთა“ შეთვისება, რომელიც სიყვმიდანვე თან დაჰყვებოთ ხოლმე ბურჯუაზიულ დამებს, სახელდობრ ოქროსაღმი სიყვარული, თვალთმაქცობა და ტყუილები.

ამასობაში შინ მობრუნდა სასჯელმობდილი ნიკო და ახლა უკვე მომეტებულიად განაგრძო ვილაც საეჭვო ძმაკაცებთან მულენ რუქში ქეიფი.

შამილა ეფემია ჰხედავდა, რომ მისი მშის ოჯახი ბანკირის დე მასპეროს სარჩენი გახდებოდა, ამიტომაც შეუნთო ცეცხლი თავის ძმას და რძალს. ნასმურევეზე შინ მობრუნებულმა ნიკომ ერთი ორჯერ ნაწნავეებით დაითრია თავისი საყვარელი ქალი, რომელსაც „ჩემს ანგელოზს“ უწოდებდა და მსოთხოვა სამუდამოდ ამოეღო გულიდან „იმ ლატაკი მიწისმზომელის ვაჟი“.

ბოლოს მშობლების მუქარასა და მუღდარას ზედ დაერთო ზემოქმედება ეშმას ცნობილი ქვისა — ოქროსი.

მეღვას სიჯიუტე ოდნავ მოსტეხა ლუსიენ შარკუტიეს მიერ მედიკოს დღობაზე გამორგზავნილმა კოსკუტის ფირმის ბრილიანტებმა, მარჯალიტით მოოქვილმა სათეატრო კაბებმა. კომფორტაბლორი ლიმუზინებით სეირნობამ ბულონის ტყესა და შამპანის სანახებში, ლუსიენის სასახლეებმა, ქარხნებმა და თვალუწვდენელმა ვაზნარებმა.

როცა მადამ დე მასპერომ თავის მშის წარუდგინა მომავალი მახინჯი სასიძო,

ნიკოს კრინტი არ დაუძრავს. შეეშინდა: ხელმეორედ არ შეეშალა ხელი „მედიაკოს ბედნიერებისათვის“, დადარდინა და, გულჩახვეული გახდა. ერთ საღამოს ისე მაგრად გამოთვრა მულერ რუქში, ანაზღად გული გაუსკდა.

ისევ შეყოყმანდა მედეა, მოუხშირა მომპვლიეში წერილების გზავნას. დედას დაემუქრა: თავს მოეუყრი მაგ გომბემოს გამოგზავნილ ბრილიანტებსა და ჭინჭებს და უკან მივაშავებო. ვახტანგ კორინთელი იმ წელს უსასტიკეს გაჰირვებაში ჩაეარდა. მამამისი ტრამვიამ გაიტანა თბილისში, საცხებით უპატრონოდ დარჩენილი სტუდენტი ხან პროვინციული გაზეთის ლამის გამომშვებად იყო, არდადეგებზე დღვარს მიდიოდა, ნახშირის გემზე მტვირთავად მუშაობდა. ხანაც ლამლაპობით საკონდიტროებში ცოპის მშეღებლად, დილა ადრინაზღად ლექციებზე გაბოზდა.

ამასობაში დე მასპეროს საბანკირო სახლმა ბანკოტი გამოაცხადა. მევალებმა და კლიენტებმა სიჩივრები აღძრეს სასამართლოში. მედეა ჰხედავდა რომ არა მარტო მის ოჯახს, არამედ მამიდა ეფემიასა და მის ქმარსაც ქუჩაში გამოჰყრიდნენ სულ მოკლე ხანში.

ისევ შეუჩნდნენ დედა და მამიდა მედეას, ახლა უკვე ქვითინით ვევედრებოდნენ მუნღლოდრეკილნი: გვიხსენო დალუპვისაგან.

მედემ უკვე ვეღარ გაუძლო ამ უკანასკნელ შემოტევას, ბრილიანტებისა და ჭინჭების“ მამბანში უკან გაგზავნაზე ხელი აიღო და ნიშნობის დღე დაათქმევინა მამიდა ეფემიას.

იმავე კვირეს ლიუსენ შარკუტიემ ნახეყარი მილიონი ფრანკის კრედიტი გაუხსნა დე მასპეროს ოჯახს.

ბოლოს როგორც იქნა, ქაობის ვომბეშომ საბოლოოდ აჯობა არა მარტო „ლატაკ სტუდენტს“, არამედ თვით ბედრისა და სალონის „ლომებსაც“ და მედეა შეუურიგდა იმ გარემობას, რომ ლუსენ შარკუტიე, საფრანგეთის არმიის ინტენდანტი, რომელსაც დრანკი ჰქონდა მოქცეული გერმანელების შრაპნელისაგან, მისი კანონიერი მეუღლე გახდა.

ასე და ამრიგად, ახალი დროის ოქროს მაძიებელ იაზონს, უომრად და

ზღვების გადაუღახავად, მხოლოდ და მხოლოდ ტელეფონის რეკვისა და ჩეკის წიგნაკის მეოხებით ხელში ჩაუვარდა მშვენიერი მედეა.

1936 წელს, როცა ლავრენტი ბერიამ მევენახეობის საქმის დილის მამბაბით წინ წამოწევა განიზრახა, საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე ახალგაზრდა სწავლული აგრონომი წარგზავნა აზიის, ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა რაიონში, როგორც ციტრუსების, ისე ვაზის მოვლის საქმის შესასწავლად, მათ შორის ვახტანგ კორინთელს დაევალა მევენახეობის ზოგიერთი საკითხის დასაკვირვებლად მამბანის პროვინციაში წასვლა.

მან ეს დაგვლება ზედმიწევნებით შეასრულა. ამ წელს გამოაქვეყნა მან თავისი ფუნდამენტალური შრომა: „ვაზის უხილავი სხეულებანი და მტრები“, რომელმაც არა მარტო საკავშირო, მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა.

უკვე შინ მობრუნებებს აპირებდა იგი როცა სრულიად შემთხვევით გაიხსნა გორდისეული კვანძი, რომელიც ათეული წლების მანძილზე სტანჯავდა კორინთელს.

ისევ მამიდა ეფემიამ, რომელმაც თავისი დაუცხრომელი ჩიჩინით გაჰყარა სიყმრის შეგობრები, ფრიად ფატალური როლი შეასრულა თავისდაუნებურად ამ საქმეში.

მან მიიწვია ვახტანგ კორინთელი თავისი სიძის — შარკუტიეს ოჯახში სტუმრად, სამი დღეც არ გასულა და მედეა ქმარს გაეჭი და საქართველოში თან წაჰყვა თავისი სიყრმის მეგობარს, კორინთელს.

მშიმე ნაბიჯით აჰყვა ვახტანგ კორინთელი სასტუმროს კიბეებს ამ ვანჩაძისეული სახლის ტალანში შესულს იგიც მოაგონდა, რომ ამ კიბის თავზე იდგა ოდესღაც ბრინჯაოს დიანა, ანთებული მამბალით ხელში. ახლა იმავე დიანას მოზრდილი ელნათური ეყარო ხელთ.

კრცელ დერეფანში ბელადების პორტრეტები ეკიდა.

მრგვალ მკვიდასთან მკლავებზე დამბობილს ეძინა დარაჯს. ახლადმოსუ-

ლის ნაბიჯის ხმაზე წამოდგა იგი ანაზღად და თავაზიანად მიაცილა იმ ოთახებამდის, რომელსაც „ლუქსს“ უწოდებდნენ.

კორინთელს კარებთან დედაბერი დაუხვდა. იცნო ვანაძესთან პურის მცხოვრები დედაკაცი მიაი.

„როგორ მოგიკითხო, მიაი? — მოეალერსა კორინთელი დამხდურს.“

გაწყობილ სუფრის თავში, წითელი ხის საეპარქოში თავჩაქინდრული იჯდა მელდეა და ქარგავდა. კორინთელმა უსიტყვოდ შენიშნა რაღაც იდუმალი მწყურებლის ჩრდილი მის სახეზე. აგრე ეჩვენა, თითქოს ქალარა შემატებოდა ამ ერთი დღის მანძილზე, დაწვის თავებსა და თვალის უბებში ნაოჭები მოხშირებოდა.

სუფრაზე მდგარ ბროლის გრაფინში წითელი ღვინო ვარვარებდა. მრგვალად ზოხარშული დედალი ლანგარზე იდგა.

„მაპატიე, ჩემო კარგო, ამდენი რომ გაცდევინე“.

მიაი დერეფანში გაფათურდა, ისევ შემოვიდა და თონის პურები შემოატანა შემასავით მკლავზე დაწყობილნი. კორინთელს ახლადგამომცხვარი პურის სუნი ეცა.

„რად არ ისადილეთ, მედიკო, უჩემოდ?“ თქვა ახლადმოსულმა ნაღვლიანად.

მელდეა სდუმდა.

„ბევრი ვემუდარე, შენმა მზემ არ იქნა არაფერს დააკარა პირი. ზრგვლად მოხარშული დედალი დაგიმზადეთ ნივრითა, დაშაშული ბატი ჩურჩითა, აგრე რომ გიყვარდათ სიყმაწვილეში ორთავეს, შენმა მზემ“. ამბობდა მიაი და ჯარასავით ტრიალებდა სუფრის გარშემო.

კორინთელმა ხელი დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

ისევე მოღიშობდა უნებური დაგვიანების გამო.

„შენ სხვა რამისთვისაც გმართებდა ბოლიში, ვახტანგ“. სიტყვა თავის აუწყვლად მელდეამ და საქარგავი განზე გადასდო.

კორინთელმა დედალი დასჭრა, მედიკოსს მიაწოდა, მიაის უწილადა, მერმე თავათაც გადაიღო და თქვა:

„მინდი რისთვის?“

„დილიდანვე მარტოკა რომ გამომიშვი, ამ ტილად სასტუმროში“.

„მარტოკაო? მარტო როდი გამოგი“

შვი, მედიკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აქ ჩვენი მასპინძელი, ის ჩავიჯდა მანქანაში და წამოვიყვანა, გარდა ამისა, მე არ მესმის, შეტყობ, რას უწუნებ ამ სასტუმროს. სოფელში ამაზე უკეთესი ვგონებ არსადაა. სხვა არა იყო რა, ამ დარბაზში ნაწილობრივად მაძიშენისეული ავეჯი დგას. თუ არ ვცდები, ეგ ბროლის გრაფინიცა...“ თქვა კორინთელმა, გრაფინს წაეპოტინა, ჯერ ღვინო დაისხა, მერმე გრაფინს ახედდა-ხედა და თქვა: „ეს არც ისე ცუდი ნახელოვნებია, მედიკო, არა?“

როცა მიაი ისევ დერეფანში გაფათურდა ჩურჩიანი ბატის შემოსატანად, კორინთელი ცოლს მოუბრუნდა:

„არ მესმის, მედიკო, რად მიწყრები ასეთი წერილმანისათვის. ამ დილით კარგად ხედავდი, რა გულითადად დაგვიხვდნენ ჩვენი მასპინძლები. რაიკომის მდივანი წუხდა: შენი ნარტოდ დატოვება რომ მოგვიხდა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვქონდა, დღესვე უნდა მოგვეთავებინა ეს საქმე“.

„რა საქმე?“ ცალყბად იკითხა მელდეამ.

ისევ დაისხა წითელი ღვინო კორინთელმა, მოსვა და თქვა:

„გუშინლამ გეუბნებოდი აკი, ზერები უნდა გავმართოთ ცხრაძუხის ზეგანზე“.

მელდეა უღიშლამოდ ჰამდა. ბოლოს თეფში განზე გადასდო და სიტყვა:

„მე ძლიერ მოაცხებს, ვახტანგ, შენ ძველი მეოცნებე რომ დარჩი ამ ცხოვრებაში“.

„როგორ თუ მეოცნებე? რას ამბობ, მედიკო?“

„დიან მეოცნებე, ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ რაც პაპაჩემმა ვერ შესძლო, ამ მხარეს უდიდესმა მემამულემ და სახელგანთქმულმა გენერალმა, იმას კოლმეურნეი შესძლებენ? შენ ხომ გახსოვს ჩვენს სიყმაწვილეში მაგ ეწრებში მებრევიც ვერ ბედავდნენ მკლელების შიშით საკენლის გალაღას. არ მესმის, რა ვახნარები უნდა მოაწყო მანდ“.

„მაპატიე, მედიკო. თუ გეტყვი, რომ მეოცნებე სწორედ შენ ხარ. როგორც სჩანს, ჯერ შენ ბურანიდან ვერ გამოკვეულხარ. ჩვენი კოლმეურნეები უძლიერესნი არიან, არ დაგაეწყვდით, რომ მათ უკან სდგას მთელს მსოფლიოში უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწი“

ფო — საბჭოთა კავშირი, თავის აურაცხელი რესურსებითურთ“.

მაია შემოფათურდა ისევ, შემწვარი ბატი შემოიტანა.

„იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო მაია, რა ხანია, ჩურჩიანი ბატი არ მიჭამია“.

თქვა კორინთელმა და ბატის დაპრას შეუღდა.

ბატის ხორცი გასინჯა კორინთელმა და უთხრა მაიას:

„გიცოცხლოს მარჯვენა, ჩემო მაია, ჩემს სიყმაწვილეს მაგონებს ეგ. შენ უწინაც კარგად იცოდი საქმლის მზადება, რამდენი წლისა ხარ, ჩემო მაია, აა?“

„სამოცდაათისა ვავხდი წლეულს“.

„როგორა გყვანან შენიახები. მაია, შეილი რამდენი გყავს, რამდენი შეილი შეილი, აა?“

ხუთ ვაჟსა და ექვს ქალს თხუთმეტობდნენ შეილი და შერჩათ, შენმა მზემ. სამი შეილი და ხუთი შეილი შეილი დიდ ომში დაგვკარგე, შენმა მზემ“. თქვა ნაღვლიანად მაიამ.

კორინთელმა წყალი მოითხოვა.

როცა მაია წყლის შემოსატანად გავიდა, კორინთელმა უთხრა ცოლს:

„მე რომ მცოდნოდა, შენ ასეთ უგუნებობას შეგყრიდა ბერძუნებაში ჩამოსვლა, სწორედ გითხრა, აქ არ ჩამოგიყვანდი, მედიკო. მე აგრე მეგონა იმის შემდეგ, რაც შენ დასავლეთში საკუთარი თვალით ნახე...“

მაიამ წყლით სავსე ხელადა შემოიტანა. ცოლქმარნი მღუმარედ შეეჭკეოდნენ ჩურჩიან ბატს.

მაიამ შექამა მცირეოდენი, მერმე ადგა და ღამე მშვიდობისა უთხრა ცოლქმარს.

როცა ორივენი მარტოკა დარჩნენ, მედემ უთხრა ქმარს:

„მაინც რას გულისხმობდი შენ, რა ვნახე დასავლეთში?“

„მორალური ვაზრწნა ადამიანისა, ქვეყანა სადაც ადამიანს ღირსება აქვს აყრილი და ოქროთი ყიდულობენ როგორც სიყვარულს, ისე რწმენას. შენ ანდენი რამ წაგიკითხავს ამ თემაზე. ბალზაკი-მინც არ ვაგონდებ, შენი საყვარელი ბალზაკის რომანები, რაც ბალზაკმა ასწერა, ის მორალური ვათახსირება დღეს მომეტებული დონითაა თუნდაც საფრანგეთის ცხოვრებაში.“

მეც ხანგრძლივად ვიცხოვრე დასავლეთში, ერთმა გარემოებამ შემამაგა

ის სამყარო, სახელდობრ იმან, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების მკვიდრთაგან, უმეტესობა ფულისა და ქტნების მტხანა-მეც რომ ასეთივე გრძობები არ აღგძვროდა იქ ზურგს არ შეაქცევდი შარკუტიეს აურაცხელ ბრილიანტებსა და ქინკებს.

ხომ ვახსოვს, ოდესღაც სასწორის ერთ ჯამზე მე ვიყავი და ჩვენი საძმოდ_ლო, მეორეზე შარკუტიეს ოქრო. მეც იმიტომ მიყვარხარ, ჩემო მედიკო, რომ შენ, მე და სამშობლო გვამჯობინე ამოდ დიდებას.

ახლა დაწყნარდი, ჩემო, მე დღეს ისე_დაც ბევრი ვიქადაგე, ვიკამათე, ნიადგები ვჩხრიკე გაუფულ ღიჭიანებში, საყვედურებო მაქმარე, რამე გასახარელი, სააღერასო მითხარი.

მთვარე ჯერაც არ იყო ჩასული, როცა კორინთელმა აივანზე გაიყვანა თავისი მეუღლე. აქედან ნათლად მოსჩანდნენ ძველთაძველი ბასტიონი ლეონ კახეთის მეფისა და ვიჩნაძიანთ საგვარეულო ეკლესია.

„ხომ ვახსოვს, მედიკო, განსვენებული ჩემი დაიკო — ნანა გვირილების გვირგვინებით დატვირთული შეგვიყვანდა იმ ეკლესიაში, წელზე ბალიშს შემოიკრაედა, დედიშენისეულ ხალათს გადაიცვამდა, ვითომ ნანა ღიბიანი ხუცესი იყო, ხოლო მე და შენ ნეტე-დედოფალი.“

ლოცვებს ბუტბუტებდა ნანა, გვირილის გვირგვინებს გვადგამდა თავზე და ეს გვირილის გვირგვინი როდი იყო, არამედ ოქროსი ვითომ.

იმ ციხის გვირაბის შესავალთან დაე_სხდებოდით ხანდახან. მე ხის ხმალი მერტყა წელზე, ცხენჯოხზე გადამჯდარს რაინდს. შენ დევის ცოლი იყავი. ნანა დევის დედა. მე უნდა მომეტაცნე, მდევის დედა არ მანებებდა.

როგორც ხედავ მე მოეტაცე შენი თავი დეეს. გაიცინე, გაიცინე, შენი შეუღარებელი სიცილით, მედიკო. ნახე რა მშვენიერია ეს ქვეყანა.

იცოდე, მედიკო, ადამიანი იმიტომაცა თავის ბალობაში ბედნიერი, რომ იგი არა სცნობს საგნების რეალიურ ღირებულებას, ამიტომაც მის წარმოდგენაში ასე იოლად ცვლის ცხენჯოხი ნამდვილ ცხენს, ხის ხმალი — ფოლადისას და გვირილების გვირგვინი — ოქროსას.

ამიტომაც საჭიროა, ხშირად მივიხედოთ ხოლმე ჩვენი ბალღობისაკენ უკან; რათა შევიგნოთ, რომ სიმდიდრესა და ოქროს მხოლოდ ეფემერული ღირებულება გააჩნიათ.

როცა ჩვენ ამ ქეშმარიტებას შევიცნობთ, მაშინ მივხვდებით ნამდვილ ბედნიერებას, მერწმუნე, მედიკო... ასე ისაუბრეს იმ ლამეს-მათ, ვიდრე საგამთენიო ყვირილი არ მორთეს ალაზნის ხობებმა.

ზრომალღეები

ბერმუხის მამლემა იძალეს. მთები-საკენ მისრისეს ღამე. ნადრევედ აღძრულმა საგაზაფხულო ოცნებამ სამზუნებზე გამოიყვანა კვირტები. მაგრამ ყინულის კბილები გამოიჩინა უქმურმა მარტმა. ზათქითა და ბუბუნით გადმოიქრა ქარბორბოლა კავკასიონიდან და ურა ცხენივით გაჭენდა ალაზნის ველზე. მთების უბეში შეყუთულ სოფელს თავს დააცხრა, კიდევ ერთხელ შებერტყა ნაციხარები, ნსაყდრალები და ნაპარტახალები. ყვავილის ფიფქები შემოაცალა ნუშებსა და ტყემლებს. ბერმუხის ქოხები შეკრთნენ თითქოს შიმისაგან დაპატარავდნენო.

ქარი ნამქერს აყრიდა ბორცვებს, გაფთრებული მიქონდა საბძლებსა და ფარებებზე. თოვლნარევე ბრეს ატრიალებდა პაერში შემცივებული ძაღლები გომურების კარებთან ძაგძაგბდნენ. მამაცი მამლები თავისას არ იზლიდნენ, განაგრძობდნენ საგამთენიო ყვირს.

წინაღობით ნაჯაფრამა გოდერძი ელანიძემ უცნაური სიზმარი ნახა იმ ღამეს. ცხრა მუხის ზეგანზე პური ამოსულიყო. შავფხის თავთავები აფახულებდნენ შავფხებს. პური იყო მალალი. ყაყაჩოსფერ კაბაში მორთული ქორფლიანი გოგონა მოცურავდა გოდერძისაკენ. მოარღვევდა თავთავების ზღვას, და ყაყაჩოებს ზედ აყრიდა მიწაზე მწოლარეს.

გინ დასთესაო პური ცხრა მუხის ზეგანზე?

გულგანაწყენი გოდერძი ეკითხება წითელკაბიანს.

შეფხვას ფხებივით გრძელი წამწამები დაათახულა ნუნუ უჯირაულმა. რალაც უნდოდა ეპასუხნა და სწორედ ამ დროს მოესმა მძინარეს უცნაური როზროხი.

თავი ოღნავ წამოსწია სასთუმლიდან. აბრია უჯირაული და პაპა მიქელა მურყანის ნამორებზე ისხდნენ ბუხრის

წინ. ბაბლია იქვე დაეუტეპულიყო, ცალხელს შუბლზე იფარებდა, ცალითაც შამფურს ატრიალებდა, მწვადის შიშხინი მოისმოდა, ხორცის საამური სუნი დამდგარიყო ქოხში. იღვენთებოდა წყეთები ღაღარში და ისეთი ჩქამი ისმოდა, თითქოს ახალ თოვლს ფეხს აბიჯებენო.

აბრია ყალიონს აბოლებდა, ახველებდა იხრჩობოდა ბრაზისა და ხველებსაგან.

„ალბათ ცოლშვილს წაპკიდებია აბრია, შიტომაც მოსულა უთენია პაპა მიქელასთან გულის მოსაოხებლად“, გაიფიქრა გოდერძიმ და ორთა საუბარს მიუგდო ყური.

„ძალთაბირია ჩემი ცოლი. მისი გასაგისი გადააშენოს ქირმა. შეიღები მას გამოემგანენ და შეიღათაშვილებიცა წყეულიმც იყოს ის დღე, როცა მაგ აშარი დედაკაცი შინ მოვათარიე. ნეტაცხენი წაშქცეოდა იორში, როცა მის დასანიშნად წავედი...“

ისე ვაგებული იწყებდებოდა აბრია — ავსიტყუა, თითქოს ეს ყოველივე ნახევარი საუკუნის წინ როდი მომხდარიყო, არამედ აგერ გუშინ, თუ გუშინ წინ.

ისევე აუფარდა ბერიკაცს ხველება, მაგრამ ჩაადრეა ღაღარში და განაგრძო:

„როცა სულკურთხეული მამაჩემი გარდაიცვალა, მე დამტოვა უჯირაულთა გვარის უფროსად. მამაკაცები აღარ არიან, მე და ჩემი ძმა და დავრჩით. თავი აიშვეს დედაკაცებმა და უწვერულმა ბიჭებმა, კანკრეს გარდა ყველა კონკავშირში შევიდა.“

შენ უკეთ იცი, მიქელავ, გვარს ისე უნდა უძლოდეს უფროსი, როგორც ცხვრის ფარას ჩებიში, ცხვარი თუ ვაცმა არ გასარდლა, კლდეზე გადაიჩენება უთუოდ. ღიაცს დაოკება უნდა, უწვე-

რულ გაქვაცს მწერთნელი, ცხვარს ვაცი ამავრებს, დიაცს — ქმარი, ვაზს — ქიჯო და ლობიო, რომ ლობიოა, მასაც სარი სჭირდება, მიქელავ. ენას კბილები ამავრებს და კბილებს ვადაცდენილ სიტყვას ბრძენიც ველარ იხმობს უკან.“

გოდერძის გავლიდა ამის გამგონეს. გულში გაიფიქრა: „ველარ გაიგე, ბებერო, ვაცობის ყავლი რომ გაგივიდა?“

„ქვეყანა ყირაზე დადგა ჩემმა მზემ, მიქელავ. დაიქარგა უმცროს-უფროსობა. მე ბედნიერი მაძინ ვყოფილვარ, როცა ჩემს ცხვარს უკან დაესდევდი ტყე-ღრეში, ჩემი ნაბაღ იყო ჩემი საბანიცა და კარავიცა, ჩემი უნაფირი—გესმის, ბალიში, არც ცოლშვილის სიავე მხვდებოდა თვალში, არც მოკეთებებისა.“

როგორც ცოფიან ძალს — წყლისა, ისე მეშინია ხვალინდელი დღისა. სიკვდილი მომნატრებია, მიქელავ, შენ ბედნიერი ხარ, საკუთარის თვალით რომ ველარ ჰხედავ კაცთა სიავეს.“

გოდერძიმ ისევ ჩასთვლიდა და როცა აბრია შეუდგა თავისი შვილიშვილის ნიკა უჯირაულის, და ძმის შვილიშვილის — ნუნუ უჯირაულის ლანძღვას, წუნუს ხსენებაზე ისევ გაახილა გოდერძიმ თვალი.

„ომერთს ნუ სკოდავ, აბრიავე. — ამოშინებდა აესიტყვას პაპა მიქელა. — ცოლშვილიც კარგი გყავს და შვილთა-შვილებიცა. ეგ შენი ბრალი როდია, აბრიავე. სიბერის ბრალია ჩემმა მზემ. სიბერე ავადმყოფობაა. ავად ხომ ყოფილხარ ოდესმე? როგორც ავადმყოფს გულს უწუხებს ჯანსაღთა ყრბაშული, ისე ბერიკაცსაც სიავს ჯელების ანგლობა.“

დრო ცხენსა ჰგავს ერთ რამეში, როცა ცხენი წინ გადახტება, თუ ტანი არ ააყოლე, უთუოდ ჩამოგაგდებს, იცოდე.“

გოდერძის გულიანად გაეცინა.

მხარი იცვალა. გულით ეწადა ძილს მინებებოდა კვლავ, მაგრამ სარკმილიან შემოსული ძაბუხი სინათლე გაეძლიანდა დამამიმბულ ქუთუთოებში, სასთუმალიდან თავი წამოსწია ისევ და სარკმელში გაიხედა.

გომურის წინ დაცუქული მგელა საწყალობლად წყავწყავებდა. ფქვილის-ფერ ციდან ფიფქები სცივივოდნენ, მაისის ბეპლებივით დაცქირალებდნენ ისინი პაერში.

გომურთან მდგარი ნუშის ხე სახეი-მოდ მოერთო და მოეკაზმა წინადაზინდელ ყინვას, კირხლის მარჯილი ცემოს-ხმოდათ ტოტებს და შტოებს.

მოუხშირეს მამლებმა ყივილს.

„ბარემ ავდგები, ვისაუზმებ და დროზე გავალ სამუშაოზე.“

გაიფიქრა გოდერძიმ და ბლუზა გადაიცვა. როცა ცალი ჩექმის ქუსლი დაჰკრა იატაკს, აბრია მკისერი მოიღროჯა და აბუხუნდა.

„რათა დგები აგრე ადრე, ბიჭავე. ჩვენ თუ გვიყურებ, ბებრები ვართ და ძილი არ გვეკარება. ნუთუ ამ ავდარში სამუშაოდ გაიყვან ხალხს?“

მეორე ჩექმაში ჩაჰყო გოდერძიმ ფეხი, ქუსლს უბრაგუნებდა იატაკს და თანაც ამბობდა:

„ავდარი პატარძლებს თუ შეაშინებს, ძია აბრიავე. თუ გამოდარებას ვუცადეთ, მანისაშინაც ვერ შევასრულებთ გეგმებს.“

„თქვენ მუდამ გეგმები გაკერიათ პირზე.“

„ოღონდაც, ძია აბრიავე, — მიუგო გოდერძიმ. — უგეგმოდ დამთხვეულები თუ მუშაობენ ჩვენს დროში.“

ესა თქვა, მარჯვენა ფეხიდან გაიხიდა ჩექმა და ასკინკილად მივიდა ბუხართან. ხმა ჩაიქმიდა აბრიამ, მცირე ხანს ღლუმარედ ლეკავდა თავისი ყვითელი ლოჯებით ზორცს, მერმე ისევ მიუბრუნდა გოდერძის:

„რა მოგსვლია, ფეხი ხომ არ იტყინე, ბიჭავე?“

„ეს ოხერი ჩექმა დამისველდა გულში იმ თავსხმაში.“

გოდერძიმ ცალი ფეხი ცეცხლს მიადფიცდა.

„ღვინო მოსვი ბიჭავე.“ — უთხრა აბრიამ, სავსე ჯამი გაუწოდა ყმაწვილს.

„ჯერ ხელპირს დავიბან, შენ ინებე, ძია აბრიავე, ეგ ღვინო.“

„ბაბლიავ, მიდი შენ გაზრდას, თხის ქონი ჩამოილე თახჩიდან და მოუტანე ბიჭს.“

ვიღრე ბაბლია თხის ქონს მოსძებნიდა, გოდერძიმ ჩექმა ჩაიცვა, ხელპირი დაიბანა და გვერდით მოუჯდა პაპას.

„რა სასაცილონი იყავით ამ კვირია ბიჭავე, რამდენი ეწვალეთ. მაინც ვერ დასძარით ნაფესვარები. ხომ გულებნობდით, ვერას გახლებით მეთქი. გულში რნახე, მამუკას უბანთან ხრამში ჩაიყე-“

ნილიყვინე ჩემი შეილიშვილი ნიკა და რუსის ბიჭი კოლა სოკოლოვი თავთავიანთ ტრაქტორებიანად. წელამდის ლაფში დატოპავდნენ ის უბედურები. მეწისქვილე ნიორთავა ხომ არ შეგხვედრიათ მეთქი, მივაძახე“.

ამბობდა აბრია-ავსიტყვა.

„ნიორთავა რა შუაში იყო?“

იკითხა გოდერძიმ და ბაბლიას მიერ მიწოდებული ღორის ზორცს ხახვი და მარილი დაეყარა.

„არ იცოდი განა, ნიორთავა ნახვია, მაგ ბედდამწვარი. მისი ერთი შეხედვა ცხენს მუხლებს შეუკრამს, რამდენ კაცს ურემი გადაბრუნებია ვალაში ცხენი წაქცევია ალაზანში“.

ხითხითებდა ავსიტყვა.

„მოვეშვათ მაგ სისულელებს ძია აბრია, მეე საწყალ ნიორთავას რომ ამდენი შეეძლოს, თავის დაკონკლ შარვალს გამოიცივლიდა როგორმე. ეს ამბავი არც ნიორთავას ბრალია, არც ტრაქტორისტისა.“

„მე არ ვამბობდი განა, კოლა და ნიკა ვერას გააწყობენ მეთქი? ბევრი ვიცინებ, ჩემმა შვიმ. ბართ ამოჩიქნიდნენ ფესვების გარშემო მიწას, ჯაჭვებს შეასხამდნენ, დაქაჩავდა ტრაქტორი, ხან ჯაჭვები იღვწებოდნენ, ხანაც ტრაქტორები უფუჭდებოდათ. საწყალად ღნაოდნენ ნიკა და კოლა. მათი საცოდაობა ქვას აატრებდა. მაინც რა თავსხმა იყო, რა მოწამლედი ქარწვიდა.“

აღდარში კი არა, დარშიაც რას გააწყობენ მაგ ცხვირმოუხოცელი ბლარები. გეუბნებოდით იმ დღესაც დროული კაცები, ამოდ დაშვრებითთქო, არ დაგვიჯერეთ, აბა რომელი ტრაქტორი იმუშავებს, ბიჭავ, მამუკას უბანში. ან მეღის ხევიში? მაგრამ სისხლი გერჩით ჯეველებს, ეგ არის და ეგ“.

„ცდები ძია ბრია, ცდები. კოლა სოკოლოვი და შენი შეილიშვილი ნიკა, ჩვენი კომკავშირის მოწინავე ბიჭებია. რაც ისინი წითელი არმიიდან შინ მობრუნდნენ, თავდადებულად მუშაობენ. ვაზეთებშიაც იყო მათი ქება.“

„მე არ მინახავს ეგ ვაზეთები.“

„იკითხვა რომ არ იცი, რასა ნახავდი?“

ეს სიტყვები ენის წვერზე დაიჭირა გოდერძიმ.

ისევ დაეყარა ხახვი და მარილი ღორის ზორცს მაღიანად ჩალოკმა და თქვა:

„თუ ჩვენმა ტრაქტორებმა ვერაფერი გააწყვეს, ეს ჩვენი ბრალია და არა მათი.“

სწორედ რომა ვთქვით, რაიკარონომ მელითაურისა.

მე და თელ იმ თავიდანვე გეუბნებოდით: მაგ სამუშაოს შესრულებას ნი დაჯღრეული ძველი ტრაქტორები ვერ მოერევიან-თქო. რაიკონის მდივანიც გეპირდებოდა მექანიშმებს, მაგრამ აჩემმა მელითაურმა: დიდძალი საწვავი დასჭირდება მექანიშმების ჩამოყვანასო: „ჰო, მაგრამ გუთნებითა და ხარკამეჩით ველარ შესძლებდით მაგ ნაფესვარების ამოძირკვას?“

იკითხა პაპა მიქელამ.

„რომელი ხარ-კამეჩი, რას ამბობ, მიქელავ, — ეუბნება უსინათლოს აბრია, — იცი ტრაქტორი რამოდენაა? შენ რა თქმა უნდა არ გინახავს, მაგ ეშმაკის კერძი, იცი რა ძალა აქვს მაგ ვერანას? ათი უღელი ხარ-კამეჩიც ვერ გასწევს მაგოდენას.“

„არ მინახავსო ტრაქტორი“. ნაღვლიანად სთქვა უსინათლომ.

„ბაბლიამ ცხელი მწვანი მიაწოდა პაპას, მიქელა მცირე ხანს უღიმღამოდ ლეჭავდა ხორცს, ხელს აშველებდა კბილებს, უნდოდა როგორმე, ზემო ყბაზე დარჩენილი ღოჯი მოედო მწვანის ნაჭერისათვის, მერმე მოეშვა ამ საქმეს, გამოსწოვა იგი, ბოლოს პეშეში ჩაიღო და მის ფერხითთ აღნაგებულ კატას მიუგლო.“

„რამოდენაა მაინც ეგ ტრაქტორი?“

იკითხა პაპამ.

„როგორ გითხრა, მოფარდაგული ურმის სიმალლე იქნება, ურმისავე სიგრძისა, ჰა და ჰა“.

ეუბნება აბრია მიქელას.

რითი დადის? — იკითხა უსინათლომ.

ლიგროინით, მოუგო გოდერძიმ.

ლიგროინი რაღააო?

„საწვავი სითხეა, პაპაე“.

გოდერძი აღვა, ლადარიდან ნაკვერცხალი გამოიღო და პაპიროსს მოუკიდა.

„ჰო, მაგრამ ეგ სითხე როგორ და დასძრავს ამოდენა მაჯლაჯუნას? ჰა?“

„ამდენი არც მე ვიცი, შენმა შვილიშვილმა გიამბოს, მიქელავ. ჯანიც ვავარდნია ტრაქტორისა და მის საწვავს; მე ამ წითელ ღვინოს გეახლები და ეგ არი“.

თქვა აბრიამ და ჯამი აიღო ხელში. ამოწურუა.

გოდერძი ბევრს ეცადა როგორმე ვენმარტა უსინათლო პაპისთვის მაგნეტოს ანთების, ლიგროინის წვისა, მუხ-



ლოვანი ზერძის ბრუნვისა და ყოველივე ამის მეოხებით მუხლუხების ამოძრავების ამბები, მაგრამ მან ეს თავადაც ყურმოკრულად იცოდა, ამიტომაც ველარაფერი შესამინა მიქელასა და აბრიას.

„ბორბლები თუ აქვს ტრაქტორსო?“ — ეკითხა ბრამამ.

უბორბლოდ დადისო, მიაძახა აბრიამ.

„ეგ ისე ყოფილა როგორც ზღაპარში, უბორბლოდ, უტხენო და უკამეროდ. საკვირველი რამ ყოფილა მაგ ვერანა, შეილოსან“.

თქვა ნაღვლიანად პაპა მიქელამ.

გოდერძი კვლავ შეეცადა ტრაქტორის მუხლუხების აღწერას და მაგნეტოს კავშირს ამ მუხლუხების მოძრაობასთან, მაგრამ რა დარწმუნდა, რომ არც ეს განმარტებანი მისწვდა უსინათლო პაპის გონებას, ხელი აიღო თხრობაზე და მდუმარედ განაგრძო ქამა.

„რაკი წასვლას არ იშლი, ჩემი ტყავება მანც გადაიცივი, ბიჭო“.

უთხრა პაპა მიქელამ.

ქარი ღმუოდ ბუხრის მილში, კვამლს უკან აბრუნებდა. ცრემლები მოჰკვარა ბუხრის წინ დამსხდართ კვამლმა.

გოდერძი ! წამოდგა. სარკმლისაცენ გაიხედა. უკვე სინათლის ჩქერალი დაჰქათქათებდა მის საწოლს. პაპისეული ტყავება მოატანინა ბაბლიას. გოლიათური ანაგობა მიანიჭა ისედაც მხარგანიერსა და ბექბრტყელ ვაეკაცს პაპისეულმა ტყავებამ. ფაფახი ხელის გულზე დაირტყა და თავზე დაიხურა.

„სად მიხვალ, ბიჭვ, ამ პურმარლოს და ამ თბილ ბუხარს რა კაცი ნიატოვებს, პა?“

„რალა დროს პურმარილია, ძია აბრიავ, დღეს რაიკომის მდივანი ჩამოდის და მექანიზმები უნდა ჩამოგვიტანოს“.

„ეგ მექანიზმები რალა ეშმაკია?“

„როცა საქმეს მოვრჩებით, მერმე გაიგებ, ძია აბრიავ“.

თქვა გოდერძიმ და სწრაფი ნაბიჯით გაიხურა ქარი.

იძალა ქარმა, ბუხრიდან გამობრუნებულმა კვამლმა დააღისო ქოხი. ასე რომ ბუხრის წინ მსხდარნი გამალეებული იწმენდნენ ცრემლებს.

თოვლნარევე ქარწვიმის მიტხედავად ახალგაზრდობა რევენსისთვის ემზადებოდა. ვანა მარტო აბრია-ავსიტყვა, სხვა მოხუცებიც ჩუმჩუმად ქირდავდნენ კომკავშირულ ახალგაზრდობას, რომ ამ ჯერად მათი შეტევა მუხების ნათესეარებისა და გაუვალი ღიქანის შესამუსრად დაწყებული, უშედეგო აღმოჩნდა.

მოხუცთაგანს, ზოგს სჯეროდა კიდევაც, თითქოს მეწისქვილე ნიორთავას მართლაც დაენავსოს ბერმუხელი ტრაქტორისტები ნიკა უჯირაული და კოლა სოკოლოვი ცხრა მუხის ზეგანისკენ ტრაქტორებით მიმავლნი.

ნამდვილად კი, ამ ხელის მოცარვის მიზეზი სხვა იყო.

ჩელოაბინსკური და ფორდზონის თვრამეტძალიანი ტრაქტორები, რომელთაც ნიკა და კოლა მართავდნენ, მრავალგზის შენაკეთები და საესებით დანჯღრეულნი იყვნენ. ესენი გახლდათ პიონერები იმ მცირეძალიან ტრაქტორებისა, რომელნიც პირველად გეგეიბრნენ ჩვენს ლომა კამეჩებსა და ყვევარ ხარებს მრავრისა და ალაზნის ნაყოფიერ ველებზე.

ეს მათ გასრეხეს ივრის ყამირები, შირაქის ველისა და ალაზნის შამბნარები და ლელიანები, საერთოდ ის ადგილები, სადაც გუთნის დედების საურეთელი არასოდეს მოხვედროდა მიწას.

ხარ-კამეჩის მოყვარულნი, საფეთქლებშეეღალეებული კოლმეორენი, რომელთაც ურმულისა და პოროველას სიტკრო კიდევ აკავშირებდათ ამ ცხოველებთან, ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ კოლასა და ნიკას:

„ეგვეც თქვენი ტრაქტორები პე, აბა გამოიყვით ზუთიოდე ყოლეი ხარ-კამეჩი. ბრესავით წაიღებენ მაგ ნათესეარებს“.

ცხლია, ამას გულის გარეთ ამბობდნენ ისინი, მხოლოდ და მხოლოდ ნიშნის მოსაგებად, თორემ თავათაც კარგად იცოდნენ, რომ ხარ-კამეჩი, თვით იმ დანაწრიულ ტრაქტორებსაც ვერ დაიჯანბებდნენ.

ნათესეარებს გარდა სხვა წინააღმდეგობასაც წააწყდნენ ძველი ტრაქტორები ცხრა მუხის ზეგანზე. მთელი ეს ტერიტორია ალაგალოვ ბორცვიანი იყო, ალაგალოვ ისე მძაფრად დახრამული,

ვერც ფორდზონმა და ვერც ჩელიაბინსკურმა თავი ვერ გაართვეს ამ დაბრკოლებებს.

გადაშვებოდნენ ტრაქტორები ხრამში და ველარ ამოდიოდნენ გაეაკებისკენ კვლავ, მოსდებდნენ კორდებსა და გორმახებს სახნისს, იღუწებოდა ეს უკანასკნელი. იშლებოდნენ მუხლუხები, წყდებოდნენ ფოლადის ტროსები და ჯაჭვები.

ასე რომ ექვსი შრომადღე სამი ბრიგადისა, თითქმის უნაყოფოდ დახარჯეს ბერმუხელებმა.

საქმე არც ისე შორს წასულა. მერმე ის იყო, თედომ და გოდერძიმ რაიკომის მდივანს აცნობეს ეს ყოველივე, და ბოლოს, შექანისხეზებამაც არ დაიგვიანეს.



ცხრა მუხის ზეგანს მოადგა ნიკოლაევის სატრაქტორო ქარხნის ორი სამოცდალიანი ტრაქტორი. ორივე ახალი, ბურუხუნა ვეშაბები, მდელოსფრად შელბილნი. ისინი ტყუპ ძმებსავეთ წაავადინენ ურთიერთს.

სოფლის გოგო-ბიჭები ეხივლ-ხივლით უკან მოსდევდნენ მათ.

ტრაქტორები სელის შეუნელებლად ზედ ამოჰყვნენ ზეგანს, გადათქერეს ზადშეხვედრილი ძეძვები, ბუჩქები, გადმოიარეს ლარბადები და ხრამები.

როცა მესამეც ამოვიდა ზეგანზე, აქ დროული კაცებიც აჩოჩქოლდნენ და მის სანახავად ძირს ჩაირბინეს სიხარულისაგან აღტყინებულებმა.

ეს მესამე ტრაქტორიც სამოცდალიანი იყო, მაგრამ მას უკან მობმული ჰქონდა უზარმაზარი, სამკუთხედი, კიბონებრ ვაფარჩხული მოწყობილობა; ორ ბორბალზე შეყუნცულს რამდენიმე კბილებწამახული საჭრეთლები ჰქონდა ზოლო კიდეში, ეს საჭრეთლები ლექურბებით იყვნენ დადრეკილი.

„ეს რა მაჯლაჯუნაა?“ შეეკითხა ნიკასა და კოლას, მეწისქვილე ნიორთავა, რომელიც სასეიროდ გამომპარულიყო იმ დღეს წისქვილიდან.

„რიბპერი“.

მიუჯის ორივემ ერთხმად.

მეთთხვე მოვიდა, ასეთივე დიდძალიანი ტრაქტორი, რომელსაც ერთი მხარის სიგანე წამახული თანა ჰქონდა უკანა კიდეზე. იგიც ასაწვე-დასაწვევი

იყო, როგორც რიბპერის საჭრეთლები.

„ბულდოზერი, ბულდოზერი“.

წამოიძახეს ახალგაზრდებმა, რომელთაც ბულდოზერი თავათ ენახათ თელავის გზებზე.

ბოლოს მოაღწია თანადამსწრეთათვის სავსებით უცხო სტუმარმა. ტრაქტორზე მიბმული იყო ლამილაპისებრ აწოწილი მუხმუხელა, მას აყლავებდა „კისერზე“ ტროსით ჰქონდა დაკიდებული ვეებერთელა რკინის ჩამჩა, ცალკიდეზე ფოლადის ეშვებით აღჭურვილი.

ახლა ამ ახალ სტუმარს დაესია დიდი და მცირე.

კოლა სოკოლოვი და ნიკა უჯირაული პირველნი ავიდნენ ექსკავატორის კაბინაში. კაბინიდან გადმომდგარ შავგრემანი დეეკაციის დაახეზზე, ექსკავატორის გარშემო მოგროვილ ხალხში ჩოჩქოლი გაისმა:

„ხელაანთ ვანო, ხელაანთ ვანო!“

„გამარჯვება, ძია ვანო“.

მიამახეს ტრაქტორისტებმა სტუმარს და მაგრად მოუჭირეს გამურულ მარჯვენაზე ხელი.

„აბა რა გაქვთ ჩემი საკბილო, ბიჭებო?“

მეწისქვილე ნიორთავაც აცუნცულდა რკინის კიბეზე.

„შენ ერთი თოხლიც არ გეყოფა, ძია კაცო საკბილოდ, თუ დიდხანს მოუნდი ნამუხარების ამოძირკვას, აბრიასეული ცხერის ფარაც არ გეყოფა.“

ხელაანთ ვანომ გაიციხა, შაქარივით თიერთმა კბილებმა გაიელვეს გამურულ სახეზე.

„მე ჩემს კბილებს არა ვჩივი, შე ბედ-დამწვარო ნიორთავა. ამ ჩემი გოლიათის საკბილო თუ რამე გაქვთ მეთქი?“

„მაგის საკბილოსაც ვიშოვნით, ნახე როგორ დახრამულია ზეგანი“.

თქვა გოდერძი ელანიძემ მშვიდად.

„რა ჰქვია ამ მხეცს?“ იკითხა ნიორთავამ.

„ექსკავატორი“. მიუგო ხელაანთ ვანომ.

„ექს...“ ბოლომდის ვერ დაათავა, ნიორთავამ მერმე დასძინა:

„ოცი, ძია ვანო. მე მაგის სახელი ყოველდღე რომ გამოვთქვა, ზუნაგი დამემართება უთუოდ“.

„წადი, გაგვეცალე, ნიორთავა, აქედან, ეს მაჯლაჯუნაც არ დაგვითარსო, შე პირშავო“.

ეუბნება კოლა სოკოლოვი მეწისქვილეს, თანაც ხარხარებს.

„ნიორთავა, ნიორთავა, თავი ნუ მოგიკვდება, ახლა ამ გარდანქეშაზედაც გამოიჩინე შენი ნავსობა“.

ხარხარებდნენ ბიჭები და ათვალისკვლებდნენ ექსკავატორის ჩამჩაზე გამოჩენილ ფოლადის ეშვებს.

ნიორთავამ არც აცვია და არც აცხელა, ექსკავატორის კაბინაში შევიდა და შოფერის საჯღომზე გამოიჯგვია ამაყად.

ორივე ხელი, რკინის ბერკეტებს მოაველო, ორივე ფეხი პედალებს დაადვა.

„ფრთფუ!“

შესძახა მანქანას, ისე როგორც მეტლე გაუწყრება ხოლმე თავის ცხენებს.

„ჰე, ბიჭვ, არ დასძრა, შე ოჯახქორო, ეგ ვეშაბი“.

იყვირა ვილაძამ ხალხში.

„ფიქრი არაა, გამორთულია“, თქვა ხელანთ ვანომ და მოდრეკილი საჩვენებელი თითით ჩაუტახუნა მეწისქვილეს მოტველებილ თავზე, სწორედ ისე, როგორც გასასინჯად ჩაუკაუნებენ ხოლმე საზამთროს მცნობნი.

„მწყრები არ დაუფრთხო, ვანო-ჯან, ჩვენს ნიორთავას“.

თქვა ნიკა უჯირაულმა.

„მწყრები თუ ჰქუა?“

იციზოდა კოლა სოკოლოვი.

„დარადი ნუ გაქვთ, ბიჭებო, ჰქუა, თქვენი არ იყოს, არც მე მაწუხებს მაინცდამაინც. ჰქუა და ფული თავისთვის შემოუნახავს საწყალ მამაჩემს“.

„ჭალარა მოგრევი, ნიორთავა“.

ეუბნება ხელანთ ვანო მეწისქვილეს.

„ეჰ, ჩემო ვანო, ჭალარას რომ ჰქუა ჰქონდეს, აბრიას ბარკანი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი იქნებოდა“.

ხელანთ ვანომ ახედ-დახედა თავგადატველებილ მეწისქვილეს:

„ეს შითხარი, ნიორთავა, რა იქნა შენი ქოჩორი?“

„ქოჩორმა ნახა კოჯორი“.

„მაინც რა უყავი, ეგ ხუტუქი თმები?“

ნიორთავამ მიმოიხედა ექსკავატორის კაბინაში, დაკრიჭა თავისი თავვისებრი კბილები და თქვა:

„ქალი ხომ არაეინაა აქა? მოლოც/პასუხის დაუცდელად განაგრძო: არ დავიმაღლავ, ბიჭებო, ოღონდ უნდა დავაკეცებში არ გამთქვამთ, საცოფლი/საცოფარი, სახელი გამიტყდება და როგორც მოგესხენებათ, სახელის გატეხას მწარე გოგრის გატეხა სჯობია, როგორც კი ჭალარა გამიჩინდა ამ ჰქვიან თავზე, მივადექი, ისე როგორც ინდაურის დამშეული ჰქუი, მოლეულ მოლს, ვწიწყნ და ვწიწყნ და ხელში შემრჩა ეგ თალ-გამივით გადასვლეპილი თავი“.

თქვა ნიორთავამ, წელში მოიხარა და საზეიმო ნაბიჯით გავიდა კაბინიდან, ისე როგორც ეს ჩვევით ხოლმე პროვინციული თავატრების არტისტებს, როცა ისინი თავის როლს დასრულებულად ჩასთვლიან ხოლმე.

ხელანთ ვანო დაინტერესდა:

„ამ ბედშავ ნიორთავას ათი წელია, რაც ბერმუხაში ვხვდები, უფთის წინაშე, არც კი ვიცი, ვინაა?“

„მაგის ვინაობა არც ერთ მეტრიაში არა სწერია“.

თქვა ლიგროინში ამოთხვრილმა თანამეშვემ და პაპიროსს მოუქიდა.

გოდერძიმ დასძინა:

„ეგ ნიორთავა ამ ოცდაათი წლის წინათ იპოვა წისქვილის კარზე აღრინდელმა მეწისქვილემ ბენომ, რომლის გვარი, მართალი გითხრათ, არც მე და არც სხვა ვინმეს ახსოვს ჩვენს ბერმუხაში.“

მწყემსის გულაში ჩაეგდო ბალღი ვილაძას. ის ბენო თავით უტოლშობილო და უსახლქარო კაცი ყოფილა, ვაპას ცოლს, თუ გაუძლის ბატონს გამოუძეებია იგი მუხრანიდან და ბერულ ცხოვრებას ატარებდა თურმე ამ წისქვილში.

თავათ ბენო, დიდად კეთილშობილი კაცი ყოფილა, როგორც ამბობენ, რეგოლოციონერებს მალავდა ამ წისქვილში.

ბენო უეცრად გარდაიცვალა, თავის მეტეხარულ ტყავაბაში თავჩარგულს აღარც გამოუღვიძნია.

ნიორთავას ჩააბარა ჩვენი წისქვილი კოლმეურნეობამ.

• მას შემდეგ დაყანტალობს მაგ საცოდავი, თევზაობს, ნადირობს და უხეირო შაირებს თხზავს, თავს ირთობს და ჩვენც გვაციუნებს ხანდახან.

ამის მეტს ვერავინ ვერაფერს გეტყვით ჩვენი ნიორთავას ცხოვრების გა-

მო. ერთი რამ ცხადია ჩვენთვის, დიდალ პარტიოსანი კაცია ნიორთავა, უპატრონო კატებისა და ძაღლების შემოკედლება სჩვევია, წისქვილის ნარჩენებით კვებას ხოლმე მათ, ერთ ნამცეცხაც არაფერს გაატანს არავის¹.

გოდერძიმ, ექსკავატორის კაბინიდან გამოიხედა, რაიკომის მდივანი მოსულაო, დასძინა და ძირს ჩამოვიდა.

რაიკომის მდივნის მოსვლამდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი და რაიაგრონომი მელითაური ყოყმანობდნენ, მაგრამ როგორც ბრიგადირები, ისე კომკავშირული ახალგაზრდობა ერთხმად მოითხოვდნენ დიდიდანვე დაეწყათ შეტევა.

თუმცა პროფესორი კორინთელი გაცივებოლიყო წინა დღეებში, იგი თავისერ შეფუთვნილი მაინც მოვიდა ცხრა მუხის ზეგანზე. დიდხანს ეთათბირა რაიკომის მდივანსა და რაიაგრონომს. შინ წასვლას არ აპირებდა. სანამ ციხისთავმა არ დაამალა მანქანიდან გამბრუნებულოყო უკან.

ტრაქტორებიდან ბენზინის ჩამოტანასაც შეუდგნენ, მაგრამ ვიდრე ამ საქმეს მოათავებდნენ მარტმა უეცრად შეიცვალა ზეგ. მაგლეგა ღრუბლები მთებნიდან მიხერგა ქარმა, ცაში უეცარი ლიცილი ატყდა, ცისარტყელა გამოჩნდა ყვიარლის მთებისკენ.

მზემ გამოიქარიტა კალისფერ ღრუბლებიდან, ძაბუნი სითბო გადააფრქვია ზეგანს. ქალებმა რამდენიმე ადგილას მოაგროვეს მთელს ეწერზე ფიჩხი, ბენზინი გადაასხეს ზედ.

ჯერ ბოლომ მოიკცა ზეგანი, ბოლოს რამდენსამე ადგილას აფარდა ალი. ერთობლივი ტკიპლის ატყდა ღიჟინებში, აერების ღირებებს აღმა აჰყვა (ვიჩხლი, სვენებ-სვენებით მიბობლავდა ხანძარი აერებითა და ღიჟით დაბურდულ ზეების წვეროკინებისკენ.

ხიდან ზეზე, ბუჩქიდან ბუჩქზე, კორდიდან კორდზე გადაჰქონდა ქარს მოგონივი ციკლის დაგრაანლილი მარმამები, ათასენიანი კოცონები აფარდნენ ცისკენ.

შეცხადებოლივით აჩხავლდნენ კაქკაქები და ჩხიკვები. ყველაზე ადრე

კურდღლებმა დასტრეეს თავიანთი სამალები, მიშისაგან თავგზა აბნეულნი ფერხითთ უფარდებოდნენ, ზეგანზე თავმოყრილ ხალხს. „აუუუუუუუუუუ არ გაუშვა“ ყვიროდნენ ბიჭები თითქოს გრანდიოზული ჯერგა¹ გაუშართავსო — ვილაცას.

ყურებდაცქვერილი გარბოდნენ მშველები, წყვილ-წყვილად მიგელადნენ უკვე ხეეს გადამელ ლელიანისკენ მუნი და ხარმშველი, თითქოს რბეხის შეჯიბრში გაუწვევიათ ერთმანეთი.

„არ გაუშვა, არ გაუშვა“, ყვიროდა ნადირის ნახვისაგან აღტაცებული ხალხი.

„მელა, მელა“, დაიორიალა მელორე პოპოლამ, ყიყინა დასცეს მელის დანახვაზე ბიჭებმა.

იკუნცოლა, იკუნცოლა მელიამ, ხეეს ვალმა კორდზე დაყუნცდა, გაოცებული გასცქეროდა ხალხსა და ხანძარს.

ახლა მეორე გამოვარდა, მას მესამე უკან მისთავდა. ისენი უთრო დათეთებულნი გარბოდნენ, რადგან ძლიეს გაეწროთ ცეცხლმოდებულ ღიჟინიდან.

ბოლოს მთლად იდილიური ამბავიც მოხდა:

ერთ კუდბუთქა მელას პირში გაჩრილი თავისი ლეკვი მიჰყაროდა, ისე გამაღებულნი გარბოდა ბედშავი, ლანდის უსწრაფესად გადაასწრო თავის თვისტომებს, მასზე ადრე ღიჟინიდან გამოვარდნილთ.

ბიჭებმა თავს დაუარეს და ქეები დაუშინეს.

„ნუ ერჩით, დედაა!“ იკივლა ნუნუ უჯირაულმა.

„დედაა, დედაა“. ყვიროდნენ ქალები.

ხალხი ფეხბათეხ უკან მისდევდა ღიჟინის სიღრმეში შევარდნილ ხანძარს.

ახლა ხოხბებმა ასტეხეს კრიახი და ხორხოცი, ისინი დიდხანს ინამებოდნენ ბარდებში, მაგრამ როგორც ღიჟით შემოგარსულ რომელიმე თელას. ან მურყანს გაჩს შემოერტყამოდა ხანძარი, ხორხოცით დგებოდნენ მამალი ხოხბები და მათი ისედაც ალისთვირ ფრთები, ისე ვარაირებოდნენ ჰაერში, თითქოს ცეცხლი შემოგზნებიათ ნაკრტენზე.

¹ ჯერგა — კოლმეურნი ნადირი.

მეორე დღეს ნაშუაღმრთეებში ძლივს მოათავა თავისი საქმე ცეცხლში, იღვინენ შავოსანებით დათუხრებული, შეტრუსული ხეები, თითქოს მთელს ეჭვს გადაჰკერიოთ ფლასი, ხოლო მიწა, რომლის ზედაპირზე ცეცხლას ქარბორბალამ გადაიჯირითა ფისგადასხმულსა ჰგავდა.

ახლა ამ გადატრუსულ ხეების მოკრას შეუდგა სამი ბრიგადა, ზოგს ხერხი ეჭირა ხელში და ზოგსაც ცული, ქალები წალღობით ექავედნენ აქა იქ დარჩენილ, ნახშირად ქცეულ კატბარდებსა და აერეხის ძირებს, რომელნიც ხეებზე დაკიდული შავ ურჩხულებს მიგავდნენ.

ვაჟაკები ხერხავდნენ მორებს, დათრევდნენ დანახშირებულ ხეებს.

კანკრე უჯირაულს სული კბილით ეჭირა, ხოხბების ხორხოცზე აღტყინებულს. ოგი დილიდანვე გადარუჯულ მურყანებს სტრიდა ცოლით. გაჰრია და ლალბაწა ხერხავდნენ, ეზიდებოდნენ ხეში ჩამომდგარ საბარგო მანქანებზე დასაწყობად.

სანამღე მესამე ბრიგადის ბრიგადირი იონა გრძელმიწილი კორდზე იღგა. სამივენი გულდასმით მუშაობდნენ, მიეფარებოდა ბრიგადირი თვალს, კანკრე გადააგდებდა ცულს, ხან კურღლებს უშენდა ქვეებს, ხანაც ვაქციულ მშველებს წინ გადაუდგებოდა ამოდ. ლალბაწამ და გაგრიამ ერთი კურღლევი ქვით მოჰკლეს. და ბუჩქებში დამალეს.

ნიორთავს მოსწყინდა ახალი ტრაქტორების თვალთრება, ბიჭებს მოვიანხლებო, გაიფიქრა და ძლივს მიაგნო მათ მელის ხეში.

კანკრემ ნიორთავა რა დაინახა, ცული გადააგდო.

„სადა ყოფილხარ, ჯიგარო?“

„სადაც სხვებია ახლაც“.

„ჰო, მაგრამ შენებურად ვერ დათარსე მაგ მექანიზმები, პირშაო?“

„შე ააციო, გეშინ რაგორც ამბობენ, ორი ტრაქტორი გამომიყვანია მწყობრიდან, ყოველდღე მე კი არა, ქრისტე ვერ ახდენდა სასწაულებს“.

„მოდი ახლა ჩვენ აქ მოვაწყობ სხვა სასწაული, ჰა?“

„მაინც რა?“

„წისკელონი ჩაიარე, შენი თოფი გამოიტანე, ჩემიც მანდა გდია სალდაც, წამოიღე, ხომ ხედავ ფრინველები და ნადირი ცეცხლმა გააცოცა, თავი დავუაროთ და დავცხოთ ჩვენებურად ერთი“.

„შენ სიცხე ხომ არა გაქვს, ლამაზო? რაიკომის მდივანი მანდაა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ეგეც არ იყო. ვინ გაგიშვებთ სამუშაოდან ასეთ დროს?“

„ეგ არაფერია, ზემოთენ გადავიდეთ ხე-ხევე და მერმე ჭინკაც ვერ გვიპოვნის, ჯიგარო“.

„შენ რად არ მუშაობ, შე ნავსო?“

„მესძახა ლალბაწანი“.

„ჩემს მაგივრად წყალი მუშაობს, ჰე“. ახლა გაგრიამ წამოჰყო თავი:

„ერთი ჩვენც გვიმოვენე ისეთი მანქანა. ჩვენს მაგივრად რომ იმუშავოს“.

„წისკელოს წყალს გამოგიზავნით, მაგ მურყანებს ჩაუხსით ძირში, ცულიც არ დაგტრდებთ თქვენმა მზემ“.

„წყალი მაგ ხოტორა თავზე გადაისხი, შე მასხარა“.

„შეუტრთხა კანკრემ“.

ნიორთავა შესდგა და ასეთი ლექსით მიმართა თავის არიფებს:

„ჯანს გაგიმაგრებთ ჯაფა, მორების თრევა სახსრებს, რა გაიაკეთო აბა, თუ არ გემასხრეთ მასხრებს“...

როცა ხიობისა და ბუჩქობისაგან ზეგანი გასწმინდის ბრიგადებმა, სამ უბნად დაჰყვეს (ხრა მუხის ზეგანი).

ჯანსაფთოებით დახრამული იყო პირველი უბანი. კორდები და გორმანები უნდა გათავკვეთათ, ხრამები ამოეცხათ როგორმე.

რაიკომის მდივანმა და რაიგრონომმა (როცა ხანს თითობირის თედოსა და გოდერძის თანდასწრებით და დაიწყო მთაბარი შეტევა).

ხელანთ ვანო ავიდა ექსკავატორის კაბინაში და დასძრა თავისი მანქანა. ექსკავატორის ამოძრავებანს ხალხი აღტაცებული აღიყვებდა თვალს.

„ბა შენ იცი, ფრთხილად იარე, ძია ვანო“, მისძახოდნენ ნუნუ უჯირაული და მისი რგოლის ქალები. ექსკავატორმა დინჯად გადაიარა სახიფათო გზები და ბოლოს მიადგა იმ ხრამის კიდეს, რომელსაც მეღის ხეცს უწოდებდნენ ბერძნულები.

პედალზე დაადგა თუ არა ძია ვანომ ფეხი, კისერი მოიღრიალა მანქანამ, გამოჰქონდა ტროსზე მიბმული ჩამჩა, პირი დააბჩინა, გადმოჰყარა თავისი უზარმაზარი ფორადის ეშვები, სვავივით მოჰქორტნა ლორღიანი მიწა, ყბები გაივსო მიწით და ლორღით.

ბერკეტს წაველო ხელაანთ ვანომ თავისი გამჭურული მარჯვენა, შეტრიალდა ექსკავატორის კისერი ხრამისკენ, ისევ დააბჩინა ჩამჩამ თავისი გავსილი ხახა და ატყდა მეღის ხევი ლოდებისა და გორბების რიბინ-რიბინი...



რიპპერის შოფრობა ნიკა უჯირაულს დაეიწრა, რადგან რიპპერისა და ბულდოზერის შოფრები თელავის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში გაიხზო მათმა უფროსმა. მათ შესაკეთებლად თან უნდა წაეყვანათ ნიკა უჯირაულის ძველი ფორდზონი და კოლა სოკოლოვის ასეთივე დანჯღრეული ჩელიბინსკის ტრაქტორი.

როგორც მოყვარული მხედარი გამოეთხოვება თავის საყვარელ ცხენს, ისე დაემშვიდობენ ტრაქტორებს ნიკა და ვანო.

„ნუ ღელავთ, ბიჭებო, ამ ტრაქტორებს უტილში გავაგზავნი. თქვენ ახლებს მოგიყვანთ“, ანუჯეშა ნიკა და კოლა, რიპპერის შოფრმა. იგი ორჯერ განიოზბრუნდა, შეახსენებდა ამ ჟიანანსკელთ რიპპერისა და ბულდოზერის მართვის წესებს.

ნიკა უჯირაული ოდნავ დარცხვინილიყო, რომ მისმა ტრაქტორმა წინა ღლებში ცოტა უმტყუნა. იგი გახარებული ავიდა ამ ახალი ტრაქტორის კაბინაში.

ნიკა უჯირაულის ტრაქტორი წაიყვანა გოდერძიმ იმ ნაკეთისკენ, რომელსაც მამუკას უბანს უწოდებდა ხალხი.

დანამდვილებით არაეინ იცოდა, თუ ვინ იყო ეს „მამუკა“ არც ის ანსოვდა

ვისმეს, თუ ვის უცხოვრია აქ, მხოლოდ პაპა მიქელას და აბრია უჯირაულის გადმოცემით გაუგონიათ, რომ მამუკას უბნიდას აუყრია ხალხი შაჰაბახს და სპარსეთში გადაესახლებია.

სწორედ ამ უბანში იყო მრავალი ნანგრევი სამლოცველოებისა, ნასაყდრალეები, ნაფუძარები და ნაპარტახალეები, ამავე უბანში მრავლობდნენ მუხის, კაკლის, თელის ნაფესვარები, ხოლო ავრები, ველური ვაზი, ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა გამეღულს.

ნიკა უჯირაული და მისი ახალი ტრაქტორი მიადგნენ მამუკას უბანს, ნიკას დაღმართში უკუსვლით ჩაჰყავდა ტრაქტორი, კოლმეურნიები გაფაციცებით თვლს ადევნებდნენ ამ ამბავს. უჯირაულთა ქალ-რძალნი შიშისაგან ცახცახებდნენ: მუხლუხები არ დაეუბრდნენ და უფსკრულში არ გადაეშვესო ტრაქტორიანად ნიკა. თავათ ნიკა დინჯად იჯდა თავის ადგილას, კისერმოლრეჯილი გასცქეროდა ხევისკენ დაქანებულ გზას.

გადალაპყენდნენ მუხლუხები რომელიმე დაბრკოლებას, ძირს დაეშვიბოდნენ ტრაქტორი და მასზე მობმული „კიბოს დარი“ მოწყობილობა, რომელსაც რიპპერს ეძახდნენ, შეძაგდაგდებოდა ტრაქტორი და შეიქმნებოდა ქალების ვიშკიში, ბოლოს შებრუნდა თავის საჯღომზე ნიკა, აღმართს ახედა და წინ გააქანა თავისი მანქანა, რიპპერმა დაუშვა ლიკურბსავით დადრეკილი საჭრეთელები, მძლავრად ჩაარკო მიწაში, სულ რამდენიმე შიტიცი არა ჰქონდა გაეღილი ტრაქტორს, ქეები და ხის ნაფესვარები ამოჰყარა მიწიდან.

„ვაშა, ვაშა“, იძახოდნენ ქალები და ღროული კაცებიც, რომოლნიც აქამოის იზინეულად უცქეროდნენ ამ საქმეს, შიშობდნენ კიდევაც ეს უბედური ტრაქტორისტები არ გადაიჩენონო ტრაქტორიანად ხეში.

ნერკებდაძაბული იჯდა ნიკა უნაგირისღებ სკამზე, აღიოთა აღმართში, ლაღრავდა ლორღიან მიწას, აკორიანლებდა უზარმაზარ ლოდებს, აფორიანქებდა მუხების, თელების, წიფლების ნათესვარებს და ერთი საათის შემდეგ, აგრე ეგონებოდა მაკჭერალს, ღვევებს უქირავნიათო მამუკას უბანში.

იორჩხოლის ძეობივით გამუროლი ნათესვარები ეყარნენ ირგოლივ. სწორედ ამ მამუკას უბანში რიპპერის ეშ-

ვებმა მიწიდან ამოჰყარეს ქვევრების ნამუსრევეები, ნაბუხრალები ხელწისქვილები და ბოლოს რიპპერი ქართული დედაბოძის ნაშხერევეებს წააწყდა.

რაიაგრონომი მეღობავი მივიდა იმ ადგილას და დაადგინა სახლი საკმაოდ ვრცელ ფართობზე მდგარა, შუაგულში შუაგულის გარუჯული ფიქალები იპოვნეს.

„მამუკას ნასახლარია?“

ამბობდნენ საფეთქელ შექალაქებულ კოლმეურნეები.

ამ ადგილის მოშორებით სამლოცველოს ბალავერი აღმოჩნდა, მცირე მოცულობის თავკიდურები და გათლილი ქვები, რომელზედაც გამოსახული იყო ეახის მტევნები და ვაცის თავები, რქებზე ჯაგნები ჰქონდათ დაკიდული ამ ვაცებს.

შემდეგსა და შემდეგ რეისზე, ნიკა უჯირაულის რიპპერი წამდაუწუმ აწყდებოდა პატარ-პატარა სახლების ბალავერებს, ისევ და ისევ ხელწისქვილებს, ქვის როდინებს, სპილენძის ისრებსა და დაქანგულ ხმლებს, ვერცხლის ბალთებიან ქამრებსა და დაშნებს.

მერმე დაიწყო წარწერაგადაშლილი ლოდები ბავშვების საფლავებიდან გადაცლილი, ქვის ჭურები, ლახვის წვერები და ცხენსაჯახის სამკაულები, რომელთაც სამკერდეებსა და საფეხზე უკეთებდნენ ცხენებს.

ისევ ჭურების ნამუსრევეები გამოჩნდნენ, ხელწისქვილების გელაზები და ბოლოს რიპპერის საჭრეთელი, გადააწყდა ქვის საწნეხელს, რომელშიაც სამი ვაქაცი თამადა გაიმართებოდა.

მზიარული ჭრამულით ამოიღეს იგი მიწიდან და „მამუკას საწნეხელი“ დაერქვა იმ დღესვე მას.

• •

როცა კოლა სოკოლოვი ავიდა ბულდოზერზე გოგო ბიჭებმა შესძახეს:

„აბა, შენ იცი, პუშკინი“.

როგორც ჩვენ მკითხველს კარგად მოეხსენება ბერძენში თითქმის ყოველ მხორე ვაცს შერქმეულ სახელს ეძახდნენ.

ტანმორჩილი კოლა სოკოლოვი მართლაც წააგავდა თავისი ხუჭუჭა თმით პუშკინს, თავდაპირველად ეუცხოვა ძას ასეთი სახელი, მერმე შეეჩვია და ბო-

ლოს თავი მოსწონდა კიდევაც, რომ მას ასეთი დიდი პატივი ერგო, რუსეთის უდიდესი პოეტის სახელი რომ შეაბრქვეს ახალგაზრდებმა. ნიკა და გოდერძი თავდაპირველად უჩვევდნენ: თუ არ გინდა პუშკინი დაგიძახონ, თავი გადაიპარსო. კოლამ უღვაშებში ჩაიციხა და გაჩუმდა. არამც თუ არ გადააკრეჭინა თმები, უფრო მოუშვა ხუჭუჭა ქოჩორი და ქილვაშები დაიყენა ისეთი, როგორც პუშკინს ჰქონდა.

სოკოლოვი თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლში გაიზარდა. საბჭოთა არმიასი გამოიჭედა მისი ხასიათის საუკეთესო თვისებები: შემსრულებლობა, თავდაბლობა და სიბეჯითე, ამიტომაც უყვარდათ კოლა სოკოლოვი ბერძენელებს.

ღელავდა საერთოდ გულდინჯი კოლა სოკოლოვიც, მასაც სირცხვილი აჰმა წინაღობებში მისმა დანჯღრეულმა ტრაქტორმა, საქართველოში დაბადებულს მშობლიურ ენასავით ემარჯებოდა ქართული, ასე რომ მან კარგად იცოდა, რომ ზოგიერთ აყვია ბებერმა ბერძენელთა შორის გაგზარდებოდა კიდევ აქაც დამარცხებულ იყვნენ ტრაქტორები, და საერთოდ ცხრა მუხის ზეგანის ზვრად ქცევა შეუძლებელი გამხდარიყო.

კოლამ ბერკეტებს წაავლო ხელი, სწრაფად დასძრა ეს უზარმაზარი მანქანა და მიადგა პირველ ორნატს, ხელაანთ ვანოს მიერ გაველებულს.

„პუშკინი“ დაღმართში ჩავიდა და მერმე უკუსვლით შეუდგა აღმართს, თანაც ჩამოუშვა თავისი ტრაქტორის ბოლოკიდეში მიმაგრებული ვეებერთელა დანა.

მიმოდიოდა ბულდოზერი, ჩეხავდა რიპპერის მიერ დახერგილ უზარმაზარ გორბებს, დადიოდა ნიკა უჯირაულის მიერ განვიღლ მანძილებზე და ასწორებდა მამუკას უბნის ოღრო-ჩოღრო ნიადაგზე...

„ვაშა, პუშკინი! მისძახოდნენ გოგობიჭები სოკოლოვს....“

• •

სალამო ხანს, როცა გოდერძი ელანძე, ნუნუ უჯირაული, კოლა სოკოლოვი და ნიკა უჯირაული შინისაკენ მიდიოდნენ, მათ შენიშნეს: მწყემსურ

ტყავებაში შეფუთვნილი დეკაცი თავ-
შიშველა იდგა ცხრა მუხის ზეგანზე
მარტოკა.

გოდერძი ახლოს მივიდა ლანდთან.
სახეში ჩახედა თუ არა, აბრია უჯირა-
ული შეიცნო.

„ზომ ზედავ, ძია აბრიავ, თუ რა ეშ-
მაკები ყოფილან, ჩვენი მექანიზმები?“

„ჯერ ქადილი ნაადრევი, ბიჭავ, მუ-

ხის ფესვებს ზოერიეთ, მაგრამ თქვენ
ის ნახეთ, რა დღე გაყაროთ ღრუჭი“.

„ფიქრი არ არის, მასაც მოყვებით
როგორმე, ძია აბრიავ“.

მიადახა კოლა სოკოლოვმა.

დიდხანს იდგა მამუკას უბანში მარ-
ტოხელა ლანდი და სოფლისაკენ მი-
შავალ ახალგაზრდების სიმღერას გუ-
ლამრეზილი უგდებდა ყურს.

(ვაგრძელება იქნება)

გაბია უორსნიძე

ს ა მ ი ლ ე ქ ს ი

★

მშვიდობის აღმოსავლეთი

მე ვნახე ქართლის მშვენება სრული,
გაბრწყინებული ქედები ცაში, —
გორი მსოფლიოს მფეთქავი გული
ჩასმული მწვანე ჭადრების ყდაში...

მე ვნახე გორის ციხე-დარბაზნი,
ჩვენი წარსულის დიდების წიგნი...
და ჩახატული მტკვარში ლამაზი —
ცა, — მოშრიალე ალევების რიგით...

მე ვნახე ჩემი დიდი მამულის
ღონის ველები და ლურჯი ვოლგა.
მიწა — რომელიც ზრდის დადაფნული
ლენინისა და სტალინის ზოდგმას...

მე ვნახე ქვეყნის მშვენება სრული,
აღზევებული დიდებით ცაში, —
კრემლი მსოფლიოს მფეთქავი გული
ჩასმული მწვანე ნაძვების ყდაში...

გავსცქერი მოსკოვს, მზე ბრწყინავს ირგვლედ,
ნამუებქვეშ მიწას ცვარნამი ნამავს...
მე ვნახე კრემლის კოშკების რიგი,
და ვამბობ, ვნახე მთელი ქვეყანა!

ვნახე ნაძვებზე სხივების ფრქვევა,
მზე აიღერილი კრემლის თავანზე...
ქუჩებში დიდი სიცოცხლის თუთქვა,
და რუსი ხალხის ცის სილამაზე!

აქ ზეცა წამით არ იბინდება,
ირგვლივ აკმაკაშებს მიწა მწვანეთი...
აქ არის მშრომელ ხალხის დიდება,
აქ არის ხალხის აღმოსავლეთი.

აქ იჭედება აზრი ნათელი,
და ეთინება ხაოხებს დიდებით.
აი, აქ არის აღმოსავლეთი —
ქვეყნად მშვიდობის ამობრწყინების...



ქართული
ენების
აქადემია

აი, აქ არის მშვენება სრული,
აღზევებული დიდებით ცაში, —
კრემლი მსოფლიოს მღვთქავი გული
ჩასმული მწვანე ნაძვების ყდაში...

და იგი მუდამ მე თვალწინ მიდგას, —
კრემლი გორიდან არ არის შორი!
შტკვარს ესმის ვოლგის ტალღების გრვეინვა,
და კრემლს ქართლიდან გასცქერის გორი.

გორის მიწაზე



გორის მიწაზე ქვაც კი მღერის, რად მიკვირს, ხენა
შეშრიალებდნენ მზეს მზეკაცის მარად დიდებას!..
გორის მიწაზე უკვდავების ნერგი იზრდება. —
დედამიწაზე სიცოცხლის და სინათლის მფენი...

გორის მიწაზე დაიბადა კაცი — მზის სწორი,
იგი ქმნის ხალხთა საოცნებო მშვიდობის კერას.
ესმის მსოფლიოს მშრომელ ხალხის მას გულის ძვერა,
და დედამიწას გზას უნათებს კრემლი და გორი!..

გორის მიწაზე კომუნისმის ნერგი იზრდება,
და ნერგის ირგვლივ მზის სხივები გროვდება
ორთოლვით...

გორის მიწაზე სიბრძნე იშვა მსოფლიოს ტოლი,
გორის მიწაზე სინათლე დგას და არ ბინდდება!

გორის მიწაზე ქვაც კი მღერის, რად მიკვირს, ხენი
შეშრიალებდნენ მზის მზეკაცის მარად დიდებას!..
გორის მიწაზე, სამშვიდობო ნერგიც იზრდება, —
დედამიწაზე სიცოცხლის და სინათლის მფენი!..

აკაკლის ხეები გორის ბაღში



გახეივ: ირგვლივ ტბილსასორვილი, —
გორში რატიგად მყავის ბაღნარი!
ისუნთქე ნედლი მიწის სურნელი,
და კვლავ ადიდე აწმყო დამტკბარი!..



ცა, — ცისარტყელას მოზრილი მშვილდით
თითქოს დაეყრდნო ბალში ლატანზე,
და ატმის ხეებს ნიავეი მშვიდი
ვაზის ლერწვივით ეხვევა ტანზე.

და მე შრიალა კაკლის ხეები
მესიტყვებიან ფოთლების ენით:
— შეხედე, თხენით ზეცას ვეხებით,
ცას უტოლდება სიმაღლე ჩვენი!

— ცას უტოლდება სიმაღლე ჩვენი, —
მეც ვიმეორებ...

და მზეს კაკლები
შეშრიალებენ ბალნარში მშვენი
მოლზე ჩრდილების აყანკალებით...

დაჰჭრის ვაზის და ატმის სურნელი
და ბაღა რეკავს დილის საარით:
იდიდოს, ძმებო, ტბილსასურელი —
აწმყო, ბელადის სიბრძნით დამტკბარი!

თაიფარაზ ჯანგულაშვილი

დღეგრძელ იყავი!



დაეკარ წერაქვი ნაოშარ ხელით,
უფრო აჩქროლდა სისხლი მღელვარი,
გავხდი ქვისმთლელი, ჩუქურთმის მკრელო
და საძირკველი შევეკარ დულაბით.
ო, განუცდელი სიმაღლე ვიგრძენ,
დღესაც იმ წუთებს ვეხმატკბილება —
ხარაზოები ავზიდე ცისკენ
მზესთან საფიცრად ხელგაწედილები.
თაეგამეტება მარჯვენას ვუქე —
როდი დალილა მახვილის ცემით...
კრემლის კოშკების გადმოდგა შუქი
და დამილოცა კედლები ჩემი.
და, როს გვირგვინად დაადგა კედელს
ამ უბრწყინვალეს დღეთა ნათელი,
მე ფოლადივით ვაწრთე და ვქედე,
ჩემი მართალი გულის სათქმელი.

— ო, დღეგრძელ იყავ!

— ო, მზეგრძელ იყავ!

ნურც გაგიცივდეს ალალი კერა.

მე ქვეყნად ყველა სახლები მიყვარს,
შენც, ჩემო სახლო, უყვარდე ყველას!

მიხეილ სანიქიძე



შეხვედრა ბორში



აი, ჩვენ ვდგავართ ბელადის სახლთან,
 ერთად მოვსულვართ სხვადასხვა ახრიდან,
 ავმალღებულვართ მყინვარზე მადლა,
 არწივებივით გაფრენა გვინდა.
 ყოველი წუთი ხალისით გვაჯესებს,
 ამ პატარა სახლს ვესაუბრებით,
 რომელ სასახლეს შეეძლო ასე
 ვაეფთხო ჩვენი ძმური გულები.
 არ გრძნობ პეკინის სიშორეს ახლა,
 აქაც ხომ შენი სამშობლო არის,
 რადგან ბელადის მზიურმა სახლმა
 შასპინძელივით გაგიღო კარი.
 შენ ჩინელი ხარ, მე კი, — ქართველი,
 ჩვენ ხომ სხვა გზები გაგვანდა წიხათ,
 დღეს გულს გვილაღებს ერთი ნათელი,
 გვახარებს მისი საქვეყნოდ ბრწყინვა.
 მის სახელს ჰფიცავს ქვეყნიერება,
 ჩვენც აქ ერთმანეთს აი, რად ვხვდებით:
 აქ იშვა ხალხის ბედნიერება,
 აქ გაზაფხულმა გაშალა ფრთები.
 და როს იქუხებს ჩაგრულთა ტალღა,
 როცა ჩაკედება ზღვის გაღმაც ბნელი,
 ჩვენსავეთ სოც და ამ სახლს ნახავს
 თავისუფალი ამერიკელი.

მალა გაველაგვილი

მშვიდობის პირგომ, სამგორო!



დაბერებულს უდაბნოვ, სიკვდილის პირზე მისულო,
 მზით დაშაშრულს სამგორო, — ნაცრისფრად გადანისლულს,
 ჩანთქმულს მღუმარებაში საუკუნოვან ძილითა, —
 ვინ გააღვიძა ძთილომარე ამ შემოდგომის დილითა?...
 არც ხმალთა ჩახახუხია, არც ვაელღება ხმლებისა,
 არ ისმის ომის დაფდაფი ბრძოლების განახლებისა.
 არც გორგასალი ბუბუნებს სისხლით შეღებილ ლურჯაზე,
 სულ სხვა გუგუნი ახარებს, სამგორო, ახალ უჯარმელს.

ბელადს შეჰფიცეს გმირებმა:—ზურმუხტის ბალად გაგზადონ,
 ზღვა ჩაგიგუბონ გულმკერდში, — პურის ყანებით დაგზატონ.
 სიკოცხლის ნერგი ახარონ შენს დაღუპებულ გორებში,
 მშემ ჩაიხედოს ლამაზმა შენი ზვირთების მორევში.
 გადაგისერეთ, სამგორო, მკვდარი და მყუდრო სერები,
 დაგუგუნებენ ეპოქის ფოლადის ბულდოზერები.
 შენი ყამირი გავტეხეთ მკვირივი და გაუტეხელი,
 რომ გერქვას ამიერიდან პურის ახალი ბელელი.
 დიდი სტალინის შვილებმა შენს ვრცელ უდაბნოს აჯობეს,
 დე, ყოველ დილით შენს ზღვასთან ირძობის უოჯი დაჯოგდეს.
 ხალხის ზეიმის ყიფინში, ხალხის ზეიმის გრგვენვაში,
 ივრის ტალღები აჩქედდა დულაბით ნაშენ გვირაბში.
 მალე გვეხილოს შენს ბაღში ატყევი ფერად-ფერად,
 ქებას უთელიდეს შენს გმირებს, სამგორო, დიდი ბელადი.
 მალე გვეხილოს ნერგები უხვი ნაყოფის მომცემი,
 მალე შეხილოს ლამაზი წითელ ვაშლებს ბორცვები.
 აი. — გეწვიეთ, სამგორო! — მშვიდობის პირმშოვ, ახლო;
 დღეს საბაღნარო მამულო — წარსულში ნაპარტახალო.
 ჩამოგიქროლეთ, რომ თვალით დიად ზეიმზე გვენახე, —
 ბრწყინვალე დილა გათენდა სამგორის ახალ მიწაზე,
 მშვიდობის დროშა გვახარებს, მშვიდობის დროშა ვიწამეთ.
 მშვიდობის დიდმა მედროშემ იბედნიეროს მარადის,
 მან მიგვიყვანა სანატრელ დიდ კომუნისმის კარამდის.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ბერლინი ვნახე ისევ!

ახალგაზრდობის ფესტივალის მონაწილეებს.



ცა ქათქათებდა ლურჯად,
 წარბი გამეხსნა მყისვე,
 ვნახე ბერლინის ქუჩა,
 ბერლინი ვნახე ისევ.

აგერ ის მოსახვევი,
 ვუყურებ ნაცნობ ქუჩებს.
 მახსოვს — ვანიერ მხრებით
 შაშხანას ჩავებლუჯე.

სტალინის ნაწრთობ მხედარს
 წინ ვერ დამიღვას ვერვინ,
 გაჩირალდნებულს ვხედავ
 ბნელში გაცნობილ ბერლინს.

ეს დაღეწილი სახლი
 როდის აშენდა ნეტავ?

ქუჩებს ყუმბარით დათხრილს
 მოასფალტებულს ვხედავ.

და გამახსენდა ახლად
 გზები, სისხლი და გზები,
 სტალინის სახე გვაქლდა
 აქ ჩამოსულებს გზნებით.

დღეს კი აქ შევხედი ბელადს, —
 როგორც გაშლილი დროშა,
 ყველა სართულზე ელავს,
 ყველა ქუჩაში მოჩანს.

მეც ჩამოვსულვარ მოყვრად,
 მხოლოდ მშვიდობა მინდა,
 მოველ,
 მშვიდობა მომყვა.
 ჩემი ფიქრივით წმინდა.

ახლაც ვერ შემიტყვია,
 გაგიგონიათ სადმე?
 წინათ მესროდნენ ტყვიას,
 ახლა მესვრიან ვარდებს!

ერთია რწმენა ჩვენი;
 არ გესურს, ომი და სისხლი
 გაუტეხელნი ვრჩებით,
 როგორც სტალინის ფიცი!

გიორგი გიგაუაძე

ორი ლექსი

პატარა სახლო

★

ქ. ბათუმში პუშკინის ქუჩაზე № 19-ში მდებარე სახლს გაკეთებული აქვს ასეთი მემორიალური დაფა: „1901 წლის ნოემბრის ბოლოდან 1902 წ. თანგრის ბოლომდე აქ ცხოვრობდა დიდი სტალინი“.

შენ მოწამე ხარ მქუხარე დღეთა,
 მისი სტუმრობით როცა ლელავდი,
 ვისგანაც ქვეყნად ძეგლივით დგებარ,
 ვისგანაც გამკობს შუქი ფერადი.
 ლელავდი, რადგან მტერთა დაცემის
 შიშით დღე-ღამე გერტყა ნისლეზად,
 უთვალთვალეზდა სტალინს გამცემი
 წარბს არ იხრიდა ხალხის დიდება.
 რეჟოლუციის აწყობდა გეგმას,
 რომ გამზდარიყო მძლევი წყვედიადის,
 გარეთ ღმულოდა იანერის დეღამა,
 შინს ჰერქვეშ ენთო მზის განთიადი...
 პატარა სახლო, ინახე წმინდად
 წარსულის სსოენას, დღეებს მქუხარეს,
 მათთან შეხვიდრა ო. როგორ გინდა,
 ვინც გაგაბრწყინა ქოხი მწუხარე.
 ადრე თუ მისი მოსკლით ლელავდი,
 დღეს რომ არ მოდის, იმიტომ ლელავ,
 ოცნებად გექცა ნახეა ბელადის,
 შენმა კედლებმა აიდგეს ენა.
 სანატრელ სტუმარს ლოცავი შორიდან,
 ბათუმ-ქალაქის დიდი მშვენება,
 სხივი კრემლისა. სხივი გორისა
 თავზე გადგია ცისარტყელებად.



საქართველოს
წიგნიერების
და ბიბლიოთეკების
დაცვის კომიტეტი

ფიქრები ბელადზე

★

ჭიათურაში შეედივარ მღერით,
აყვავებული მხარე მიტაცებს,
რამ დამაფიქროს, გალობენ ხენიც
აქოჩრილები ქართულ მიწაზე.

მაგრამ ო, არა, ფიქრი მაქვს ბევრი,
ფიქრი წარსულის დღეებს შავონებს,
აქ ჯულაშვილმა ასწია ხელი,
ქეც ალსაგა მისი სიტყვის გამგონე.

მტარვალს ამოსდო გმირმა ლაგამი,
მზით გაანათა შაჟი ქალაქი.
დღეს მისით ბრწყინავს ტურთა ბაღნარი
და სჩქეტს მადანი უხვი ბარაქით...

ღრმა სიხარულის გულში მთოველი
ბელადზე ფიქრი შორს გამოიტაცებს,
მან დასცა მტერი სისხლისმწოელი
და დარგო ვარდი შიშველ მიწაზე.



პირისპირ

რომანი *



კორნელი დაჯდა და დედას, იონას, მაროს, მიტო ჩიკვაიძეს და გიგა ხუციშვილს ზედით მისწერა ბარათები. მერმე პალტო ჩაიცვა და ფოსტისაკენ გაეშურა. ნაძვით და ფიჭვით დაბურულ მთებს შორის მარბენალი პატარა მდინარეს მარჯვენა და მარცხენა ნაპირას მალალი ალვის ხის ხეივანი და ქუჩა მიჰყვებოდა. ალვის ხის ფოთლებს სიყვითლე შეჰპარვოდა.

მთები ნისლში გახვეულიყვნენ, ოდნავ წვიმდა და ციოდა. წელს ადრე აცივდა. ავგისტოს ოცს ზეკარზე, ცხრაწყაროზე და სხვა უღელტეხილზე წამოთოვა კიდეც და ცხვარი იალაღებიდან ბარისაკენ დაეშვა. მოაგარაკებმაც ბარგი შეჰკრეს და ნელინელ იწყეს წასვლა. აბასთუმანი შესამჩნევად დაცარიელდა.

ფოსტა ეზოში გაშენებულ პატარა სახლში იყო მოთავსებული. ფოსტა და აფთიაქი, წვიმიან დღეებში, ერთადერთ გასართობ ადგილად ითვლებოდა აბასთუმნის მოაგარაკებისა და ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის. ფოსტაში ფულის, წერილებისა და ეურნალ-გაზეთების მცაღებდა მიდიოდა ხალხი და აქ უმთავრესად პოლიტიკის მოყვარულნი იკრიბებოდნენ, ხოლო აფთიაქში წამლის შესაკვეთად და მისაღებად მოსულნი, ქლექიანების პატრონები, ავღღმყოფები და ქორიკანები სჭარბობდნენ, რომელთა საუბრის საგანი იყო; გუშინ და დღეს თუ რომელი ქლექიანი გარდაიცვალა, რომელი აპირებდა ამ დღეებში გარდაცვალებას და რომელი ექიმში სჯობდა ყველას. ურწმუნონი, ყველას და ყველაფრის გამკვირავნიც კი ვერ ბედავდნენ მოხუცი ექიმის გოპადის ძაგებას.

კორნელის ხშირად ხელებოდა აბასთუმანში საექიმოდ ჩამოსული სკოლის ამხანაგი ლევან ქორიძე.

ეს ის ქორიძე იყო, რომელიც სემინარიაში მოწაფეობის დროს გრიგოლ ცაგურიშვილის, კორნელის, ვანო მახათაძის, ბიძინა შარაბიძის და პეტრე ცხომელიძის მიერ შედგენილ წრეში დაიარსებოდა და გრიგოლ ცაგურიშვილს 1915 წელს ბიბლია ათხოვა და ებრაელთა ცხოვრებიდან პატარა პოემა „გალათიდე“ დააწერინა. მერმე იგი მენშევიკურ პარტიაში შევიდა, მენშევიკურ გვარდიაში პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა, მან გვარდიაში სამუშაოდ იმ დროინდელი ბევრი პოეტი და მწერალი მიიწვია, მათ შორის პოეტი იორამ შინაშვილიც, მაგრამ ლევანს ამ საქმეში კორნელი მხეიძე არ გამოადგა და ამიტომ ყოველ შეხვედრისას ეკამათებოდა, ჰკილაოდა და „ბოლშევიკს“ უწოდებდა. იგი გამხდარი, აგზნებული, დემოკრატიული იდეებით გატაცებული, გულუბრყვილო და მენშევიკების ლიდერების მიერ მოტყუებული სტუდენტი, იყო. მენშევიკების ლიდერებით მოჯაოოება თანდათან ნელდებოდა ახლოვარდა კაცმა, მას ნელინელ ეხილებოდა თალი და ბოლოს სალოცავ ხატად მხოლოდ ქორდანია შერჩა ხელში.

ქორდანია, მას შემდეგ რაც ვაევი გარდაეცვალა, დიდად დამწუხრებული იყო. იგი ერთბაშად მოხუცდა, დასუსტდა და ექიმების რჩევით, დასასვენებლად აბასთუმანში ჩავიდა ოჯახითურთ. იგი დიდმთავრის გიორგი რომანოვის ყოფილ სასახლეში ცხოვრობდა. ამავე სასახლეში ცხოვრობდნენ აგრეთვე რამიშვილი და მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებიც. ქორდანისათვის თვისი მზარეული და ეტლი ჩამოიყვანა და პირადი მცველი. — ერთი ახოვანი და ძალოსანი ჭირა ჭაბუკი, ყოფილი პარიკმახერი მუდამ თან ახლდა.

როდესაც კორნელი ფოსტის ეზოში შევიდა, მან ხალხით სავსე აივანზე უქა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11

მრო მაზარაში გამოწყობილ, კეპიან და გრძელ წვერ-ულვაშიან შუახნის მაღალ კაცთან მოსაუბრე ლევან ჭორიძეს მოჰქრა თვალი. ლევანს გვარდიელების ბუშაღი ეცვა და რუსული ქუდი ეხურა. კორნელი ნელა ავიდა კიბეზე. ლევანმა გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და წვერიანი კაცი გააცნო.

— იცნობდე, ივანე ალექსანდრეს ძე ვერბიცი.

კორნელიმ მოლიმარ თვალბიან, გრძელ წვერიან, ახოვან, გამხდარ და ფერმკრთალ კაცს ვერბიციის შეხედა და ხელი ჩამოართვა. იგი რუს ხალხის ნების ტიპურ წარმომადგენელს მიამსგავსა კორნელიმ. ლევანმა ჩართულად უთხრა.

— უბრალო კაცი არ გეგონოს. ეს მეტად მკოდნე, ვანათლებული და საინტერესო პიროვნებაა. ცნობილი სოციალ-დემოკრატი, საეჭიზოდ ჩამოვიდა აბასთუმანში. ჟორდანიას მოსწონს. დაუმეგობრდა, ისინი თითქმის ყოველდღე ერთად არიან...

ვერბიციმ გაზეთების დატა დაკეცა, მაზარის ჯიბეში ჩაიღო და ბოხი და გულითადი ხმით მიჰმარტა კორნელის.

— მე ლევანისაგან ვაფიგონე, რომ თქვენ მწერალი ყოფილხართ. ძლიერ მსიამოვნებს თქვენი გაცნობა.

— აგრეთვე მეც. — მიუგო კორნელიმ, და ისევ შეხედა.

ვერბიციის გრძელი წვერი წელამდე სწვდებოდა. ხშირ და გათანულ წარბების ქვეშ მეტად ჰკვიანი თათლისფერი, შუქიანი, ყველაფრის ამწონი და გულში ჩამწადენი თვალები იცქირებოდნენ. კორნელი გაოცდა და მაშინვე მიხვდა ვერბიცი, მართლაც უბრალო კაცი რომ არ იყო. ლევანმა მხარზე დაადო ხელი კორნელის და, როგორც პოლიტიკაში დაბნეულ და შედარებით უმეცარ და მიამიტ უმცროს ამხანაგს, ისე უთხრა:

— შენ კარგი მხატვარი ხარ, მაგრამ პოლიტიკაში გითხრა სიმართლე, ჯერ ვერ ირკვევი და ყაბო გხაზე დგებარ. განა შეიძლება ჩვენს ქვეყანაში კაცმა ვერაფერი კარგი ვერ დაინახოს? განა ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ ვაშენებთ?

— დემოკრატიულს დერეტი, სიკრეტად კი... — გესლიანად შენიშნა კორნელიმ.

— როგორს?

— ბურჟუაზიულს და რეაქციულს.

— მაშ, რად არ გადასახლდები საბჭოთა რუსეთის სამოთხეში? — ჰკითხა აღელვებულმა ლევანმა.

— რუსეთში ძველი რაც იყო, ძირბუღინად დაინგრა და ახლა იქ ახალი საბჭოთა სახელმწიფო შენდება. იქ შეიძლება ამჟამად ბევრი ნაკლი იყოს... მაგრამ, — შენიშნა ვერბიციმ, ლევანმა არ აცალა აზრის დამთავრება:

— რა მაგრამ, ივანე ალექსანდრეს ძეც, რას ამბობთ?

— კაპიტალისტური და იმპერიალისტური ქვეყნების ციხე-სიმაგრის წარევა პირველად რუსეთიდან დაიწყო...

— ძველის დაწვრთვა ადვილი საქმეა, მაგრამ ახლის აშენება კი ვაცილებით ძნელი... წაიკითხეთ მთელი ქვეყნის გაზეთები, რა უბედურება ტრიალებს ახლა რუსეთში: ეკონომიური განანაგება, სიღატაკე, სიტიტველი, შიმშილი და ქირი...

— მთელი ქვეყნის გაზეთები მე რად მინდა. — მიუგო ვერბიციმ და მაზარაში ჩაწყობილ გაზეთებს ხელი მოაგელო, — ნუთუ თქვენ მართლა ვაჯრათ, რასაც კაპიტალისტური პრესა საბჭოთა რუსეთის შესახებ სწერს?.. ეკონომიური კრიზისი, შიმშილი და გაჭირვება განა თქვენ სახელმწიფოში არ არის? მაშ რად არის შეშფოთებული თქვენი პრეზიდენტი ნოე ნიკოლოზისძე თავისი ქვეყნის ეკონომიური სიძნელებების გამო? იგი სწორედ ამ საკითხს შესახებ მესაუბრებოდა მე გუშინ...

ჟორდანიას ხსენებაზე ლევან ქორიძემ თავი ჩაჰკიდა.

ლევანი მარტო სამკურნალოდ როდი იყო ჩამოსული აბასთუმანში, არამედ ჟორდანიასთან შესახედრად და მთელ რიგ საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად და სათათბიროდ. იგი მენშევიკური მთავრობის, მისი გვარდიის და სავანებო რაზმის იმდენ უსამართლობის, უმსგავსობის და სისასტიკის მოწმე შიქნა, მან მუშათა კლასისათვის შექმნილი ისეთი ჯოჯოხეთური პირობები იხილა, რომ ბევრ რამეში აღარ ეთანხმებოდა უკვე პარტიას, მაგრამ ხმაშალა ამის გაცხადობას მაინც ერთობოთა.

ვერბიცი ჟორდანიას და ყველას წინაშე იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხალხი საბჭოთა რუსეთთან კავშირში ბედნიერებას ჰპოებს, ხოლო ანტან-

ტასთან მიკედლებით კი კოლონიად იქცევა და დაილუპებო. იგი ისეთი არგუმენტაციით, რწმენით და გატაცებით იცავდა ამ აზრს, რომ არავის ექვი არ

ეპარებოდა ქართველი ხალხისადმი მის სიყვარულში. ვერბიცი ზმირალ ზედებოდა ჟორდანის დასენატიორს გიორგი დაღვაძეს მეგობრობდა...

ისამ ბაბასთუმანში

„უკვე შორს არ არის ის წუთი, როდესაც წოდებულნი საქართველოს ვგზარტოსთან ერთად იმ ლეზული გახდება იმღეროს: „ბაბილონის მღინარეებზე“
კი რ ვი, „წერილები“

I.

ჟორდანია ახალი ჩასული იყო აბასთუმანში, როდესაც წითელმა არმიამ ანტანტის მიერ დაქირაებული პოლონეთის სახელმწიფოს ფაქტიური მმართველის პილსუდსკის ფარების შემუსვრა დაიწყო. წითელი არმიის ნაწილები მალე ლევივის მისასვლელებთან აღმოჩნდნენ...

თმს ისეთი პირი უჩანდა, რომ იგი უთუოდ პოლონელ პანების ჯარების სრული დამარცხებით უნდა დამთავრებულყო. მაგრამ შეშფოთებულმა ანტანტამ პილსუდსკის პოლონეთის გადარჩენა სცადა. ამ მიზნით ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა საბჭოთა რუსეთს წინადადება მისცა. პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. კერზონის წინადადებას და საბჭოთა ქვეყნის საგარეო საქმეთა კომისიის პასუხმა ჟორდანიაზე და მის მთავრობის წევრებზე მოკლოდნელი, დამარცხებელი და თანაც პირდაპირ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩანს საბჭოთა რუსეთი დიდ რაჯორ ძალას წარმოადგენს, რაკი მან პოლონეთის ხარები დაამარცხა და მას ასეთ ანგარიშს უწევს ანტანტა და ინგლისის ყველაზე უფრო მემარჯვენე კონსერვატორების ლიბერლი, საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი.

საბჭოთა ხარების გამარჯვება პოლონეთის ფრონტზე, საქართველოსთან მოსაზღვრეო ჩრდილო კავკასიაში და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ბათუმიდან ინგლისელების წასვლა, — ყოველივე ეს საფარებოში ადგობდა ჟორდანის და მის მოაზრობას. ისინი მარტო რჩებოდნენ ამირკავალსიანში. მენშევიკები განსაკუთრებით შე-

ზინდნენ ბათუმიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ და ბოლშევიკების შეიარაღებული აჯანყებისა და თავდასხმის შიშით ახალი მოკავშირის ძებნა დაიწყეს. პილსუდსკის გარდა, ანტანტას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი კიდევ ერთი უღლეური ფალავანი — გენერალი ვრანგელი ჰყავდა, რომლის გამარჯვება თვითონ და მის დამქაშებსაც არა სწამდათ. მაგრამ ნათქვამია: წყალწალბებელი ხაუს ეცილებაო და მენშევიკებმაც. ინგლისის მეშვეობით, ახლა ვრანგელთან გააბეს კავშირი. ვრანგელი თავისი ჯარით ყირიმში იდგა და დონბასსა და ჩრდილო კავკასიას ემუქრებოდა. ქართველი მენშევიკებისათვის ყველაზე უფრო მოსახიზებელი იყო ახლა მისთვის ხელის გაწოდება.

აი, სწორედ ასეთ ვითარებაში მოისურვა საბჭოთა რუსეთის გამარჯვებით შეშინებულმა ჟორდანამ საბჭოთა რუსეთის სრულოფლობიან წარმომადგენელთან — კიროვთან შეხვედრა. იგი ამ შეხვედრისათვის საფარებოდ ჩავიდა აბასთუმნიდან თბილისში.

ივნისსა და ივლისში კომუნისტების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის რამიშვილის მიერ დაწყებული საატაკი რეპრესიების აკრისტოში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას წინათ შემდგარ მენშევიკების ყრილობაზე, სხვათა შორის, მიღებულ იქნა ბოლშევიკებთან ყველა საშუალებით და ლონისძიებით ბრძალის რეზოლუცია. კიროვმა აარგად იცოდა, რომ აღსასრულის წინაშე მდგარმა მენშევიკურმა თვარსობმა. ინგლისის ხარნახით, ვრანგელთან გააბა ახლა კავშირი და იგი მას შივი ზღვით უგზავნიდა და აწოდებდა ყირიმში თვთარჯარდიელ ოფიცრობს. საომარ მასალას, ნავთსა და ბენზინს.

კიროვი ქორდანის კაბინეტში შევიდა. კაბინეტში, ქორდანის გარდა, სავარეო საქმეთა მინისტრები გეგეკეკოვი და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილიც დაუხვდნენ. პრეზიდენტი უფრო გაქაღარავებული, მოხუცებული, დაუძლურებული ეჩვენა კიროვს და ვაქის გარდაცვალების გამო, სამხიმარი უთხრა. ქორდანია მადლობა გადაუხადა, მრავალ მაგიდასთან სავარძელი შესთავაზა და ტრაგიკული ხმით უცნაური რამ უთხრა, თითქო მეგობარს გულისხნადები გაუმკლავნაო:

— ამ ბოლო დროს ბედი უღმობელი აღმოჩნდა ჩემს მიმართ. იგი არ მწყობლობს, როგორც პირადად მე, ისე იმ ქვეყანას, რომლის მმართველობა ხალხმა მე ჩამაბარა. ჩვენს რესპუბლიკას მტრები არ ეშვებიან, ყველა მას უღრენს და ემუქრება, მაშინ როდესაც მარცხნივ თუ მარჯვნივ, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით ყველა თავისუფლებასზე და პატარა ერების თვითგამორკვევაზე გაიძახის, თითქო ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა კი არ ავაშენეთ, არამედ მეფის ტახტი აღვადგინეთ.

ქორდანია უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. კიროვი მიხედა, საბჭოთა ქვეყნისაკენაც რომ გაისროლა ისარი პრეზიდენტმა.

— აღმოსავლეთიდან ქართველ ხალხს შვება და თავისუფლება ელის, დასავლეთიდან კი შარი იღებენ. ტანჯვა, და მონობა, — შენიშნა კიროვმა და პესიმისტურად განწყობილი პრეზიდენტის საკარძლის უკან დამცინავეი ლიმილით მდგარ შაიგერკიან, შეფუქერა, ფერმკრთალ და დაღუმეზულ კაცს — რამიშვილს შენიდა. კიროვი ნთლად ხედავდა. პოლიტიკურ ინტრიგებში, მაქინაციებში და დემაგოგიაში გაწრთენილ კონტრრევოლუციონერებს სოციალიზმის ნიღაბი რომ გააკეთობიათ და მშრომელი ხალხის მესვეურთა როლს უხიბროთ თამაშობდნენ.

მოლაპარაკებამ კარგა ხანს გასტანა. ბოლოს კიროვმა მათ სახარება წაუკითხა:

— არაერთარი საბაბი იმისათვის, რომ თქვენ აგრესიულად იყოთ განწყობილი ჩვენდამი მე არ მომიცია. — დაიწყო კიროვმა, — მიუხედავად ამისა, უნობლობა და რალაც ავადმყოფური შეგუქება ჩინონამი, თან ახლავს საქართველოს მთავრობას. რას მივაწეროთ თქვენი ში-

ში, ნერვიულობა, უნდობლობა და რეპრესიები? იქნებ პოლონეთის ფრონტზე ჩვენმა გამარჯვებამ შეგაშთოთათ? ბათუმიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ თქვენ რალაც უცნაური მოუხვეწრობა და ჩვენდამი გაბრაზება დაგეტყოთ. ბათუმიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ თქვენ მარტო დარჩიით და, ბუნებრივია მოკავშირე უნდა გეძებნათ. აკი იპოვეთ კიდეც — ვრანგელი მე ვიცი, თქვენსა და ვრანგელს შორის კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული გარკვეული შეთანხმება არსებობს. ეს ინგლისის უშუალო მონაწილეობითა და მისი ლოცვა კურთხევით მოხდა.

— ახლა სამივეს: პრეზიდენტს, შინაგან და სავარეო საქმეთა მინისტრებსაც მიპქმართა კიროვმა. — გახსოვდეთ, პოლონეთის დამარცხებას უთუოდ ვრანგელის ჯარების დარბევა მოჰყვება... ეს ზომ არ გაშინებთ და გაფრთხობთ თქვენ? იქნებ ამ შიშის გამო არ გვიბრუნებთ ჩვენ სამხედრო ქონებას?

— კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ვრანგელთან არავითარი ხელშეკრულება და შეთანხმება არ არსებობს, — იცრუა სავარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გიგუქორმა, — სამხედრო ქონების დაბრუნებას ის გარემოება აფერხებს, რომ თქვენ არ ასრულებთ ჩვენ შორის დადებულ საკავრო ხელშეკრულებას. აკი გვაძლევთ ნავის, ბენზინს, პურსა და სხვა პროდუქტს...

— ჩვენ არა გვაქვს იმის რწმენა, რომ ჩვენს მიერ მოცემული საწვავი მასალა ჩვენს მტრებს არ გადაეგზავნება. — უშალე მოუჭრა კიროვმა და მერამე საქართველოს სამხედრო ცხოვრების საველალო სურათი დაბატა. — საწვავი მასალა საქართველოს ისე ესაქტირობა, ვით ცის მანანა, მალე ნავთის უკანასკნელი მარაგიც დაიწვიება... ორთქლმავლობი შოსთავიან. შეჩურდება მრეწველობა, რომლიც ისიდაც არა გავტთ სრულიად. საზოგადოართიდან მოსული ეიარგისი და ძალია საქონლის სანაცვლოდ კი თქვენ შიგძლიათ მიაწოდოთ დამუშავების გარეშე მიტოვებული მცირედი ქვანახშირი და ქალაღის უვარგისი ფული... თქვენი ფოლის კურსი საათობით ეიკრება სიძვირე დლითიდლე იზრდება. მართალია, ამას წინათ თქვენ გაოდლით 60%-თან 100%-ნდე ხელფასი მუშა მოსამსახურებს, მაგრამ

ამას მაშინვე მოჰყვა ყველა პროდუქტზე ფასების მომატება. საქართველოს თავისი პური არა მყოფნის. იფარაჟეთ, რა ჯოჯოხეთურ პირობებში ავადმეტ ქართველ ხალხს, მაშინ როდესაც ჩვენთან კავშირში მას გაეხსნებოდა დიად მომავლისავე საველი გზა. მაგრამ რა? ვერავეითარი ძალა მათ შორის ანტანტაც ვერ გათიშავს რუსი და ქართველი ხალხის საუქუნოებრივ შეგობრობას, ძმობას და კავშირს. ის კავშირი შედუღებულია, როგორც რუსი პროლეტარიატის და გლეხების, აგრეთვე ქართველი მშრომელი მასების მიერ ცარიზმთან ასეული წლების ბრძოლაში, სამოქალაქო ომში, ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით. ნუ გეშინიათ, საბჭოთა ქვეყანა არაიზიზი, და მათ შორის თქვენს ქვეყანაზეც არ აპირებს თავდასხმას, შემოსევას და ძალით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ეს მის პროგრამაში არ შედის. ჩვენი სურვილია საქართველოს მშრომელი მოსახლეობა კაპიტალიზმის და უცხოური იმპერიალისტების ბატონობისაგან გათავისუფლდეს. თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ კომუნისტები ყველა ერის და მათ შორის ქართველი ხალხის ყველაზე დიდი შეგობრები არიან.

ამის შემდეგ კიროვმა თავისი მამხილებელი სიტყვა დაასრულა და ერთხელ კიდევ მოუწოდა მენშევიკების ლიდერებს სწორი გეზი აეღოთ მომავლადე სამყაროს — ანტანტასა და ახალ საბჭოთა ქვეყნის შორის. იგი იმპერიალისტური და კაპიტალისტური სამყაროს კრახზე, რევოლუციის და სოციალიზმის ძლიერ-მოსილებზე ლაპარაკობდა.

მენშევიკური საქართველოს დრომოქმული და ისტორიის მიერ განწირული მთავრობა და მისი ბელადი, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ბრწყინვალედ დახატა მერმე კიროვმა 30 აგვისტოს ლენინისადმი გაგზავნილ წერილში: „საქართველოს მთავრობა ისევ განაგრძობს მერყეობას და ვერ გადაუწყვეტია, ვისკენ გადადგას სრულიად გარკვეული და საბოლოო ნაბიჯი — ჩვენს თუ ანტანტისკენ, საქართველოს სამეურნეო ცხოვრება კი დღითიდღე სულ უფრო და უფრო გარკვეულად ირყევა და უკვე შორს არ არის ის წუთი, როდესაც ნოე ეორდანია საქართველოს

ეგზარქოსთან ერთად იძულებული გახდება იმდეროს: „ბაბილონის მდინარეებზე“.

ათ სექტემბერს კიროვმა ახალი დანიშვნა მიიღო. იგი ზავის დადების შესახებ წითელი არმიის მიერ დამარცხებულ პილსუდესკის პოლონეთთან მოსალაპარაკებლად არჩეულ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნა. ეორდანია კი, სანამ ბაბილონის მდინარეებზე სამღერლად გაემგზავრებოდა, დასასვენებლად ისევ აბასთუმანში ჩავიდა და იქ განაგრძო თავისი „დემოკრატიული სამოთხის“ შესახებ ოცნება.

2

გამოიღარა, მზიანი, მშვიდი, მყუდრო და თაფლივით დამტკბარი შეიოდგომის დღეები ჩამოდგა. ტყეში ნაძვისა და ფიჭვის ხეებმა ბეზრეკა ტანზე, მეტის ლხენისაგან, წებოვანი ცრემლები გადმოლვარეს. აბასთუმნის ხეობა საკმევისის საამო სურნელებით აღივსო. ასეთი დღეები ყველაზე უფრო მოსახდენია ავადმყოფთათვის და სტუფანეც, კორნელის საბოლოო გამოჯანსაღების მიზნით, ზუთმეტ სექტემბრამდე აბასთუმანში დარჩენას ურჩევდა კატოს. მან არ იცოდა, კორნელი საესენებით გამოჯანსაღებული რომ იყო და აბასთუმანში ფილისტერ მოაგარაკეთა შორის მოსაწყენი ცხოვრება მოებზრდა, ერთფეროვანი დღეები გულს უღონებდა და თბილისში ჩასვლა, მეცადინეობა, შრომა და მოქმედება სწყუროდა.

კორნელი უზომოდ გასუქდა. ტანისამოსში არ ეტოვდა, უღვაშები მოუშვა და ოცდაათი წლის ვეჯაკის დაემგვანა. ტანში იმდენ ძალას გრძნობდა, რომ არ იცოდა რაში დაეხარჯა იგი პტკივანი თეხის გამო მთაში სიარული, ვარჯიშობა, რბენა და ხტომა არ შეეძლო და ამიტომ სინატორ გიორაი დათაძეს წიგნებს ართმევდა, ტყეში შედიოდა და იქ კითხულობდა.

კატო, მისი ძმა ილიო, შინაბერადი ვერა, კატოს მამიდაშვილის — გარლამის მეუღლე ნელი და სხვა ქალები კი თაფლივით დამტკბარ შემოჯამის დღივებს დააძლინ, გემო ჩაატანეს და აბასთუმნიდან თბილისში წასვლა არ ეჩქარებოდნენ. არც სინატორებს ეჩქარებოდათ თბილისში ჩას-

ვლა. ან რა საქმე უნდა ჰქონოდათ თბილისში და ისეთ ქვეყანაში, სადაც გამოძიების, სამსჯავრო განხილვის, სასამართლოს და მართლმსაჯულების ნაცვლად უუფლებობა და თვითნებობა სუფევდა!

უსაქმო სენატორები შუადღისას და საღამოს ხეივანსავე გაემურებოდნენ. ხეივანში რესტორანი, საბილიარდო, კიოსკები და ყველაფერი დახურული იყო და მდინარის პირას გაშენებულ ესტრადის ცარიელ ნიჟარაში ორკესტრის ხმების ნაცვლად დუმილი სუფევდა. ახალ და ჩინებულ კოსტიუმში გამოწყობილი, მალაი და გამაღარი, მარტობის მოყვარული არისტოკრატი გიორგი ხელთუფლიშვილი ხელზე გადაკიდებულ კავერკოტის პალტოთი, ტროსტით, ხელთათმანით და შლიაპით უკაცრიელ ხეივანში დინჯად გაივლიდა, ნაძვის ქვეშ გრძელ სკამზე დაედებოდა, ვოლტერის წიგნს „ფანატიზმს და მართლმსაჯულებას“ გადაშლიდა და კითხვას იწყებდა. ხოლო სხვანი — მუხრან კაჭარავე, გიორგი დაღვიძი და ვარლამ კუტალაძე კი გზას განაგრძობდნენ, პირველ და მეორე ხეივანს გაივლიდნენ, ზეკარისავე მიმავალ გზას გააყვებოდნენ და დიდმთავრის — გიორგი რომანოვის ყოფილ სასახლეს, გზოს მიადგებოდნენ, შიგ იხედებოდნენ და ძალღებვიით შესაძებურებდნენ, თავის პატრონს — ეორდანიას თვალს თუ მოკრაგდნენ ან ორიოდ წუთით მას გაესაუბრებოდნენ, ბედმეყილნი სიხარულით ცას წვდებოდნენ და შინაურთ და გარეუთ ტვინს უბურღავდნენ და იკვებნიდნენ: „უდიდესი ქართველი“, „უდიდესი სოციალისტი“ ყოველ დღე საქვეყნო საკითხებზე გვეთათბირებაო.

სენატორების ცოლები და მათი ცოლების მეგობრებიც არ ისხდნენ უსაქმოლ. ქალებს მენშევიკური გვარების ოფიცერი, კარისმგერეთის ელამი მეფურნის შვილი დათიკო მენჯაიძე ართობდა. უსაქმო და მოცლილი მოაგარაკენი ჩალაღში ერთმანეთს ასულულოებდნენ, წაგებულთ დამწვარი საცობით შობლზე ლაქას უკეთებდნენ და ხარხარებდნენ. სურსათ-სანოვაგე საქართველოს დაბაქალაქებში, მათ შორის, აბასთუმანშიც არ იშოვებოდა და რადგან დათიკო პურიც და შაჩით ამარაგებდა ქალებს, ესენიც ილამ მეფურნის ხეპრე და უმე-

ცარ შვილს ფეხქვეშ ეგებოდნენ, ეფერებოდნენ, აქებდნენ და ცამდე აყუყუდათ, ულამაზეს კაცად, გმირად და ქალების გულის დამწველ-რაინდლ-აცხადებდნენ.

კატო, ნელი, ვერა, ალისა, დათიკო და დათიკოს მეგობარი ოფიცრები — ახმანი და მხრებაწეული შალვა ხმალაძე, ლამაზი, შავგვერდანი და კონტა აპოლონ ნოზაძე, ქართველი კათოლიკე ექიმი იუზა კოკოჩაშვილი, რომლის დას უნივერსიტეტდამთავრებულ ლამაზ ქალ ალისა კატოს ბედოვლათი ძმა ილიკო ეარშიყებოდა, ახალგაზრდა ექიმი მიქელ დაეთაშვილი და სხვანი ხშირად ექსკურსიას აწყობდნენ. ხან „არაზინდოზე“ „გიორგის მოედანზე“ და თამარის ციხეზე ავიდოდნენ და ხანაც კლდეების ქარაფებიდან — „მოჯადოების კარებიდან“ მარბენალ, კალმანით საესე, მატარა მდინარეს მოინახულებდნენ. „მოჯადოების კარებიდან“ უყვარდათ პურ-ღვინით მისვლა ექსკურსანტებს. თამადად მუდამ აპოლონ ნოზაძე ინიშნებოდა. იგი შინაბერა ქალ ვენერას მოსწონდა. აპოლონის მას განზრახ ეარშიყებოდა, ლენინოს აძალებდა და გაუთხოვარ ჩალსაც ელეთმელეთი მოსდიოდა, სისხლი აწევებოდა. ერთხელ გული შეუწყუხდა, წაიქცა. კრიკა შეეკრა და ყველა საშინლად შეშინდა, მაგრამ ექიმმა მიქელ დაეთაშვალმა თქვა: ვენერას წამალი მე ვიციო. ქალს საკინძე გაუხსნა, მეკრდი გაუღელა. წყალი ასხურა, ყურები დაუსრისა, მერმე ხელოვნური სუნთქვისათვის ხელები ხელებში ჩასჭიდა და მისწი-მოსწია. ქალმა თვალები გაახილა მიქელს დარცხვენით გაუღიმა. ექიმმა იუზას, კორნელის, დათიკოს და შალვას უჩუქრულა: ვინერას აპოლონი უყვარს, მამაკაცი სწყურიაო.

ეორდანიას ქებით ყველაზე უფრო ვარლამ კუტალაძე იჭაჭებოდა, მუხრან კაჭარავე კი თავს იკავებდა. ვარლამის მამა ლუკა კარისმგერეთში მარილით, მატყლით და ხალიჩით მოვაჭრე, ერთი უწიგნო, ძუნწი, ღიპიანი და ჩაეტრატებოლი, გულცივი და აიო კაცი იყო. რადგან ლუკა კუტალაძე მარილით ვაჭრობდა, მას კარისმგერეთში „ლუკაია მემარილის“ ეძახდნენ, ვარლამს კი — „მემარილის შვილს“. ვარლამ კუტალაძე მამასაებრ წასუქებული, დაბალი, მოკლე

კისრიანი და ბურთივით მრგვალი კაცი იყო. მას პატარა, ლამაზი შავგვრემანი სახე, პატარა ცხვირი, პატარა წითელი ბაგეები, ციცქინა ნიკაპი, პატარა, მავი და ეშმაკი თვალები ჰქონდა; თავის-ქალა კი — დიდი, რომელზედაც შავ კრაველსავით დაკვარჩნილი თმა წარბებამდე გაზრდილი და ისედაც დაბალი შებლი თითქმის მთლიანად დაეფარა, ამიტომ მისი თავი ზღარბსა ჰგავდა. ვარლამ კუტალაძემ რუსეთში დამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქუთაისში დაიწყო ვეპილობა და კარგი პრაქტიკა ჰქონდა. იგი ბურჯუაზიული, ტკბილი და უშფოთველი ცხოვრების მოყვარული, ტიპიური ფილიოსოფი იყო, რომელსაც ფულის შოვნა და ქონების შექმნა ასულდგმულვებდა. მხდალი, პანიკორო, მლიჩხელი, დილეტანტი კაცი, ცრუ ტრიბუნი და ნაციონალური რევოლუციონერი, რევოლუციის შემდეგ მენშევიკებს მიემხრო. მან „დემოკრატიული რესპუბლიკისა“ და „სოციალიზმის“ შესახებ ყალბი, პათეტიკური ლაპარაკით მენშევიკებს ლიდერების გული მოიგო და მათი ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. მენშევიკებმა ის სენატორად გახადეს და ცნობილ იურისტების — ხელთუფლიშვილის, ჯაფარიძის, მესხიშვილის, ლადვაძის და კაჭარავას გვერდით დასვეს. კუტალაძე ყორდანანათან შესახებდრად მთელი დღე სასახლეს უტრიალებდა. საღამოს ჩაის შემდეგ კი უსაქმო სენატორებთან განთიადამდე პრეტენანსს თამაშობდა.

საკვირველი ის იყო, რომ გული უღონდებოდა და გულის ფრიალი დასჩემდა აგრეთვე ზორბა, ქარხალივით წითელ და სისხლსავსე ვაკაცს დათიკო მენჯაფიქსაც. იგი განსაკუთრებით ღამით გრძნობდა თავს ცუდად, როდესაც შინ მარტო დარჩებოდა ხოლმე. ხშირად ვალერიანეს ეთეროვან წვეთებებს სვამდა. ქალები სწუხბნენ, ებრაელებოდათ გულით სწეული ოდიკარი და ყველანა თავს დასტრიალებდნენ. ბოლოს დათიკო ისე შეეჩეია ვალერიანეს წვეთებს, რომ ნახევარი შუშაც აღარ მოქმედობდა მასზე. ყველას ეგონა. გულის ფრიალი დათიკოს ღვიწხის უზომო სისისკან მოსდისო. დათიკო კი ამბობდა: აბასთუმანი ჩემთვის მაღალი ადგილი არი-

სო. ბოლოს კორნელიმ ექიმ იუზა კოჩიშვილისაგან შეიტყო, თუ რად უტყუდებოდა ისე ხშირად გულის წუხილი იმ ზორბა და ჯანსაღ კაცსა დასაღციხის ფრონტის უფროსის ბრძანებით დათიკოს და მის რაზმს დაევალა დახვერეტა იმ ოცდაექვსი ბოლშევიკი ჯარისკაცისა, რომელმაც ადიგენის რაიონის აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ ომში წასვლაზე უარი განაცხადეს. დახვერეტას თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოეხდინა ჯალათზედაც და იგი იმ საზარელ სურათს ვერ ივიწყებდა ნერვები ერთთავად მოშლოდა. როდესაც იგი ღამით თავის ოთახში მარტო დარჩებოდა და ჯარისკაცების დახვერეტა მოაგონდებოდა, ცუდად ხდებოდა, გულის ფრიალი, პირისღებინება აუტყუდებოდა და წამდაუწყუმ აფურთხებდა:

კორნელი აღშფოთდა და ცუდად გახდა. დათიკოს და მის მეგობრებს გაურბოდა და აბასთუმანში ახლა სულ მარტო ან ვერბიციისთან ერთად დადიოდა. აბასთუმანი ერთბაშად დაცარიელდა, ორიოდე მოაგარაკეს თუ შეხვდებოდათ ახლა ცარიელ ხეივანში. აცივდა. მდინარის პირას ჩარაზმულ ალვის ხეებს კენწეროები გაუყვითლდა. კორნელი დიდ მოწყენას გრძნობდა. საღამო ეამს, ეკლესიის ზარის მწუხარე ხმაზე იგი მარტო მიჰყვებოდა ხეივანებს და ხეების გაყვითლებულ კენწეროებს კაეშნით გასცქეროდა. თანაც ვიწრო ხეობის თავზე გადმომდგარ ლილისფერ ცას, ცის ტატნობზე თეთრი ღრუბლების ცურვას, მთის იქით ღრუბლების ჩაშვებას, შექუჩებას, მარაოსავით გაშლას და მზის სხივებისაგან მათ ათასფრად ელვარებას და ფერების თამაშს ადევნებდა თვალს.

ერთხელ როცა ალვის ხის ხეივანი გაიარა და ხიდან გზამ ერთბაშად მოუხვია, თამარის ციხე და შორს, მაღალ მთის თხემზე დასული მზის უზარმაზარი და სულ მაღალ წითელი ბორბალი დაინახა, თითქო შუბით დაჭრილ მზეს სისხლის ღვარი სდისო. დათიკო მენჯაფიძის და მისი რაზმელების მიერ დახვერტილი ჯარისკაცები მოაგონდა კორნელის და ტანში გააეროდა. შემოდგომის გრილია ნიაგმა დაუბერა. ალვის ხე შეიარა და ქარვისთერი ფოთლიანი დაკოდილი მაღალურბივით დაფრენდნენ ცარიელ გზაზე. მზე ერთბაშად ჩაეშვა ქედების იქით, აცივდა. ისევე მოვარდა

ნიავე. ახლა ნაძვი და ფიქვი შეარხია, აშრიალდა და მათ კენწეროებიდან და გარდიგარდმო გაშვირილ, ბანჯგვლიან ტოტებიდან კოკოლები ჩამოცვივდნენ. ნაძვისა და ფიქვის შრიალმა ზღვის ტალღების ხმოვანება, ზღვის პირი, ქობულეთი, ნინო და ნინოსთან განშორება მოაგონა კორნელის. მყისვე ბავშვის შორეული ტირილი, ძალღის ყუფა შემოვსმა და ცუდად ენიშნა იგი. დიდი მოწყყნა, მარტობა იგრძნო და უკანვე გამოძრურდა.

სალამო ეამს ჩაბნელებულ და დამუხრელებულ ხეივანში არაფერ არა სჩანდა. მხოლოდ ორი კაცი — დედა და მისი ქლექიანი შვილი სტუდენტი მიდიოდნენ შორს აჩრდილივით.

კორნელიმ თვალი გააყოლა მათ და უმალვე გრიგოლ ცაგურისშვილის ლექსის დასაწყისი მოაგონდა:

„სულ მოლად აესილა აბასთუმანი
სამშობლოდომო სედის ჰუმანით...“

კორნელის აბასთუმანის ვიწრო ხეობიდან გაქცევა, ზეკარის უღელტეხილზე გადასვლა, ველად გაქრა, ფართო ჰორიზონტების ხილვა, ქალაქში ჩასვლა, მეგობრებთან შეხვედრა, ცხოვრების ორომ-ტრიალში გადაშვება და ბრძოლა და ჭიდილი მოუწდა... მას ეანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე, მიტო ჩიკვაძე, საპირველმისის დემონსტრაცია, პატიმრობა, თბილისში ეიროვის ჩამოსვლა, კიროვის სიტყვა მოაგონდა და შერაცხვა, ქლექიანების სამყოფელ, სეკლიან აბასთუმანში გულზელდაკრეფილი, უსაქმოდ რომ იჯდა.

3

სანამ ქორდანი აბასთუმანში იყო, ლევან ქორიძე და ვერბიციცი იქიდან წასვლას არ აპირებდნენ. ვერბიციცი და ქორიძე ფოსტის ხშირი სტურებები იყენენ. რადგან ფოსტა კაროს აგარაკის მახლობლად იყო, ამიტომ კორნელიც ხშირად ხვდებოდა მათ. ვერბიციცი ხელოვნებაზე, მწერლობაზე და პოლიტიკაზე ესაუბრებოდა კორნელის. ამ საუბრებმა იგი დაარწმუნეს, რომ კორნელი ერთი ალაღ-მართალი, გულწრფელი, ხელოვნებით და მეცნიერებით გატაცებული ადამიანი იყო.

ერთხელ კორნელი, ვერბიციცი და ქორიძე ზეკარისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. საუბარში ისე შორს წაეიონენ, რომ თითქმის ალბიურ ზონას მიაღწიეს.

როდესაც აბასთუმანში დაბრუნდნენ, სალამო ეამი იყო. აბასთუმნიდან განმარტობით მდგარ სასახლის ბაღში, შესასვლელ რკინის ფართო ქიშკართან ქორდანი, რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი დადგა, კაჭარავა, კურტალაძე და ესტატე მაყაშვილი იდგნენ. ყველა პალტო და თბილი ტანისამოსი ეცვა. კორნელის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან ესტატე მაყაშვილი დაინახა. მაყაშვილი სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე იყო. მას ახალციხეში ოცდაექვსი ბოლშევიკი ჯარისკაცისათვის დახვრეტა მიესაჯა. ახალციხეში ყოფნის დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ თავისი დანიშვნა შეეტყო და ქორდანისათვის მადლობის მოსახსენებლად აბასთუმანში ჩამოსულიყო. ქიშკართან ქორდანიმ მცველი, ყოთილი პარიკმახერი, მოჭიდავესაებრ ზორბა, ჭერა ჰაბუკი და კორნელისათვის უცნობი რამდენიმე კაცი იდგნენ. ქორიძე ვერბიციცი და კორნელი ქორდანის მიესალმნენ. ქორდანიამ გაიღიმა და ვერბიციცის გასძახა.

— დაგარჯევით, ივანე ალექსანდრეს ძე... საიდან მოდენართ?

— ზეკარის უღელტეხილიდან. ნოე ნიკოლოზის ძე, — მიუგო ვერბიციცი და შეჩერდა.

— ასე შორს იყავით? ყოჩაღ... თქვენ უკვე საესებით გამოჯანსაღდით. ასე იცის ჩვენმა აბასთუმანმა. — უთხრა ქორდანამ, თავი ასწია და იქვე, მის ცხვირწინ აღმართულ, ნაძვითა და ფიქვი დაფარულ მთის მწვერვალებს გახედა. ვერბიციციმაც გაჰხედა მთებს და ალტაცებით წარმოსთქვა:

— დიახ, აქ მშვენიერია. — მივიდა, ქორდანის, რამიშვილს, ჩხენკელს და სენაბროებს ხელი ჩამოართვა. ქორდანიმ ესტატე მაყაშვილი გააცნო. იგი ლაპარაკის გუნებაზე იყო:

— აბასთუმანი მშვენიერია, მაგრამ ამას ბახმარო სჯობია.

— ბახმარო აბასთუმანს ვერ სჯობია, — არ დაეთანხმა ჩხენკელი.

— ბახმაროს მსგავსი კურორტი მსოფლიოში არ არის, — ქორდანის მავიერად შენიშნა რამიშვილმა.

— ბახმაროს დაწუწება გურულებს პირად შეურაცხყოფად მიგჩანიათ, მაგრამ მაინც ვერ დაგითანხმებით: საღ აბასთუმანი რა საღ ბახმარო! — უთხრა დიმილით ჩხენკელმა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბახმარო აბასთუმანზე ბევრად მაღალია, სიმაღლე ქლექიანს და გულით სნეულსაც კი არ ვნებს და აწუხებს, რადგან იქ მთისა და ზღვის ჰავა არის შეზავებული, — განუ-
მარტო ყორღანია ამ ჩხენკელს.

— საქართველოში, სადაც არ გაი-
ხედავთ, ყველგან კარგი კურორტია, —
ჩაურთო ვერბიციკიმ.

— მართალია, — უმაღლე დაეთანხმა
ყორღანია. — აიღეთ მთისა და ზღვის
კურორტები, მინერალური წყლები...
ზეკარისა და წყალტუბოს აბანოები
ქარებით სნეულსა და დაეროდომისაც
კი სამ დღეში ფეხზე წამოაყენებს. უბე-
ღურება ის არის, რომ ყველა ჩვენი კუ-
რორტი პრიმიტიულ მდგომარეობაშია
ამჟამად.

— საქართველო კურორტების ქვე-
ყანად უნდა იქცეს, — დაადგინა ვერ-
ბიციკიმ და გრძელ წვერზე ხელი ჩამოი-
სვა.

— ასეც ვაპირებთ. — ისევ დაეთან-
ხმა ყორღანია. მას ძალიან უყვარდა
რუს სოციალ-დემოკრატთან ვერბიცი-
კისთან საუბარი. ისინი თითქმის ყოველ
დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვერბიცი-
კით რამეში არ ეთანხმებოდა ყორღა-
ნიას: საბჭოთა რუსეთისადმი მტრულ
პოლიტიკაში. მას რუსეთში რევოლუ-
ციის დამარცხება და მონარქიის აღდ-
გენა მსოფლიო პროლეტარიატის ინტე-
როესებისათვის საბედისწეროდ მიაჩნდა
და ამიტომ დღნიკინთან, ვრანგელთან და
პილუდსკის პოლონეთთან გრძოლაში
საბჭოთა რუსეთის მხარეზე იდგა... ამ
საკითხში დიდი დავა ჰქონდათ ყორღა-
ნიას და ვერბიციკის.

— საქართველო შვეიცარიას მაგო-
ნებს, — განაცხადა ვერბიციკიმ და ზეკა-
რის უღელტეხილისაკენ მიჯარულ
შთებს ვაპხედა.

შვეიცარიის ხსენებამ ლაპარაკის სა-
ღერდელი აუშალა ყორღანნიას. იგი გა-
ტაცებით ლაპარაკობდა. ყველანი სულ-
განაბლები უსწრებდნენ პრეზიდენტს.
ლევან ქორიძეს სულმა წასძლია და ხეს
მოფარებულ კორნელის უთხრა:

— ყორღანია რაღაც საინტერესოს
ლაპარაკობს. ჩვენც მივიდეთ.

— შე ყორღანნის არ ვიცნობ. რამი-
შვილს კი ჰიარის დღესავით ვეჯავრებთ.
ესეც რომ არ იყოს, მაყაშვილთან შეხ-
ვედრა არ მსურს.

ქორიძემ კარგად იცოდა მაყაშვილის
ქალის — ნინოსა და კორნელის შორის
არსებული რომანი, მათი გათიშვე და
მანაც ჩააიცივდა:

— წამოდი. ყორღანნიას მოუსმინე.
მაყაშვილი ვინა გლია...

— წადი, ჩემთვის უხერხულია. ვერ
წამოვალ, — უთხრა კორნელმა და გზას
გაუდგა.

ქორიძე ყორღანნიასთან, ჩხენკელთან
და რამიშვილთან მივიდა, ხელი ჩამოა-
რთვა მათ, მერმე ყორღანნიას ნათქვამი
რომ კარგად მოეგონა, კისერი წაიგრძე-
ლა, თანაც ხახა დაალო, თითქმის ყოველი
სიტყვის გადაყლაპვას აპირებდა, ყორ-
ღანია კი ისევ ნაძვითა და ფიქვით და-
ფარულ მთის მწვერვალებს მისჩერე-
ბოდა და ოცნებაში გადასულივით განა-
გრძობდა:

— შვეიცარიაში ბევრჯერ ვყოფილ-
ვარ. შვეიცარია ჩიხებულები ქვეყანა
არის, მაგრამ მისი ბუნება საქართვე-
ლოს მრავალფეროვან ბუნებასთან ვერ
მოვა. აიღეთ მარადი თოვლით დაფარუ-
ლი ჩვენი ქედები, მყინვარები, ალპიუ-
რი საძოვრები. ამათ ქვემოთ ტყიანი
მთები, მერმე აყვავებულ ბაღები, მწვანე
ველები და შავი ზღვის ნაპირები —
სუბტროპიკული ზონა. ჩვენც გვექნება
ვერობული, კულტურული ცხოვრება,
ჩინებული ქალაქები და სოფლები,
კურორტები, სასტუმროები, სანატო-
რიუმები, გვირაბები, მთაში კიდული
რკინიგზები... ჩვენც გვეწვივას ტური-
სტები და ალპინისტები... ჩვენ შვეიცა-
რიაზე უკეთეს რესპუბლიკას გვააშე-
ნებთ.

— კარგია, ბოლშევიკებმა თუ გვაკა-
ლეს, — ცივი წყალი გადასხმა მეოცნე-
ბე პრეზიდენტს ჩხენკელმა.

— საქართველოს მთავრობა არავის
არ დაუთმობს მოპოვებულ თავისუფ-
ლების იოტსაც კი. ვინც ჩვენ დამოუ-
კიდებლობას დაემუქრება, მას ჩვენ ია-
რალით ხელში შევებრძოლებით, — დი-
დი რიხით განაცხადა ყორღანნიამ.

— ამისათვის საჭიროა რეალური ძა-
ლა, ჯარი, — შეაპარა ესტატე მაყაშვი-
ლმა. ყორღანნიას ეწყინა, მხრები აიჩე-
ჩა და მიუგო:

— თქვენ, — ნაციონალ-დემოკრატე-
ბი სულ მაგას გაიძახით. ჩვენ დიდ ჯარს
ვერ ვყოლივით. პირიქით. მალე ნაწი-
ლობრივი დემობილიზაცია უნდა მოვახ-
დინოთ. უნდა დავითხოვოთ უყადო

შეებულებებში ყველა ის ჯარისკაცები, რომლებიც ორ წელიწადს და მეტ ხანს იმსახურეს.

— თუ ეს ასე არ მოხდა, — დაამატა რამიშვილმა, — მე მაქვს ცნობები, რომ ჯარში მსულელები დაიწყებენ. მაშინ მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, პასუხისმგებლობას მოვიხსნი.

— დიდი ჯარი ჩვენ არ გვქარია. ჩვენ იმპერიალისტური ქვეყანა არა ვართ, რომ ვინმეს თავს დავესხათ, — დაამშვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი პრეზიდენტმა.

— ჩვენ კი არ დავესხებით, ჩვენ დავვესხმიან. — შენიშნა ევროპაში დიპლომატიურ მოგზაურობიდან ამას წინათ დაბრუნებულმა ჩხენკელმა, რომელიც იმპერიალისტურ ქვეყნებისაგან საქართველოს იურიდიულ ცნობას და რეალურ დახმარებას გამოითხოვდა.

— ჩვენი ჯარის საზღვრები ოდნეულიძე, გენერალი კვინიტაძე და აზიზაშვილიც ამასვე ჩაგვძახიან. ისინი აზერბაიჯანის საზღვრების გამაგრებას, თბილისის მიდამოებში მთელი რიგი ციხესიმაგრეების აგებას და თვითმფრინავებისა და ტანკების შექმნას გვირჩევენ. ამაზე ჩვენ მათ კატეგორიული უარი ვუთხარით, — მიუგო ქორდანიამ ჩხენკელს.

— მაპატიეთ, ბატონო ნოე, მაგრამ, ჩემის აზრით, თქვენ შეცდომა დაგიშვიათ. — უთხრა მკაყაშვილმა. — მამ რისი იმედით უნდა ვიქონიოთ?

— გაიგეთ, რომ დიდი ჯარის, მისი შეიარაღების და თბილისის მიდამოებში ციხე-სიმაგრეების აგებისათვის საჭირო თანხებს საქართველო ვერ გაიღებს, — მიუგო ქორდანიამ, — გარდა ამისა, არა მგონია საბჭოთა რუსეთი, დღევანდელ პირობებში, თავს დაგვეხსნას. ევროპის დემოკრატია და მეორე ინტერნაციონალი ახლა ჩვენს მხარეს იჭერს. ჩვენზე თავდასხმა თუ ვინმემ გაბედა, ევროპა უთუოდ მოგვეშველება. სწორედ ამ მიზნით და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის გასაცნობად მოემგზავრება ჩვენში მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია.

— საინტერესოა იმ დელეგაციის შემადგენლობა, — დაინტერესდა ვერბიცი.

— დელეგაციაში შედიან: ვანდერველდე, მაკდონალდი, ტომას შოუ, დობრიუტერი, სნოუდენი და სხვანი, — დაწვე-

რილებით ჩამოთვალა ქორდანიამ, — ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე თვითონ კალციკი გვეწვევა. — ნეტარილი მილით დასძინა მეორე ინტერნაციონალის პატრიარქის — გაკოტრებულ სოციალისტის — კალციკის ღირსეულმა მოწაფემ.

— ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავია. კალციკის ჩამოსვლა უთუოდ განამტკიცებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას, — ეკერი დაკრეს რამიშვილმა და ჩხენკელმა.

— ეგ დიდი ბედნიერებაა, — აღტაცებით დაიძახა კუტალაძემ, კვი მოიგლოჯა, დაკვარცნილ შავ თმაზე ხელი გადაისვა და სიხარულის გამო ქორდანისა ღეხებში კინალამ არ გაუღრანა. ქორდანია კი ისევ გატაცებით ლაპარაკობდა მის მიერ გაშენებულ სახელმწიფოს უპირატესობაზე, დემოკრატიული რესპუბლიკის არარსებულ „სამოთხეზე“ და ქართველი ხალხის ბედნიერ და მდიდარ ცხოვრებაზე, თითქო დამსწრეთ ანგარიშს აბარებდა. ქორდანია მის მიერ თქმულ სიკრულის გამო არ წითლდებოდა და ვერც ვერბიცი და ვერც სხვა ვინმე ბედავდა იმ სიკრულის უარყოფას. მხოლოდ მკაყაშვილმა შენიშნა:

— მეორე ინტერნაციონალს არავითარი რეალური ძალა არ გააჩნია ამჟამად, ჩვენ რომ დახმარება გავუიწიოს... აქ მხოლოდ მორალური დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი.

— როგორ თუ არ გააჩნია, — გაუკვირდა ქორდანიას. — ევროპის პოლიტიკას ახლა მეორე ინტერნაციონალი უღვას სათავეში. მამ, მაკდონალდი და ვანდერველდე ვინ არიან, თუ არა მეორე ინტერნაციონალის წევრები? სწორედ მეორე ინტერნაციონალის დახმარებით იყო, ანტანტამ ჩერჩილის მეთაურობით საბჭოთა ქვეყნის კედელი კინალამ რომ გაარღვია...

— მაინც ხომ ვერ გაარღვია... — შენიშნა ახლა დელაძემ.

— აღერ თუ გვიან ის კედელი მაინც გაირღვევა, — მოუჭრა ქორდანიამ.

— ნოე ნიკოლოზის ძეგ, საბჭოთა კედლის გარღვევამ ვაი თუ რუსეთში მონარქიის აღდგენა და მთელ ევროპაში იმპერიალიზმის აღიარის ახსნა გამოიწვიოს! ეს პატარა ერებისათვის რა, მათ შორის, საქართველოსათვის განა ხელსაყრელი იქნება? — ჰკითხა ვერბიცი.

— მერმე რა? — მიუგო ქორდანი-
ამ, — თავის თავს დააბრალონ ბოლშე-
ვიკებმა, რადგან მარქსის თეორიის
საუნჯის მპყრობელს კაუციუსს, არც
პლენანოვს და არც სხვა ვინმეს დაუ-
ჯერეს, ძალაუფლება ხელთ იგდეს,
პროლეტარიატის დიქტატურა გამოაც-
ხადეს და ნახევრად აგრარულ, ჩამორ-
ჩენილ ქვეყანაში სოციალიზმის მშენე-
ლობას აპირებენ... აქედან რომ არაფე-
რი არ გამოვიდოდა და საზოგადოებრივ
განვითარების დარგში ნაადრევ ნან-
ტრამს ყოველთვის რეაქცია მოჰყვებოდა,
ადრევე უნდა სცოდნოდით.

— საბჭოთა რუსეთი მაინც დიდ ძა-
ლას წარმოადგენს. მან დენიკინი დაა-
მარცხა, პოლონეთი დააპოვა და ახლა
ანტანტა საბჭოთა რუსეთს პოლონეთ-
თან სამშვიდობო მოლაპარაკებას სთა-
ვავობს. მამასადამე, საბჭოთა კედ-
ლის გარღვევა არც ისე ადვილი სა-
ქმეა, ახლა ანტანტა საბჭოთა რუსეთს
ანგარიშს უწევს და ჩვენც ანგარიში
უნდა გავუწიოთ, — შენიშნა კაპარავამ.

— მერე რა? ჩვენ ნეიტრალიტეტს
ვიცავთ, — დაიწყო ქორდანიამ, — არც
ანტანტას და არც საბჭოთა რუსეთს
ვეკედლებით და არავის არ ვებრძვი-
თ. ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკის
მშენებლობით ვართ ვართული. რაც
შეეხება დიქტატურაზე დამყარებულ
საბჭოთა რუსეთის რეალორ ძალას, იგი
მართლაც ანგარიშგასაწევია. ამას ჩვენ
არ უარყავით. პირიქით, უნდა ითქვას
რომ ბოლშევიკების პარტია ძლიერია.
პარტიაში მათ ერთიანობას და ერთსუ-
ლოვნებას მიაღწიეს. — მერმე გულახ-
დილობა გამოიჩინა: — ჩვენი უბედურე-
ბა ის არის, რომ საქართველო ამჟამად
დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის.
ბოლშევიკური აგიტაციის წყალობით,
ჩვენი პარტიის პოლიტიკას მუშების
უმრავლესობა უარყოფითად უყურებს.
შეგნებული დემოკრატია იდეისათვის
ყველაფერს უნდა ითმენდეს იმ იმე-
დით, რომ მომავალში უკეთესი ცხო-
ვრება დამყარდება. ამ მხრივ ბოლ-
შევიკებმა რუსეთში მართლაც დიდი
როლი შეასრულეს. ისინი მუშებს
და გლეხებს უქადაგებენ, რომ სო-
ციალიზმის გამარჯვებისათვის, იდე-
ისათვის ყველაფერს უნდა გაუძ-
ლოთ და ყველაფერი გადაიტანოთ.
და მუშებიც დიდ დაბრკოლებებს იტა-

ნენ, ოღონდაც გაიმარჯვოს იდეამ...
ჩვენში კი ეგ მოსაზრება სხვანაირად
ენამით. ჩვენი მუშები ამბობენ: თუ სა-
ხელმწიფო ჩვენ ხელთ არის, მაშინ ჩვენ
კარგად უნდა ვიცხოვროთ. რატომ უნდა
ავიტანოთ გაჭირვებაო? პარტიული ამ-
ხანაგები ჩვენვე გვებრძვიან და გაფი-
ცვებს გვიწყობენ. საღ გაგონილა, რომ
მთავრობას ირჩევდნენ, და მეორე დღე-
სვე ებრძოდნენ მას და ასუსტებდნენ
პარტიამ არ უნდა დაანგრის საკუთა-
რი თავი.

ქორდანი იმიტომ უბრაზდებოდა მუ-
შებს, რომ ისინი ჯგუფ-ჯგუფად გადა-
დიოდნენ კომუნისტურ პარტიაში და
გაფიცვას და შეიარაღებულ აჯანყებას
აწყობდნენ. რამიშვილმა ქორდანისა შე-
ნიშნა:

— არის ერთი ვარემოება, რაიც
ჩვენ მუშებს რუსეთის მუშებისაგან
ანსხვავებს. იმას, რასაც რუსი აიტანს
და მოითმენს, ჩვენები მას ვერ მოით-
მენენ.

ქორიძე მოულოდნელად აენტო, ვერ
მოითმინა და რამიშვილს შენიშნა, ის კი
ვერ იანგარიშა, რომ თავისი შენიშვნით
ქორდანისაიც სცემდა:

— რუსი და ქართველი რა შუაშია
იმდენი გაჭირვების მოთმენა, რამდენ-
საც ქართველი მუშა ითმენს, არც ერთი
ქვეყნის მუშას არ შეუძლია. უნდა აშ-
კარად ითქვას, რომ ჩვენი მუშები დღეს
ეკონომიურ მდგომარეობის მხრივ უა-
ჯობეთურ პირობებში არიან. მათ ყელ-
ში სწორა უკვე შიმშილისა და გაჭირვე-
ბის ჩონჩხის ხელი. შემდეგ მხოლოდ
ფიზიკური გადაშენება იწყება, საუბე-
დუროდ ბევრი ჩვენი ამხანაგი ამას
სრულიადაც ვერ ხედავს.

ქორიძე მხარი დაუჭირა სხიველმა —
კაპარავამ:

— არა მგონია, საქართველოს მუშა-
თა კლასს არ შეეძლოს გაჭირვების ატა-
ნა და ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის,
იდეისათვის. ასეთი ბრალდება მას
არ დაუმსახურებია. საქართველოს მუ-
შათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის
მულამ მოწინავე რაზმთაგანი იყო, იგი
გმირულად იბრძოდა და მულამ მზად
იყო იდეისა და უკეთეს მომავლისათვის
საბრძოლველად. მაშ რა მოუვიდა მას
ახლა? რად არის იგი უკმაყოფილო ჩვე-
ნით და რად გვებრძვის ჩვენ? ჩვენი
მთავრობა ხომ მუშათა კლასის მიერ

არჩეული სოციალისტური მთავრობა არის? მაშ, რა სურთ მუშებს?

— პური და არა იდეა, — ურცხვად მიუგო რამიშვილმა მენშევიკებისადმი ოპოზიციის მიყოფ სხიველს კაპარავას, — იდეას ჩვენ უხვად ვაწვდით მუშებს, პურს კი ვერა. საქართველოს საკუთარი პური ამჟამად არა აქვს. საბჭოთა რუსეთი პურს არ გვაძლევს. ევროპას პური თვითონვე უჭირს. ამერიკა შორს არის. იდეისათვის ვაპირებთ და უპურობის ატანა კი ჩვენ მუშებს არ სურთ. ასეთი ვახლავთ მდგომარეობა. როგორ გვიბრძახებთ: პულისათვის იდეა დაეთმოთ?

— ჩვენ ორ ცეცხლს შუა ვართ, — უთხრა რამიშვილს კაპარავამ, — მოდით, როგორც წინათ, ისევე რუსული პური ეჭმოდით... რა ვუყოთ, რომ რუსეთში ახლა ბოლშევიკები მოღვაწეობენ... ნუთუ მათთან საერთო ენა არ გამოიძებნება? მაშ რად დაიდეთ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება? ჩვენ არც საბჭოთა რუსეთს და არც იმპერიალისტურ ანტიხატს ვეკედლებით. მაშ რა გზა უნდა ავირჩიოთ?

— არჩევანი დიდხანია უკვე რაც მოვახდინეთ: აზიურ ფანატიზმს, ანარქიას ჩვენ ზურგი შევაქციეთ და ევროპისაკენ მიმავალ გზას დავადექით, — მიუგო ევროპელი.

— ასეთი არჩევანი ჩვენ მოვახდინეთ მაგრამ ხალხმა? მუშებმა? — კითხვა კაპარავამ. ევროპელი გაბრაზდა და დიდი ხნის ნაფიქრი წამოკცდა:

— მუშები ფარაა, რომელსაც არჩევნებზე ხმის მისაცემად მიერეკებიან.

— ნოე ნიკოლოზის ძეგ!.. — წამოიძახა ევროპელი. აბათუშინის მთებში, დიდი მთავრის გიორგი რომანოვის სასახლის წინ, კიშკართან მდგარ, მხრებ-აჩეილ, გაბრაზებულ, გამხდარ და მოხუც პრეზიდენტს გაოცებით მიაშტერდა და მასთან კამათს მოერიდა.

ევროპელი თავის ნათქვამის გამოწერებას შეეცადა. მან საზოგადოებრივ ექსპედიციის თანამშრომლობაზე, სოლიდარობაზე და მთელი ერის, ხალხის და „დემოკრატიის“ ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაზე ილაპარაკა და თავისებურად დაამტკიცა თუ რად იყო უკმაყოფილო საქართველოს მუშებით და რამ ათქმევინა მას: მუშები ფარაა, რომელსაც არჩევნებზე ხმის მისაცემად მიერეკებიანო. მაგრამ მისი ნათქვამი

ევალივით მოხვდა გულზე ვერბიციის, ქორიძის, დაღვაძის და კაპარავას. რამიშვილი, ჩხენკელი, მაყაშვილი, კუტალაძე და სხვანი კი ევროპელთან ნათქვამს აქებდნენ და აღიდგინდნენ. კუტალაძემ იმ ნათქვამს „ისტორიული მნიშვნელობის ფორმულა“ უწოდა. მაგრამ პრეზიდენტმა აღტაცებული სენატორი დაიბარა და იმ „ფორმულის“ ხალხში გავრცელება აღუკრძალა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ევროპელი მის თავისი უმსგავსო მოსახრება ევროპაში საჯაროდ გაიმეორა.

4

ევრბიციის ძილი გაუკრთა. ფოსტის წიხ, ხილზე გავიდა და მდინარის მარჯვენა მხარეს, ალვის ხეივანში გაისეირნა. მოჭარბებულ ფიქრებისაგან თავი სტკიოდა. „ნუთუ კაბინეტში, სასახლეში ჩაეკეტილი და ხალხს მოწყვეტილი პრეზიდენტი თავის რესპუბლიკის ნამდვილ ცხოვრებას, მუშებისა და გლეხების საშინელ გაპირებას არ იცნობს, ვერ ხედავს და მართლა ჰგონია, რომ „დემოკრატიული სამოთხე“ შექმნა? ნუთუ ვერ ხედავს, რომ საქართველო ნამდვილ ეკონომიურ კატასტროფამდე მივიდა?! ან საიდან უნდა ხედავდეს, როდესაც საშინელი რამ განაცხადს: მუშები ფარაა, რომელსაც არჩევნებზე ხმის მისაცემად მიერეკებიანო... აი, სოციალისტი!“ — ასეთ ფიქრებში იყო გართული ევრბიციი... მას კიდევ უფრო ატყვიდა თავი. შეცივდა. მაზარის დილები შეიკრა და ალვის ხეს მხარით მიეყრდნო. აგარაკებში ნაეთის ლამპები ჩაქრით და ქუჩაში ბნელოდა. მხოლოდ აქა-იქ კიმიკიმობდნენ ვარსკვლავები ერთმანეთზე მიჯრილ, მკაღლ მთებს შორის გამოჩენილ ცაზე. ვიწრო ხეობას პატარა მდინარის ხმაურობა ავსებდა „საიდან სად მომიყვანა ბელოა საქართველოს განაპირა კუთხეში, აბასთუ-მანში, თურქეთის საზღვართან“. — ფიქრობდა ევრბიციი.

ევრბიციი ალვის ხეს მოშორდა და ისევ ხეივანს გაჰყვა. ჩაბნელებულ ხეივანში, გრძელ სკამზე მჯდარი კაცი შენიშნა. სიბნელეში ვერ გააჩნია ვინ იყო და წინ ჩაუარა... ცოტა ხნის შემდეგ მოიხედა, უცნობი ნიღო ნაბაჯით მოჰყვებოდა უკან. ევრბიციი ალვის ხეს მოეფარა და მაზარის ჯიბეში ჩაიყო

ხელი. უცნობი მოუარიდებლად მივიდა მასთან და უთხრა:

— ძია ვანო, რა არის, ამ შუალამეს რომ დასეირნობთ ხეივანში? — კორნელი ვერბიციის რატომღაც „ძია ვანოს“ ეძახდა.

— კორნელი, თქვენა? არ დამეძინა და ჰაერზე გამოვედი. თქვენ კი რას დაეხეტებით, მუშამ არ მოგასვენათ?

კორნელიმ დაცინვად მიიღო ვერბიციის შეკითხვა და რადგან რამიშვილისა და მაცაშვილის ნახვის გამო აღრეხილ გუნებაზე იყო, უხეშად მიუგო:

— თქვენ კი რა პირი გღრღნით, ალვის ხეს რომ ეყუდებით და ჰგოდებთ? — საგოდებელი არა მკირს რა.

— ცუდი რამ ხომ არ უთქვამთ თქვენთვის ფორდანიას და რამიშვილის? თქვენ რალაც უგუნებოდ ხართ.

— ჰო. მომწყინდა აბასთუმანში... უმეგობროდ... უსაქმოდ...

კორნელი და ვერბიციი იქვე გრძელ სკამზე დასხდნენ. ვარსკვლავების შუქზე ვერბიციის ღია-წაბლისფერი თვალები მძაფრად ანათებდნენ. სინამდვილეში მძაფრად გაისმოდა მდინარის ხმაური... კორნელიმ ნაღვლიანად უთხრა ვერბიციის:

— აი, ჩვენ მარტონი ვართ ამ მუნჯ ხეობაში მთელ მსოფლიოს მოწყვეტილნი. ჩვენ თითქმის სრულიად არ ვიცნობთ ერთმანეთს და მაინც უხილავე ძალა გვეზიდება ერთმანეთისაკენ, რამ გადმოგაგდოთ თქვენ აბასთუმანში, ვითომ ჭლუქმა?

ვერბიციი შეკრთა და ჰკითხა:

— მაშ?

— თქვენ ჯანსაღი კაცის შეხედულება გაქვთ...

— მერმე რა? კლუქიანი შეიძლება მეტად მსუქანიც იყოს, თქვენ კი რამ გადმოგაგდოთ აქ?

— მეც კლუქის მეშინოდა, მაგრამ ჩემი შიში ამო აღმოჩნდა მე ჭრილობამ და ციხემ გამლახა...

— ციხეში რა გინდოდათ?

— შემთხვევით დამაპატიმრეს.

— ვითომ შემთხვევით?

— მაშ?

— ასე ვიფიქრე: იქნებ მართალს არ მეუბნება, ფრთხილობს მეტყი. რისთვის გამოიქვეითა და არ ინებეთ თქვენს ქვეყნის ხელმძღვანელებთან მისვლა და მათი სანატრესო საუბარის მოსმენა? განა არ იცნობთ მათ? აკი მიესალმეთ?

კორნელიმ მოულოდნელად უცნაური რამ უთხრა:

— ჩემი ქვეყნის ნამდვილი მსგავსებელი ვანები და ბატონ-პატრონები კორნელიანამ და რამიშვილმა დააპატიმრეს, ციხის ჯურღმულებში ჩაპყარეს და გადაასახლეს, მაგრამ ავიწყლებათ, რომ საპატიმროებიდან მათ სასახლეებამდე, ხელისუფლებამდე — და პირიქით, მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

ვერბიციი შეკრთა და ჰკითხა:

— რისთვის ამბობთ მაგას?

— საქმისათვის.

— არ გეშინიათ დაპატიმრებისა?

— მე გარედაც პატიმრად ვგრძნობ თავს ჩემს სამშობლოში. რისა უხდა მე-შინოდეს?

— სიფრთხილეს თავი არა სტკივა...

ვერბიციი წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და კორნელის უთხრა:

— წავიდეთ, უკვე გვიან არის. აცივდა.

— ძია ვანო, თქვენ ძალზე ფრთხილი კაცი ყოფილხართ, — შენიშნა კორნელიმ. წამოდგა და განაგრძო: — ხომ არ გწყინთ, „ძია ვანოს“ რომ გეძახით? შარშან თბილისში მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლებს ვესწრებოდი. ჩეხოვის პიესაში ერთი მსახიობი **Дядя Ваня**-ს თამაშობდა. მასაც სწორედ ასეთი გრძელი წვერი ჰქონდა, როგორც თქვენ.

ვერბიციიმ გაიღიმა.

— თქვენ არაფერი საერთო არა გაქვთ „ძია ვანოსთან“. თქვენ განათლებული და ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანი ბრძანდებით. რათ გინდათ, ამოდენა წვერს რომ ატარებთ?

— ისე. ცხოვრებულ მამაჩემსაც სწორედ ასეთი წვერი ჰქონდა...

— მამათქვენი ძველი თაობის და ეპოქის კაცი იყო. მას შეჰფეროდა ალბათ ასეთი გრძელი წვერი.

ვერბიციის გაუკვირდა, ჩემ წვერს რას ჩააცივდაო. კორნელი კი არ ეშვებოდა:

— იცით, სრულიად არ გიხდებათ ეგ წვერი. გრძობავეთებულსა ჰგევხართ.

— საკვირველი კაცი ხართ თქვენ. ჩემ წვერს რას ჩააცივდათ. — უთხრა ვერბიციიმ. ხელი მკლავში გამოსდო და ხეივანში წაიყვანა. კორნელიმ შეამჩნია, ვერბიციი რომ ოდნავ კანკალებდა.

5

მენშევიკური მთავრობის და მისი ამაღლის წასვლის შემდეგ, სენატორები და აბასთუმანში დარჩენილი თითო-ორიოლა მოაგარაკენიც აიბარგნენ და ყველანი წაიდ-წამოვდნენ. ეტლები ბორჯომიდან და ახალციხიდან აბასთუმანში აღარ ჩამოდიოდნენ. აბასთუმანში კი ეტლი, ფურგონი და ორთვალაც არ იშოვებოდა და კატოს და კორნელის გამგზავრების საკითხი მეტად გართულდა. სტეფანე ბათუმის გიმნაზიის გამგედ დავინშნათ და შეპირებისამებრ აბასთუმანში ვერ ჩავიდა. მოუხერხებელმა, უმწეომ და მგზავრობაში გამოუცდელმა კატომ აღარ იცოდა ბორჯომში როგორ ჩასულიყო. კატო შეშინდა და თავგზა დაებნა. კორნელიც უმწეო აღმოჩნდა, და ნემსებზე იჯდა. ეტლის ცდაში კი დრო აღუწედა, გულისდაღონებლად მიდიოდა და მოაგარაკენი დელავდნენ და ნერვიულობდნენ.

სექტემბერი ილეოდა. საგრძნობლად აცივდა. ღამით სახურავები და ხეები თრთვილითა და ქირხლით ითოშებოდა და გუბეების ზედაპირი იყინებოდა. ვიწრო ხეობაში, მდინარის პირას ჩარაზმული ალვის ხეები წარმტაც სანახაობას წარმოადგენდა. ალვის ხეებს არა მარტო კენწეროები, არამედ ღერომდე გაუყვითლდა ახლა ფოთლები, თითქო ქარვისფერი საბურავი წამოსხესო და მზიან ამინდში გაშუქებულნი ერთბაშად აბრიალებულ ჩირაღდნებსა და კლაპტრებსა ჰგავდნენ. ნაძვსა და ფიჭვში აქა-იქ გარეული ფოთლოვანი ხეები მთის კალთებს ყვითლად და წითლად ამკობდნენ და კორნელიც მათი ჰერეტით ვერა ძღებოდა. მაგრამ მალე ამინდი შეიცვალა, კიდევ უფრო აცივდა, მთები ნისლით დაიბურა და საქვრეტიც არ იყო რა.

კატოს ნერვები მოეშალა. დარდობდა. თავისთავს უწყურებოდა, ჰყვედრიდა, თაფლივით დამტკბარ შემოდგომის დღეებს რომ დაეხარბა და მაშიდაშვილთან ვარლამ კოტალაძესთან ერთად არ წაეიდა აბასთუმანიდან. მახლს საყვედურს ეუბნებოდა: შენს გამო ჩავერი აბასთუმანშიო. კორნელი გაბრაზდა და ჩალვადრებს ახალციხეში კინალამ არ გაჰყვა. ბოლოს ოფიცერმა აპოლონ ნო-

ზაძემ თავისი ასეულის ფურგონი გამოითხოვა ახალციხიდან და კატო, ვენერა, ილიკო და კორნელი გაისტუმრა.

აბასთუმანში ჩარჩენილი მოაგარაკენი დილით გავიდნენ. კორნელი კოფოზე დაეჯდა, სადავეები აიღო და მაღალი, თეთრი ცხენები დასძრა. გვერდით აპოლონ ნოზაძე ეჯდა. კატო, ვენერა და ილიკო კი ფურგონში ბარჯზე ისხდნენ.

მთებს ნისლი აეყარა, მაგრამ მაინც მოღრუბლული და ცივი დღე იდგა. კორნელიმ აბასთუმანი უკახ დატოვა და ახალციხისაკენ მიმავალ დაღმართს დაადავა. მარჯვნივ და მარცხნივ ნაძვითი და ფიჭვით დაბურული, მაღალი მთები ამართულიყვნენ. შემოდგომას უცნაურად და წარმტაცად შეეშკო ისინი. წიწვიან ტყეში გარეული ხეების — მუხის, წიფელის, ვერხვის, არყის, შინდის, მათალის, შქერის და ბუჩქების — ენელის, ვალოს, კატა-ბარდისა და ეკალი-ლიქის ყვითელი, ალისფერი და სისხლივით წითელი ფოთლები, კლდეზე აცოცებული სურო და უსურავი, ლოდს მოკიდებული ქანვისა და აგურისფერი ზავსი, ახოებში ნაზარდი ბალახები — ვაციწყვრა, ირმის ენა, დეკა, ღვია და გზის პირას დაშხდარი ყვავილები ნაირნაირად აფერადებდნენ მთის კალთებს, თითქო უცხოდ მოქარგული ხალიჩები მიჰყვნიათო. კორნელი აღტაცებით მისჩერებოდა მთებს და თვალს ვერა სწყვეტდა... ცხენები კი გზის მარჯვენა და ხახ მარჯვენა ნაპირისაკენ იწევენენ, კორნელის სადავეებს ართმევდნენ, დაღმართზე ჰგებდნენ მიდიოდნენ და ფურგონს უფსკრულთის პირას მოაქროლებდნენ. ქალები წივილ-კივილს იწყებდნენ, შიშისაგან სული ეპარებოდათ და აპოლონის ეხვეწებოდნენ, სადავეები გამოერთმია კორნელისათვის. ბოლოს გაათავდა უცხო და წარმტაცი ფერებით შემკული მთებიც.

ფურგონი ვაკეზე გავიდა. სოფელი წახანი და ვარხანი გამოჩნდა. მგზავრებმა ხეხილით საეცე ბალებს ჩაუარეს. გლეხები ქირნახულს იწევენენ. ბაღში ვაშლისა და მსხლის ხეებს უხვი ნაყოფის ზგვისაგან დაუძლურებული ტოტები მიწისაკენ დახნიქოდათ. გოგობიჭებს კიხეები მიეყუდებოდათ ხეებისათვის, ზედ გასულიყვნენ, მწიფე ნაყოფს ჰკრეფდნენ და კალათებსა და გიდელებში ალაგებდნენ. ეზოებში მსხლისა

და ვაშლის მთელი გორები იღვა. მგზავრებს უკვირდათ და უხაროდათ უხვი მოსავლის ხილვა, ხოლო უხვი მოსავლის პატრონები კი სწუხდნენ, რადგან ცხენები და ხარები არა ჰყავდათ და საშუალება არა ჰქონდათ ხილი ახალციხეში, ბორჯომში და თბილისში ჩაეტანათ და იქ გაეყიდათ. მენშევიკების ადგილობრივი ხელისუფლება — ერობა კი გლეხების მიერ მოწვეულ ჭირნახელის შექმნაზე არა ფიქრობდა და მისი თავიც არა ჰქონდა. ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელი — კომისრები და მილიციის უფროსები, თავისი ხალხით, დროდადრო ჩამოუვლიდნენ სოფლებს, გლეხებს ჭირნახელს უსასყიდლოდ ართმევდნენ, სტაცებდნენ, სცემდნენ და სიკვდილის პირზე აყენებდნენ.

კორნელიმ ცხენები დააყენა. ის და აპოლონი ბალში შევიდნენ, ხილი იყიდეს და ქალებს მსხლითა და ვაშლით საესე კალათები მიუტანეს. ყველანი ახლად დაკრფილ, მწიფე და ყვითელ ვაშლსა და თაფლივით ტკბილსა და წვნიან მსხალს — გულამს დაეხარბნენ. კალათები ფურგონში დააპირქვავეს და დასცალეს.

მგზავრები ვარხანიდან გავიდნენ და ახალციხის გზას დაადგნენ.

ახალციხეში კატომ, ვერამ, ილიკომ და კორნელიმ ერთი დაიჭირეს, აპოლონი ნოზაძეს დაემშვიდობნენ და ბორჯომისაკენ გასწიეს. გამზდარმა, გულდამწვარმა შინაბერა ქალმა ვენერამ თან წაიღო ქაბუკი ოფიცრის — აპოლონი ნოზაძისადმი სიყვარული და მიულწიველი ტრფილის ზაფრა, რის გამო გზაში ანჩხლობდა, კაპასობდა, კატოს, ილიკოს და კორნელის გული გაუწყვალა და დაბადების დღე დააწყევლინა.

მატარებელი ბორჯომიდან გვიან ღამით ჩავიდა ხაშურში. კატო, ვენერა და

ილიკო ქუთაისისაკენ გაჰყვინნენ მატარებელს, კორნელი კი თბილისისაკენ.

კატოს მაინცდამაინც მარჯნაბრებდა გიმნაზიის დირექტორად ბათუმში სტუდენტს დაინშენა. იგი შეჩვეული იყო ქუთაისს და შეჩვეული ბუღის აყრა და ბათუმში გადაბარება შიშის ზარსა სცემდა. კუპეში თავჩალუნული და მუნჯად მჯდარი შინაბერა ვენერა, ბედოვლათი და ბეც თვალბზე პენსნეგაკეთებული ილიკოც ბათუმში უნდა წაეყვანა. სად არ ათრევდა გასათხოვარ დასა და საცოლშვილო ძმას კატო ვენერას გარდა, კატოს კიდევ ოთხი დაჰყავდა. ამათგან კატოს მომყოლი იყო გათხოვილი, სამს კი არაფერი ეშველა. «ვენერა უკვე ოცდაათ წელს მიღწეული ქალია. ნეტავ იმ შეჩვენებულ აპოლონი ნოზაძეს ეთხოვა», — ფიქრობდა კატო და მხედველობაში არ იღებდა იმ გარემობას, რომ ის დრო, როდესაც იგი სტუდენტად შეირთო, სამუდამოდ გაფრინდარეველოციისა და მას შემდეგ, რაც მენშევიკური საქართველო რუსეთს ჩამოშორდა და ევროპასაც ნივთიერად ვერაფერი გამოსტყუა, ქართველი ვაჭრები გაკოტრდნენ, ხოლო გაკოტრებულნი ვაჭრების ქალებისაკენ არამც თუ ღარიბი სტუდენტები და ოფიცრები, არამედ ნაძირალებიც კი არ იხედებოდნენ. ილიკოც საცოლშვილო კაცი იყო. მაგრამ ეს ხელით სათრევი ძმაც ვერ ახერხებუდა ცოლის შერთვას. აბასთუმანში ვარლამ კურტალაძის მეგობარი, ექიმი იუზა კოკოჩაშვილი და მისი დაი, უნივერსიტეტ დამთავრებული, ლამაზი ქალი ალისა ისვენებდნენ. კატომ ყოველგვარ ხერხს მიჰმართა, რომ ალისა და ვარლამი დაეახლოვებინა, მაგრამ ვარლამი თვალში არ დაუჯდა ალისას. კატო დიდად შეაწუხა ამ გარემობამ. მასში, ისე როგორც მის მშობლებზე გულში, ცეცხლი ტრიალებდა.

თ ბ ი ლ ის შ ი



რა ვარდმან თვისი ყვავილი
გააზმოს, დამწნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღაროსა.

რ უ ს თ ა ე ვ ე ლ ი

I

მატარებელი დილის ათ საათზე ჩაეი-
და თბილისში. კორნელიმ ეტლი დაიჭი-
რა. ქალაქში ჯერ კიდევ ცხელოდა, სექ-
ტემბრის მზე უმოწყალოდ აჭერდა და
მთიდან ჩამოსულ მოაგარაკეს სული
ეხუთებოდა... ეტლი სახაპირო ქუჩაზე,
გიმნაზიის ეზოს ჭიშკართან გაჩერდა.

კვირა დღე იყო. კორნელის მეეზოვე,
თეთრწყვერა გაბრიელ დოლენკო შეე-
გება. მოხუცს სიხარულისაგან ცისფე-
რი თვალები აუციმციმდნენ, სიბერეს
ალარ მიჰხედა და ჭიშკრისაკენ ჰბაუჯი-
ვით გაიქცა. კორნელისაც გაეხარა და მი-
სი ნახვა, მიესალმა, ხელი ჩამოართვა
და ჰკითხა!

— Как дела?

— Как сажа бела! — მიუგო მოხუ-
ცმა და ეშმაკურად გაუღიმა. მას ყურე-
ბიანი ქული, ქურქი და ქეჩის ჩექმა
სულმთლად დაჰხეოდა და ძალზე გამხ-
დარიყო. სახეც უფრო დანაოკებოდა
და ცალი თვალი ეცრემლეოდა. კორნე-
ლის შეეცოდა და ისევ ჰკითხა:

— Как живем?

— Хлеб жуем! — მიუგო მოხუცმა
და ისევ ეშმაკურად გაუღიმა... — საცო-
ხნელიც არაფერია! ბური ქალაქში აღ-
არ იშოვება. შიმშილით სული გვჭერება.

მიუხედავად სიღატაკისა და შიმში-
ლისა, მოხუცი მაინც ოხუნჯობის გუნე-
ბაზე იყო და იხტიბარს არ იტეხდა. მას
ქარაგმიანი, გადაკრული ლაპარაკი უყ-
ვარდა. იგი მხიარული მოხუცი იყო.
გაბრიელმა ეტლიდან ბარგი ჩამოიღო
და შინ შეიტანა. დერეფანში მისი ცო-
ლი მზარეული ქალი — კატია შეეფეთა
კორნელის.

— ჩამობრძანდით?! ო, როგორ გა-
სუქებულხართ! — იყვირა კატიამ.

კორნელიმ დეიდა ელენე და დათა
მოიკითხა. ელენე და დათა ქალაქში წა-
სულიყვნენ.

როდესაც კორნელიმ თბილი ტანისა-
მოსი გამოიცვალა და ოთახი ოდნავ მია-
ლაგა, დეიდას ბინიდან ხმაურობა, სკა-
მისა და მაგიდის დაცემის, მტერევის

ხმა და ყვირილი შემოესმა. იგი უმალვე
დერეფანში გაიქრა. კატიამ იკივლა და
სამზადიდან მოაძახა:

— უშველეთ, მოჰკლავენ ერთმანეთს.
კორნელი კაბინეტისაკენ გაიქცა. კა-
რები შეაღო და უცხაური სურათი დაი-
წახა. მალაღ, აკანქულ, ფართოსანიან
და შავგვრემან ბიჭს ხელში დანა ეჭირა
და მკვრივ ჩასკვნილ და ქერა მოწაფი-
საკენ იწევდა. ქერა მოწაფეს სკამისა-
თვის ხელი დაეველო და დახიან ბიჭისა-
გან თავს იცავდა. მესამე — შავგვრემა-
ნი, მსუქანი და ბუთხუზა მოწაფე კუთ-
ხეში ატულულოყო და შიშისაგან ჰკან-
კალებდა.

— დააგდე დანა, — შესძახა კორნე-
ლიმ აკანქულ ბიჭს, რომელსაც ქერა
მოწაფისათვის უნდა ჩაეცა დანა. ბიჭმა
გეზადშეყრილი წარბები შეათამაშა
და ნადირის ლეკვივით გაავებული,
ცეცხლისმფრქვევი თვალები შეანათა
კორნელის და ისევ გაიწვია. კორნელი
ძვიდა, მაჯაში სტაცა ხელი და დანა
წაართვა. ბიჭი ბრაზისგან გაიგუდა და
ცრემლები ჩამოჰყარა. მერმე თათრუ-
ლად შეიგინა და კარებს ეცა. კორნე-
ლი წინ გადაეღობა და არ გაუშვა.
მზარზე ხელი დაადო, მოეფერა და
ჰკითხა:

— დამშვიდდი. მითხარი, რა მოხ-
და? — ბიჭმა ისევ ავად შეხედა და
მბრიდან ხელი გადააგდებინა.

— ნუ ცხარობ. დამშვიდდი, — ისევ
გაუმეორა კორნელიმ და ჰკითხა: —
სად იშოვე ეს დანა?

— საშაღში. — შავგვრემანი და მტი-
რალი ბიჭის მაგიერად მიუგო შეშინე-
ბულმა და გაფითრებულმა კატიამ, თე-
თრი თმა გაისწორა და გადავარდნილი
თავშალი საჩქაროდ დაიხურა. ხველა
აუვარდა, გაწითლდა და თვალები ბუ-
დიდან კინაოამ არ გადმოსცვიფლენ.
იგი ლაპარაკს ვერ ახერხებდა, იხარო-
ბოდა და ერთსადაიმავე სიტყვას იძახ-
და: — სატანა, სატანა, სატანა!

— რისთვის ჰკლავდი ამხანაგს? — ჰკითხა კორნელიმ მტირალ ბიჭს და სამზადის დანა კატიას გადასცა. რა წამს კატიამ ხელთ იგდო დანა უშალვე აღმართა იგი, თვალები შეშლილივით გადმოკარკლა, მტირალ ბიჭთან მიიჭრა და შესძახა:

— უხ, შენ... მამამაგლო...

ბიჭი ნადირის შეშინებულ ლეკვით მოიკურთა.

კორნელის ძალიან გაუკვირდა კეთილი და შშვიდი ქალის ასეთი უცუარი გაგიჟება. ახლა ამ გაგიჟებული დედამბრის დამშვიდება დაიწყო, მერმე მტირალ ბიჭს ჰკითხა ისევ:

— რისთვის ჰკლავდი ამხანაგს?

ბიჭი ხმას არ იძებნა. მამინ ქერა და გაჭარბებულმა მოწაფემ იატაკზე დასდო სკამი და მტირალი ბიჭის მაგივრად მიიღო:

— ჭიდაობაში გამომიწვია. სამჯერ წავექციე მაგრამ არ იყაბულა. გაბრაზდა. წამჩხუბა და დანით მომეარდა...

— არა გრცხვენიათ, ბიჭებო, — მიჰმართა კორნელიმ სამივე მოწაფეს. — არამც თუ ჭიდაობაში, არამედ მუშტიკრივშიც გიმნაზიელებს რომელიმე ამხანაგი თუ მოგვერეოდა და გავლახავდა, ჩვენ წესად გექონდა შერიგება. გამლახველი და ვალახულიც ერთმანეთს ხელს ვართმევდით და ისევ მეგობრად ვრჩებოდით, რადგან კარგად ვყოფილით, რომ მჯობნის მჯობნი ამა ქვეყნად არ დაილეოდა... ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა, — დაიწყო კორნელიმ და შუა ოთახში დიდ მაგადასთან დაჯდა. ქერა გიმნაზიელი, მის მიერ წაქცეული მოწაფე და კეთხოში ატუხული მსუქანი ბიჭიც დასდგნენ.

კორნელიმ უშალვე წესრიგი და სიმშვიდე დაამყარა და ახლა განცვიფრებული უცქეროდა დეიდას ნორჩ მღვმურებს. მკვრივი და ჩასკვნილი ქერა ბიჭი, მეხუთე კლასის მოწათე კოტე გოგოტიძე თხუთმეტი წლის იქნებოდა. იგი კეთილად ილიბებოდა და ცისფერი თვალებით მიშტერებოდა კორნელის. მის მიერ წაქცეული ბიჭი — მეხუთე კლასისავე მოწაფე მამედ ჯაფაროვი თავჩაკიდული იჯდა და კორნელის ნაამბობს უსმენდა. ხოლო ირანელი ხანის შვილს, რეალური სასწავლებლის მოწაფეს გულიმჯანს ფხსაიმელი გაქმრო, წინდების ამარა საწოლზე ასლიოყო და ფეხები მოეკეცა. გულიმჯანს დუთმასავით წაგრძე-

ლებული თავი, თხემზე დატოვებულ ქოჩორი, ცხვირის საძირკველის ხევით შეერთებული, შავი და აძვიბული წარბები, ბავშვსავით გაბუმტული ლოყები და კრანხანას ნაკბენივით შესივებული და აბზეცილი ზედა ბავე ჰქონდა, რომელზედაც ძლივს შესამჩნევი უღვაშის ბუსუსები ეს-ეს არის ამოსვლოდა. იგი შავი, მიზნული, დამტკბარი და უუნებო თვალებით უსმენდა კორნელის. გულიმჯანს საწოლთან მთელი ლაბორატორია გაემართა. კედელზე თუნუქის პატარა ლამპა და ამის ზემოთ რკინის რგოლი მიიქედნა და ზედ პატარა ჩაიდანის დაეგდა. ირანელი ბიჭი უჩაიოდ ვერა სძლებდა, კედელზე მიქედებულ და ჩაწეულ ლამპის თავზე მუდამ შიშინებდა ჩაიდანს. როდესაც ელენემ კაბინეტში გულიმჯანის მიერ მოწყობილი ლაბორატორია პირველად ნახა, თავზარი დაეცა. კედლის გაფუჭებას ვინ ჩივის, ხანძარს გააჩენს ეს ბიჭიო, იყვირა; მაგრამ გულიმჯანი წელზე მოეხვია, თავი ბავშვივით მიაღო მკერდზე, მოეფერა და შეევედრა, მისი ნაოსტატები არ დაენგრია. გულიმჯანს მდიდარი ირანელი ვაჭრის რახმანოვის დიდ მალაზიიდან უამრავი ხმელი ხილი, ლედანის ჩირი, ნუში, ჩურჩხელი, მურაბა, ხალვა, რახათ-ლუხუმი და ნაირნაირი ტკბილეული გამოჰქონდა ნისიად, რითაც დეიდა ელენეს და მის მღვმურ მოწაფეებს — მამედ ჯაფაროვს და კოტე გოგოტიძეს ალაღებდა. მის სასთუმალთან, სკამზე მუდამ საჩაივ ქიჩები, შაქარი ტკბილეულით საესე თევშებით იდგა და ყურანი, ირანული ზღაპრების, მოთხრობების, იგავებისა და ლექსების წიგნები ელაგა. ფეხმოკეცილი გულიმჯანი საღამოს და განთიადის ეამს ჩუმად, გამღერებით და უკუღმა კითხულობდა არაბულ ენაზე დაწერილ ყურანს, რაც ძალზე უკვირდა კოტე გოგოტიძეს. ყურანისა და ირანული წიგნების კითხვა გულიმჯანს მამამ ასწავლა. გულიმჯანის მამა ქურთებით დასახლებულ ირანის ერთ-ერთი პროვინციის გუმბერნატორი იყო, რომელმაც ომს, არეულობას და მოსისხლე მტრებს განარიდა თავისი ერთადერთი შვილი. პირველი მსოფლიო ომის დროს მამამ გულიმჯანი ბაქოში ჩაიყვანა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციისა და ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შე-

მდეგ კი განჯაში.. როდესაც განჯაც გაწითლდა, მამამ გულიმჯანი ირანში არ წაიყვანა, რადგან იქ სისხლი მართებდა, შვილის მოკვლისა ეშინოდა და ამიტომ თბილისში გახიზნა. აქ მდიდარი ვაჭრის რახმანოვის რჩევით, აგვისტოს ბოლოს, მან გულიმჯანი დათა მიქელაძის სახლში დააბინა და კარგ ფასსაც იხდიდა. შვილთან ხანი რახმანოვის საშუალებით იქერდა კავშირს. გულიმჯანს მდიდრულად ეცვა, ფულს აბნეევდა და თუთხმეტი წლის ბიჭს, რომელსაც უღვაშები ახლახან ამოწვევროდა, თავი დაკაცებული ეგონა, იკიბებოდა, ფახიფუხობდა, ღვინოს სვამდა და თვალი გოგოებისაკენ ეჭირა. იგი მეტად სასაცილო იყო. კორნელი მას დაცინებით „გულიმჯან ეფენდის“ ეძახდა. გულიმჯანი არსებითად კეთილი ბიჭი იყო, თუმცა ირანელი ხანების ცბიერება,

მლიქვნელობა, პირფერობა და ვერაგობა ძველსა და რბილში ჰქონდა გამგდარი. იგი ჰირვეული და, თავისი ყოფაცხოვრების მიხედვით, ძნელად ასატანი იყო, კოტე გოგირტაძეს და მამედ ჯაფაროვს ხშირად თავს აბეზრებდა და ესენიც საცემად იწვედნენ, მაგრამ გულიმჯანი ფულითა და ტყბილებით, რახმანოვის მაღაზიიდან გამოტანილ რახათ-ლუხუმით თათლავდა მათ. მამედ ჯაფაროვიც ბორჩალოელი მდიდარი ბეგის შვილი იყო. აზერბაიჯანში, ბაქოსა და განჯაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თავისი შვილი ბეგმაც თბილისში ჩამოიყვანა დათა მიქელაძის სახლში და გიმნაზიაში მოაწყო. კოტე გოგირტიე კი ელენეს დის, ოზურგეთში გათხოვილი ჭალის თამარის მეგობრის შვილი იყო, მკვირცხლი, მარდი, ძალოსანი, გულკეთილი და გულმართალი მხიარული ბიჭი. აი სწორედ ესენი—გულიმ-რიზა-ხან თაიროვი, მამედ-ბეგ ჯაფაროვი და კოტე გოგირტიე იყვნენ ახლა ელენეს მდგმურები.

როდესაც ელენე ქალაქიდან დაბრუნდა, კორნელი გადააკოცნა და აბასთუმანის ამბები გამოჰკითხა; დისწულმა ღიმილით უთხრა:

— დეიდაჩემო, შინ მოწაფეთა მთელი პანსიონი გაგიხსნია.

— შინ ვერც კი წარმოიდგენ, რა გაჭირვებაში ჩაუცვიდით თბილისილოზი, — დაიწყო ჩვილებრივი წუწუნი ელენემ, — ამაზე მეტი შიმშილი და

წყურვილი წარმოუდგენელია. მოდი და, პანსიონს ნუ გახსნი!

— ბევრ ფულს იხდიან შენი პანსიონერები? — ჰკითხა კორნელიმ.

— ფული რა თავში ვინალო! ფულნი რა ჰირად მინდა! ფულით ახლა თბილისში ვერაფერს ვერ იყიდი, — მიუგო ელენემ, — ვისაც სოფელში ადგილ-მამული შერჩა და იქ კაცი დატოვა, რომელიც მეურნეობას ეწევა და თბილისში თავის ბატონს სურსათ-სანოვავეს უგზავნის, იმას რა უშავს. სხვების საქმე კი წასულია. ისევ მე ვიძარჯვე და ცხოვრების ალო ავუღე. პანსიონი რომ არ გამეხსნა, ჩემო კორნელი, შიმშილით ამოწყდებოდი. ჩემი პანსიონერები მდიდრების შვილები არიან და მათი მშობლები ძღვენს მიგზავნიან და ახლა იმით ვირჩენთ თავს.

მართლაც, გულიმჯანის აბეჯენი რახმანოვი ელენეს ძღვენს უგზავნიდა. მაგრამ მამედის მამა — ბორჩალოელი ბეგი ჯაფაროვი, რომელსაც თავისი შეიარაღებული რაზმი ჰყავდა და აჯანყებულ გლეხებისაგან იცავდა ქონებას, ფარას, მამულს, ცოლშვილს და თავის საკუთარ თავსაც, პირდაპირ საწველ ფურად აქცია ელენემ. ჯაფაროვი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში უხვი ძღვენით, ან თავისი კაცს გზავნიდა გატენილ ხურჯინებით. ხურჯინში ფქვილი, ლობიო, ყველი, კარაქი, ნაზუქი, თაფლში მოზეულილი პურები, დაკლული ინდაური და სხვა პროდუქტები იწყო. თაფლში მოზეულილი პურები დიდხანს სძლებდა და დიდ საშუალებას აძლევდა ელენეს.

— ახლა ხომ გაიგე, რისთვის გაეხსენი პანსიონი? — ჰკითხა ელენემ კორნელის.

— ეს გაიგე და კარგადაც მოქცეულხარ. მაგრამ რა არის, დეიდაჩემო, თათრები რომ არ გეშვებინან? — მიუგო კორნელიმ.

ელენემ ტუჩები მოიკვნითა და გაფითრდა. მას ყოფილი თავისი მდგმური — ბაქოელი მრეწველი ნაგიევი მოაგონდა, რომელიც სახლიდან გაუგლო კორნელიმ. ცუდად წავიდა ქალბატონ ელენეს საქმე. ბაქოელ მდიდარ მრეწველის ნაცვლად ახლა ბორჩალოელ ბეგს, გაუთლელ და აყლაყულა კაცს ჯაფაროვს ეკორკურებოდა, რათა ძლიანი და საჩუქრები გაზოგოვებია. ბუხრის ქუდიანი და ქურქში გახვეული ჯაფაროვიც ხშირად დაიარებოდა ელე-

ნესთან, ოთახში ცხერის ღუმის სუნს აყენებდა, ვეება ლაშებში ღიმილი უთამაშებდა და გულში იმედი ესახებოდა. არც ეს ამბავი მოსწონდა კორნელის.

2

კორნელიმ უნივერსიტეტში სიარული დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტის ღერეფანში პირველად შევიდა, ამხანაგები—გიგო თავაძე, ბიძინა შარაბიძე და სხვანი ვარს შემოერთებულენ და გაოცებით უთხრეს: ეგრე რამ გაგასუქაო. კორნელი გოლიათივით დაიარებოდა დაჩივებულ თბილისელ ამხანაგებს შორის. ერთხელ შიტო ჩიკვაძემ ინახულა კორნელი და უთხრა:

— ხვალ, ღამის ათ საათზე მარო ფრუძესთან მოდი. ვანო მახათაძეს უნდა შენი ნახვა.

— ნეტავ რა საქმე აქვს ჩემთან ვანოს? — ჰკითხა კორნელიმ.

— არ ვიცი. მგონი ჟურნალის შესახებ უნდა მოგელაპარაკოს, — მიუგო შიტომ. კორნელი ღელავდა. იგი დანიშნულ დროზე მივიდა მაროსთან. კორნელიმ დარეკა და კარების გაღებას დაელოდა. მღლე კიბეზე მარო ჩამოვიდა, კორნელი გადმოვიდა, შინ შეუშვა და კარები ჩააკეტა.

— ვანო შინ არის? — ჰკითხა კორნელიმ.

— შინ არის, — მიუგო მარომ და გაულომა.

კორნელი აივანზე ავიდა და იქვე კიბის მახლობლად მაროს მიერ დაქირავებულ ოთახში შევიდა, მაგიდასთან შეეჭურთუქაში გამოწყობილი ვანო მახათაძე იჯდა. წამოდგა და კორნელის შესძახა:

— ო, ერთი ამას დამიხელებთ, რას დამსგავსებია! ნამღვილი ბაყბაყდევია! მეგობრებმა ერთმანეთი გადააკონცნეს.

— შეიგშინდა განა ქლექისა? — ჰკითხა ვანომ.

— კი არ შეიგშინა, დამინანა, — მიუგო კორნელიმ და ეწყინა, ვანო ძლიერ გამხთარა რომ თაოხვდა. — შენ კიდევ უფრო გამხდარხარ, თავს არ უკლი.

— ეგ არაფერი... აგარაჩე წასვლას და გასაქიბას მერმეც მოგესწრაბით. ახლა მაგისტრის არა გეცაოია. — ჩაიქინა ხელი ვანომ. მერმე სამიყენი ვანო,

კორნელი და მარო მაგიდის ორგულივ დასხდნენ. ვანომ კორნელის უთხრა:

— აგარაჩე შეგარგებია, მე აღრიცხე ვამბობდი, სპორტსმენს კლექი სხიდაა შეეყრებოდა-მეთქი მარომ კი შემაძინა: აბასთუმანში რომ ჩაეყვანე, ცუდად იყო... ციხემ როგორ გაატეხა, ბიჭო, ამრიგად?

— ციხემ კი არა, შეურაცხყოფამ და დარდა, — მიუგო კორნელიმ.

— რა დარდა? — ჰკითხა ვანომ.

— იცი, შიტოს და მე როგორ გეცემეს ციხეში, როგორ გეაწამეს არამხადებმა? სამაგიერო ვერ მივუხლებეთ, და ამ ბოლმამ და შეურაცხყოფამ დამახრჩო, — მიუგო კორნელიმ.

ვანო ჩაფიქრდა, შუბლი შექმუხნა და შენიშნა:

— შეურაცხყოფა რა შეაშია? განა არ იცოდა, მენშევიკების გვარდიელები და საგანგებო რაზმის ნაგაზები რა შეილბიც იყვნენ?

მაროს თვალები აუციმიციმდნენ და კორნელის შენიშნა:

— ეხ, ჩემო კარგო, რა არ შეხედება ბრძოლის დროს ადამიანს! გაკირვებას და წამებას უნდა გაუძლოთ და მან არ უნდა გასტეხოს ჩვენი რწმენა და ნებისყოფა...

ვანომ თავი ჩააკიდა, გამხდარ, სანთლისფერ ხელებზე დახედა და ისე უთხრა კორნელის:

— რაც იყო, ის შორია... წარსულზე დარდი არ გეშარბებს... ჩვენ კარგა ხანია, რაც აბასთუმანიდან შენ ჩამოსვლას ველოდით.

— შეც მოუთმენლად ველოდი თბილისში ჩამოსვლას, — მიუგო კორნელიმ, — ვერ წარმოიდგენ, როგორ მომენატრეთ მეგობრები... როგორ მომხეზრდა აგარაჩე უსაქმოდ ჯდომა.

— ჰო, და საქმეს მოვკიდოთ ხელი, — შენიშნა ვანომ. შუბლი ისევ შეიკმუხნა და კორნელის მიამტერდა. კორნელი მანინევი მიხვდა, ვანო რომ რალაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებოდა და ცდიდა. — გახსოვს, — განაგრძო ვანომ, — ერთხელ შენ ოთახში ჟურნალის დაარსებაში რომ გელაპარაკე?

— მასსოვს.

— ის კორნალი უკვე თაარსიბოლია. ჩაინ სასურველად მიგვანინა, შიგ თანამშრომლო.

მარომ კორნელის მალულად გადახედა. იგი მოუთმენლად ელოდა მის პა-

სუხს. ვანომ ისევ შეკუმხნა შუბლი და კორნელის წინადადება მისცა.

— იფიქრე, აწონ-დაწონე ჩემი წინადადება. ნურავის ეთათბირები ამის გამო, ხვალ ამ დროს ისევ მაროსთან მოდი და შენი პასუხი შეგვატყობინე.

— სახელოო რა მჭირს! მე მზად ვარ, თუ კი საარგებლობის მოტანას შევძლებ, ვითანამწრომლო ეურნალში, — მიუგო კორნელიმ.

ვანოს სახე გუბრწყინდა, გაიღიმა და უთხრა:

— მაშ, თუ მზად ხარ, კორნელი ჩემო, ზეგ დღის ორ საათზე საბჭოთა საელჩოში მოდი. ჩვენ კიროვთან ვეძენება შეხვედრას...

— კიროვთან! — წამოიძახა კორნელიმ.

— რა ძლიერ გაგიკვირდა?!

— კიროვი ისეთი დიდი ადამიანია...

— მე ვიცი, რომ დიდი ადამიანია! მერმე რა? ის ყველა ჩვენთაგანის ამხანაგი და მეგობარია.

— მართალი გითხრა, კიროვთან შეხვედრას და საუბარს თუ ველირსებოდი, არ შეგონა. ეს ისეთი მოულოდნელი და სასიხარულო ამბავია ჩემთვის, — აღტაცებით უთხრა კორნელიმ ვანოს.

როდესაც საქმიან საუბარს მორჩნენ, ვანომ ჰკითხა:

— სხვა, როგორ ატარებდი დროს აბასთუმანში?

— აბასთუმანში მოწყენისაგან სული ამომხდებოდა, ერთი რუსი რომ არ გამეცნო, — მიუგო კორნელიმ.

— ვინ იყო იგი? — დაინტერესდა ვანო.

— აბასთუმანში საექიმოდ ჩამოსული სოციალ-დემოკრატი, მეტად საინტერესო, განათლებული და კეთილი ადამიანი — ვერბიცი.

— კარგად იაქიმა, მოიკეთა?

— ვერ მოიკეთა, — მიუგო კორნელიმ, — იგი მოუსვენარი კაცი იყო. ერთ ადგილას ვერ სძლებდა. აბასთუმნის მიდამოები ზეჰარამდე დეხით მოიარა. თანაც მეცადინეობდა და ეურნალ-გაზეთებს და წიგნებს დოვდალამე კითხულობდა. მე არასოდეს არ დამაგიწყდებოდა ის გონიერი, კეთილი და იშვიათი ადამიანი. ჩემის აზრით იგი კომუნისტური უნდა იყოს, მაგრამ შალაგს და ფრთხილობს. იგი ჟორდანიასთან კამათმა დაქანცა.

— საიდან დაასკენი, რომ იგი კომუნისტი? — ეშმაკურ ღემქლეთუ ჰკითხა ვანომ. კორნელის გაუკვირდა, ცინიკურად იღიმებოდა და მიუგო!

— ჩვენ მეტად ინტიმური საუბრები გვექონდა.

— მიკვირს, როგორ გენდო! — ახლა მარომ შენიშნა ღიმილით.

— მეც მიკვირს ეს ამბავი: ის ხომ არ მიცნობდა!

ვანომ კორნელის ისევ გაუღიმა და გულისათვის ხმით შენიშნა:

— არა, კორნელი ჩემო შენ ის კარგად გიცნობდა, კარგად იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. შენ კი მას არ იცნობდი.

— დაცით — გაცეხებით წამოიძახა კორნელიმ — მე ვფიქრობ, თქვენ ორივენი კარგად ცნობთ მას და მიმალავთ.

— რა დასამალია, — მიუგო ვანომ.

3

როდესაც ვერბიცი აბასთუმანში ჟორდანიასთან საუბრის შემდეგ ღამით ზეივანში კორნელის შეიყარა და კორნელიმ უთხრა, გრძელი წვერი არ გახდებოდა და გრძელგაქეთებულს ჰგებოდა, ამან ვერბიცი დიდად შეაშფოთა და კორნელში ეჭვი შეატანინა. ისინი ქუჩაში დაემშვიდობენ ერთმანეთს. ვერბიცი იმ ღამით შინ არ მისულა.

მეორე დღეს ვერბიცი თბილისში წაიდა. თბილისიდან აბასთუმანში ჩამოსვლის შემდეგ, ვერბიცი კორნელისადმი სრულიად შეიცვალა. ამ მეტად განათლებულ და საინტერესო კაცსა და კორნელს შორის მჭიდრო კავშირი გაიბნა. ისინი სულ ერთად იყვნენ, ხეივანებში სვირნობდნენ, ტყეში იხებდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ ან კიდევ წიგნებსა და ეურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ. წიგნებისა და ეურნალების გამოძებნაში ვერბიცი დიდ ნიჭს იჩენდა. იგი აბასთუმანშიც პოელობდა მათ და ჩრდილო პოლოსზე რომ ყოფილიყო, ალბათ იქაც გამოძებნიდა. ისინი უშთავერესად ჩიხობდნენ და გორკის მოთხრობებს კითხულობდნენ. ჩიხოვისა და გორკის წიგნები ჟორდანიას სასახლეში იშოვა ვერბიციმ. გორკის „დედის“ წაკითხვის შემდეგ ვერბიციმ ლენინის აზრი უთხრა კორნელის: „რევოლუ-

ციურ მოძრაობაში ბევრი მუშები შეუგხებლად, სტიქიურად ღებულობდნენ მონაწილეობას და ახლა ისინი წაიკითხავენ „დედას“ და მათთვის ეს დიდად სასარგებლო იქნება“. ვერბიცი კორნელისათვის მთელი აღმოჩენა იყო. ისე როგორც ბედნიერი მოგზაური აღმოჩენის ხოლმე ახალ მატერიალს და თანდათან ეცნობა მის თავისებურებას, ფლორას, ფაუნას, მიწის წიაღში დამარხულ აურაცხელ სიმდიდრეს და კმაყოფილი და ბედნიერია ამით, ასევე კორნელიც კმაყოფილი და ბედნიერი იყო ვერბიციის აღმოჩენით და მასთან გაცნობით. ამ კაცის პიროვნება, მისი ცოდნის და უშრეტელი წყარო, სულიერი თავისებები, მყარი მსოფლმხედველობა, ურყევი რწმენა, ხასიათის სიმტკიცე, სიწინადე და სითბო, ყველაფერი ახციფერება და აჯადოებდა კორნელის.

ვერბიციის მეტად საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. იგი ვოლგის ნაპირებიდან იყო. ვერბიცი 1880 წელს დაიბადა. ექვსი წლისა იყო, როდესაც მამა — ყაზანის ქარხნის მუშა გარდაეცვალა. იმ დღიდან იწყება მისი ტანჯვა და ლუკმა პურის მოპოვებისათვის დაუსრულებელი ძრწოლა და ნამდვილი წამება. ბავშვს წიგნის კითხვა და ცოდნის შეძენის წყურვილი ჰკლავდა, მაგრამ უსახსრობის გამო, იძულებული შეიქნა სასწავლებელი მიეტოვებინა და ნაკვლად ამისა არსებობისათვის ბრძოლის მეტად მკაცრი სყოლა გაეკლო. საკმარისია ზერეულ ჩამოვთვალოთ ის ქალაქები, ნათესადგურები, დაწესებულებანი და ქარხნები, ყაზანიდან მოკიდებული ბაქომდე, სადაც მას უმსახურნია და უმუშავნია, რომ ნათლად დაეინახოთ,

თუ რა ტანჯვით სავსე გზა გაუვლია მას ლუკმა პურის მოპოვებისათვის. მიუხედავად სიღატაკისა და არსებობისათვის ბრძოლისა, წიგნის კითხვა და მეცადინეობა არ შეუწყვეტია და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული ქაბუცი ბოლოს ყაზანის უნივერსიტეტში შევიდა. აქ იგი რევოლუციონერ სტუდენტებთან და ცენტრალურ რუსეთიდან გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად მუშაობდა, თვითმპყრობელობას ებრძოდა, რისთვისაც პირველი კურსის სტუდენტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, დააპატიმრეს და მერმე ყაზანიდან ციმბირში გადასახლეს. ვერბიცი 1916 წელს მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს. ვერბიცი და მახათაძე ფრონტზე დამეგობრდნენ. ოქტომბრის რევოლუციის დროს ვერბიცი საქართველოში იყო... იგი აქ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დამუტატად აირჩიეს.

უორდანი და რამიშვილი კარგად იცნობდნენ მას. უორდანიას სჯეროდა, რომ ვერბიცი მისი პიროვნებით მოგადიდებული კაცი იყო, ამიტომ სახელმწიფოებრივ საკითხებზე ესაუბრებოდა მას და ეთათბირებოდა კიდევ. „დემოკრატიული სამოთხის“ შექმნით გატაცებული პრეზიდენტი მოლიმარი სახით მოუთხრობდა ვერბიციის თავის სამოქმედო პროგრამას.

ვერბიცი ძლიერ დაინტერესდა კორნელის მოთხრობებით და რადგან ხედავდა, რომ კორნელიმ რუსული კარგად იცოდა, მისი დახმარებით „გოჯასპირის“ გადათარგმნა გადასწყვიტა თანაც გააფრთხილა, არაეისტვის არ ეთქვა ეს.

შეხვედრა

★

„პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის გამაღებულ საშკერო-სასიოცხლო ბრძოლის პირობებში განაპირა მხარეებისათვის მხოლოდ ორი გამოსავალია: ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა მხარეების შრომელ მასების განთავის-ფლება იმპერიალისტურ ჩაგვრისაგან. ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური უღელი. შესამე გამოსავლი არ არსებობს.“

(ი. ბ. სტალინი. თხ. ტ. 4. 353 გვ.)

კორნელის მთელ ღამეს არ დასძინებია. იგი კიროვის შესახებ ფიქრობდა. მას კიროვთან შეხვედრა ნატვრად

ჰქონდა გადაქვეული და ახლა ის ნატვრა უსრულდებოდა. ხვალ დიდ რევოლუციონერთან, მგზნებარე ტრინებთან

და იშვიათ ადამიანთან შესახვედრად უნდა მისულიყო. კორნელის მხოლოდ განთიადისას დაეძინა.

კორნელი რტიშჩევის ქუჩას დაადგა. საელჩოსთან შეჩერდა და შიგ შესვლა უმაღლე ვერ გაბედა. საელჩოს შენობის კარებში ქერა ვაჟკაცი, მეზღვაური იდგა. ბუდეში ჩაგებული ნაგანი, შავი ქურთუკის ქვეშოდ, ძლიერ დაბლა, კოჭებანდვ ეკიდა. კორნელის მიაკოვსკის ლექსი მოაგონდა:

„გაიშალეთ მარშით უმაღლ.“

მოსპეთ ავი სიტყვის რომა — კლიაუზები.

ორატორი, შესდევ.

ჩემად —

სიტყვა თქვენ გაქვთ, ამხანაგო მუხურო!“

შავი ზღვის ფლორის მეზღვაურს უწინაფრო ქულის ლენტებს და შარვის განიერ ტრატებს ნოემბრის ცივი ქარი სტაცებდა, უწელავდა და უბერავდა, თითქო ფეხებში ზღვის ტალღები გაურბოდნენ და წაქცევას უპირებდნენ, მაგრამ ჯანიან ვაჟკაცს ადგილიდან ვერა მხრავდნენ. კორნელი ოქტომბრის რევოლუციებზე, სამოქალაქო ომზე და ამ ომში გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთზე ფიქრობდა. დიდხანს არ დასცალდა ფიქრი, რადგან უმაღლე შენიშნა, რომ ქუჩაში და საელჩოს შენობის მახლობლად სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული საგანგებო რაზმის აგენტები დადიოდნენ და იდგნენ, მათ საელჩოში შესულნი და გამოსულნი აღრიცხვაზე აპყავდათ. კორნელიმ ერთი აგენტი იცნო და გულის ცემამ უმატა. მეზღვაურმა ძირამდე დაყვანილი პაპიროსი თითებით დააგუნდავა; ნაწივს წყიპურტი ჰკრა და ოსტატურად ისე შორს გააფრინა, რომ ქუჩის მეორე ნაპირას მდგარ აგენტს ცხვირში კინალამ არ მიარტყა.

კორნელიმ კეპი ჩამოითხატა, თავი ჩაჰკიდა და საელჩოს შენობის ღია კარებში შევიდა. მეზღვაურმა თვალი გააყოლა. კორნელი კიბეზე ავიდა და იქვე, ტანისამოსის გასახდელ დერეფანთან მუდარი მორიგე დაინახა. იგი საელჩოში შესასვლელ საშვების მისაღებად რიგში ჩადგა. როდესაც კორნელის ჯირმა მოაოწია, რყავის ქურთუკში გამოწყობილმა მწითორმა კაცმა — მორიგემ გვარი და სახელი ჰკითხა, პირალობის მოწიბობა მოსთხოვა, სიაში ჩაიხედა, გაიღიმა, საშვები გამოუწერა

და მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან მდგარ დარაჯს გასძახა:

— გაატარე ამხანაგო მუხურალო. — მწითორმა, ჯანსაღმა და ბოგე ვაჟკაცმა ისეთი გულთაღი ხმით თქვა ეს და ისე კეთილად გაუღიმა კორნელის, რომ უკანასკნელმა დიდი სითბო იგრძნო. თვითონაც გაუღიმა მორიგეს და თამამად აპყვა ვარდისფერ მარმარილოს სვეტებით შემკულ კიბეს, რომელზედაც ვანუწყვეტელი ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ პორტფელისა და უპორტფელის მოქალაქენი. მეორე სართულის ფართო ბაქანზე კორნელიმ ვანო მახათაძე, გიგა ხუციშვილი, მიტო ჩიკვაძე და ვასო მარუაშვილი დაინახა. ვანომ საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი ბორის ძენლაძე, მწერალი სტეფანე ტერელაძე, პოეტი ლალო ხარატიშვილი და რამდენიმე უცნობი ამხანაგი გააცნო, საათს დახედა და უთხრა:

— ყოჩაღ, დანიშნულ დროზე მოსვლა გცოდნია.

სტეფანე ტერელაძე კორნელის მეზობლის გიგო თაჯაძის მეგობარი იყო, მას ბევრი რამ სმენოდა კორნელის შესახებ. ტერელაძეს წაკითხული ჰქონდა კორნელის მოთხრობები — „ასპინძა“, „ასკერი“, „გოჯასპირი“, „არკალი ელბაქიძე“ და მოსწონდა ისინი, მაგრამ თავის პიესებს — „ზღაპარს“ და „ტუსალესს“ მათზე მალთა აყენებდა და ამიტომ უმჯობეს თანამეგობრობას ზემოდან ქვეშოდ დასცქეროდა, თუმცა იგი კორნელიზე ბევრად დაბალი კაცი იყო. კორნელის არ მოეწონა ტერელაძის ეშმაკურად მოღიშარი სახე, კეხიანი ცხვირი და პატარა თვალები. ლალო ხარატიშვილი ტერელაძეზე მარტოი, ნაკლებ განათლებული და გულუბრყვილო კაცი იყო. მის ლექსებს ბოკდავდნენ და ეს ჩასკვნილი, მოკლეკისრიანი, სახე-გაპარსული და ოდნავ ჩოფურა კაცი, ცოტა არ იყოს, იბერებოდა და მსახიობივით იჭირდა თასს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას იმჟამად კიროვი ხელმძღვანელობდა. აქ, საელჩოში ატარებდა და ამჟამად იგი ქართველ ამხანაგობთან პარტიულ თათბირებს, კონფერენციებს, საქმიან შეხვედრებს, საუბრებს და აქტი ოიბდნის ისინი მისგან საჭირო ღირებულებებს.

კიროვის პირადმა მდივანმა დიმიტრი იაროსლავსკიმ ვანო მახათაძე და მისი

მეგობრები კიროვთან შესახვედრად მისაღებ თათაში შეიყვანა.

კიროვთან, მისი დაყენებით მოთხოვნით, მეწვევიკების საპრობილეოდან განთავისუფლებული, სტუდენტურ ქურთუქში გამოწყობილი ლამაზი, გამზდარი და, ციხეში ჯდომის გამო, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი ლავერენტი ბერია შესულიყო, რომელსაც შავ, შუქიან, ბასრ და მგზნებარე თვალებზე ქენსნეს შუშები უციმციმებდნენ. ისინი ანტანტის პოლიტიკისა და საქართველოში მათი ხრიკების, ამერიკელი პოლიტიკოსის ვინმე გასკლის შესახებ საუბრობდნენ. ახალგაზრდა კაცმა ფართო შუბლზე გადაისვა ხელი, შეირხა და კიროვის საუბრის მოსასმენად, სკამის სახელურებს იდაყვებით დაეყრდნო, წინ გადახარა და მხრები ასწურა, თითქო შავარდენი გასაფრენად ემზადება.

მენშევიკები ესაღმებოდნენ ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტების ზრახვას, რათა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ბათუმი, საქართველო და მერმე მთელი ამიერკავკასიაც დასაყრდენ ბაზად ქცეულიყო.

ამერიკის ზრახვები გარკვეული იყო ვილსონის პროგრამაში, რომლითაც იგი 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩაიდა. დემოკრატი პრეზიდენტის ვილსონის პროგრამა გულისხმობდა საბჭოთა რესპუბლიკის მოსპობას და რუსეთის დანაწილებას. კავკასიის რაიონებზე — სომხეთზე, საქართველოზე და აზერბაიჯანზე მანდატის მიღებას შეერთებული შტატები ცდილობდნენ. ამიერკავკასიაში ამერიკულ იმპერიალიზმის გამტარად ითვლებოდა ევრეთწოდებული მისია პოლკოვნიკი გასკლისა. ახლა ეს გასკელი ისევ ამოტივტივდა.

— ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტების წამოწყებიდან, ისე როგორც წარსულში, ახლაც არაფერი არ გამოვა, — განაცხადა კიროვმა.

კიროვი ახალი დაბრუნებული იყო რიგიდან, სადაც პოლონეთსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. კიროვი იქ საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა... ბერიას სიამოვნებდა დიდ რეპოლოგიონერ მებრძოლთან, საბჭოთა ქვეყნის დიდ მოღვაწესთან და დიპლომატთან საღ-

ბარი... კიროვი საქართველოს და ამიერკავკასიის შესახებ ლაპარაკობდა:

— აფასებდა რა პირობებს, რომლებზეც შეიქმნენ 1919 წელს მანდატურ რუსეთის განაპირა მხარეებში და კერძოდ ამიერკავკასიაში, ამხანაგი სტალინი წინასწარმეტყველივით სწერდა, — თქვა კიროვმა და ზეპირად მოიყვანა ამხანაგი სტალინის წერილიდან ციტატა: — „ბრალეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტს შორის გაჩაღებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში განაპირა მხარეებისათვის მხოლოდ ორი გამოსავალია: ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა მხარეების მშრომელ მასების განთავისუფლება იმპერიალისტურ ჩაგვრისაგან; ან ანტანტსთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური უღელი. მესამე გამოსავალი არ არსებობს. ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა ეგრედ წოდებულ საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და ა. შ. ეს მხოლოდ მოჩვენებითი ხილულობაა, რომელიც ფარავს ამ უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტების ამა თუ იმ ჯგუფისაგან“. — სტალინის ციტატის შემდეგ კიროვმა დამატა: — საქართველოს მშრომელებმა პირველი გზა, რუსეთთან ყოფნა ირჩია.

— მხოლოდ ამიერკავკასიის ძმურ ხალხებთან კავშირში და მეგობრობაში, დიდ რუს ხალხთან კავშირში და მის დახმარებაში მოიპოვება საქართველოს აყვავების საწინდარი. საბჭოთა რუსეთთან კავშირის გარეშე საქართველოში შეუძლებელია მოეწყოს ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება. — შენიშნა ლავერენტი ბერიამ...

კიროვმა მაგიდაზე იდაყვი შემოსდო, ბელის გულს ნიკაპი დააბჯინა, აღტაცებით მოლაპარაკე ახალგაზრდა კაცს დააცქერდა. რამის მთელი არსება სწრაფვდა წარმოადგენდა. მას ძლიერ მოსწონდა იმ ახალგაზრდა კაცის ბასრი და შეუმცდარი გონება.

რა დიდებული ადამიანები და ჰერისუფლები აღმოჩნდნენ საქართველოს და მთელ ამიერკავკასიის მშრომელ მოსახლეობას!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შთამბრუნებელი და ორგანიზატორები ლენინი და სტალინი იყვნენ. მათი დირექტივების

გამტარნი კი — ორჯონიკიძე, კიროვი, ბერია.

ცოტა ხნის შემდეგ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ლამაზი კაცი სერგო ქავეარაძე მოვიდა. მან ვანო მახათაძეს, ნიკო გაცირიძეს და ბორის ძნელაძეს ხელი ჩამოართვა, გაიღიმა და ბროლივით თეთრი კბილები გამოაჩინა. ვანომ მეგობრები გააცნო... იაროსლავსკიმ ქავეარაძის მოსვლა მოახსენა კიროვის. ქავეარაძე კიროვის კაბინეტში შევიდა. იგი მალე შორჩა კიროვთან საუბარს და ბერიასთან ერთად მისაღებ ოთახში გამოვიდა. შუატანის, გამხდარი, ფერმკრთალი და ახალგაზრდა კაცი ჩუმად ეუბნებოდა ქავეარაძეს:

— ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან სასურველ კავშირის დამყარებას მენშევიკები ვერ შესძლებენ. კოეზი ნაცარში ჩაუვარდებათ...

ბერია ერთბაშად შესდგა და ოთახის კუთხეში მდგარ ვანო მახათაძეს, ბორის ძნელაძეს, მწერლებს და სტუდენტებს დააცქერდა. გაიღიმა, მახათაძესთან მივიდა და ჰკითხა:

— რა ამბავია, მთელი ჯარი რომ ერთად მოსულხართ?

— კიროვთან გვაქვს შეხვედრა, უნდა ეეთათბიროთ, — მიუგო ვანომ.

— რა საკითხზე?

— კომკავშირის ყოველთვიური ორგანოს, ჟურნალის დაარსების და მისი შინაარსის გამო.

— ო, ეს კარგი ამბავია, სერგეი მირონიჩი უებარი ჟურნალისტი... მაგ საქმის დიდი ოსტატი. ის სწორ გზაზე დაგაყენებთ. მიდით, ეთათბირეთ, — ლიბილით შენიშნა ბერიამ და დიდ პოლიტიკურ და კულტურულ საქმის წამომწყებებ ქაბუკებს სათითაოდ დააცქერდა, თითქო ყველა მათგანის სახეს სამუდამოდ იხსოვებს და გულში იბეჭდავს. კორნელიმ შენიშნა, როგორ ციმციმებდა მისი სათვალე და როგორის ძალით ელავედნენ და ბრწყინავდნენ იქიდან მისი მრგვალი, მოძრავი, სწრაფი, მგზნებარე, ნებისყოფით სავსე, შავი და შუქიანი ჰკვიანი თვალები...

კარები გაიღო და იაროსლავსკიმ ვანო მახათაძეს და მის მეგობრებს უთხრა:

— სერგეი მირონიჩი ვთხოვთ.

იაროსლავსკიმ ქართულად ასახვას დების ჯგუფი ვანო მახათაძის მეთაურობით კიროვის დიდ ოთახში შეიკვანა.

სერგეი მირონის ძე კიროვი საწერ მაგიდასთან იჯდა. მას ხაკისფერი ფრენჩი, გალიფე და ჩექმები ეცვა. წვერულვაში გაპარსული ჰქონდა. გვერდით ქერა, მაღალი ახალგაზრდა ქალი ედგა და მანქანაზე გადაბეჭდილ ქალაღებებს რიგრიგობით აწვდიდა. კიროვი ქალაღებს კითხულობდა და ხელს აწერდა. ღია-წაბლისფერი თმა ჩამოსწოდა...

კიროვმა ერთბაშად ასწია თავი, კარებთან შემდგარ და შექუჩებულ ქაბუკებს შეხედა და გაიცინა. მან განსაკუთრებული სიცილი იცოდა. როდესაც მას რაიმე მთელის გულით უხაროდა, მაშინ ყველაფერი — სახის თვითთული ნაკეთივ კი იცინოდა მის სახეზე; დიდი, მსუქანი ბაგეები, თეთრი კბილები, მოკლესადირკელიანი და ოდნავ აწეული ფართო ცხვირი, მაღალი ყვრიმალის ძვალი და მის ზევით ოდნავ მოჭუტული, მოციმციმე თვალები, სიცილის გამო ლოყები ეკუჭებოდა და ზედ ფოსოები — ღრმულები უჩნდებოდა.

კიროვი ისე გადამდებად იცინოდა, რომ ყველას, და მათ შორის, კორნელისაც გაეღიმა.

კიროვი უმაღლეს წამოიჭრა და კარებთან შემდგარ ქაბუკებისაკენ ჩქარა ნაბიჯით გაემურა. იგი ტანმორჩილი, ლამაზი აღნაგობის, მაგარი, მკვრივი და ჩამოსხმული კაცი იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ვერცხლის წყალივით სწრაფი და მოძრავი. იგი შესდგა და დამიძაბა:

— მოდით, მეგობრებო, რას განერებულხართ კარებთან!

მან ისე მომხიბვლელად გაიღიმა და ისეთი ალურსიანი ხმით თქვა „მეგობრებო“, რომ ყველას გულში განუსაზღვრელი სითბო ჩაიღვარა და ყველას ამ ოცდაათოთხმეტი წლის კაცთან, უფროს აზნაფთან და ძმასთან მისვლა, ხელის ჩამორთმევა, მოხვევნა და კოცნა მოუნდა. ვანო მახათაძეს, ნიკო გაცირიძეს და ბორის ძნელაძეს კარგად იცნობდა კიროვი, ამიტომ ვანო

უცნობთ აცნობდა: პოეტი ლადო ხა-
რატიშვილი, დრამატურგი სტეფანე
ტერულაძე, მწერალი კორნელი მხეიძე,
კრიტიკოსი გიგა ხუციშვილი, სტუდენ-
ტი მითო ჩიკვაძე, მუშა ვასო მარუა-
შვილი... კიროვმა ყველას სათითაოდ
ჩამოართვა ხელი და ყველას ორიოდ
შესაფერი სიტყვა უთხრა... მერმე ისევ
გაიცივნა, მკლავები გაშალა, თითქოს მას-
თან სათათბიროდ მისულ ჭაბუკების
მთელ ჯგუფს ხელი უნდა მოჰხვიოსო.

— მოდი თ ყმაწვილებო, მაგიდასთან
ვი აბა, აი, აქ დაესხდით, შინაოუ-
ლად, — დაიძახა კიროვმა. ხელი წაე-
ლო ვანოს, მიტოს და კედელთან
მდგარ, ტყავადაკრულ, მუთაქებიან
რბილ და გრძელ საეარძლისაკენ წაიყ-
ვანა ისინი და მემანქანე ქალს გასძახა:

— ზინაიდა პეტროვნა, გაიციანთ
ქართველი ამხანაგები, საბჭოთა სო-
ციალისტური ცხოვრების და კულტუ-
რის მუბაირალტრენი. მწერლები, პოე-
ტები და ჟურნალისტები.

ქერა და ლამაზმა, მოლიმარმა ქა-
ბუკმა ქალმა ქართველ ამხანაგებს ხე-
ლი მაგრად და მეგობრულად ჩამო-
ართვა. ლოყები აულაქლადდა, მერმე
კიროვის მიერ ხელმოწერილი ქაღალ-
დები მაგიდიდან აიღო და გვერდის
კარებისაკენ გასწია. კორნელიმ თვალი
გააყოლა და ძლიერ მოეწონა იმ ქალის
აღნაგობა, ლამაზი, ჭკვიანი სახე და
სათნო გამომეტყველება.

კიროვი გრძელ საეარძელზე დაჯდა
და გვერდით ვანო მახათაძე და ბორის
ძნელაძე მოისვა. სხვებს სკამები მოა-
ტანინა. ამათაც ნახევარწრე გააიკეთეს
და, როგორც დედა-არწივის გარშემო
მართვები, კიროვის ირგვლივ დასხ-
დნენ და დალაგდნენ. კიროვმა თვალი
მოაქო ყველას, გაიღიმა და თქვა:

— მაპატიეთ, ამხანაგებო, დიდხანს
გაცდევინეთ. ზომ არ მაგინებდით?

აქა-იქ გაიციინეს. კიროვმა განაგრძო:

— ცუდი მასპინძელი აღმოგჩნდი...
ქართველებმა კი კარგი მასპინძლობა
ციან. ის, ვინც თქვენ კახურ წითელ
ლენოს გასინჯავს, ჩვენ თეთრ არაყს
ალარ გაეკარება. კარგსაც მოიმოქმე-
დებს... — ოხუნჯობს კიროვი. — კარ-
გი ჭკვიანი ვაჭვთ თქვენ ქართველებს...
მე უკვე თითქმის ნახევარი წელია, რაც
საქართველოში ვარ და ლამის ვაე-
ქართველდე...

ისევ იცინიან დამსწრენი. კიროვი სა-
ბოლოოდ ინადირებს დამსწრეთა გულს.

— ვინ არ სტანჯავდა და ქელავდა
ქართველ ხალხს, — დაიწყო კიროვმა, —
წარსულში — არაბები, მონღოლები,
სპარსელები, თურქები, საკუთარი ფეო-
დალბე და მეფის რუსეთი, ახლა —
შინაური კონტრარევოლუციონერები და
დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები.
მიუხედავად ამისა, საქართველომ შეი-
ნარჩუნა თავისი ძველი კულტურა და
ეზიარა ახალს. რუსეთის ძოწინავე
აღმანებთან ხელიწეჩაკიდებული
ქართველი იშვიათი ადამიანები თავ-
ის ხალხს სინათლისაკენ. პროგრე-
სისა და თავისუფლებისაკენ უკაფავ-
დნენ გზას. ქართველმა ხალხმა შესა-
ნიშნავი ადამიანები მოგვცა წარსულ-
ში, მაგრამ ჩვენი მეოცე-საუკუნის და-
საწყისში და ახლა პროლეტარულ რე-
ვოლუციის ეპოქაშიც იძლევა იგი შე-
სანიშნავ და გამოჩენილ ადამიანებს.
მარტო ამხანაგი სტალინი რადა ღირს,
ლენინის ყველაზე უფრო გენიალური
მოწაფე და თანამოსაგრო? იგი ზომ
ქართველია! — კიროვი იღიმება. ლენინს
და სტალინს პიროვნების, მათი მოღ-
ვაწეობისა და ბრძოლის შესახებ გა-
ტაკებით ლაპარაკობს. — იმ დიდი ადა-
მიანობის, კომუნისტების და რევოლუ-
ციონერების კალს უნდა მივყუთ
ჩვენ. განსაკუთრებით თქვენ — ახალ-
გაზრდები. თქვენ მეტად დროული და
საჭირო გადაწყვიტვლება მიგიღიათ:
ჟურნალის გამოცემა.

ასე გაიბა საქმიანი და მეგობრული
ბაასი ამხანაგ კიროვთან...

ამის შემდეგ ვანო მახათაძემ ამომწუ-
რავად ილაპარაკა ჟურნალის ხასიათის,
მისი მიმართულების, შინაარსის, სა-
რედაქციო კოლეგიის და ჟურნალის
ბეჭდვის პირობების შესახებ.

გარდა იმისა, რომ კიროვი დიდ-
ბული ტრიბუნი, ორატორი და არაღე-
გალური პრესის იშვიათი მომწყობი
იყო, მის კალამს საქვეყნოდ ცნობილი
პროკლამაციები, წერილები და სტა-
ტიები ეკუთვნოდა. პოლიტიკურ დიდ
მომზადებასთან ერთად, მას მხატვრუ-
ლი ლიტერატურის დიდი ცოდნაც
ქონდა. ამიტომ მან ჟურნალის ლი-
ტერატურულ-მხატვრული და საზოგა-
ოებრივ-პოლიტიკური მიმართულების
შესახებ დიდის ინტერესით და გატა-

ცებით ილაპარაკა და ჩინებულნი გზაც დასახა. ყველანი სულგანაბლნი უსმენდნენ მას.

3

როდესაც ჟურნალის შესახებ საუბარს მორჩინენ, კიროვმა სამჭოთა პროლეტარიულ მწერლობაზე დაიწყო საუბარი.

ამ დროს ოთახში ჰაბუკები—კრუგლოვი, კარპოვი ყოფილი სტუდენტი დიმიტრი იაროსლავსკი და მეძანქანე ქალი ზინიდა შევიდნენ.

— რა დიდებული მწერალია მაქსიმ გორკი. მიჰბაძეთ მას. მაიაკოვსკიც კარგ მებრძოლ ლექსებსა სწერს, — განაცხადა კიროვმა. მას სახე ერთბაშად შეეცვალა, სახის კუნთები მძაფრად მოეხაზა. იგი ჰკვირავდა და ანთებული თვალებით ხან ერთს და ხან მეორე მსმენელს შეესტკეპროდა. უცებად მან პოეტს ლადო ხარატიშვილს ჰკითხა:

— რაზე მუშაობთ თქვენ ახლა?

— პლანეტა მარსზე ვსწერ პოემას, — მიუგო ხარატიშვილმა. „ოჰო, რა შორს დაუმიზნებია?“, — გაიფიქრა კიროვმა და ჰკითხა:

— ფანტასტიკურ პოემასა სწერთ?

— არა რეალისტურს. მარსელების მიერ თავის პლანეტაზე რევოლუციის მოხდენაზე.

— უმჯობესი იქნებოდა ჯერ ჩვენს დედა-მამაზე გვეწერა, — დიმილით შენიშნა კიროვმა. ხარატიშვილმა კიროვის ირონია ვერ გაიგო და მიუგო:

— ჩვენ დედამამაზე მომხდარი რევოლუციის შესახებ მე დაწერილი მაქვს პოემა „გრიგალი“.

— ის პოემა ძალიან სუსტია, — ცივად შენიშნა მახათაძემ ხარატიშვილს.

— ეს თქვენის აზრით, — მშვიდად მიუგო ხარატიშვილმა. კიროვმა თავი გაანება ხარატიშვილს და ახლა დრამატურგს სტეფანე ტერელაძეს ჰკითხა:

— თქვენ რასა სწერთ?

— „გაწყვეტილ სიმებს“, — მიუგო ტერელაძემ.

— ეს რა არის?

— ზღაპრული პიესა, — თვალეზი განაბა ნეტარებით ტერელაძემ და თავისი ზღაპრული პიესის შინაარსი უამბო: — პიესაში დახატულია მზეთუნახავი ასული, რომელიც ბროლის ციხის კოშკში დღისით ჩონჩხურზე უკრავს და სინათლეს, მზეს და თავისუფლებას უმ-

ღერის. ღამით ასული ჩონჩხურს კედელზე ჰკიდებს და იძინებს იმ იმედით, რომ მზის ამოსვლისთანავე ჩონჩხური აილოს, სიმები მომართოს და კვლავ მზეს, სინათლეს და თავისუფლებას უშლეროს, მაგრამ ასული ბინაში დამით შავი ღემონი შეიპარება. ჩონჩხურს სიმებს დაწყვეტს... ასე გრძელდება ყოველ დღე. ბოლოს ასული იმარჯვებს და მას ჩონჩხურთა და სიმლერით გაღვიძებული ხალხი თავისუფლებისაკენ მიჰყავს.

კიროვი ჩაფიქრდა. მახათაძემ ვერ მოითმინა და ტერელაძეს უთხრა:

— ახლა ზღაპრების, ბუნდოვანი ალეგორიების და განყენებული ნაწარმოების წერის დრო არ არის. ჩვენ უნდა ვწერთ სინამდვილიდან აღებულ, კონკრეტულ მოვლენებზე და აღამიანებზე. — მახათაძე გაწითლდა და კიროვის დარცხვენით მიუბრუნდა: — სერგეი ივრონის ძე, არის თბილისში და სხვა ქალაქებში კიდევ სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები, რომლებიც ამ თათბირს ვერ ისწრებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შორის აღმოჩნდებიან ისეთებიც რომლებიც ჩვენი ჟურნალისათვის შესაფერ მასალას მოგვაწვდიან. ასე, რომ ჩვენი ჟურნალის მხატვრული განყოფილების საქმე არც ისე უნუგეზოდ მიმაჩნია...

უხერხული მდგომარეობის გასაფანტავად კიროვმა პირამთქმელ და მოურიდებელ კრიტიკოსს — მახათაძეს შენიშნა:

— უნუგეზო მდგომარეობა რად უნდა იყოს ახალ საქმეს დასაწყისში ყოველთვის ესა თუ ის დაბრკოლება გადაეღობება ხოლმე. საქმეც ის არის, დაბრკოლებები დავძლიოთ. განა არის ისეთი რამ, რაც თქვენ, ნიჭიერმა ახალგაზრდებმა არ დასძლიოთ? დღეს „მარსს“ და „გაწყვეტილ სიმებს“ დაეწერთ, ხვალ კი უფრო კონკრეტულ დასაქმდით... — კიროვი დარცხვენით კორნელის თვალებს წააწყდა და ახლა მას ჰკითხა:

— თქვენ კი რაზე მუშაობთ?

— შამქორზე, — დახშული ხმით მიუგო გაწითლებულმა კორნელი.

— ეს კარგია, — შენიშნა კიროვმა. გაილიმა და უთხრა: — შამქორის ამბების მონაწილენი მახათაძე, კარპოვი, სრუგლოვი არი, აქ არიან. ესაუბრეთ მათ. ესენი მდიდარ მასალას მოგაწვდიან.

კორნელიმ მოკლედ და კარგი რუსულით უამბო „შამქორის“ გეგმა და გააცნო იმ მასალებს, რომელთა მხატვრული დღეფორმირება უნდა მომხდარიყო მის ნაწარმოებში. კიროვის მოეწონა კორნელის საქმიანი ლაპარაკი და უთხრა:

— წაითხებთ შამქორის ამბების გამო პრავდაში დაბეჭდილი ამხანაგ სტალინის შესანიშნავი წერილი: „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბისქვეშ“. ეს თქვენ მყარ ნიადაგზე დაგაყენებთ და სწორ პოლიტიკურ გეზს მოგცემთ...

მერმე კიროვმა საბჭოთა ქვეყნის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები — ლენინისა და სტალინის გენიალურ მოსაზრებათა, ხალხთა ინტერნაციონალურ კავშირის, ახალი სოციალისტური ეპოქის, საბჭოთა კუმანისმის და ამ ეპოქაში მწერლების როლის შესახებ ილაპარაკა. მისი სიტყვა დაახლოვებით ასეთი იყო:

„ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, — თქვა კიროვმა, — სრულიად ახალი საზოგადოებრივი ვითარება და ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობა მყარდება. თქვენ მწერლები უნდა ჩაწოდეთ ამ ახალ ვითარებას და ადამიანთა შორის შექმნილ ურთიერთობას. თქვენ არა მარტო ისტორიკოსები და სოციოლოგები ხართ, რომლებიც აგროვებენ და ეკლათიფიცირებას უყუთებენ მარტოკა მშრალ ფაქტებს. თქვენ ადამიანის სულს ასახავთ და უშაღვე წვდებით მეგობრისა და მტრის შინაგან რაობას. ძველი სამყარო დემონი. ჩვენ ახალს ვაშენებთ. მაგრამ თუ ჩვენ არ გვეცოდინება ძველი, ახალსაც ვერ გავეცდებით. ჩვენ საბჭოთა ახალ ხელოვნებას ვქმნით, მაგრამ ამავე დროს სიყვარულით ვიხედებით უკან — კლასიკოსებისაკენ და არ გვავიწყდება, რომ ეს უკან დაბრუნება კი არ არის, არამედ მხოლოდ წინსვლელობისა და უფრო ინტენსიური მოძრაობისათვის საჭირო გამდიდრება. კლასიკური შემკვიდრების შესწავლის აზრი და მნიშვნელობა სწორედ ამში მდგომარეობს... მოიგონეთ, როგორი სიმარულით და სიყვარულით ხატავდა ჩვენი მამისი გრაკი, თქვენი ილია ქავკაძე, ეგნატე ნინოშვილი თავისი დროის სოციალურ ფორმაციის ადამიანებს. თქვენც ისეთი სიმართლით და

სიყვარულით უნდა სწეროთ თანამედროვე ადამიანებზე — მუშებზე, გლეხებზე, ინტელიგენციებზე, მათ გვეყირვებულ ცხოვრებაზე, უბრძოლავილილზე და მამის მთავარი და ზოგადკაცობრიულიც თავისთავად მიღწეულ იქნება და თქვენს ნაწერებს გაიგებს ყველა — ქართველი, სომეხი, უკრაინელი, რუსი... სწერეთ სიყვარულით მშრომელ ხალხზე და საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალურ კავშირზე. მწერლები ხალხის იგივე მასწავლებლები არიან. აღზარდეთ მუშები და გლეხები ისე, რომ ისინი უფრო განათლებული, კულტურული და მომავლის პერსპექტივის მქონენი გახდნენ. მაგრამ ხალხს რომ ასწავლო, თვითონვე ნასწავლი უნდა იყო... საჭიროა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა შემოქმედებითი შესწავლა და თეორიულ სწავლის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირება. ლიტერატურა და ხელოვნება უნდა გადაიქცეს რევოლუციის მთლიანი მექანიზმის შემაღლებულ ნაწილად, ხალხის შეკავშირების და აღზრდის მძლავრ იარაღად, იარაღად, რომლითაც ჩვენ განუწყვეტლივ შევებრძოლებით მტერს, მისი საბოლოო განადგურებამდე, იგი უნდა იქცეს ხალხის დახმარების საშუალებად მტრის წინააღმდეგ მის შეკავშირებულ ბრძოლაში. თქვენ რევოლუციურ ბრძოლაში და იატაკქვეშ მუშაობაში ჩაბმული ახალაზრადობი ხართ, მეწვევიკურ საპატიმროებში ნატანჯნი... გახსოვდეთ: იატაკქვეშ მუშაობა და საპატიმრო ყველაზე დიდი სკოლა არის რევოლუციონერისათვის. ჩვენ — უფროსი თაობის ადამიანები ოთხმოცდაათი პროცენტით გცხოვრობდით ცოდნის იმ მარაგით, რომელსაც იატაკქვეშ მუშაობის დროს ვიძენდით... არა მარტო წიგნები, არამედ საპატიმროში ჯდომის თვითეული წელი ძალიან ბევრს გემატება... იქ ვახერხებდით ჩვენ ლიქრს, ბრძნობას, ოცჯერ ყველაფრის აწონ-დაწონას და როდესაც რომელიმე პარტიულ ფიცს ვიღებდით, ვიცოდით, თუ რას გვაეაღებდა ის და რას ნიშნავდა იგი“, — ამბობდა იატაკქვეშ მუშაობაში და სამოქალაქო ომში გამოვლილი დიდი რევოლუციონერი. — ჩვენ ბოლშევიკები კომუნისტური იდეისათვის შეუპოვრად ვებრძოდით ვერაგ, გამოცდილ და მრავალციხოვან მო-

წინააღმდეგე კლასს, რომელიც არ გვნებდებოდა. იგი უდიდეს ძალებს იკრებდა თავის გარშემო და განადგურებით გვემუქრებოდა... მკაცრი და სასტიკი იყო ჩვენი ბრძოლა. უმრავლესობა თქვენ შორის ყალიბდებოდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის პერიოდში, სისხლის და სისასტიკის ეპოქაში. როდესაც თქვენ ამ ეპოქაში შემოდიოდით, ბაგეებზე თითქო სისხლსა გრძნობდით. ჩვენ იმიტომ ვიბრძვიდით ასე სასტიკად და თავგანწირულად, რომ მომავალი თაობები ბედნიერი იყვნენ... ჩვენ—ბოლშევიკები ახალ სოციალისტურ ქვეყანას ვაშენებთ. ჩვენი მიზანია, მუშების სარდაფებიდან მათთვის გაშენებულ სასახლეებში შევიდნენ, გლეხები ღარიბ ქოხებიდან—მშვენიერ სახლებში მოთავსდნენ, რომ გლეხთა ბინებიდანაც პატრონების, როიალის, რადიოს და სიმღერების ხმა მოისმოდეს, რომ ხალხი მდიდარ და ბედნიერ ცხოვრებას მიეცეს. ჩვენი სურვილია, იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის უღელ ქვეშ მგზინავი ქართველი მშრომელი ხალხიც იმ ბედნიერ ცხოვრებაში შევიდეს... ვიმეორებ, სწორედ სიყვარულით ქართველი მუშების და გლეხების გაჭირვებულ ცხოვრებაზე, მათ ბრძოლა-ჭიდილზე... აამაღლეთ მათი ცოდნისა და კულტურის დონე, რომ მეტის შეგნებით და გატყუებით ჩაებან ისინი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში... ერთხელ, სამოქალაქო ომის ნძივნვარების დროს, ასტრახანიდან ჩრდილო კავკასიაში ჩავეფრინდი. კაბუკი მფრინავი-კომანდირი ყოფილი მუშა იყო. იგი მეტად განათლებული კაცი აღმოჩნდა და ისე დაუფლებოდა კულტურას, როგორც თავის მანქანას. როდესაც მას ვუცქერდი და ვესაუბრებოდი, მიხაროდა, რადგან ასეთი კომანდირები ღირსეულად იბრძოდებენ, წინ და შორს წაიღებენ ჩვენს ძლევამოსილ დროშებს“.

კიროვი განასკოტრებული ყორადღებით ეუყრობოდა ახალგაზრდობას. იგი მახათაძეს, ძნელაძეს და გოცირიძეს მეგობრობდა. მათი საშუალებით კი მთელ ქართველ მოწინავე ახალგაზრდობასთან აბამდა კავშირს. რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, უშიშარი მებრძოლი, დიდი ორგანიზატორი,

ბოლშევიზმის დიადი პრინციპების სიწმინდის მხურვალე დამცველი, ჯანსაღი, მზნე, მოძრავი და სოციალიზმის მშენებლობით გატაცებული ოცდათოთხმეტი წლის კაცი თვითონვე კაბუკს ჰგავდა ახლა. კორნელი სიყვარულით შესცქეროდა მას, კარპოვს, კიროვის საუბრის დროს ოთახში შემოსულ და სმენადქცეულ კიროვის პირად მდივანს — ყოფილ სტუდენტს დიმიტრი იაროსლავსკის და მემანქანე ახალგაზრდა ქალს ნინიდიას და ახალგაზრდა რუსი მუშები აგონდებოდა, რომელთა შესახებ მაქსიმ გორკის „დედაში“ ნათქვამია: „რა კარგი ხალხია. ჯანსაღი, მაგარი, გულხშიერნი, თანამგრძობნი, ყველაფრის გაგების წყურვილით აღსავსენი. უცქერი მათ და ხედავ — რუსეთი ყველაზე ნათელი დემოკრატია იქნება დედამიწაზე“. ცოტა ხნის შემდეგ უცნაური რამ მოხდა, რამაც კორნელი ძლიერ განაცვიფრა. კიროვმაც მაქსიმ გორკის „დედის“ ერთ-ერთი გმირის სიტყვებით მიმართა მსმენელებს:

— „სწორედ თქვენსთანა კაბუკე-ბისაგან უნდა გაიზარდოს ჭეშმარიტად პროლეტარული ინტელიგენცია, რომელიც შეგვეცვლის ჩვენ, როდესაც მივალთ იქ, სადაც არ იქნება კლასობრივი წინააღმდეგობა“, არამედ, — დაამატა კიროვმა, — სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოება. რა სახის ხრიკებსაც არ უნდა მიმართავდნენ მთელი ქვეყნის კაპიტალისტები მუშურ-გლეხურ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, სულერთია, სრულიად უეჭვოა, რომ მომავალი მათ უკვე აღარ ეკუთვნით... მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სინათლით გაშუქებული ოქტომბრის რევოლუცია ქართველი ხალხის წინაშეც განუსაზღვრელ საშუალებას შლის მისი მრავალსაუკუნოებრივი კულტურის განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის თქვენ — ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენელი, ქართველ მუშებთან და გლეხებთან ერთად, თავგამოდებით უნდა იბრძოდეთ... — ასე ლაპარაკობდა კიროვი და როცა სმენადქცეული ქართველი კაბუკები მისი ოთახიდან გამოვიდნენ, თავისი თავი ერთი ათად გაზრდილი ეჩვენათ.

(დასასრული იქნება)

ორი ლექსი თბილისზე

★

მიყვარს თბილისი

მიყვარს თბილისის შზიანი დილა,
მაცოცხლებელი მისი ნათელი;
მიყვარს, ვინც გულით იმღერა ტკბილად
თბილისზე ჩვენი ხალხის სათქმელი.

მომხიბლავია ყოველთვის იგი,
მისი მტკვრის პირი, ბალის ჩრდილები,
მისი მშვენების საცქერად ირგვლივ
მთები ჯარივით თავშეყრილები.

ყველას ფიქრები მისკენ ილტვიან
სკოლის შერხიდან, მზიურ ყანიდან;
კაცის ოცნება ჯერ თუ კვირტია,
თვალს მიაშუქებს, გაშლის ყვავილად.

ფრთა მან შემასხა; შუქს არ მაკლებდა,
გამხალა ქვეყნის ავ-კარგის მცნობი,
რომ მისცემოდა მამულს საკრეფად
ნაყოფი ჩემი ფიქრის და გრძნობის.

მზრდის და მამალღებს თბილისი ახლაც,
მმოსავს ყოველდღე ვარდის ფურცლებით;
მე მის კალთაში არ ვიცი დაღლა,
არც არასოდეს არ მოეხუცდები.

ის საქართველოს ქალაქთა დედა
აზრის სხივია, გულის ნუგეში,
ასი თვალი აქვს და ყველას გვხედავს
შნობელი ქვეყნის ყველა კუთხეში.

მიყვარს თბილისი. ახალ უბნებად
მტკვრის მიდამოებს გარშემო იკრებს,
ყოველდღე მოსკოვს ესაუბრება
და უზიარებს გრძნობას და ფიქრებს.

ყოველდღე გულში უბრწყინავს მზისებრ
კრემლის ვარსკვლავთა სინათლე დიდი
და მათ ნათელში კომუნისტებისკენ
ქმა-ქალაქების მხარდამხარ მიდის.



მებაღე



ბაღის მოყვარე გზედები ძმასავით
 ყრმობიდან ბაღის მზრუნველ თბილისელს;
 თავს დასტრიალებ ნერგებს სასხლავით,
 ხან ყრი დამსხვრეულ აგურს ბილიკზე.

მუდამ შეილივით უვლი ნარგავებს,
 ბაღში მუშაობ, წვიმს თუ დარია,
 ხეებიც ამაგს არ გიკარგავენ, —
 მაღლიერები თავს დაგხარიათ.

ლოლად ნაზარდი ნაძვი თუ ალვა
 შენზე სიმღერას ჩიტს ათქმევენებს.
 ვერ გიღარიბებს ბული და გვალვა
 მდიდარ ყვავილნარს, მდიდარ ხეივნებს.

დროზე ხსნი ონკანს, ამოქუხს წყალი,
 ვით შადრევანი გვალვის შემტევი,
 და ხეივნებში სიცოცხლის ძალით
 ბრწყინვას იწყებენ წვიმის წვეთები.

მყისვე ფოთლებზე, მწვანე ბალახზე,
 ნაირ ფერების ამეტყველებით,
 ბაღის მშვენიებად და სილამაზედ
 იბატებიან ცისარტყელები.

ბოლოს დამტკბარი ნამით, ნაშრომით
 უმზერ ფოთლებზე დაყრილ წყლის მძივებს,
 უმზერ, შეღიმი და გრძნობ მათ შორის
 შენი კაცური თვალის ციმციმებს.

ირგვლივ კი მუდამ მღერის, გოგუნებს
 დედა-თბილისის დიდი ცხოვრება,
 და, ვით ნათელი დღე საუკუნეს,
 შენი შრომის ხმაც მას ექსოვება.

მემორია



თავი მეორე

რაიონის მიწათმოქმედების განყოფილების გამგე გრიშა ჭანიშვილი რაიონის მდივნის მისაღებ ოთახში ჩქარი სიარულისაგან გულამოყდარი და სახეგაოფლიანებული შემოვარდა. სულს ძლიეს ითქვამდა. მუდამ თავაზიანი და მორიდებული, ახლა ისე იყო აღელვებული და გაცხარებული, რომ ოთახში არაერთგვაროვნად მიუტყევიდა ყურადღება. რაიკომის მდივანის კაბინეტის კარებს მიაშურა და ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ შეაღო.

მდივანმა ის იყო ილიკო ზედობანიძეს მოცენარის კოლმეურნეობისათვის შაბიანის მიცემის შესახებ განკარგულება გადასცა, რომ ჭანიშვილი შემოვიდა. დაეთმა გაკვირვებით შეხედა რაიონიდან გამგეს, არასოდეს არ ენახა ჭანიშვილი ასე აღელვებული.

— რაშია საქმე, ამხანაგო გრიშა?! — წამოღდა მდივანი.

ჭანიშვილი გამოერკვა. ახლა-ღა დაინახა, რომ დიუკითხავად შემოვიდა, ნელი ნაბიჯით წაეიდა მდივნის მაგიდისაკენ. შეჩერდა, სული მოითქვა და როცა ზედობანიძე გავიდა, ყრუ ხმით დაიწყო:

— ამხანაგო დავეთ, ორმოცდახუთი წლის კაცი ვარ და ჩემთვის ჯერ შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, რა გულანძლივარ არავის. გთხოვთ, ჩემი და მისი საქმე ბიურომ გაარჩიოს.

— შენი და ვისი საქმე? რა მოხდა? დაჯექი.

ჭანიშვილი დაჯდა, მაგრამ უმალ წამოღდა. სახეზე ცხვირსახოცი ჩამოისვია, მერე დაეცა, ისევ გაშალა, ისევ ჩამოისხვა სახეზე, გადაისვა ოფლისაგან ალაპლაპებულ მელოტ თავზე.

— ბიუროს დადგენილებას არ ეცნობო. „ბოლშევიკიდან“ დროშას ვერავენი წაიღებს, სანამ ესტატე ჭანუყვაძე ცოცხალიაო.

რაიკომის მდივნის სახეს ღიმილი შეეფინა. დაჯდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა.

— თქვენი განკარგულებით ხვალ მოცენარში კრება გვაქვს მოწვეული, დროშა უნდა ჩავაბაროთ ორჯონიძეებს. როგორ მოვიტყეთ, ამხანაგო დავეთ? კრება უნდა გადავდოთ.

— კრებას არ გადავდებთ. — თქვა რაიკომის მდივანმა, შეხედა ჭანიშვილს და წამიერი დუმილის შემდეგ დაუმატა: — დროშას ორჯონიძეებს თვითონ „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე ესტატე ჭანუყვაძე მიუტანს და თავის ხელით ჩააბარებს.

ჭანიშვილს გაკვირებისაგან სახე მოექცა. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ესტატე თავის ხელით მიუტანს გარდამავალ წითელ დროშას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ორჯონიძეებს ეს ისეთ დაუჯერებელ და წარმოუდგენელ ამბავად მოეჩვენა, რომ უნებლიეთ გაეცინა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო დავეთ?! ესტატეს თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ კარგად. იგი სიკვდილს უფრო შეურიგდება, ვინემ დროშას თავისი ხელით მოცენარში მიიტანს. „განთიადის“ გარდა მისი კოლმეურნეობისათვის შესადარი კოლმეურნეობა სხვა არა ჰგონია ესტატეს. არამც თუ ჩვენს რაიონში, მთელ საქართველოში. არც მისი ტოლი თავმჯდომარე ეგულება ვინმემას ისეთი წარმოდგენა აქვს თავის თავზე...

— მერე ვის მიუძღვის ამაში ბრალი?

— ვის? ჩვენ. ჩვენ გავაყოფოჩეთ იგი. ესტატეზე ვიყავით გადაგებული. შარშან რაიკომის მდივანთან მიჩიულა. მინერალური სასუქი არ მყოფნის, პლანტაცია მელუბებაო. დამიბარა მდივანმა,

ოცდაათი ტონა აზოტი ჩამოაგული მოცუხარელებს და „ბოლშევიკს“ მიეცო. მე რომ ვუთხარი, დახმარების მაგივრად როგორ წაერთვათ მეთქი, იცით რა მიპასუხა? ისინი მაინც ვერ გამოიყენებენ. ჩამორჩენილი ჩამორჩენილად დარჩება. მოწინავეს მოვეხმაროთ ის გეოლოგო. „ბოლშევიკისათვის“ და „განთიადისათვის“ უნდადა ყველაფერი. ესტატე და სილოვანი, სილოვანი და ესტატე. რაისაბჭოს დეპუტატი — ესტატე, პრეზიდენტში — ესტატე, მებაღეობა ესტატეს, კარგი შეხვედრა — ესტატეს, რაიკომის მდივნის შორიდან მისალმება ესტატეს, სტუმარი მოვა ვინმე — ესტატეს, ვადაირია კაცი, მე ვყოფილვარ რაც ვყოფილვარო. ახლა ორჯონიკიძელებმა რომ აჯობეს, აღარ ჯერა. ვერც დაიჯერებს, პირველი კოლმეურნეობა რაიონში უკანასკნელმა დაამარცხა.

სულმოუთქმელად ლაპარაკობდა რაიმიწვანის გამგე, მდივანს შეხედა, იგი დაფიქრებით უსმენდა. მიხვდა მდივანს და მას ესტატეზე ერთი აზრი რომ ჰქონდათ.

— სასწაული მოახდინეს სანდრო მეგრელიძემ ელენე ავეანდაძემ, არჩილ სირამემ, ილიკო ზედოზანიძემ ამბავი ხომ საარაკოა. ვინ წამომასხვით თავსეო, გაიძახის ესტატე, უქნარა ილიკო ზედოზანიძემ როგორ მაჯობაო. არ უნდა იმის გაგება, რომ ზედოზანიძემ კი არ აჯობა, ერთსულოვნად შეკრულმა კოლმეურნეობა აჯობა. არა მგონია, სხვების წარმატება არ ახარებდეს ესტატეს, მაგრამ ქვა აავდო და თავი შეუშვირა არა, ვერ დაეიჯერებს, რომ ასე, ერთ წელიწადში ოცი კოლმეურნეობა დამეწიო. მართალია ძნელი დასაჯერებელი ასეთი გარდატეხა, ამხანაგო დავით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. „ბოლშევიკს“ და „განთიადს“ ოცი კოლმეურნეობა დაეწია, ორჯონიკიძელებმა გაუსწრეს.

— ერთი ეს მითხარით, გასულ წელთან შედარებით რა მაჩვენებლები აქვს წელს „ბოლშევიკს“? — ჰკითხა მდივანმა რაიმიწვანის გამგეს.

— შესანიშნავი, — მიუგო ქანიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გულმოსული იყო ესტატეზე, მისი წარმატება საკუთარი წარმატებასავით ახარებდა მას. ამიტომ ლიმილი შეეფინა სახეზე. — გასულ წელს ესტატემ ჩაის

მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა, წელს კი 125 პროცენტით. როგორც ხედავთ, გასულ წელთან შედარებით დიდ წარმატება აქვს, მაგრამ მაინც გაუტოლდნენ სხვები. თუ შარშან „ბოლშევიკს“ და „განთიადს“ 115 პროცენტით მოქონდათ თავი; წელს 125 პროცენტით ვერ დაიტრიალებდნენ, რადგან, ასეთ მაჩვენებლებს მიადრწევს იმ კოლმეურნეობებმა კი, რომლებიც წინა წლებში 80 პროცენტით ძლივს ასრულებდნენ გეგმას. კიდევ ერთი წელიწადი, ამხანაგო დავით, და რაიონი მოწინავეთა რიგებში ჩადგება.

მდივანმა იგრძნო, რომ ქანიშვილი ამას მდივნის კარგი ხელმძღვანელობით ხსნიდა, თუმცა იცოდა, რომ ქანიშვილს ეს იმიტომ არ უთქვამს, რომ ესამოყენებია მისთვის, მაგრამ მაინც უხერხულობა იგრძნო.

— მაშ, ესტატეს გასულ წელთან შედარებით უკეთ უმუშავებია, — თქვა დავითმა. — თითქოს საყვედური არ გვეთქმის მის მუშაობაზე.

— რასაკვირველია არა, ამხანაგო დავით, ესტატეს რომ მუშაობა შეუძლია და მართლაც რომ სასახელო თავმჯდომარეა, თავდაუზოგავი მუშაკია, ამის მტკიცება არ სჭირდება. ამ თვისებას მას ვერაფერს წაართმევს, მაგრამ მის მეტს რომ არავის ხედავს, სხვას რომ არაფრად აგდებს, ეს არ ეპატიება.

— არ ვაპატიებთ ამას და ეს უნდა გაკეთდეს ფრთხილად, უმტკივნეულოდ. ესტატესთანა გამოცდილი, საქმისმკოდნე და თავდადებული თავმჯდომარე თითზე ჩამოსათვლელია რაიონში.

— გეთანხმებით. ამხანაგო დავით, როგორც იტყვიან, ოქროს ფონდია.

— უნდა დავეხმაროთ მას.

— აი, ამისათვის მოვედი თქვენთან, ამხანაგო დავით.

— მაშ ბიუროზე არ არის საჭირო თქვენი საკითხის გატანა? — ჰკითხა მდივანმა ფარული ღიმილით.

— ბიუროზე?.. არა, რასაკვირველია, არა ამხანაგო დავით. მე წელან... ეს ცხელ გულზე...

— ცხელ გულზე ადამიანი ხშირად ისეთ რამეს სჩადის, რომელიც შემდეგ...

— მე მესმის, ამხანაგო დავით...

მდივანმა დაინახა, რომ ჭანიშვილს თვითონვე არ მოსწონდა თავისი ნათქვამი ესტატეს და მისი საკითხის ბიუროზე გატანის შესახებ.

— კარგი, — თქვა დავითმა — თქვენ ამბობთ რომ უნდა დავეხმაროთ ესტატეს?

— იგი უნდა დარჩეს მოწინავე, არ უნდა ჩამორჩეს ორჯონიძეებს.

— ვინ დაეხმარება ესტატეს? — ჰკითხა მდივანმა ჭანიშვილს და არ დაუცადა მის პასუხს, — შე მგონია, ყველაზე უკეთ თქვენ, თქვენ უნდა გადაიტანოთ და დანერგოთ „ბოლშევიკში“ მუშაობის ის ახალი წესობები, რომლითაც ორჯონიძეებსმა ასეთ წარმატებას მიიღწიეს, — შეხედე რაიმეწვანის გამაგეს, — შე არ მკვირვებ ესტატეს სიფიქსს, აბა წარმოიდგინეთ თქვენი თავი მის მდგომარეობაში. კაცი, ჯერ კიდევ გუშინ, მთელს საქართველოში ქუხდა, მისი კოლმეურნეობა ერთი პირველთაგანი იყო, შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ იმუშავა და თურმე მაინც ჩამორჩა. რა მოხდა? — ჰკითხა მდივანმა ჭანიშვილს. — გუშინდელი ნორმები დღეს არ გამოგვადგება, ორჯონიძეებსმა ახალი ნორმები წამოაყენეს, ასეა არა გრიშა? — ღიმილით შეაჩერდა მდივანი ჭანიშვილს, თითი კი ზარის ღილს დააჭირა.

კარი გაიღო და შემოვიდა, ქერა სახე-ქორფლიანი გოგონა.

— „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე მონახეთ. მიწვანში ან ბანკში იქნება. უთხარით, ჩვენთან მოვიდეს ახლავე, — უთხრა მდივანმა გოგონას.

— ჭანუყვაძე აქ გახალავთ, თქვენ გელოდებათ, ამხანაგო დავით.

— თხოვეთ შემოვიდეს.

გოგონა გავიდა, კარი არ მიუხურავს. მდივანი და ჭანიშვილი მოლოდინით შესტყუროდნენ კარს, მაგრამ ესტატე შემოსვლას აგვიანებდა. მან იცოდა, რომ მიწვანის გამგე მდივანთან იყო და არ უნდოდა შემოსვლა, ეს იგრძნო ჭანიშვილმა.

— ალბათ იცის, რომ შე თქვენთან ვარ, — უთხრა დავითს.

ამ დროს ესტატეც გამოჩნდა კარებში, იგი როგორღაც უხერხულად, თითქოს არ უნდოდა შემოსვლა და აიძულეს, ისე შემოვიდა. ჭანიშვილისათვის არ შეუხებდას, მგაღის შორიახლო შედგა ქული ხელში ეჭირა, ისეთი სახე

ჰქონდა, გეგონებოდათ ამ კაცმა ღილი მწუხარება გადაიტანაო.

— გამარჯობათ ესტატე! — მდივანი თვითონ მიესალმა თავმჯდომარეს.

— რაღა გამარჯვება, ამხანაგო დავით, — წარმოსტკევა ყრუ, ჩაყარდნული ხმით ესტატემ და თავი ასწია, ახლა შეხედა დავითს პირველად. — გამთულეს, მიწასთან გამასწორეს კაცი.

მდივანი გაკვირვებით შესტყუროდა ესტატეს. არ მოსწონდა, რომ იგი ასე გაეტეხა და წაეხდინა დროშის დაკარგვას. მკაცრად შეეკრა სახე.

— რა დაგემაართათ ასეთი?

— რაღა რა დამემაართა, ჩემს დროშას მართმევენ...

— თქვენ დროშას? — შეაწყვეტია მდივანმა. — დაბრძანდით! — უთხრა ცივად და სკამზე მიუთითა.

ესტატე ისე იყო გაოგნებული, რომ არ შეუმჩნევია მდივნის ცივი კილო, მკაცრად შეეკრული სახე, დაუღა სკამზე და ჭანიშვილს ზურგი შეაქცია.

— ჯერ ერთი, ამხანაგო ესტატე, დროშა თქვენი კი არ არის, არამედ რაიონული კომიტეტისაა. მას ჰქვია გარდამავალი დროშა და ყოველწლიურად ის ღებულობს ამ დროშას, ვინც დაიმსახურებს, ვინც გაიმარჯვებს რაიონში...

— მე არ დავმარცხებულვარ, — თქვი ასწია ესტატემ. — ვერ დავიჯერებ, რომ...

— მოითმინეთ, — შეაჩერა მდივანმა თავმჯდომარე, — მართალია, თქვენ არ დამარცხებულხართ, მაგრამ არც გაიმარჯვებთ და არ გინდათ დაიჯეროთ ორჯონიძეების გამარჯვება, არ გახარებთ მათი წარმატება ეს ცუდია, ძალიან ცუდი. როგორ შეიძლება კომუნისტს, მოწინავე თავმჯდომარეს არ ახარებდეს თავისი მეზობლის წარმატება. მეზობლის, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სამარცხვინოთ ჩამორჩებოდა! არ შეეკრა, რომ ეს ასეა, ამხანაგო ესტატე. — მდივანმა პირდაპირ შეხედა ესტატეს.

ყოველთვის მხიარული და ხალისიანი, ახლა გახევებულოვით იჯდა ესტატე, თითქოს მოძრაობის უნარი დაკარგაო. მას არც ერთი მღვიმისაგან არ მშენია ასეთი მწარე სიტყვები. არასოდეს ულაპარაკებიათ მასთან ასე. მას არ ჰქონდა შეგნებული თავისი დანაშაული. ამას ხედავდა მდივანი.

— ამხანაგო ესტატე, თქვენ გაეცანით ეიურის გადაწყვეტილებას?

ესტატე შეირბა. ისეთი უმწეო იყო მისი სახე, რომ კაცს შეეცოდებოდა.

— დიახ, გავეცანი, — ამოიღულღულდა ოდნავ გასაგონად.

— რატომ არ მიგაჩნიათ ეს გადაწყვეტილება წესიერად?

— გადაწყვეტილება ალბათ წესიერია. როგორ შემძლია იგი საეპეოდ გაეხადო, მაგრამ...

— რა მაგრამ? — სწრაფად ჰკითხა მდივანმა.

— ვერ დამიჯერებია მთელი წლების მანძილზე ჩამორჩენილმა ეგნატეს, აქვსენტი მამლარაძის, იაგორა ფერშლისა და ილიკო ზედობანიძის კოლმეურნეობამ როგორ მაჯობა. ათი წელიწადია ჩემი კოლმეურნეობა პირველი იყო რაიონში. ახლა კი ასე უცებ, ასე მოულოდნელად წამაქციეს...

— ამხანაგო ესტატე, — ეკლავ შეაწყვეტია მდივანმა თავმჯდომარეს, — ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ორჯონიკიძის კოლმეურნეობა დიდი ხანია აღარ არის ეგნატეს, იაგორა ფერშლის და აქვსენტი მამლარაძის კოლმეურნეობა. რატომ ხუჭავთ თვალს და არ გინდათ დაინახოთ ელენე ავჯანდაძის, მარო ჩხაიძის, არჩილ სირაძის, სანდრო მეგრელიძის და სხვათა საქმე? ორჯონიკიძის კოლმეურნეობა დღეს ამათი კოლმეურნეობაა. დღეს იქ მთელი კოლმეურნეობა ორი ხელით ჰკრეფს ჩაის თოთოლს. შრომითი სასწაულებს ახდენენ. ვინ დაიჯერებდა, რომ ასე გამოიცილებოდა ილიკო ზედობანიძე, აგრაფინა ბედენიძე და კატო კვაჭაძე ისინი შარშან სახელს უტრებდნენ თავის კოლმეურნეობას, დღეს მათი სახელები საპატიო დაფაზეა. იცნობთ თქვენ ამ სახელებს?

— ვიცნობ...

— არ იცნობ ესტატე, — ჩაერია ლაპარაკში აქამდე გაჩუმებული კანიშვილი. ესტატე სწრაფად ზობრუნდა მისკენ და გაბოროტებით შეხედა, მაგრამ მის სახეზე თანაგრძნობა და გულშემატკივრობა დინახა და შეცბუნდა.

— არ იცნობ, — გაიმეორა კანიშვილმა, — არ იცი, რომ ისენი ის აღამიანები აღარ არიან, რაც შარშან იყვნენ. რამდენჯერ გითხარია, შეიხედე მოცენარში, გაეცანი მათ მუშაობას, გადმოიღე მათი გამოცდილება, გააპიროვნე ნაკვე-

თები, შეასწავლე ხალხს ორი ხელით კრეფა-მეთქი. შენ ამის გაკეთება თავის დამცირებად მიგაჩნია. როგორც გადმოვილო მაგალითი ეგნატეს და აქვსენტი მამლარაძის კოლმეურნეობიდან.

კანიშვილი ისე ეუბნებოდა ამ სიტყვებს ესტატეს, როგორც მეგობარი მეგობარს, მის კილოში არ იყო არც საყვედური, არც დაცინვა, მაგრამ ესტატეს გულს მაინც ხედებოდა ყოველი სიტყვა, თითქმის რაიმეწვანის გამგე სილას აწნავდა მას. კანიშვილმა შენიშნა ეს და გაჩუმდა.

ჩამოყარდა უხერხული სიჩუმე. მდივანი მოლოდინით შეჰყურებდა ესტატეს, მაგრამ თავმჯდომარე უძრავად იჯდა, თვალები დახრილი ჰქონდა, გრძნობდა, რომ დავითი მის პასუხს უცდიდა. არ იცოდა ესტატემ, რა ეთქვა, რით გაემართლებია თავი.

— თქვენ, ალბათ, ახლა თვითონვე ხედავთ თქვენი ჩამორჩენის მიზეზებს, ესტატე — დაარღვია სიჩუმე მდივანმა, შეხედა ესტატეს ახლა უფრო ცივად და გამკიცხველად. — თქვენ ფიქრობდით, რომ ვერ გაჯობებდნენ ორჯონიკიძელები, ნუთუ არ იცით, რომ ის რაც დღეს პირველია, მოწინავეთა რიგში აყენებს აღამიანს, ხელოსათვის იგი უკვე მოძველებულია. ცხოვრება სწრაფად მიამიჯებს წინ. ოდნავ შეყოვნება და ჩამორჩენილი ხარ. ორჯონიკიძელების გამარჯვებაში თქვენც მიგიძღვნი წვლილი და თვითონ კი ჩამორჩით.

— მე მიმიძღვის წვლილი?!

— დიახ თქვენ. ერთერთი ძლიერი და, შეიძლება ითქვას, უმთავრესი ძალა მათი გამარჯვებისა, ეს თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბნა იყო. თქვენ გამოიწვიეთ ისინი შეჯიბრებაში. ამ გამოწვევამ დიდი ამოცანების წინ დააყენა მთელი კოლმეურნეობა. მათ ღირსეულად შეათასეს თავისი „მოწინააღმდეგე“, იცოდნენ, რა ძლიერ მერტოქესთან ჰქონდათ საქმე და გაასკეცბული ძალით და მონდომებით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. თქვენ კი ვერ შეათასეთ მათი შესაძლებლობა, თავის დამცირებად მიიჩნიეთ ელენე ავჯანდაძისა და არჩილ სირაძის მუშაობის მეთოდების დანერგვა თქვენს კოლმეურნეობაში. აი თქვენი „წაქცივის“ მიზეზი, — მდივანი წამით შეჩერდა, პაპიროსს მოუკიდა და განხარბოდა: — ასე

არ მოიქცეა „განთიადი.“ სილოვან ქანთარია მართალია გვიან, მაგრამ მაინც ესტურბა ორჯონიკიძელებს და ახლა იქ ყველა რაგლი ორი ხელით კრეფს ფოთოლს...

— გეგმას ყოველ დღე ასოც-ასორ-მოცი პროცენტით ასრულებენ, ამხანაგო დავით, — თქვა ჭანიშვილმა.

მდივანი წამოდგა, გაიარგამოიარა მაგიდის წინ და ესტატესთან შედგა.

— ხელო თქვენ თქვენი ხელით წაუღებთ დროშას ორჯონიკიძეებს, — უთხრა თავმჯდომარემ.

— მე წავიღებ ჩემი ხელით?! — ესტატეს გაკვირებისაგან წარბები თმის ძირამდე აუვიდა.

— პო თქვენ, — ისე უპასუხა მდივანმა, რომ ესტატე მიხვდა ამაზე ლაპარაკი გათავებული იყო. — ახლა თქვენ მხოლოდ იმაზე უნდა იფიქროთ და ის გცადოთ, რომ დროშა დაიბრუნოთ. იცოდით, რომ ეს ძნელი, ძალიან ძნელი იქნება. ხელიდან თქვენთან მომავრებული იქნება ამხანაგი გრიშა.

ესტატეს თითქოს მოეყურაო, ჯერ მდივანს შეხედა და მერე ჭანიშვილს. რაიმეწვანის გამგე ღიმილით შესცქეროდა. „არა, მეჩვენება, — გაიფიქრა ესტატემ და თვალბუნებ ხელი ჩამოისვია, — როგორ შეიძლება იგი დათანხმდეს ჩემს კოლმეურნობასთან მომავრუებაზე? ამ ორი საათის წინ კინალამ დაჯალით ერთმანეთი“. კვლავ შეხედა ჭანიშვილს, ელოდა რომ რაიმეწვანის გამგე წამოდგებოდა და უარს ეტყუოდა მდივანს მის წინადადებაზე, მაგრამ ჭანიშვილის სახეზე კვლავ ღიმილი დაინახა ესტატემ, იგი თანაგრძნობით შეჰყურებდა ესტატეს, რაღაც უნდა ეთქვა თავმჯდომარეს, დღემილი აღარ შეიძლება.

— დასახმარებლად გამიხდა საქმე, ამხანაგო დავით, ჩემი ბრალია. როგორც ჩანს, მე მართლაც მჭირდება დახმარება. არ ველოდი ამ დახმარებას გრიშასაგან. მე აქაც შევიცი, — წამოდგა ესტატე. — მე თქვენ წელან საშინელი ბრალი დამდებ ჩემი საქციელით დავიმსახურე მე ეგ ბრალიება და მეცუთენის, მაგრამ როგორ შემიძლია არ შახარებდეს ორჯონიკიძეების წარმატება, ან იმ ოც კოლმეურნობათა მიღწევები, რომლებმაც ერთ წელიწადში ასე გარდაქმნეს მუშაობა. როგორ შეიძლება არ მინდოდეს ჩემი ქვეყნის ყვე-

ლა კოლმეურნეობა მოწინავე იყოს, მხოლოდ... დაწყევლოს ღმერთმა და ეშმაკმა, ამხანაგო დავით, მაგრამ როგორც გინდათ ისე დამძახეთ ამისთვის და ჩემი კოლმეურნეობის წინ რომ სხვა იყოს, ეს არასოდეს არ მინდოდა და არც ახლა მინდა. შეიძლება ეს ჩემი სისუსტეა, ამიტომ ვერ შევირგებოვარ დროშის დაკარგვას, — შეჩერდა, სული მოითქვა, — ახლა მე ვიცი, სად შევცდი, რაში შევეცი. პირობას გაძლევე წელს ჩემი დროშა... უკაცრავად, რაიოხული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა უკან დავიბრუნო.

— იცოდე, ესტატე, რომ ორჯონიკიძელები დროშას იოლად არ დასთმობენ, ისინი ყოველდღიურად საგმირო შრომის ახალ მაგალითებს იძლევიან.

— ვიცი ამხანაგო დავით, ორჯონიკიძეების კოლმეურნეობა ის კოლმეურნეობა რომ არ არის, რაც ეგნატეს ხელში იყო, მაგრამ არც ჩვენ დავჩვენით ის „დამარცხებული“ „ბოლშევიკლები“, რაც ახლა ვართ. ერთ რამეში უნდა დამეხმაროთ თქვენ და გრიშა.

— რაში?
— ის ბავშვი ათი დღით გამოუშვას სანდრო ზეგრელიძემ ჩვენს კოლმეურნეობაში.

— ვინ ბავშვი?! — გაკვირებით ჰკითხა მდივანმა.

— ელენე ავეანდაძე. ბავშვია ხნით, მაგრამ თავისი საქმით გმირი გახლავთ, მთელი რაიონის საამაყო. მისი რგოლის წევრებით რომ მოვიდოდეს რამდენიმე დღით ჩვენთან და გვასწავლიდეს...

— შესანიშნავია, დიდებულია ამხანაგო ესტატე. — მოიწონა მდივანმა.

— სამაგიერო მუშახელს გაუგზავნი სანდროს. თუ თქვენ არ უთხარით, ისე უარს მიტყვის, ხომ იცით შეჯიბრება... ჩემი მოწინააღმდეგეა.

მდივანს გაეცინა.

— მე გგონია სანდრო უარს არ გეტყვით. თხოვეთ თვითონ. ჩემი ჩარევა ამ საქმეში საჭირო არ არის. სანდრო თქვენი მოწინააღმდეგე კი არაა, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავხართ გამოწვილი, ამ საქმეში ორივე მხარე ერთმანეთს ეხმარება, ხელს უწყობს. ასეა, თუ არა ეცდები, არა?

— რასაკვირველია, ასეა.

— გარდა ამისა, გახსოვთ, ელენე ავეანდაძემ თქვენ თვითონვე შემოგათა-

ვახათ დახმარება, როცა უთხარით, თქვენ ორი ხელით, ჩვენ ერთი ხელითო. აბა, რა გეგონათ, გაჯობეს, ესტატე, ორი ხელით.

— მაჯობეს, მაჯობეს, ამხანაგო დავით და მთლად ნუ გამწირავთ, ჩემი ხელით ნუ მიმბრუნებთ დროშას მოცუნარში. ნება მომეცით იმ ბრიგადირების ხელით გავგზავნო, რომლებმაც ისე ვერ იმუშავეს, როგორც საჭირო იყო და რომელთა გამო ვკამეთ სირცხვილი. კარი გაიღო და ტექნიკური მდივანი შემოვიდა.

— ამხანაგო დავით, გაზეთ „ზარია ვასტოკას“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე განსაუბრეთ თბილისი.

— სთხოვეთ შემოვიდეს, — უთხრა მდივანმა გოგონას და ესტატეს მიუბრუნდა: — არა, ესტატე, დროშას წაიღებთ თქვენ და ბრიგადირებსაც წაიყვანთ. ადრე, კრები დაწყებამდე მიღით. ნახეთ მათი პლანტაციები, ელენე ავთანდიას რგოლი, მოილაპარაკეთ დახმარებაზე. მას ასე, გისურვებთ წარმატებას, — გაუწოდა ხელი მდივანმა, ჩამოართვა და კარებამდე მიაცილა ესტატე.

კარებში კი ფართო მხარბეჭიანი, თეთრი სახის ახალგაზრდა შემოვიდა.

— გამარჯვებით, ამხანაგო დავით, — მიესალმა იგი ჯერ მდივანს და შემდეგ ესტატეს ეტყობოდა იგი ორივეს კარგად იცნობდა.

2

ესტატემ კოლმეურნეობაში დაბრუნებისთანავე მოიწვია გამგეობის კრება და მოკლედ გააცნო გამგეობის წევრებს და ბრიგადირებს საქმის ვითარება.

— მომეცით სიტყვა, — წამოდგა, როგორც კი ესტატემ სიტყვა დაამთავრა, მეცამეტე ბრიგადის ბრიგადირი გიორგი ხომერიკი. იგი ჩია ტანის იყო, გრძელი უღვაშები და წვრილი თვალები ჰქონდა, როცა ლაპარაკობდა თვლივს ისე ასრიალებდა, რაც გინდა სიმართლე არ ეთქვა, კაცს ეგონებოდა — ტყუილს ამბობსო. მას ტყუილიც უყვარდა, ტრახანცი და საოცარი ამპარტავანიც იყო. — ვერ დაგეთანხმები, ესტატე, რა დავაშავეთ ასეთი, რომ ჩვენი ხელით მივაქვს დროშა მოცუნარში. ის არ კმარა, რომ დროშა წაგვართვის? რა შია, ამხანაგებო, საქმე, ვინ გვიშვება ამ

საქმეს? ასე უსიტყვოდ, დროშას რომ ვახებებით, რამ წაგვანდინა? რა დავაშავეთ, ჩამოვრჩით რამეში თუ? — შარშანდღეზე უარესად ვიმუშავეთ, თუ რაშია საქმე მეთქი? — ხომერიკი თანდათან უწევდა ხმას, სახეზე წამოენთო, გაფოფრილი გრძელი უღვაშები ლაპარაკის დროს ზევით-ქვევით უხტოდა. — გემა 125 პროცენტით შევასრულეთ, ამაში მიგვიძღვის ბრალი? ამიტომ გვართმევენ დროშას? მოცუნარელებმა უკეთ იმუშავესო, რომ ამბობ, შენ ესტატე, დასაჯერებელია ვითომ? რა ამოდულდა ამ ერთ წელიწადში იმ მოცუნარში. შარშან ქამარში მოჭერილები დადიოდნენ და წელს ააშენეს ქვეყანა? კარგი, არ ვხდი მე საეჭვოდ მათ წარმატებას, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ? დროშას ჩამორჩენილებს ართმევენ. ჩამორჩენილები ვართ ჩვენ? — შესძახა გიორგიმ მთელი თავისი მწივანა ხმით კრებას. მერე ხმას დაუწია და დაცინვით განაგრძო: — თუ მოცუნარისათვის მაინცდამაინც აუცილებელია დროშის მიცემა, სხვა შეუკერონ და მისცენ. ბოლოსდაბოლოს სამი მეტრი მატერია ეყოფა.

— ენას ძვალი არ აქვსო, რომ იტყვიან, სწორედ შენს ენაზეა ნათქვამი, გიორგი, — უთხრა ხომერიკს ბრიგადირმა ივლიანე ჩხაიძემ, ჩაფსკენილი ტანის ყმაწვილმა, — დროშის წაღების უფლება სასახელოდ მოიპოვეს მოცუნარელებმა, იგი მათ ეკუთვნით, ასე რომ სხვა დროშის შეკერვა მათ არ სჭირდებათ, შენი პირი კი საჭიროებს ამოკერვას ასეთი უპასუხისმგებლო ლაყბობისათვის.

— პიროვნებას ნუ ეხები, — წამოვარდა ხომერიკი, — არ გაქვს უფლება! ივლიანემ ყურადღება არ მიაქცია ხომერიკს.

— ჩვენ თავბრუ დაგვესხა წარმატებისაგან. არ გვინდოდა გავგეგო, ჩვენ ცხვირწინ მოცუნარის კოლმეურნეობაში რა ხდებოდა. ჩვენმა კულაბზიკურმა თავმოყვარეობამ დიან, დიან ესტატე, ეს ყველაზე მეტად შენ გეხება, — უთხრა ესტატეს, რომელმაც ივლიანეს ამ სიტყვებზე უშბლი შეიკრა, — შენ მიგიძღვის ბრალი ჩვენი დახმარებაში. რამდენჯერ დაეყენეთ საკითხი შენთან ორჯონიკიძელების გამოცდილების გადმოღების შესახებ. შენ ვაგონებაც არ გინდოდა.

შეჩერდა, შეხედა პარტორგანიზაციის მდივანს ვახტანგ ვახტანგის, იგი ის იყო პლატაკიიდან მოვიდა და კარებში შედგა.

— შენ არც პარტორგანიზაციის დაუჯერე. ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, ვახტანგ, — უთხრა ვახტანგს, — ვერ ვიდევით მოწოდების სიმალღეზე. ახლა ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ სამართლიანად მოიბოვეს დროშის უფლებმა ორჯონიძეებმა თუ არა. აქ საეჭვო არაფერი არ არის. ახლა მანაც გავაბილათ თვალს, ჩაიხედოთ შათსაქმეში. დროშას, რასაკვირველია, მიკუტანთ და გამარჯვებასაც მივულოცავთ.

— მომკვდარვიყავი და ეს არ დაგემართნოდა, — ამოიოხრა კუთხეში მჯდარმა მოხუცმა სევერიანე ბერიძემ. — ადექი, აქისეხტი ჰანუყვადევე, და შენი ხელით ჩააბარე შენი დროშა ილიკო ზედობანიძეს, გამარჯვებაც მიულოცე. ვაი, სირცხვილო! — წამოდგა, კრებას გადახედა და ისე, თითქოს აიძულებინო ლაპარაკს, უხალისოდ განაგრძო: — მთელმა ქვეყანამ რომ არ გაიფოს ჩვენი შერცხვენი ამბავი, მოდი, დროშას ტარი მოვაძროთ, ტარი დარაჯის ხელით წინასწარ გაგზავნოთ, რომ იქ დაგვახედროს. დროშა კი შევახვიოთ და ისე წაიღოთ. ვერავინ გაიგებს, სად მივდივართ და რა მიგვაქვს...

— მომეცით სიტყვა, — დაიძაბა პარტორგანიზაციის მდივანმა და მგავისაკენ წამოვიდა. ქული მოიხადა, სკამზე დაგდო, მაგიდის წინ შედგა და კრებისკენ მობრუნდა. — რას უსმენთ, ამხანაგებო! — მიმართა ვაცხარებულმა კრებას, — ნუთუ თუნდ ერთი წუთით შეიძლება დაუშვათ ასეთი სისულელი? რას ქვია დროშისათვის ტარის მოხსნა და ქურდულად წაღება. დროშის ქურდულად წაღება კი არა, ახლავე უნდა მოვიწვიოთ საერთო კრება, ყველას უნდა გვაგებოთ ჩვენი დამარცხების მიზეზები. დავმალეთ დროშის ამბავი, სევერიანე, ვის დაუშვალათ? ხალხს? — მიუბრუნდა სევერიანს, — იმის მაგივრად, რომ შენ შენი ბრიგადის ყოველ წევრს გააცნო, რატომ წაიღეს დროშა ორჯონიძეებმა, თითოეულ წევრს ააღებოთ კონკრეტული ვალდებულება, რომ კვალა დავიბრუნოთ დროშა, ამბობ, ისე წაიღოთ დროშა, არავინ გაიგოსო, არავინ დაგინახოსო. ეს ამბავი

არა მარტო ჩვენმა წევრებმა უნდა ვაიგონ, იგი უნდა შეიტყოს ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნიც, რომ შათის თვის მაგალითი იყოს ეს. *გაიგონ* აქამდე გაჩუმებული კოლმეურნეები გაზოცოცხლდნენ.

— რა გვაქვს დასაძალი?
— რა დაგვემართა ასეთი?
— ვინ გვაჯობა, ვადამთიელებს ხომ არ მიაქვთ დროშა, ჩვენ მეზობელს, ჩვენ ახლობელს.
— შარშან დროშა „ჯანთილის“ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ წამოვიღეთ. ახლა ჩვენზე უკეთ სხვამ იმუშავა და წაიღო. გამოვიღოთ ხელი და ისევ დავიბრუნებთ.

ალაპარაკდნენ ბრიგადირები. გამგეობის წევრები, ყველას მოეწონა პარტორგანიზაციის მდივნის სიტყვა.

— შენ რომ უფრო მაგრა მოგეკიდა ხელი ესტატესათვის, დროშას ჩვენგან ვერ წაიღებდნენ. ვახტანგ, — უთხრა ივლიანემ ვახტანგს.

— მართალია, ამხანაგებო, მეც მიმიძღვის ბრალი ესტატესთან ერთად, — უბასუხა ვახტანგმა ივლიანეს, — ყოველნაირად ვეცდები გამოვიწყიდო ჩემი დანაშაული. წინადადება შემომაქვს დღეს, საუამოს, საერთო კრება მოვიწვიოთ, გავაცნოთ ხალხს საქმის ვითარება, დაეცახოთ კონკრეტული ღონისძიებანი უბეი მოსავლის მიღებისათვის. ყველა ბრიგადირმა და მერგოლურმა წარმოუდგინოს კრებას თავიანთი ვალდებულებანი. თითოეულმა ბრიგადამ რა რგოლმა გამოიწვიოს სოციალისტურ შეჯიბრებაში „ბოლშევიკის“ რგოლი და ბრიგადა.

— კარგია!
— ასე მოვიქცეთ!
გაისმა შეძახილები.

— დროშას მოცენარში წაიღებენ ის ბრიგადირები, რომლებმაც ვერ გაამართლეს წელს მათ მიერ ალებული ვალდებულება და აგრეთვე ჩვენი მოწინავე ბრიგადირები.

მეორე დღეს ექვსი ბრიგადირი და ესტატე აღრე გავიდნენ სოფლიდან. მოცენარში რომ მისულიყვნენ, „ჯანთილის“ გზაზე უნდა გაეართათ. ამაზე ფიქრმა მთელი ღამე არ დააძინა ესტატე. გაიგებდნენ თუ არა ჯანთიადღეობი, ესტატეს დროშა მიაქვსო მოცენარში, უსათუოდ დაუხვდებოდნენ სადმე. „როგორ გაუძლო სილოვანის დაცინ-

ვას, ფეხით მაინც მივიღოდეთ ეს ობე-
რი, იქნებ ისე გაგვევარა სილოვანის ტე-
რიტორიაზე, რომ არც გაეგოთ. მანქა-
ნით კი აბა, როგორ დავემალეებით.
ისიც ჩვენი მანქანა, ეს ხუთტონიანი
ვეშაპი ბათქა-ბუთქით რომ შეუდგება
„განთიადის“ აღმართს, მთელ სოფელს
ფეხზე დააყენებს. არა, რაიმე უნდა ვი-
ლონო, რომ ფეხით წავიდე. მიყრუე-
ბული შუკებით ვავივლით სოფელს,
ხალხი სამუშაოდ იქნება გასული და
ვინ შეგვინიშნავს. ასე უნდა ექნა უსა-
თოოდ“.

ბევრი ფიქრის შემდეგ გამოსავალს
მივაგნო. გათენებამდე ერთი ძილი იყო
დარჩენილი, რომ ჩუმად, ისე რომ
სახლში არავის გაეგო, წამოდგა და შო-
ფერთან წავიდა სახლში. შოფერს აი-
ვანზე ეძინა, კიშკარმა გაიჭრიალა თუ
არა, მაშინვე გაელეიძა, იცნო თავი-
ჯდომარე. ეზოში ჩამოეგობა.

— რა ამბავია, ესტატე? რამ მო-
გიყვანა ამ დროს?

— დოეს შენ ავად უნდა გახდე,
ელიზბარ.

— როგორ?!

— არ იცი რას ჰქვია ავად გახდომა?
— კი ვიცი, მაგრამ, რა მჭირს ავად
გასახდომი? ჩემს დღეში თავი არ
ანტიცივებია კაცს.

— რა ვუყოთ მერე, არ ანტიცივებია,
ახლა ანტივიდა.

— ანტივიდა?

— ყური დამიკდე ელიზბარ: დოეს
შენ არ უნდა წამოხვიდე მოცენარში.
ნუ მითხავ, რატომ. გააცნია. სიცხე
გაქვს.

— სიცხე მაქვს?!

— სიცხე გაქვს და ვერ წამოხვალ.

— ხო, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, არ შეიძლე-
ბა, შენი თავმჯდომარის ხათრით ერთი
დღე ცივებით ვახდე ავად და სახლში
იწვე?

— შე კაცო, შენი ხათრით ერთი დღე
კი არა, ერთ კვირას დაიწვეები.

— ძალიან კარგი, ნახვამდის. — შე-
ტრიალდა ესტატე და სახტად დარჩე-
ნილი შოფერი ეზოში დატოვა.

არავის შეუტანია ეკვი შოფერის
ავადმყოფობაში. ყველა მანქანა ჩაის
ფოთოლს ეზიდებოდა ფაბრიკაში. სხვა
გზა არ ჰქონდათ, ფეხით უნდა წასუ-
ლიყვნენ მოცენარში. ადრე ვავიდნენ
სოფლიდან. დროშის წაღება ესტატემ

სევერიანე ბერიძეს დაავალა, თან/გა-
აფრთხილა; უკან ევლო და თუ გან-
თიადლელებიდან ვინმე შემოხვდებოდათ,
დროშა დაემალა.

ეს საიდუმლოება ესტატეს და სევე-
რიანეს გარდა არავინ იცოდა და ამი-
ტომ ბრიგადირები სულ უკან-უკან იხე-
დებოდნენ. გამოიარე, სევერიანე, რამ
შეგიკრა ფეხებით, ეუბნებოდა სევე-
რიანეს ხან ერთი და ხან მეორე. თუ
დროშამ დაგამძიმა, მოგვეცი, მოგვეცი,
ჩვენ წამოვიღებთო. სევერიანე დროშას
არავის ანებებდა. დროშა რაჟა და-
ამაძიებებს, ფეხი მტკია. ეკალი შე-
მარქო ამ სამი დღის წინათ და დამი-
ჩირქდაო. ისე მოხერხებულად კოჟ-
ლობდა და ითრევედა ფეხს, რომ კინა-
ლამ უკან დააბრუნეს.

„განთიადის“ მიწაწყალზე მიდიო-
დნენ, ერთი კილომეტრი თუ იქნებოდა
დარჩენილი მოცენარის საზღვრამდე.
ესტატე გახარებული იყო; გადაურჩი
სილოვანსო. ფიქრობდა და ისე მიიჩქა-
როდა, თითქოს დროშის გადასაყოფად
კი არა, მისალეზად მიდიოდა. უკან მოი-
ტოვეს სოფელი, აი გამოჩნდა მოცენა-
რის თემშარა, მაგრამ ვაი უბედურე-
ბავ. თითქოს მიწიდან ამოქვარხნო,
მოსახვევში სილოვან ქანთარია და რამ-
დენიმე ბრიგადირი შემოეფეთათ.

— თფუი, დაგწყველოთ ეშმაკმა, —
ჩაილაპარაკა თავისთვის სიბრაზისაგან
გაცოფებულმა ესტატემ და თან სწრა-
ფად მოიხიდა უკან, სევერიანეს თვალი
უყო, დროშა დაშალეთ.

სევერიანე ელვის სისწრაფით გზი-
დან გადახტა და დროშა მუხას ამოაფა-
რა, მაგრამ სილოვან ქანთარის თვალს
აბა რას გამოაპარებდა. ქანთარიამ
ულვაშებში ჩაიღიმა და ესტატეს მო-
წიწებით და სიყვარულით მიესალმა.

— ესტატეს ჩემი ძვირფასი სალაში.
უიმი, ამას რას ვხედავ, ჩემო ესტატე,
ამ სალონე შეუკაში რამ შემოგიყვან-
ა? — ახლა სხვებს შეხედო სილო-
ვანმა, — კაი გამარჯობათ, დეკამირი-
ბო, საით დარახმულხართ? შარავზა
რად დაგვიწუნეთ?

ბრიგადირებმა უხერხულად ჩაახვე-
ლეს. ყველა ესტატეს შეაკურებდა. არ
იცოდნენ, რაში იყო საქმე, ესინი არც
დაფიქრებულან რატომ მოდიოდნენ
შუკა-შუკა და ახლა გაუკვირდათ, მარ-
თლაც რამ წამოგვიყვანა ამ სალორე
შუკებითო.

— შენი შარავნა, რომ დასაწუნე არ არის, ეს კი ვიცით, სილოვან ჩემო, — არ დააყოვნა პასუხი ესტატემ, — მაგრამ ამ შუკვებით გზის შესამოკლებლად წამოვედით, შოფერი აქედან გაგვიხლდა, სხვა მანქანები ფოთოლს ეზიდებიან და ფეხით მოგვიხდა წამოსვლა.

— ღმერთო, კი მომკალი, რატომ არ დამირეკე, შე კაცო. მანქანას ერთს კი არა, სამს მოგაყენებდი კარზე, — უთხრა სილოვანმა თავმომწონეთ. — ხომ იცი, თხები არ მყავს იმდენი, რამდენიც მანქანები.

— ესტატე ბატონო, სად მიბრძანდებით ამ გახურებულ შემოზობის დროს, — ჩამოართვა სიტყვა სილოვანს მისმა ბრიგადირმა, ავთანდილ ჯაბუამ. გამხდარმა, სირაქლეშასავით აწოწილმა ენადგარძლიანმა მოხუცმა. — ეს ბრიგადირები წეროებსავით რომ დაგიწყვიდა, რუსულდანთან ხომ არ მიგყავს შესალოცად. რალაც ცუდი ფერი ადევთ სახეზე.

გაშრა ესტატე. «ყოღნიათ, სად მივდივართ და რისთვის მივდივართ, განგებ ჩაგვიასფრდნენ გზაზე».

— ჩემს ბრიგადირებს შესალოცი ჯერ არაფერი სჭირთ, სილოვან ჩემო, — ავთანდილის მაგივრად სილოვანს მიახალა პასუხი ესტატემ, — შესალოცები თქვეთან მოიკითხეთ, ტყირადასიგბული რომ ხართ ამ უქმურით ჩახაშმებულ სოფელში.

— ღმერთო, კი მომკალი, გეხუმრათ ავთანდილი და თქვენ გულთან მიიტანეთ? — გაოხნებდა სილოვანმა ესტატეს ბრიგადირებს, რომლებიც მოხვედრით უბღვერდნენ ავთანდილს. — ჩვენ იმიტომ შემოგვგებეთ, პატივი გვინდა ქვეთ, ნამგზავრები ხართ, დალილები, გეშეებათ, გეწყურებთ, დაგვდეთ პატივი, თითო ჰქა დაგვიოიეთ...

— არა, მადლობა გვეჩქარება, — ცივად შეაწყვიტა სიტყვა ესტატემ და თავისიანებს მიუბრუნდა: — აბა, წავიდეთ!

ადგილიდან არავინ იძროდა, დროშა ვისთვის დაეტოვებიათ. სილოვანს და მის ბრიგადირებს კი მუხისაკენ ეჭირათ თვალი, ნაბიჯს ჩუმჩუმად იქითკენ ინაცვლებდნენ.

— რა მიგეჩქარება ასე, შე კაცო, — უთხრა სახეზე წამოწილებულ ესტატეს სილოვანმა, — ასე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბიხარ, რაღა, რა მიგი-

ხარიათ ნეტავი. კაცს ეგონება დროშის მისალებად მიდიანო, მაგრამ, თუ არა ვეცდები, დროშის ჩასაბარებლად მიბრძანდებით. ასეა არა, ესტატე?

— ასეა თუ ისე, ეგ შენ არ გეხება სილოვან ჩემო.

— მართალს ბრძანებ, ესტატე, მე რომ მეხებოდეს, მე მიმქონდეს იქნება დროშა მოცენარში, — დააქცერდა ბრიგადირებს, თითქოს ახლა შენიშნაო, რომ დროშა არ ჰქონდათ მათ. — კი, მაგრამ დროშა რა უყავით ხალხნო? დროშა გაშლილი უნდა მიგქონდეთ, ფრიალოთ, სიმღერით... არა, ხუმრობა იქით იყოს და სადაა დროშა, ესტატე? ნუ გაუხეხებთ გული ილიკო ზედობანიძეს. იგი ახლა დიდ წიფელზე იქნება გასული და იქიდან ვითვალთვლებთ. ალბათ. დაგინახავს თუ არა, ბუკს დააკრავს, მთელ სოფელს ფეხზე დააყენებს.

— ეგ შენი საქმე არ არის, ვინ რას იზამს, — მკვახედ მიახალა ესტატემ სილოვანს. — შენ რა გული გეწვის ჩვენს დროშაზე, რომ გოარაგა. დროშა შარშან შენი იყო და შენ დაიბარუნებდი. მაგრამ ვერ მოგართვეს, ვენაცვალე მოცენარელებს, დაგაძვრეს ხელიდან.

— დაგვაძრეს, — გაეცინა ავთანდილ ჯაბუას, — ბიჭოს, ჩვენ კი არ დაგვაძრეს, თქვენ აგაფუცქვენს...

— რაიო, რაშია საქმე? — შეუტია ესტატემ «განთიადლეებს» — ფირალეზბივით რომ გადაავიდექით, ამ შუადლეზე გზაში ესაა თქვენი ამხანაგობა? დროშა კი არ აგაფუცქვენს, სამართლიანად და სასახელოდ მოიძოვეს მისი მიღების უფლება და ჩვენც წესისამებრ მიგაქვს, რომ გამარჯვება მიულოცოთ და ჩავებაროთ.

— სადაა მერე, თუ მიგაქვთ? თვალს არ მაკლია და რაცხა ვერ ვხედავ დროშას, — წინ წარსდგა ავთანდილი.

— გახილეთ თვალი და დაინახავ, ყახახო! — შესძახა ბოლმისაგან გაგულდულმა სევერიანემ და საფარიდან გამოვიდა. გაშლილი დროშა წინ დაურქო «განთიადლეებს»!

— «სად გქონდა, სევერიანე, დროშა? — შეუწყრა ესტატე თავის ბრიგადირს.

— ტარი მოძვრა და გავეშარეთ, — იცრუა სევერიანემ, — რაღა, რა იყო, ვინ კითხავს ამ ვაემატონებს, სად მქონ-

და დროშა. მოცენარში მიგვაქვს, ამათ-თან ხომ არ მოგვაქვს.

— მიგაქვთ, მაგრამ ვაი ამ წალღებს, — წაძმოსთქვა სილოვანის ახალგაზრდა ბრიგადირმა თანაგრძნობით. იგი მთელი ლაპარაკის განმავლობაში თვალს არ ამორებდა ესტატეს. ხედავდა რა სიმწერის ოფლი ასკდებოდა სახეზე და დაენანა მოხუცი.

— რა უკუთ მერე, რომ მიგვაქვს, ყმაწვილო, — თანაგრძნობით თქმული სიტყვები უფრო მწარედ მოხედა გულზე თავმჯდომარეს, — დროშა გარდა-მავალია. ხან იქით მიდის, ხან აქეთ. შარშანწინ თქვენთან იყო, შარშან ჩვენთან, წელს მოცენარში მიდის.

— ესე იგი ისე გამოდის, დროშას ფეხები ჰქონია და სიარული ცოდნია, — ვერ შეიკავა ღიმილი სილოვანმა, აენტო ესტატი.

— რას იქაუბი, ყაზახო, — შესძახა სილოვანს, — არ გახსოვს, ეს დროშა შენგან რომ გადმოვიდა ჩემთან?

— მერე რატომ გაუშვი ხელიდან. თუ გადმოვიდა, უნდა შეგეარჩუნებია კიდევაც. მე დროშა ხუთი წელიწადი მქონდა. შენ კი ერთი წელიც ვერ შეინარჩუნე. ესტატი, შენთან რომ დროშა იყო, იმდენხანს მე თამადად ვაქძლებ სუფრაზე. მაგრამ დაენებოთ ამას თავი, — თქვა სილოვანმა და სახეზე ღიმილი გაუქრა. — იცი რატომ დაგიბე-დით აქ „ფირალბივითი“? ყური დამი-გდეთ, მეზობლებო, — მიმართა ესტატი-ეს ბრიგადირებს, — ჩვენ გვეგონა და-გვიძახებდით, გავგაცნობდით თქვენი დამარცხების მიზეზებს. ვანა მარტო თქვენ გაჯობეს ორჯონიკიძელებმა, ჩვენც გვაჯობეს. ჩვენც გვაქვს მუშაობაში ის ნაკლოვანებანი, რაც თქვენ. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთისთვის გული გადაგვეშალა, რჩევა-დარიგება გვეკითხა, თქვენ ქურდულად მიაბა-რებთ დროშას. ვის უშალავთ, მეზობ-ლებო თქვენს გასაქირს, თქვენ კარის მეზობლებს, თქვენთვის ყოველივე კა-რგისა და კეთილის მსურველებს? არ გრცხვენია, ესტატი? თქვენ არ დაგვი-ძახეთ, მაგრამ ორჯონიკიძელებმა და-გვიძახეს, სტუმრად მივიწვიეს მიტინ-გზე, მოლით და გაეცანით ჩვენს საქმე-სო. აი ამიტომ დაგიბედათ აქ. ერთად წავილოთ დროშა. ეს დროშა მარტო შენგან არ მიაქვთ მათ. ჩვენგანაც მია-ქვთ და ჩვენც მხარში გვივინდა ამოვი-

დგეთ. მოკიდე ხელი დროშას, ავთან-დილი! — უბრძანა ბრიგადირს, — ერთად წამოიღეთ შენ და სტუმრანემ. წინ გაგვიძახებთ და მალე დასწავით! მტყუა-ნამ დაგვიანახოს, რომ ჩვენ წავიკეთ წელს, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, იმა-ზე ვიზრუნოთ, რომ გაისად ისევ მოვი-ვით.

ორი სახელგანთქმული კოლმეურ-ნეობის თავმჯდომარეებს და ბრიგადი-რებს წინ გაუძღვენ სტუმრანე და ავ-თანდილი დროშით და რაღვან დაგვი-ნებულნი იყვნენ, ჩქარი ნაბიჯით გაე-მართნენ მოცენარში.

თემშარზე გავიდნენ, აქ ხილთან სი-ლოვანს თავისი მანქანა ჰყავდა დაბარე-ბული, იგი ჯერ არ მოსულიყო. დაგვე-წვიოთ, თქვა სილოვანმა და გზა განა-გრძეს. მაგრამ ორი ნაბიჯი არ ჰქონ-დათ გავლილი, რომ მოსახვევიდან მთე-ლი სისწრაფით მომავალი საბარგო მანქანა გამოვარდა და მუხრუჭების გა-ბმული ხრქიალით ერთბაშად შედგა ესტატესა და სილოვანის წინ, კაბინი-დან ილიკო ზედობანიძე გადმოხტა. მას რაიონიდან შაბიამანი მოჰქონდა. ესტა-ტი და სილოვანი შორიდან იცნო და ისე გაეხარა მათი ნახვა, შოფერს რომ ერთბაშად არ დაემუხრუჭებია, გაქანე-ბულ მანქანიდან გადმოფრინდებოდა.

— სოფელ მოცენარის ამხანაგ სერ-გო ორჯონიკიძის სახელობის სახელ-განთქმული კოლმეურნეობის სტახანო-ველი კოლმეურნი ილიკო ზედობანიძე გახლავართ! — გამოეჩინა ესტატეს და სილოვანს, სალამი მისცა და მერე ბრი-გადირებს მოუბრუნდა და მიესალმა. დროშას შეაშტერდა და თვალი ვერ მოსწყვიტა. — დედა, ეს რა გადასარევი ყოფილა. ეს ნამდვილად ჩვენ დაგვი-შენდებდა. მომაკიდებთ ხელი, თუ ვი-ყვარდეთ, — უთხრა ავთანდილს და სე-ვერიანეს და დროშისაკენ წაიწია. მაგ-რამ სილოვანის მანქანის ხმამ შეაჩერა. მობრუნდა და აჩქარდა: — დაბრძა-ნით, მთელი მოცენარი გიცდით. თქვე-ნისთანა სასახლო სტუმრები და ისიც ასეთი ძღვენიით... დღესასწაულია დღეს ჩვენთან, — ილიკო სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, — ვის მოაქვს ჩვენთან დროშა. ესტატი ჰანუყავაძეს და სილო-ვან ქანთარისა, დაიჯერებს ამას ვინმე, თუ თავისი თვალით არ ნახა? ძნელი დასაჯერებელია სწორედ.

სანამ ესტატე, სილოვანი და ბრიგადირები მანქანაში სხდებოდნენ, ილიკო ავთანდილის და სევერიანეს წინ იდგა და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდა მათ. როცა ყველანი ჩასხდნენ, ესტატე გაკვირვებით მობრუნდა მედროშეებისაკენ.

— რას უცდით, ამოდით.

— არა, ესენი ჩემს მანქანაში ჩასხდებიან, ბატონო ესტატე. დროშა წინ უნდა მიგიბოლოდეთ, — უთხრა ესტატეს და თავის შოფერს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა ილიკომ. დროშა ხელიდან გამოსტაცა ავთანდილს და სევერიანეს, მანქანის ძარაზე ავიდა. — ამობრძანდით, მეზობლებო! — უთხრა დაბნეული მდგარ ავთანდილს და სევერიანეს.

— ადით! — დაუძახა მათ სილოვანმა.

ავთანდილი და სევერიანი სწრაფად ავიდნენ ძარაზე, ილიკოს დროშა ჩამოართვეს.

— გასწი, გივი! — შესძახა ილიკომ შოფერს.

მანქანა ერთბაშად დაიძრა, მაღალი სიჩქარე აიღო. დაიძრა სილოვანის მანქანაც.

3

ციტრუსებში, ჩაის პლანტაციებში და სიმინდის ყანებში დღეს ჩვეულებრივზე აღრე გასულიყვნენ მოცენარში. ზოგ ბრიგადის სასუქი შექმონდა ჩაისა და მანდარინის ნაკვეთებში. ზოგი სიმინდს, ლობიოს და სოიას თესდა. ყველგან გაცხოველებული მუშაობა იყო გაჩაღებული.

კოლმეურნეობას სიმინდის დათესვა პირველი მაისისათვის უნდა მოეთავებია. ზოგი ბრიგადა უკვე ათავებდა თესვას. მეთორმეტე და მეცამეტე ბრიგადა ჩამორჩენილიყო და ამათ სხვა ბრიგადები ეხმარებოდნენ.

არჩილის ბრიგადას დღეს უნდა მოეთავებია ნაკვეთებში აზოტის მობნევა. ეს საქმე მამაკაცს უფრო შეეფერება, მაგრამ ქალები არავის ანებებდნენ მას, ეშინოდათ, კაცები ისე გულდადებით ვერ გააკეთებენ, როგორც ჩვენო. ელენე და სხვა მერგოლურები მიწის ყოველ მეტრს სინჯავდნენ, აბა როგორ არის მობნეული სასუქით.

მზე ჯერ ბახმაროს მთებზე არ იყო გადმოსული, როცა კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის წინ ასწრებდნენ ქედარზე ჩამოკიდებულმა ზარმა მძლავრად დაიგუგუნა. გამოცდილი ხელი სამჯერ შემოკრა და, შემდეგ ოდნავ დააყოვნებდა; კვლავ სამჯერ რეკავდა, ნიავს ზარის თმახიანი ხმა შორს მიჰქონდა და ციტრუსებით და ჩაის პლანტაციებით ამწვანებულ მინდვრებსა და გორაკებზე ფანტავდა.

მოცენარში ყველა კოლმეურნეობამ იცოდა, რომ ზარის ასეთი წესით დარეკვა ხალხს საერთო კრებაზე უხმობდა. იცოდნენ კრებაზე რაღაც ახალს გაიგებდნენ.

დღეს შუაღელზე კრება რომ იყო მოწვეული, ყველამ იცოდა ჯერ კიდევ გუშინ აცნობეს კოლმეურნეობას, რომ დღეს გარდამავალი წითელი დროშა უნდა მოეტანათ „ბოლშევიკიდან“ და პლანტაციებში სახელდახელოდ მიტინგი უნდა გამართულიყო, ამიტომ ყველას გაუჟკირდა ასე დილაადრიან, რატომ უხმობდათ ზარი საერთო კრებაზე.

ზარის გუგუნე არ წყდებოდა. მისი ხმა მიწვედა მოცენარის კოლმეურნეობის ყველა პლანტაციას, ყანებს, მშენებლობებს, ტყეს, გზებს, ბილიკებს, ფერმებს. ერთი წუთით ერთ და იმავე დროს შეჩერდა ყველა — კაცი და ქალი, შესწყვიტეს მუშაობა და გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

გასწორდნენ წელში ელენეს რგოლის წევრები. მიწაზე დადგეს სასუქით სავსე ვედრობები: ტატიანამ, მამომ, ნინომ, აგრაფინამ და სხვებმა, კალთაზე ჩამოცვენილი აზოტი ჩამოიფერთხეს და არჩილს გადახედეს. უნდოდათ გაეგოთ, რატომ ეძახდათ ზარი, რა იყო ასეთი სასწრაფო.

არჩილმა თვითონ არ იცოდა, რაში იყო საქმე. იგი გამგეობაში წავიდა ამბის გასაგებლად და ბრიგადის დაუბარა, მუშაობა არ შეეწყვიტათ.

ზარი მოცენარელებს დიდი სასიხარულო ამბის გამო ეძახდა, მათ კოლმეურნეობის წარმატების ამბავი საქართველოს საზღვრებს გასცდენოდა. მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილია წერილები იმის შესახებ, თუ როგორ დაწინაურდა ჯერ კიდევ ამ რანდენიმე თვის წინათ ჩამორჩენილი მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

წერილებში მოთხრობილი იყო ელენე ავეანდაძის, არჩილ სირაძის და სანდრო მეგრელიძის ნოვატორული შრომის ამბავი. ორჯონიკიძელების შრომით დაინტერესებულა დნეპროპეტროვსკის ოლქის გენინჟისკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და გაზეთ „ზარია ვასტოკასათვის“ უთხოვნიათ მიეწერათ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეებს მათთვის, როგორ მიალწიეს წარმატებას, როგორ ცხოვრობდნენ წინათ, როგორ ცხოვრობენ ახლა და რის გაკეთებას აპირებდნენ მომავალში.

ამ საქმეზე იყო ჩამოსული „ზარია ვასტოკას“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე აკაკი იმნაიშვილი რაიონში. იგი ახლა გამგეობის კანტორის შენობის აივანზე იჯდა გრიშა ჭანშვილთან და რაიკომის ინსტრუქტორ ლეონიდე ციციქიშვილთან ერთად და სანდრო მეგრელიძეს ელაპარაკებოდა.

— ამხანაგო სანდრო, ფოსტალიონი არა გყავთ კოლმეურნეობაში? — ჰკითხა აკაკი თავმჯდომარეს.

— როგორ არა. ორი კაცი გვყავს გამოყოფილი. რატომ ჰკითხე?

— სჯობდა ისინი დაგვეზავნა პლანტაციებში. კრებას არავენ არ უნდა დააკლდეს.

— კრებას არც ერთი კაცი არ დააკლდება, ამხანაგო აკაკი. ჩვენი ზარი ყველა ცოცხალ კავშირს სჯობია. მისი ხმა ყველგან აღწევს.

ნოკონარის ზარი ყოვლის შემძლე იყო. მას შეეძლო მინდორებიდან გამოეძახა თავმჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივანი, ბრიგადირები და შერკოლურები, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. ზარის ერთბაშად შემოკვრით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უხმობდნენ, ორჯერ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, სამჯერ პარტორგანიზაციის მდივანს. სამსამჯერ წყვეტილად დარეკვა — კოლმეურნეებს საერთო კრებაზე ეძახდა. ოთხ-ოთხჯერ წყვეტილად დარეკვით — ბრიგადირებს იბარებდნენ.

ზარის ამბავი რომ გაიგო აკაკი იმნაიშვილმა, ბევრი იცინა. იგი თვალს არ აშორებდა ჭადრის ყველაზე მსხვილ ტოტზე ჯაჭვით ჩამოკიდებულ, დროისაგან გამწვანებულ ძველის-ძველ ზარს, რომელიც დღეს საზეიმო ხმაზე გუგუნებდა. თითქოს იგი გრძნობდა

დღეგანდელი კრების დიდ მნიშვნელობას.

გარკვეული

შედეგს თუ არა ტრიბუნის საფეხურზე ფეხი ესტატემ და მისმა ბრიგადირებმა, ესტატეს შეესმა იმ „წყვეული“ ფორტაპარატის ობიექტივის საკეტის ჩხაკენი.

„ის არის, ისევ გადამილო, — გაითქრა ესტატემ, არ შეუხედავს კბიისთავზე მდგარ ფორტოეპორტიორისათვის, რომელიც ცალი თვალთ „ლუიკაში“ იხედებოდა და ცალი დახუჭული ჰქონდა. ესტატეს რომ თავი აეწია, ის მიუხედავად იმისა, რომ რეპორტიორს მთელ სახეს აპარატი უფარავდა, მაინც შენიშნა, რომ იგი კმაყოფილებით იღიმებოდა, მაგრამ ესტატე ისედაც გრძნობდა, რომ რეპორტიორის დიდ სიამოვნებას გვირგვინი მისი გადაღება, „ჯერ იყო და მანქანიდან გადმოსვლა არ ძალა, დროშამომარჯვებული სევერიანზე გვერდში ამომიყვანა, სანდრო მეგრელიძე წინ გამოიჯდამა. რა სამარცხვინოდ ჩამაკარტიჩკა მაგ უსინდისომ. ამ სურათს ქვეშ მოუწერე: ესტატე ჭანუყვამემ თავისი ხელით ჩამოუტანა დროშა სანდრო მეგრელიძეს. მერე გაზეთების პირველ გვერდზე დაბეჭდავენ და მთელ ქვეყანას მოივლის სანამ აქ ტრიბუნამდე მოვიდოდით, ბარე სამჯერ გადამილო გზაზე, ჯერ არჩილ სირაძის ბრიგადის ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტთან, მერე იმ ბალანასთან, ელენე ავეანდაძისთან. სანდროს დარიგებული იქნება. ამან, ამ ბალანამ წაგახდინა, ყაზახო, ფიქრობდა აღბათ, როცა მე სურათს მივებდენ. ახლა ტრიბუნაზე ასვლისასაც გვიყის პატივი, მერე დროშას, რომ ამამრობენ ხელიდან, მაშინ, ხომ თვრამეტჯერ მაინც ჩამაჩხაკუნებენ“.

სევერიანე გრძნობდა, რა გუნებაზე იყო თავმჯდომარე, რა აწუხებდა და რაზე ფიქრობდა. აბეზარ ფორტორტიორის წინ გაიღისას ისე მოხერხებულად გაჰყრა მხარი. აპარატი რეპორტიორის ღვედით კისერზე რომ არ ჰქონოდა ჩამოკიდებული, ალბათ სამ საუენზე გადაუფარდებოდა.

ესტატეს ტრიბუნაზე გამოჩენა და ტაშის გრილი ერთი იყო. ტაშს უკრავდა კაცი და ქალი, დიდი და პატარა. ესტატე შეჩვეული იყო ასეთ შეხვედრას, მაგრამ ახლა უადგილო ეჩვენა ეს.

ტაში, მისალმების შეძახილები. „ისე შეგებებიან, თითქოს მე ვიყო გამარჯვებული და არა ესენი. თუმცა რატომ, განა ცოტა გამარჯვებები მქონია. იციან, ვინ ვარ და როგორც უნდა შემიხედნენ“. ქული მოიხადა და მიესალმა ხალხს, თითქოს გრგვინვამ ვადაუარაო ტრიბუნას, ისე გაძლიერდა შეძახილები და ტაში.

როცა ტრიბუნაზე ესტატეს და მისი ბრიგადირების შემდეგ სილოვან ქანთარია ამოვიდა, გრგვინვაში მების გავარდნის ხმა შეიქრა. ხალხი ალტაცებული იყო ორი სახელგანთქმული თავმჯდომარის სტუმრობით, მეგრე როგორი სტუმრობით. მათ მოუტანეს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ესტატესა და სილოვანის კოლმეურნეობებიდან ჯერ არავის წაუღია და აი ეს ორი დაუმარცხებელი თავმჯდომარე აქით-იქით იდგნენ ახლა დროშას და რამდენიმე წუთის შემდეგ ორჯონიძელებისათვის უნდა ჩაებარებიათ იგი.

ამოვიდნენ გრიშა ქანიშვილი, აკაკი იმნაიშვილი, რაიკომის ინსტრუქტორი, ლეონიდე ციციშვილი, სანდრო, პარტორგანიზაციის მდივანი შალვა ჩაჩავა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ექვთიმე გოგოლაძე.

ტრიბუნა პლანტაციებს შუა, მინდორზე ნახევარწრედ მდგარ ცაცხეების წინ იყო გამართული. ამ ცაცხეების ჩრდილში ხშირად იმართებოდა ბრიგადირების საწარმოო თათბირები, მაგრამ იმდენი ხალხი, რამდენიც ახლა ამ სახელოდახლოდ აშენებულ ტრიბუნის გარშემო იყო შეყრილი, არასოდეს არ ენახა ამ ცაცხეებს და ამ მინდორს.

ის, რასაც ახლა აქ ნახავდით, არ ჰგავდა არც ერთ კრებას, არც ერთ ზეიმს, იგი, თითქოს არც მიტინგს მოგაგონებდით. კოლმეურნეები პირდაპირ ყანებიდან, პლანტაციებიდან, თერმიდან და მშენებლობიდან მოვიდნენ აქ. ყველას სამუშაო ტანსაცმელი ეცოვა, ზოას კალათებიც არ მოეხსნა წელიდან. ვის თოხი ექირა, ვის წალდი და ნაჯახი. ვინ ცხენით იყო მოსული, ვინ ორთვალით. ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი საბარგო მანქანის ძარში, ზოგი კაბინის სახურავზე შემჯდარიყო. ბავშვები ცაცხეებზე ასულიყვნენ.

მიტინგი ექვთიმე გოგოლაძემ გახსნა და სიტყვა პარტორგანიზაციის მდივანს

მისცა. შალვა წინ წამოდგა, მოაჯირს დაეყრდნო.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან თავისი ძლიერი და მაგარი ხმით, მაგრამ უმაღლე გაჩუმდა. სიტყვა წინასწარ მოთქმებული ჰქონდა, ახლა კი იმან, რაც მის თვალწინ გადაიშალა, უცებ აგრძნობინა, რომ რალაცა სხვა უნდა ეთქვა, სხვანაირად უნდა ეთქვა. როგორც ხალხი, ისე თვითონაც ააღლევა და სიამაყე აგრძნობინა ესტატე ქანუყვადისა და სილოვან ქანთარიას მოსვლამ თავისი ბრიგადირებთან ერთად. ეს ჰგავდა ორი ჰაემარცხებული სარდლის გამოცხადებას თავისი ამალით და თავის საბრძოლო დროშით. ეს იყო გამარჯვება, რომელზედაც ამ ცოტა ხნის წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ მოცინარელებს. — ამხანაგებო, — გაიმეორა კვლავ შალვამ და თავი მალა ასწია, — დღეს აქ ხდება ის, რაც მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, რაც მხოლოდ კოლექტიური სულით გამსჭვალული ადამიანებმა შეიძლება გააკეთონ. — მობრუნდა დროშისაკენ. — ეს დროშა, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენი საამაყო კოლმეურნეობის „ბოლშევიკის“ და „განთიადის“ საზღვრებიდან არ გადასულა, დღეს ჩვენ თავის ხელით მოგვიტანეს ამ კოლმეურნეობის სახელოვანმა თავმჯდომარეებმა, — შეხედა სილოვანს და ესტატეს, — რატომ გაეიმარჯვეთ ჩვენ? იმიტომ, რომ ჩვენ მარტონი არ ვიყავით, ჩვენი გამარჯვების მონაწილენი იყო პარტია, ხალხი და თვითონ ესტატე ქანუყვადე...

ახმაურდა ხალხი, გაისმა ტაშის ხმა, შეძახილები. შალვა წამით გაჩუმდა და როცა ხმაური და შეძახილები მისწყდა, კვლავ განაგრძო:

— რატომ იყო ჩვენი გამარჯვების მონაწილე ესტატე, მისი კოლმეურნეობა, რას ნიშნავს ჩვენი გამარჯვება? ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა რაიონში არის მესამე კოლმეურნეობა, რომელმაც დაიმსახურა უფლება ამ დროშაზე. მასასადამე, ჩვენ დღეს გუშინდელზე ძლიერნი ვართ, ხვალ კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით და აღბათ არა ერთი და ორი მეტოქე გვეყოლება, მაგრამ ჩვენი ვეცდებით ადვილად არ დავთმოთ პირველობა და ეს კიდევ უფრო დარაზმავს ხალხს. ჩვენ ვიცით დღევან-

დელი ჩვენი წარმატებით ხვალ ვერავის მოვაწონებთ თავს. დღეს ჩვენ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ და კვლავ ვიწყევთ „ბოლშევიკს“ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ყველამ ესტატეს შეხედა.

გალიმებული იდგა ესტატე. სიხარულით მიიღო გამოწყვეა. იგი, რასაკვირველია, ეთანხმებოდა იმას, რაც ახლა შალვამ თქვა. იცოდა, რომ სოციალისტური შეჯიბრება არა მარტო შეჯიბრებაში მონაწილეთა საქმეს სწევს წინ, იგი საერთო საქმეს აკეთებს, მაგრამ ესტატეს ახლა ყველაზე მეტად ის ახარებდა, რომ რევანშის საშუალება მიეცა. არა, რამდენიც არ უნდა დააბანოს თავს ძალა, რამდენიც არ უნდა უჩინინონ, არ შეუძლია შეურიგდეს ამას, რომ მოცენარმა აჯობა. „ვუჩვენებ მე მათ, ვინ არის ესტატე ჭანუყვაძე და რის გაკეთება შეუძლია. ისარეთ, ისარეთ, დიდი ხნით არ გიტოვებთ ამ დროშას. იგი ჩემია მე მას დავიბრუნებ“.

შალვამ ამოუდგა მხარში და ხალხს მიუბრუნდა.

— კარგად თქვა შალვამ. — დაიწყეთ ესტატემ, — დღევანდელი ჩვენი წარმატებით ხვალ ვერავის მოვაწონებთ თავს. დღეს ჩვენ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთო. ვუსმენდი შალვას ლაპარაკს და თვალწინ მედგა ჩემი დამარცხების მიზეზი. ჩვენ დროშა იმიტომ დავკარგეთ, რომ ხვალინდელ დღეზე არ გვიფიქრია, დღევანდელი დღით და წარმატებით ვცხოვრობდით. ჩვენ გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომას, ამაში ჩვენ მოგვცხმარება სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც თქვენ გამარჯვება მოგიტანათ, ჩვენ კი ჩვენს თავში ჩავვახედა, რომელმაც ჩვენ გაგვაერთიანა, — გამოართვა დროშა სევერიანეს. — მოგიტანეთ დროშა... მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიხარულით მოგვქონდა იგი. ძალიან ძნელია მისი სხვისათვის გადაცემა, ასე, რომ მაგრად უნდა იყოთ, თორემ აი ერთ დღეს თქვენც, ასე, ჩემსავით... — ჩაახველა უჩრბულად, თვალი ააჩიდა ხალხს, შეეშინდა გულაჩუყება არ შემატყონო. მობრუნდა და ტრიბუნაზე შეყრილებს შეხედა.

ვილაცას ეძებდა და რომ ვერ ნახა, ისევ ხალხისაკენ მოიხედა. — მე ამ დროშას იმ ბალანს ჩავებარებ, ვინც ბრძოლა მომიგო...

ხალხი ამოძრავდა, ყველა მინჰდა, რომ ეს ბალანს ელენე ავეყანდა იყო.

— ელენე სად არის?

— ელენე!

— რა იქნა ელენე?

— რატომ ტრიბუნაზე არ არის?

ელენე თავის რგოლის წევრებში იდგა. დაიბნა, გაწითლდა. მთელი ხალხი მის სახელს იმეორებდა. ის კი ამხანაგებს ეფარებოდა.

ელენე სწრაფად მოტრიალდა. არჩილმა ხალხი გაარღვია და ელენეს წინ შედგა. ეტყობოდა ბევრი ეძებნა ელენე.

— რას უცდი, ელენე? — ჰკითხა და არ დაუცადა მის პასუხს; მისწვდა მაჯაში, გაიტაცა.

— აქ არის ელენე! — დაიძახა ვილაცამ.

იმავე წუთში ივრიალა ტაშმა. ხალხმა გზა უტია არჩილს. არჩილი გარბოდა ხალხის ორ კედელს შუა, ხელს არ უშვებდა ელენეს. ტაში არ წყდებოდა და როცა არჩილმა ელენე კიბეზე შეაგდო, ტაშის ხმამ უფრო იმძლავრა.

გულამოძვლარი და სახეაწითლებული ელენე ესტატეს წინ შედგა. რამდენად თამამი და გაბედული იყო იგი ამ რამდენიმე თვის წინათ იქ, რაიკომის მღვიმის კაბინეტში ესტატესთან პირველ შეხვედრისას, როცა ის ის-ის იყო იწყებდა თავის საქმეს, იმდენად დაბნეული იდგა ახლა გამარჯვებული და მთელ საქართველოში სახელგანთქმული ესტატეს წინ. იქნებ რცხვენოდა, უხერხულობას გრძნობდა, რომ ჩვილმეტი წლის გოგონამ დაამარცხა ესტატე ჭანუყვაძე, ასე იფიქრა ესტატემ და გაუღიმა გახარებული მამის ღიმილით.

— მიიღე, შეილო, — უთხრა ელენეს და გადასცა დროშა, — ყველაზე მეტი უფლება შენ გაქვს ამ დროშაზე. გაძლევ მას და გეუბნებ: შეჯიბრება არ დამთავრებულა. მაგრად გეკიროს, მაგრად ვიბრძოლებთ ჩვენ მისთვის, — გაუშვა დროშას ხელი და შეხედა ელენეს.

სევერიანეს იმ წუთიდან, რაც ფოტორეპორტიორს მხარი გაჰკრა, თვალი აღარ მოუშორებია მისთვის. არ გამოპარია, როგორ მოიმარჯვა „ლეიკა“, ესტატემ სიტყვა რომ აიღო, ორივე ხელით ეკირა აპარატი და კმაყოფილე-

ბის ღიმილით უცდიდა, როდის გადასცემდა მოცენარეულს დროშას.

„შენ მაშინ გაიღიმე, როცა შენი გადაღებული სურათი ნახო“, — ჩაიღიმა ულვაშებში სევერიანემ და ჯიბეში თხილის კაკალი მოსინჯა. სევერიანეს ყოველთვის სავსე ჰქონდა ჯიბე თხილით. ისე უყვარდა თხილი, რომ სოფელში ამზოდნენ, ძილშიაც სჭაპსო თხილს.

დიდხანს არ დასჭირებია ფოტორეპორტიორის ლოდინი, როცა ესტატემ დროშა ელენეს გაუწოდა, მან ჩვეული სიმარღით მიუშვირა თავმჯდომარეს ობიექტივი, არ დააყოვნა სევერიანეც, თხილი შიგ შეუბღმში დაუმიზნა და სანამ რეპორტიორი ობიექტივის საკეტს თითის ჩამოჰკრავდა, მის შუბლზე ძლიერი წკაპურტით გატყორცრილმა თხილის კაკალმა ისეთი ტყაცანი გააღინა, რომ სევერიანემ ტრიბუნაზედაც კი გაიგონა მისი ხმა.

რეპორტიორმა ერთი კი იტაცა შუბლზე ხელი, მაგრამ ხმა არ ამოუღია; სიმწარისაგან ისე წამოეწოთო სახე, გეგონებოდათ, რაც ტანში სისხლი აქვს, სულ თავში აუვარდაო. როცა რეპორტიორმა შუბლიდან ხელი ჩამოიღო, სევერიანემ მის შუბლზე კაკლის ოღენა კოპიც დაინახა. „გადაგვიღე ახლა, გადაგვიღე თუ გარგინართ! ვაი შენს მტერს, რაგვარც შენ აწი სურათის გადაღებში არ იყო“. გაიფიქრა თავმომწონედ.

მართლაც რეპორტიორმა ერთი კი მიიხეღმოიხედა აქეთ-იქით, შუბლზე ქუდი ჩამოიფხატა, შეტრიალდა და ხალხში გაერია.

ელენე იღმა პატარა, მხარზე ეფინა დროშის ტოტი, დროშასაგან წითლად ეღვარებოდა მისი ლოყები. თვალები სინარულით და აღელვებით უბრწყინავდა.

— გახსოვს შენი პირობა, შეილო? — ჰკითხა ესტატემ.

— მახსოვს, ბიძია ესტატე. მაგრამ თქვენ არ დაგვიძახებთ...

— არ დაგვიძახებთ... ფეიქრობდი, აბა, როგორ დაუძახო იმთ, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებაში მყავს გამოწვეული, მოლით და მასწავლეთ, როგორ გაჯობოთთქო.

ელენე ხედავდა, რა უმწყო იყო უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდნილი

ესტატე და ასე ეგონა, ამაში მას — ელენეს მიუძღოდა ბრალი.

— ჩვენ არ უნდა დაგვეცადა ფეიქრობის. თვითონ უნდა მოგვსულიყავით, დაუძახებლად, დაუპატიებლად. ბიძია ესტატე, მე ახლა წთელი ათი დღით მთავალ ჩემი რგოლით თქვენთან და ყველას შევასწავლით ორი ხელით გრეფას...

ელენეს სიტყვები ტაშის ხმამ დაფარა.

ელენეს შემდეგ სილოვან ქანთარია ილაპარაკა და მერე სიტყვა გრიშა ქანიშვილმა აიღო. მან მიტინგს გენჩისკელების ამბავი აცნობა. ამან ხალხში ისეთი სინარული და აღტაცება გამოიწვია, რომ ქანიშვილს ყოველ წუთს აწყვეტინებდნენ სიტყვას. კოლმეურნეები ჯგუფ-ჯგუფად დაიყო. ერთმანეთს უზიარებდა დიდი და პატარა თავის გაკვირვებას, სინარულს, აღტაცებას.

თვალეგაბრწყინებული ევტიხი ყუფარაძე ხან მარჯვენა ყურზე მიიფარებდა ხელს, ხან მარცხენაზე და პასუხს თვითონვე აძლევდა თავისთავს.

— საღ წასულა ჩვენი ხმა? ჰა? სანაღდე მიულწევია ჩვენს სახელს? დროა ასეთი, დრო. კაცი შრომით ფასდება, რა ქნა ჩვენმა საქმემ, ცხრა მთა და ცხრა მინდორი გადაიარა და უკრაინაში ამოჰყო თავი. რამოდენა ქვეყანაში მერე, ჰა?

— დიდ ხეს დიდი ქარი უყვარს, ევტიხი, — უთხრა ევტიხის ნესტორ კერესელიძემ. მის ცალ თვალში ახლა ორი თვალის შუქი და სინარული იღმა.

— სიტყვა ზინდა ვთქვა ნესტორ, ჰა?

— უნდა თქვა, ევტიხი. ეს ამბავი მუნჯსაც ალაპარაკებს.

— ფიქრებდი, რომ ჩვენს შესახებ უკრაინაში დაწერდნენ და ილაპარაკებდნენ? — ეუბნებოდა კატო კვაჭაძე ტატიანას.

— აბა, მეზობელო, — მობრუნდა მისკენ წეროსავით კისერწაგრძელბული ილიკო, ისე იყო გახარებული, რომ ასე ყური უნდოდა ჰქონოდა ამ წუთში და ასე ენა, რომ ყველას ნათქვამი გაეგო, ყველასთან ელაპარაკა. — ეცაკაცს კი გაეარდნია სახელი შორს. მაგრამ მიწის მუშას!.. რას არ მოეწერება კაცი. აბა, რაჯა გგონიათ. სოციალისტურ ქვეყანაში ეცხოვრობთ. კაცი შრომით ფასდება ჩვენში, მეზობლებო. მართო ჩემი

მაგალითი რად ღირს. მოდი და ნუ ვაა-
ნძრევე ხელს. შენს შრომაზე უკრაინაში
ლაპარაკობენ.

— იცი, თურმე, რამოდენა ქვეყანაა,
ილიკო, უკრაინა? — უთხრა კატომ
ილიკოს.

— რავე არ ვიცი, შე ქალო. მამაჩემი
უკრაინის მიწაზე არ შეაკვდა გერმანე-
ლებს.

— ის თუ იცი, ილიკო, რა წარსულის
და ისტორიის ხალხია? — ახლა ტატიანა
ნამ ჰკითხა ილიკოს.

ილიკომ უღვაშებზე გადაისცა ხელი
და ქედმალურად შეხედა ტატიანას
მოღიმარ სახეს.

— მე რომ ვიცი, იმდენი დააკლდა
შენს ზტერს, ტატიანა ბიძია.

— არა კაცო, — ეუბნებოდა ივანე
ხნარტიშვილი კირილეს, — მოგვწერე-
თო, როგორ ცხოვრობთ, როგორ მუ-
შაობთ, რაზე ფიქრობთ და რა გეგმები
გაქვთო. ხედავ, კირილო, რაფერ აინტე-
რესებთ ჩვენი ამბავი! წინათ მეზობელი
მეზობელს არ კითხავდა ამას, არა, თუ
გოყვარდე კირილე, რომელ მეზობელს
არ სჯობია ახლა ჩვენთვის ის ხალხი.

— რკინიგზის სახელოსნოში რომ
გმუშაობდი, — ჩამოართვა ივანეს სი-
ტყვა მკედელმა ალექსანდრე თავა-
ძემ, — ერთხელ ჩვენი წრის არალეგა-
ლურ კრებაზე უკრაინელი პოეტი
ქალი მოგვიყვანეს. ლესია უკრაინკას
ეძახდნენ. ქალი კი არა, ანგელოსი იყო
ის ცხოვებული. ტარას შეეჩენეს
ლექსი „ანდრეი“ წაგვიკითხა. ხომ იცი
კირილე, ვინ იყო შეეჩენკო. ის რაც
ჩვენთვის აჯაკია. ახლაც მახსოვს ის
ლექსი და იმ ქალის სახე.

როცა ხალხი დაწყნარდა, ჰანაშვილმა
წინადადება შემოიტანა წერილის ტე-
ქსტის შესაღებად რამდენიმე კაცი
გამოეყოთ. რაიმეწგანის ჯამგის ამ წი-
ნადადებას ბევრმა არ დაუჭირა მხარი.
მათ შორის კირილე ავეანდაძემ.

— რატომ რამდენიმე კაცი, ნენა?
წერილი ყველამ ერთად დაეწეროთ,
აქვე, ახლავე. წერილი ხომ მთელი
მოიკნარის სახილთ უნდა გაიგზავნოს.
მაშასადამე, წერილის ქვეშ ჩემი გვარი,
ეკიბის გვარი, ნესტორის, არჩილის,
სანდროს, ისილოს და ჩვენი კოლმეურ-
ნობის ყველა წიგრის გვარი ეწერება.
პო და, თუ მე ვაწერ ხელს, ნენა, ჩემი
სიტყვაც მინდა იქ ეწეროს. ჩემ სათ-
ქმელს სხვა ისე ვერ იტყვის, როგორც

მე. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კერ-
ძო წერილი ხომ არ იქნება ეს. ხალხი,
ხალხს წერს...

— მართალია, კირილე, —
ერთად დაეწეროთ.

კვერი დაუკრეს კირილეს.
ილიკო ზედობანიძე ყველაზე წინ გა-
მოიჯგმა.

— ვუერთდები კირილეს წინადადე-
ბას, ამხანაგებო. მე ჩემთავად წინადა-
დება შემომამქვს ეუკარნახოთ „ზარია
ეასტოკას“ წარმომავიგნელს წერილის
შინაარსი და ის ჩასწერს, როგორც წე-
სი და რიგია. ასე ვქნათ არა, ხალხო? —
მიმართა ხალხს და დაომაჩა: — თუ ნე-
ბას მართცემთ, მე დავიწყებ.

— რატომ შენ?
— არა ელენემ დაიწყოს!
— თაქმჯდომარემ!
— სანდრო მეგრელიძემ!
— კირილეს ვთხოვოთ!
გრძობა ჰანაშვილმა ხელი ასწია. ყვე-
ლა გაჩუმდა.

— ამხანაგებო, მე არ ვხედავ აქ, არ
ჩილ სირაქის. აი ვის უნდა მიეცეს პი-
რველი სიტყვა.

ყველამ აჩოთ-იქით მიმოიხედა. ახ-
ლა-ლა შენიშნეს რომ არჩილი ტრიბუ-
ნაზე არ იყო.

— არჩილი!
— არჩილი!

არჩილმა დაინახა, რომ ტრიბუნა და
ხალხი მას ურავიდა. გაემართა ტრიბუ-
ნისაკენ. არბიზა კიბე, მოიხადა ქული
და ხალხს გადახედა. ორივე ხალით
მოაჯირს ჩაფარენილი იგი ერთხანს უძ-
რავთ იდგა. როცა დაილაპარაკა, ყვე-
ლა მიხვდა. რომ ლეოვდა.

განა იმ წუთში ვინმე იყო კი დამშვი-
დებულნი.

— დღევანდელ ჩიენს სიხარულს კი-
დე ერთი იდი სიხარული შეემატა, —
დაიწყო არჩილმა.

როცა იგი ტრიბუნაზე აღიოდა, არ
იყოდა რას იტყოდა. არა, კი იყო-
და რას იტყოდა. მხოლოდ ვერ მო-
ასწრო იმის მოთქერება, თუ როგორ
და საიდან დაეწყოს. მაგრამ წარმო-
სთქა თუ არა პირველი სიტყვა. ნერე
ალარ შეჩერებულა, არაც დათქერებუ-
ლა, სიტყვები თავისით მოდიოდა.

— მოძმე უკრაინის, შეეჩენკოს და
ტარას ბულბას ქვეყნის კოლმეურნეებთ
დაინარჩუნდნენ ჩვენი ცხოვრებით და
მუშაობით. მათ გაუღიათ ჩვენი წარმა-

ტების ამბავი და გვთხოვენ ეუამბოთ ამ წარმატებათა შესახებ. ეს ჩვენ გვა-
ვალგებს, რომ ყველა ჩვენგანმა მომა-
ვალში უფრო უკეთ ვიმუშაოთ, —
სწრაფად და სულმოუთქმელად ლაპა-
რაკობდა. შეისვენა, მერე აკაი იმნაი-
შვილისაქენ და თავმჯდომარისაქენ მო-
ბრუნდა. — მოდიოთ, წერილი ჩვენს სო-
ფლის აღწერით დავიწყეთ.

— კარგია!

— ხომ უნდა იცოდნენ, სად მდებარეობს ჩვენი მოცენარი.

— რამდენი ვართ.

— რამოდენაა სოფელი.

გაისმა აქეთ-იქით მოწონების შეძახილები.

— ძვირფასო ძმებო და დებო — დაიწყო კვლავ არჩილმა. — შავი ზღვის პირას მაზარაძის რაიონში, მარად მწვანე ქედებზე გაშლილია სოფელი მოცენარი...

— რა მცენარეს არ ნახათ აქ, — წამოიძახა ხალხიდან ილიკომ. — ძვირფას და პატოსან მცენარეს, ჩვენს ამ-
შენიბილს და დამსახლებილს — ჩაის, ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს.

— გრიფურტს!

— მოშმალას.

— ხურმას.

— ტუნგოს.

— და ვინ მოსთვლის კიოვ რასა და რას. ჰა? ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლით, ჰა? მთელი თაბახი არ ეყოფა, ჰა? — ცნობრუივით ტრიალებდა ივრიბი.

— ეს ახლა გვაქვს, თორემ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეკალბარდით იყო დათენილი ჩვენი მიწა. — ეს სიტყვები ნესტორმა თქვა და განაგრძო: — მხოლოდ სიმინდს და ლობიოს იწერია ალგები. მწარი რა უკუელმართი იყო ჩვენი ცხოვრება მაშინ.

აკაი იმნაიშვილმა დაიწყო წერა.

— ჰი. ცხოვრება ერჭა მაშინ ჩვენ ცხოვრებას, ნენა? — ამოიხენეშა კირილემ. — ჩვენც ეცხოვრობოთ და პიროტყვიც ცხოვრობდა, — შეხედე აკაკის. — ცხოვრობდა თავადი რა აზნაურნი. მიწა მათი იყო, გლეხი შრომობდა. მოსააღლი კი გორიელს, ჯაყელს და ნაკაშიძეს მიჰქონდა.

— საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, — ჩამოართვა კირილეს სიტყვა მკვირლმა ალექსანდრე თავაძემ. თეთრ წვერზე დინჯად ჩამოი-

სვა ხელი და განაგრძო: — ახლი ვერ იცნობთ მოცენარს. იქ სადაც გვიმრა და ჯაგნარი მეფობდა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებია, ვენახი და ყანებია გაშლილი. გაყვანილია გზები...

— ჩვენ 130 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს, — წამოდგა წინ კოლმეურნეობის ბუხვალტერი, პატარა ტანის, მუდამ ჩახმახივით შემართული, უღვაშებაჩრებილი აბესალომ გოგროშიძე. — 120 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნაკვეთი, 40 ჰექტარი ტუნგო, 256 ჰექტარი ერთწლიანი ნათესები. თითქმის ყველა კოლმეურნეთა საკარმიდამო ფართობზე გაშენებულია ჩაი, ციტრუსი, ხეხილი, ვენახი და სხვა.

— ჩვენ...

დაიწყო ვილაცამ მაგრამ აბესალომი პირში ეცა.

— დამაცადეთ! — შესძახა მან და კედვ უფრო შეიმართა. — შარშან ჩვენ 210 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და ერთი მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი მოაკრიფეთ. კოლმეურნეობამ ორი მილიონი ფულადი შემოსავალი მიიღო, დეა მილიონა. ამხანავო აკაკი, — აბესალომი ყველაზე თავმოსაწონს უსათუოდ ვაიმეორებდა ხოლმე და აუცილებლად რუსულად. — დიახ... — მუბრუნდა იგი ხალხს.

— ჩვენ შეგვეძლო ასეთი მოსავალი შარშანწინაც მიგველო, — შეაწყვეტიხა აბესალომი ტატიანამ, მაგრამ ჩვენს მუშაობაში ყველაფერი რიგზე როდი იყო.

— ამის მიწერა არ არის საჭირო, — ავარდა ილიკომ, — რა საჭიროა ჩვენს სიგლაზე გავაგებინოთ იმ ხალხს...

— რატომ, ვისაც ჩვენზე გული შესტყვია, იმან კარგიც უნდა იცოდეს ჩვენი და ავიც, — უთხრა ილიკოს ისილო კვაჭაძემ, და ტატიანას მიუბრუნდა: — განაგრძე ტატიანა.

— ზოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია, უხეირო ხელმძღვანელობამ კოლმეურნეობას დიდი ზარალი მიაყენა, დაგვიზიანა პლანტაციები, კოლმეურნეები სისტემატურად აცდენდნენ შრომადღებებს...

— გვეყოფა ხაკლოვანებებზე, — კვლავ იყვრა ილიკომ, — რაც იყო იყო, ახლა ამაზე ვთქვათ, რა გაკეთდა ძველი ხელმძღვანელობის გადარჩევის შემდეგ. ელენეზე ვთქვათ, არჩილზე, სანდროზე...

— და შენზე, — გაიცინა ისილომ.
 — რატომაც არა, და ჩემზეც.
 — რა ვთქვით, ნენა, ძველი თუ ახალი.

— როგორც ხალხი იტყვის, კირილე.
 — ახალი!
 — ახალი ვთქვათ!

გამოეჭომაგნენ ილიკოს აქეთ-იქიდან.
 — ხედავთ? — გაიჯგვიმა ილიკო და უღვაშებზე თავმომწონედ გადაისვა ხელს. — ახალი ვთქვათ, მეზობლებო, თორემ ჩემი ძველი თუ ვთქვით, თქვენც შეგარცხვენთ.

— ჩვენ ამ მიღწევაზე არ შევჩერდებით, — თქვა სანდრომ, მან პირველად დაილაპარაკა მთელი მიტინგის განმავლობაში. იგი არასოდეს არ იტყოდა სიტყვას, თუ ეს პუცილებელი არ იყო. ახლა მას უნდა ეთქვა, რა გეგმა ჰქონდა წელს კოლმეურნეობას და მას მოეჩვენა, რომ ეს გეგმა ცოტაა, — წელს ჩვენ შარშანდელზე ვაცილებით მეტ მოსავალს მივიღებთ. წელს დაეგმილი გვექონდა 400 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის და 10 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფის ჩაბარება სახელმწიფოსათვის, მაგარამ თქუენი წერილის მიღების შემდეგ — გაჩუმდა თავმჯდომარე, გადახედა ხალხს და აკაკის კი არა, თავის კოლმეურნეობას მიმართა: — მე მგონია, ახლა ყველა ჩვენგანს ეჩვენება, რომ ჩვენ მეტი გვევალება... ამიტომ არ შეეცდები, თუ უკრაინელ ძმებს მივწეროთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს ჩაებაბარებთ 450 ტონა ფოთოლს და 11 მილიონ ცალი ციტრუსის ნაყოფს.

მოწონების და თანხმობის ნიშნად ყოველ მხრიდან იგრილა ტაშმა.

— ეს ჩვენ მოგვიკვირს ხუთ მილიონ მანეთს ფულად შემოსავალს, — საზეიმო ხმით შესძახა აბესალომმა, როგორც კი ტაშის ხმა მიწყდა. იგი ისეთი დაჭიმული და შემართული იყო მთელი თავისი პატარა და გამხდარი ტანით, გეგონებოდათ, აი, ახლა შეხტება ტრიბუნაზე. — პიატ მილიონა რუბლზე, ამხანაგო აკაკი, — მიმართა კვლავ აკაკის და მერე ხალხისაკენ მობრუნდა. — დიას!

ხალხზე ამ ციფრმა მართლაც მოახდინა შთაბეჭდილება. ეს დიანახა აბესალომმა და ისეთი სიამაყე და თავმოწონება აღიბეჭდა მის ფერმკრთალ სახეზე, თითქოს ამ ხუთი მილიონის შემომტარი თვითონ ყოფილიყო.

— ხედავ რას მოესწრო მოცუნარი,

მიიფარა ყურზე ხელი ევტიხიმ, — ხუთი მილიონი დატრიალდება ამ ჩვენს ხელისგულისოდენა სოფელში. ჩუთო მილიონი შემოვა ჩვენს ოჯახებში, ჰა? როგორა თქვა აბესალომმა? პიატ მილიონა რუბლზე! ჰა? ენები რომ ვიცოდე, რუსულად კი არა, ყველა ენაზე ვიტყოდი ამ ციფრს — პიატ მილიონა რუბლეზე! ჰა?

— ხუთი მილიონი ნიკოლოზ მეფის დროს მთელ საქართველოში არ ტრიალებდა ჩემი ევტიხი, — უთხრა ევტიხის ალექსანდრე თავაძემ. — კაცს არაფერი გაუეკვირდება, თორემ სასწაული არ არის ეს, იმ სოფლისათვის, სადაც ამოკი წლის წინათ მთელი სოფელი რომ ჩამოგველო, ხუთას მანეთსაც ვერ შეგროვებდი?

— ჩვენი კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობდნენ, — განაგრძობდა აბესალომი, — შარშან კირილე აუქანდაძის ოჯახმა მარტო ფულად ორმოცი ათასი მანეთი მიიღო. სოროც ტისიაჩა! ნესტორ კერესელიძემ ოცდახუთმეტი ათასი, ტრიდცატპიატ ტისიაჩა ტატანა ჩხაიძემ ოცდაათათასი, ტრიდცატ ტისიაჩა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რამდენს მიიღებენ ისინი გაისად, როცა ერთი ორად გაიზრდება ჩვენი შემოსავალი. ესე იგი ორ მილიონ მანეთის მაგივრად, ხუთ მილიონ მანეთს რომ მივიღებთ...

— ჩვენი შემოსავალი წლითიწლივით გაიზრდება. — განაგრძობდა შალვამ. იგი აქამდე აკაკის ეხმარებოდა იმის მოკლედ ჩაწერაში, რასაც ხალხი კარნახობდა. — 1940 წლისათვის ჩვენ 125 ჰექტრით მეტი მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციები გვექნება. დღემდე არა გვექონდა ციტრუსოვნთა სანერგე და ამის გამო ვერ ვაფართოვებდით პლანტაციებს. გადაწყვეტილი გვაქვს სანერგეს გაშენებას წელსვე შევუდგეთ.

— ბიჭოს, როდის გადაწყდა, მეზობლებო ეს ამბავი? — გაეკვირვებით მიმოიხედა ვახარებულმა ილიკომ.

— კომკავშირის წინადადება იყო, — უთხრა ილიკოს ისილომ. — გადაწყვეტილი კი ახლა გადაწყდა. ხედავ ხალხი რა მოწონებით შეხვდა.

— რას ვაიგონებს ამაზე მოსაწონს, ბიძი. მე რომ მიყურობ და მხედავ აჯერ, სიზმარში მეჩვენება ყოველ დამე სანერგე. ნერგი თუ გვექნა, ტრაქ-

ტორითა და მაშინით კი არა, კბილით ამოვიძირკვავთ ბარნაბას ნასახლარზე, საკვერნიაზე, ოხოჯუსა და ფიჩხის გორაზე ეკალ-ბარდებს, ერთ მტკაველ მიწას არ დავტოვებთ დაურგავს და დაუთესავს: მაშინ ნახონ ჩვენი მილიონები. დვაცატ მილიონ რუბლით, რომ იშეკებს აბესალოში, იმას უნდა უყურო კაცმა.

ყველა გაახარა შალვას სიტყვამ. თუ სახერგე ექნებოდათ, კოლმეურნეობას შეეძლო გაეფართოვებია ცენტრუსების ნაკვეთები. იმის გამო, რომ ხერგს ვერ შოულობდნენ, სოფელში ზოგიერთ კოლმეურნეს ჯერაც არ ჰქონდა საკარმიდამო ფართობზე გაშენებული მანდარინი და ლიმონი.

— ყოჩაღ, კომკავშირო, — შეხედა ილიკოზ ისილოს, ტატიანას, ნინოს და მამოს. — დაე, დაიწეროს წერილში, რომ ამ საქმის მოთავე კომკავშირია.

ილიკო ტრიბუნისაკენ მობრუნდა, მაგრამ ნინომ შეაჩერა.

— ილიკო, — შეუწყრა ნინო. — არ არის საჭირო.

ამ დროს სკოლის გამგე, საშუალოზე მაღალი და ბრგე ტანის მამაკაცი. მიხაკო ობოლაძე მოვიდა ტრიბუნასთან.

— ჩვენს სოფელში, — დაიწყო მან თავისი ბოზი და გრგვინასავით ძლიერი ხმით. წინათ მხოლოდ თავადმა და აზნაურმა იცოდა წერა-კითხვა: ახლა აქ ვერცერთი წერა-კითხვის უცოდინარს ვერ ნახავთ. ჩვენი კოლმეურნეთა 112 ქაბუკი სწავლობს კიევის, მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში...

— მომეცით მეც სიტყვა, — ასწია ყველასათვის მოულოდნელად ხელი ნინომ, — აი ჩვენ ამდენი დავწერეთ და ჯერ მთავარი მაინც არ გვიტყვამს. უკრაინელები გვითვლიან, მოგვწერეთ, როგორ მიღწიეთ წარმატებასო. აბა

ვინ რა თქვა ამაზე? არავინ. თავისით რომ არ მოვიდა ეს წარმატება?

— ცხადია, რომ თავისთავად მოსულა, — მობრუნდა ისილოზი ილიკოსაკენ. — ხედავ, ილიკო, კომკავშირი საქმით უჩვენებს თავისთავს.

— ურიგო არ იქნება, — განაგრძობდა ნინო, — რომ ცოტა რამ მაინც ვთქვათ ჩვენს თავმჯდომარეზე, ელენე ავეან-დაძეზე, ორი ხელით კრეფაზე მთელი საქართველოს მეჩაიები ლაპარაკობენ, ჩვენ რად გავჩუმდეთ? არჩილ სირაძის ბრიგადაზე? არ ვთქვათ, როგორაა ამ ბრიგადაში მუშაობა დაყენებული? არაფერი მივწეროთ ილიკო ზედობანიძეზე, კატო კვაჭაძეზე, აგრაფინაზე... კიორილე ბიძიაზე?

— ჩვენი ამბავი, — დაილაპარაკა ეს ტატემ. — ამხანაგებო... აი ჩვენ გადავწყვიტეთ გაგრძელდეს ჩვენს შორის სოციალისტური შეჯიბრება. მართალია ამჯერად თქვენ გვაჯობეთ, მაგრამ მომავალში ჩვენი მთელი ძალებით ვაპირებთ... ასე ვთქვათ ბრძოლას. შო და აი თქვენ მაინც დახმარებას გვიპირდებით. ელენემ თქვა წელან, მთელი ჩემი რგოლით მოვალე თქვენთან. რა არის ეს? გაგონილა ოდესმე ასეთი ამბავი? არ გავგონილა. უნახავთ ასეთი მეგობრობა ოდესმე? არ უნახავთ. მივწეროთ ეს ამბავი და ვუთხრათ, რომ ასეთი მეგობრობა გვინდათქო თქვენთან. იმათაც გაგვიზიარონ თავისი გამოცდილება, მოგვითხრონ თავისი ამბავი.

წერილის შედგენის შემდეგ იგი თავიდანბოლომდე წაიკითხეს, ხელი მოაწერეს არა მარტო კოლმეურნეობის წევრებმა. სოფლის მთელმა ინტელიგენციამ. აკაკი იმანიშვილი იმავე საღამოს გაემგზავრა თბილისში, რომ წერილი „ზარია ვასტოკასათვის“ და უკრაინის ცენტრალური ვაზეთებისათვის გადაეცა.

(გაგრძელება იქნება)

ბაგვათი უიტი



თუ არ გახსოვს, გაიხსენე საქსონიის მთები,
 იცი, დღესაც
 მე იმ დღეთა სიამაყით ვტკბები...
 იქ ზომ დიდი სიხარულის გაგვეშალა ფრთები.
 ელბა!
 ელბის ნაპირებზე კოცონების ელვა,
 საზმარივით გაფრენილი სისხლიანი დელგმა;
 ჩიქვის ქუსლით გათქერილი ფაშისტური ჯერები,
 სიმღერა და
 საღოვგრძილო ერუანტილის მგერელი...
 ქუდზე ვარსკვლავს ნატრობდი და
 გისახსოვრე კიდევ, —
 და მჯეროდა სამშვიდობო კარიბჭესთან იდექ,
 შენთან შენი მეგობარიც არ ჰკარგავდა იმედს.
 ბედნიერად გთვლიდი მაშინ ვაშინგტონელ ვაჟაყვს,
 ახლა სად ხარ, სად გაპყვევი ყაჩაღების ლაშქარს?
 რად დანიდგი მუზარადი, რად აიღე დაშნა?
 რად გაოხიო, უბიორო, ბოროტებას ჯავშნად?
 თუ კი შენმა მეგობარმა არ გატეხა ფიცი,
 რისთვის ცოცხლობს ქვეყანაზე იცოცა და იცის,
 მილიონთა სამსახურში სიყვარულით იწვის
 და ტრუმენის მრისხანებას ეგებება რისხვით, —
 განა, შენ კი არ შეგძლო მშვიდობისთვის ბრძოლა,
 მეგობრებთან მეგობრობა, მშებთან კიდევ ძმობა?!
 მაგრამ მოკრომ, დოლარებმა დაგიბრმავეს თვალი, —
 და ლაჩარზე ულაჩრესი დახვალ სისხლით მთვრალი...
 თუ არ გახსოვს, გაიხსენე! დასძარ ფიქრთა ჩქერი
 რა უყავი, სად დაჰკარგე სახსოვარი ჩემი?!
 ძლიერია ხმა სიმართლის, გაპყვეთს ყველა მანძილს,
 ყური უკვდე ნამეგობრალს, ავსებულო ღვარძლით...
 შენვე გწყევლის შენი კერა, შენი ღვიძლი დედა,
 შენვე გწყევლის შენი შვილი,
 სიზმარში რომ გხედავს...
 გონზე რად არ მოაიყვანა ქვრივ-ობოების ამინვამ,
 დღემდე რატომ არ შეგზარდა თოფ-ზარბაზნის გრგვინვა
 გულს არ იტებს?
 მე კი ვხედავ — გაგზარვია უკვე,
 სულში ყინვა შეგპარვია, გითახთახებს მუხლებს...
 შენთან ერთად შენისთანა სხვაჯ ზევია ალბათ...
 იყოს!.. მოჰქუხს წასალეკად წამოსული ტალღა,
 კიმ ირ სენის მიწაწყლიდან ვერ წაიოიბთ დავლას...
 გულით მუდამ ლომი არი, ვინც სამშობლოს იცავს,
 ერთს ათასთან შეარკინებს მშობლიური მიწა!..

ქროს ჩარახი

რომანი •



ბერი წულუკიძე უგუნებოდ დაბო-
რილობდა და თავის გრძელ უღვაშებს
ისეთი გამალებით იგრებდა, თითქოს
ძირში უპირებდა მოწყვეტას. ნახევარ
სიცოცხლეს დათმობდა, ოღონდ მეფისა
და ბესიკის საუბარს დასწრებოდა.
ბოლოს, გულის გადასაყოლებლად, ზე-
სიკის თანამგზავრებს მიუახლოვდა და
თხოვა ეამბნათ, თუ რა გადახდათ თავს.
ლეონტი ნიჭარაძემ გულზე ხელი
მიიღო, მდაბლად თავი დაუქრა და
მოახსენა:

— მართალია, ღრანჭი მომექცა, იმ-
დენჯერ მომავოლეს ამბავი, მაგრამ
თქვენ, ბატონო, პირობით, მე უნდა შე-
გვხვეწოთ, ყური დამიგდეთოქო.

— ჰო, თქვი ახლა, რაღა ბეგრს აქია-
ნურებ — უთხრა წულუკიძემ, ქვაზე
ჩამოჯდა და ჩოხის კალთები შეისწო-
რა. — რა ნახეთ?

შენ ეს მიბრძანე, შენი ჭირიმე, რა არ
ვნახეთ, თორემ, რა ვნახეთ-თქო, ამას
ხელა იტყვი.

დამსწრეებმა გაიცინეს და მოსაუბ-
რებს გარს შემოერთყნენ. მალე მათ
გარშემო იმდენი ხალხი მოგროვდა,
რომ უკანა რიგებში მდგომნი არათუ
ვერ ხედავდნენ ლეონტის, მისი ხმაც კი
ალარ ესმოდათ და ერთმანეთს ეკითხე-
ბოდნენ, რა თქვა — გაგვაგებინეთო.

— ასე გადავედით ამ თოვლიან მთე-
ზე, — გაიშვირა ხელი ჩრდილოეთისა-
კენ ლეონტიმ. — ლებს ეტყვიან სო-
ფელს, იმაზე გავიარეთ...

— ვიცი, მივლია იქით, — უთხრა
წულუკიძემ.

— თქვენ რაღა არ გეცოდინებთ. გა-
დავედით გადალმა, გზაში საღუნა რომ
დაგვიჭირეს... მართლა ამ გახსენებაზე
როგორაა იმისი საქმე?

— კარგად. გამართლდა. — ანუგემი
წულუკიძემ.

— უჰ, მადლობა ღმერთს. მეცოდე-
ბოდა საწყალი. ჰოდა, გადავედით ამ
მთაზე. დავეშვიტ თავქვე, დიგორში
ნამეტანი პატრივი გვეესოსებმა, კაი კა-
ცი ყოფილა იმათი ბატონი. გავედით
ამ მთებიდან, შენი ჭირიმე, და დაიწყო
ვაკე, დაიწყო მარა რო ალარ გათავდა!
ღედა, რამხელა ყოფილა ეს ქვეყანა.
მივედივართ, მივედივართ, დილას, შუა-
დღეს, საღამოს. ერთი დღე, მეორე, მე-
სამე, მეათე, მეთხუთმეტე, სულ ასე
ხელისგულყოფით ტრიალი მინდვრებია.
მივედით მოზდოკს, იქიდან ყიზლარს და
ასე გაუთავებელი სიარულით ბოლოს
ასტრახანს, მე ეთქვი გათავდა ეს ოღა-
მიწა, მივედით კიდეზეთქო. გაგიგონია...

მდინარეა იმხელა, რომ აივები დაოიან
ზედ. მერე რამხელა გემები. იალქნები
აქ იმხელა ერთ სოფელს რომ გა-
დახაბო. გადახურავ. ახლა, შენი ჭირი-
მე, ეკლესიები აქეთ იმ სიმაღლე, ერთი
დღის სავალიდან დაინახავ. გგონია,
აგერ არი, ორ ნაბიჯზეო. მიდინარ, მი-
დინარ, ამოგვიასული, სანამ მიალწევდე.
ასტრახანში. შენი ჭირიმე. სახელმწიფო
გზებზე ბორბლებზე დადგმული სახლე-
ბი აქვენ იჭაორ დიდებულებს, შებმუ-
ლი ყვეთ ცხენები და ისე დადიან.
სახლები, მარა რაფერი, სოო ბროლის
ფანჯრები და შიგნით აბრეშუმის ბალი
შებით მოგებული საჯდომები...

— იჰ, ეგ რაფერაა. რას გადატყუებ,
ყმაწვილო, — შენიშნა ვილაკამ.

— ტყუილი რა საკადრისია. ასტრა-
ხანში, შენი ჭირიმე, მოვეურიგდით ზო-
მალის პატრონს და გავუდექით გზას
სპარსეთისაკენ. ჯერ მდინარით მივედი-
დით. მდინარეა იმსიგანე, ზღვა მეგონა,
თურმე ჯერ სადა ხარ. მეორე დღეს გა-
ვედით ზღვაზე. ღედა, რა ვნახე ეს.

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11.

სადა ან ნაბირი ან მიწა. მაშინ კი გადავიწერე პირველი და ვთქვი, ღმერთო, აქედან მშვიდობით გამიყვანე, მიწაზე ფეხი დამადგმევინე და მერე რაც გინდა მომიტოვებ მეთქი. გადავხედე ამ ჩვენ ბიჭებს, არცერთს აღამიანის ფერი არა აქვს. მარტო ბესიკი ბრძანდება ისეთი თქოს აქ არაფერიაო. რა ვიცი მე უბედურმა, თურმე აწი იწყება ჰევნი უბედურება. გავიხედე, შენი ჰვიომე, მეორე თუ მესამე დღეს ატყდა ლეღვა, მარა რაფერი. აღის და ჩადის ამ მთისოდენა ზვირთები და, როდის გადააბრუნებს ამ ჩვენ გემს, კაცმა არ იცის. თურმე, გულისრევა ცოდნია, რომ მომაწვა ამ გულბოჯეში, თქვენთან კი დიდი ბოდიში, მაგრამ პირდაპირ დედის ხსენი ამომადგინა. ვაგდღივარ ამ გემის ბაქანზე ცოცხალმკვდარი, გადავწევ თავს და იმის მეშინია, ნაწლავები არ ამომყვეს, თორემ სხვას არაფერს არ ვჩივი. დიიწყო ლეღვა, მაგრამ დასასრული უჩანს? ვადის ერთი დღე, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, ვიღუპებით, ამჟამად ვიღუპებით. მშოფრები, საქმელს პირში რა ჩამაკარებს, მარტო ამშორებულ წყალს ვსება ხანდახან და ვგ არის სულ. მეათე დღიზე ჩადვა ქარი, მაგრამ ჩვენ აღარც განძრევის თავი ვვაქვს, აღარც სმაქმის. მაგრამ, როგორც იქნა, ავბლოქილდით და ნახამთრი ბუხებივით ნელნელა დავიწყეთ მოლონიერება. ვქამეთ პატარა რაღაც. ახლა ქარი ჩადვა, ზღვა დაწყნარდა, მაგრამ თურმე ჩვენ აღარ ვიცოდით ფეხს. გემი ერთ ადგილზე გაჩერებულა და ეს იალქნები ჰკიდია ჩერებივით. თურმე სანამ ქარი არ ამოვა, ვიქნებით ასე ერთ ადგილს...

— იქნებ ქარი ერთი წლის განმავლობაში არ ამოვარდნილიყო, — შენიშნა ბერი წულუკიძემ.

— ვიქნებოდით ისე შეაგულ ზღვაში. როგორც იქნა, მესამე, თუ მეოთხე დღეს დაუბერა ქარმა და წავედით. გავიდა სამი დღე, უმატა ქარმა, აგორდნენ ისევ ვეებერთელა ტალღები, დავეშვით ისევ ძირს და დიიწყო ჩვენი წამება, მაგრამ, შენ წარმოიდგინე მეორედ ისე აღარ გამპირებია. ეჩვევა თურმე, კაცი ყველაფერს. ოცდაცხრამეტი დღე ვიყავით სულ ზღვაზე და მერე, როგორც იქნა, მივედით ერთ ზღვისპირა ქალაქში, რომელსაც ეწოდება არაშტი.

თლათ ზღვისპირზე კი არაა, მარტო მოშორებიოთაა. ნამეტანი კარგი ქალაქია. გილანის სამთავროს უწოდებენ ამ ქუთხეს. რაშტიდან ექვსი დღე — მოვუწოდეთ ქალაქ ყაზმინამდე მისვლას, მაგრამ რაღა მიწაზე დავდგი ფეხი, რაღას დავეძებდი, შენი ჰვიომე. ყაზმინიდან ოთხი დღე მოვუწოდეთ ერაყის ქალაქ სავამდე. ერთი დღე იქ დავისვენეთ და იქიდან სამი დღის შემდეგ მივედით ყუმს, ასეთი ქალაქია...

— ისე როგორი ქალაქებია, ან როგორი ადგილები? ამ ჩვენ მიდამოს თუ ჰგავს? — კითხა ბერი წულუკიძემ.

— ზღვიდან რომ გადამოვედით, იქ ადგილები მართლა კარგია, ტყიანი მთები და გარშემო და მიდამოც ლამაზი, მაგრამ მერე, მერე ნულა მოკითხე, რამ ვადარუჯა და გადაწვა ყველაფერი. ქალაქები კი უნდა მოგახსენო, ჩვენსას ჯობია. ციხეებია მისთანა, რომ ნახვად ღირს, სასახლეები რო ვაჩვენა, ასე იტყვი, რა ხელმა გააკეთაო. მეჩეთებია იმხელა, თვალს ვერ აუწვდენ, სულ ლურჯი მინანქრით მოჭიჭული, თვალს მოგჭრის მათი შეენება. ხალხი ბევრია მდიდარი. მაგრამ მათხოვარი კიდევ უფრო მეტი. ჰოდა რაღა ბევრი ვავარძელო, ბევრი ქალაქი ვავიარეთ, ყველას სახელო აღარც კი მახსოვს, მივედით შირაზს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რა ვნახე, რა ვნახე! ამ ჩვენს ქუთაისს წაგავს იმით, რომ, ჩვენი არ იყოს, იქაც ბევრი ვარდები ცოდნია, სადაც არ უნდა ვაჩხედო. ვარდია იმდენი, გეგონება, ამის მეტი აქ არაფერია მოდისო. მაგრამ ვარდი ვის ახსოვს, რაც იქ სასახლეები ვნახე, ნეტავ არ მენახა. ქუჩები სულ თლილი ქვისაა და აგურით მოგებული, მი შენ გიტყვი და ფეხი დავგვსერება, ჩვენში რომ წვიმა მოვა და ჩვენებური აყალო ტალღები ცხენებს ნალებს ადლებს ფეხზე, ისე კი არ არის. წაუდგამთ ფეხი იქაურებს ფოსტლებში. გინდა დიდებული იყოს გინდა მდაბიო და დადიან ამ ვაკრიალებულ ქალაქში: ნამეტანი სუფთა ხალხი ყოფილა. ამითი ცოტათი ქე გვაგავან ჩვენ. ახლა ლოცვას ნულა იტყვი სულ ლოცულობენ, დილას, შუადღეს, საღამოს. წაიჩოქებენ, პატარა ხალიჩები აქეთ იმაზე, აღაპყრობენ ხელს და ბუტბუტობენ ლოცვას. მივედით იქაურ ფუნდუქში, დავბინავდით. ეს ჩვენი ბესიკი წყალივით ლაპარაკობს.

იმათ ენაზე. მეორე დღეს მიგვიყვანეს ამ ჩვენ ბატონიშვილთან. გადირია სიხარულით. გადაგვხეცია სათითაოდ ყველას. ისე კი, უხდა ითქვას, დღის ბატონით კი ყოლია მიღებული განსვენებული ქერიმანს. ძალი ჩააკვდა ხსენებაზე. ხარჯი შენი ქირიმე, და ისე ფულად ყოველდღე უგზავნიდა თურმე. ეს ოქროსოვლი ხალათი რო აცვია ახლა და შებლზე რო აღმასის ჯილა ადგას, იმისი ნაწყალობები ყველაფერი. ერთი ყვირის შეზღვევ ბატონიშვილი და ეს ჩვენი ბესიკი ეახლენ ყაენს. ჩვენ ვინ მიგვიშვებდა იმითთან. თურმე ყაენი ნაცნობა ამ ჩვენ ბესიკს. და ნამეტანი გახარებოდა მისი ნახვა. ოთხმოცი წლის იყო, ზაგრაბ არც. თოვალს აკლდა არც ყურს და კიდე არ მოკვდებოდა ერთ ათ წელიწადს. რომ გულზე ლეკმა არ დადგომოდა. იმას მოუგუდავს უბედური. პოდა, იმას მოგახსენებდით, მივიდნენ ეს ჩვენი ბესიკი და ბატონიშვილი ყაენთან. თხოვეს, გვისამეველე რამე და მოგვეცი ჯარი ერეკლე დავაზხოთო. კარგო, უბრძანებია ყაენს. სამიათას კაცს მოგვცემ, ახლა მერტი არ შემიძლია და იმ სამიათას კაცის მოსვლასაც სამი თვე უნდა უცადო, რადგან ეს ჯარი ალი მურადის სარდლობით ყანდა-არს მყავს გაგზავნილი და როგორც დაბრუნდებთან, შენ გაგატანო. ავერინდით სიხარულით. რო ვართ დაიმედებული, ამასობაში ეს ყაენი გადაბრუნდა და მოკვდა. დეედა. დაგვეცა თავზარი. აქეთ ეცა ბატონიშვილი. იქით ეცა, გაგიგონია, ვისა აქეს ჩვენი თავი. თითონ არ იცოან, ვინ ავა ტახტზე. ეს ამხელა სახელმწიფო მანქვეალა სოკოსავით დეიფშენა. აჰ, ჩვენი საშველი არ არისო. ბრძანა ბატონიშვილმა. წავიდეთ, იქნება სხვაგან გავაწყობთ საქმეო. წამოვედით. სად არ ვიყავით, ვის არ მივმართეთ. რამდენი სახანო გავივიარეთ. ბოდილი თქვიდითან და, ერბოიანი ფლავის ჭამით მუცელი გვექონდა გადმობრუნებული ყველას. ერთი ჩვენებური კეყერი ფხალი მაჭამათქო სულ იმაზე ვოცენებოდით. ხომალდი რო დევიანახე, ხო იმდენი სიმწარე მქონდა ნახული, სიხარულით. ფეხზე აღარ ვიდექი. ახლა კი მეჯერა, სახლში დადებრუნდებითთქო. ჩავსხედით, დაუბერა ქარმა და წამოვედით. იქიდან იმდენი გაჭირვება აღარ გვიანახავს. ზღვა ისე ძლიერ არა დელავდა და არც გული

ავკრეცია ისე ძალიან. ასე იყო თუ ისე, მოვედით იმ დასაქცევ და რუბანდში ფათალიხანთან და იქიდან მერე სულ ხმელეთით მოვდიოდით უკვე ქვეყნადით, შენი ქირიმე, ამ ჩვენ სამობლო მხარეში, — დაამთავრა ამბავი ლევონტიმ და დათუკა გმელიძეს მიუბრუნდა! — ახლა შენ თქვი დანარჩენი, თორემ ეს ორანჯი მომძირება სულ და ვინღა მიმიმავრებს შეკე თათის ადგილას.

— მე რაღა ვთქვა, რაც იყო, ჩამოთქვი სულ, და — უპასუხა დათუკამ.

აქაქ გაიციენს. მეთის კარის მსახურნი და დაბალი თანამდებობის მოხელენი შორით შეცქეროდნენ სპარსეთიდან დაბრუნებულ ბესიკის თანამგზავრებს, რომელთაც ძვირფასი აბრეშუმის ყიზილბაშური ხალათები ეცვათ, ასეთივე ძვირფასი ქოიები ეხურათ და ფერადი მაშები უმშვივებდათ ფეხებს. როდესაც ბესიკთან ერთად ლევონტი ნიკარაძეს, დათუკა გმელიძის, ივანე ამირანაშვილს, დავით ლაშხიშვილს და ივანე მეგრელს უბრძანის სპარსეთში გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ, მაშინ სასახლის ყოველი მსახური ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამ დასაქცივემ მგზავრობა ასიდა. მაგრამ ახლა, როდესაც ყველანი ასე უარებლად დაბრუნებული დაინახეს, თანაც ასე ძვირფასი ფაჩჩულში გამოწყობილნი, ახლა ყოველ მათგანს გული წყლივითა. რატომ შე არ ვახლდი ბესიკს სპარსეთშიო ასეთი ტანსაცმელი იშვიათად ელარსებოდა რომელიმე მათგანს. რადგან უმეტესობას შინ ნაქსოვი ჯვალის სამოსი უხურავდა ტანს და გარდა ამისა, ყველას ეგონა, რომ ბესიკის მხლებლებმა სხვაჯ ბეგრი რამ ჩამოიტანეს უცხო ქვეყნიდანო.

ამიტომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა მეთის მსახურთა გესლიანი შენიშვნები:

— ჰო, ჰო ლევონტის შეხედე, მეფის ცოლისძმამ კაცად ჩამთვალაო და მაგას მოღლი ახლა ლაპარაკით!

— ნეტავი თუ გჯერა ახლა, რასაც მაგ ლაპარაკობს. ერთი სიტყვა არაა მაგათი დასაჯერებელიო.

— ივანე ამირანაშვილს შეხედე, რავა იბერება მესტვირის გულდასაოთ, გამარჯობა კი აღარ იკადრა, ჩემთვის რო ეთქვა. დაავიწყია. სოხანეზე რო ევლო და მწვირე ჭამდა?

— დათუკა გძელიძის შეხედე, კაცს დამგვანებია. რამდენ რამეს მოიპარავდა ახლა მაგ, სადაც მოახლებდა.

ასე ლაპარაკობდნენ ყოველ მათგანზე თუმცა არც დათუკა გძელიძე იყო ქურდი, არც ივანე ამირანაშვილი ამაყი და არც ლევონტი ნიქარაძე მატყუარა ტრაბანა. შეიძლება ამ მახვირუბით თითონ გესლეთ აღსავსე ის მსახურნი უფრო იყვნენ დაჯილდოებულნი, რომელნიც ასე ზრახვიდნენ ბესიკის თანამგზავრებს, მაგრამ მულამ სხვათაგან წყალობის მომლოდინე და მათხოვრობას შეჩვეულ შურიან კარის მსახურებს სხვაგვარად არც შეეძლოთ გული მოეფხანათ.

მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრებოდა, როდესაც ნამშინარევა ქართლის ბატონიშვილმა აივანზე გამობრუნება იწყებდა. სოლომონს უკვე დაემთავრებინა ბესიკთან საუბარი და, დიანახა თუ არა ალექსანდრე ბაქარისძე ამდგარი, მაშინვე უბრძანა ეკვძის სანადირო სუფრა გაემართა. თითონ კი ბატონიშვილს შეეგება თავაზიანად მოიკითხა და მერე ეზოში ჩაუძღვა, იქ, დიდი კაკლის ჩრდილში სეფა იყო გაშლილი და ფარეშები უკვე აწყობდნენ სუფრაზე თონის ცხენ პურებს, ხაჭაპურებს და გომიჯებს.

ალექსანდრე ბაქარისძე პირველად ნახულობდა თავის სამშობლო კუთხეს ქართლს. საჩხერიდან ბატონიშვილი თანამგზავრთა რჩევით ყვირილის ხეობას შეუყვდა და სოფელ ქალაზე გადავიდა ავიდა პერანგას მთაზე, სადაც საიალოო საძოვრები იყო. იქიდან ხელისგულივით მოიხანდა ქართლის თვალწარმტაცი დაბლობი, რომლის შუაგულზე ვერცხლის ზოლივით მოიკლავებოდა მტკვარი. სამხრეთით გადაგრავნილიყვნენ ერთმანეთზე მიჯრილი, მწვანე ნაბადებში შეხვეული, ღრუბლისქრდებოანი მთები. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კი ამართულიყვნენ თოვლიანი უღელისკოშორიანი კავკასიონის მწვერვალები, ცაზე მოფენილი ღრუბლის ქულები ცხერის ფარასავით გაშლილიყო.

როგორც კი აივანის აღმართი და პერანგას წვერზე ავიდნენ, ეს ზვიადი და წარმტაცი სანახაობა ისე მოულოდნელოდ გადაიშალა მსჯავრების თააოწინ, რომ ყოველანი მოჯადოვებულვით შეჩერდნენ და ერთნაირი კენესისმაგვა-

რი აღტაცება აღმოხდათ გულოდან. ალექსანდრე ბაქარისძე ცხენიდან ჩამობრძანდა, მუხლებზე დაეშვა მინასაკოცა და ბავშვივით აქვეითდა დიდებულები გარს შემოერტყნენ და დამშვიდება დაუწყეს. ბევრს მათგანს ბატონიშვილის ცრემლებმა გული აუჩუყა და თითონაც აქვეითდნენ. მარტო ბესიკი იყო პირგამიხილი. მას აქამდე ეგონა, რომ ალექსანდრე ბაქარისძე ქვეყნის ერთილდღობისთვის ზრუნავდა და ამისთვის ებრძოდა ერეკლეს. ებრძოდა, რათა მრავალტანჯული ქართველი ხალხისათვის შეემსუბუქებინა მძიმე ტვირთი. აღუკვეთა პირადი სურვილების და ზრახვებისათვის სხვათა მსხვერპლად შეწირვა, პატივი ეცა სწავლულთა და მეცნიერთათვის, დაბალი აემალღებინა და მაღალი ან ზვიადი დაემდაღებინა, ეზრუნა მისთვის, რათა აღედგინა საქართველოს ძლიერება. ეგონა, რომ ბატონიშვილს სწორედ ეს დიადი მისწრაფებანი ამოძრავებდნენ, მაგრამ მან ისე გადმოიარა კავკასიონის ქედი, გაიგონა რიონის ხეობაში მოსახლე გლეხების დინჯი ქართული, გადმოვლო რაჭა-იმერეთის ქედი, ასევე მაღლიდან გადახედა ყვირილის მოშხიბლავ ხეობას, ხალიჩასავით მოქარგულ საწვრთლოს ზოდანუბებს და ერთხელაც არ აღმოხუთქვამს სიხარული, რომ ქართულ მიწაზე დააბიჯა ფეხი. მარტო მან იცრემლდა და აუჩუყდა გული, როდესაც საკუთარ მამულებს გადახედა, ეს მამულები ახლა მას აღარ ეკუთვნოდა. ბესიკმა უცბათ იგრძნო, თუ რამდენად უბადრუტ ბატონიშვილს ჩამოუძღვა სპარსეთიდან. ის იყო ქონების მძიმეული მემამულე და არა სახელმწიფო მოღვაწე. ბესიკმა ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მტრობდა ერეკლეს, უღრესად დიდი პატივისცემა იგრძნო ქართლ-კახეთის ამ მეგრძოლ მეფისადმი. ბევრი ნაკლოვანება ჰქონდა ერეკლეს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე ის გაცილებით მაღლა იდგა ალექსანდრეზე და უდავო იყო, მას უკეთ ესმოდა, თუ როგორი პატივობა უნდა გაეწია ქვეყნისათვის. სხვა რომ არა ყოფილიყო, მარტო მისი სარწმუნობა ღირდა იმად, რომ სამეფო ტახტი სჭეროდა. ეს კი დაცქეროდა ქართლს, როგორც წართმეულ საკუთარ ქონებას და იცრემლებოდა.

ზიზლით შეაქცია ზურგი ბატონი-
შვილს. რა ტყუილებრალოდ დაუშე-
ვობრდა და შეიყუარა თურმე იგი ბე-
სიკმა. ნუთუ ამას უნდა შეეცვალა
ერეკლე?

სანამ ელიზბარ ერისთავი სხვებთან
ერთად ამწვიდებდა ბატონიშვილს, ბე-
სიკმა შეუშინებლად გაიარა მაღალი ბა-
ლახით დაფარული კორდი, მოხერხე-
ბულ ადგილზე ჩამოჯდა და მთებით
შემოზღუდული ქართლის თვალუწვედ-
ნელ დაბლობს გადახედა. ალაგალაგ
ყანები უკვე გაეჭრა და ნახურვალოდ
მუქ ზოდებად ჩაფენილიყვნენ ვადა-
ყვითლებულ ტაფობებსა და ვაკეებში.

ბესიკს ახლა გაახსენდა, რომ გახუ-
რებული ალო იყო და ასეთ დროს
საეჭვოა, რომ შეამბოხე თავადები შეძ-
ლებდნენ სალაშქროდ დაძვრას. რა-
ტომღაც ამასე აქამდე არაიგს უფიქრია
და ერთხელაც არ გახსენებია რომე-
ლიმეს, რომ მათ საქმეს ელობებოდა
ეს ფრიად საყურადღებო დაბრკოლე-
ბა. მთელი უბედურება ის იყო კი-
დეც, რომ ის, ვინც სალაშქროდ ვარგო-
და, თითონ ერკაცს ჰყავდა წაყვანი-
ლი ერეკვის ხანის წინააღმდეგ, ხოლო
სახლში დარჩენილებს კიდევაც რომ
შეძლებოდათ იარაღის ტარება, სალაშ-
ქროდ არაიგს გამოცხადდებოდა, სანამ
ყანას არ მომკიდნენ.

უნებურად მიმოიხედა ბესიკმა, უნ-
დოდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი
მოსაზრება. სწრაფად წამოდგა, რათა
ელიზბარ ერისთავი მოენახა.

ბატონიშვილის ამაღ უკვე დაძრუ-
ლიყო და მათი ბარაქა გრძლად ჩაბაწ-
რულიყო თავდადმართზე. ელიზბარი
ბატონიშვილს მიჰყვიბოდა კვალდა-
კვალ და ბესიკს ზეგანზე აღარ დახვე-
დრია.

წაგებულია ჩვენი საქმე. — გაი-
ფიქრა ბესიკმა. — ტყუილებრალოდ
მივიდვართ ქართლს. თავიდანვე უბე-
დობა დაჩემდა ამ საწყალობელს. არც
ქერიხანნი მისცა ჯარი. არც ფათა-
ლიხანმა, სოლომონიც ეშმაკურად განზე
გაუდგა, შენ ქართლი ააჯანყე, ჯარი
მოიხმე და მე მაშინვე მოგეშველებიო.
ეს რა დახმარებაა, თუ შევლა უნდოდა.
ზივცა ერთი ათიათასი კაცი. ისე ვინ
მივა მაგ უბედურთან. ეეჰ, მართალი
უთქვამს ხალხს, სხვის იმედით ფართო
კარავს ნუ გაშლიო“.

ლაშე ტყეში გაათიეს, ხოლო მეორე
დღეს ჯერ კიდევ დილა ითქმოდა, რო-
დესაც ისინი ნიქოზში შევიდნენ. ამ
სოფელში საეპისკოპოსო საკრებულო
არსებობდა და ათანასე ეპისკოპოსის
სადგომი, ქვეტიკრის პალატები იქვე
დღი ტაძრის გვერდით იყო აგებული.
ტაძარს საკმაოდ დიდი გალავანი ერტყა
და ლეკთა თავდასხმების დროს მთელი
სოფელი აქ აფარებდა თავს.

როდესაც ათანასეს მოახსენეს, ვახ-
ტანგ მეფის შვილისშვილი მოვიდაო,
მოხუცი მაშინვე მიხვდა, რომ ის ერეკ-
ლეს წინააღმდეგ ამბოხების მოსაწყო-
ბად მოსულიყო, და აღარ იცოდა, რო-
გორ მოქცეულიყო. ბოლოს გული გაი-
მაგრა, იფიქრა, მე სასულიერო პირი
ვარ, მაგათ საერო საქმეებში არ ვე-
რევი და ისე კი ჩემი მოვალეობაა შე-
ვიყვარო მოყვასი ჩემი, ვითარცა თავი
ჩემიო, თავისი კრებული იხმო და დიდი
ზეივით გაეგება ბატონიშვილს, მერე
ტაძარში მიიწვია, პარაკლისი გადაუხა-
და და ქართლში მშვიდობით მობრძანე-
ბა მიულოცა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა ნიქოზში
დაბინავებოლიყო და აქედან გაეგზავნა
მოციქულები ქართლის თავადებისა-
თვის. გამოცხადებულებიყვნენ მასთან
და ელიარებიხათ მიფედ.

ასეც მოიქცა, დაწერა ვრცელი მოწო-
ლება, გაამრავლებინა გადამწერებს და
გაგზავნა ქართლის ყოველ კუთხეში,
შემოვ დაუწყო ლოდინი შეამბოხე თა-
ვადებს.

გაიღდა რამდენიმე დღე. არსაიდან ჩა-
მჩუმიც არ ისმოდა.

ერთ დილას ნიქოზის ტაძარში ატყდა
ზარების რეკვა. დაფეთებული ბატონი-
შვილი ხან ერთს ეკითხებოდა ხან
მეორეს: რა ამბავიაო. მალე ყოველივე
გამოორკვა. შიკრიკმა თბილისიდან მოი-
ტანა ანტონ კათალიკოსის წერილი და
ვრცელი მოწოდება. ანტონი ლოცვა-
კურთხევას უთვლიდა ალექსანდრე ბა-
ქარისძეს, სცნობდა მას ქართლის ტახ-
ტის მემკვიდრედ და მოუწოდებდა
ქართლის თავადებს ელიარებიხათ იგი
მეფედ.

ამ ბარათმა წარმოუდგენლად აღა-
ფრთოვანა შეთქმულნი. ისინი აღტაცე-
ბით ეხვეოთნენ ერთმანეთს და თავისი
საქმე თითქმის მოაგბოლად ჩათვალეს.
ცოტა გახდა, ბატონიშვილი პირდაპირ
თბილისისაკენ არ გაემართა, აღარც კი

სურდა დალოდებოდა თანამოზიარე თავადებს. ისევ ელიზბარ ერისთავმა და ბესიკმა შეაჩერეს, რადგან იცოდნენ, რომ მარტო ანტონ კათალიკოსის ლოცვა-კურთხევა არ გამოიღოდა თბილისის ასაღებად. ჯარი იყო საჭირო და ეს ჯარი არსად ჩანდა.

ორი კვირის განმავლობაში ელოდებოდნენ შეამბოხე თავადებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ფალავანდიშვილები ეახლენ და ოცდაათობეტი კაცი მოიყვანეს. იქედან მხოლოდ ხუთს ჰქონდა თოფი, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრე ამილახვარს თავის ყოფილ საბატონოდან ორმოცდარვა კაცი ეახლა. ამათგან თოფები თითქმის ყველას ჰქონდა, მაგრამ აქედან ორი თუ სამი ვარგოდა, დანარჩენებს ზოგს ჩახმახი ჰქონდა მოშლილი, ზოგს — კონდახი მოტეხილი და ზოგს — ლულა ჩაგულ-ჩაბიძინილი. ტყვია-წამალიც სულ თითო-ორიოდა გასროლა თუ მოეპოვებოდათ.

შეტი არაეინ არ მოსულა. სამაგიეროთ ყოველდღე მოდიოდა შეამბოხეთათვის თევზარდამცემა ამბები. ცხინვალის მოურავს ბატონიშვილის მოსვლის პირველ დღესავე ეფრინა კაცი თბილისში, მომეშველეთო. მალე ხმა გაჟრცელდა, ერეკლე ბატონს ერევნის ხანი დაუმარცხებია და თბილისში ბრუნდება დღის ჯარითო. მეორე დღეს კი ცხინვალში შიკრიკი მოსულეთო და ამბავი მოეტანა, ბატონი თბილისში მობრძანდა უთვალავი ჯარით და ხვალ დილით უკვე თავისი დიდძალის მხედრობით სასწრაფოდ მობრძანდება გორშიო.

შეთქმულნი დაიბნენ.

ელიზბარ ერისთავმა ბესიკი გაიხმო და გულდაწყვეტით უთხრა:

— მეონი დროა ჩვენც თავს ეუშველოთ და იმერეთისაიენ მოუხსვათ.

— მე უკვე შირაზიდანვე ვიგრძენი, რომ ეს საქმე წაგებულ იყო, — უპასუხა ბესიკმა. — არ ვიცი რატომ და გულმა კი ასე მამცნო. ბედი არა გქონია.

— როგორ მოვიქცეთ?

— ეურჩით ბატონიშვილს, გაეცალოს. აბა, მაშ ამ ჩენი ორასი კაციით ხომ ვერ შეებმება ერეკლეს? იმას თორმეტი ათასი კაცი ჰყოლია. ისეთ დღეს დაგვაყრის, ზურგზე ბოლა აგვიდოდას.

ელიზბარმა კბილები გაახრჭიალა.

— მოდი ახლა და ამ დაეარდნით თავადების იმედი გქონდეს! მამირღებოდნენ, ოღონდ ბატონიშვილი! მობრძანდებოდეს, ქულზე კაცი გამოვალეთო. სად არიან, მაგათი... — უშვერად დააგინა ელიზბარმა. — მანამდე სულ გაიძახოდნენ, ერეკლე სულს გვხდის, გვანადგურებს, მაგის სისხლს დავლევთო, ახლა თავებევით შექვრნენ სოროში. პიი დედასა, რა ჯადო ჰქონია ძალას. შიში შეიქმს სიყვარულსაო, რუსთველისა არ იყოს, აბა ბატონიშვილს ერთი ათათასი ყიზილბაში მოეყვანა, მაშინ ხომ ყველანი თავქუდმოგლეჯილი ეახლებოდნენ.

— ეჰ, ვინ იცის. გუშინ გლეხების საუბარს მოვარი ყური. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ არის ეგ ბატონიშვილი, მაგის პატრონის დედაო. ან აქ რად მოთრეულა, რა უნდა ჩვენგანო. ამ ჩვენს ბატონ მეფეს რომ ტახტს ედავება, თუ მაგისი იყო, რატომ ახლაც მაგისი არ არის, ხომ არაეინ წაურთმევიო. ვილაც ოხერი მოთროლოა, აქედან წავიდეს, თორემ, მამაჩემსა აქვს ცხონება, კარგი დღე არ დაადგებაო. ასე ლაპარაკობდნენ გლეხები. იმათ არც კი იციან, ვინ არის ალექსანდრე. მაგისი პაპა ამ ორმოცდაათი თუ სამოცი წლის წინათ წასულა ქართლიდან და ეისლა ახსოვს, ან ვახტანგ მეფე, ან მისი ძე ბაქარი, ან კიდევ ესა. ახლა კიდევ, რით უნდა რომ მოიხმროს ხალხი? განა მარტო თავადების მიმხრობა არის საკმარისი! ხალხი უნდა გაჰყვეს და ხალხს კი ჯერ ერთი განა მაგისთვის სცალია და მერე ვინ იცის, რა კაცია ეს ალექსანდრე. რით გაუთქვამს სახელი, სიბრძნით, ქველობით თუ მჭევრმეტყველობით? ან იქნებ უბადლო სარდალია და დიდი მეომარი. ერთადერთი ეგაა რომ ვახტანგ მეექვსის შვილიშვილია. აქ კი ვახტანგი გლეხებს კი არა თავადებსაც აღარ ახსოვთ. წაიღეთ ჩემო ელიზბარ მე და შენ, დროზე ეუშვილეთ თავს, სანამ ერეკლე ჩავვიდეთოს ხელში და ცოცხლად გაგაძრობდეს ტყავს. ისევ იმერეთს მივაშუროთ და ბედს შეეუროდათ.

— ნუთუ ის ჩემი ცოლისძმა ჯარს არ ზოგავშველებს? — თითქო თავისთვის იითხა ელიზბარმა და მერე ბესიკს შეხედა.

— არა. ის ჩვენზე უფრო ჰქვიანია.

მთელი დღე ჩემთან რომ იყო ჩაკტილი, დაწვრილებით გამოშვითხა ყოველივე. მითხრა ბატონიშვილს შენ ადრეც იცნობდი, ახლა ეს დიდი გზა მასთან ერთად იმგზავრე, ადამიანს ყველაზე კარგად გზაში გაიცნობ და ყოველივე გულახდილად მიაშვებო. ისეთ წერილმანებს შეეითხებოდა ბატონიშვილზე, გამიკვირდა. მერე დიდხანს იყო ჩაფიქრებული და ბოლოს გულახდილად მითხრა, მგონია, ჩემო ბესიკ, მე და შენ ტყუილებრალოდ ვიშროვებთ, ისე ვატყობ, რომ მაგისგან არა გამოვარაო. უნდა ვითხრა გულში მეც ვგრძობდი ამას, მაგრამ ჩემს თავსაც ვერ ვუშვებდი და მაინც ვინუგეშებდი თავს, იქნება ვცდები-მეთქი. მიხვდა სოლომონი, ეგ სამეფო კაცი არ არის და ერეკლესთანა ლომთან მაგისთანა მოქმედი ფოცხვერი ვერას განდებო. მაინც ვცადეთ, თუ ქართლის თავადებში მართლა ამხედრდნენ და მიემხრნენ, ზოი კარგი, ერთი სამი ათასი კაციც რომ მოაგროვოს, სანამ ერეკლე ერეკუნის სახანოშია, იქნება მაგან მოასწროს და თბილისი აიღოს, მაშინ ახალციხის ფაშა ერეკლეს თბილისისკენ გზას გადაუტრის და მეც აქედან მივეშველები, მანამდე კი მაგს ჩემი იმედი ნუ აქვს, თუ ქართლის თავადები არ მიემხრენ, მაგის გულისთვის მე ერეკლეს თავს არ შევაკლავო.

— ეგ ჩვენც გვითხრა, მაგრამ თუ არ მივეშველებოდა ის დალოცვილი, რალად იბარებდა სპარსეთიდან.

— იბარებდა, რა, განა იმას პირდებოდა, შენ ოლონდ ჩამოდი, ქართლს მე წაეპართმეც ერეკლეს და შენ მოგიძღვნიო. კაცი იღრჩობოდა, — ღმერთო, მიშველეო, განაძირე ხელი და გიშველიო. ისეა მაგის საქმეც. მივეშველებოდა, რომ დაენახა, მართლა მიემხრო ხალხიო. სად არიან? სამიოდე თავადი მოკინკილდა, ისინიც იქით-აქით ისხედნიან, არავინ დაგვიწახსოს და გასაქცევათ უპირავთ თვალი. დასრულდა ზოთი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა, ჩვენ ამ საღამოსვე თუ არ მოვეუსვით აქედან, ხვალ დილით ალყას დაგვარტყამენ.

მართლაც საღამოს მშვერავებმა ამბავი მოიტანეს, ტყვიავისაკენ ჯარები ზოდიან ლევან ბატონიშვილის მეთაურობითო.

— ალექსანდრე იძულებული იყო იმ

საღამოსვე გაცლოდა ქართლს და ვაჟაზე გავლით დიგორში გადასულიყო. მას თან გაჰყვა ალექსანდრე, ამილანგარი, ხოლო ელიზბარ ერეკლევი დარჩენილი იმერეთში დაბრუნდნენ.

შემოდგომაზე ანა ქუთაისს გაემგზავრა. უნდოდა ზამთარი იქ გაეტარებინა. თანაც ფეხმძიმედ იყო და სურდა ქალაქში მოემშობიარებინა. დედოფალმა გულფანამ საგანგებოდ გაგზავნა წირქვალში თავისი ვაჟი მაქსიმე ქაჯაია და ბარათი გაუგზავნა ანას, ამ ზამთარში აუცილებლად ჩემთან ჩამოდი, მად რა გაგაძღვინებნოს.

ქუთაისში ანას ფეხმძიმობამ ერთი მითქმამოთქმა გამოიწვია. ამდენი ხანია გათხოვილია და აქამდე არ გარენია შვილი, ახლა ნეტავ რა მოხდო. გოგია ანაშიც ფიცით იქაქებოდა, თავს გადაეცდებ, თუ მაგ დავით ბატონიშვილის შვილი იქნება, ვილაც სხვას მიუძღვის ამ საქმეში დანაშაულიო. თითებზე ითვლიდა და ამბობდა, თუ ბავშვი თებერვალში დაიბადა, მაშინ მამა-მაგისი, უეჭველად, ქელაიშებგ შარვაშიც იქნება, ამბავი მომივიდა ამ ზაფხულს საიღუმლოდ კაცხზე გაევილო. თუ მარტში დაიბადა, მაშინ რუსების ღესპანის იქნება, სწორედ ერთი თვის შემდეგ ჩამოველო მის სოფელზე და ერთი სამი დღე სტუმრობდა თორმე წირქვალში მაგათთანო, მაგრამ თუ ბავშვი აპრილში დაიბადა, მაშინ ვმამაკმა უწყის მამა მაგისი ვინაა, სწორედ კვირიკობისთვის დამლევს ჩამოვიდა იმერეთის ალექსანდრე ბაქარისძე და მაშინ ქვეყნის ხალხი ირეოდა საჩხერეშიო.

შემოდგომა და ზამთარი საოცრად მშრალი და უქარო იყო, რაც იშვიათად ღირსებია ქუთაისს. დიდგვარიანი თავადები ამ ხნის განმავლობაში უმეტესად ქუთაისში იყვნენ და სასახლის კარზე ტრიალებდნენ. სოლომონიც არ გაცილებია სასახლეს, მარტო სანადიროდ თუ გავიდოდა ხან ქორ-მიმინოებით ხან მწვეარმეძებრებით, თორემ ისე სულ სასახლეში იჯდა და ყოველდღე იბარებდა ქუთაისში ახლადმოსულებს, რომ დაწვრილებით გამოეითხა. მას განსაკუთრებით თბილისის ამბავი სურდა გაეგო და იქიდან მათხოვარიც რომ გამოჩინილიყო, იმასაც კი ეითხებოდა, რა ნახე და რა გაიგეო. მართა-

ლია მას თბილისში თავისი ჯამუშე-
ბიც ჰყავდა და ხანგამოშვებით წერი-
ლებიც წერილობით მათგან, მაგრამ ხში-
რად ვაჭრებისაგან ან კათალიკე მისი-
ონერებისაგან უფრო მეტს გებულობ-
და, ვიდრე თავისი მსტოვრებისაგან.

თბილისის ამბების გაგებაში განსა-
კუთრებით ეხმარებოდნენ ელიზბარ
ერისთავი და ბესიკი. ორთავენი ხში-
რად დადიოდნენ ქალაქში, სადაც ნაც-
ნობობა ჰქონდათ ვაჭრებსა და მისიონ-
ერებს შორის და ყოველ დღე ახალ-
ახალი ცნობები მოჰქონდათ.

ერთ დღეს კათალიკე პატრებმა თავ-
ზარდამცემი ამბავი შეატყობინეს ბე-
სიკს: ერეკლე ზეფე ანტონ კათალიკოს-
ზე განარისხებულა, როგორ გაბედე
ალექსანდრე ბაქარისძე ქართლის შე-
ფედ დალოცეო და კოშკიდან გადმო-
უგდიაო. ანტონი იქვე გარდაცვლილა,
ხოლო ერეკლეს კარის მსახურთ ხალხ-
ში ხმა გაუფრცველებიათ. კათალიკოსი
თითონ გადმოვარდა შემთხვევით კოშ-
კიდანო.

ბესიკმა მაშინვე აცნობა ყოველივე
სოლომონს, რომელმაც ამ ამბავს პირ-
ველად იქვის თვლით შეხედა. ეს სუ-
ლაც ბესიკის მამის ზაქარიას მოგონი-
ლი ხომ არ არისო, მაგრამ მალე მსტო-
ვარისაგან ბრათი მიიღო, სადაც სი-
ტყვა სიტყავით იგივე იყო განმეორე-
ბული. შემდეგ იგივე ამბავი ქართლი-
დან ჩამოსულმა ვაჭრებმა ჩამოიტანეს,
თან ისიც დასძინეს, თბილისში რომ
გაიგონ. რომ ეს ვინმეს უამბე, მა-
შინვე იენას მოგვრიდან ძირში, არ დაგინ-
დობენ, გინდა თავადი იყო, გინდ სულ
უბრალო მდაბიო.

სალომოს სოლომონმა ბესიკის მამა
ზაქარია დაიბარა და განგებ სახეშეკ-
რულმა უთხრა:

— გაიგე, მამაო, შენი დაუძინებელი
პტრის ბედი? ეს რა უქნია ერეკლეს?

— არა, მეფეო, ერეკლე არაფერ
შუაშია, — ოდნავი ქსინტვით უპასუხა
ზაქარიამ, მას გულის ხუთვა აწუხებ-
და. — ის თავისმა ცოდვებმა გადააგ-
დო უფსკრულში, ვენაცვალე მალალ
ღმერთს, მის ძლიერებას, მიუზლო მი-
საგებელი. ახლა აღაათყარი შაქს სა-
დარლო. აწი მინც დარწმუნდება ერეკ-
ლე, თუ ვინ მოიყვანა თათის ეკლესიის
განმგებლად. ის ღმერთს დალატობდა და
ერეკლეს დაინდობდა? ულალატა, მაგ-
რამ როგორ? ზურგში მოუქნია მახვილი.

ბესიკი თვალს უშვებოდა მამამისს,
გაჩუქდი, ნუ ლაქლაქებო, რადგან/ან-
ტონი ამ შემთხვევაში სოლომონის
თახანობარედ გამოდიოდნენ. დედაც
რად დახასიათება მისი, სხვა რა არა,
დიდი წინდაუხედაობა იყო. მაგრამ მო-
ხუცი ზაქარია ვერაფერს ამჩნევდა და
მოშლილი წისკვილივით ჩიფჩიფებდა.

— იქნებ ახლა მინც შევირიგოს
ერეკლემ? — უთხრა სოლომონმა.

— აჰ, აჰ, აჰ, — გაასავსავა ხელები
ზაქარიამ. — ეგ შეუძლებელია. ჩემმა
შვილმა ალექსანდრე ბაქარისძე ჩამო-
იყვანა სპარსეთიდან და მე როგორ შე-
პირიგებსა ანტონი თუ მართლა კოშკი-
დან გადმოვადგო, მე ჰაუხზე ამიყვანს
და იქიდან გადმომიშვებს კისრით.
ერეკლეს ამბავი ვიცი. მე არა და, მე-
ფევე, შენ კი უნდა შეურიგდე. იმასთან
მტრობა არ გამოვადგება. უნდა მიუ-
გზავრო კაცები, უთხრა. მე არაფერ
შუაში ვართყო. ალექსანდრე ბაქარის-
ძემ არ გაგიმართლათ და რას იზამ
ახლა. ისევე ჯობია დახვედეთ.

სოლომონს ეს შერიგება უკვე გა-
დაწყვეტილი ჰქონდა და ზაქარიას ამ
რჩევამ უცბად გაუხსნა. შუბლი. მან
ღმილით გადახედა დიდებულებს, რო-
მელნიც ამ საობარს ესწრებოდნენ და
თავის ცოლისმამს ბერი წულუკიტს
უთხრა:

— მგონი, მართალს ამბობს ეს მო-
ხუცი.

— მართალს მოგახსენებს, თქვენი
დღეგრძელობა ნუ მომკლოს ღმერთ-
მა, — დაუმოწმა წულუკიძემ. — ახლა-
ვე უნდა ვიზრუნოთ მათზე და დრო-
ზე გავუგზავნოთ დენკანები. აგერ
ჩვენი განათლებული მდივანბევი და-
ვით კვინიხიძე წარგზავნოთ, თუ ინი-
ბებთ, მეც გეახლები და ყველაფერს
მოგახსენებთ. ქვე მართლა არ იფიქ-
როს, რომ შენ რამე შუაში ხარ. ბესიკი
რომ გაგზავნე სპარსეთში, ეს არც ქე
იცოცნინება და ბატონიშვილმა ისე თუ
გაიარა შენს მიწაზე, სტუმარს ხომ
ვერ გააგდებდი. მერე, მერე, თუ გინ-
და იცოდეს ისიც, რომ ბესიკი სპარ-
სეთში გაგზავნე. იმის ჩამოსაყვანად
ხომ არ გაიგებანია, მეფის სხვა სამე-
ფოს მეფეებთან რამდენი საქმეები
აქვს ვინ მოთვლის. შენ შენი საქმე
ქონდა, ხონთქარს გინდოდა მორიგე-
ბოდი და ყაენს თხოვე დახმარება.
კაცი გაგზავნე. თუ ბესიკს იქიდან ბა-

ტონიშვილი წამოყვია, ქვე რა შენი ბრალია. ჯარი მიაშველე, ფულები მიეცი თუ რა? არა, შენი ჭირიმე, მე გამიშვი და მოველაპარაკებნი იმას, მართლა მაგრე კი არ არის საქმე. ახლა თქვენი წაიდება რაჟა შეიძლება. მე მოგარიგებთ ორივეს, შენ ნუ გეშინია.

— ვაი თუ ღმერთი განვარიხხო. თუ მართლა კათალიკოსი გადააგდო კოშკიდან, ჯარი აქაურობას, ის მეფე კი არა, ეშმაკის მოციქული ყოფილა. ეს რა საშინელება ჩაუდენია. ასეთ ადამიანს შეუურიგდები კი არა, თავი უნდა შეჯაკლა, — თქვა სოლომონმა და გამომცდელი თვალით ისევე გადახედა დიდებულებს.

— მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, მაგას ნუ იტყვი, — შეედავა ბერი წულუკიძე.

მას შემდეგ, რაც სოლომონმა თავისი ვაჟი ცოლს გააცილა და ბერი წულუკიძის ქალი შერთო, იმერეთის კათალიკოსი თითქმის მტრად გადაეკიდა მეფეს. განსაკუთრებით ბერი წულუკიძის წყევლიდა თურმე მაქსიმე და ამბობდა, რომ ამ კარისკაცის სახით მეფეს ცბიერი გვილი შეპარვია, საოცრად მოუჯადოვებია და მომაკვდინებელ ცოდვებს ადენინებსო. წულუკიძემ ყოვლილგე ეს იცოდა და ახლა ყოველ ოონის ხმარობდა, რომ ამ საშიში მოწინააღმდეგის მღვთმარეობა როგორმე შეერყია.

— მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, — განაგრძობდა წულუკიძე, — მეგელს რომ ანათორა ჩააცვა, ის თავის მგლობას ზაინც არ მოიშლის. მაქსიმეს რა დავუშვეთ ან მე, ან შენ, რომ ყოველდღე გაწყველის თურმე და ღმერთს ევედრება, ამობუგე ორივე ძირფესვიანათო. შენ შეიღს, ტახტის მემკვიდრეს ცოლს არ გაეყრიო, რომ დაიჩემა, ვითომ რატომო. თანარ მეფე გააყარა ქმარს ეკლესიამ და მეორე ქმარი მოგვარა, როცა დაინახეს, რომ სამოფოსთვის აგრე ჯობდა და ეგ რა წმინდა კაცი გამოვიდა იმისთანა, რომ იმდროინდელ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე მიქელ მირიანისძეზე და თეოდორე მორანზე უფრო მეტი იყოს და უფრო წმინდად იყავს საეკლესიო საქმეებს. ასეა, შენი ჭირიმე, აბაშიძის გვარის კაცს სამეფო ტახტი ვალირსეთ და თავზე დაგვაჯდა. ეგგენ აბაშიძე მაგის სახლის კაცია და ეგეც იმისთვის დად-

გა უარზე, თორემ, აბა, სხვა გვარის ქალი ჰყოლოდა შერთული ჩემს სიძეს, მაშინვე გააყრიდა.

— აბა, მოხსენით ახლა გულდასუთავი, — ღიმილით უთხრა სოლომონმა თავის ცოლისძმას, — ჯობია, ეკლესიას ნუ განვარიხებთ. ღმერთი არ გვაპატივბ. შენ, უკეთესია, ქართლში გამგზავროდ მოვიშალო.

გადაწყდა, რომ დაყოვნება საჭირო არ იყო და ბერი წულუკიძე ორ დღეში უნდა გამგზავრებულიყო თბილისს. კიდევაც შეუდგნენ მზადებას, მაგრამ სწორედ გამგზავრების წინა დღით, მეფეს თავშარდამცემი ამბავი აცნობეს. მისი ერთადერთი ვაჟი ტახტის მემკვიდრე აღექსანდრე მოულოდნელად გარდაცვლილიყო.

მეფე თავის დიდ დარბაზში ბრძანდებოდა, ბუხართან იჯდა და თავის დიდებულებთან საუბრობდა. აქ იყვნენ სარდალთუხუცესი ჰაპონა წერეთელი, მდივანბეგები, ბერი წულუკიძე და დავით კვინიძიძე, მწიგნობართუხუცესი გოგია აბაშიძე, სარდალი ზურაბ წერეთელი, მდივანმწიგნობარ ბესიკ გაბაშვილი და კიდევ რამდენიმე კარის მსახური, როდესაც ეზოდან კივილი მოესმათ. ვილაც ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა და უცბათ ატეხილმა ჩოჩქოლმა ყველა შეაშფოთა.

— რა ამბავია ჩვენს თავს? უქვეყნია რლაც უბედურება გვეწვია? — თქვა სოლომონმა.

მალე ქალებმა ატეხეს წივილი, დარბაზის კარი გაიღო და იქვე ზღურბლთან ჩოჩქოლა სახედაკარულმა და მკერდმოღლეტილმა სადუნამ.

— მოკალით და ჩამქოლეთ, რად მომასწრო ღმერთმა ამ დღეს. ჩემი მზე, ბატონიშვილი, ჩემი თვალის სინათლე... — ხრიალედმა სადუნა და ყველასათვის ცხადა გახდა, რაც მოხდა.

ერთ წუთს ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, რომ ხმის ამოღებაც კი ვერავინ მოახერხა. ბერი წულუკიძე გაფითრდა და გაქვევებულივით ადგილიდან ვეღარ იძროდა. მას გულში მწარედ გაერა ამ საშინელმა ცნობამ. ქალიშვილმა დარეჯანმა რამდენჯერმე შეჩივლა, ან მე მოვიკლავ თავს ან მაგას მოვკლავ, თორემ მაგ მტრეალის გაძლიება აღარ შემიძლია, კარა თავს ვერ აწამებს ისე, მაგ რომ მწამებსო. „იმ შეჩვენებულმა მართლა

ხომ არ მოწამლა? — გაუღევა ახლა გულში წულუკიძეს. ასევე გაფიქრდა პაპუნა წერეთელიც. ეს სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ბატონიშვილი თავისით არ იყო მკვდარი და სადუნას ცოლა ადრე შეეცდებინა საიდუმლო დედალებმა. შემოფოთდა დედოფალი გულფანაც, რომელსაც საერთოდ აბრალებდნენ მამაშვილის წახსებებას და მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე შეურიგდა მამას და გულფანას ძმისწულიც კი ცოლად შეირთა, აქა-იქ დიდებულებში მაინც ამბობდნენ, დედოფალი თავის გერს სულერთია არ გაახარებსო. ამ მითქმა-მოთქმამ მაშინ გულფანას ყურამდე მიადწია და ახლა, როგორც კი გაიგო ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება, შიშით მოუხლები მოეკვია, ჩემზე გადატყველებული თავადები ამასაც მე დამაბრალებენო.

არანაკლებ შემოფოთებული იყო გოგია აბაშიძე. თავის მოგვირეცთაგან თითქმის ერთადერთი ეს იყო, რომელიც არ მტრობდა სოლომონს და მის კარზე მსახურებდა. მიუხედავად ამისა მასაც ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველანი. სოლომონიც აგდებულად ეპყრობოდა და გოგიას ათას ზერელში გაძრომა ჰქირდებოდა, რომ მეფისთვის ერთგულება დამტკიცებინა. ამიტომ ამასაც მწარედ გაკია გულში, ვი თუ ეს უბედურება აბაშიძეების დატრიალებულია და აქ არაფერი გავუბაო.

ალბათ ამის მიზეზი იყო, რომ სასახლის კარის კაცი გადაჰარბებული ღრიალით, სახის ხოცვით და ტანსაცმელის შემოხვევით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავისი მლიქვნელური ერთგულება მეფისადმი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბერი წულუკიძე, პაპუნა წერეთელი, გოგია აბაშიძე და თვით დედოფალიც. ბერი წულუკიძე რამდენჯერ წაივლებდა თმებზე ხელს, იმდენჯერ ბლუჯად ჩამოჰქონდა თმები. გოგია აბაშიძე ისე იბაგუნებდა გულმკერდზე მოშტებს, თითქოს ვულის ფიცრის ჩამტყრევის ლამობდა, გახეღებული დარბოდა ხან აივანზე ხან ეზოში, ხან დარბაზებში და ყველას შებღაოდა:

— გაიგეთ, რა მოგვივდა, გაიგეთ? დაგვიწინელა მზე, ჩაგვიქრა სინათლე... რამდენიმე საათის განმავლობაში სასახლეში ყურთასმენა აღარ იყო. ბოლოს, მეფე შებრძანდა ცხენზე და გე-

გუთში გაემგზავრა. მას თითქმის მთელი ქუთაისი გაჰყვა თან.

ამ ალიაქოთში პაპუნა წერეთელი სულ იმაზე ფიქრობდა, რა უნდაეძინა მარტოხელებიხა სადუნა. როგორც იქნა — მოახერხა, თავისი ყოფილი მსახური ცალკე ოთახში შეიერთა და დამაბული ჩურჩულით კითხა:

— მითხარი, შე გაუბედურებულო, შენი საქმეა ეს?

— დედა ვფიცავარ, თუ ვიცოდე რამე, — გულწრფელად უთხრა სადუნამ. — შე არაფერ შუაში ვარ. რაფერ მოხდა, ან რა მოუვიდა, არ ვიცი.

— ავად იყო?

— არა. დილას რო აღგა, ერთი კი შეუპრიტიხა თავისებურად, მარა მერე არაფერი. ასე, შუაღლე იქნებოდა, ახალი ნასადილარი იყო, უცბად გახდა ცუდად. დეიძახა, კეცდებოდა. მივეპარდი, — თავლებდა კაცი. ძლივს უფოქავს. აი აქეთ, აი იქით, დევიძახეთ: ექიმი! ექიმი! სადაა ექიმი! ქუთაისში არ მოიძებნება და ახლომახლოში — მით უმეტეს. არიქა, რიონ-გალმა დედაბერია, შელოცვა იცისო, ვაფრინეთ კაცი. სანამ ის მოვიდოდა, ქე გათავდა უბედური.

— ვიზე გაქვს ეჭვი?

— ვითამ მოწამლულია? — თავისთაქს ჰკითხა სადუნამ და მერე ბატონს შეხედა: — თუმცა რას გაიგებ, რკივილით არაფერი რკიოდა, ავად მაგ არ ყოფილა. გულისრევა კი ოღუცდა ერთ ხანს. მერე სულ შეუტრა ხელ-ფეხი და ძიგძიგი დააწყებია.

— ბნედა ხომ არ მოსვლია?

— რა ვიცი. წინათ არ ჰქონია და ახლა, მით უმეტეს, რაზე უნდა დამართოდა.

— ცოლმა ხომ არ გაწირა იმ გაუბედურებულმა?

— რას გაიგებ. ყველა ისე ყავდა გაწამებული და დაშინებული, ვილაცამ მოულო ბოლო. აშკარაა ერთი რომ ვინმე ჰყოლოდა ამოჩემებული, მაშინ კიდევ ფიქრებდა რალაცას კაცი, მაგრამ მაგისტოის ყველა ერთი იყო, ერთნაირად აწამებდა ცოლსაც და მოახლო გოგასაც, მოურავსაც და ფარეშსაც. რას გაიგებ, რომელმა მოულო ბოლო.

— სახეზე არავის შეეტყო?

— რას ბრძანებ. არაფერი დაგებრალდესო და მოიკლეს თავი ტირილით.

ისე კი, სიმართლე უნდა ვთქვა, არც ერთი არ იდგა ფეხზე სიხარულით...

— სსუ...ტი — მთავარა პირზე ხელი ჰაპუნამ და თვალები გადაუბრიალა: — მოგძულდა თავი?

—:—

სოლომონსა და კათალიკოსს შორის შეურიგებელი მტრობა ჩამოვარდა. როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ქუთაისში მოასვენეს, კათალიკოსმა მიცვალებული არც ეკლესიაში შეატანინა და მღვდლებსაც აუკრძალა მისთვის წესი აეგოთ. არსებული წესის თანახმად ბატონიშვილი მთავარანგელოზის ეკლესიის საკურთხეველთან უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ კათალიკოსმა ეზომიაც კი არ მისცა მისი დასაფლავების უფლება. ნაკურთხ მიწაში არ შეიძლება ქრისტეს მცნების დამრღვევისა და მკრეხელის დასაფლავება.

სოლომონმა რამდენჯერმე მიუგზავნა მოციქული კათალიკოსს, ემუდარა, აღუთქვა, ჩემი შვილის ცოდვათა მოსანანიებელად ათას კომლ გლეხს შევირავ ეკლესიას, ოღონდ უფლება მომეცი, ბატონიშვილი ქრისტეანული წესით თუნდაც ეკლესიის ეზოში საერთო სასაფლაოზე დაემარხოთ, მაგრამ კათალიკოსმა გადაჭრით უარი მოასენა. მთელ სამღვდლოებმა თითქმის პირი შეეკრა, არცერთი მღვდელთაგანი არ გადაახდა კათალიკოსის ბრძანებას და სასახლეს არ გაჰკარებია. ისევ მოიშველიეს ის შინაური მღვდელი. რომელმაც ჯვარი დაწერა ბატონიშვილს და ამის გულისთვის მაქსიმეს მიერ ღირსება ახდილი იყო. ისევ ის გაუძღვა მიცვალებულს და წესიც აუგო.

ეკლესიის გალავნის გარეთ, სამხრეთ მხარეზე დაასათლავეს ბატონიშვილი. კათალიკოსთან შეხვამ ისე გააციცხლა სოლომონი, რომ შვილის სიკვდილიც კი დააიწყა. ის წარბშეკრული მიაცილებდა შვილს და ერთხელაც არ მოუტყავს ხელი თვალზე. პირგამებელი იუქირებოდა სივრცეში და თუ ვინმეს შეხედავდა მისი განგმირავე მხერა, მუხლებს კვეთდა ყველას.

ხალხში ამ ამბავმა ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დიდი უმეტესობა სოლომონის მხარეზე იყო და ათასნაირად ჰქიცხადნენ კათალიკოსს. ამბობდნენ, თითხად სახარება გუასწავლის, რომ თუ კაცი მოინანიებს, მას ღვთის მიერ ყოველივე შეცოდება უნდა ეპატიოს და

ახლა თავისი ჯიუტობით კათალიკოსს თითონ არღვევს ქრისტეს მცნებას.

განსაკუთრებით გააფორდა ბერი წულუკიძე. ავრ კიდევ გუშინ ის ბედნიერების მწვერვალზე იდგა, იმერთა მეფე მისი სიძე იყო, იმერთა მეფის ვაჟი — ტახტის მემკვიდრეც მისი სიძე იყო. აწმყო და მომავალიც ბერი წულუკიძეს ეკუთვნოდა. თუ სოლომონის დროს ის არსებითი მმართველი იყო ქვეყნისა, თითონ მეფე ამბობდა, მეფე მე კი არა ვარ, ბერი წულუკიძეაო. ალექსანდრეს დროს, მით უმეტეს, მთელი სამეფოს ბედობალი მის ხელთ უნდა ყოფილიყო. საათივით ააწყო საქმე, მაგრამ მომავალი ერთის მოქნევით მოუცეცეს, ხოლო აწმყოს, ვინ იცის, რას უქადიან.

გაოგნებული დაეხეტებოდა სასახლის დარბაზებში წულუკიძე, ხან ბუხარს მიუჯდებოდა და საათობით ჩაიკეროდა ცეცხლს, ხან ტახტზე მოიკეცავდა და გამწარებით იცემდა მუხლებზე ხელს. ერთ საღამოს მივიდა სოლომონთან და თითქოს ჩახმაზი დაესხლიტოს, ისე ჰკითხა:

— რას უპირებ ახლა იმას?

— ვის? — გაოცებით შეხედა ცოლისმძას სოლომონმა.

— ვის დამქსიმე იუდას. კათალიკოსად რომ დაასკუპე. თუ, ვინდა უცადო, მანამდე, სანამ შენც მოგიღობდეს ბოლოს. გითხარა, მგელი ვგლობას არ მოიშლისთქო და გამართოდა. მეფედ კი არა, უქანასკნელ ბოგანოდაც აღარ ჩაგაგდო. შერჩეს ახლა ეს იმას? რას გაჩუქებულხარ? მითხარი რამე. თორემ ამოვიდა სული. აღარ შემიძლია მეტი. შენ თუ გეშინია ღმერთის წყრომის, მე არ მეშინია. მგელს რომ თავი წააწყვიტო, ღმერთი ამას არ მიწყენს. იმდენი გვწყევლა, სანამ არ გავკრა, არ მოგეშვა. არ დაიჯერო, რომ ბატონიშვილი თავის დღით გამოგვცლოდეს ხელიდან. კისერს მოვიჭრი, თუ მაგან არ მოუგზავნა ვინმე და არ მოაწამვლინა. ავრ ენახოთ, რას გამოიძევს დავით კვინიხიძე.

ბატონიშვილი რომ გარდაიცვალა, პირველად ისე აერია თავგზა ყველას, არავის არ გახსენებია თვალყური ოდენებინა მსახურთათვის. ხოლო როდესაც ცოტათი დამშვიდდნენ და შეუდგნენ იმის კვლევის, თუ რა უნდა ყოფილიყო ალექსანდრეს ასე მოულოდნელად გარდაცვალების მიზეზი, უცერად

აღმოაჩინეს, რომ ორიოდე დღის წინათ თავშეფარებული სოსე გაპარულიყო. ეს სოსე ქართლიდან იყო გამოქცეული და ბატონიშვილს ეახლა, შემოიფარე და მიჰყო. ვინაიდან იმ ხანებში ასეთი შიშობევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არავის არ გაკვირებია ამ ხანებრივად შიშველ-ტიტველი ყმის მოხეტემა ბატონიშვილის კარზე და მოურავმა მას მზარეულისთვის შეშის კრა დააილა. ახლა ეს სოსე უგზოუკვლოდ გამჭრალიყო. ეტყობა, ბიჭი მიხედა, შეიძლება რამე დამაბრალონო და დროზე უშველა თავს. დიდებულებმა და თვით სოლომონმა კი ეს ამბავი სხვაგვარად ახსნეს და, ვინ იცის, შესაძლებელია — კიდევაც ეფიქრათ, ის სოსე, ერეკლეს მოგზავნილი კაცი ხომ არ იყოო, მაგრამ მალე კიდევ თორმეტამდე ფარეში და მოახლე დაკარგულიყო და ახლა მთლად აერიათ თავგზა. ცხადი იყო, რომ მსახურნი თავს შეგლოდნენ, რაიმეს დაბრალებისა და მომავალი წამების შიშით და უგზო უკვლოდ იკარგებოდნენ.

სოლომონმა დავით კვინიხიძეს დაავალა გამოეკვლია ყოველივე და თუ მართლა დამკიცდებოდა, რომ ბატონიშვილი მოწამლული იყო, რადაც არ უნდა დაეჯიშოდა, დამნაშავე აღმოეჩინა. კათალიკოსთან კი კაცი გაგზავნა გელათში და თავისთან დაიბარა, მაგრამ იქიდან ამბავი მოუვიდა, რომ მისმა უწმიდესობამ ერთგულთა რჩევა დაიჯერა და ქართლში წაბრძანდაო.

ამ ამბავმა კიდევ უფრო მეტი საფუძველი მისცა ბერი წულუკიძეს, თავს დასხმოდა კათალიკოსს:

— თუ კუდი არ ეწეოდა, რაზე გაგეცალა და მოუსვა ქართლში. ერთი ანდაზისა არ იყოს, აგერ დათვი და აგერ კვლიო. რას ერჩი სხვას? ის ყოფილა ყველაფრის თავი.

პაპუნა წერეთელი გარეგნულად წულუკიძის ყოველ სიტყვას ეთანხმებოდა, ვითომ დიდადაც თანაუგარმობდა, მაგრამ გუნებაში ცას წვედებოდა სიზარულით. კათალიკოსსაც მან მიუგზავნა კაცი და საიდუმლოდ შეატყობინა: მეფე გლახა საქმეს გიპირებს და გაეცალეო. ახლა კი ყოველნაირად კიცხავდა მაქსიმის და, რაც შეეძლო, ახელებდა ბერი წულუკიძეს.

— მართალს ბრძანებ, ჩემო ბერი, მართალს, ისე შემოგვიჩნდა, ისე აგვი-

თვალწუნა, ღვთის მსახურს როგორ ეკადრება ასეთი ყოფაცქევა! აბაშიძეების გულისთვის, ევგენისა და დავითის გულისთვის გაგწერია ყველა ჩვენ თავს რას დავუქმებთ, თვით მეფე არ დაინდო და მისი ერთადერთი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე უკურთხ მიწაში დაგვამარხია.

ასე ეუბნებოდა წულუკიძეს მეფის თანდასწრებით, მაგრამ როდესაც ცალკე ჩაუვლიდა ანას, ან ელიზბარ ერისთავს სახეზე ღიმილგადაკრული, თითქოს გაკვირვებით აძვრენდა კბილებიდან სიტყვებს და ძლივს ვასაგვანად ჩაუღაპარაკებდა:

— თქვენ მიყურეთ სერიი. სულ გადაერევ მაგ უბედურს.

მალე სასახლეში შესამჩნევი გახდა, რომ კარისკაცი, რომელნიც დღემდე ბერი წულუკიძის გარშემო იყრიდნენ თავს და ცდილობდნენ ამ დიდებულის ყურადღების ღირსნი გამხდარიყვნენ, ახლა პაპუნა წერეთელს ეჯიბოდნენ ფეხქვეშ, სახეში შეეკეროდნენ და ცდილობდნენ იმით ეამებინათ, რომ ყოველ წუთში ახალახალი ამბები მოჰქონდათ და ენატანიობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ბერი წულუკიძე მალე მიხედა, რომ მას ხელიდან ეცლებოდა სასახლის კარზე მოპოებული ძალაუფლება და თუ აქამდე ის, მეფის შემდეგ, პირველ კარისკაცად ითვლებოდა, ახლა ეს ადგილი პაპუნა წერეთლისათვის უნდა დაეთმო. ის კარგად ხედავდა, თუ რისთვის დაუახლოვდა სახლთუხუცეს ქართლიდან გადმოხვეწილ თავადებს და რად დაუმოყვრდა დავით გიორგისძეს. ახლა მას საშუალება ეძლეოდა იმერეთის ტახტი, მომავალში, თავის ცოლისძმისთვის გაემზადებია და საბოლოოდ დაესაკუთრებია სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება.

— კაცი არ ვიყო, თუ მაგათ ჩალა არ გამოვავლო პირში, — დაემუქრა სახლთუხუცესს და მათ დამქაშებს წულუკიძე.

დაემუქრა და ნაწილობრივ ეს მუქარა კიდევაც შეასრულა. ბატონიშვილის გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე თბილისიდან ქუთაისს მოვიდნენ არჩილ ბატონიშვილი თავის მეუღლით და ვაჟიშვილით თორმეტი წლის დავითით. ბერი წულუკიძე იმ ცხელ გულზე მაშინვე შეუჩნდა მეფეს, ურჩია ეშვილებინა და ტახტის მემკვიდრედ გამოეცხა-

დებინა ახალგაზრდა დავითი. ამითი სოლომონი აუცილებლად მოიგებდა ერეკლეს გულს, თუკი მის შვილის-შვილს იმერეთის მემკვიდრეობას და-ულოცავდა და საბოლოოდ გააქარ-წყლებდა ყოველივე ეჭვს, რაც კი შეიძლება ჰქონებოდა ქართლ-კახეთის მზრძანებელს იმერთა მეფის წინაშე.

სოლომონს ეს რჩევა ჰქუაში დაუჯ-და, ბევრი არ დაუყოვნებია და ორმო-ცის გადახდის შემდეგ, როგორც კი შა-ნაბი გაიხალისე, წვერი დაიპარსეს და ნახსნილო საქმელი ჰამეს, სოლომონმა მოიხმო დიდებულნი და გამოუცხადა ყველას, რომ თავის ძმისწულს დავით არჩილის ძეს აღიარებდა შვილად და თავის შემდეგ ულოცავდა იმერეთის ტახტს.

ამ ამბავმა პაპუნა წერეთელზე და მის მომხრეებზე მეხის დაცემასავით იმოქმედა. მართალია, გარეგნულად პა-პუნას წარბივ არ შეუხრია, პირიქით, დიდად მოუწონა მეფეს ასეთი გადა-წყვეტილება, მოულოცა ქართლ-კახე-თის სამეფოსთან ურთიერთობის გა-მტკიცება. მაგრამ როგორც კი ელიზ-ბარ ერისთავთან და ბესიციან ცალკე მოხვდა, სულ ცეცხლს აფრქვევდა პი-რიდან.

— სად დაგვიდო კვანტი იმ სულ-ძალმა, ხედა! — უთხრა მან ამ ორ იდუმალ თანამოაზრეს. — შეხედე, რა გაიძვერა. იფიქრა, არც შე, მაგრამ არც თქვენო და ა! მაგ ისეთი გაიძვე-რაა, იმ თავის ქვრივ ქალიშვილს ამ თითის სიგრძე ბატონიშვილს შერთავს. თუ გუნებაში არ ექნება, თუ გინდა კი-სერს მოვიტარი. ისევე უნდა ხელში ჩა-იგდოს ყოველფერი. ეს ულვაში ააპარსე პაპუნა წერეთელს, თუ შენი გაგაყა-ნო, თუ ბიჭი ვყოფილვარ, გაგიხდი საკენესად საქმეს. ჯერ ერთი დაამთავ-როს დავით კვინიხიძემ საქმის გამო-ძიება! მე ისეთი ცნობები მომიდის, ბა-ტონიშვილი თითონ მაგის ქალიშვილს უნდა მოეწამლოს.

— ეგ ყოველად შეუძლებელია! — ერთად აღმოხდა ორთავეს.

— აგერ ენახოთ, ბატონო. აღდგომა და ხეალოო.

გამოძიება როგორც იქნა დამთავრდა, მაგრამ სანუგეშო არა გამოიჩინა რა. დავით კვინიხიძემ ვინ აწამა, ვის ტყბი-ლი სიტყვით ესაუბრა, ზოგს დაემუქ-რა, ზოგს საჩუქრები შეპირდა, ზოლოს

მოიწვია, კათოლიკე მისიონერები, რა-მელთაც ეჭიმების სახელი ჰქონდათ და-ვარდნილი, მათ ესაუბრა და იმ დასკე-ნამდე მივიდა რომ ბატონიშვილი თავის დღით უნდა მომკვდარიყო. ალ-ბათ — წვეთის დაცემით და ამგვარად ბრალიც არავის არ უნდა დადებოდა. მართალია, მოსამსახურენი და ფარე-შები უგზოუკვლოდ გადაიკარგნენ, მაგ-რამ შეუძლებელი იყო, რომ თორმეტი ან ცამეტი კაცი შეთქმული ყოფილიყო და მათ ისე ჩაედინათ დანაშაული. ამას ისიც ადასტურებდა, რომ პირველად ორი დღის წინათ მოსული ქართლელი გაიპარა. ის კი შეუძლებელი იყო შე-თქმულთა მონაწილე ყოფილიყო. უეჭ-ველია, ყველანი რაიმეს დაბრალების მიშით მიმოიფანტნენ და დანაშაული არც ერთ მათგანს არ მიუძღოდა.

პაპუნა წერეთელი მანაც ვერ და-მშვიდდა და დავით კვინიხიძეს პირ-დაპირ საუბარში კიდევაც უსაყვედუ-რა, ალბათ ხელს აფარებ წულოიძის ქალიშვილს, თორემ აგერ ბატონიშვი-ლის პირისფარეში სადუნა ფიცით იქა-მება, თავს მოვიკლავ. თუ ბატონიშვი-ლი მოწამლული არ იქნებოა.

— ეპ, ახლა მაგის კვლევას გვიჯობს თავი ეანებოთ, — უთხრა დავით კვინი-ხიძემ სახლთუხუცესს, — სხვა უფრო მტკიე გვაქვს თავსაცემი და სადარდო. ამბავი მოგვივიდა, რომ ქელაიშბეგ შარვაშიძე თურქების წაქეზებით ოღიშ-ზე აპირებს თურმე გალაშქრებას. თუ ახლავე ერეკლესთან არ შეროიადით და ზურგი არ გავიმაგრეთ, ჩვენი საქმე წასულია. რუსეთიდან შევილას ნუ მო-ველით. ჯერ წინათაც რა გაგვიცთა მათმა მოსვლამ და ახლა, როცა აქ არ არიან, რისი იმედი უნდა გვქონდეს.

— იქნებ ქელაიშბეგს თითონ ერეკ-ლე ამხედრებს ჩვენ წინააღმდეგ.

— არც გამოიკვირდება. ჩვენ აგერ, ალექსანდრე ბაქარისძე ჩამოიყვანეთ და ოჯახში ამბოხებებს ეუწყობდით, გგონია გვაპატიებს?

— ახლა ენახობ, შერვაშიძეები რომ გაუშვით მაშინ. — გულისწყრომით თქვა პაპუნამ. — თუმცა, კაცმა რომ თქვას, გაგვიპარენ. მიქვლები უნდა მოგვეთხოვა მათთვის.

— ეპ, უკვე გვიანაა თითზე კბენანი.

—:—
ზამთარი მოსაწყენი იყო. დასაკლე-თიდან გამუდმებული ცივი ქარი უბე-

რავდა და თოვლქვაბისგან გზებზე გაუ-
ვალი ქენჭები იდგა. ხანდახან კიდევაც
ჰყინავდა და გუბებებსა და კვალში ჩა-
დგარ წყალს ყინულის მინები გადაეკე-
როდა ზემოდან. სასახლემაც მიჩუმდა
ცნობრება. მაღოვარიდ მყოფი მეფე
იშვითად გამოდიოდა. დარბაზში სასა-
უბროდ ან გასართობად. ის უმეტეს
ხანს ლოცვაში ატარებდა ან წიგნების
კითხვით ერთობოდა. ბოლოხანებში
ბნელამაც უხშირა და ვინაიდან წინას-
წარ ყოველთვის გრძობდა, ავადმყო-
ლობა როდის მოუვლიდა, ადრიახად
ჩაიკერებოდა ხოლმე თავის საწოლ-
ოთანში. ერთადერთი ადამიანი, რომე-
ლიც მაშინ მასთან რჩებოდა, ბერი წუ-
ლუკიძე იყო. მეტს არავის არ იყარებდა.

ბესიკი უმეტეს დროს თავის სახლში
ატარებდა და სასახლეში იშვიათად ჩა-
მოდიოდა. მართალია, ანა მთელი წამ-
თარი ქუთაისში დარჩა და ბესიკს სა-
ოცრად სურდა მასთან შეხედრა, მაგ-
რამ ორთავენი იძულებული იყვნენ
ძალზე თავდაპირილი ყოფილიყვნენ და,
სხვებს რომ არა შეეგნნათ რა, თით-
ქმის არც კი ელაპარაკებოდნენ ერთმან-
ეთის. მთელი წამთრის განმალღობაში
ანამ მხოლოდ რამდენჯერ მოახერხა
პირისპირ შეხვედროდა ბესიკს და და-
ლაპარაკებოდა. პირველ შეხვედრაზე
მან მაჯაში სტაცა ხელი მგოსანს და
მისი ხელი მეტელზე დაიდო, ცრემლით
სასვე თვალები შეანათა და რალაც გა-
მოუტნობი აღტაცებით გაუღიმა.

აღელვებისგან ბესიკს სული შეეზუ-
თა და გულის ჩქოროლა აუტყდა. უსი-
ტყაოდ მიხედა ყოველივეს. დაიჩოქა და
კამბის კალთაზე ეამბორა. ანამ თმებში
ჩააქლო ხელი, თავი გადააქრა, თავის-
კენ აახედა და ჩურჩულით უთხრა:

— შე სახიზლარო, განა ღირხარ, ამ-
დენი უნდა ვიტანჯო შენთვის?

— ჩემო ღვთაებავ, ჩვენ აქ თითქოს
უბრალო ვართ, ისე უნდა ვიყოთ.

— ვიცი.

— ათაო თვალი გაიქვარის. მარტო
გოგია აბაშიძის ქორების ბაღში გაბ-
მა... სიკვდილს უღრის.

— ვიცი, ოპ, რომ იცოდი, რა მეზიზ-
ღება ის ნამდვილი ფურნის კატა ისა.
ორჯერ გზა გადამიღობა და მითხ-
რა, თუ მიკადრებ მონად, რასაც მიბრ-
ძანებ, მზად ვარ შეგისრულო, თუნდაც
ეს სიცოცხლის ფასად დამიჯღერსო.
შე ვუთხარი, გიბრძანებ თავაზიანად გე-

ქიროს თავი და უნებართვოდ ჩემთან
დალაპარაკებას გიკრძალავ შენჭი. მერე
ამბავი მომიტანეს, დამქუქრებოდა და
კიდევაც წაუტრანახებებოდა... ჩემთვის ყო-
დევ უარესი. დადის და თურმე ჩემზე
ამბობს, მაგ ფეხშიმედ ქმრისაგან არ
იქნებარო. ოპ, თუ დედოფლობა მე-
ღირსა...

— ჩუმად! — წამოიჭრა ფეხზე ბესი-
კი და მიმოიხედა, — ჩუმად იყავ. აქ
ერთი რამ კანონად დაიწესე: გიჯობს
სხვებს უსმინო და შენ ჩუმად იყო.

ამის შემდეგ ისინი დიდის სიფრთხი-
ლით ეპყრობოდნენ ერთმანეთთან შე-
ხვედრებს და მართლაც არავისთვის სა-
ბაბი არ ზიუციათ მათზე ეჭვი აეღოთ.

გაზაფხული საოცრად თბილი დაიჭი-
რა. მარტში უკვე ყვავოდნენ ტყეშლები,
ხოლო აპრილში ნამდვილი სიცხეები
დადგა. ბესიკი ახლა უმეტეს ხანს სასა-
ხლეში იყო, რადგან საქმეები მოულო-
დნელად დაგროვდა. აპრილის დამდეგს
ოდიშიდან დიდებულები ეახლენ სო-
ლომონს და სამეგრელოს მთავრის წე-
რილი მოართვეს. კაცია დადიანი ოთე-
ლიდა მეფეს: ქელაიშებეგ შერვაშიძე
აპირებს ჩემზე გამოლაშქრებას და თუ
ჩემი ქვეშევრდობა არ გაუქმებუ-
ლა, გთხოვ — მომეშველეო.

ვინაიდან სოლომონს ერეკლესთან
ურთიერთობა უკვე მოწესრიგებული
ქმონდა და გარდა ამისა თვით ქართლ-
კახეთის მთავრ უთვლიდა — შერიგებო-
და ცოლიმას კაცია დადიანს, გადა-
წყვიტა დახმარებოდა თავის ურჩ მთა-
ვარს და სალაშქრო სამზადისს მოუღვა.
მაშინვე დაგზავნა შიკრიკები თავისი სა-
მეფოს ყოველ კუთხეში და ლაშქარი
მოიხმო. გურიელთანაც აფრინა კაცი,
შეუთვალა ჯარი შეიკრიბა. ბანძაში მო-
სულიყო და იქ შეერთებოდა შიკა იმე-
რეთის ჯარს. კაცია დადიანის მოციქუ-
ლებს კი დარჩება მისცა. ხმა გაიქვ-
ლებიათ, თითქოს სოლომონი ქობულე-
თისაკენ ამირებდა გალაშქრებას და სა-
მეგრელოს მთავრისათვის ვითომ უარი
შეეთვალა.

ლაშქრის შეკრება მეფემ მაისის პირ-
ველ ქვირისთვის დანიშნა. მდივნები
დიდიდან სალამომდე წერდნენ ბრძანე-
ბებს. სათითაოდ ყოველი თავადისათ-
ვის პირადათ უნდა გაეგზავნათ ასეთი
ბრძანება, რადგან რაკი ერთს მიუყიდო-
და მეფის უსტარი მეორესაც რომ ასეთი

ქალაღი არ მისვლოდა, ფეხსაც არ გადადგამდა გარეთ.

ბესიკმა სამდივნოში მოძებნა იმერეთის თვალთმა საგვარეულო სიები და იმისდამიხედვით კარნახობდა მდივნებს იმ თვალთმა სახელსა და გვარს, ვისთვისაც ბარათი უნდა მიეწერათ. ხანგაბოშობით შემოდრიოდა გოგია აბაშიძე, გამზადებულ ბარათებს დააგროვებდა და მიჰქონდა შეფესთან ბექვდის დასასმელად. შეძღვევ ისევ მოჰქონდა ეს ბარათები უკან და ბესიკი საითათოდ აბარებდა მათ საგანგებო შეკრიკებს.

— გავიგე ახალი ამბავი! — უთხრა გოგია აბაშიძემ ბესიკს, როდესაც საღამოქამს დახვავებული უწყებები დაუბრუნა. — ანას, ბატონიშვილის მეუღლეს, ვაფი შეძენია.

თან გესლიანად ჩაიცინა.

— როდის? — წარბშეკვრით ჰკითხა ბესიკმა. თუმცა გული შეუხტა და ტანში შეაქრყოლა.

— დღეს.

გოგიას კიდევ უნდოდა რალაცა ეთქვა, მაგრამ ბესიკმა ქალაღები ჩამოართვა და მომლოდინე შეკრიკებს მიუბრუნდა:

— ქვიტირისაკენ ვინ მიდის! — იკითხა მან და პირველი ქალაღი ხელში აიღო. — ეს ბარათი როსტომ ნიყარაძეს მიერთვას.

ამ სახელის ხსენებაზე ერთი ხარხარი ატყდა და ბესიკმა გაკვირვებით გადახედა ყველას. განსაკუთრებით გოგია აბაშიძე იჩქებოდა.

— იმისია ეგ ბარათი? რატომ არ ვიცოდი. იმას თუ ბარათი არ გაუგზავნეთ, ისე რავე დამიდგება.

ბესიკს რამდენჯერმე ჰყავდა ნახულები ეს როსტომ ნიყარაძე და პირდაპირ მოხიბლული იყო მისი გარეგნობით. მალაღი, მხარბეჭიანი, მტკაველი უღვაშებით ის ნამდვილ გოლიათ ვაჟკაცს გაკნებდა, სუფრაზე ისე მოხდინით იჯდა, ისეთი სიტყვა-პასუხი და წარმტაცი სიმღერა იცოდა, რომ ბესიკმა გუნებაში ის დავით ორბელიანს შედარა და იფიქრა, იმაზე უფრო დიდი ვაჟკაცი, აღმათ, იმერეთში არ დადისო. ასე ფიქრობდა მაშინ, მაგრამ ახლა ლევონტი ნიყარაძემ ყოველივე უამბო. თურმე ნუ იტყვით, და იმაზე ქალაჩუნა მსოფლიოში აღამიანი არ მოიპოვებოდა. ხრესილის ომში ხლებოდა სოლომონს

და მთელი ბრძოლის განმავლობაში მეფის ამაღის უკან ჩირგვებში იმაღებოდა. იმ ომში, გადაწყვეტილ შემთხვევაში, როდესაც ქართველთა ბედმ უნდადმოქალაქე ღმა დატრიალდა და თურქთა ჯარებში ის-ის იყო თვით სოლომონი მეფეც კი ჩაიგდეს ხელში, ერთი ვიღაც ოკობიელი გლეხი გვარად ბრეგვაძე, საოცრად ბრეგვაძეკაცი და რიხიანი ხმის პატრონი, ასულიყო დიდმუხაზე და აეტეხა ყვირილი:

— გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარი.

ამ ყვირილმა მაშინ საოცარი გავლენა მოახდინა სოლომონის ჯარზე და სრულიად სხეფვარად გადაწყვიტა ომის ბედი. გამხნევებული ქართველები ეკვეთენ თურქებს და ძირფესვიანად ვანადღურეს. ომის დამთავრების შემდეგ სოლომონმა დაიბარა ის გლეხი, რახრის აზნაურობა უწყალობა. მერე უბრძანა ასულიყო ისევ ხეზე და ეყვირა:

— გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო ყოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსალაფი დაესხა მარტო როსტომ ნიყარაძეს!

— მოგვჭრა თავი მთელ ნიყარაძეებს. — დაასრულა ლევონტიმ ამბავი — მაინც, იმხელას ღრიალებდა ის ოჯახამოსამუგავი ბრეგვაძე თურმე, რომ იმისი ხმა ხრესილიდან საწირეში ესმოდათ.

— ნუთუ მეფემ არ შერისხა ასეთი ლაჩრობისათვის?

— შერისხა! რას ამბობ, ისე უყვარს მეფეს ეგ ღეთის პირისაგან შეჩვენებული, თვალში რომ ჩაუვარდეს ხელს არ აწოისევამს. ახლა იქნება გამოიჩინოს ვაჟკაცობა, ვნახოთ ერთი. — სთქვა ლევონტიმ, ბარათი ჩამოართვა ბესიკს, ფეხშიშველა და კანკებდამაშრულ ხელჯოხიანი შეკრიკს ხელი დაუქნია, მომიანჯლოვილი, და ქალაღი გაუწყოლა. — წადი, ბიჭო, მიართვი ეს ქალაღი როსტომს. ხომ იცი სადაც სახლობს?

— იმე, როსტომი რავე არ ვიცი.

— გასწი!

სალამოდღე საქმე მოთავდა და ბესიკი სანამ შინ წამოვიდოდა, ელიზბარ ერისთავის სანახავად გაემართა.

ელიზბარი ქვედა ქუთაისში ცხოვრობდა, საკუთარ სასახლეში, რომელიც ჯაკვის ხიდთან იდგა და რიონს გადაყურებდა. აქ ხშირად თავს იყრიდნენ ერეკლესაგან განდგომილი და ქართლ-კახეთიდან გადმობეჭვილი თავადები, რომელთაც იმედოვანი დაპყრობათ, რომ ოდესმე მიიწი დაიბრუნებდნენ თავიანთ მამულებს. ხშირად თათბირობდნენ, როგორ, ან რა გზით შეერყიათ ერეკლეს მდგომარეობა. დიდი აღმაფრენით მოელოდნენ ისინი სპარსეთიდან ალექსანდრე ბაქარისძის ჩამოსვლას. მარათლია, მიუღო ეს მათი განზრახვა სრულიად ჩაიფულა და ტახტისმაძიებელი ბატონიშვილიც ოსეთში გადაიხვეწა, მაგრამ არც ელიზბარ ერისთავი და არც მისი თანამოაზრენი მიიწი არ კარგავდნენ იმედს და კვლავ ხავს ეპოტიზებოდნენ. ახლა მათ გაეგოთ, რომ ალექსანდრე ბაქარისძე ახალციხეს გადასულიყო და იქიდან აპირებდა თურმე ქართლში შექრას. ეს ამბავი კათოლიკე მისიონერებმა ჯუღიანომ ჩამოიტანა და ელიზბარის თანამემამულენი კვლავ აფორიაქდნენ. ამიტომ, როდესაც ბესიკმა სასახლის ქვის კიბეები აიარა და დარბაზის კარები შეაღო, გაოცებით შედგა, ყველანი აქ მოგროვილიყვნენ. მათ შორის მამამისი ზაქარია, ძმები ოსე და ნიკოლოზი, დაი მელანოც კი იყო. ყველას სასიამოვნო აღელვება ეტყობოდა.

— რა ამბავია? — უნებურად იკითხა ბესიკმა.

— ორი სასიხარულო ამბავია, შვილო, — უპასუხა მასპინძლის ნაცვლად მამამისმა ზაქარიამ, — ერთი ის, რომ დიდი ბატონიშვილი ახალციხეს ჩაბრძანებულა. ვინ იცის იქნებ კიდევ მელირსოს სიონის ზღურბლზე დაჩოქება. მეორე ის, რომ ჩვენს იმედს და ნუგეშს მემკვიდრე ვაჟი მიუბოძა უფალმა.

— ნუთუ ახალციხეს ჩასულა? — გაოცა ბესიკმა და ანას ვაჟის შეძენაზე კი არაფერი არ უთქვამს. — ტყუილუბრალოდ დამაშვრალა ბატონიშვილი. რაი სოლომონი და ერეკლე ბატონი დაზავდნენ, ახალციხის ფაშა ალექსანდრეს ვერ გაუმარათავს ფელს.

— რატომ? — თითქმის ერთსადაიმავე დროს ჰკითხეს ელიზბარმა და ზაქარიამ.

— ახალციხის ფაშამ განა ტყუილუბრალოდ შემოუთვალა სოლომონს, ოღონდ რუსები არ შემოუშვა შენს ქვე-

ყანაში, გიშვილებ და რასაც მთხოვ, აგისრულებო!

— მერე? — ჰკითხა ელიზბარმა.

— მერე ის, რომ სოლომონი დედუბულია ახლა, ზურგი რომ გაიშაროს, ერეკლე არ გააჯავროს. თუ ახალციხის ფაშამ ალექსანდრე ერეკლეს შეუსია, სანამ ჩვენ აქ აფხაზთა მთავრებთან ბრძოლაში ვიქნებით ჩაბმული ერეკლე-იფიქრებს, ეს კვლავ სოლომონის საქმეაო, ქორივით დაგვაცხრება თავზე და...

— ექვ გატყობ სულ გული აიძრუე ალექსანდრე ბატონიშვილზე, — უთხრა ზაქარიამ შვილს, — აქ ხასიათს ნუ გვიფუქებ, სიხარულით არცერთი ფეხზე არა ვდგევიართ. მას ტყუილუბრალოდ იმგზავრე სპარსეთში, თავი კინალამ წააგე იმის გულისათვის, აქ ჩამოიყვანე და პირველმა მარცხმა აგრე ვაგიტეხა გული?

— თავი დაანებეთ იმაზე ფიქრსა, — დაღვრემით სთქვა ბესიკმა, იატაკს ჩააცქერდა და თითქო თავისთავს ელაპარაკებოდა, ისე განაგრძო. — ის უბედური ყოფილა და...

უნდოდა ეთქვა უპეტოცაო, მაგრამ თავი შეიკავა.

—...და ვერასოდეს ვერ ეღირსება ქართლის ტახტს. თუ ბედი გწყალობს, ქვეყნად არაფერიც რომ არ გებადოს, არაფერ არ გყავდეს მშველელი, სულ თითვით იყო უდაბნოსა შიგან, ყველაფერი ერთად გაჩნდება, მიწიდან წყარო ამოხეთქს, ციდან მანანა დაეშვება, და, რა ვიცო, რა არ მოგიგორდება ფეხებთან. მაგ უბედურს თითქოს ყველაფერი უღიშოდა. სპარსეთის ყაენს ჯარი უნდა მიეცა, მეორე დღეს რომ უნდა ებრძანებინა, ლაშქარი მოუშვადეთო, წინაღობით ფეხები გასჭიმა, ფათალიხანი ბარათით უთვლიდა, მოდი და ჯარი ჩემს კისერზე იყოსო, უარით გამოისტუმრა, ბოლოს სოლომონმა ხომ საგანგებოდ დაიბარა, ჩამობრძანდი, დანარჩენი მე ვიციო და... ყველაფერი, ყველაფერი ხელიდან გამოეცალა უბედურსა. თქვენ კი ფიქრობთ, რომ ახალციხის ფაშა უშვილისო. ახალციხის ფაშას რომ რაიმე შეძლებოდა, თითონაც კარგად შეექცეოდა ქადას.

—:—

კვირას, დილიდანვე იწყო ლაშქარმა მოგროვება. მზიანი დღე იდგა, ცაზე აცურებულებიყვნენ თეთრი ღრუბლის

ქლები. მზე საოცრად მცხუნვარე იყო, მხოლოდ ხანგამოშვებით, როდესაც ღრუბელი ჩამოეთარებოდა, საამოდ გრილოდა.

ლაშქარი მოედანზე იყრიდა თავს. ახლად მოსულენი მიდიოდნენ ქვის კვარცხლბეკზე ამართულ რეასვეტიან თალართან და მათი წინამძღოლი თავადი ან აზნაური მორიგე სარდალს უპატაკებდა:

— მეფეს ვახლავართ (ამდენი და ამდენი) ცხენოსანით და ქვეითით.

ან უფრო ხშირად:

— მეფეს ვახლავარ ჩემი (ამდენი და ამდენი) ვაჟით და სიძებით.

და ასახელებდა თავის სახელსა და გვარს. მდივნები იქვე იწერდნენ დავთრებში, თუ რომელი თავადი ან აზნაური მოვიდა და რამდენი კაცი მოიყვანა ცხენოსანი ან ქვეითი.

ყველა, თავადიც, აზნაურიც, და უმეტესად, გლეხობა საოცრად დაქეჩილ დაფლეთილი ტანსაცმელით წამოსულიყო და ისინი უფრო მათხოვრებს გვანდნენ, ვიდრე მებრძოლებს. გლეხებში ბევრს მართლა მეტრი არათფერი გაიზნდათ, თავადებს და აზნაურებს კი განგებ ჩაეცვათ ძველმანები, რადგან სამეგრელო-აფხაზეთის ძეძვებში სულერთია ტანზე მაინც არათფერი შერჩებოდათ მთელი. იარაღიც ძალზე იშვიათად ჰქონდა რომელიმე. თავადებს თითქმის ყველას ამშვენებდა ხმალიც, ხანჯალიც, თოფიც და დამბახაც, მაგრამ აზნაურებში თოფი ან დამბახა იშვიათად ჰქონდა ვინმეს, გლეხებში კი ყველაზე შეიარაღებული ის იყო. ვისაც ხანჯალი ეკიდა, უმეტესობას მარტო წალიდ გაერჩო წელში და ბიორ მათგანს გრძელი ჯოხები გაეთალა შუბისტარებად, ალბათ იმ იმედით, რომ რკინის შუბისთავებს ქუთაისში დაურეგებდნენ. მართლაც ქუთაისელი მკედლები მთელი დღის განმავლობაში უკედლდნენ მათ შუბისთავებს ბერი წულუკიძის ბრძანებით.

სადროშობად ჯარების დაწყობას დიდიდანვე შეუდგნენ. მთელი მოედანი სამ ნაწილად გაჰყვეს, ერთ მხარეზე მემარჯვენე ჯარი უნდა დაეწყათ, მეორეზე მემარცხენე, ხოლო შუაზე მეწინაეე ლაშქარი. ყოველ სადროშოს თავისი სარდალი ჰყავდა და ამ სარდლებს კიდევ თავთავიანთი მიმბაშები და უხ-

ბაშები, სარდლებმა ზეპირად იცოდნენ, ვინ რომელ სადროშოს ეკუთვნოდა და ახლად მოსულებს ამისდაძიებდნენ. მაშინვე ანაწილებდნენ. **სიმღობის დღე**

ბესიკი მთელი დღე თალარში იდგა, სადაც იმის გარდა იყვნენ ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი, ქვეითი ჯარის სარდალი ბერი წულუკიძე, მდივანბეგი დავით კვინიხიძე და სამი თუ ოთხი მდივანი.

მდივანი კვინიხიძე მდივნებს კარნახობდა, თუ რომელ დავთარში რა ჩაეწერა და ბესიკს გზადგზა აცნობდა ახლადმოსულებს.

— ხედავ, ფიცის კაცები მოვიდნენ. აი, ისინი, მაღალმაღალნი და მელოტნი ლორთქიფანიძეები არიან ახალბერი-სეულიდან, ტანდაბალი და გრძელ უღვაწიანები გვარად მესხები, ცხუკუ-რიდან, აგერ კიდევ ავალიანები, გვიშტიანიდან და ოსელიანები ჩუნეშიდან, ისინი წყალტუბოშიაც სახლობენ, მაგათ მამულშია სამკურნალო ტუბო წყალი. აგერ უქნარა ლოლობერიძეები, ჩხუბისთავი მიქაბერიძეები, მაგათთან ლხინში არ გირჩევ ბურის ჰამას, წაგამწარებენ, აგერ ყიფიანები, საუკეთესო შოპლერლები, ხოლო სმამი ქინკულები.

— რაო? — გაიკვირვა ბესიკმა.

— ქინკული არ გაგიგონია? ჰირვეული. აგერ ქორქაშვილებიც მოსულან ოფიჩხეთიდან, მაგათი გვარი დარბაისლობით გამოირჩევა, იაშვილებიც აქ არიან ლხინში პირველნი და რიხიანნი, უგრეხიძეები საოცრად დაგრეხილი უღვაშებით, თავკომბალა გრიგორაშვილები და სვანეთიდან ჩამოსახლებული ქაბუკიანები.

— რად უწოდებენ ფიცის კაცებს?

— ეგენი ყოველწლიურად თხუთმეტ მაისს იკრიბებიან თავიანთი ყმებით, სამღველოებით და ხატებით ერთ დიდ დიდ მუხის ძირას, ლეკრის რომ უწოდებენ გურეშევის ზემოთ, და იქ ფიცდებენ მეფის ერთგული ვიყავითო. ფიცისკაცები ერთ სადროშოს შეადგენდნენ და მაგათი სარდალია აი ის ჰალარა ბერი ლორთქიფანიძე, რომელმაც თავადობა გაიკრა ქუთაისის ციხის აღებისათვის.

შეადლისათვის თითქმის მთელი ლაშქარი შეკრებილი იყო. დაავიანდათ მხოლოდ რაჭველებს, მაგრამ ცნობა მი-

იღეს, რომ დილით მათ უკვე გადმოვე-
ლოთ ნაჭერალას ქედი და, ალბათ, მალე
ისინიც მოვიდოდნენ. მოლაშქრენი ჯგუ-
ფურად ისხდნენ მათთვის მიჩენილ ად-
გილებზე. ზოგი მაღიანად ილუკებოდა,
ზოგი ბანდულებს ან ქალამებს იწყო-
ბდა, ვინ შუბის თავს ამავგრებდა სუფ-
თად გათილილ გრძელ ჯოხებზე, ვინ სა-
გზლით გატენილ გულამი აფათურებდა
ხელს. ალაგალაგ სიმღერა და ცეკვა თა-
მაში გაეჩაღებიათ. მოლაშქრეთა შორის
ბევრი იყო ისეთი, რომელთაც არც საგ-
ზალი ჰქონდათ, არც იარაღი და თითქ-
მის ტანზედაც არ ეცვათ არაფერი, მა-
გრამ სამაგიეროდ აღსაყეს იყვნენ იმე-
დებით, რომ ამ ლაშქრობაში ყველა-
ფერი იშვანდინდნენ.

მთავარანგელოზის ეკლესიის სამრე-
კლოზე ატყდა ზარების რეკვა. ყველანი
ფეხზე წამოდგნენ და მხოლოდ ახლა გა-
მოჩნდა მოედანზე ჯარის სიმრავლე.
გრძელი შუბების ტყე წამოიშართა. ეკ-
ლესიიდან შემოსილი სამღვდლოება
მოვიდა ქუთაისის ეპისკოპოსის მეთაუ-
რობით. ამავე დროს სასახლიდან მეფე
გამობრძანდა თავისი ძმის არჩილის და
დიდებულების თანხლებით. მეფე მიუ-
ახლოვდა ეპისკოპოსს, დიჩოქა და
ლოცვა-კურთხევა მიიღო. შემდეგ თა-
ლარში ავიდა, ხოლო ეპისკოპოსმა
ჯარის ჩამოუარა და ყველას აიაშმა ას-
ხურა. შემდეგ თალართან ცხენი მოაგე-
ლვა მეფის ბაიარატარა საჩინოელმა
ოტია ლორთქიფანიძემ. მას ხელში ეჭი-
რა სამეფო დროშა, ტარზე დახვეული
და თასმებით შერკული. მან დროშის
ტარს თასმებით შეხსნა, სამეფო ალაში
ხელში ტრიალით გაშალა და მალა
აღმართა. მთელი ლაშქარი და თვით მე-
ფეც პირჯვარის წერით მოხლებზე დაე-
შვა. ეპისკოპოსმა დროშა აკურთხა,
მცირე პარაკლისი გადაიხადა და შემ-
დეგ შეიქმნა ჯარების გაძახილ-გამო-
ძახილი:

— გიორგი წულუკიძის რაზმი გაუ-
დგეს გზას. იმას მიყვება ზურაბ მიქე-
ლაძე თავისი ჯარით. მიქელაძეს დაე-
დევნება ქაიხოსრო ჰაქიაშვილი.

— ჰაქიაშვილს კონსტანტინე კობაძე
მიყვებს.

— გეგელაშვილო, მიყევი კობაძეს.

— ჩიკვაიძე არ ჩამორჩე გეგელა-
შვილს და გზაში კატებს არ დაუწყო
დევნა.

დავით კვინიხიძემ ამის გაგონებაზე
გადიხარხარა და ბესიკს მოუბრუნდა.
ბესიკი ამ დროს ჯარისკაცთაგან
აღვიწებდა თვალს.

— ამ ჩიკვაიძეს, იცი რად უთხრეს,
კატებს არ დაუწყო დევნა?

— არა.

— ქუთაისის ციხეს რომ იღებდნენ
ფიცისკაცები, ეს ჩიკვაიძე ხლებია თა-
ვის სიმამრს ავალიანს და ციხის ეზოში
გახურებული ბრძოლის დროს თვალი
მოუკრავს ხეზე გასულ ხატაური ჯიშის
კატისათვის. ამ ჯიშის კატას ჩვენი
ბარგის კატას ვეძახით, ვინახავს ალბათ.

— როგორ არა, გრძელი ბეწვი აქვთ
და დიდი ფუნფულა კუდი.

— დიახ, ასეთი. ჰოდა მიუტოვებია
ამ ჩიკვაიძეს ბრძოლა და ამ სამკედრო-
სასიცოცხლო ორომტრიალში გამოი-
დებია კატას. მეერ შემთხვევით გულზე
შეჯახებია თავის სამველად გაქცეულ
თათარს და ხვეწნა დაუწყია, ეს კატა
დამიპირე და რა გინდა ჩემგან ქორაო.
ის თათარი თურმე გუნებაში ფიქრობ-
და, ვაიმე დავიღუპე, წავაგე თავიო და
გასაქცევად გზებს ეძებდა. ამ სიტყვებ-
ზე გამოფხიზლებულა, ერთი კი წაუ-
სვამს ხელი შერჩენილ ბებუთზე და გა-
დაყვებოდა ჩვენი ჩიკვაიძე კატის ძებ-
ნას, მაგრამ იღბლად რუსის ჯარისკაცი
შემოსწრებია და თათარი ხიშტზე
აუფია...

კარგახანი დაქირდა ქვეით ჯარის
გზაზე დაყენებას. ამასობაში ცხენოსანი
ლაშქარიც დაეწყო და მზე დასავლენ-
თისაკენ იხრებოდა, როდესაც მოედანი
მთლიანად დაცარიელდა. ყველაზე ბო-
ლოს მეფე გაემგზავრა თავის პირადი
ამალით. ამ ამალაში უმთავრესად სასა-
ხლის მსახური დიდებულები და სა-
ხელმწიფო სამდივნოს მოხელეები შე-
დიოდნენ. მათ შორის იყო ბესიკიც.

მეფე ოლაკურას არ იყო გაცილე-
ბული, რომ გზაში სასახლის ფარეში
დაეწია და მოახსენა, რუსეთიდან ელ-
ჩები მომბრძანდნენ და არ ვიცით რო-
გორ მოვიქცეთ, ჩვენ ვერაფერი გავა-
გებინეთ და რუსულის მცოდნე სასახ-
ლეში არავინ იყოო.

— რუსეთიდან ელჩებიო!—გაოცდა
სოლომონი და დავით კვინიხიძეს გა-
ხედა. — ეს რალაც ან ძალიან კარგი
ამბიჯია ან ნამეტანი ცუდი, გზიდან
მომბრუნება არ ვარგა, ცუდად მაქვს

დაცილი, წაბრძანდი და მომგვარე. ჩვენ ნელა წავალთ და გუბის წყალთან დავგლოდებით.

დავით კენიხიძემ ბესიკს უთხრა, ერთად წავიდეთო, და ორივენი უკან გამობრუნდნენ.

— ნეტავ რა ამბავია? — ეკითხებოდა დავითი ბესიკს. — იქნებ მოგვხედოს ღმერთმა და რუსეთს კვლავ გავახსენდით.

— ალბათ იმპერატრიცას დავეკირდით თურქების წინააღმდეგ. თორემ ჩვენი გულისთვის დედოფალი თავს არ აიტკიებს.

— შენ აგრე ფიქრობ?

— უფრო კი მგონია, რომ აქ თავისი აღარავინ ყავდათ და სასახლის კარზე ჯამუში მოგვიგზავნეს, ისე როგორც თბილისში. იქ ერთი რეინგესი იყო მეფის კარის ექიმი.

— ვიცი, აქაც ყოფილა წინათ.

— ერეკლე რომ ახალციხეს ლაშქრობდა, მაშინ გაჰყვა როტლებენს. ახლა გავიგე, კვლავ დაბრუნებია ერეკლეს და იქ ტრიალებს თურმე. კნიაზ პოტიომკინს გამოუგზავნია თბილისში თავის ელჩად.

— ახლა უკვე ვიცი, ვინ იქნება ჩვენთან. შენ მართალი ხარ, რუსებმა ექიმი თუ გამოგვიგზავნეს. სოლომონმა რამდენჯერმე მისწერა ბარათი იმპერატრიცას, ექიმს თხოვდა, გამომიგზავნეო. მაგ უბედურს როდის მოუვლის ხოლმე ბნელად არ იცის და გარდა ამისა ბუსილი აწუხებს. ექიმი მუდამ უნდა ჰყავდეს გვერდით. ის იქნება.

მართლაც, როდესაც ორთავიანი სასახლეში მოვიდნენ, მათ წინაშე წარსდგა შუა ტანის ქერათმიანი კაცი, რუსული სერთუკით და სამკლთხა ქუდი.

— ნიკოლა ფონ ვიტენბურგი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სასახლის ლეკარი, — გააცნო მან თავი დავითს და ბესიკს. — წარმოგზავნილი ვარ სოლომონ მეფის კარზე იმპერატრიცის ბრძანებით.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო. — უთხრა დავითმა. — გზაზე დაიღლებოთო, მაგრამ იძულებული ვარ კვლავ შეგაწყობოთ და გთხოვოთ წამობრძანდეთ ჩვენთან ერთად. მეფე მოუთმენლად მოვლოთ. ჩვენ მას მალე დავეწყეთ.

— რა გავიწყობა. — ამოიხურით უთხრა ახალმა სტოპარმა დავითს, — თუმცა უნდა მოგახსენოთ, ისე ვარ დაღ-

ლილი, რომ ცხენზე თუ არ შემსვენს, შეჯდომა აღარც შემიძლია. ზუმრობა ხომ არ არის, ანოდენა გზის განოკლა.

ვიტენბურგს ათაბღე მსახური ახლდა, რომელიც დავითმა ეზოს მომღვარს ჩააბარა, მიხედოთ და უპატრონეთო. შემდეგ სამივენი შესხდნენ ცხენებზე და ქვიტირის შარას დაადგნენ.

სალამოედებოდა, როდესაც ისინი მეფის ამაღას დაეწიენ და დავითმა წარუდგინა სოლომონს იმპერატრიცის გამოგზავნილი ექიმი.

ბანძაში სოლომონს გურიის მთავარი დაუხვდა თავისი ჯარით. გურიელს სულ ორიათასი კაცი თუ ახლდა და იმისი ლაშქარი ბევრად არ განირჩეოდა სოლომონის ლაშქრისაგან არც ჩაცმულობით არც შეიარაღებით. მარტო თავადებს ამშვენებდა ლამაზად შეკერილი ჩაქურები და ყოველ მათგანს მოსირმული ყაბალახებით კობტად გაეკრა თავი, თორემ დანარჩენებს, აზნაურსაც და გლეხსაც, თითქმის ერთნაირად ღარიბულად ეცვათ. ეგ იყო, რომ აზნაურებს ფეხზე წულეები ან ქალამნები ჰქონდათ, მაშინ, როდესაც გლეხები თითქმის ყველანი ფეხშიშვლები იყვნენ. გურულები შეიარაღებულნი იყვნენ უკეთესად. ბევრ მათგანს ძალზე ლამაზი, სადაფით მოჭრილი თურქული თოფი გადაეკიდა მხარზე და ხაანჯარში, ზედ ჰიბთან, მძიმე და უშნო დამბაჩა ჩაეჩხირა.

სოლომონმა გურიელის თანხლებით თავისი თეთრი ცხენით ჩამოჟარა გურულების რაზმებს, მთავარს მოუწონა მათი შეიარაღება და შეპირვილობა და შემდეგ ბრძანა, რომ გზას ვადგომოდნენ. გურიელის რჩევით სოლომონმა მოკლე გზით წასვლა ირჩია. ნოქალაქვიდან მან მოაჯორებზე გადაატარა ჯარი, და ლესიჭინეზე გავლით პირდაპირ ჩაეიდა ზუგდიდს.

სოლომონს სურდა ზალავით სტუმრებოდა დადიანს, მოულოდნელად წადგომოდა თავი და ზუმრობით დაიკოქსა მისი მასპინძლობა, მაგრამ საოცარი იყო, როგორ ასწრებდა სოლომონს წინ ცნობა მისი ჯარის ნობრაობის შესახებ. ის ჯერ კიდევ ლესიჭინედან არ იყო გასული, რომ ზუგდიდში უკვე ჩაფრინდა ამბავი, მეფე მობრძანებდა უთვალივი ჯარითო. კაცი მაშინვე წამოიპარა და ათასი კაცის თანხლებით გზაში შე-

ეგება მეფეს. მან თავში ერთის ზუზუნის ცემით და ვაივივით მოუსამძიმრა სოლომონს ერთადერთი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება და თანაც ბოდიში მოხადა, რომ დასაფლავებას ვერ დაესწრო.

— ჩემს საშველად კი არა, დასასჯელად უნდა მობრძანებულეყავი, მომეჭრა თავი, საკუთარი დისწულის დაკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ ბოროტი და ღვარძლიანი ხალხის ბრალია ყველაფერი, ერთმანეთის სისხლი და ხორცი გადაგვიკიდეს, არაფერში დამზოგო, არაფერი მაპატიო. — იძახოდა ზოხუცი კაცია და სოლომონის მხარზე ცხარე ცრემლს ღვრიდა.

რამდენიმე საათი დაჰირდა დიდებულითა ერთმანეთის მისაღმებას და მოკითხვას. სამეგრელოს და გურიის თავადები სათითაოდ მიდიოდნენ მეფესთან, მხარზე ჰკოცნიდნენ, მერე არჩილ ბატონიშვილს და მის თორმეტი წლის ვაჟს დავითს მდამლად უკრავდნენ თავს და ბოლოს დანარჩენ დიდებულებს ესალმებოდნენ. კაცია დადიანი სათითაოდ ესალმებოდა იმერეთის დიდებულებს და უმეტესობას დაწვრილებით ეკითხებოდა მის ავკარგს. როდესაც ბესიკი წარუღვინეს, კაცია აღფრთოვანებით გადაღებოდა მას და ქებადიდობით თავბრუ დაახვია:

— რაც მე შინზე აზნებო მსმენია, ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ, საკუთარის თვალით რომ გიხილე. ამბობენ მთქმელი ყოფილხარ ლექსითა და ბრძენი ოქროპირი.

მარტო ბესიკს არ შეგებებია დადიანი ასე აღტაცებით. ის მელიასავით ელაჭუცებოდა მეფესთან დაახლოებულ დიდებულებს და თითქმის არც ერთი არ დაუტოვებია ისე, რომ საჩუქარი არ მცირებოდა, თვით მეფის კარის მასხარას ტაბიკასაც კი დიდის ამბით მიეგება და საჩუქრად ისეთი ახმაზი ცხენი უწყალობა, მთელი ლაშქარი ამ ცხენს შეეჭროდა. ნამდვილი აქლემის სიმაღლე იყო და ყოველი კაცი სიცილით იჭაქებოდა ამსიმაღლე ცხენზე ეს თითისსიგრძე ადამიანი როგორ შეუღებოდა.

დადიანი განსაკუთრებით ეგებოდა ფეხქვეშ სოლომონის დიდებულებს, რადგან ეშინოდა, იმერეთის მეფე რაი თუ შერიგებოდა ქვლამებზე შარვაშიძეს. დადიანის კაცები თაიისუფლად შედიოდნენ აფხაზების ბანაკში და იქი-

დან ყოველი ამბავი გამოჰქონდათ. იმათგან იცოდა კაცია, რომ აფხაზეთის მთაერებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუკი დადიანს სოლომონი მიეშველებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მორიგებოდენ იმერეთის მეფეს, და თუ გაჰირდებოდა, კიდევაც ელიარებინათ მისი ძალაუფლება. რატომღაც აფხაზთა შორის ხმა გაერეულბულიყო, სოლომონს ისეთი თვალი აქვს, ვისაც არ უნდა შეხედოს, ქველი წააქვივს და მხედარს ცხენიდან ჩამოაგდებსო. ამ ხმებს ისე დაეშინებია ცრუმორწმუნე აფხაზები, რომ ყოველი მათგანი ერთსა და იმავეს იმეორებდა თურმე, თუ სოლომონი მოვიდა, ჩვენი საქმე ცუდად იქნებაო. ყოველივე ეს, საექვოდ ზდიდა აფხაზთა გამარჯვებას, თუმცა მათი ჯარის საერთო რიცხვი თორმეტი ათასს აღემატებოდა და შეიარაღებულნიც უკეთ იყვნენ. ზარბაზნების გარდა მათ ასიოდე ჯაზირი ჰქონდათ და გარდა ამისა, იმ მეთორებს, რომელთაც თოფი არ გააჩნდათ, ამის ნაცვლად ძველებური შვილდისრები გაეყვით და ეს იარაღი უფრო საიმედოდაც მიაჩნდათ. ახლო მანძილიდან თოფი სრულიად უვარგისი იყო, რადგან ლულიდან მათ გატენას და ჩახმახზე ფალიის დაყრას დიდი დრო ჰირდებოდა, ხოლო კაპარჭიდან ისრის ამოღება და შვილდის მოზიდვა თვალის დახამამებამში შეიძლებოდა. ისრებიც ყველას უმეტესად ან რკინის ჰქონდა, ან კიდევ ხისა ფოლადის წვეროებით და ისე წამახვილებული, რომ თუ ადამიანს აბჯარი არ ფარავდა, ასეთი ისარი მკერდზე დაცემული ზურგში გაყოფდა თავს.

შარვაშიძეებს ცხადია, იმედი ჰქონდათ, რომ სოლომონი არ მოეშველებოდა დადიანს და მაშინ ისინი ათიოდე გაუსწორდებოდნენ თავის მოწინააღმდეგე მთავარს, მაგრამ ხმებმა მათ ყურამდეც მიაღწია და აფხაზეთის მკყრობელნი ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ, თხიხივენი მაშინვე შეიკრიბნენ და წინასწარ გამართეს თათბირი, როგორ მოქცეულიყვნენ, თუ სოლომონი მართლა მოეშველებოდა კაციას. განებოვრებული და მულამ ტახტზე გორებას შეჩვეული ქვლამებზე შერიგების ამისხრე იყო. მართალია მას ეტყობოდა, რომ თვის მადლობას არ ეტყოდნენ, მაგრამ დამარცხების შემთხვევაშიაც დიდად

არ მოეფერებოდნენ. შერიგების მომხრენი იყვნენ აგრეთვე ზურაბიცი და ლევანიცი, მხოლოდ წინასწარ იმ პირობით, თუ დღიანი საბოლოოდ აიღებდა ხელს სამუდამაყნობზე. მარტო უბადლო ვაჟაკობით განთქმული ბეჭირბევი მოითხოვდა, რომ რაკი ხმალი ამოღებული იყო, ის უსისხლოდ ქარქაშში აღარ ჩაეგვით.

ყოველივე ეს კაცობა გაგებული ჰქონდა. მას შერიგების იმიტომ ეშინოდა, რომ საბოლოოდ დაკარგავდა აქამდე მოპოებულ ძალაუფლებას და იმერთა მეფე მიალწევიდა იმას, რისთვისაც დღემდე ვერ მიეღწეა; ურჩობის შემთხვევაში ეს მრისხანე მეფე, სამეგრელოს მთავარს წიწილივით მოუგრებდა კისერს.

კაცობა დიდის ამბით თხოვა მეფეს სანადიმოდ წვევოდა, მაგრამ სოლომონმა ღიმილით უთხრა, მინდოდა მაღლულად გსტუმრებოდი, მაგრამ ვინაიდან ხუმრობა წამიხდა, ნადიმი ომის შემდეგ გაგმართოთ წესისამებრო, და მაშინვე ბრძანა, გზას გადგომოდნენ. ზუგდიდიდან რუხის ციხემდე არც თუ ისე დიდი მანძილია და დაბინდებისას იმერთა ლაშქარი მეგრელთა ჯარების გვერდით დაბანაკდა. აფხაზთა ჯარები უკვე მოდგომოდნენ ინგურს, გადმოელახათ მისი მთავარი ტოტი და დაბანაკებულიყვნენ იმ ვრცელსა და თვალუწვდინებელ მინდორზე, რომელიც ვაკეში მრავალ ტოტებად გაბნეულ ინგურის ერთ-ერთ კუნძულს წარმოადგენდა.

სოლომონმა დაათვალიერა ინგურის პირად ადრევე დაბანაკებული დადიანის ჯარი. მეგრელები ჯგუფჯგუფად ისხდნენ და უდარდელად ღიჟინებდნენ, როდესაც დაინახეს მეფე მობრძანდებო, ყველანი ცქვიტად წამოხტნენ და მეფეს თავდახრით ესალმებოდნენ. ესენიც ასევე ღარიბულად იყვნენ ჩაცმული. ყოველ მათგანს ტანს უფარავდა ტომარასავით უშნოდ შეკერილი გრძელი ხალათი, რომელიც კაბას უფრო წაგავდა და მათ მოხლამდე წვდებოდა. ბევრს თურმე შარვალი სრულიად არ ეცვა და მის მაგივრობას სწევდა მაღალი პაკიჭები. მეგრელებიც ფეხშიშორებით იყვნენ ზოგიერთის ვარდა, მაგრამ მთელ ჯარში არ იყო არც ერთი, რომელსაც აბრეშუმის ან ხამის ბაშლაყი არ ჰქონოდა მხარზე გადადებულ-

ლი. სოლომონმა იცოდა, რომ აფხაზებიც ამგვარადვე იყვნენ ჩაცმული და ასევე ატარებდნენ ყაბალახებს, მაგრამ ბრძანა, რათა მეგრელებს ყაბალახები მხარდლოვ შეეკრათ და ისე ეტარებინათ, რომ ბრძოლის დროს გურულებს და იმერლებს ადვილად გაერჩიათ ისინი მტრის შეომრებისაგან.

შემდეგ სოლომონმა ბრძანა, ჯარები სდრომოების მიხედვით შორი-შორის დაებანაკებინათ და, რაც შეიძლება მეტი კოცონები დაენთოთ, რომ მათი სიმრავლით თავზარი დაეცათ მოწინააღმდეგისათვის.

აფხაზებიც, ეტყობოდა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ და იმათაც უამრავი კოცონი გააჩაღეს და თანაც თავდამეკებინათ გაკოცოდნენ „ვაი-და ვარიას“. მაგრამ ეს მათი მზიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. სოლომონის ბანაკს განუწყვეტლად ემატებოდა და ემატებოდა კოცონები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და გარს ეტრქმოდა აფხაზთა ბანაკს. ამათაც თანდათანობით უკვლეს სიმღერას. მაღვ სრულიად მიჩუმდნენ და მდუმარედ გასცქეროდნენ სიბნელეში აციმციმებულ უთვალავ კოცონებს.

კაცობა დადიანმა მანაც არ დაიშალა და აბიბინებულ მინდორზე მეფეს უხვი სუფრა გაუშალა. კარგა მოშორებით, სამ ადგილას აბრიალებული იყო კოცონი, რომელთა სინათლე დღესავით ანათებდა. მეფეს გვერდით უსხდნენ სამეგრელოს წარჩინებული თავადები: ჩიქვანები, ფლავები, საბახტარაშვილები და კიდევ მრავალი სხვა, ხოლო დადიანთან ახლო ისხდნენ გურიანი-იმერეთის წარჩინებულნი. მსახურები წალმანუკუმს გარბი-გამორბოდნენ და წამდაუწყვეტ მოჰქონდათ შემწვარი ცხერები, მონარშული ძროხის ხორცი, ჩახრაკული ჯიჯარი ან შამფურებზე ასხმული სუკის მწვადები. მეწოდები ღოჭებით დაატარებდნენ ოჯალუმს და რიგრიგობით უვსებდნენ მესუფრებს მობრდილ ყანწებს. პურის ნაცვლად სტუმრებს, ნიგაზის ფოთოლზე დადიბული ღომის გუნდები ჩამოურიგეს. მარტო მეფეს მთავრად ერთი პური, რომელიც მან სიცვლით თავის სიძეს ელიზბარ ერისთავს და ბესიას გაუგზავნა, იმით მიართვით, რადგან ღომის ჰამა არ იციანო.

მასპინძელს სურდა ნადიმი დიობანს გაგრძელებულიყო, მაგრამ სოლომონმა

ადრინად აშალა სუფრა და თავის კარავში გაემართა.

მთელი ბანაკი ძილში გაეხვია. მარტო გუშაგები ფხიზლობდნენ და თვალს არ ამორებდნენ მოწინააღმდეგის მხარეს.

ღამით კაცია დადიანმა მზვერავეები გაუშვა აფხაზების ბანაკში. მას სურდა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე სოლომონის ჯარების მოსვლამ, ან რას ამირებდნენ შერვაშიძეები.

მზვერავეები ცისკრის ამოსვლის უამს დაბრუნდნენ და თავის ბატონს ყოველივე აცნობეს. შერვაშიძეებს, როგორც კი გაეგოთ იმერთა მეფის მოსვლა, თავზარი დაცემოდათ და მართლა გადაეწყვიტათ მოლაპარაკება გაემართათ სოლომონთან.

კაციამ წარბეჭერით მოისმინა ეს ამბავი, მაშინვე შეკრიბა თავისი თავადები და გულშემოყრილი ხან ერთს ეკითხებოდა ხან მეორეს:

— რა ექნა, მირჩიეთ? ამაზე უფრო ხელსაყრელი დრო მე არასოდეს არ დამიღდება. თუ ახლა შერვაშიძეებს არ გავუწუროდით, მერე რა იცი, რა მოხდება.

— რას ვუცდით შერიგებას! გათენდება და დაეწყობა ჩვენ. მერე რაღას იზამს მეფე! — ურჩია სახლთუხუცესმა.

— აჰ, ეგ შეუძლებელია. მეფე აქ ბრძანდება და მე რომ ვაგებდოდ და წინ გადავუწურო, სულ აიღებს ხელს ჩემზე.

— კი, მაგრამ რა ვიცით, რომ მორიგდებიან? — ჰკითხა კაციას მისმა ძმამ სარდალმა გიორგიმ.

— მაგას რაღა კითხვა უნდა. ზაგენს მორიგება ურჩევინია. მაშინ შე გამთოკავენ, არ იცი შენ. ერთს დაუქნევს ხელს სოლომონი შერვაშიძეებს და თუ მოინდომებს, წიწილივით გამგლოჯინ შუაზე. ეს ჩემი სიძე ბატონი რუსებს ვერც არაფერს არ ეხვეწებოდა, დადიანი დადიმორჩილყო. ახლა ვითამ ჩემს საშუალებად გამოიქცა და ნამდვილად ზურგიდან უნდა ხელები გამოკრას. მაგაზე ნაკლები მეფე შევარცხვინე, მაგლები აქვს ჩემდენი თუ ქონება. რაჰის ერისთავს თვალები დათხარა, რაც ჰქონდა ყოველივე წართვა და იმითი მოაქვს თავი. მე ვერ მომერია, თორემ უარეს დღოს დამაყრიდა. — კაციამ ჩემოხება და შემდეგ თავის პირისფა-

რემს უბრძანა: — წადი, ჩემი ძიძიშვილი კიწი ეშაბია მომგვარე აქ.

მერე თავადებს მიუბრუნდა. — თქვენ წაბრძანდით და მოისვენეთ. ყველანი წავიდნენ, კარავში კი შეეწყვირა და თავლებბრიალა ეშაბია შევიდა და ჩაფერვლილ ცეცხლთან ჩაჯდა.

— გალმა ვახელ, — უთხრა ჩურჩულით კაციამ თავის ერთგულ ძიძიშვილს, რომელიც მისთვის ცეცხლში გადავარდებოდა. — აი ეს ქისა წაიღე, შიგ ათი ოქროა, მოძებნე ლევანი, შერვაშიძის მეზარბაზნე, შენი მამიდის ქმარი. ხვალ თუ იმათ მოსარიგებლად კაცთ გამოგზავნონ, ეს ფული აჩუკი იმ მეზარბაზნეს და უთხარი, ნიშანში ამოიღოს მეფის კარავი, როგორც კი იმათი შუამავალი კაცი სოლომონ მეფის კარავიდან გამოვა, მაშინვე ესროლოს ზარბაზანი...

— ვის, მეფეს? ოჰ! — აღმოხდა გაცეცხისგან ეშაბიას.

— გაჩუმდი! — ისე შეუწყრა კაცია, რომ ეს სიტყვა უხმოვნოდ წარმოთქვა და ისიც სამი თანხმოვანით, ისე რომ გაჩუმდის ნაცვლად ვანისა: გჩდ! — იძახე ახლა ოჰ და ვაჰ! მეფის კარავს ხომ იცნობ რომელია?

— როგორ არა. ვნახე მე თითონ. ზედ ფერადი ბაირალი რო ფრიალებს.

— გორაკზე რომ დგას.

— იცი. არ შემეშლება.

— ჰოდა, თუ იცი, რუხის ციხის კოშკზე მიყოლება კაცი, სამეფო კარავი რომ ნიშანში ამოიღოს, მერე თქვენ რუხის ციხეს უოორით. იქითან ყაბალახით რომ განიშენებენ, მაშინ ბუთეთ.

— მიფეს რომ მოხვდეს?

— შენ რას კითხულობ, ვის მოხვდება. იქიდან მეფეს კი არა, კარავსაც თუ გაარტყა, ისიც კარგი ბიჭობაა.

— აუიჰ ის იმისთანა მსროლელია, ბუზს არ ააცდენს.

— ბუზს კი არა კოლოს. წადი, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

ეშაბია მოჩვენებასავით გაქრა ბნელში, კაციამ კი უბრძანა მსახურებს, ნაბადი გაიშალათ მისთვის და დასაძინებლად მიწვა.

დილით, გაიღვიძეს თუ არა, მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან უცნაური გაბმული ყვირილი მოესმათ. მოლეები სალოცავად მოუწოდებდნენ ჯიქებს,

ალანებს, მაჰმადიან აფხაზებს. მეგრულ-
თა სარდალი გიორგი დადიანი მაშინვე
მიიჭრა მასთან და ფუსფუსით უთხრა:

— თუ გამარჯვება გვინდა, ახლა
უნდა დავესხათ თავს. ისინი სალოცა-
ვად რომ დაიჩოქებენ, მორჩა, სუყველა
უსისხლოდ ჩაგვივარდება ხელში.

— სანამ მეფე არ დაძრავს ჯარებს,
ჩვენი მტერთან შეგმა არ შეიძლება. —
უპასუხა კაცია. — ჯერ ერთი, რა სა-
აღრისია, ისინი ლოცულობენ და ჩვენ
თავზე დავესხათ თავს, მეგრე, ჩვენ რომ
აფხაზებს ვერაკოთ, მე რა ვიცი, სო-
ლომონი იქნება სულაც არ ჩაერიოს
ომში და სერიი გვიყუროს. ყოველ ფე-
ხის ნაბიჯზე სიფრთხილეა საჭირო. რა
იც, იქნება საიდუმლოდ მორიგებუ-
ლიცაა შერვაშიძეებთან. თქვენ მაგას
ურტყით და მე სერის გვიყურობთო.

— ძალზე ეკვიანობ, არც მაგრე
ვარგა, — უსაყვედურა მძას გიორგიმ, —
წავიდეთ ვეახლოთ, ვეთათბიროთ.

— თითოეული უნდა დავკვიბაროს. მე რა-
ზე უნდა მივხებტა?

მართლაც ძალე კაციას ეახლა მეფის
ქეშიკი და მოახსენა, მეფე გთხოვთ სა-
ათბიროდო.

კაციამ მაშინვე მოიხმო თავისი დი-
დებულები, მათთან და თავის მძასთან
ერთად გაემართა მეფის კარავისაკენ.
ჯარი უკვე აშლილიყო და მეგრული
გლეხები მოწიწებით ესალმებოდნენ
თავის მთავარს.

სამეგრელოს დიდებულები სოლო-
მონის კარავს დაუახლოვდნენ, სწორედ
ამ დროს გაისმა ძახლი ენგურის მხრი-
დან და, როდესაც მოიხედა, სამი კაცი
დაინახეს. ერთი მთვანე ჯირკჭე შე-
მდგარიყო, ყაბალახს აფრიალებდა და
ქართულად ყვიროდა: „არ მესროლოთ,
შუაკაცი ვარ, არ მესროლოთ, შუაკაცი
ვარ“.

კაცია შეკრთა და ფეთიანივით აწ-
რიალდა.

— შეხედე! აკი ვთქვი!
სოლომონის სადგომიდან რამდენიმე
მხედარი ჩაეგება შუაკაცად წარმო-
გზავნილ უჩარდიას და მეფის კარავისა-
კენ წამოუძღვა. უჩარდიას ორი მხლე-
ბელი ცხენებთან დარჩა.

კაციამ ანიშნა მხლებლებს და აჩქა-
რებული ნაბიჯით გაემართა მეფის კა-
რავისაკენ.

აქ უკვე მოგროვილიყვნენ იმერთა
ჯარის მთელი სარდლობა და აქვე იყო
კურის მთავარიც.

კაცია მიესალმა დიდებულებს და მა-
ჰუხა წერეთელს ჰკითხა:

— მეფეს უნებებია ჩვენთან უკითხ-
ბირი?

— ასე სურდა, მაგრამ შერვაშიძეებ-
მა თავისი კაცი წარმოგზავნეს, გვარად
უჩარდია, და ვინაიდან მან თხოვა მე-
ფის, ნაბრძანები მაქვს მარტო თქვენ
მოგახსენოთ ყოველივე, ამისთვის ხუ-
რავის დაისწრებთ ჩვენი საუბრის
დროსო.

— იქნება მშვიდობით გათავდეს ყო-
ველივე, — შიამიტილ ინატრა კაციამ. —
მაგრამ მარტო როგორ შეუძლებთ მე-
ფისთან, რაიმე ვერაგობა არ ჩაიდი-
ნოს?

— არა, მაგისი ნუ გედარდებთ. ია-
რალი არაფერი აქვს, გავჩხრიკეთ. გარ-
და ამისა არჩილიც იქ ბრძანდება.

— ხომ არ გვატყუებენ რამეს? —
ისევე იკითხა კაციამ. — იქნება დრო
უნდათ მოიგონ?

— ნამდვილად გვატყუებენ. თორემ
მაგათ შერიგება როგორ უნდათ, —
დაემოწმა გიორგი თავის მძას. — საი-
დან არ მოუყვანიათ ჯარი. ჯიკები,
ალანები, ყირიმელი თათრები, კემურ-
გელნი, ყიფნალები, საკუთრად აფხაზე-
ბი ხომ ყავთ და ყავთ. მაგას ვინ დაი-
ჯერებს, რომ მაგენი უომრად დადგე-
ბიან.

— ტყუილად კარგავს დროს მე-
ფე, — ახმაურდნენ მეგრული თავადები.
ისინი სათითაოდ მიმართავდნენ სოლო-
მონის დიდებულებს და ისეთი ყაყა-
ნი ატყდა სამეფო კარავის გარშემო,
სახლთუხუცესი იძულებული გახდა
ყველანი გაეჩუმებია. ახლა ჩორჩოლით
დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ნელნელა
ისევე აუწიეს ხმას და კვლავ აყაყა-
დნენ. სახლთუხუცესმა ისევე გააჩუმა
ყველანი.

—:—

მაღალი და ოდნავ ბიჭებში წახრილი
უჩარდია თავდახრით წარსდგა სოლო-
მონის წინაშე. არჩილ ბატონიშვილი
გვერდით უჯდა მეფის და ამან ცოტა
არ იყოს დადბნია აფხაზთა მოციქული.
მან არ იცოდა მათ შორის რომელი იყო
მეფე და ამიტომ ისეთი მდგომარეობა
დაიჭირა, რომ ვერ გაარჩევდი, პირვე-
ლად რომელს ესალმებოდა.

— სალამი და დიდება იმერთა მეფეს
ჩემის მბრძანებლის ქელაიშებგ შერვა-
შიძისაკენ.

— დღევანდელი იყვნენ ჩემი სამეფოს მშენებანნი მთავარნი აფხაზეთისა, — უნასუხა სოლომონმა.

ახლა უკვე იცოდა უჩარდიამ, მათ შორის რომელი იყო მეფე, გულზე ხელეობი ჯვარედინად მიიღო, თავი უფრო დაბლა დახარა და მოახსენა:

— მოციქულად ვარ გამოგზავნილი შენთან, დილო მეფევ.

— შენ რა გვარი ხარ?

— უჩარდია გახლავარ, მეფევ.

— ქრისტიანი ხარ, თუ შენც გამაჰმადიანდი შენი ბატონივით.

— აჰ, რავა გეკადრებათ, ქრისტიანი ვარ, ბატონო, ილარის წმინდა გიორგის ხატს გეფიცებით, — და უჩარდიამ პირჯვარი გამოისახა.

— კიდევ კარგი, თორემ ამ დილით თქვენთან მოღებმა რომ დაიწყეს კივილი, გულს შემომეყარა.

— ის, დილო მეფევ, ჯიქებსა და აღანებს უძახდა, ჩვენთანაც არიან, მაგრამ ცოტა.

— აბა გვითხარი, რაზე მოსულხარ?

— მეფევ დიდებულო, ჩვენმა მთავრებმა რომ თქვენი მობრძანება შეიტყვეს, ნამეტანი შეწუხდნენ, სოლომონ მეფესთან ჩვენ რა გვაქვს სამტროო. ამისთვის გამოგზავნეს მომხსენებია თქვენთვის.

— მეც ავარე ვფიქრობ. ჩვენ სამტრო რა გვაქვს. ერთმანეთში ტყილი სიტყვით უნდა მოვრიგდეთ და მშვიდობიანად ვიყოთ. მტერი ჩვენ გარეშეც გვეყოფა.

— ჩემი ბატონები მოგახსენებენ, კაციას ბრალა ყველაფერი, იმან ავგზაოლა, მისვენებას არ გვაძლევს, ჯოგები არ დაგვიყენა, ხალხს გვიწიოკებს, იცის, რომ თქვენი მორჩილების მსურველები ვართ. ხუტუნია შერვაშიძის თავდადება არც ჩვენ დაგვიფიქვებია არც მის შეილებს — ლევანს და ზურაბს. ახლა ორივე გითვლის და გვედრება, როგორც საკუთარ მამას, კაციას ნუ დავჯავნებ თავზე, უკან ვაბრუნე და, ჩვენი თავი როგორც გენებოს, ისე იმსახურეო. დადიანი ავგიტყდა, იძახის, საზურმაყანო ჩვენიაო, ღმერთო, კი მომკალი, საიდანაა მაგისი, ამ ქვეყანას საზურმაყანო თავიდანვე მურმაყან შერვაშიძის სახელი შერქმევია და ეს გადადიანებული, ნაცირიდან გამომქრალი ჩიქვანი რას გადაგვიქიდა, გვედრებით, მოგვაშორეო. თუ მაგის პირობას მო-

გვეცემ, ახლავე ავიყრებით, წივართ, ჯარებს დავიტხოვთ და თითონ ჩვენ თავყანისცემით გეახლებდით, — უჩარდიამ ხმას დაუწვია; — თუ ჩვენს უსისხლოდ მოვრიგდებით, მეფევ, დადიანი ხელში გეყოლება, შენი და ჩვენი შიშით უბატონოდ ხმასაც ვერ ამოიღებ. კაციას ახლა ყველაზე უფრო ჩვენი მორიგების ეშინია. თუ ვნებავს, დაიბარე და იმასთან ვილაპარაკეთ. ქვას ისვრის და თავს შეუშერს.

— სხვა რა გვინდოთ, პირობა არ უთქვამთ?

— სხვა რა უნდა გვინდოდეს, თქვენი ჯანმრთელობის მეტი. ჩვენ თუ რამე გვინდა სხვა, დადიანს მოვთხოვთ, მაგასთან სხვა ანგარიშები გვაქვს. ომით კი არ ვეომებით, ისე მოვრიგდებით შენის დახმარებით, დილო მეფევ. ამაზე მეტი რაღა მოგახსენო?

— კარგი, მე თანახმა ვარ, მოვრიგდეთ, მხოლოდ ჩემი პირობები კარგად მოისმინე და ისე მოახსენე. არა არს რა ქვეყნად ჩემთვის მიზანი უფრო დიდია გარდა იმისა, რომ აღუადგინო ძლიერება და დიდება ჩვენი ქვეყნისა. შერვაშიძეთა მორჩილება მე ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის მსურს და არა ქონებისა და სიმდიდრის მოხვეჭისათვის. მე მინდა ბოლო მოეულო ჩვენს ქვეყანაში თურქთა მძალავრობას, აღეკვეთო თარეში მათი, რათა ქვეყანამ შვეებით მოითქვას სული. მე არაფერს არ მოვიტხოვ შერვაშიძეთა საბატონოდან, არც ხარკს, არც მიძველებს, არც ბეგარას, მხოლოდ ერთსა ვთხოვ, აღიარონ მორჩილება ჩემი, ისე როგორც მათი წინაპარნი აღიარებდნენ. მტერი ჩემი იცნოს თავის მტრად და მტერი მათი ვიცნო ჩემად მტრად. მომცენ პირობა ერთგულებისა და, როდესაც მოეხზომო მშში, მომბრძანდნენ ლაშქრით და ჩემთან ერთად ილვაწონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ თანხმობა განაცხადონ, წამომბრძანდნენ და მე ინგურის პირად მივეგებებ ოთხთავ შერვაშიძეთა, დღეს სტუმრად მოვიწვევ კარაჯსა ჩემსა, ხოლო ზეალ თვით ვესტუმრები თქვენს ბანაკში.

— უჩარდიამ გაბრწყინებული თვალებით შეხედა მეფეს. ის არ მოელოდა საქმის ასე კარგად შებრუნებას.

— უთხარი ისიც, — განაგრძო სოლომონმა, — ოთხივეს ვუბოძებ უპირველეს თანამდებობას, ხოლო ბიქვინთის

ემისკოპოსის მივუბრძობებ სრულიად აფხაზეთ-იმერთა სამწყსოს.

— ღმერთო დიდებულო, — გადაიხანა პირჯვარი და აღაყრო მალლა ხელეზი უჩარდიამ, — გმადლობ, რომ ასე კეთილად დააბოლოვე საქმე ჩვენი და გვაშორე მათა სისხლის ღვრს. მეფევე, ახლანე შემიძლია მოგილოცოთ და მოგახსენოთ, რომ ჩემი მებატონეები უსიტყვეოდ დათანხმდებიან თქვენს პირობებს.

სოლომონმა ტაში დაკრა და ქემივს ურძანა: დადიანი გურიელი, პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე. ელიზბარ ერისთავი და მდივანი გაბაშვილი მოეხმრთ კარაგში. როდესაც ყველანი ეახლნენ მეფეს, მან გაამეორებინა უჩარდიას შერიგების პირობები დიდებულებთან და სათითაოდ თხოვა ყოველ მათგანს აზრი გამოეთქვა.

უჩარდიას დადიანის შესახებ, ცხადია, კრინტი არ დაუძრავს და ამან უარესად დააეჭვიანა კაცია. ამიტომ მან დაბლა დაუკრა თავი მეფეს და მოახსენა:

— გაეკადნიერდები და მოგახსენებ, მეფევე, რომ შერეაშიძეების სიტყვა დასაჯერებელი არ არის. მათ რალაც ვერაგობა აქეთ განზრახული და განგებ მოგვიგზავნეს მოციქული, რომ დრო მოეგონ.

— გურიელი რას იტყვის? — მიუბრუნდა სოლომონი გურიის მთავარს.

— მე რას მოგახსენებთ, შენი ჰირიმე, და ერთი ანდაზისა არ იყოს, ლამის ქურდს ღღისით დაიქერნო, თუ გვატყუებენ, აგურ გამოჩნდება. ეს კაცი გეპირდება, შერეაშიძეები ინგურს გამოლმა გამოვლენ და ბატონს ეახლებიანო, შევხედოთ, და თუ მოვლენ, მივეგებოთ. თუ მოვირგდებით, რა ჯობია მაგას, ამ მშებში სისხლის ღვრს რას გამოვრჩებით? თუ არ მოვლენ, აგი ხმალი ხელში გვიჭირავს და ვნახოთ. მე მინც ძლიერმოვობით ვაკავებ ჯარს, ერთი სული აქეთ, სანამ გადაცვივდებოდნენ ბიჭები. გაუხურდათ სისხლი ხალხს და დროზე თუ არ მიუშვი, ჯაჭვითაც ვეღარ დააკავებ მერე.

— წერეთელი რას ბრძანებს?

— გურიელი მართალს მოგახსენებთ. მშვიდობიანად საქმის მოთავებას რა ჯობს. რასაც თურქი დღეს გვაყრის, ის არ გვეყოფა, რომ ახლა ძმებმა ერთმანეთს არ დავდადროთ ყელი? ჭეშმა-

რიტათ მოსალოცია ასე ბედნიერად დაბოლოება ამ საქმის.

— წულუკიძე რას გვიბრძანებს? ბერი წულუკიძეს ეწყინა. მეფემ რატომ პირველად არ მკითხა აზრი გამომეთქვაო და გულმოსული სულაც არ გაცემდა პასუხს, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო. ისე ერთხანს გაბერილი იდგა და კარავის ქერს ჩუმად შესცქეროდა, თითქოს სურდა პასუხი მოეთქებოდა:

— მე რალა უნდა ვთქვა, ყველაფერი მოგახსენეს და სწორს მოგახსენებენ, — თქვა ბოლოს წულუკიძემ.

მეფე მიუხვდა და უნებურად მარტო თვალეში შეეტყო ღიმილი, მერე მოიხვდა და ელიზბარ ერისთავს უსიტყვეოდ აგრძანებინა, შენ რალას იტყუეო.

— ჩემი თათბირი იქნება დასტური თქვენი სურვილისა, მეფევე, — უთხრა ელიზბარმა.

— მაშ კარგი, — თქვა სოლომონმა, მოიხედა და ბესიკი მოხედა თვალში, მაგრამ მისთვის არაფერი უკითხავს, ერთ წუთს დათიქრებული შეჩერდა, უნდოდა მოეგონებია რისთვის დაუძახა მას, ვერ მოიგონა და უჩარდიას მიუბრუნდა: — წაბრძანდი და ყოველივე განუშეორე მათ. ერთ საათს მოვიციდი, — ამოიღო ჯიბიდან სოლომონმა საათი და ანიშნა, — ერთი საათის შემდეგ თუ თქვენგან არაფერი ცნობა იქნა...

— ერთი საათი რად გნებავს. ახლამე მობრძანდებიან, — დახარა თავი უჩარდიამ და კარავიდან გავიდა.

— სარდლები თავთავიანთ ადგილზე წაბრძანდნენ და მზად იყვნენ, — ბრძანა სოლომონმა.

დიდებულებმა თავი დაუკრეს მეფეს და კარვიდან გავიდნენ. პირველი დადიანი გავიდა და შეგებებული სამეგრელოს თავადები თან გაიყოლია. ქრული ბალდადი ამოიღო, დაიქნია, თითქოს ბერტყავდა და ოფლი მოიწმინდა.

— გვატყუებენ აფხაზები, — დაიძახა ხმამალა კაციამ, რომ გზადაგზა სხვებისთვისაც გაეგონებია. — გვატყუებენ. ვიცი მაგათი ამბავი.

თქვა ეს და კიდევ დაბერტყა თავისი ქრული ბალდადის ხელსახოცი, რომ ოფლი მოიწმინდა.

უეცრად აფხაზების მხრიდან ზარბაზანმა დაიქუხა და მეფის კარავთან ყუმბარამ თხლამანი მოადინა.

— აი! — იყვiera კაცია. — ხომ ვამბობდი!

— დალატი, დალატი, — იყვირეს სამეგრელოს თავადებმა და მთელი ბანაკი უცბად აფორიაქდა.

უჩარდია უკვე ინგურს უახლოვდებოდა, იქ მას ორი მხლებელი ელოდებოდა, როდესაც მოისმა ხარბაზნის ხმა. მისთვის ეს გასართლა სრულიად მოულოდნელი იყო და თავზარდაცემული ერთ წუთს ადგილზე გაქეჯდა.

გაკვირვებული იცქირებოდა თავის ბანაკისაკენ.

სანამ ეს უბედური მოისაზრებდა, თუ რა მოხდა, კაცია დადიანმა იყვiera, ის წუწკი არ გაუშვიათ ცოცხალიო. სამეგრელოს მთავარს გაახსენდა, რომ უჩარდიას შეეძლო გაესწრო გაღმა და მაშინ ხომ ყოველივე გაიხსნებოდა. ამიტომ მხლებლებს უბრძანა, რადაც არ უნდა დაჯდომოდით, აფხაზთა მოციქული მოეკლათ და, ვინც იმის თავს მოუტანდა, დიდ ჯილდოსაც პირდებოდა.

მსახურებმა მაშინვე გადმოიღეს გრძელლულიანი მძიმე თოფები და უჩარდიას სეტყეასავით დააყარეს ტყვიები. საბრალომ სცადა გაქცევა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგამაც კი ვერ მოასწრო, რომ განგმირული წაემხო ბუჩქზე. ეტყობოდა იგი უცბათ მოეკლა მოხვედრილ ტყვიას, რადგან სრულიად აღარ ინძრეოდა, მაგრამ მეგრელი ჩუბინები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ზედისზედ ახლიდნენ და ახლიდნენ თოფებს.

აფხაზებმა სროლას სროლით უბასუხეს და მათი ლაშქარი ამომრავდა სიურიშოდ. ისინი დასდასად ეწყობოდნენ და დროშებს საბრძოლოდ შლიდნენ. ისმოდა ბუჩების ყურისწამლები ყვირილი და საბრძოლო „ვაი-და ვარიია“.

სოლომონს და კაციას უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდა იმით, რომ მათი ჯარები ოდნავ შემალლებულ ზეგანზე იყო დაბანაკებული და ზემოდან გადაჰყურებდა ინგურის იმ განიერ კალაოტს, რომელიც ამ მდინარის წვრილი ნაკადულისოდენა ტოტებით საკმაოდ მოზრდილი კუნძულებით იყო დაყოფილი.

სოლომონის გეგმით ბრძოლაში პირველად ქვეითი ჯარი უნდა ჩაბმულიყო და ცხენოსან ჯარს მხოლოდ მაშინ უნდა მიეღო მონაწილეობა ომში, როდესაც

საც გამოირკვევოდა, თუ სად იყო საჭირო მათი მიშველება.

ბესიკი სასახლის კანისკაცებთან ერთად იმ სამარქაფო ცხენოსან რაზმში მოხედა, რომელსაც გაქცეულთათვის გზა უნდა გადაეღობა, სულ უკან უნდა მდგარიყო და მხოლოდ მაშინ მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში, თუ რომელიმე უბანზე გაჭირვება შეიქმნებოდა და მტერი გადმოძალავს დაიწყებდა. ამიტომ თითქმის მთელი ბრძოლის განმავლობაში ის და დავით კვინიხიძე შორიდან უთვალთვალდნენ ბრძოლას და დავითი დაწვრილებით უხსნიდა, თუ სად ვინ იბრძოდა ან რა ხდებოდა.

სოლომონი თითქოს არც კი ჩქარობდა იერიშზე გადასვლას. როდესაც ხარბაზნის ყუმბარამ მის კარავს გაკრა და შეაზანზარა, ის მაშინვე გამოვიდა კარავიდან და გაკვირვებით იკითხა, რა მოხდაო.

მასთან მეგრელი თავადები მიცივდნენ და, თუმცა მართალია მოწინებით იყვნენ და საკმაოდ შორს იდგნენ, აღშფოთებულნი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ისე აყრიდნენ მეფეს:

— ხომ მოგახსენებდით, მეფე...

— ხო, ხო, ხო, ეს რას გავს, ამისთანა ვერაგობა იქნება?..

— მოლაპარაკებაც კი არ გეცალეს.

— გეუბნებით, ის უჩარდია განგებ მოაგზავნეს, რომ ცოდნოდათ მეფის კარავი რომელი იყო.

— მართალია, არ გავუშვიათ, უნდა მოეკლათ ის უჩარდია...

— მოეკლათ რომელია, მოკლეს უკვე...

— ბატონმა დადიამ თითონ მოკლა...

— უბრძანე, მეფე, ჯარს, გვიბრძანე თორემ მოგვასწრებენ ის ურჯულოები...

ბერი წულუკიძემ ვერ მოითმინა და მწყრალოდ შეუტია:

— თქვენ თქვენ საქმეს მიხედეთ, ჩვენ გეცალეთ ახლა.

სოლომონი დურბინდით გაცქეროდა აფხაზების ბანაკს, თვალს აღევნებდა მათ მოძრაობას და მოკლე განკარგულებებს იძლეოდა:

— ბერი წულუკიძე, შეუთვალე დადიანს, ნელარ აყოვნებს.

ცოტახნის შემდეგ მეგრელთა ბანაკში სმაჟიი ატყდა, მათი მებროშეები წინ გამოიჭრეს და დადიანის ლაშქარი ერთის ყვირით და შემზარავი კოლით

გაიშალა რიყეზე. იმავე წუთში ისევე-
ლეს ზემოიშვრლებმა, რომელთაც ქაი-
ხოსრო წერეთელი სარდლობდა და
მიყვანენ თავის ღროშას.

— აგიაშვილს აცნობეთ დიდ მუხი-
დან დაუაროს თავი მტერს, — ბრძანა
სოლომონმა და შიკრიკი თავქუდმოგ-
ლეჯილი გაეარდა ბრძანების შესატყუ-
ბინებლად.

მალე დიდ მუხასთან გამოჩნდა აგია-
შვილის ჩალისფერი ალაში, რომელიც
თხემლების თავზე ფრიალით მიცურავე-
და. მეომრები არ ჩანდნენ.

აფხაზებში პირველად ცოტა არე-
ვადარება მოხდა. ამის მიზეზი მათი მხრი-
დან ზარბაზნის უცაბედი გაეარდნა იყო.
ბეჭირბეჭმა გაოცებით ჰკითხა ქელაიშ-
ბეგს, რა მოხდა, ან ვინ ბრძანა ზარბაზ-
ნის გასროლაო. წინაღობით ქელაიშბეგი
ურჩევდა თავისიანებს, მოდი გაიჯიოთ
შეფის კარავი სად დგას და ზარბაზნი
ვესროლოთ, თუ სოლომონს ვიმსხვერ-
პლეთ, გამარჯვება ჩვენს ხელთ იქნე-
ბაო. ამაზე ბეჭირბეჭმა კარგა გამო-
ლანძღა თავისი სახლისკაცი, არც კი
გრცხვენია, რომ ასე ლაჩრულად და ვე-
რაგულად აპირებ ბრძოლის მოგებასო.

ახლა კი ვაონა. რომ ეს სროლა ქე-
ლაიშბეგის ბრძანებით იყო, მაგრამ
მან ფიცი თქვა, არაფერი ვიცითო. მაშინ
ბეჭირბეჭი მოევლო ცხენს. გაციცხლე-
ბული მივარდა მეზარბაზნეს და დას-
წყვილა:

— ვინ გითხრა, ისროლეო?

მეზარბაზნი გაფითრდა. ის მხოლოდ
ახლა მიხვდა, რომ რაღაც საშინელება
ჩაიდინა, რისთვისაც თავი შეიძლება
წაეგო. „ვინ მომამაუებდა აბა ტყუილ-
უბრალოდ ხოთ ოქროს. — მწარედ და-
უძელვა გუნებაში, — დამღუპა იმ ჩემმა
ცოლისძმის შვილმა“.

— ვინ გითხრა, არ გესმის? — დას-
კეკა მეორედ ბეჭირბეჭმა.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე? — დაეცა
მუხლებზე მეზარბაზნი. — მტერს უნდა
ვესროლო, აბა რა ვქნა?

— ჰეი, ყორჩიბაშო, წაიყვანე ეს და
ათქმევინე ყოველივე — გასძახა ბე-
ჭირბეჭმა იქვე თითქო მიწიდან ამო-
მჭვროლ თელისისხლიან მსახურს და
თითონ უქანვე თავგამეტებით დაეშვა.

—:—

ბესიკი ბრძოლის ველს მთლიანად
გერ ხედავდა, თუმცა ის და დავითი
ძალღობზე ავიდნენ და ცხენებზე შემ-

სხდარნი გასცქეროდნენ მიდამოს, ადა-
მიანები ქიახვევლებივით ჩანდნენ და
ისეთი ფუსფუსით ირწოდნენ ქართმა-
ნეთში, თითქოს კი ახლათმზდნენ, კე-
კუმალულობას თამაშობდნენ. კვინი-
ხიძე, მართალია, ჰოგრიტით გაქცეოდა
ბრძოლის ველს, მაგრამ ისედაც გასაო-
ცარი ალლოთი გრძნობდა, სად ვინ
იბრძოდა ან რომელი ღროშა ვის ეკუ-
თვნოდა.

— ზემოიშვრლები მარჯვედ არიან, —
უთხრა მან ბესიკს. — იმათ ჯიქები
და ალანები დაუხვდათ, მაგრამ ხედავ,
რა დღეს აყრიან? უკვე იფრინეს. ქვე-
მოიშვრლებს და შეგარელებს უჭიოთ.
აი იქ, ხედავ, წითელტანსაცმლიან მხე-
დარს, ცხენს რომ მიაქროლებს, ის ბე-
ჭირბეჭ შერვაშიძეა. აი ამ ჰოგრიტით
გახედე. ხედავ?

სანამ ბესიკი ჰოგრიტს მოიმარჯვებ-
და და ბეჭირბეგს თვალს მოლანდავდა,
ის უკვე აღარ ჩანდა.

— ეს ვინაა, ასე მამაცად რომ მიუ-
ძღვის თავის რაზმს? — ჰკითხა ბესიკმა
და ერთ გუნდზე მიუთითა, რომლის
მეთაური გულადად მიაქენებდა ცხენს
და ჰაერში ზმაღს ატრიალებდა.

— ეგ ჩიჩუა უნდა იყოს. მარჯვედ
კი მიღის. აგერ ხედავ, გიორგი დადი-
ანი, რა მარჯვედ იბრძვის ეს ერთი
მტკაველი კაცი, როგორ ელდესავით
მაგარიია.

ბესიკმა ვერც ჩიჩუა დაიჭირა ჰოგრი-
ტით, ვერც დადიანი, სამაგიეროთ ნათ-
ლად არჩევდა ბრძოლის ცალ-ცალკე
სურათებს და დაძაბული ყურადღებით
ადევნებდა თვალს მებრძოლთა შეჯახე-
ბებს. გასაშლილი გრძელი ჰოგრიტის
ჭერა ცოტა უხერხული იყო, ხელი კან-
კალებდა და ძნელად დაიჭერდი ერთსა-
დამამვე წერტილს, მაგრამ ბესიკი
მაინც ასწრებდა მოვლანდა თვალს და
ნათლად დაენახა ადამიანთა საბედის-
წერო შეჯახება. ვერც მტრისა და სა-
კუთარი მეომრის გარჩევა შეეძლო.
მარტო იმას ხედავდა, როგორ შეეხლე-
ბოდნენ ხოლმე ერთმანეთს მეომრები,
ერთი მეორეს დასძალავდა, მაგრამ წაქ-
ცეულს მეორე წამოეშველებოდა, ან
შუბს აძგერებდა, ან ხანჯალს დაეცმდა
თავში. აგერ მათ სხვები ჩაუჭროლობ-
დნენ, იქ ცხენოსანი მიჭროდა. განსა-
კუთრებით ღროშების გარშემო არეოდა
ხალხი.

უცრად შიკრიკი მოვარდა და დაი-
ძახა:

— ცხენოსნები მეფეს მიჰყევით.

დაეთმა და ბესიკმა სხვებთან ერთად მიატრევს მალლობი და ცხენების ჰენებით დაეშვნენ თავქვე.

მეფის ცხენოსანი სამარქაფო რაზმი უკვე გაბაწრულიყო ტყეში და თქარათქურით მიემართებოდა გამოუცნობ მხარეს.

— სად მივდივართ? — იკითხა ბესიკმა, მაგრამ მას პასუხი არავინ გასცა. ის უნებურათ მიჰყვა ცხენთა ან მდინარემას. სრულიად მოულოდნელად მის გვერდში სადღუნა აღმოჩნდა, იგი წითურ ცხენზე შემჯდარიყო და თავმოწონედ მიაჯირობებდა.

— სადღუნა საიდან? — შესძახა ბესიკმა.

— უიმი, შენ ხარ, შენ შემოაგელოს ჩემი თავი, ჩემო ბატონო! — სიხარულით აღმოხდა სადღუნას. — შორიდან სულ გხედავდი ბატონებთან, მაგრამ მოსვლა ვერ გავებდე.

— სად მივდივართ, არ იცი?

— თავი უნდა დაეუაროთ აფხაზებს, ასე უბრძანებია ბედელს. ჰო, რა ღვთის ტირილია, ვერ შეიძვე? ღორებივით კლავს ხალხი ერთმანეთს.

— ომია, რას იზამ! — თქვა ბესიკმა.

სადღუნამ რაღაც უპასუხა, მაგრამ ბესიკს არ გაუგონია. რადგან წინწასულმა მხედრებმა ცხენებს მათარაზი გადაჰკრეს, ჰენებით წავიდნენ და ბესიკიც ასევე ჰენებით მიჰყვა მათ. მალე ყველანი ერთ დიდ მინდორზე გავიდნენ, აქედან სწრაფად მოუხვიეს მარჯვნივ, თხელი და დაბალი თხემლნარი შლიგინით გაიარეს და ისე მოულოდნელად შეესივნენ ზურგის მხრიდან აფხაზებს, რომ იმათ გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრეს. ამ იერიშმა საბოლოოდ გატეხა მათი უძლევი წინააღმდეგობა და ბრძოლის ბედიც გადაწყდა. მართალია, ბეჭირბეჭი ვეფხვივით დაჰქროდა თავის არეულ ჯარში, ამხნევებდა მებრძოლებს და ისე ოსტატურად იძლიარდა განკარგულებებს, რომ სადაც კი მიწვდა, თითქმის ყველგან რაზმებს წესიერად დაახვეინა უკან და თავისი ჯარის უმრავლესობა უანებლად გაიყვანა ბრძოლის ველიდან. ზარბაზნებიც კი ყველა გადაარჩინა და დროზე გააზიდვინა გარდა ერთისა, რომელიც ჩიჩუას და ფალაას კაცებს ჩაეგდოთ ხელში და დიდის ამბით მიაგორეს მეფესთან.

ბესიკს აღარც კი ახსოვდა, სად დაჰქნებდა ცხენს, ვის მოუქნია ხმალი ან

ვის ჩაუქროლა გვერდით. მის თვალში და გონებაში ყველაფერი ერთმანეთში აირია, ხახულიც და განცდილიც. ერთ ადგილას მან თვალი მოლანდა, რომ აფხაზი ჩასაფრებოდა, შეიღდა მზინდა და ისარი სტყორცნა. ბესიკი განზე გადაწყვა და ისარმა მას თავთან გადუწივლა. აფხაზი წამოხტა და კურღლეულივით ხტომა-ხტომით მოჰქურცვლა. ბესიკს არც კი უფიქრია — დადევნებოდა, მისი ყურადღება ახლა სხვა ამბავმა მიიპყრო. ვიღაც ფაფანაკიანს მოწინააღმდეგემ მოასწრო და ხმალი გამეტეხებით მოუქნია. ფაფანაკიანმა თავისი ხნალი აუკრა, მაგრამ ცხადი იყო, მთლად ვერ აიციდინა და დაიჭრა. სისხლმა თქრიალით დაუწყო მკერდზე დენა. ალანმა მეორედ მოუქნია ხმალი ფაფანაკიანს და კიდევაც წააგდებინებდა თავს, რომ ამ დროს წამოჩეული ბესიკი არ მოშველებოდა თანამებრძოლს. ფრანგული აღმართა, გაისმა შეჯახებული ფოლადის წყრიალი და ალანს ხმალი ხელიდან გაუვარდა. ცხენების ამ შეხლა-შემოხლაში და ტრიალში ალანმა დრო იხელთა და გაქუსლა, ბესიკი ახლა მიუბრუნდა ფაფანაკიანს, რომელიც ცხენზე ჩამოეკიდა და ჩამოვარდნას ალარა უკლდარა.

— ლევონტი, შენა ხარ? — გაოცებით შეჰყვირა ბესიკმა, როდესაც იცნო თავისი თანაშემწე მდივანი. — ძალიან ხარ დაქრილი!

— არა, არა, — ლუღლუღით უთხრა საოცრად გაფითრებულმა ლევონტიმ. — გვონია, არ უნდა ვიყო სასიკვდილოდ წადი, მიჰყვი იმას. რაზე გაუშვი? წადი, მე არა მიშავს რა.

— რას სულელობ, როგორ თუ არა გიშავს რა, — უპასუხა ბესიკმა. ცხენიდან ჩამოხტა და ლევონტი ძირს ჩამოსვა. ხმლის წვერს მისთვის მკერდზე გაეგლო და ერთის შეხედვით ჰრილობა მართლაც არ იყო საშიში. ბესიკმა ბაღდადი ამოიღო და ლევონტის ჰრილობა მაგრად შეუხვია.

— რა სულზე მომისწარი! — უთხრა ლევონტიმ. — ორნი დამესხნენ თავს. ერთს მოვასწარი და გავისტუმრე მის წიხაპრებთან. ეგერ აგდია, შეხედ.

მოიხედეს. მართლაც დიდ ლოდთან, ბალახებში ეგდო დაქრილი ალანი, რომელიც სულს ლათავდა.

— ცხენი რა იქნა მაგისი.

— ცხენის დარდი გაქვს! — უთხრა ბესიკმა — წადი ბანაკში. იქ თურმანი-

ძეა და კრილობას შეგხვევს. ან რუსი ექიმი რომ გვესტუმრა, მეფის კარავში იქნება.

— დამაცა, ჩემს მოკლულ კაცს იარაღი მაინც ავხსნა. აგერ ის ხმალიც, — არ იშლიდა ლევონტი და მართალია კრილობა საკმაოდ აწუხებდა. მაინც ადგა, ალანს მიუახლოვდა მარჯვენა ხელით იარაღის აყრა დაუწყო.

ბესიკი იძულებული იყო — მიშველებოდა. მოკლულს იარაღი აპყარეს, შემდეგ ბესიკმა ლევონტი დიდის გაჭირვებით შესვა ცხენზე, ნადავლი იარაღი მიაწოდა და ბანაკში გაისტუმრა, თითონ კი ისევ მოევლო ბედაურს და გაჰქუსლა იმ მხრისაკენ, საიდანაც ყვირინა და ხმაური ესმოდა. ეგონა, გახურებულ ბრძოლაში მაშინვე შეიჭრებოდა, მაგრამ კარგახანი გავიდა, სანამ ის თავის დროშას მოკრავდა თვალს და წინა რიგებამდე მიადწევდა. ბრძოლა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. დიდი მინდორი, რომელიც გადაიშალა ბესიკის თვალწინ, ბალახით დაფარული რიყე აღმოჩნდა. გაქანებულმა ცხენმა კინალამ ორივე ფეხი წაიმტვრია და ბესიკი ძლივს დამაგრდა უნაგირზე. მთელი მინდორი მოფენილი იყო ქვეითი მებრძოლებით. ზოგი ალაფს აგროვებდა, ზოგი დაჭერილ ტყვეებს ერეებოდა, ან ხელფეხს უკრავდა, ზოგი საკუთარ კრილობებს იხვევდა. ბრძოლა ახლა ინგურის ვალმა მიმდინარეობდა, იქ ცხენოსნები გაჭრილიყვნენ და ბეჭირბეჭი გააფთრებული იგერიებდა თავისი მებრძოლებით მოძლებულ მტერს.

ბესიკმა კვლავ გააქანა თავისი ცხენი, დგაფუნით გადაიარა ინგურის რამდენიმე ტოტი და როდესაც მეორე ნაბირი აიჯაყა, დიდ მუხასთან შეჯგუფულ მეთმარებს მოჰყრა თვალს. შორიდანვე იცნო მათ შორის პაპუნა წერეთელი და მაშინვე მათკენ მიაშურა. ისინი თითქოს რაღაცას ადევნებდნენ თვალს და მოუსვენრად ტოკავდნენ ადგილზე.

— ვეფხვია, ნამდვილი ვეფხვია! — მოესმა ბესიკს სოლომონ მეფის სიტყვები, როდესაც დაუახლოვდა მუხასთან თავმოყრილ ცხენოსნებს.

სოლომონს ის იყო მოეჯირითებინა თავისი თეთრი ბედაური და ბრძოლის ველს გადაცქეროდა, ჰენებით გახურებული ცხენი ბრდგვიანვდა და ადგილზე ვერ ისვენებდა.

— ვეფხვია! — გაიმეორა სოლომონმა — მაგ ბეჭირბეჭი რომ არ ჰყოლოდათ აფხაზებს, მთელ ჯარს ხელში ჩავიგდებდით.

მერე პაპუნას მოუბრუნდა.

— უბრძანე, ბუკი დაკრან და ცხენოსნები უკან იხმონ. სადამდე უხდა სდიონ ამ ბარდებში მტერს. უკან გზასაც ვეღარ გამოიგნებენ.

მალე ყოველი მხრიდან გაისმა ბუკთა ყურისწამლები ყვირილი და ჯარმა ნელ-ნელა იწყო თავიანთ დროშების გარშემო თავმოყრა.

სოლომონი გორაკზე ავიდა და იქიდან გადასცქეროდა მიდამოს. მალე მასთან კაცია დადიანი მივიდა და მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება, თან სიცილით ეუბნებოდა, შენ რომ ცხენოსნები აშალე და წახვედი, მე შეგონა, მიმატოვე და კინალამ გული გამოსცა შენით. თურმე ასე ბრწყინვალედ მოგვიჭრებია მტრისათვის მარცხნიდან მოგველო და მე კი რა ვიცოდით.

ცოტახნის შემდეგ გურიელმაც მიულოცა მეფეს გამარჯვება. დაიწყეს მოგროვება სარდლებმა. მოვიდა არჩილ ბატონიშვილიც. ყოველი მათგანი ულოცავდა მეფეს გამარჯვებას და მოკლედ უამბობდა, თუ რა ბრძოლა გადახდა მის სადროშოს, ან ვისთან მოუხდა შეტაკება. მალე თანდათან გამოირკვა და გამოისახა ბრძოლის მთელი სურათი. მართალია, ზოგიერთი სარდლის ნაამბობში ბევრი ტრამაზი ერია და უფრო მეტად ის ტრამაზობდა, ვისაც ყველაზე ნაკლები გაეკეთებია, მაგრამ სოლომონი ყოველ მათგანს კარგად იცნობდა და, უმეტეს შემთხვევაში, არ შეეშლებოდა, ვინ ეუბნებოდა მართალს და ვინ ცრუობდა. ბევრმა ცოცხლად დაჭერილი ტყვეები მოჰგვარა მეფეს. ასეთებს მეფე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა და აუცილებლად ასაჩუქრებდა.

მოულოდნელად მეფის გარშემო შეგროვილთა წრე გაიშალა და როსტომ ნიქარაქემ მეფეს წარუდგინა ხელგარული ტყვე.

— ეს რა ამბავია? — ღიმილით იკითხა სოლომონმა.

— მოგართვი, ბატონო. ცოცხლად დაეჭირე ეს წყწყა. — შუბლზე თფლი მოიწმინდა როსტომმა და თავის ტყვეს თავმოწმონედ გადახვდა.

— მაგის დატყვევება მართლა ვაქაცობაა, — თქვა სოლომონმა.

ტყვე მართლაც გამოირჩეოდა თავისი ახოვანი გარეგნობით. მალალი, მხარბეჭიანი და ისეთი მოკერივი აგებულების, რომ ყველა მოიხიბლა მისი ვაქაცური თვალტანადობით.

— ა, ბატონო, კიდევ იტყვიან ჩემზე, ლაჩარიაო? ერისკაცად არ ვარჯა, ბერად უნდა შედგესო! წამოდექი წინ, შეწუწუკო — უყვირა ტყვეს როსტომმა და თოფის კონდახი ჩასცხო ფერდში.

როგორც ეტყობოდა მოქნეული კარგად ვერ მოზომა როსტომმა, რადგან ტყვემ ერთი კი დაიღრიალა და იქვე ჩაიკეცა.

— ვაიმე მომკლა, ამ უგამჩენომ! — ამოიგვინა მან ქართულად. — ჩამიქცია ტყლიპი.

— რა აბავია? — გაოცდა სოლომონი და როსტომს გადახედა. — შეხნა აფხაზმა როდის ისწავლა ქართული?

— ქველსით ამოიგვინა ტყვემ. — რა მიგავს აბხაზს. გამირიგდა, ხელებს გაგიკრავ და მეფეს მიგვგერი, ვითამ ტყვედ დავგიპირეო... საჩუქარს დამპირდა, რა ეცოდო მე უბედურმა, თუ ტყლის ჩამიქცევდა. აფხაზმა ვერაფერი დამაქლო და ეს მკლავს.

— ამას უყურე ახლა შენ! — იყვირა გაფითრებულმა როსტომმა. — ამას უყურე ახლა შენ...

ისე დაიბნა, რომ მეტი ვერაფერი მოახერხა და წამდაუწუმ ამ ოთხ სიტყვას იმეორებდა.

დღეებულეებმა საოცარი კბერხულობა იგრძნეს და არ იცოდნენ, როგორ გამოსულიყვნენ ამ მდგომარეობიდან. ისევ ტაბიკამ იხსნა ყველანი. თავისი ახმახი ცხენით შეგროვილთა წრე გაარღვია და იყვირა:

— ენ ხართ ქრისტიანი, ჩამოსვით ამ ცხენთან. მიშველეთ, ხალხო...

ატყდა ერთი სიცილხარზარი და ამ არეუ-დარევაში, როსტომი თავისი ნაქირავები ტყვით წრიდან გაიყვანეს. მხოლოდ არჩილ ბატონიშვილი მიუბრუნდა თავის ძმას და შეევედრა:

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ეგ როსტომი მე დამითმე.

— რატომ? — გაიკვირვა სოლომონმა.

— ორ თვეში უკან დაგიბრუნებ, მაგრამ მაშინ მართლა ვაქაცო იქნება. დე-

დის კალთაში ნებივრად გაზრდილი, ხომ ხედავ როგორი ქალაქუნა გამოვიდა. საქვეყნოდ თავი მოიქცია მაგ უბედურს. მაგ თუ ვერ გაავაშულადეკაცი არ მერქვას.

— ბატონი ბრძანდები, წაიყვანე, მხოლოდ ორი თვე არ გეყოფა, — სიცილით უთხრა სოლომონმა.

ბესიკი წრეს მოცილდა. მისი ყურადღება მდინარის პირზე ატეხილმა ხოჩქოლმა მიიქცია. ვილაც თავგამეტებით ცდილობდა შემოსულთა წრე გაერღვია და გაეცოფებული ყვიროდა.

ხმაზე ლევონტი ნიყარაძე იცნო ბესიკმა და თავქვე დაეშვა.

ლევონტის დაჭრილი მარცხენა ხელი გაკრულ ყაბალახში დაემალა, ხოლო მარჯვენა ხელით ხანჯალი ეძრო და გაეცოფებული ყვიროდა:

— გამიშვით, უნდა მოვკლა მაგ თავსლავდასმული, ჩვენ გეარში საიდან გამოერია ეგ... (აქ ერთი უკადრისი სიტყვეც მიაყოლა). თფუი მაგის კაცობა. გამიშვით მაგის სისხლი უნდა დაეღო, მაგისი.

— რა მოგივიდა, ლევონტი. ვინ გაგაჯავრა? — უთხრა ბესიკმა და წინ გადაეღობა.

ლევონტი გამწარებული იკბენდა ტუჩებს, მერე თვალკრემლიანი მიუბრუნდა ბესიკს და ჩახლუჩილი ხმით უთხრა:

— რაზე გადამარჩინე, რაზე მაჩუქე სიცოცხლე. მოვეკალი იმ აფხაზს, არ მიჯობდა?! რას გვჭრის თავს ამ ნიყარაძეებს ეგ ღვთის პირისაგან გადავარდნილი. ახლა გადაამირჩა, მაგრამ მაგის მაინც არ გაეუშვებ ცოცხალს...

— კარგია, დაწყნარდი. გეყოფა, — სიცილით მოხვია ხელი ბესიკმა ლევონტის, წრიდან გაიყვანა და ხანჯალი ჩააგვინა.

— მოვდივარ, მომიხარია, მინდა მეფეს გამარჯვება მივულოცო, — სთქვა ოდნავ დამშვიდებული ხმით ლევონტი. — ამ დროს დამახვედრეს ამბავი, როსტომმა ისევ მოგპრათ თავი ნიყარაძეებსო. რაი-თქო ვეკითხები, მითხრეს, რაც იყო. რა უნდა გეყოფო ახლა მაგას? არა, ტყუილია! მაგას, ვატყობ, ჩემი ხელით უწერია სიკვდილი.

— ; —

სოლომონი ორ კვირას დარჩა დედინათან. ამ ხნის განმავლობაში სამეგრელოს მთავარი უხვად უმასპინძლ-

დებოდა თავის დიდებულ სტუმარს. პირველ დღეს მან მთელი ლაშქარი დასვა სანადიმოდ და არავისთვის არ დაუკლია არც ღომი და არც ღვინო. საკლავიც უამრავი დააკვლევინა. მართალია, მთავრის გზირები ძვლებივით დაქროდნენ სოფლებში და ბევრი გლეხის თჯახი აატირეს, ვის ძროხა წაართვეს, ვის ღვინო ამოუხაპეს ქვერიდან, ვის გაეცხვილი ღომი ამოუხვეტეს ვარცილიდან, მაგრამ ამაზე თავს ვინ აიტკივებდა. ანდენ ჯარს გამასპინძლობა ეჭირებოდა. კიდევ კარგი, რომ სოლომონი წინდახედულად მოიქცა და მეორე დღეს მთელი თავისი ჯარი დაითხოვა. თავისთან მარტო სასახლის დიდებულები, თავადები და ტახტის აზნაურები დაიტოვა, ესენი მის ამაღას შეადგენდნენ. მაინც მეფესთან ათას კაცამდე დარჩა და, ცხადია, ორი კვირის განმავლობაში არც მათი შენახვა იყო ადვილი საქმე. დადიანის გზირებს სულ უფრო და უფრო შორს ჰიარდებოდათ წასილა სურსათის საშოვნად, რადგან ახლომახლო გლეხებს უკვე აღარადფერი არ გაჩნდათ. მართალია, იმ ათასი კაციდან სანადიმო სუფრაზე ასი კაციც კი არ ჯდებოდა, რადგან არსებული წესით და საერთო დებულებით თანახმად მეფესთან სუფრაზე განსაკუთრებულნი ნებათთვის გარეშე დაჯდომის უფლება მხოლოდ მთავრებს, მდივანბეგებს, სადროშოთა წინამძღოლ სარდლებს და დიდგვარიან თავადებს ჰქონდათ, ისიც სათანადო უმცროს-უფროსობის სასტიკი დაცვით. გარდა ამისა თანამიმდევრობით მთავრები მეფეს უნდა მომსახურებოდნენ, პირველი გვარის თავადები მთავრებს და ასე თანმიყოლებით. დანარჩენი, დაბალი ღირსების თავადები, აზნაურები და კარის მსახურნი ფეხზე უნდა მდგარიყვნენ და შორიდან ეცქირათ დიდებულთა განცხრომისათვის. შესაძლებელი იყო, რომ იმათგან მეფე რომელიმეს მოჰყავდა თვალს და რაიმე დამსახურების პატივსაცემად, სუფრაზე მიიწვევდა. ეს, მეფის დიდ წყალობათ ითვლებოდა და ამიტომ ნადიმობის ფეხზე მდგომი მოწმენი ცდილობდნენ, როგორც მოხედროდნენ მეფეს თვალში და მისი ყურადღების ოირსნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ასეთ მიწვევას იშვიათად აღიარებოდა ვინმე და უმეტესობას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ

ნადიმის დამთავრებამდე ნერწყვი ეყლაპა და შემდეგ ნასუფრალზე მოეღვინა. აქაც დიდი სიმარჯვე სჭირდებოდა ყოველ მათგანს, რადგან საათობით გემრიელი საქმელების მაქცერალი მშვიერი თავადაზნაურობა ყოველგვარ ზომიერებას ჰკარგავდა და ყველანი ისეთი ვაფთრებით ეცემოდნენ ხოლმე ნასუფრალს, რომ თვალის დახამამებამა გადასანსლავდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ამიტომ ბევრი მათგანი მშვირიც კი რჩებოდა. თუ აქამდე მათი ყოფაქცევა სანიმუშო ზრდილობის ნამდვილი განსახიერება იყო და ბატონთა ნადიმი განუწყვეტლად სამ დღესაც რომ გაგრძელებულიყო, ერთიც კი არ შეიძინებდა თუ პური შიოდა, ახლა, როდესაც მათ უფროსთაგანი აღარავინ უცაქროთა, იღვის სისწრაფით ანადგურებდნენ საქმელს, სეაგებივით დაუღელლად ყლაპავდნენ ყველაფერს და ძვლებს სულ ხრამახრუმს აწყვიტინებდნენ.

სამეფო კარზე გაზრდილ ბესიკისათვის ამ ჩვევებში არადფერი იყო გასაოცარი. მართალია, ის წოდებით ჯერ კიდევ აზნაური იყო, მაგრამ, როგორც მეფის მდივანწიგნობარს, სუფრაზე ყოველთვის საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩნეული. მაგრამ ახლა რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობა შეხვდა და ნადიმებს არც დასწრებია. ის სახოტბო დიდი პოემის წერას შეუღდა; ეს პოემა მას ზოგდიდში საგანგებოდ გამართულ ნადიმზე უნდა წაეკითხა. გარდა ამისა სიგელბიცი უნდა იწერა. სოლომონმა ბრძოლაში წარჩინებულ თავადებს, აზნაურებს და გლეხებს ჯილდოები უწყალობა. ზოგს ხარისხი, ზოგს მამული. ზოგს აზარობა. დაჯილდოებულნი ჩქარობდნენ, მეფის ეს წყალობა არ დააიწყებდნენ და მდივანებს მოსვენებას არ აძლევდნენ. ვეისველეთ და საჩქაროდ დაჯიწერეთ სიგელი, რომ ახლოვე დავასმეიწონოთ ზედ ბეჭედი ჩვენს მეთეს, თორემ შემდეგ ვაი თუ დააიწყებდეს და დავიღუპებითო. ბესიკი იძულებული იყო თავის ხელაქვეითი მდივანები მოეკროებიინა, მათ შორის იაპროიო ლევონტიც, და ყველანი დაესხა საწყერად.

ამ სიგელების წერის დროს შეიკაო ბესიკმა, თუ ვის რა გაეკეთებინა, ან რა დამსახურება მიუძღოდა. რალაცა გა-

მოუცნობი ალლოთი გრძნობდა, თუ რომელ მათგანს ნამდვილად ჩაედინა მართლა სავაქაცო საქმე და რომელი ტყუილია. ქვეშაირი გმირს ყოველთვის უბრალოდ ეჭირა თავი, წყნარად უამბობდა ყოველივეს და თუ მოწმეებში, პირიქით, აჭარბებდნენ მის დამსახურებას და ზედმეტებს ჩამახედნენ, ის უარს ამბობდა, მე ასეთი არაფერი ჩამიდენიაო. ხოლო ისეთი ცრუ გმირი, რომელსაც შეიმღება, სულ არაფერიც კი არ გაეკეთებია, მაშინვე რიხით მოკვებობდა თავის საგმირო საქმეებს, ფიცით იჭაჭებოდა, მოწმეს იშველებდა, დასისხლიანებულ ჩოხის კალთებზე უთითებდა, ხედავთ რამდენჯერ მომიხზა ჩემი ხმალის გაწმენდაო. საღვთო ფიცით ჩასჩურჩულებდა ბესიკს, ჩემი თვალით დავინახე, რომ გოგია აბაშიძემ ვილაცას მიერ მოკლულ მტრის ჯარისკაცის სისხლში სვრიდა ხმალს და ახლა ყურები წაგვაჭამა ყვირილით, ათი კაცი მოვკალიო.

ბესიკს განზრახული ჰქონდა თავისი სახობრო ლეკსში ნამდვილი გმირები მოეხსენებია, მაგრამ მალე დაჩრქუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. თუ ამ პოემას სანადიმო სუფრაზე საზეიმოდ წაიკითხავდა და გმირებად არ მოახსენებდა უპირველეს წარჩინებულებს, ამით მათ მტრად მოიკიდებდა. იმტომ ის იძულებული იყო პირველ გმირად თვით მეფე მოეხსენებინა, შემდეგ კაცია და დიანხი, მისი ძმა გიორგი, ამათ მოკვებენ თანამდევრობით პაპუნა წერეთელი, გიორგი წულუკიძე, რომელსაც მართლა განეცვიფრებინა ყველანი თავის გმირობით, ელიზბარ ერისთავი და ყველაზე ბოლოს თავადი ჩიჩუა, რომელზედაც ბევრი ამბობდა, ამის ბადალი მეტროლი და წინამძღოლი თავის რაზმისა ჩვენ არ გვინახავსო.

შეიძლება ბესიკს დანარჩენებზე მოეხსენებინა ამ სახობრო სიმღერაში, მაგრამ არ დააცალეს. მეფეს ებრძანებინა, გავიგე, ბესიკი აღწერს რუხთან მომზადარ ბრძოლას და ჩვენ მოულოდნელად მოვილით სახელოვანი მგოსნის ლეკსთა მოსმენასო. მეფეს უნდოდა თავი მოეწონებინა, ყველასათვის ეჩვენებინა, რომ მის კარზე ასეთი უბადლო მგოსანი ილწოდა და გაიფიქრებინა თავისი ქვეშევრდომი, განსაკუთრებით გიორგისა და სამეგრელოს მთავრები. ამიტომ ბესიკი იძულებული გახდა, რაც დაეწე-

რა, იმით დაეკმაყოფილებულიყო. დაუყოვნებლივ გამოცხადდა ნადიმზე და ნაწერი რვეული გადაშალა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ აღამაინი ბუზის გაფორენას გაიგონებდა. ბესიკისადმი მსმენელთა განსაკუთრებულ მოწონებას აძლიერებდა ისიც, რომ ის ზეპირად კი არ ლაპარაკობდა, არამედ კითხულობდა. თანაც ამ სახობრო ლეკსს ბესიკმა შესავალად ის წინათქმა წაუნებლვარა, რომელიც მან სააღდგომოდ წარმოსთქვა ქუთაისში. მართალია როგორც მაშინ, ახლაც ვერაფერი ვერ გაიგეს მსმენელებმა ამ წინათქმიდან, მაგრამ შთაბეჭდილება უფრო მეტი იყო. ყველას ისე ეჭირა თავი, ვითომ ყოველივე ესმოდა და აღტაცებით უსმენდა მგოსანს ამ ბუნდოვან და გაუგებარ მჭევრმეტყველებას.

„...და რამეთუ ძეცა მისი, — ზვიადად და მჭევრად კითხულობდა ბესიკი, — ბრძენი იგი, სახელსახე სიბრძნისა და თანამძღვანელი, შენთვის დღეს ხელჰყოფს შენისავე შესხმისა აფთრათისა წერად, კალამიმიხებელი თუმბუთურისა თანად მელნისა“...

ასევე ვერ გაიგეს შესავალი ტაემი, თუმცა ის უფრო ნათლად იყო დაწერილი, მაგრამ შემდეგ, როდესაც ბესიკი გადავიდა ამბის აღწერაზე სადაც ყველაფერი, თუ შინცდამაინც ისე გასაგები არ იყო, რაღაცის გაგება შეიძლებოდა, ყველას გულზე მოეშვა და სიამოვნებით სახე გაებადრა.

„ოდეს ვისცა ეშმა ბრძოდეს, მუნ იცნობის კაცი კაცად“.

— უდაო სიმართლეა დამოწმა კაცია დადიანი ბესიკს და სოლომონს გადახედა. მან კი ანიშნა ხელს ნუ უშლიო.

„ოდეს ვინ სძლოს ძალსა მძღვრისა, ჯილო უძღონ ქვეა და ცად“

„დიდთა მღმობთა საქმე — ცუდთა ბრძენი უშმის არ — მამაცად,“

„და მათსადმე, ჯერია და სიმდაბლე გვიჩნს ხელსატაცად“.

კაცია იქაც უნდა ითქვა, რომ მგოსანი უდაო ბრძულ ქვეშაირტებას ლაღობდა, მაგრამ, როდესაც სოლომონს შეხედა, დიანახა რომ ის დამაბული

ყურადღებით უსმენდა პოეტს და გაღაფიქრა. ბესიკი კი განაგრძობდა:

„მართ ჰგვანდა ნდომა აფხაზთა და ცუდნი გამოჩრევანი.

„ბეჭირბეჭეს ასტებს ქველუბზეც და ზურაბს ასტებს ლევანი.

„ოთხივე ძმანი შეითქვენს, შარავის — ძენი მძლევენი,

„და დესპანთა ფრენით მოიხმეს ლაშქარი

ქვეყნის მგრევენი“.

— მაგას სწორს არ ბძანებ, ვერაფერი ქვეყნის დამანგრეველი ჯარი ყოფილა. კუდილი ქეა ვასროლივით, — დაურიღებლად შეაწყვეტინა გოგია აბაშიძემ, ის შურით გულზე სკდებოდა, რომ მეფის, მთავრებისა და დიდებულთა ყურადღება ბესიკს ასე მიუბყრო.

— აბა, მაშ შენის ჭკუით, თხებთან გვივაჯკაცნია, — გადაუბრიალა თვალები სოლომონმა.

აბაშიძემ ენაზე იკბინა და ბოდიში მოიხადა, მე მაგ აზრით არ მომიხსენებიაო.

— რომ გვაცლიდე, ის აჯობებს, თუ არ ვინდა უღვაში ავიწიო, — ნახევრად ზღმრობით უთხრა მეფემ და შემდეგ ბესიკს მიუბრუნდა. — განაგრძე.

„შორბა დას-დასად, შწყობრ ბეჭ-ათასად შარავის-ძეთა ვხო — კარებსა:

ვინ იღვეს შორად ანუ მთავორად,

ფარბ — შალიად ვლეს მათსა არებსა

ჯაჳე თორთასანი, ისარ ფროთასანი სიმრავლით სცემდენ თვალთა ზარებსა

და აღქმ-ლნი ქრთამით ვლიდენცა ღამით ვეშე, იშხაღებდენ სასამარესა“

მეფემ კმაყოფილად გადაიხარხარა, დანარჩენებმაც ხათრით ასტეხეს ერთი სიცილხარხარი, თუმცა ბევრს არც კი ესმოდა, რაზე იყინოდა სოლომონი. ისინი არ იყინენ შეჩვილნი რთული ფორმის ლექსების მოსმენას და, თუ კი შათი ყური ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებულს ისმენდა, კარგაბანი უნდა გასულიყო ან საგანგებო ვანმარტება იყო საჭირო, რომ რომელიმე მათგანს წარმოთქმულის შინაარსი გაეგო. იყენენ ისეთებიც, რომელთაც ბუნებით არ შეიძლო ლექსის მოსმენა და ისინი სიამოვნების ნაცვლად თავის

ტკივილსა და გულისრევას ვრძნობდნენ. ამიტომ ახლა ამ გაქინურებული და გაუგებარი ლექსის კითხვას სძენა მათთვის ნამდვილი * წაძებუ — ყოველმგვრამ იძულებული იყენენ მოთმინებით დაეგდოთ ყური ბესიკისათვის და ხანდახან სხეთა გასაგონრად აღტაცებაც კი გამოეთქვათ, ხოლო თუ მეფე გამოხატავდა ან მოწონებდა, აღფრთოვანებას, ან კიდევ გაიციხებდა, მაშინ ხომ სულ გიჟდებოდნენ.

„ყირიმელთ ჯიქელთ, ილანელთ,

კემურველთ ამცენს ცნობითა,

ყვიანლთა შემოიწვედნენ, ინდობდნენ სკულის მშობითა,

აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრეც ძღვობითა

და შეგრელთა სისხლი სწყუროდათ. თუმცა შეესეათ ვობითა“.

კაციამ მკერდზე მუშტი შემოირტყა და თავი გადააქან გადმოაქანა. მეგრელებმა თავის მთავარს მიბაძეს და ყველას აღმოხდა: „ოჰ! ოჰ!“

პოემა თანდათან გასაგები ზდებოდა და მსმენელები ნელნელა შევიდნენ მოსმენის ეშხში. მართალია, აქაიქ კიდევ ბევრი იტანჯებოდა და გუხებაში ხატრობდა, ნეტავი ისეთ ბედნიერებას გვალორსებდეს ეს მგოსანი, რომ მალე დაამთავრებდეს თავის ლექსსო, მაგრამ გარეგნულად მათ არადერი არ ემჩნეოდით. მარტო ზეინისაგან გაბრუებული შორაპნის ცინისთავი ოტიბა მაქავეარიანი უთავებოლოდ აცეცებდა თავის გადმოქაჩულ თვალებს, სულელურად ილიმებოდა და ხანგამოშვებით ქოსმინივით ხენეზოდა.

ხოტბის პირველი თავი შეიცავდა შერეაშიძეთა ამხედრებისა, დადიანის მიერ იმერთა მეფესთან მოციქულობის წარგზავნისა, სოლომონის სალაშქროდ წასვლისა და რუმთან დაბანაკების ამბავს. მეორე თავში ნაამბობი იყო უჩიარდიას წარმოგზავნა, ვერაგულად ზარბაზნის სროლა შერეაშიძეთა მიერ და ბრძოლის დაწყება. შემდეგ ამ თავში ჩამოთვლილი იყო ცალკეულ პირთა გმირობანი. პირველად შექებულნი იყო მეფე, რომელიც ბექიბეგს შეხედროდა პირდაპირ ბრძოლაში. მისგან წასროლი ისარი ხშლით აიკვინა და დაღვივებოდა, მაგრამ ამ მამაც მთავარს მეფესთან ბრძოლისათვის თავი აფრიდებინა.

უგზოუკვლოდ გადაკარგულიყო დანარჩენებსაც მათთვის მიებამათ და:

„ჩა ნახეს მეფე მიჭრილი,
გულსა შეაქნეს ბაბანი,
დაფარნეს ყოვლი სახმარნი,
გზა ძიეს ვასასწრაფანი,
ლეკურსა დრო ხედა, მოჰყოფდა,
ვით ნახა ზურგი ჯაბანი,
ჰაერსა შიგან ფრინვიდა
ხმალი სისხლითა ნაბანი“.

ამის შემდეგ მოყოლებულ ტაუბებში აწერილი იყო თუ ზოდიაქოს ვარსკვლავედნი როგორ იფარადენენ მეფეს, რომელიც მარტოდმარტო შეჭრილიყო მტრის რიგებში, მუსრს ავლებდა მათ და როგორ ჩისხვად ატყდებოდა მათ თორმეტი ცისა ზოდი აგარიანთა რიგებს.

აქაც ვერაფერი გაიგეს მსმენელებმა, მაგრამ მალე ბესიკი იმ ტაუბთა კითხვას შეუდგა სადაც მოხსენებული იყო ჯერ კაცია დადიანის და შემდეგ მისი ძმის გიორგის სახელოვანი ბრძოლა.

მსმენელები უცბად გამოცოცხლდნენ.

„ეთერისა ცეცხლსა მგვანი,
ქების ღირსი დადიანი,
სახელ კაცი საქმე ბრძენი,
ხმან ძლიერად ვადიანი,
ვით მზე ღომსა ზურგსა მჯდომი,
გმირტან გამომცხადიანი,
და გვართ შავვარუთ განახარჯი,
ქებათ დაოზადიანი“.

„ხმა ღომის გვარად მიმზრახი
შისჩებდის, იტყვის აასო,
ათი ათსთა დაფრეწო —
ვითლა შემციდი სამასი!“.

ჩიქოვანებს და ფალავებს აღტაცების კენესა აღმოზნათ:

- აუიჰ!
- დიდებული ნათქვამი!
- არ ეკუთვნის თუ!

მალე ბესიკმა გიორგი დადიანი ახსენა. შიამო მისი გამირობა და შემდეგ პაპუნა წერეთლის ქება-დიდებას შეუდგა:

„აჲ შენი შურს ქების კონვა,
ვინ სარდლობდი წერეთლო
მამინ ჰვაიოდ მიხთა კიბიას,
ჯგუფთა, რაშთა განმწველო,
ელვის სახედ მტერთა თვალის,
დაშუქებო შემზარველო,

გმირის ხმითა დამქუხებო, თხმთათვის
ტენის დამთხველო“.

თარგმანი

პაპუნა დაძაბული ყურადღებით უსმენდა და გუნებაში იმეორებდა: „ვინ შენი ბრალი, თუ ბერი წულუკიძესაც ასე დაუწყე ქება, აღარავინ არ დაიჯერებს მაგ შენი ლამაზი სიტყვების სიმართლეს. იმაზე ნურაფერს იტყვი და მე თუ გინდა მლანძღე.“

ბესიკმა კი ლექსს სახობტო სიტყვა მიაყოლა:

— შეგვანდა მაშინ შენისა ღომთა-ღომისა მამისა მსგავსება ოდეს მეფისაგან მართოდ ჭირსა და შიგან შესვლა მოიხილე, და, ვითა ჩვეულებისა გვარი გაწვივდა, უხილავი ცეცხლი ეგრეცა მოგებვია ერთგულსა გულსა ზედან. ამისათვის თურმე უთქვამთ „კარგისა პატიოსნისა წინაშე საამოა ყმისა სიკვდილი!“ შენ თუმცა არა გვითხარ ჭირი შენი, ჩვენ ეგრეცა ღვინად შემცველთა, გიამბოთ ვალი თქვენისა გარჯილობისა მოკლედ მრავლისა წარწერელთა:

„შაბაშ, შაბაშ, შენდაი ეშა!
თომც შეგამე ვერა დია,
შენი გვესმა მცირე ცეცხლი
დიდთა ხეთა მწველადია;
ისხად შროლი თოფისა და
ლეკურის ხარ ბელადია
და ბრძენთა ენამ ოდეს გაჟონ
ყოფლთვის შესაფერადია.“

— ქეშმარიტად, — დაიძახა სოლომონმა, — ჰეშმარიტად ქებისა ღირსი ხარ და შენ ამაგს არასოდეს დავივიწყებ, წერეთლო!

პაპუნას სიამოვნებით სახე გაებადრა. ის ფიცხლად წამოიჭრა ზეზე. მეფეს თავი დაბლად დაუკრა და მოახსენა:

— არა ღირს ვარ, მეფეო!

ბესიკმა ცოტა შეისვენა და, როდესაც მსმენელებმა კვლავ მიაპყრეს ყურადღება, კითხვა განაგრძო. ახლა გიორგი წულუკიძე შეაქო.

მონადიმეთა ყურადღება თანდათან დაიძაბა, რადგან ბესიკის ხელში ნაწერი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და ყველა გულის კანკალით ელოდებოდა, ამა მეც მომიხსენებს თუ არაო. ბესიკმა ბევრს მართლაც აღარ გაუმართლა მოლოთინი და ელოზბარ ერისთავის შექების შემდეგ მან მხოლოდ ჩაჩუხა.

მიუძღვნა ბოლო სტრქიონები და ამით დაასრულა სახოტბო პოემის კითხვა.

— ქემშარიტად რუსთველის შემდეგ არა მსმენია ასე საამო შაირი, — უთხრა კაცობა მეფეს, — შართალია ბედნიერი ხარ, მეფევ, რომ შენ სამეფო კარზე მოსულა ასეთი ბრძენი ოქროპირი. იმ ჩემი მოყვარე სიძე ბატონის ერეკლეს სამეფო მაკვირვებს, ამას როგორ მოვიწოდებდი და დავსჯიდა.

პაპუნა წერეთელმა რაღაც ჩაჩურჩულა მეფეს. სოლომონი უსმენდა და ცალ წარბს ათამაშებდა, შემდეგ დავით კენიხიძეს მოუბრუნდა და უბრძანა:

— ებოდოს ჩვეს მდივანწმიგნობარს ბესარიონ გაბაშვილს თავადობის ხარისხი და მამული ქუთაისს, ქალაქის სამხრეთით — გორა და სახნავი ოლასყურამდე, რაჭაში — ტოლასა და ბუგეულს — საეენახოები, ხვამლს — საბაღაზონი და ჭომას ტყე სამეშედ.

ტკბილი შემოდგომა შეპაროდა ზემოიქრეთის მთაგორებს. სისხლისფრად გადაწითლებულიყო თრამლით დაფარული კლდეები და ფერად ხალიჩასავით აჭრელებულიყვნენ ტყეები.

აჯერ ხუთ თვეზე მეტი იყო, რაც ანას ბესიკი არ ენახა. როგორც კი სოლომონმა მისის დამღვეს თავისი ჯარები დადიანის დასახმარებლად წაიყვანა, ანა მაშინვე დაუბრუნდა თავის სოფელ წირქვალს და მთელი ზაფხული იქ გაატარა. ჯერ უნდოდა თავისი ქმარი მეფისათვის დაედევნებია, მაგრამ მერე იფიქრა, ვაი თუ არჩილ ბატონიშვილს არ ესაამოვნოს ჩემი ქმრის მეფესთან ხლებად და გადაიფიქრა. ქმარი არც კი აწუხებდა. რატომღაც მას მიწის მუშაობა შეეყარებოდა, ჯერ ხენა-თესვა ესწავლა, მერე თოხნა და დილიდან საღამომდე ყანაში იყო. გლეხები ზრახავდნენ, არ ეკადრება სამეფო გვარის წარმომადგენელს ხელში თოხის დაჭერაო, მაგრამ თანაც ეხალისებოდათ მისი ცქერა ჩუმჩუმად სიცილით იჭაპებოდნენ.

ანა კითხვით და საქარგავით ებრძოდა მოწყენას. ხანდახან საჩხერეში გაისეირნებდა და წერეთლის ქალღმბში ჭორებით იბერებოდა. ბავშვის დარდი არ აწუხებდა, რადგან ის ძიძასთან იზრდებოდა და ხანდახან თუ ინახულებდა.

ანას ბესიკის ნახვა სურდა და მოუთმენლად მოელოდა მისი ლაშქრობი-

დან დაბრუნებას. იმედი ჰქონდა, რომ ის აუცილებლად ინახულებდა და თუნდაც რამდენიმე დღეს დარჩებოდა მასთან სტუმრად.

ლაშქრობა დამთავრდა, პაპუნა წერეთელმა თავისი მამული მოიპარა და გზად ანაც ინახულა. უამბო ყოველივე, რაც გადახდომოდით და მაშინ გაიგო ანა, რომ ბესიკს თავადობის წოდება მიიღო.

გავიდა ზაფხული, მოიპარა შემოდგომა და ბესიკი კვლავ არ ჩანდა. არც დედოფალი გულფანი უთვლიდა ანას, ქუთაისში მესტუმრეო. მას შიმდგ, რაც სოლომონმა არჩილ ბატონიშვილის ვაჟი დავითი იმევილა და ტახტის შემკვიდრედ გამოაცხადა, აოლფანისათვის უხერხული იყო ანას მიწვევა და ამიტომ ვიღარც ეს ბედავდა დაუპატიყებლად წასვლას.

ასე მიდიოდა დრო და ანას უკვირ საბოლოოდ დამკარგოდა იმედი ამ შემოდგომას და ზამთარსაც აღმათ არ მეღირსება ბესიკის ნახვით, როდესაც ერთ საღამოს მისი სასახლის დიდ ჭიშკართან ატყდა ნაგავების ყეფა და ეზოში მდიდრულად ჩაცმული ლამაზი მხედარი შემოაჯირითდა.

ანამ იცნო ბესიკი და თუმცა წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა გაბუტვოდა, ყოველივე დაავიწყდა და ალტაცებით შეიკვება.

— ბესიკ! შე ხე აკუნა შენა! არ შემოუშვით ეგ საზიზღარი, გააგდეთ აქედან. — სიცილით იძახდა ანა და შესაგებებლად გარბოდა.

— ვინ ბესიკია? — იკითხა ანას ქმარმა დავითმა და უჯიშო ნაგავითივი ბანაჯალული გაუპარსათი თავი კარებში ეამოპყო, — ოჰ! შენ ხარ? გამარჯობა შენი. გავიგე, თავადობა უბოძებიათ. მომილოცავს.

ბესიკს გაუკვირდა ბატონიშვილის ასე დალაგებული ლაპარაკი, მოწიწებით მიესალმა და ყველანი სახლში შევიდნენ.

მაღე სამივენი აგუზგუზებულ ბუხართან ისხდნენ და ბესიკი დაწვრილებით უამბობდა ანას თავის თავგადასავალს.

— გვიგე, შერვაშიძენი ძალზე დავიმარცხებიათ, — უთხრა ანამ.

ბესიკმა მწარედ ჩაიციინა.

— ჰმ! იმასაც მოვესწარ, რომ ძმობა სისხლის ღვრაში ვერეი. დადიანმა მოგვიხმო, მიშველეთ შერვაშიძეები

დამესხენო. ჩვენც მივეშველეთ. მერე ორი კვირა არ გასულა; რაც ჩვენ დავბრუნდით და უარესი შევიტყვეთ. ახლა შერევაშიძეები აშლოდნენ ერთმანეთს და გუშინდელი მტერი ზურაბ შერევაშიძე მოსულა დადიანთან და უთხოვნია, მომეშველე ქელაიშბეგის წინააღმდეგო. დადიანი, ცხადია, მიშველებია. ჯარები მოუტოვებია, ერთად წასულან და მთელი ზემო აფხაზეთი მოუწავთ, მოუხორცილოთ, მიდგომიან ცხომის ციხეს და გიორგი დადიანს ეს ციხეც აუღლია. ქალაქი დაუწვავთ, ქელაიშბეგს, ამბობენ, ზომალდზე აღსწრია და მგონი თურქეთში გაქცეულა. ახლა ზურაბი და კაკია დადიანი დამზახლებულან. კაკიას ვაჟს მანუჩარს ზურაბ შერევაშიძის ასული რუსუდანი ცოლად შეურთავს.

— იქნებ ახლა მაინც დამშვიდდენ.

ბესიკმა ხელი ჩაიჭინა.

— რა დამშვიდებთ. ახლა ქელაიშბეგი მოიყვანს თურქეთიდან ჯარებს და ყოველივე თავიდან დაიწყება.

— ოჲ, როგორ გამეხარდა, რომ შენთვის მეფეს თავადობა უბოძებია, — უთხრა ანამ.

— თავადობა! — შწარედ გაელიმა ბესიკს. — სიტყვით მიბოძა, მაგრამ საქმით ჯერ ვერაფერს ვხედავ.

— რატომ?

— რატომ! — კვლავ ჩაიციხა ბესიკმა. — მოლა ნასრედინის არაკისა არ იყოს, სწორედ ის შემემთხვა. ერთხელ თურმე მოლასთან ვილაყ კაცი მოვიდა და ქებადიდებით თავი გაუსიყვა. ნასიამოვნებმა მოლამ უთხრა, ხვალ დილას მოდი ჩემთან, ან თუმანს გაჩუქებო. მაქებარს გაეხარდა და მეორე დღით აღრიანად ეწვია დანაპირების მისაღებად. გაოცებულმა მოლამ ერდოდან გადმოხედა სტუმარს და ჰკითხა, რისთვის მოსულხარო. იმ ასი თუმნის მისაღებად მოვედი, შენ რომ დამპირდიო. მერე რისთვის დაგპირდი იმ ას თუმანსო, კვლავ ჰკითხა მოლამ. აი ჩემი საუბრით რომ გაამეო. ჰოო, მე კიდევ შეპირებით გაამე და ასე რომ ბარიბარს ვართო. სწორედ ასეა ჩემი საქმე. მე ჩემი ლეკსებით ვაამე მეფეს, იმან კიდევ თავადობის შეპირებით მამაძა.

— ვერა გამიგია რა. ზომ გიბოძა თავადობა, განა მეფის სიტყვას ძალა აღარა აქვს.

— წყალობით მიწყალობა, მაგრამ, რაც თავისი სიტყვით მამულები ჩამო-

თვალა, სულ სადავო აღმოჩნდა. ჩემამდე სამს უწყალობა თავადობა და სადაც კი თავისუფალი ადგილმამული იყო, იმათ ჩამოირიგეს. ახლა, სანამ სადმე მამულები არ გამოჩნდება, ისე რა ფასი აქვს ცარიელ წოდების მინიჭებას. სიგელი ჯერ არც კი უბოძებია.

— არ უბოძებია? რისთვის?

— იმისათვის, რომ ჯერ მამულები უნდა გამოიჩინოს და სიგელი მერე დაიწეროს, თორემ თუ მამულები არ იქნა, შიგ რას ჩასწერენ. მამულების საქმეს ბერი წულუკიძე განაგებს და ის ჩემზე, ვატყობ, ნაწყენი უნდა იყოს, ამიტომ არ ჩქარობს. ოჲ, რომ იცოდე, დედოფალი, რამდენი ცოლვა ტრიალებს სამეფო კარზე და სად არის ჩვენი ხსნა. მე არც თავადობის მიღება მახარებს და არც მამულების დამტკიცება. ყველგან შური, ყველგან ზტოობა. და მე ძალზე ვწუხვარ, რომ ბელმა საქართველოს ამ დაქვინების ეამს მარგუნა ცხოვრება. როდის უნდა აღდგეს ჩვენი ძველყანა ძველ სილიაღმდე?

ბესიკმა მიმოიხედა და ხმას დაუწია.

— არავეინ გვისმენდეს, თორემ ეს ჩემი სიტყვები სოლომონმა რომ გაიგოს, ანძახზე დამეცილებს.

— ნუ გეშინია, ჩემს მტერ აქ არავეინ არის, — დამშვიდა ანამ.

— ეგ ძალიან კარგია, თუ აგრეა. — კიდევ უფრო დაუწია ხმას ბესიკმა. — მე აქ დიდი საქმისათვის მოვსულვარ და ორთავემ ყური მივღეთ.

ცოლი და ქმარი ყურადღებად იქცნენ.

— ჰაბუნამ დამავალა გაცნობით, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრეობას თქვენ გარგულებთო.

ანას ალტაცებისაგან ლოყები აეტკია.

— ჯერ რა დროს მაგაზე ლაპარაკია, — უთხრა მან ბესიკს. — მეფე ჯანმრთელად ბრძანდება...

— ჯანმრთელადლო! აბა რას ბრძანებთ, დედოფალი, — შეაწყვეტინა ბესიკმა, — ამ ბოლო დროს რამდენჯერმე ისე მოუწარა ზნედამ, თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა. რუსებმა, მართალია, გამოუგზავნეს ლეკარი, მაგრამ ის ვერაფერს შევლის და, პირიქით, ჩუმად ყველა დაგვარწმუნა, მეფეს დიდი დღე არ უწერიაო.

— მერე, — აღელვებისაგან ანას ენა ეშვოდა, — მარტო პაპუნა რას ვახდება, თუ სხვები არ დაეხმარნენ?

— პაპუნას ელიზბარ ერისთავი ემხრობა, ფიცისკაცებიც მის მხარეზე იქნებიან. გარდა ამისა დადიანსაც უთქვამს, შემკვიდრობა დავით გიორგის ძეს უფრო ეკუთვნოდა, ნამდვილი და კანონიერი შემკვიდრე ის ბრძანდებაო.

— ოჰ, ლმერთო, ხუთუ დედოფალი გავხდები? — აღმოხდა ანას.

— რატომ არ უნდა ვახდე, არ გეკუთვნის თუ? — უთხრა ქმარმა ანას.

— შენ არსად სთქვა ეს ამბები, — მწყურალად გრძახდა დავითს ანამ — თორემ ტახტს კი არა, ნაყარცხელს არავინ გაღირსებს. ისე იყავ, ვითომ არაფერიც არ იცი. გაიგე?

— გაიგე რატომ არ გაიგე?

— ჰო და ასე. კრინტი არავისთან დამრა.

— ვიცი, ვიცი, და ამ კაცს ვახშამი ვაკამოთ, დაღლილია და ნამგზავრი.

ანამ უბრძანა მოახლეს სუფრა გაეშალათ და ნაევანშემეს ბესიკს პატარა ფიცრულ ოთახში მოუსვეხეს.

მეორე დღეს ბატონიშვილმა ბესიკი სანადიროდ მოიწვია, მაგრამ ანამ ქმარს ურჩია, სტუმარს სანადირევით გაუმასპინძლდებოდა, რადგან მგზავრობით დაღლილ ბესიკისათვის დაუხანებლად ტყვედრეში ხეტიალი ვერაფერი სიამოვნება იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ბატონიშვილი საწალოკისკენ აპირებდა წასვლას ირმებზე სანადიროდ და, ალბათ, მთელი ერთი კვირა თოვლიან ქედებზე მოუხდებოდა რბენა. ბატონიშვილი დაეთანხმა და თავისი მსახურთა თანხლებით გაემგზავრა სანადიროდ.

ანამ კი ბესიკს უთხრა, მოდი მღვიმევის მონასტერში ჩავიდეთ და წირვა მოვიცისინოთ, თანაც გზად ძიძასთან გავიაროთ და ჩემი შვილი მოვინახულოთ. ბესიკი დაეთანხმა, თუმცა მღვიმევის მონასტრის ხსენებამ მწარე მოგონებები აღშალა.

ორივენი ცხენებზე შესხდნენ და თავივე დაეშვენეს. ანას სახლიდან მონასტერი არც ისე შორს იყო და ამიტომ ორთავეს წყნარი ნაბიჯით მიჰყავდათ ცხენები. თბილი მზიანი დღე იდგა. ხეებიდან უხვად ცვიოდა ყვითელი ფოთლები და ფრიალ-ფარფატი ეფინებოდა მიდამოს. მალე ორთავენი თბილისა და ზღმარტლის ბუჩქებში შევიდნენ. ნახევრად ფოთოლგაცეინულ თბილის ბუჩქებს ბროწი ნაყოფი შრავლად შერჩენოდა ტოტებზე და ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა, რომ ბესიკმა ვეუარ მოითმინა და ცხენიდან ჩამოხტა. ანამაც მიბაძა და ორივემ ხალისიანად დაუწყეს კრეფა თბილს. ანა ზღმარტლის ბუჩქს წააწყდა. ბუჩქს მწიფე ნაყოფით ტოტები მთლად დახუნძლოდა. მისწვდა რამდენიმე ცალი მოწყვიტა, ბესიკს მიუახლოვდა, ყველაზე კარგი ზღმარტლი აარჩია, ჯერ თითონ მიიღო ტუნზე, თითქოს ეამბორა, მერე ბესიკს მიადო ტუნებზე.

— ჰამე, — უბრძანა მან ბესიკს, როდესაც დაინახა, რომ ის გაკვირვებული უცქეროდა და პირი მოეკუმა.

— ესე არს ხე კეთილისა და ბოროტისა? — გაიცინა ბესიკმა.

ფოთლები კვლავ ფარფატებდნენ ჰაერში და ფეხებში ჩაფენილ ნემოს შრიალი გაჰქონდა.

პირველი წიგნის დასასრული

ბალაზოზონი

მგჳრის სანაპირო

★

აღარ ასკდება ნაპირებს ჯავრით,
გზა არ ეშლება, არც ეეჭვება, —
ქალაქში მშვიდად წეშოდის მტკვარი
და მაგარ კედლებს ეაღერსება.

მარჯვნივ ბაღნარი სხივმოფენილი,
მარცხნივ — სავარდო და საბაღნარო,
ტალღა ფრთხილად წამოფრენილი,
რომ აღტაცება ჩვენ მოგვახაროს.

ზღუდე ამოჰყავთ დარჩეულ ბიჭებს,
მკლავის ძალა რომ შესწევთ უღევი, —
ხელსაწყოებით მდინარის პირზე
ჩამდგარან როგორც მებაღურები.

ეს მობიბინე სანაპირონი
ახლა ბეტონით შეჯავშნულია,
და რომ არ ექო თბილისი, მგონი,
ისე ტალღასაც არ ჩაუვლია.



გმირთა სისხლით *



შუალამე იქნებოდა, როცა მე და იოსებ ტოუტმა შტაბში საქმეები დავამთავრეთ და დასაძინებლად დავწექით. ძილის წინ ტოუტმა თავისი ოჯახი გაიხსენა, ლაპარაკში შეუმჩნეველად ჩაგვეძინა. უეცრად რაღაც ხმაურმა გაამადვიძა. ავახილე თვალი, ტოუტი ძილში ლაპარაკობდა: ველარ მიცანი, ბიჭო, მე ხომ მამაშენი ვარ, აბა მოდი აქეთ, რას გამირბიხარო, — ეუბნებოდა ის ალბათ თავის პატარა ბიჭუნას. ძილშიც ჩაპყლოდა იოსებს თავის ოჯახის ამბავი. მეც ფიქრმა წამილო, ძილი დამიფრთხა, ბევრი ვიტრიალე, მაგრამ აღარ დამეძინა. წყოს პაპიროსი გავახვიე და გავაბოლე, ის იყო ვიღაცამ კარებს მაგრად დაუაკუნა. ვინ ხარ-მეთქი, — შევეკითხე უღრრო სტუმარს.

— გუშავი განსაჯარ, ამხანაგო მე-თაურო!

— რა მოხდა?

— ცხენოსანი მშვერავები დაბრუნდნენ, ამხანაგო, თან ტყვე პოლიციელები მოიყვანეს.

— კარგი, მოვალ, — გავძახე გუშავს და საჩქაროდ ავდგიქი, მაზარა წამოვი-სხი და ფრთხილად გამოვიდი კარში, ტოუტს მოვერიდე — ძილი არ დავუფრთხო და ტკბილი სიზმარი არ ჩავუშალო-მეთქი. საგუშავგოში ხუთი პოლო-ნელი პოლიციელი დამხვდა. მკლავზე ყველა მათგანს თეთრი ნაჭერი ჰქონდა შემოკრული. „შუცმანი“ ეწერათ ნაჭე-რზე.

— ჩამოგლოჯე ეგ ძონძები, რალს უციდ? — შევძახე გუშავს.

გუშავმა ჩემი განკარგულება რომ შეასრულა, მერე პოლიციელებს მო-ვუბრუნდი და ვკითხე თუ რატომ ასე ძლიერ უფრთხილდებოდნენ ამ იარ-ლიეს.

ხნიერმა პოლიციელმა დინჯად გან-მიმარტა:

— პან, ეს წესრიგის დაცვის გომოხა-ტველი ნიშანია.

— ჯანდაბას შენი თავიცა და შენი პანებიც... შენ ეს მითხარი, რა წესრი-გზე ლაპარაკობ, რას იცავთ თქვენ?

— როგორც საზოგადოდ პოლი-ციელს მოეთხოვება, საზოგადოებრივ ძყუდროებას ვიცავთ, ქურდ-ბაცაცებს ვებრძვით...

— გერმანელებმა მოგანდვეს ეს საქ-მე? — შევეკითხე მოხუცს:

— დიახ, პან, გერმანელებმა...

საგუშავგოს უფროსს ვუბრძანე პო-ლიციელები საპატიმროში მოეთავსები და ილიით ადრე მოეყვანა დასაკით-ხად.

— ხომ მშვიდობით დაბრუნდით, ხი-ფათი ხომ არაფები შეგემთხვიათ? — შე-ვეკითხე მზვერავეებს.

— არა არცერთი მებრძოლი არ და-გვიკარგავს, ამხანაგო მეთაურო, უზენ-ბლად დავბრუნდით ყველანი.

— დავით ილიასძე, — მეუბნება მზვერავი, — მოგხსენებათ, რომ ჩვენ აქედან გამხდარი ცხენებით წავედით ახლა კი ხედავ, ბედაურებით დაებრუნ-დით!

— მერე სად იშოვეთ ეგ ცხენები?

— პოლონელი პანების საჯინიბოე-ბიდან წამოვიყვანეთ!

— პატრონებს წინააღმდეგობა არ გაუწვევიათ?

— ამჟარად წინააღმდეგობის გაწევა — არ უციდიათ; თუმცა ისეთი ბორკო-ლები დაედვათ ცხენებისათვის, რომ ძლივს შეიქვლით მათი დამტვრევა.

— ხალხმა რა თქვა ამაზე?

— როგორც ყველგან, გლეხებსაც არც აქ უყვართ მემამულეები. თვითონ გლეხებმა წაგვაქრეს, გვასწავლეს რო-მელ მემამულეს ჰყავდა ყვილაზე კარგი ცხენები.

— სხვა ახალი ამბავიც მოვიტანეთ ამხანაგო მეთაურო — ამბობს მეორე მწვერავი, — გერმანელები პირველად რომ შემოიჭრნენ აქ, მაშინ სოფლებში და ქალაქებში ქუჩები ახალი სახელები დაარქვეს. იყო, მაგალითად, პიტლერის, ვებელსის, რიბენტროპის ქუჩები... დღეს კი პოლონელები უკვე ამჟამად ხსნიან ამ წარწერებს, იციან, რომ ფაშისტების დღეები დათვლილია.

მთავარმა შტაბმა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ სტალიანი ვოლიან რაიონში მტრის საარტილერიო იარაღის დამამზადებელი დიდი ქარხანა მუშაობდა. იგი მიუვალ ადგილას, დაბურულ ტყის სიღრმეში იყო მოთავსებული და რკინა-ბეტონის სიმაგრეებით იყო შემოზღულდული. იქვე მდინარე სანის გამოღმა ნაპირზე, სოფელი სუდონის ახლოს წყალსაქაჩი და ელექტრო-სადგური მოეწყობა. აი ამ ქარხანას დაემდინენ აქამდე ჩვენი მწვერავები, მის აღმოსაჩენად ყოველ ღონეს და საშუალებას მიმართავენ ვერშიგორა. შტაბს ცნობები ამ ქარხნის შესახებ მწვერავმა კაშიციმ მიაწოდა.

ვახილ ალექსანდრესძე კაშიცი, პროფესიით სახალხო მასწავლებელი, იყო. ის ჩვენთან 1943 წლის ზამთარში მოვიდა, იმ დროს როდესაც ჩვენი შენაერთი სადგურ დემინის ასაღებად მიდიოდა. კაშიციმ ამ ოპერაციის მიხედვით მონაწილეობა და როგორც მწვერავმა, თავი ისახელა. ამ ბრძოლის შემდეგ ის პარტიზანთა რიგებში ჩარიცხეს. მან, როგორც სანიმულშო კომუნისტმა და მებრძოლმა მალე საერთოდ მოხდა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

კაშიციის გამჭირახობამ და წინდახედულობამ დაზვერვის საქმეში მალე შენაერთის ხელმძღვანელი ამხანაგების საერთო ყურადღება მიიქცია. ამიტომაც იყო, რომ კაშიცი მუდამ რთულ ოპერაციებზე იგზავნებოდა. სადაც სხვა მწვერავი ვერ გაერკვეოდა, კაშიცი იმ საქმეს ადვილად ჩაწვდებოდა, საკითხს საფუძვლიანად შეისწავლიდა და გადაჭრიდა. ახლაც, ამ შემთხვევაშიაც, როდესაც ქარხნის საკითხით დაინტერესებული იყო მთელი შენაერთი, ყველას თვალი კაშიცზე იყო მიპყრობილი.

„იმ ქარხანას ისევე კაშიცი აღმოაჩენსო“, — ამბობდა ყველა რიგითი პარტიზანიც და მეთაურიც.

მაგრამ კაშიციისაც კი გაუძნელდა ამ ქარხნის პოვნა. გერმანელებმა გაიგეს, რომ ჩვენი შენაერთი თავდაპირველად დაეძებდა ქარხანას, მტერი ამ ამბავმა შეაშფოთა, ფეხზე დადგა გესტაპოც, თავისი აგენტები აამოქმედა, ისინი პარტიზანებისათვის გზის ასაბნევად ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ.

საიდუმლო ქარხნის შესახებ ჩვენს შტაბს მრავალი ზეპირი ცნობა და წერილობითი მოხსენება მოსდიოდა, მხოლოდ მთელი ეს ზღვა მასალა ვერაქვევლობას მოკლებული იყო. „ფიქრობ, ეს ასეა“ — ეს ცნობები საექვო არ უნდა იყოს“, „ქარხანა იქ იქნება“ — ასეთი იყო მწვერავთა წერილობითი მოხსენებების დასკვნები. ეს ცნობები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ერთხელ მწვერავებმა შტაბში რაღაც მოწმობა მოიტანეს მასში აღნიშნული იყო:

„ამის წარმომდგენი ტადეუშ ლიასკოვსკი — ფაბრიკის უფროსი მუშა-ფაბრიკა თავდაცვის საქმეს ემსახურება და ის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ამიტომ ლიასკოვსკის ორი ძროხა, ცხენი და სხვა რქოსანი პირუტყვი არ ჩამოერთმევა“. ცნობას ხელს აყრდა სოფლის სტაროსტა. ბუჩებრივია, რომ ცნობამ ყურადღება მიიქცია, ატყდა მითქმა-მოთქმა, ამბობდნენ რომ ეს ის ქარხანაა, რომელსაც ჩვენ დავეძებდით, მაგრამ მალე კვლევამიებით დადასტურდა, რომ საიდუმლოებით მოცულ ქარხანასთან, რომელსაც ჩვენ დავეძებდით, ამ ცნობას არაფერი საერთო არა ჰქონდა. ამ ქარხანაში ხის კოფრებს ამზადებდნენ.

კაშიციის ჯგუფი დაზვერვაზე წასულიყო, სამი დღის ვადით. მან კი ხუთი დღე დააგვიანა. ყველა პარტიზანი მოუთმენლად მოელოდა კაშიციის დაბრუნებას. დიდი ლოდინის შემდეგ კაშიციც გამოჩნდა. ვერშიგორამ იგი მამოხვე იხმო შტაბში; შემოვიდა თუ არა კაშიცი შტაბში, პეტრომ გვერდით მოისვა. კაშიციმ აუჩქარებლად უაბო ყველაფერი. გულის ფანქვალით მოელოდა ვერშიგორა, ქარხანაზე თუ რამეს იტყვის კაშიცი, მაგრამ ამაოდ, ის საინტერესო ობიექტზე კრინტს არ ძრავდა, თითქოს დაეწყებოდა მას ეს დიდმნიშვნელოვანი დავალება.

კაშიციის ლაპარაკი არ დაეშთავრებინა, რომ ვერშიგორამ წარმოსთქვა: „ამხანაგო კაშიცი, რატომ ქარხანაზე

არაფერს ამბობ, ნუთუ ვერ მიაგენი მის კვალს?*

— არა, არც ასეა საქმე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — სთქვა კაშიცკიმ და გაიღიმა.

— როგორ?! — შეეკითხა მას ვერშიგორა.

— ის ქარხანა არ დამვიწყებია... აი აქ არის მასალები, — დაქარა მან ხელი სავეს ჩანთას. შტაბში მყოფი ადგილებიდან წამოიშალენ, კამიციის შემოვლები და სმენად იქცნენ.

— თქვი, დროზე, რა იცი, რა გაიგე? — მიმართავენდენ კაშიცკის ამხანაგები.

— ყველაფერს მოგახსენებთ: საპი დლე და ლამე ტყეში ვისხედით. მტრას მწვერავეს, მათს დაგეშოილ ძალებს თავს ვარიფებდით. ვინ მოსთელის რაჟენი სოფელი შემოვიარეთ, მაგრამ ქარხანაზე უბრალო ცნობაც ვერ მივიღეთ. პირადად მე ვესაუბრე სოფლებში გლეხებს, მოსამსახურე პირებს, მაგრამ ამოდ. ვერაფერი გავიგეთ, მე-რა სოფელ სულოლში გადავინაცვლეთ და შევისვენეთ. ეს სოფელი მდინარე სანის ნაპირზე მდებარეობს. სოფელში მისვლისთანავე პირველ ქოხში შევედი. დიასახლისი გულუხვად გაგვიმოსპინძლა რძით და ნალებით. აქ ჩემი ყურადღება მაგიდაზე დაწყობილმა ქაღალდებმა მიიქცია. საზოგადოდ უხერხულია სხვის ქაღალდებში ცქერა და მისი სინჯვა. მაგრამ მწვერავეს ხვედრი ისეთია, რომ ის ვალდებულია მხედველობიდან არაფერი გამოჩინოს... ეს მწვერავეს პირველი მოვალეობაა. დაგაცქერდი ქაღალდს, შევამჩნიე, რომ ეს საშუალები იყო და მასზე 13094 ნომერი იყო აღნიშნული. საშუალები ქარხნის მიერ იყო გაცემული... კიდევ უფრო დავინტერესდი. ვიფიქრე ეს საშუალები უთუოდ სახლის პატრონისაა-მეთქი. ნომერი 13094! მამ იმ ქარხანაში ცამეტ ათასზე მეტი კაცი მუშაობს, ასეთი დიდი ქარხანა სოფლად სხვა რა უნდა იყოს, თუ არა სამხედრო დანიშნულების ობიექტი. მაგონი ვპოულობთ იმას, რასაც დავეძებთ-მეთქი — იმედინად გავიფიქრე გულში.

— თქვენი მეუღლე სად არის ამ ეამად? — შევეკითხე დიასახლისს.

— წასულია, დღით სახლში არასოდეს არ არის!

— მაღე თუ დაბრუნდება?

— ოი, ნუ კითხულობთ, ხშირად ნაშუალამეს მოდის.

— ჩვენ მისი ნახვა გვინდა, შემსთან ვართ მოსული.

— თუ მოთმინებას არ დაქარგავთ, დაუცადეთ.

— დაუცადით, — ვუბასუხე ქალს. შეწუხებისათვის ბოდიში მოვიხადე, მწვერავეები კარში გავისტუმრე და ყოველ შემთხვევისათვის სახლის მახლობლად ჩავასაფრე.

ლაშის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა გამოჩნდა ის, ვისაც ველოდით. ჩემს დანახვაზე სახლის პატრონი შეკრთა და დაიბნა, ძლიერ წაილულულა: „დიდი სალაში და გამარჯვება, პან“ მე მადლობა გადაუხადე: „ნუ გეშინია, ჩვენ შენი მტრები არა ვართ-მეთქი“, ვუთხარი მასპინძელს. ცალკე ოთახში გავიყვანე და გრძელი შესავალის შემდეგ გამოვეტყდი ვინც ვიყავი, და რა მაინტერესებდა... „ადრე თუ გვიან ის ქარხანა უნდა ვიპოვიო“, ვუღბნენი მას. მე ვიცი, რომ ახლა თქვენი იმ ქარხნიდან მოხვედით, ისიც ვიცი, რომ იქ ცამეტი ათასზე მეტი კაცი მუშაობს, და ის, რომ ქარხანა სამხედრო დანიშნულებისაა.

ეტყობა ამ მუშამ კარგად იცოდა, რომ გერმანელები ომს აგებდნენ, მათი არმია იშლებოდა... ამ გარემოებაშიც შემიწყო ხელი და მასპინძელმა მითხრა ის რაც მაინტერესებდა.

კაშიცკის ამ უკანასკნელ სიტყვაზე შტაბში მყოფნი შეტორტმანდენ, ურიამული ატყდა, ვერშიგორამ წვერზე მოვიღო ხელი და თითებიტ სასწრაფოდ ჩაივარცხნა.

— განაგრძეთ! — მიმართა მან კაშიცკის.

— დიან, იმას მოგახსენებდით, ყველაფერს გამომიტყდა ეს კაცი: ქარხანა სამხედრო დანიშნულებისააო, მითხრა, ის საარტილერიო იარაღს ამზადებსო. ულარნი ტყე აკრავს ირგვლივ, რკინაბეტონის სიმაგრით არის გარს შემოზღუდული, მას გაძლიერებული მცველთა რაზმი იცავსო. ქარხნის არსებობაზე გარეშე პირებს წარმოდგენა არ აქვთ, ამ საიდუმლოებას გერმანელები თავგამოდებთ იცავენო, — მითხრა მან.

— დაახლოვებით რამდენი კილომეტრით იქნება თქვენს სოფელზე დაცილებული ის ქარხანა? — შევეკითხე მუშას.

— შეიღირვა კილომეტრი იქნება აქედან.

— სხვა წარმოებასთან ზომ არ არს ქარხანა დაკავშირებული?

— ის დაკავშირებულია. მხოლოდ ელექტრო სადგურთან და წყალსაქონთან, ერთი ენერჯის აწვდის, მეორე წყალს. ეს ობიექტები ორი კილომეტრითაა ქარხნიდან დაშორებული, მდინარე სანის ნაპირზე მდებარეობს ერთიც და მეორეც.

— ვინ არიან ეს ცამეტი ათასი მოსამსახურე? — შევეკითხე მუშას.

— უმთავრესად ტყვეები... ტყვეობითაც ამ ქარხანაში მოხდებდა, უკან ცოცხალი ვერ დაბრუნდება, მას სიკვდილი მოეღოს.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, ახლა ის-და დავგრძეობდა, რომ ქარხნის მდებარეობა, მისი სიმაგრეები და საერთოდ მისი თავდაცვა ზუსტად შემიქნა. ესეც შევიძელი, ყველა საჭირო ცნობა ჩემს ხელთ არის.

ყველაფერი გარკვეული იყო, დამატებითი შესწავლა საქმეს არ სჭირდებოდა, საიდუმლოებით მოცული ქარხნის ადგილმდებარეობის მოსინჯვა იყო საქირო.

— საქმე გადადებას არ ითმენს, — წარმოსთქვა პეტრომ, — მოსალოდინე ღია დღეს, თუ ხელ მტერმა გაიფოს, რომ ქარხნის კვალს მივავნეთ და თავდაცვის თადარიგისგანა გააორკეცოს, ამიტომ ქარხნის სალიკვიდაციოდ ზომები საჩქაროდ უნდა მივიღოთ. მე ვფიქრობ რომ საქმათა ელსადგური და წყალსაქონი გავანადგუროთ და ქარხანა თავისთავად გამოვა მწყობრიდან. ჩვენს ხელთ არის ცნობა, რომ ქარხანაში ცამეტი ათასზე მეტი კაცი მუშაობს სამცხლად, ამიტომ ქარხნის განადგურებაზე ხელი უნდა ავიღოთ... ქარხანასთან ერთად ზომ მუშებიც დაიღუპებიან. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მუშები უვნებლად გადაჩინდნ. ელსადგურისა და წყალსაქონის განადგურება კი ქარხნის მუშაობის შეწყვეტა იქნება... ვიმეორებ, დრო არ ითმენს, ქარხნის, სალიკვიდაციოდ საჭიროა მეტროლოთა ჯგუფის გამოყოფა და საჩქაროდ ადგილზე გაგზავნა. ოპერაციის ხელმძღვანელობა ამხანაგ ბაქრაძეს ეკისრება. ამხანაგად ავით, გაიმზადეთ, ერთ საათში ბრძანებას ჩაგაბარებთ!

შტაბში სახელდახელოდ ბრძანება დაიწერა. იგი ითვალისწინებდა ელსადგურის და წყალსაქონის მწყობრიდან გამოყვანას. ეს დაეღებო ჩემს წაწილს უნდა შეესრულებინა, ამასთან ერთად მეოთხე ასეულოდან გამოყოფილი ორი ოცეული, ორმოცდახუთ მილიმეტრიანი ქვემეხი და საარტილერიო ბატარია (ტიუმოვის მეთაურობით) ჩემს ჯგუფს შემოუერთეს. ოცდაერთ საათზე ადგილიდან უნდა გაესულიყავით. მარშრუტი ასეთი იყო: იარონიცი, დზიარი, სლომიანი და პიშნიცი. ამ უკანასკნელ პუნქტში ღამის სამ საათზე უნდა ვყოფილიყავით. ადგილზე მოსვლისთანავე, საბრძოლო მოქმედება უნდა დაგვეწყუო. მე უმაღლესი მამკრობის სამხადისს შეეუღდექი. მეთაურები შევყარე და გავაცანი შტაბის გარეწყვეტილება, თან ბიჭები გავამხნევე. სხვათა შორის წინამდებარე ოპერაცია მეტად სახიფათო იყო, ბოლო ხანებში ასეთი ძნელი ოპერაცია აღარ ჩაგვიტარებია. ახლა კი ჩვენ მტრის რეგულარული ჯარის ნაწილებს უნდა შევბრძოლებოდით. ამიტომ მეც საგანგებოდ ვამზადებდი მეტროლოებს, ესინჯავდი იარაღს, ქვემეხებს, ყუბბარების მარაგს.

ხსენებული საბრძოლო ოპერაცია მართო ჩემი ჯგუფის მოქმედებით როდი ამოიწურებოდა. ბრძანების თანახმად მესამე ბატალიონის ასეული, პოდკოვას რაზმთან ერთად, იმ მომენტში, როდესაც ქარხნისათვის ბრძოლა გაჩაღდებოდა, ქალაქ ულიანოვზე უნდა მიეტანა იერიში და აეღო იგი. ქალაქის გაკავებასთან ერთად მათ ხელთ უნდა ეგდოთ ე. წ. „სადარაჯო ენოსი“ და სურსათის საწყობი. ეს ოპერაცია სადემონსტრაციო ხასიათისა იყო.

ბრძანებით გათვალისწინებულ დროს გავემგზავრეთ დავალების შესასრულებლად. ვერშიგორა გზაზე შემხვდა. მწყობრიდან გამოშობა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გამარჯვება მისურვა. დამშვიდობების შემდეგ ისევე გზას გავეუღდექი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენთან ერთად თავისი რაზმით მოდიოდა ნაცადი მეთაური, ჩვენი მეგობარი, პოლონეთის ყველა კუთხის ზედმიწევნით მცოდნე, ამხანაგი პოდკოვა.

— მე სულდონში ნამყოფი ვარ, ამ სოფლის ადგილმდებარეობას კარგად

ვიცნობ, დაახლოებით წარმოდგენილი მაქვს სად იქნება ელსადგური და წყალსაქაჩი, მხოლოდ ქარხნის არსებობა არ ვიცი, — მეუბნება პოლკოვნიკი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ეგებ მოვახერხოთ და ელსადგურის მუშები ვაფრთხილოთ ბრძოლის დაწყებამდე... დაე, დროზე დასტოვონ იქაურობა.

— ეს ჩემზე იყოს, მე შევძლებ ვაფრთხილებას, რაზემის პირით ვაცნობებ მათ, რომ დასტოვონ სადგური.

უკვე სოფელ სუდონში ვართ. ღამეა, ისე ბნელა თითს თვალთან ვერ მიიტან; სოფელს გვერდი ავუარეთ და ტყეს მივაშურეთ.

— ხედავ, ამხანაგო მეთაურო, აი იქ, ჩრდილოეთით, შორეულ ჰორიზონტზე თითქოს რაღაცა ბეჭტავს, — მეუბნება კაპიტანი, — უთუოდ მანდ არის ის ელსადგური, ეგ სხვა რა იქნება, თუ არა ელექტროსუქი!

გეუბნის ჩრდილოეთისაკენ ავიღეთ, ვაფრთხილოთ ორი-სამი კილომეტრი თუ არა, ელექტროგენერატორის გუგუნე ჯერ ყრულ და შემდეგ გარკვევით გავიგონეთ.

— ესეც ელსადგური, — ამბობს კაპიტანი, — წყალსაქაჩიც მანდვე იქნება. ელსადგურის პირისპირ, გორაკზე ქვეშეხების ბატარეა დაედგით. მერე ბრძანების შესაბამისად ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ, მებრძოლებს თავთავისი ადგილები მიუჩინეთ.

კაპიტანს და პოლკოვანს მუშების ვაფრთხილება მოეწონათ. ქვეშეხებმა იგრიალეს, და ტყის მყუდროებაც დაირღვა. პირველი გასროლა უშედეგო აღმოჩნდა, ელექტროსადგური ისევე გუგუნს განაგრძობდა, სჩახდა ყუმბარებმა მას თავზე გადაუარეს.

საჩუქროდ გამოვიძახე საარტილერიო ჯგუფის მეთაური კომკავშირელი სავუშკინი, ვუბრძანე გამოეგორებინა წინ ქვეშეხი და პირდაპირი დამინებებით ელსადგური გაენადგურებინა.

სავუშკინმა ჩემი განკარგულება სწრაფად მოიყვანა სისულელეში, ათი წუთი არ გასულა ელექტროსადგურის შენობა ჩამოინგრა, მის სახურავზე ცეცხლის ალი აფარდა. ქარხნის ადგილმდებარეობის ძებნა არ დაგვიკრებია. ქარხნის მცველებმა უწყისრიგოდ სროლა ატეხეს, ჩვეც ამ ნიშნით ვისარგებლეთ და ათამდე ყუმბარა გავისროლეთ ქარხნის მიმართულებით. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ქარხნის დანგრევა არ

გვექონდა გათვალისწინებული, ვისროლილმა ყუმბარებმა ქარხანას თავზე გადაუარეს, ყოველივე ამან მოცველებების პანიკა გამოიწვია. *გენერალის ბრძანება*

ჯერ ღამის ბურჟის საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი როცა კაპიტანი რამდენიმე პარტიზანის თანხლებით, განადგურებული ელსადგურის სანახავად გავგზავნე. პარტიზანებს თვალწინ ასეთი სურათი დაუდგათ ელსადგურის და წყალსაქაჩის შენობების ნანგრევებზე აქა-იქ ცეცხლი ისევ ბოლავდა, ქარხნის მიმართულებით სიწყნარე იყო. ბაიბურე არ იმყოფდა, ელექტროსადგურის განადგურებასთან ერთდროულად ქარხნის მოქმედებაც შეწყვეტილიყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ქარხნის მასაზროვებელი ანტერია დაინგრა და ქარხნაც გაუქმდა.

როგორც შემდეგში გავიგეთ ჰიტლერელების საავიარო კომისიას თითქმის ოცი დღე ემუშავნა ელსადგურზე და შეუძლებლად იცნოთ მისი აღდგენა. ამიტომ იყო, რომ ქარხნის დაზღვები დაშალეს და გერმანიაში გაზიდეს.

მეორე დღეს, დილით ადრე, მეკავშირე მოვიდა ჩემს ბინაზე და მაცხობა — შტაბში შენაერთის გაერთიანებული პარტიულ-კომკავშირული კრებაა ამ დილით მოწვეული და უნდა დაესწროთ.

ამხანაგები გააფრთხილეთ კრებას დასწრებოდნენ. ისინიც მართლაც უკლებლად მოვიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიზანების პარტიული კრებები ყოველთვის გაცხოველებულად ტარდებოდა.

კამათში თითქმის უმრავლესობა დებულობდა მონაწილეობას. აზრების გაცვლა-გამოცვლას ჰქონდა ადგილი. აკრიტიკებდნენ მეთაურებს, რომლებიც ცუდად ხელმძღვანელობდნენ თავის ნაწილს, აღნიშნავდნენ ნაკლოვანებას.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა, ვერმიგორა, მან დაწერილებით განმარტა და გააშუქა, თუ რა გააკეთა ჩვენმა ნაწილმა სოფელ ბოროვეციის და ზამოსტის მიდამოებში დაბანაკებას დღიდან ამ უკანასკნელ დრომდე. ამასთან ერთად პეტრომ დასახა ღონისძიებები, თუ რა უნდა გაეკეთდეს შემდეგში, აღიპარაკა მოსახლეობაში ჩატარებულ შინაარსიან აგიტაციაზე, მის დადებით შედეგზე. შემდეგ ჩამოთვალა ჩვენი ბრძოლები დივერსიები, განსაკუთრე-

ბით დეტალურად შეიხზა ქარხნის აღმოჩენისა და განადგურების ისტორიას.

ჩვენ ყველანი კარგად ვგრძობდით, რომ ჰიტლერელები ვერ შეურიგდებოდნენ ისეთ დიდმნიშვნელოვან საპეტიტო ობიექტს მწყობრიდან გამოყვანას, როგორც იყო „სტარაია ელია“ გვიანტური საარტილერიო ქარხანა.

— ეს სოფელი საჩქაროთ უნდა დავტოვოთ, ერთ ადგილას ხანგრძლივად ჯდომა აღარ გამოგადგება, შურს იძებნენ ჩვენზე გერმანელები, ქარხნის დახრევას არ გვაპატიებენ, უთუოდ დავგედევნებოდა, — თქვა პეტრომ. ამჟამადვე ჩქარა ბრძანებაც ვაიცი აქედან წასვლის შესახებ.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ, საბჭოთა პარტიზანებმა მისკლისთანავე დავიმსახურეთ პოლონელი მოსახლეობას სიმპატიო და სიყვარული, ისინი — საესეებით სამართლიანად — თავიანთი ქვეყნის გამანათავისუფლებლებს გვიწოდებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ხედავდა, თუ როგორ შეაიწიროვა ჩვენსა შეხარტომა მტერი, ხედავდა თუ როგორ შეაშოთა მტერი ჩვენსა დივერსიებმა თუ აშკარა ბრძოლებმა, ხალხი ხედავდა, დღეს თუ ხვალ გერმანელები ბარგს შეკრავდნენ და შინ გაიქცეოდნენ.

კიდევ ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ: პოლონური პარტიზანული რაზმის მეთაური პოდკოვა ამიერიდან ისევე დამოუკიდებელი ბრძოლებში უნდა ჩაბმულიყო. მან ჩვენს შენაერთს დიდი სარგებლობა მოუტანა, მაგრამ ახლა უკვე ჩვენც სათანადოდ გავერკვიეთ ადგილმდებარეობაში. ამიტომ ვერშიგორამ გადაწყვიტა პოდკოვას რაზმი ისევე გამოეყო ჩვენს შენაერთიდან.

პეტრომ გამოძახა შტაბში იარაღის შემკეთებელი ოსტატი და წინადადება მისცა შეერჩია საუკეთესო ავტომატი, სრული წესრიგში მოეყვანა იგი და კონდაზში ჩაესვა ლითონის ფირფიტა, შემდეგი წარწერით: „საბჭოთა და პოლონეთის ხალხების კარგი მეგობრობას აღსანიშნავად — კოვბაკის პარტიზანებისაგან“.

ავტომატი ვერშიგორამ პოდკოვას მიტინგზე გადასცა და მას ასე მიმართა: „როცა საბჭოთა პარტიზანებმა პირველად ფეხი შემოედგით პოლონეთის მიწა-წყალზე, პირველ ხანებში გაუთვლავლობას ვიჩენდით, არ ვიცოდით როგორ შეგვხედებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამჟამად დროს ხალხის იმედა

გვექონდა და ეს იმედი საუკებთ გამართლდა. აქ ჩვენ, თქვენი სახით, მტერიც დასაყრდენი ვპოვეთ. დღეს მრალხონეთი დიდი და პატარა მოწადინებულნი თავის ქვეყნიდან გააძევეთ დამპყრობლები, მოძალადე ჰიტლერელები. ხალხი ერთსულღონეებას იჩენს, მარტო „კრავეა არმიას“ რიგებში გაერთიანებული გარეყრები ემზრობიან პოლონეთის დაუძინებელ მტერს, ცდილობდნენ გააჭიანურონ საქმე, არ დამწყონ ბრძოლა და ჩვენც ხელი შეგვიშალონ. თქვენ კი ამხანაგო პოდკოვა, თქვენი მისია ჩინებულად შეასრულეთ, ჩვენს შენაერთს დიდი სამსახური გაუწიეთ. შემდეგში თქვენ იმპროვიდებთ დამოუკიდებლად, დღეიდან საკუთარი გზით ივლით და მტრისადმი დარჩებით ისეთივე სასტიკი და უღმობელი, როგორც დღემდე იყავით...“

სიტყვის დასასრულს ვერშიგორამ პოდკოვას ავტომატი გადასცა.

მოკლე და მგზნებარე საპასუხო სიტყვაში პოდკოვამ ჩვენს პარტიზანებს მადლობა გადაუხადა: „ჩვენი ხალხი ვერ დაივიწყებს იმ ამბავს, რომელიც საბჭოთა ქვეყნის პარტიზანებმა დაგვედევით, პოლონელმა მოსახლეობამ თვალები გაახილა და მოკლე დროში მრავალი დივერსია მოუწყო ოკუპანტებს. ხალხმა იარაღი აიხსნა და ჭერაგ მტერს შეებრძოლა. პარტიზანული ბრძოლებს ტაქტიკა თქვენგან ვისწავლეთ, პატივცემული უფროსო! სიტყვას გაძლიერა, რომ მომავალში ივლით თქვენს მიერ მითითებულ გზით და ვიბრძობთ მანამდე, სანამდე უკანასკნელი გერმანელი ფაშისტი განადგურებული არ იქნება პოლონეთის მიწა-წყალზე.“

ასე გაეისტუმრეთ პოდკოვა, და ჩვენსა შენაერთმა სოფელ ციოსმაში გადაინაცვლა. ეს სოფელი ქალაქ ბელგორაიდან ათი კილომეტრით არის დაშორებული. სადაც კი მივდიოდით, პოლონეთის ყველა სოფელსა თუ ქალაქში, ნათლად ვხედავდით, რომ მოსახლეობის მოთმინების თვალა ავსებულყოფო, პოლონელები მზად იყვნენ მტრის წინაღობამდე იარაღით ხელში გამოსულიყვნენ, მაგრამ ხელმძღვანელი არსად ჩანდა. არ იყო აჯანყების მომწყობი და ორგანიზატორი. ლონდონში გაბიზნული პანების აგენტები ვინ მოსთვლინს რა საზიზოარ ქორებს არ ავრეკლებდნენ. ესენი ჰიტლერელების პროპაგანდისტების ფეხის ხმას აპყლოდნენ და მათთან

ერთად ჩასჩინებდნენ ხალხს: ფეხი არ შემოადგმევინოთ ქალაქებში და სოფლებში რუსეთის პარტიზანებს, ახლო არ გაიკაროთ ისინი. ვინც ჩვენს რჩევადარიგებას არ გაიგონებს, ის ბოლოს ინანებს: რუსეთის პარტიზანები საზრდოს წაგართმევენ, თითზე გადასახვევ ძაფს არ დაგტოვებენ. ჩვენ ხელთ გვაქვს უტყუარი ცნობა, რომ სადაც კი მივიდნენ საბჭოთა პარტიზანები, ხალხი ააწიოკისო.

მაგრამ მოსახლეობა როდი უჯეროდა ამ შორიკანა ავტატორებს, ყველა გრძნობდა, ეს ამბავი ემიგრანტების მოჩინებული იყო. სინამდვილეში ჩვენ სადაც კი მივიდოდით, ქალაქი იქნებოდა ის თუ სოფელი, ხალხი თანაგრძნობით გეხედებოდა. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა სულ უმნიშვნელო რამ საქონელი ისე გამოგვეერთმია, რომ ფული არ გადაგვეხადა.

ამრიგად, ჩვენ დავბანაკდით სოფლებში. პიტლერელებმა ესეც ჩქარა შეიტყეს და ქალაქ ბელგორაიდან აუარებელ ჯაშუშებს ჰგზავნიდნენ, მოსვენება აღარ იყო. მაგრამ ამ ჯაშუშებს აღვილად გამოვიცხოვდით ხოლმე. ბოლო ხანებში ყველა ბელგორაელი ჯაშუში ხელში ჩაგვივარდა. გაოცებულნი ჯაშუშები ასე ამბობდნენ: პარტიზანები ისე აღვილად გვატყვევებენ, თითქოს ზურგზე გვეწეროს ვინცა ვართო. საქმე ისე იყო, რომ მტრის გენტების გამოცნობაში თვითონ მოსახლეობა გვეხმარებოდა: გამოემგზავრებოდა თუ არა ჩვენსკენ გერმანელი ჯაშუში, ჩვენი მეთვალყურენი აღვლიდნენ ტელეფონით, თუ შიკრიკის შემწეობით მის ყველა ნიშანს გადმოგვცემდნენ და ამიტომ იყო, რომ სოფელში ფუტის შემოდგმისთანავე ვატყვევებდით მათ.

ბოლოს ჯაშუშებთან ეს დაუსრულებელი ბრძოლა მოგებურდა და ციოსმიდან სოფელ შელიგში გადავინაცვლეთ. ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, რომ არის სათქვამი, ჩვენზედ ახდა. შელიგში ჩვენი მისვლა და მტრის კალდაკვალ მოყოლა ერთი იყო. გერმანელების ნაწილი შელიგს შოადგა და ბრძოლა გააგვიმართა. მოწინააღმდეგე საზოგადოთ ღამის ბრძოლებს გაუარბოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ამასაც აღარ მოერიდნენ. შეტაკების დროს ჩემი ნაწილი პირველ რიგებში

იბრძოდა, კოლონის თავში იყო მოქცეული. ვერმიგორამ მე დამავალა მტრისაგან სოფლის გაწმენდა. აამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ვაიმართა.

ის-ის იყო გათენდა და გათავებდებულმა მტრმა უსისტიმოდ იწყო უკან დახევა. დილის ცხრა საათისათვის სოფელი მტრისაგან საბოლოოდ გაუწმინდეთ. ეს ამბავი შტაბს დაუყოვნებლივ ვაცნობე.

მართლაც დაუვიწყარი ღამე იყო. დილაზედ არცერთ პარტიზანს არ დაუტყვევია. ავტომატმოლოგილი დარბოდნენ ისინი ეზოებსა და ქუჩებში. ცას წვდებოდა ჩვენი ვაშას ყიყინა. მუსრს ავლებდნენ გაქცეულ მტერს პარტიზანები. პიტლერელთაგან ზოგმა გაქცევაც ველარ მოასწრო. საათობით გარიხდულენი ისხდნენ საბატებსა და საქათმეებში შემძვრალი გერმანელები. ამ სურათის მხახველი პატარა ვასია მიროშკინი არაჩვეულებრივი მხიარული იყო. იგი ხბოსავით დაკუნტრულბოდა საქათმესაბატეების ახლო-მანლო.

— აქ არის, აქ სად შემძვრალა ხედეთ! კარში გამოდით კარში, გამოდით-მეთქი, გეუბნები! — მიმართავდა პატარა ვასია საბატეში დამალულ გერმანელს და ავტომატს მოუღერდა. ამ ნადირობის დროს ბავშვი კისკისებდა, სიხარულის ცრემლები სდიოდა.

— ვასია! — ვუთხარი პატარა მიროშკინს, — დღეს შენ არაჩვეულებრივი მხიარული ხარ, თან ბიჭის დახტიხარ, ფრთხილად იყავი ხომ ხედავ რა განუკითხაობაა. სოფელი ჯერ კიდევ არ არის გაწმენდილი მტრისაგან, სიფრთხილე გმართებს!

— ეხ, ამხანაგო მეთაურო, სამწყებლად გარს შემოვლებული მტრის თავდაცვაში შემძვრალვარ, იქ ორი-სამი დღე დავრჩენილვარ და შემდეგ უვნებლად ნაწილში დავბრუნებულვარ. საქათმეში და საბატეში თავშეფარებული ფრიცები აბა რას დამაკლებენ?

— ფრთხილად ჩემო, ვასია, ფრთხილად იყავი, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანეს!

— დარიგებისათვის მადლობელი ვარ, ამხანაგო მეთაურო, ფრთხილად ვიქნები! — თავაზიანად მითხრა ეს უკაიასკელი სიტყვები პატარამ და ისევ სიბილით გზას გაუდგა. ბავშვს თვალი გაეყარა და თან გამედიმა: ამ პატარა

ბიჭუნას მართლაც რამდენჯერ უხსნია ჩემი ასეული განსაცდელისაგან, რამდენჯერ შენაერთის საერთო დაელება მას პირნათლად შეუხსრულებია.

— ამხანაგო მეთაურო! — მიიხრა ამ დროს ოცეულის უფროსმა დიანოვმა, — შემოწმების შედეგად მოგახსენებთ, რომ მტრისაგან საბოლოოდ გაწმენდილია სოფელი.

— არ ეძარა ერთხელ შემოწმება, ამხანაგო დიანოვ, სოფლის ყველა კუნძული გასინჯეთ, არ ჩაგრჩეთ სადაეზერეულში ხელთყუმბართი ჩამჯდარი მტერი.

— კიდეც და კიდეც შევამოწმებთ, ამხანაგო უფროსო! — თქვა ოცეულის მეთაურმა, ხელე ამილო, ფიცხლავ შეტრიალდა და გზას გაუდგა.

ცხენოსანი პარტიზანები ქუჩებში ცხენებს კვლავ დააგროვებდნენ.

სოფლის ერთ უბანში ავტომატის ჯერის ხმა გაისმა, და ხმას რამდენაიმე ავტომატი გამოეხმაურა.

— ნუ მოკლავთ, ცოცხლად დავიჭიროთ! — გაიძახოდნენ პარტიზანები და თან პატარა ქოხს ალყაში იქცევდნენ.

— რა ამბავია, რა მოხდა, ვინ არის იმ ქოხში? — ვიკითხე. ამ დროს დაერინახე, რომ ფარაჯაზე გაწოლილი ცხენდარს ჩემსკენ მოასვენებდნენ პარტიზანები.

— ვასია მოგვიცლეს, ამხანაგო მეთაურო, საბრალო ბავშვი! მერე რა უბრალო შემთხვევაზე წააგო თავი! — მეუბნება დამწუხრებული პარტიზანი. გავიგონე ეს სიტყვები და ერთ ადგილზე გავქავდი, ვეზდავ ის არის, ჩემი ვასია, ჩემი ერთგული გუშავი. გულამომჯდარი, გაფთხრებული ვდგევარ, ვგრძნობ, რომ თვალები მიწვის, ცრემლი მერევა. ქუდი მოვიხადე. «ვინ მოჰკლა. რა მოუვიდა ამ საცოდავ ბავშვს!» — შევევითხე პარტიზანებს.

— აი, იმ ქოხის სახურავზე, — პარტიზანმა თითი ქოხისაკენ გაიშვირა, — გერმანელი ყოფილა დამალული, ბავშვს ავტომატით ხელში ქოხის წინ ჩაუვლია, როგორ წარმოიდგენდა ეს საბრალო. თუ რა უბედურება მოელოდა! პიტლერულმა მას სახურავიდან ავტომატის ჯერი დაახალა და წუთისოფელს გამოასალმა. ბავშვს მჯავა გავუსიხავე, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. თვალების უბეები ცრემლით ჰქონ-

და სველი. ოცი წუთის წინ, სწორედ აქ, იმ ადგილას, სადაც მისი ნეშტი ესვენა, დახტოდა და კისკისებდა სიცოცხლით სავსე ცქრილა ბავშვი.

— ვასია მოუკლავთ, ვასია მოუკლავთ! — იძახდნენ ყოველი მხრიდან მოსული პარტიზანები. ცხედრის ირგვლივ წრედ იდგნენ ქანდაკებასავით გაქვავებული ქუდმოხდილი მებრძოლები.

— სად არის ის ავაზაი, ვინც ეს მოკლა? — ვიკითხე. მოხუცმა პარტიზანმა ფეხი წინ წამოდგა. «ამხანაგო. მეთაურო, გვინდოდა მკვლელის ცოცხლად დაჭერა, მაგრამ არ მოხერხდა, ისკუბა სახურავიდან იმ ძაღლმა და პეპელასავით გადაფრინდა. იძულებული ვიყავით მოგვეკლა, თორემ შეიძლება სულაც წასულიყო»...

მთელმა შენაერთმა უმალ გაიგო ვასიას დაღუპვის ამბავი, სინანულს გამოთქვამდა დიდი და პატარა, შეშფოთდა ვერშიგორაც „ნუ-თუ მართლა დაეკარგეთ სანიმუშო მეკავშირეო“, იკითხა მან.

ცხენდარი შტაბის მახლობლად, მალაი ნაძვის ძირში, სამხედრო წესრიგით დავასაფლავეთ. სასაფლაოზე ხის ძეგლი აღმართეთ, წარწერით: «აქ გახისვენებს ჩვენი პატარა ვასია მიროშკინი, კოვბაკის სახელობის პარტიზანების შენაერთის მოკავშირე».

უპატრონოდ დარჩა ბავშვის ცხენი; როგორც მკითხველმა უკვე იცის, ეს ცხენი ვასიას უკრაინის ერთ სოფელში გლეხმა აჩუქა. «დამთავრდება ომი და ჩემს ბაჩას დიდის მადლობით პატრონს დაეუბრუნებო», — ამბობდა ბავშვი.

ვასიას ტოლებმა, შენაერთის მეკავშირეებმა გადაწყვიტეს პატივი ეცათ ამხანაგისათვის, ომის დამთავრების შემდეგ აესრულებინათ ვასიას ანდერძი, ცხენი უპატრონისათვის ჩაებარებინათ. არც ვასიას მეგობრებს გაუმართლდათ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რკინიგზის გადასარბენზე ცხენი ავტომატის ტყვიებმა დაცხრილეს.

პარტიზანული ბრძოლების მატანე აუცილებლად აღნიშნავს, თუ რა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს შენაერთს პატარა მეკავშირეებმა. მხარლამხარ იბრძოდნენ დიდებთან ერთად კომკავშირეები და პიონერებიც კი. ისინი დაზვერვის დარგში სასწაულებს ახდენდნენ.

XIX

სოფელ შელიგში მწვერავებმა ჩემთან ტყვეობიდან გამოქცეული ოცდაათი წითელარმიელი მოიყვანეს. მწვერავების მეთაურმა მითხრა, ტყეში წავაწყდით ამათ და თან წამოვიყვანეთო. საწყლები ძონქებში იყვნენ ჩაცმულნი, ტიტველი სხეული უჩანდათ, საშინლად გამბდრები იყვნენ, მიწისთერი ელათ. თვალები ჩაცვენილი ჰქონდათ.

— ქალაქ ბელგორაის საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავით დღემდე, სიკვდილს ვნატრობდითო, — გვითხრეს მათ.

— ძალიან მოგიხერხებიათ თავის დაღწევა!

— გუშინწინ გამოვიპარეთ, როდესაც ტყეში გაგვიყვანეს სამუშაოდ, შეშას ხერხდით და ვაწყობდით, მცველები თავზე გვადგნენ. მცველების უფროსმა ღრენით გვითხრა: „თქვენი მუშაობა წყლის ნაყვია, კაპეიცის ფასი არაფერი გაგიკეთებიათ! ამ ხეებზე უნდა მივაკოთ კაცმა და სათითაოდ დაგვზვრიტოთ!“ „ნუ გვაშინებ დახვერტით, — ვუთხარით მას — ჩვენი ყოფნა მაინც სიკვდილს უდრის. გვადროვეთ ცოტა, ჯერ ხომ ისევ დღის სინათლეა, დაღამებამდე შევძლებთ ნორმის შესრულებას“. მუშაობა განვაგრძეთ. შეღამდა, იღრიალა კიდეც მცველნი. „ხელი გაუშვით სამუშაოს, ჯგუფად დადგით და წინ გაგიძებნითო“. ოცდაათმა ტყვემ წინასწარ მოვილაპარაკეთ განვცალკევებულიყავით და ისე გვევლო. „ან სიციოცხლე, ან სიკვდილი! ამზობენ ბიჭები — თუ მაინც და მაინც დაგვხტოყენ, ამ წამებას ხომ გადარჩებით!“ „შემჭიდროვდით“ კვლავ ღრიალებდა მცველი, ჩვენ კიდეც უფრო გავიფანტენით და ერთბაშად ტყეში შევცვივდით. ატყდა შაშხანების სროლა, ტყემ და სიბნელემ გვიშველა, ხელიდან გავუსხლტდით ჯალათებს და ჯოჯოხეთს თავი დავაღწიეთ.

— ყოჩაღები ყოფილხართ, — ვუბნები ბიჭებს.

მნე გამოვიძახე. „საჩქაროდ აბანოში წაიყვანეთ ეს ახლად მოსული ოცდაათი კაცი, თუ მარაგი გაქვს თან, ტანსაცმელი და საცვლები მიეცით,“ ვუთხარი მას.

ხანგრძლივად აღარც აქ დავრჩინალვართ. სოფელ კასაბუღაში გასამგზავ-

რებლად მოვემზადეთ. ამ სოფელში შენაერთის შთლიან შემადგენლობას უნდა მოეყარა თავი.

ვერშიგორა ბოლო დღეს შენაერთის რეორგანიზაციაზე ბევრს ფიქრობდა. სათანადო პროექტს წერდა და ამზადებდა რათა იგი ამხანაგ ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვისათვის გაეგზავნა. დილით პეტრომ შტაბში მეთაურების და პოლიტბელების თათბირი მოიწვია. ყველანი უკლებლივ გამოვეცხადეთ. სუსხიანი დილა იდგა. სიცივისაგან გათოშილებმა დავინახეთ თუ არა ავინგინებული ღუმელი, გავთბით და დავმშვიდდით. ოთახი მეთაურებით გაიჭედა. პეტრომ თავი აიღო ზევით, მოსულებს თვალი მთავი, წვერები გაშლილი თითებით ჩაივარცხნა:

— ყველა მოვიდა? — იკითხა მან.

— უკლებლივ! — იყო ვოიცეხოვიჩის პასუხი.

პეტრომ სწრაფად დააწყო და წესრიგში მოიყვანა ქალაღლებს ფურცლები და კრებას რეორგანიზაციის პროექტი გააცნო. ამ პროექტით ნაგულისხმევი იყო შენაერთის მსუბუქ ჰომრავ დივიზიად გადაქცევა. შენაერთის ახალი სახელწოდება ასეთი უნდა ყოფილიყო: „გენერალ-მაიორ სიდორ არტემისძე კოვპაის სახელის პირველი უკრაინელი პარტიზანული დივიზია“. პროექტით გათვალისწინებული იყო დივიზიის პოლკების, ცხენოსანი დივიზიონის, ნაღმტყორცის და საარტილერიო ბატარეების შექმნა.

შენაერთის რეორგანიზაციის აუცილებლობას ვერშიგორა ასე ასაბუთებდა:

„ამ უქანასკნელ ხანებში ჩვენი შენაერთი ხელთასი კაცით გადიდდა, იარაღიც საგრძნობი მოგვემატა. ჩვენი რიგების ზრდა მეტწილად ტყვეობიდან თავდაღწეულ წითელარმიელების და მეთაურების ხარჯზე ხდება. შენაერთის ასეთი ზრდის გამო მისი მართვის ძველი ფორმები ხელს უშლის საბრძოლო ოპერატიულობას, მანევრების მოქნილობას, ამიტომ საჭიროა შენაერთის გადახალისება“.

პროექტი ვერშიგორამ ამხანაგ ხრუშჩევს გაუგზავნა და მალე დადებითი პასუხი მიიღო. ამიერიდან დივიზიის პირველ პოლკს საბჭოთა კავშირის გმირის სიმონ ვასილისძე რუდნევის სახელწოდება ენიჭებოდა, ამ პოლკის

მეთაურად მე დამნიშნეს. „ვადასტურებ შენაერთის გადაკეთებას ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ კოვპაკის სახელობის პირველ უკრაინულ პარტიზანულ დივიზიად“ — იტყობინებოდა რადიოგრაფით ნიკიტა სტალინის ხრუშჩევი. ამის შემდეგ ვერ შეგორამ სათანადო ბრძანება დასწერა, რომელიც შენაერთის მთლიან რეორგანიზაციას ახდენდა. ეს ბრძანება გამოქვეყნდა 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის 26 წლისთავზე.

ყველანი ძლიერ გახარებულნი ვიყავით იმის გამო, რომ პირველი პოლკი პარტივერებული და საყვარელი ადამიანის — სიმონ რუდნევის სახელს ატარებდა. სიმონ ვასილისძის ხსოვნა ჩვენს შენაერთში უკვდავი იყო. ჩვენ მისი აღზრდილი ვიყავით. პირადად მეც დიდად დავალეებული ვარ რუდნევისაგან. სიმონ ვასილისძე სახიფათო და რთულ ოპერაციებზე წასვლის წინ გამარჯვების რწმენით აგვაესებდა და ისე გაგვისიტუმრებდა ხოლმე. გულობილი და მჭიდრობიერი, იმედანი და შრობილიური მისი სიტყვა ყველას ენერგიას მატებდა. რუდნევის ბრწყინვალე სახე დღესაც თვალწინ მიდგას და ის ჩემს შეხსიერებაში არასდროს არ ამოიშლება.

პოლკის ჩამოყალიბებისთანავე მოვიწვი მეთაურების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პოლკის კომისარი კაპიტანი იოსებ ტოუტი, შტაბის უფროსი მაიორი ბერეჟნოი, მისი მოადგილე დაზვერვის დარგში, უფროსი ლეიტენანტი კოლესნიკოვი, შტაბის უფროსის მოადგილე სამნეო დარგში ფედჩუკი და სხვები.

ამ თათბირზე ვილაპარაკეთ პოლკის ამოცანებზე, კერძოდ მე ჩემს სიტყვაში ვთქვი: „პირველი პოლკის ხელმძღვანელი შემადგენლობის უმარალესობა სამხედრო ხარისხით და გამოცდილებით ჩემზე მეტნი არიან, მაგრამ თქვენი იმედით და დახმარებით გადაკეთებ, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის. მე მარტო უძლური ვიქნები, თუ თქვენ გვერდში არ ამომიდგებით. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, როგორც არის ნათქვამი ჩვენი პოლკი საყვარელი ადამიანის სახელს ატარებს. რუდნევის სახელის შეურაცხყოფა იქნება, თუ ჩვენ საქმეს ვერ გაუძღვებით“.

თათბირზე დამსწრე ამხანაგებიც გამოვიდნენ სიტყვებით. სოლიდარულად

მუშაობის საჭიროება ყველამ ხაზგასმით აღნიშნა.

ერთი სიტყვით ეს თათბირი მეტად საინტერესო და საჭმიანი იყო. თათბირის დამთავრების შემდეგ ამხანაგების საღილაზე მოვიპატივე. ჩვენს პირობებში რამდენად შესაძლო და მოსახერხებელი იყო, სტუმრებს საკმაოდ კარგი სუფრა გავუშალე. როგორც მასპინძელმა, სუფრას თამაღობა მე თვითონ, გავუწვი. ხალისიანი და მზიარული ნაღიმი გვქონდა, ნაღიმის დროს თათბირზე დაწყებული საუბარი გრძელდებოდა, კვლავ იმ დღი ამოცანების, ახალი ვალდებულებების შესახებ ველაპარაკებოდით, რომელსაც ჩვენს წინაშე შენაერთის რეორგანიზაცია აყენებდა.

ბევრი ვიცინეთ პოლითხელ პშენინის საქივლზე. მაგდალზე ჩაის ჭიკით ძმარი იღვა, ქარვასავით ლაპლაპებდა ჭიქაში. პშენინის ამ ჭიქისათვის ყურადღება მიუქცევია, მას ის განსაკუთრებულ სისძულად მიუღია. მოთმინება არ იყო თურმე, ვიდრე ამ „იშვით სასაძულს“ გადაქრავდა. როდესაც შეზარბოშდა, ვამბეღობა მოიკიროდა, ძმარიან ჭიქას ხელი წამოაელო და გადაქრა, დაიღრიჯა, ხველა აუტყდა. „მიშველეთ წყალიო“, ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა, იქვე მდგარ ჭიქას დააელო ხელი და კვლავ გადაქრა, თან აცრემლებულ თვალებზე ხელები მიიფარა. „ოი, ოი, დავიწვი, ეს რა მეშარტება მე დღეს!“

მეორე ჭიკით პშენინიმ არაყი მიიერთვა, ცეცხლზე ნავთი დაასხა. ამ სცენამ საერთო მზიარულება გამოიწვია, ბევრი იცინეს ბიჭებმა.

სოფელ ბაროვეცში ყოფნის დროს ჩვენთან ახალგაზრდა პოლონელი პარტიოტი ქალები მოვიდნენ და პარტიზანების რიგებში ჩაწერა გვთხოვეს: „თქვენ დღეს პოლონეთიდან ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებს ერეკებით, არ შეგვიძლია ამ სურათის თბრალი მაყურებლად დავიჩეთ, თქვენთან ერთად გვსურს იარაღით ხელში მეტრს შევებრძოლოთ“. ჩვენ ვურჩიეთ, რომ ისინი პოლონურ პარტიზანულ რაზმში ჩაწერილიყვნენ, მაგრამ ამაოდ, ქალიშვილები დაეინებით გვთხოვდნენ ჩვენს რიგებში მიღებას. ჯერ ცოტა არ იყოს უნდობლად შევხედით ამ ქალების განცხადებას, მხოლოდ შემდეგში, სულ მოკლე ხანში დავიინახეთ ამ ახალგაზრდა ქალების ერთგულება და სიმამაცე. ისინი პარტიზანული ბრძოლების და-

მთავრებამდე იარაღით ხელში, თავ-
განწირულად იბრძოდნენ ჩვენს რი-
გებში.

პოლონელი ქალები ჩვენს პარტიზან
ქალებს ჩაებადნენ. ჩვენი შენაერთის
ქალები ხომ გამოწირვითი და გამო-
ბრძმებული იყვნენ მთელი წლების
განმავლობაში. მათ შორის განსაკუთრე-
ბით გამოირჩეოდა ბელორუსიელი
ახალგაზრდა კომკავშირელი ქალი ნინა
იანჩინა: ის ჩვენს შენაერთში რადისტად
მუშაობდა, მაგრამ როცა რაკიას არ
მიმართავდა, ავტომობით ხელში მხარ-
დამხარ ჩვენთან იბრძოდა.

ნინა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქ-
ნებოდა. ომის წინა თვეებში მას პედა-
გოგიური სასწავლებელი დაემთავრებია
და მასწავლებლობაზე ოცნებობდა.
„გატაცებული იყავი პედაგოგის პრო-
ფესიითა“ — გვითხრა ერთხელ მან.
მაგრამ დაიწყო ომი და ბელორუსიის
კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით იანჩინა არალეგალურ
მუშაობის მოსაწესრიგებლად აღვალზე
დატოვეს. მან მოკლე დროში შესწავლა
აქტიური კომკავშირების შეკავშირება
და რთული დივერსიების ჩატარება.
ნინას მიერ ორგანიზებული კომკავში-
რული ჯგუფი მალე პარტიზანულ რაზ-
მად იქცა. 1942 წლის 19 ოქტომბერს
იანჩინა მოსკოვში გაიწვიეს. მან უვნე-
ბლად გადაიარა ფრონტის ზაზზე და
მოსკოვში ჩავიდა. აქ ის რადისტების
სკოლაში მოაწყვეს. კურსის დამთავრე-
ბის შემდეგ, იანჩინა განსაკუთრებული
დანიშნულების ჯგუფთან ერთად, კოვ-
პაის შენაერთში გამოგზავნეს. ამ დღი-
დან, პარტიზანულ ბრძოლების დამთავ-
რებამდე, ავტომატს, და რაკიას მუდამ
მარჯვედ ათავსებდა.

ნინა იანჩინა რაკიაზე მუშაობის
დროს სიცოცხლეს უმწარებდა პიტლე-
რელებს, მოთმინებიდან გამოჰყავდა
ისინი. ნინა ყურს მოკრავდა თუ არა
ვერძანელების რაკიის ამუშავებას,
თავის რაკიით განგაშს შექმნიდა და
მტრის რადისტების მუშაობას ხელს
უშლიდა.

როცა ახალგაზრდა პოლონელი ქა-
ლები ჩვენთან მოვიდნენ, მათ განაცხა-
დეს: ჩვენ საბჭოთა წესწყობილებაზე
ცოტა რამე ვიცით, ცოტა რამე წაგვი-
კითხავს და გაგვიგონია. ჩვენებურ პა-
რტიზანულ და ვაჭრებს სძულთ საბჭოთა
ქვეყანა. იჯავრებათ თქვენი წესწყობი-
ლება. ჩვენ ვფიქრობთ, საბჭოთა კავში-

რის წესწყობილება ძალიან კარგია,
ვინაიდან ის პანებს სძულთ. დიდ სურ-
ვილი გაქვს გავეცნოთ საბჭოთა ქვე-
ყნის მართვა-გამგეობას.

ასე განაცხადეს პოლონელმა ქალებმა,
სად უნდა მოგვეძებნა მათთვის უკე-
თესი მასწავლებელი, ვიდრე ნინა იან-
ჩინა იყო. პოლონელი ქალების ხელ-
მძღვანელებად ჩვენც ნინა და მისი მე-
გობარი ქალი ნადია ციგანკო გამოე-
ყავით.

ნადია ციგანკო ჩვენს შენაერთში
ფედერაციის რაზმს მოჰყვა. ომის პირველ
ხანებში ის ერთ-ერთ დროებით ოკუპი-
რებულ რაიონში მოხვედრილიყო.
მშობლებს განუზრახათ ნადია საევაკუა-
ციო მატარებლით გაესტუმრებიათ. მა-
გრამ გოგონამ დამალვა მოასწრო და
აღვიღზე დარჩა. ადგილობრივმა პა-
რტიულმა ორგანიზაციებმა ნადიას ეს
გაბედული ნაბიჯი მოიწონეს, მალე ის
მტრის ზურგში არალეგალურ მუშაო-
ბაში ჩაება. ნადია ციგანკო მთელს
რაიონში ცნობილი იყო, როგორც აქ-
ტიური კომკავშირელი. პარტიზანების
შეკითხვაზე, თუ როგორ დაიწყო ნა-
დიამ მუშაობა ოკუპირებულ რაიონში,
მან თქვა: „დღე-ღამე დთარეშობდნენ
ოკუპირებულ სოფლებში პიტლერე-
ლების ავტომანქანების და მოტოციკლე-
ტების განუწყვეტელი ზეზნი იღვა
ქუჩებში. როგორც საკუთარ სახლში,
ისე დაურიდებლად შემოდიოდნენ
ბინებში, ავიწროვებდნენ მოსახლეობას,
კვერცხი რა არის, იმასაც არ ტოვე-
ბდნენ. ქუჩაში გაეღა ხომ საბედისწერო
იყო. ექვსი საათის შემდეგ, ვინც ქუჩა-
ში გამოჩნდებოდა, მას დაუყონებლივ
ატუსალებდნენ. უთუთ პარტიზანი
იქნებოდა. სოფლებში დარჩენილი მოხუ-
ცები და ბავშვები თავზარდაცემული
იყვნენ. კარში გამოსვლას ვერ ბედავ-
დნენ. მე ჩვენი რაიონის თითქმის ყვე-
ლა კომკავშირელს ვიცნობდი. დღის
ექვსი საათამდე დადიოდნენ სოფლ-
დან სოფელში, ბევრი ნაცნობი კომკავში-
რელი გვხვდებოდა ადგილზე. როცა
ვამლევი წინადადებას — არალეგა-
ლური მუშაობა გაემალოთ, მტრის
ზურგში დივერსიები მოვაწყოთ-მეთქი,
ისინი თანხმობას აცხადებდნენ. ამას
გარდა სხვა ამოცანასაც ვუსახავდი
კომკავშირელებს: „გავამხნოთ მოსა-
ხლეობა, გამარჯვების იმედი შთაუწე-
როთ, მართალი სიტყვა ვუთხრათ, გან-
ვეუმარტოთ, რომ რამდენადაც მოსა-

ხერხბელი იქნება და გაუვათ, სურსათ-სანოვაგეს ნუ მისცემენ მტერს, ვადა-მალონ პური, კვერცხი, კარაჭი. აი ამ სიტყვეებით მივმართავდი ახალგაზრდებს.

ნადია ციგანკომ შეამჩნია აქტიური კომპაევშირლები და ოლეცკის რაიონში იმ ხანად მომქმედ ფელსუკის პარტიზანულ ჯგუფს შეუერთდა როცა ფელსუკი ჩემთან მოვიდა, მას ციგანკო თავის ჯგუფით თან მოჰყვა. „იცით რა მარჯვე შეავტომატე მოვიყვანე? აი, ის ახალგაზრდა ქალი — სანიმუშო კომპაევშირელია და ბრწყინვალე მსროლელი“, — ასე ვითხრა მისვლის პირველ დღესვე ფელსუკმა. ნადია მთელ შეხვედრებში მალე თითოთ საჩვენებელი გახდა. როგორც სანიმუშო ყოფიქვევის კომპაევშირელი, ის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა პარტიზან ნინა სოზნისას. მხელი დავალება ციგანკოსთვის არ არსებობდა, საკუთარ სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, მინდობილ საქმეს დროულად და მარჯვედ გააქვებდა.

ნადია ციგანკო პოლონელ ახალგაზრდა ქალებს პოლიტიკურად წრთვნიდა. ხოლო სანიტარი ქალი ნადია ლავრინესი მათს ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. ლავრინესი როგორც გულისხმიერი და სატყუთესო ამხანაგი ცნობილი იყო მთელს ჩვენს დივიზიაში. პოლონელი ქალები პირველ ხანებში ხშირად ხდებოდნენ ავად, ნადია დღე-ღამე მათს სარეცელთან ტრიალებდა, ექიმის მიერ დანიშნულ სამკურნალო რეჟიმს სანიმუშოდ იცავდა. თავის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულებით მან სტუმარი ქალების გული სამუდამოდ მოიგო. ისინი შეგვეთვისნენ, შეგვეგუენ, მუდამ მზად იყვნენ ჩვენთან ერთად ყველა ძნელი დაბრკოლება გადაეღახათ.

ლავრინესი სუბის ოლქიდან იყო. ამ ქალის ოჯახი, მთლიანად ჩვენს დივიზიაში ირიცხებოდა. დედა — შტაბის მზარეულის მოვალეობას ასრულებდა, მამა — რიგითი მეტრძოლი იყო, ძმა — დივიზიის სადაზვერვო ჯგუფში ირიცხებოდა.

დამთავრდა ჩვენი ხანგრძლივი ლოდინი: კიევმა თვითფრინავით ტყვია-წამალი, მედიკამენტები და ფოსტა მოგვაწოდა. იმ ხანად ჩვენ აეროდრომი არ გვექონ-

და მოწყობილი, ამიტომ ყველაფერაგეს პარაშუტებით ჩამოუშვეს. პარაშუტით ჩამოყრილი ტომრები პარტიზანებმა სახელდახლოდ მიზიდეს. შტაბში ერთ ტომარას ასეთი წარწერა ჰქონდა: „წერილები და ლიტერატურა“. პარტიზანები ყველაზე უწინ ამ ტომარას შემოეხვივნენ ირგვლივ.

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა უღრმესი სიხარულით შეხედებოდა ქვეყანას მოწყვეტილი, მტრის ზურგში მოქცეული პარტიზანი ოჯახიდან ან ნაცობ-მეგობრებიდან მიღებულ წერილს!

პარტიზანთა ფოსტას „დიდი მიწიდან“ მოჰყვებოდა ასობით წერილები, რომლებსაც უცნობი ადამიანები გვწერდნენ. მოწყავს ორი ასეთი წერილი:

„სალამი სამშობლოს დამცველებს. პარტიზანებს! თქვენი საგმირო საქმეებით ჩვენ ყველანი მოხიბლული ვართ. დიღია სამშობლოს წინაშე თქვენი დამსახურება. იცოდეთ, გულით და სულით ვართ თქვენთან, ნეტავი ბრძოლის წუთებში, თოფით ხელში, თქვენს გვერდში ვიყო, მეც სიამოვნებით მოვიხიბდი ვაღს სამშობლოს წინაშე. შესაძლოა ამ ჩემს ოცნებას ფრთები შეეხსას, ადრე თუ გვიან თქვენამდე მოვაღწიო! ჩემი უგულითადესი სალამი ყველა პარტიზანს. ზინა სემიონოვნა.“

აი მეორე წერილიც: „უშიშარო მეტრძოლო! ამ წერილი კი ვგზავნი, მაგრამ მოალწევს დანიშულებების ადგილამდე? რადიოთი და ვაზუთებით ხშირად მესმის გამარჯვების ამბები და აღტაცებული ვარ. აი, თურმე რა ბევრი შესძლებია სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულ ადამიანს. თქვენ ხომ მტერი გარს გაყარეთ. ამ წერილს გწერთ სამხედრო ქარხნის მუშა ქალი. ჩემი ბიძაშვილი ვალოდია პოდალიაკო სახელოვანი პარტიზანი იყო, მან თავი დასდო სამშობლოსათვის. მე ვამყაობ მისი სახელით, მან პირნათლად მოიხადა თავისი ვალი. მე მზად ვარ მისი გზით ვიარო და მტერზე შური ვიძიო. ძვირფასო ამხანაგებო! მტრის საბოლოო განადგურების ეამი მოახლოვებულია, ჩვენში დღეს მცირეწლოვანმა ბავშვებმაც იციან და გრძნობენ, რომ პიტოარელების დღეების დათვლილია, თითქმის ყოველ დღე სტოვენს მტერი დაპყრობილ ქალაქებს და შეუჩერებლად გარბის თავისი ბუნაგისაკენ. პარტიზანებს ბევრი გაქირვება გაქვთ-

გადატანილი და კიდევ ცოტა მოთმინება გმართებთ. ახლოა ის დღე, როდესაც მტერზე გამარჯვებულები თათავიანთ კერას დაუბრუნდებით. მადლიერი ჩვენი სამშობლოს მოქალაქენი შეიმით მოგეგებებით და გულში ჩაგიკრავთ. ნატალია პოდალიაკო“.

მე კარგად მახსოვს ვალოდია პოდალიაკო, ის ვაჟაკი, რომელზედაც ეს უცნობი ქალი გვწერდა. ის აზოვანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული ვაჟაკი იყო, ცეცხლის მფრქვეველი არწივისებური თვალები და ქერა უღვაშები ქონდა. ჯვარედინა სირშიანი ბოხბისის ქუდი ეხურა. ისეთი ვაჟაკი იყო, რომ აღამიანს მასზე თვალი დარჩებოდა. პოდალიაკო მეტად მგრძობიარე და გულისხმიერი იყო, მეგობრისათვის წყალში გადავარდებოდა. ამიტომაც იყო, რომ პარტიზანებს გაგიყვებით, უყვარდათ ის.

ჯერ ისევ ორმოცდაერთ წელს პოდალიაკო რამდენიმე ამხანაგით მტერმა ალყაში მოიქცია. შეწუხდნენ მებრძოლები, მაგრამ პოდალიაკმა ყველა გაამხნევა, შაშხანა მოიმარჯვა და შესაბა: „წრე უნდა გავარღვიოთ, მომყვებით უკანო“. მართლაც, გაბედული შეტევით მებრძოლმა მტრის პირველი წრის გარღვევა შესძლეს, მერე მათ ისევ აუარებელი პიტლერელები შემოეხვივნენ, აღარ იყო ხსნა. მებრძოლები ტყვედ ჩაიგდეს და კომენდატურაში წაიყვანეს, შემდეგ ბნელ გომურში მოათავსეს. ორი უძილო ღამე უსმელ-უქმელად გომურში გაატარა პოდალიაკომ. იჯდა და სიტყვას წამოიძახებდა: „აბა, უნდა წავიდეთ თვინდ სიცოცხლედაც დამიჯდეს!“ როცა გუშაგი ოსპის ნახარშს ჯამით გომურში შემოდგამდა, პოდალიაკო ჯამს კედელზე მიახლიდა ხოლმე.

ნაშუალამევს ორმა ჯარისკაცმა ძლიერ შეაღო ჩარჩოზე მოურგებელი გომურის უბეში კარი და ტუსალებს კარში გამოსვლა უბრძანეს. ჯარისკაცებმა ტყვეები შუაში მოიქციეს და გზას გაუყვნეს. მოღუშული, თავჩაქინდრული პოდალიაკო უსიცოცხლოდ მიილაგებდა. ბაღრაგი ტყეს მიუახლოვდა. ჯარისკაცებმა შაშხანები მოიმარჯვეს. პოდალიაკო თავაუღებლად და უსიცოცხლოდ განაგრძობდა ტყის ვიწრო გზაზე ფეხათრევით სიარულს. ირგვლივ დუმილი იყო. მოულოდნელი ამბავი

მოხდა: პოდალიაკო უცებ შეტერტმანდა და გასროლილ ქვასავით ტყეში შევარდა.

— სდექ, შეჩერდის გერმანულ მესაბნეს ჯარისკაცებმა და შაშხანების სროლა ატეხეს, მაგრამ ამაოდ, თითქოს მიწამ ჩანთქაო, პოდალიაკო, სადღაც გაქრა. სულ ათი-თხუთმეტი წუთი და ის შუაგულ ტყეში, უგნებელ ადგილზე იყო. ღამის მყუდროებაში გაურკვეველი ხმა შემოესმა, ყური ათხოვა: „წყაროს ლიკლიკია“! თქვა გულში. ჩანდა წყარო სადაც ახლო იყო. ბევრი ძებნა-ხეტიალი არ დასჭირებია, წყაროს მალე თავზე წაადგა, მისი სათავეც იპოვა და წყლით გული იჯერა.

ირიყრავა. პოდალიაკოს უღრან ტყეში, ხის ძირში უღარდელად ეძინა. ციოდა, ზამთრის სუსხი ისევ ძალაში იყო, მაგრამ პოდალიაკო სიცვიეს ვერა გრძობდა. ჯანმრთელი სხეული არ უშინდებოდა სუსხს. ზამთრის ცივ დამებში მინდვრებში და ტყეებში ჩვენც ბევრჯერ გამოგვიძინია. ასეთი იყო პარტიზანის ხვედრი.

როდესაც ვაჟაკმა ძილით გული იჯერა, ორივე ხელის თითებით თვალეზი ამოიწმინდა, წამოჯდა და ირგვლივ თვალი მიმოავლო.

ხელპირი დაიბანა და ფრთხილად იწყო ტყეში ხეტიალი.

მძიმე დრო იყო, ყვავ-ყორნების გუნდებით დაძრწოდნენ ყველგან პიტლერელები, გზებზე მანქანა მანქანას მისდევდა.

პოდალიაკო ტყეში მარხილიან მოხუც გლეხს წააწყდა.

— გამარჯობა ძია სადაური ხარ?

— არც ისე შორს ვარ, აი, გახედესაკეამლეებიდან ბურთად რომ ამორბის კეამლი, იმ სოფლიდან ვარ.

— შეშაზე იქნები მოსული?

— შეშაზე, სწორედ რომ შეშაზე, ბევრი შეშა სჭირდება გლეხკაცს.

— პოდა, აგერ ტყეც სავსეა ხმელი შეშით.

— შეშა ბლომად არის, მაგრამ მოხუც კაცს, მიძნელდება დროულად მისი მოგროვება და მარხილზე დადება, შუალამეზე მივიღივარ ხშირად სახლში.

— მე აქ ვარ; დაგეხმარები, შენცხენთან დადექი და მე მოვზიდავ შეშას.

დატრიალდა პოდალიაკო, ბლომად მოზიდა შეშა და დაალაგა მარხილზე.

გაცივებული ორგანიზმი გახურდა და ვაქცაციც წელში გაიმართა.

— შხად არის! — უთხრა პოდალიაკომ გლენს, შეგიძლია შინისაკენ გაუყვე!

გლენმა პოდალიაკოს ახელ-დახელა: ღმერთს მართლაც ვაქცაცად გაუჩენიხარ, — უთხრა მან უცნობს, — იქნებ ლუკმა გასტეხოს... საგზალი თან მაქვს — ამ შემატიყებაზე პოდალიაკომ გლენს არც უარი უთხრა და არც თანხმობა მისცა.

გლენმა ხალთას თავი მოხსნა, მთხრდილი პურის ნაჭერი ამოიღო და პოდალიაკოს შესთავაზა. კმაყოფილებით შესცქეროდა მოხუცი, როდესაც პოდალიაკო პურს მადიანად შეეჭყეოდა.

— ვინ ხარ, მამა-შვილობას ნუ დამიმალავ, უთუოდ ჩვენი ქვეყნის მეომარი ხარ?

— აგრეა, სწორად გამოიცანი.

— ალბათ ნაწილს ჩამორჩილ და მტერს ამ ტყეში ემალეობი? პოდალიაკო პირველად შესდგა, ჩანდა საპასუხოდ ემზადებოდა.

— ესეც აგრეა, მტერს ვემალები. ერთი მითხარი, თქვენს სოფელში თუ არიან გერმანელები?

— რამდენი შერე, სათვალავი არა აქვთ. დღე საღლაც მიდიან, შელამდება თუ არა, ისევ მოშავდებიან ხოლმე.

— დიდი ოჯახის პატრონი ხარ?

— მე და ჩემი დედაბერი, რძალი სამი ბავშვით, ვაკე ფრონტზეა. ხომ არ ისურვებთ ოჯახში წამობრძანებას. არ ვიტყვი, თქვენი მიღება საზიფათო არ იყოს, მაგრამ ფრთხილად ვიქნებით, ფათურაკს როგორმე თავიდან ავიცილებთ!

— შენს ოჯახში მოდიან გერმანელები?

— ხშირად, მაგრამ შენს გადამალვას მაინც მოვახერხებ, გაბედი და წამოდი!

პოდალიაკო მარხილზე გაწვა, მას გლენმა ფიჩხი დააყარა, კუნელის ღელეში მარხილზე მსუბუქად დააკრა და გზას გაუყვა. სტუმარმასპინძელი ფეხაკრეფით შევიდნენ ქოხში. თბილ ოთახში პოდალიაკომ ძილით გული იჯერა. მეორე დილით ის ფარდის უკან იდგა და ქუჩაში გერმანელების მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. „სადა ხარ; ჩემი ავტომატო!“ ტუჩების კენკრით ამბობდა ის გულში.

ზამთრის ქარიანი ღამე იყო. ცის სივრცეში გაფანტული თეთრ ღრუბლე-

ბში ხან აქ და ხან იქ გამოჩნდებოდა მთვარე. ეძინა სოფელს. მკრთალად მოჩანდნენ ქუჩის ორივე მხარეზე მჭკრევეში გახლავებული სახლები. იმ ქოხის ძახლობლა, სადაც პოდალიაკო იყო, ადამიანთა სილუეტები ჩანდნენ. ერთი მათგანი დანარჩენებს გამოეყო, მან რუხფერად დაშვებულ სარკმელს გაბედულად მიუკაცუნა, ქალის ხმით მასპინძელს კარში გამოსვლას სთხოვდა. მოხუცი წამოდგა ლოგინიდან, კარი გაიღო და გაიხედა.

თოფებმომარჯვებულმა ფაშისტებმა მოხუცი დაითრიეს. ერთმა მათგანმა მას წასწორჩულა: „ხმა არ გაიღო!“ ფაშისტების აფრტები ქოხში შეცვივდნენ და მძინარე პოდალიაკოს ხელებზე და ფეხებზე დააჯდნენ. დამის ხუთ საათზე პოდალიაკო კვლავ საკომენდატოში მიიყვანეს. ყელმოღერებული გაბედულად შევიდა ის კომენდატის ოთახში.

— თავხედო, რას ფიქრობ, წარა-მარა რომ გარბინხარ, ამის უფლება ვინ მოგცა? იცი, რომ ასეთი თავხედობისათვის დახვერტა მოგვლის! — შესვლისთანავე ქორივით დაეძგრა მას ესესელი კაპიტანი. პოდალიაკომ კაპიტანს თვალი თვალში გაუყარა და უპასუხა: — მუქართი ვერ შემამინებ... რა მერე, თუ დამხვერტებ... მე არ ვიქნები, მაგრამ ჩემს უკან ათასებია, ისინი შესძლებენ მოვალეობის მოხდას სამშობლოს წინაშე.

— ნუ ყბედობ, გირჩევ ხმას დაუწიო, — კაპიტანი ზეზე წამოდგა, დინჯად ოთახში გაიარ-გამოიარა, ცოტახნით შესდგა და ჩათქორდა, შემდეგ გაუშავს მოუბრუნდა და კარში გასვლა უბრძანა. ორნი დარჩნენ ოთახში. კაპიტანმა პოდალიაკოს მხრებზე ხელები დაადო.

— ჩამხედე კარგად თვალეში, ჩემი სახე დაიხსოვე, ვესმის, კარგად დაიხსოვე, შესაძლოა შემდეგში საღმე ერთმანეთს შევხვდეთ!

პოდალიაკო გაცოცდა, ვერ გაიგო, რის თქმა უნდოდა კაპიტანს.

— რას გაცოცდი, — კვლავ მიმართა მას კაპიტანმა, — მე ხომ გარკვეულად გეუბნები?

— რად მესაქიროება მე თქვენი სახის დამახსოვრება?

— შესაძლებელია გამომადგეთ, ხომ გაგიგონია, მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ ადამიანი ადამიანს ყოველთვის!

შენისთანა ვაყვაცები თავისიანებს შორის დიდი გავლენით სარგებლობენ, ამიტომ გუეზნები, შესაძლოა გამოძალდგე...

ახლა კი კაპიტანის სიტყვები პოლიაქოსათვის სავსებით გასაგები გახდა.

— თქვენი სახე ადვილი გამოსაცნობია, — უთხრა მან კაპიტანს.

— მაშ ასე, იცოდე დღეიდანვე ჩვენ მეგობრები ვართ!

კაპიტანმა გუშაგი ეხმო.

— ეს კაცი გაიყვანე, გათხრილ ორმოსთან დააყენე და, — უკანასკნელი სიტყვები მან ჩურჩულით უთხრა გუშაგს: პაერში სამჯერ გაისროლე და გაუშვი! — პოლიაქომ გერმანული ენა იცოდა და ამ ლაპარაკის დროს ის გაბრუნდა, კიდეც ვერ წარმოედგინა, თუ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი.

გუშაგი შედგა: „გაუშუვა, თქვენო აღმატებულემა?“

— განმარტებას ნუ თხოულობ გესმის?

— მესმის, თქვენო აღმატებულემა!

გუშაგმა პოლიაქო კარში გამოიყვანა. საშინელი ქარბუქიანი ამინდი იყო, თვალების გახელა ძნელდებოდა. პოლიაქო ყველაფერს ისევ ეჭვის თვალით უცქეროდა. მან არე-მარეს თითქოს უკანასკნელად მიმოავლო თვალი. საშინელი სურათი დაუდგა თვალწინ, სოფლის განაპირას, ტყის ახლოს გათხრილი ორმო შენიშნა. ორმოს მახლობლად სიმინდის ჩალის ზეინი იდგა. გუშაგმა ჩალისაქენ ხელი გაიშვირა და პოლიაქოს უბრძანა ორი კონა ჩალა მოეტანა.

— ჩალა რაღად გინდა? — შეეკითხა იგი გუშაგს.

— გესმის, რუსო, განმარტებისათვის დრო არ არის!

პოლიაქომ გუშაგის ბრძანება შეასრულა.

— ჩაღე ჩალა ორმოში და მიწა მიაცარე, — უთხრა მას გუშაგმა. გუშაგის ეს ბრძანებაც პოლიაქომ შეასრულა.

— ახლა გასწი და ტყეს შეაფარე თავი!

პოლიაქო ტყისაქენ ნელი ნაბიჯით წავიდა, ვერ გაუძლო გულმა და უკან მოიხედა.

— ჩქარა შედი ტყეში! — ხელის აქნევით ანიშნა მას გუშაგმა და პოლიაქოც ტყეში შეხტა. სამმა ტყვიამ პაერში გაიზუზუნა.

ამ დღიდან პოლიაქომ დაიწყო ტყეებსა და მინდვრებში ხეტიალი, დროგამოშვებით სოფლებში შესვლასაც ახერხებდა. დიდი სიფრთხილეს იჩენდა, განვლილი ორი მწარე გაკვეთილი მის მენსიერებაში წარუშლელი რჩებოდა, მალე ამ ხეტიალმა და შიმშილმა თავი მოაბეზრა. ბოლოს, დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ პოლიაქომ ჩვენამდე მოაღწია, მოსვლისთანავე მიიქცია მან პარტიზანების ყურადღება. „ეს ლომივით ვაყვაცი, ჩვენ ძალიან გამოგადგება, ტიპიური კაზაკიაო!“ ამბობდნენ კოვპაკი და რუდნევი.

შტაბში იხმეს პოლიაქო.

— ორჯერ დაგიღწევია ტყეებიდან თავი და ორჯერ დახვრეტას გადარჩენილხარ, მართალია? — ეუბნება მას რუდნევი.

— მართალსა ბრძანებთ, აგრეა, ბეწვზე ვარ გადარჩენილი!

— რაკი ჩვენამდე მოაღწიე, ახლა თავი ქუდში გაქვს, შეგიძლია მტერზე იძიო შერი.

და მართლაც არა ერთგზის ისახელა პოლიაქომ თავი.

ალტაცებით აღნიშნავდნენ პარტიზანები ამ ვაყვაცის ბრძოლებს: „დედამ თუ შეილი შობოს, სწორედ რომ შენისთანაო!“ კმაყოფილებით იტყოდნენ ხოლმე პოლიაქოზე ბიჭები.

ხოშტომარჯვებული პოლიაქო ლომივით ტრიალებდა, იმ არეშარედან ცხვრის ფარასავით გარბოდა მტერი.

მალე პოლიაქო მეოთხე ბატალიონის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. სულ მოკლე დროში მან ყველას ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

კარბატების რეიდის დროს დახვერვამ შენაერთის შტაბს სოფელ რაქოვეცში მტრის გარნიზონის დაბანაკება აცნობა. „ესეს-ელებს“ მეცამეტე პოლკი დგას სოფელშიო, — თქვეს ბიჭებმა“.

რაქოვეცის გარნიზონი საჩქაროდ უნდა განადგურდეს! — ბრძანა კოვპაკმა. რაქოვეცზე თავდამსხმელ ნაწილებში მორის მეოთხე ბატალიონიც იყო გამოყოფილი. პოლიაქო იმ ხანად თავს ცუდად გრძნობდა, აეად იყო კოვპაკმა და რუდნევემა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება პოლიაქოს დაუშალეს. პოლიაქომ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე დასტური მიიღო.

მაღე წასასვლელად გაემზადნენ პარტიზანები. ბატალიონის ხან თავში და ხან ბოლოში დააგოგმანებდა თავის ლურჯას პოდალიაკო, — თითქოს ცხენიც გრძობდა მხედრის სიმარჯვეს, ფრთხვინავდა, ფეხებს მიწაზე სცემდა; სრულ სამხედრო წესრიგით ადგილიდან დაიძრა ლაშქარი.

შეშფოთდა რაქოვეცის გარნიზონი, პარტიზანების მოახლოვება იყნოსეს. ჩვენებმა სოფელი რკალში მოიმწყვდიეს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს.

მაგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ ჩვენები, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებენ, პოდალიაკოს ავტომატი ხან აქ, ხან იქ გაიფლვებდა.

ჯარასავით ტრიალებდა ვალოდია, მტერს მუსრს ავლეებდა. პარტიზანების თავგანწირულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო, მტერმა პირი იბრუნა და სოფელი დასტოვა. პოდალიაკო კი არსად ჩანდა.

რამდენიმე პარტიზანი ერთ ადგილას შეჯგუფდნენ, ვილაკას ცხედარი ზეზე აიტაცეს და წაასვენეს.

— პოდალიაკო მოჰკლეს, — იძინებდნენ შუბლშეკრული პარტიზანები.

როგორც შემდეგ გამოირკვა, პოდალიაკო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. ფრიცს დრო უხელთებია, ზურგიდან წამოპარვია, სამჯერ ზედიზედ დაუხლია მისთვის რევოლვერი და პოდალიაკო უსულოდ მიწაზე დაცემულა. მებრძოლის ცხედარი პარტიზანებმა შტაბში მიიტანეს.

გმირი მებრძოლი პარტიზანული წესით დავასაფლავეთ. ყველას საშინლად დასწყვიტა გული ამ ვაეკაცის სიკვდილმა. გვენანებოდა, რომ ასე უდროოდ ჩაქრა იმისი სიცოცხლე.

პოდალიაკოს ლეგენდარულ ვაეკაცობას და ლამაზ ხსოვნას მებრძოლები მუდამ გულში ვატარებდით.

(დაგრძელება იქნება)

მოგონება ლალო მისნიშვილზე



ქუთაისის 1914-15 წლის თეატრალურ სეზონს ვალერიან გუნია მეთაურობდა. ამ სეზონში რეჟისორ-მსახიობებად მოწვეულნი იყვნენ ლალო მესხიშვილი და ვალერიან შალიკაშვილი. როგორც კი გათავდა სეზონი, ლალო მესხიშვილი — თავის ცოლ-შვილით მოსკოვში წავიდა.

სწორედ, ამ სეზონის წინ, 1914 წლის გაზაფხულზე, მარჯანიშვილის მიერ დაარსებული „თავისუფალი თეატრი“, რომელიც კოტემ, სუხადოლსკის (უკანა-კენელს ცოლად ჰყავდა ჰავჭავაძის ქალი) თანხების ხელისშეწყობით დააარსა 1913 წლის გაზაფხულზე, უკვე დაიხურა. კოტემ „თავისუფალ თეატრის“ ლიკვიდაცია მოახდინა და თვითონ ფრონტზე წავიდა. მაგრამ სუხადოლსკიმ თეატრალურ ანტრეპრიზაზე ხელი არ აიღო და, „დრამატიული თეატრის“ სახელწოდებით, კვლავ განაგრძო ანტრეპრიზა, დასის შედგენა და სეზონის წარმოება... აი სწორედ 1915 — 16 წლის სეზონში, სუხადოლსკიმ მშვენიერი დასი შეადგინა: რეჟისორებად მოიწვია, აზაროვსკი და დუევი-ტურცოვი. მსახიობებად ჰყავდა: ბორისოვი, მოყუხინი, პეცოვი. ამათთან ერთად, სუხადოლსკიმ მოიწვია ლადოს ქალიშვილები — ნინო და ვარია, რომლებიც მამინ ახალგაზრდები იყვნენ და მოსკოვის თეატრალურ საზოგადოების დიდი მოწონებაც ჰქონდათ დამსახურებულნი.

ლალო რომ მოსკოვში გამოჩნდა, სუხადოლსკიმ წინადადება მისცა ლადოს, რომ მის დასში დაეწყო მუშაობა. ლალომ ამაზე თანხმობა განაცხადა და შეუდგა მუშაობას. მაგრამ ლალო რეპერტუარით არ იყო კმაყოფილი, ამიტომ, თავისი მუშაობა უფრო კინოში გადაიტანა. სწორედ ამ ხანებში მოსკოვში არსებობდა ფირმა „ხანკოვი და ამბანაგობა“, რომელიც კინო-სურათებს იღებდა. ლალომ სუხადოლსკის თეატრს

მალე გაანება თავი და კინოში დაიწყო მუშაობა. ლალო კინოში თითქმის უკანასკნელ ხუთ წელიწადს მუშაობდა.

ბევრი კარგი როლები შეასრულა ლალომ კინოში და შეასრულა მართლაც ღირსეულად და ნიჭიერად. მე ლალო მინახავს სამ სურათში, სახელდობრ: „მამები და შვილები“ ტურგენევის მიხედვით, რომელშიაც ანსახიერებდა ბაზაროვის მამის როლს. რა მშვენიერი იყო იმ სცენაში, როდესაც მამა თავის შვილის ბაზაროვის კუბოსთან სდგას და ცრემლები დაბალუპით ჩამოსდის. ლალო ამ პატარა ეპიზოდური როლით დიდ ფიგურასა ჰქმნიდა და საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რა იყო მიზეზი, რომ იმ დროს, როდესაც კინო ჯერ კიდევ უხმო იყო, ლალო უმნიშვნელო როლშიც საზოგადოებაზე ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა? მე მგონია, ამის მიზეზი, მისი შეუღარებელი მიმიკა იყო. აგრეთვე მთავარი როლი ჰქონდა ლადოს სურათში: „იაცი რესტორანიდან“, რომელშიც ანსახიერებდა რესტორანის ლაქიის როლს. სურათის მოკლე შინაარსი ასეთია: ცეხოვრობს მოსკოვში ლარიბი ადამიანი, რომელიც გაჭირვებამ აიძულა რესტორანში ლაქიად დამდგარიყო. მისმა ცოლმა და ქალიშვილებმა არ იციან, რომ მათი ოჯახის მარჩენალი რესტორანში ლაქიად მუშაობს არც მამამ იცის, რომ მისი ქალიშვილი მეძაფეა და ლაქიებს რესტორანებში და კაფეებში ატარებს. იმავე რესტორანის კაბინეტში, რომელშიც მისი მამა მსახურობს, მისი ქალი ქეიფობს ახალგაზრდა ყმაწვილებთან და გაშლილ სუფრაზე, მაგიდაზე ცეკვავს... სწორედ ამ დროს, მამას ღვინოები შეაქვს კაბინეტში და დინახავს თავის ქალიშვილს, მოცეკვავებს გაშლილ მაგიდაზე. უნდა გენახათ ლალო, ამ სცენის დროს, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლე-

ბზე. ეს როლი სურათში მთავარი იყო, და ლადოც, მართლა მშვენიერად ასრულებდა საზოგადოების დიდ ტაშს და ალტაცებას იწვევდა. მახსოვს კიდევ, მესამე სურათში („მეთევზის შვილი“) მამის როლში. აქ თამაშობდა ძუნწი მოხუცის როლს. მშვენიერი იყო ლადო ამ როლშიც.

ლადოზე, როგორც დიდ მსახიობზე, ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება. ლადოს საგვირგეინო როლად, როგორც იტყვიან ხოლმე აქტიორთა წრეებში, უსათუოდ ფრანც მორის უნდა ჩაითვალოს, რომელიც პირველად ითამაშა თბილისში 1892 წლის 5 თებერვალს თავის საბენეფისოდ. მართლაც, ამ როლის თამაშით, საზოგადოებაზე დიდ და დაუფიქვარ შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე. ლადოს ეს როლი, თავიდან ბოლომდე მშვენიერად ჰქონდა დამუშავებული, მაგრამ ამ როლის ორი სცენა დაუფიქვარი რჩებოდა მაყურებელს. ეს სცენები იყო, ამალიასთან შეხვედრა ბაღში, ამალია სილას გააწნავს და დაშნას ამოსტაცებს ქარკაშიდან. ფრანცი ხედავს, რომ გაშმაგებულ ქალს ხელში მახვილი უჭირავს და შეიძლება იქვე მოსპოს. ლადო — ვაყვანი ისე დაპატარავდებოდა, რომ იტყვიან, ვაყლის ნაჭუქში ჩაეტევოდა, ისე მოიკუნტებოდა. ამ დროს ლადოს ფრანცი, გათახსირებული, მიწასთან გასწორებული, სიბრანისაგან ხელგზს იკვებდა. ანდა უკანასკნელი სცენა, როდესაც მახვილ-ამოღებული, ანთებული შანდლით, შემფთოებული შემოვარდებოდა ხოლმე, — დანიელს რომ აჩრდილად მიიღებს და შიშისაგან მთელი სხეულით კანკალებს. მერე დანიელს სიხმარს უამბობს. რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ლადო უკანასკნელ სცენით. მახსოვს, პიესის დამთავრების დროს, ფარდას რომ ჩამოუშვებდნენ და დარბაზს გაანათებდნენ, საზოგადოება არ დაიძვრებოდა ხოლმე, ისე იყვნენ დატყვევებული ლადოს მგრძობიარე თამაშით. როდესაც მაყურებელი გამოერკვეოდა და მიხვდებოდა, რომ თეატრში იყო, მხოლოდ მაშინ ატყდებოდა ტაში და ვაშას ძახლით. ამ სცენის დროს ლადო ძალზე იქანცებოდა და როდესაც ქალიდან, რომელზედაც დამხრჩვალი ეკიდა, ჩამოიყვანდნენ, იქვე სცენაზე, სავარძელში დასვაძმდნენ, ლადოს იმდენი ღონე აღარა ჰქონდა, რომ ამდგარიყო

და თავის დასაკრებლად გასულყო სცენაზე.

მახსოვს, ლადოს საზოგადოება ათჯერ-თხუთმეტჯერ გამოიყვანდა სცენაზე. ხალხის ალტაცებას დასაზრულად არა ჰქონდა. ლადო ფრანცს თამაშობდა, როგორც მახინჯს: პატარა თვალები, გადმობრუნებული ტუჩები, დიდი ცხვირი, ალისფერი პარიკი, კუზიანი და კოჭლა. ერთი სიტყვით, ლადოს ფრანცი მახინჯი იყო, როგორც გარეგნობით, ისე სულიერად. და ამავე დროს, ლადო რა სათანო, ნაზი და მიმზიდველი იყო, ურიელის როლში („ურიელ — აკოსტა“). რა ნაზი და სათუთი იყო ლადო ივლითთან სცენებში, განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. რა გოლიათი იყო სინალოლაში, როცა დაიძახებდა „მინც პრუნავსო“. ლადო, ამ სცენის დროს, ნამდვილი ტრიბუნი იყო და დიდ არტისტულ ტემპერამენტს იჩენდა. მართალია, ლადო აკოსტაში სიყვარულის ამბავს წინა პლანზე აყენებდა, მაგრამ სინალოლაში, ფაფარაყრილი ლოში იყო. დაუფიქვარ სახეს ჰქმნიდა ლადო გამოჩენილი ინგლისელი მსახიობის კინის როლში („ედმონდ კინი“). მშვენიერი და ალტაცების მომგვრელი იყო ტრაქტირის სცენა, როდესაც ლადო როგორც ქურციკი მაგიდაზე შეხტებოდა და ლორდ მეღვილს სტვენით და ყიფინით ისტუმრებდა ტრაქტირიდან. ან უკანასკნელი სცენა, როდესაც კინი ლოჯაში დაინახავს ლორდ მეღვილს თავის საყვარელ ქალთან.

მე მინახავს ლადო ივანე მრისხანეს როლში (ა. ოსტროვსკის პიესაში „ვასილისა მეღვინტიევა“). რომელიც ლადომ თავის საბენეფისოდ დადგა 1910-11 წლის სეზონში. ქართველ საზოგადოებას ძალიან მოეწონა ლადო ამ როლში. ლადო, როგორც კლასიკურ ევროპულ როლებში, ისე ქართულ ისტორიულ პიესებში მომხიბვლელი იყო. ჯერ იყო და ლადომ ახალგაზრდობაშივე ისახელა თავი ლევან ხიმშიაშვილის როლის შესრულებით პიესა „სამშობლოში“. ამ როლის შესრულებაშიაც სიბერემდის ლადოს ბადალი არა ჰყავდა. ხოლო როცა სიბერეში შევიდა, შაჰ-აბაზის როლს თამაშობდა. უნდა ვთქვა, რომ ლადოსთანა შაჰ-აბაზი „სამშობლოში“, ქართულ სცენას არა ჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნიჭიერი მსახიობი ასრულებდა ამ როლს ქართულ სცენა-

ზე. მარტო მისი გრიმი რად ღირდა! ლადოს მიერ განსახიერებული შაჰ-აბაზი — მრისხანე დესპოტი იყო. დიდის ტემპერამენტით თამაშობდა ლადო შაჰ-აბაზის როლს და დიდ ტრაგიკულ ფიგურასაც უკმნიდა.

ლამაზად, მომზიბვლელად თამაშობდა ლადო გაიოზ ფაღავას როლს ვ. გუნიას პიესაში „და-ძმა“. როგორც ვასო აბაშიძისაგან გამიგონია, როცა ვალერიან გუნიამ პიესა „და ძმა“ 1891 წელს დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრებს წაუკითხა, დამსწრენი თურმე ალტაცებაში მოვიდნენ და იქვე გადაწყვიტა გამგეობამ, რომ მომავალ სეზონში აუცილებლად დაედგათ. მაგრამ ვალერიან გუნიამ, პიესის დადგმაზე გამგეობას უარი თუბასუბა, სანამ ლადო მესხიშვილს არ მოიწვევთ, მანამდე პიესას არ დაგადგმევინებთო!.. დრამატულ საზოგადოების გამგეობა იძულებული შეიქმნა ლადოსთან მოლაპარაკება გაემართა, რომ საქართველოში დამორჩენილებიყო და ქართულ დასში ემუშავებინა, როგორც მსახიობს. ლადო ამ წლებში ტამყენტი იყო. სამ წელიწადს შუა აზიის ქალაქებში მუშაობდა რუსულ დრამაში, გამგეობამ გამართა ლადოსთან მოლაპარაკება და ლადო 1891 წელს შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა ქართულ დასში. დრამ. საზ. გამგეობამ „და-ძმას“ მომზადებას და დადგმას დიდი ყურადღება მიაქცია; როგორც იმ დროისათვის საუკეთესო ისტორიულ მასალაზე დაწერილ პიესას. გამგეობას „სამშობლოს“ დადგმის და მის წარმატების მაგალითი უკონდა და ამიტომ, „და-ძმის“ დადგმას მზრუნველობით მოეპყრო. პიესა მშვენიერად განაწილდა დასში. ეს პირველი საუკეთესო ისტორიული პიესა იყო „სამშობლოს“ შემდეგ. (პიესის პირველი შემსრულებლები იყვნენ): გაიოზ ფაღავა — ვლ. ალექსი — მესხიშვილი, ოტია ჯოლია — კოტე ყიფიანი, მარინე — ბაბო ავალიშვილისა, ვალია — ნატო გაბუნია — ცაგარლისა, ადამია — ვალ. გუნია, გიორგი — კოტე შათირიშვილი, ფაშა-ეფენდი — გელეონ გელევიანოვი.

პიესისათვის დაბატული იყო ახალი დეკორაციები და შეკერილი იყო ახალი ტანსაცმელი. პიესა დიდხანს ამზადეს

და მოწვეულ იქმნა რატილის ზორი, რომელიც მეხუთე მოქმედების პირველ სურათში (საკანში) იღებდა მონაწილეობას. „და-ძმა“ პირველად დაიდგა აგტორის — ვალერიან გუნიას საბენეფიტოდ 1892 წლის 29 იანვარს. ყველა ძველ ქართველ თეატრალს ასოვს, თუ რა წარმატება ზედა მაშინ „და-ძმას“, როგორც საუკეთესო ქართულ ისტორიულ პიესას. ახლაც კი პერიფერიების თეატრებში ხშირად იდგმება „და-ძმა“, და მასუბრებლის დიდ მოწონებას იმსახურებს.

აგრეთვე მშვენიერად თამაშობდა ლადო ლევანის როლს ვასილ ყიფიანის პიესაში „სამეგრელოს მთავარი ლევან“.

ლადოს დიდი ღირსება, როგორც აქტიორისა, ის იყო, რომ ლადო როლს კი არ კითხულობდა სცენაზე, ლექსად იყო დაწერილი იგი თუ პროზად. ლადო სცენაზე სცხოვრობდა იმ მომქმედი პირის ცხოვრებით, რომელსაც ანსახიერებდა. ლადო მინახავს აკაკის „თამარ-ცბიერში“, გოჩას როლში, რომელიც მან ითამაშა მაკო საფაროვი — აბაშიძის ბენეფისში. მაკო ასრულებდა ცირას როლს. ლადო მაშინ სპეციალურად ქუთაისიდან იყო მოწვეული. ლამაზი და მომზიბვლელი იყო ლადო გოჩას როლში, მგრძობიერი და ფაქიზი. კარგი იყო ლადო აგრეთვე შაქრო ჩვილიშვილის როლში (პიესა: „გამცემი“), რომელიც თბილისში შეასრულა პირველი დადგმის დროს. თვით აგტორი, იოსებ გედევანიშვილი, ალტაცებული იყო ლადოს თამაშით და მე მგონია, სწორედ ლადოს წყალობა იყო, რომ ეს პიესა, „გამცემი“, რეპერტუარს შერჩა. ჩვენც, ახალგაზრდა მსახიობები, ძალიან ხშირად და დიდის სიყვარულით ვასრულებდით შაქრო ჩვილიშვილის როლს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო და საგასტროლო როლს. პირველად, ამ პიესას, გასაქანი ლადომ მისცა თავისი დიდი ნიჭის წყალობით.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრი ქართველ ხალხს, თავისი დიდი ნიჭის და კარგი რეპერტუარის წყალობით, უფრო ლადო მესხიშვილმა და ვასო აბაშიძემ შეაყვარეს. ეს ორი მსახიობი იყო, რომელთა მოღვაწეობა ქართულ სცენაზე, მთელ მათ სიუცხლეში შარავენდელით იყო მოხილო.

ილო მოსაშვილი



პოეტი და დრამატურგი ილო მოსაშვილი სამწერლო ასპარეზზე პირველი მსოფლიო ომის წლებში გამოვიდა. მის ადრინდელ ლექსებში გამოვლინდა მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელი წლების სულიერი ვითარების გამოხატველი სევდა და მისტიკა. ამ პერიოდის მის შემოქმედებას სიმბოლისტური პოეზიის მორტივებიც ახასიათებდა. სიმბოლისტური პოეზიის კვალია აღბეჭდილი მის ისეთ ლექსებში, როგორცაა „სისხლი და ცრემლი“, „სევდა ყოფნაზე“ და სხვ. მეორეს მხრით, ილო მოსაშვილის ადრინდელი ლექსებისათვის დამახასიათებელი იყო სოფლის პრიმიტიულობის იდეალიზაცია და ბუნების პანთეისტური აღქმა, რაშიაც ვაჟას პოეტური ხემის გამოძახილი იგრძნობოდა.

ბუნების აღწერის ეს რომანტიკული მანერა და სოფლის პრიმიტიული ყოფით ვატაცება პოეტს დიდხანს ახასიათებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. ამის მიხედვით, ილო მოსაშვილის შემოქმედება შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად. პირველი პერიოდი გრძელდება სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 1927—28 წლამდე, ხოლო მეორე პერიოდი — 1927-28 წლიდან დღემდე. პირველი პერიოდისათვის, როგორც უკვე ვთქვით, დამახასიათებელია სიმბოლისტური მოტივები, ნეიტრალური ინტიმური ლირიკა და სოფლის ცხოვრების იდეალიზაცია. ამ ხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსები „სოფლად“, „გამოთხოვება სოფელთან“, „ღამე გომბორზე“, „ქალაქი ტყეში“, „ვაჟა მონადირე“. ამ ლექსებში პოეტი შეტრფის ძველ ტრადიციებსა და ჩვეულებებს, სოფლის იდილურ ყოფას, გულისტკივლით მისტიკის ძველ სოფლის სახის შეცვლას.

იგი განსაკუთრებული სიყვარულით მოსაუხს ბუნებას, სულიერ არსებად ხა-

ტავს ბალახს, ხეს, მინდორს, განიცდის მათ როგორც საკუთარი სიცოცხლის ნაწილს, მათ ისევე ესაუბრება, როგორც ცოცხალ მეგობარს:

მივევები უღრანს, ჩემად მივევები,
 ფოთლი ფოთლს ტირილით სტოვებს,
 უცებ შესდგები და ბილაყები
 ირმის რქებივით გაშლიან შტოებს.

საით წახვიდე, ბალახს ვეფრები,
 და ყნოსავ მიწას ნადირის გვშით,
 ვინ იცის, რომელ ხეს შეეყრები,
 რომ მეგზურივით გაგიძღვეს ტყეში?

ვინ იცის, რომელ ადგილს გაანდობ,
 რაც სიხარული გულში შობილა,
 დაჯდე მარტო და ცეცხლი დაანთო,
 ვით წინაპარმა პირველყოფილმა.

სალამოკაშს, ნადირობის შემდეგ,
 შაენაბაღწამოხურული პოეტი მეგობარ-მონადირესთან ერთად ცისქვეშ ისვენებს და ბუნებას ეჭურჩულება:

მინდა ამ ღამეს მიწა ვიგჩნო და
 ეჭურჩულო, ეწოფო ბალახი.

ი. მოსაშვილის ადრინდელი ნეიტრალური ინტიმური ლირიკა ხშირად შეფერადებულია დეკადენტური, მისტიკური მორტივებით. 1919 წლის „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდილ ლექსში „სევდა ყოფნაზე“ ეკითხულობთ:

სიცოცხლე მარად მშობოდ იყო ამოება,
 ბედის სიყვეს არ აქვს კიდე, არ აქვს
 საზღვარი.
 ყველას თანაბრად მიაქროლებს ცივა
 დროება,
 ვით ქარი ფოთლს და მივეღივართ
 როგორც სიზმარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ილო მო-

საშვილი თანდათანობით შორდება კა-
მერულ-დეკადენტური პოეზიის გზას.

ილო მოსაშვილის, როგორც პოეტის,
ხელახალი დაბადება მოხდა ჩვენს ეპო-
ქაში. სოციალიზმის გრანდიოზულმა
წარმატებებმა ხელი შეუწყო მისი შე-
მოქმედების იდეურ გაჯანსაღებას. საბ-
ჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა ფართო
გზა ქართული ხალხის ნიჭიერ ინტელი-
გენციას და მისცა ისეთი ასპარეზი,
რომელზედაც წინათ მწერალს ოცნე-
ბაც არ შეეძლო. სწორედ საბჭოთა სი-
ნამდვილის ნიადაგზე გაიფურჩქნა ილო
მოსაშვილის მდიდარი შემოქმედებითი
შესაძლებლობანი. მართალია, მიხვეულ-
მოხვეული გზით, წინააღმდეგობებითა
და მერყეობით, მაგრამ მაინც იგი თავს
აღწევს ნეიტრალურ ლირიკას. ერთ-
ერთ ადრინდელ ლექსში ასე გადმოგე-
ცემს იგი ახალი სინამდვილით გამოწე-
ვილი შინაგან სულიერ ბრძოლას:

დღეს კი ქვეყანა სხვა გზებით მიდის,
ვანვლილ შარა ცეცხლმა შეღება,
და ორი გულის ბრძოლას და ჭიდილს, —
მორჩა, ჩემს გულშიც ბოლო ეღება.

პოეტი რწმუნდება, რომ საბჭოთა
ეპოქისათვის შეუფერებელია „ძველე-
ბური იდილიით“ გართობა. პოეტი, თუ
სურს მას ნამდვილად იყოს მოწინავე
საბჭოთა მოქალაქის მაღალი ღირსების
გამომხატველი, ვალდებულია ემსახუ-
როს ახალ დროს. კარგად ამბობს იგი:

„პოეტს ეძახის მისი სახელი
დიდი ეპოქის ცეცხლში დაიწვას,
ყოველი ქების
და რკინის ნახვევი
მყვრდით, სისხლით და ლექსით დაიცვას“.

ი. მოსაშვილი უკვე ნათლად გრძნობს
ძველი ყოფის მსხვერველს:

„ვამა წაიღო შენი დროება,
შენი მკითხავი,
მნათე, საყდარი...
ძველი მოწვევა და მყიდროება,
დედი ამ ქვეყნად აღარსად არი“.

სოციალისტურმა ცხოვრებამ საე-
სებით შეცვალა არა მარტო სახე სოფ-
ლისა, არამედ თვით პოეტის შე-
მოქმედებასაც ახალი შინაარსი მისცა.

თუ წინათ ილო მოსაშვილი ინდიფე-
რენტულად იყო განწყობილი დიდი სა-
ზოგადოებრივი მოვლენებისადმი; სო-
ციალური და პოლიტიკური საკით-
ხებისადმი, ახლა იგი გვევლინება სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური თემებით
უაღრესად დაინტერესებული პოეტის
როლში.

პოეტის შემოქმედების გზის საუკე-
თესო დახასიათებაა მოცემული ლექს-
ში „უღელტეხილზე“. ეს ლექსი დაწე-
რილია 1928 წელს. შეიძლება ითქვას,
რომ ამით იწყება ილო მოსაშვი-
ლის შემოქმედების ახალი ფურცელი.
ამ ლექსს წამძვარებული აქვს ილია
პავლეაძის ცნობილი სტრიქონები:

„ჩვენ უნდა ესლით ვხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშავთ მურობადი.
ჩვენ უნდა მივეთ მოშავალი ხალხს.“ —

ამით ნათლად გვანიშნებს პოეტი მი-
სი შემოქმედებითი ცხოვრების ახალ
პერიოდს. იგი აცხადებს:

„მოვიდა გმირი რკინის ხელებით
და თავის გზაზე გამოიყოლია“.

მას სწამს, რომ ლექსი მკვდარია
„უქარიშხალოდ და უფრიგალოდ“. პოე-
ტისთვის არ იყო ამ ახალი ცხოვრების
მიღება უმტკივნეულო. იგი გულწრფე-
ლად აცხადებს, მე გულში სევდა ძლივს
ჩავიკალოო:

და თუ ჩემს ხმაში ზოგჯერ იღვებხ
სევდა ფარული.

ეს მე არა ვარ...
ის არის ბავშვი,
მწარე დღეებში
ხმა გაბზარული“.

მაგრამ მერყეობის პერიოდი სულ
მოკლე ხანში დასძლია ი. მოსაშვილმა
და იგი მტკიცედ დაადგა საბჭოთა მწერ-
ლობის გზას.

„და მივიმღერი, რაღას მიქვიან,
შემოღამება, შიში, ეჭვები,
ეხედვა, აფანდებს გლიჯავს სტიქია,
და მეც მღელვარე ზღვაში ვეშვება“.

ილო მოსაშვილი კარგად გამოხატავს
იმ გარდატეხის ვითარებას, რომელიც

ძველი თაობის ერთი ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი 30-იანი წლების დასაწყისში.

საბჭოთა ადამიანების ბრძოლისა და შრომის პეროიკით აღფრთოვანებული პოეტი უკვე საყვედურით მიმართავს თავის თავს:

„შენ კი ვერა გრძნობ ეპოქის ძარღვებს და იგრძნობი როგორც ლაფანი, თუ სიზარულმა არ დაგვარა გულში, მამ ჩალას მისდევ დღევანდელს ჩანჩალოთ. შეძვერი საღმე ახუნელას ღრუში ან დანიხვინე შევრდზე ხანჯალი“.

ილო მოსაშვილი ჩადგა ქართველი მწერლობის იმ მოწინავე ჯგუფში, რომელმაც იგრძნო ახალი ეპოქის ძალა და სამოლოდ გააწყვიტა კავშირი ძველთან, ვიწრო კამერულ ლირიკასთან.

ილო მოსაშვილმა 1931 წელს გამოაქვეყნა ლექსების ახალი ციკლი „ალა-ხანზე“, ეს იყო პოეტის ნამდვილი შემობრუნება თანამედროვე საბჭოთა სინამდვილისაკენ; პოეტი შეხარის საყოლოქურნო მინდვრებს, მის მზიან ამინდს, უმღერის შრომის გაზაფხულს, ალაღანებულ ყანებს, ბარაქიან ევლებს.

ლექსში — „ოქტომბრის თაობა“ პოეტმა შესანიშნავად გამოხატა საბჭოთა ახალგაზრდობის ბრწყინვალე ზვედრი. ოქტომბრის დროშასთან შეფიცული ახალი თაობა, რომლის „ნატერა, ოცნება, დროშა ბელადის სიბრძნით გაბრწყინებულა“, — არის ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელი. ეს თაობა „მოაბიჯებს რკინაჩასხმული მუხლით და მკერდით“ და სწერს „ეფდლებით, რკინით, აგურით ახალი ქვეყნის ქორონიკონებს“. პოეტი ოსტატურად უპირდაპირებს ახალი თაობის ამ ბედნიერ ზვედრს ოქტომბრის რევოლუციამდელი თაობის ბედს. საკუთარი თავის მავალთზე, ბიოგრაფიული დეტალების განზოგადოებით ხატავს იგი სეველიან ფურცელს უკუღმართი წარსულისას: 40 წლის პოეტი ოხვრით იგონებს თავის ყმაწვილობას და აცხადებს „რამდენი ოხვრა ამოაქვს სუნთქვას, როცა ვიგონებ ჩემს სიყმაწვილეს“. პოეტი გაღაქრით უარყოფს თავის წარსულში იმას, რაც ყალბი და მცდარი იყო:

ამოვიდალე მკერდიდან ხორცი, და შევინახე წმინდა რაც არი,

ორმოცი წლიდან — პირველი ოცე ქარს წაუღია, როგორც ნატარი.

ახლა პოეტი „ძმასავით უღვას“ დიმილით საეეს ახალგაზრდობას, შენატრის მათ მზიან დღევებს და გულით ნატრობს:

„და შენა თაობას როდესაც ეხედავ, ფარული სევეა გულს აღარ ჩრდილავს. ვიციერ და ვფიქრობ: შენსავით ნეტავ მეც ვმოხილიყავ ოქტომბრის დილას“.

ახალმა ცხოვრებამ, ახალმა დრომ ახალი ენერგიით გამჟვალა პოეტი. ამიტომაც ზოგჯერ მას გონია თითქოს ოქტომბრის ტოლი იყოს:

„ზოგჯერ მგონია შენა. ტოლი ვარ, ზოგჯერ — მეორედ მოსული ბავშვი“.

ლექსში — „ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა“ პოეტი ელოავ ადარებს ძველი და ახალი თაობის ბედს.

თუ წინათ ადამიანი:

„წუხილით და გლოვითა დედამიწას მიწას ვერ იპოვიდა, მოდიოდა ფეხშიშველი თვალზე ცრელი ერია“.

ახლა, ძველი თაობის ეს წარმომადგენელი:

„უსამშობლო — განახლებულ სამშობლოში მოვიდა. დღევ და ღამევ ეხლა მისთვის მზის და ვარდისფერია“.

ასეთი კონტრასტული ხეზით, წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებით პოეტი უფრო მკაფიოდ ხატავს სტალინური თაობის მზიანი ცხოვრების სურათს.

ილო მოსაშვილი გულწრფელი პოეტური ხმით უმღერის ამ განახლებული ცხოვრების მშენებელსა და მეთაურს — ამხანავ სტალინს. ილო მოსაშვილმა რამდენიმე ლექსი უძღვნა დიდ ბელადს. მათ შორის, თავისებური ჩანაფიქრით და მხატვრული გამოსახვით საყურადღებოა ლექსი „მზის მობრუნება“. პოეტი სტალინის დაბადებას მზის მობრუნებას ადარებს. ამ ლექსს ასეთი ეპიგრაფი უძღვის: „21 დეკემბრამდე ღამე“

მატულობს, შემდეგ იწყება მზის მობრუნება და ახლა დღე იწყებს მატებას. წინათ ქართლის ცას ბნელეთი ფარავდა, ხმა გულსაკლავი ქოხებს ზარავდა, — მაგრამ ქართლის ცაზე გამოჩნდა ვარსკვლავი, რომელსაც „ღამის მხატვარი“ დიდხანს ებრძოდა. ხალხი სასოებით მიჩერებოდა უკუნეთში მბრწყინავ ვარსკვლავს. და აი, ბოლოს, ის, რაც წაშალა ღამის თილისმამ, ამ „ვარსკვლავმა ხელმოკრედ“ დახატა.

„ქართლის მიწაზე დღე დაიბადა“.

რომლის შექმა მთელი მსოფლიო გაანათა. სტალინის მთელი ცხოვრება — ახალი მზის ბიოგრაფიაა:

მიდის, იღვეა ღამის სათი,
სადაც ინათა, ადარ დაღამდა,
ერთის მავიერ სამოცდაათი
ცაზე ვარსკვლავი ამოღანდა.

დიდი სტალინი ილო მოსაშვილის ლექსში წარმოდგენილია როგორც ხალხის საუკეთესო, საუკუნებრივი ოცნების განმახორციელებელი ბელადი:

ფეხზე აშლილი ქვეყანა მდერის
გაუთავებელ ღარდის შორიანს,
და ყოველ დილას შუესავით ვლის,
სამშობლოს ცაზე შენს გამოჩენას.

მთელ რიგ ლექსებში („ჩემი ოცნება ბელადზე“, „ბელადს“, „სტალინი, მოერიანი“) იგი უმღერის სტალინს, როგორც მშრომელი პროგრესული კაცობრიობის უფიცილეს ბილადს, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელს, თავისუფლების მებაირახტრის, დემოკრატიის დიდ მებრძოლს, რევოლუციური გინის — ლენინის უკვდავი საქმის სახელოვან გამგრძელებელს.

სოციალისტური სამშობლო და სტალინი ერთმანეთისაგან განუყოფელია. ბელადის აზრითა და სიბრძნით არის გასხვივისნებული ახლა ჩვენი განახლებული და აღორძინებული ქვეყნის მჩაქითარე ცხოვრება. საბჭოთა პარტიოტრზმის თემებზე დაწერილ ლექსებს შორის ილო მოსაშვილის „სამშობლო“ ერთი საუკეთესო ლექსთაგანია. პოეტი თანამედროვე სამშობლოს სიდიადის დასახატავად ხშირად მიმართავს წარსულისა და აწმყოს შედარების ხერხს.

პოეტი ადარებს ჩვენს მზიან დღეებს წარსულის ბურუსიან ყოფას და ამით ამელავნებს საბჭოთა ადამიანის საიმპყის გრძნობას. ჩვენი სამშობლოს წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებული, კონტრასტული სურათების ხატვა საბჭოთა პოეზიის გავრცელებულ ტრადიციად იქცა. ამ პოეტურ ტრადიციაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ი. მოსაშვილს. ასეთი პოეტური ხერხის საუკეთესო ნიმუშია ლექსი „სამშობლო“. ილო მოსაშვილი ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოს კონტრასტული ფერებითა და სახეებით გადმოგვცემს:

„შავი კვამლი ეფინა. საქართველოს მთა-ველებს,
შავი ცეცხლი — ვენახებს და მტკავლიანთაველებს,
შავი გლოვა ემოსათ გულდაკოდელ არწივებს...“

საქართველოს დიდება
საქართველოს დედებმა
ბაზალეთის აჯანმო
დაცრემლეს და არწივს.
ქოხებს კვენსა ზარავდა,
ხნულს ნაცარი ფარავდა,
ოხერა იყო „ლილო“ და წერილა „ვარადა“.
ოხერა იყო გამბული დედის ტბილი ნანინა.

ჩემო კარგო ქვეყანავ,
ბორკილები გეყარა:
ბორკილებმა ცრემლებით
მიწა დაეაბანინა“!

ასეთია ჩვენი ხალხის წარსოლის სურათები. დღეს საისებრით შეიცვალა ჩვენი აწმყო, ჩვენი სამშობლოს ბედი; იგი განახლდა, აღორძინდა და უძლეველი გახდა:

„და დღეს, ჩემო სამშობლოვ, ავისრულდა ოცნება,
რამეც დიდხანს იდარდეს შენმა დიომა მგოსნებმა!
გაიბარე ქვეყანავ, მუხტარებას ჩვეულმა:
შენი მიწა — ალაგი,
შენი დაბა — ჭალაქი,
შენი ზღვა და ხმელეთი სანიტროდ ქითულა“!

პოეტი ცდილობს მოქიბნოს ისეთი პოეტური ფორმები, რომლებშიაც უფ-

რო სრულყოფილად გამოიხატება აღორძინებული ქვეყნის მონუმენტური სახე და ძალა.

ილო მოსაშვილმა ამავე თემას უძღვნა ლექსები: „სამშობლო საქართველოს“, „ლავერენტი ბერიას“, „სამშობლო ჩემო“, „იყო სამშობლო სიმღერით სავსე“ და სხვ.

ილო მოსაშვილი თავის ლექსებში უმღერის მრავალერიანი საბჭოთა ხალხების უძღვევლ კავშირს, სტალინური მეგობრობის დიად ძალას. მეგობრული გრძობებით დაკავშირებულ ჩვენს ხალხებს არა მარტო უყვართ ერთმანეთი, არამედ გულწრფელად ახარებთ თვითელი საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევა. ამის მიხედვით გაფართოვდა სამშობლოს ცნება. დღევანდელ სამშობლოში იგულისხმება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა კავშირი, სტალინური მეგობრობით შეკავშირებული მრავალრიანი სამშობლო. ამიტომაც საესეებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მოძმე ხალხების ცხოვრების გამოზნატეულ ლექსებს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილო მოსაშვილის ლექსები: „მარიამ დემჩენკოს“, „ბელორუსიაში“, „სალამო დვინაზე“, „მთიი გამარჯვება“ და სხვ. საყვარული მოძმე ხალხისადმი მოსაშვილმა ასე გამოხატა ბელორუსიისადმი მიძღვნილ ლექსში:

„და შენ, მეორე სამშობლო ჩემო,
დიდი საბჭოთა ქვეყნის ნაჭერო,
შენი გმირული მარჯვენის ცემა
ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩეროს“.

ხალხთა სტალინური მეგობრობა ის დიადი ძალაა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცეს საფუძვლად უდევს. ამ ძალამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობა. ამ ძალამ დაიცვა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ილო მოსაშვილი მგზნებარედ გამოეხმაურა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომს. ომის უშუალო მონაწილე — მოქალაქე და პოეტი — შემართად გაერთიანებულია მის შემოქმედებაში.

საბრძოლო მოწოდებამ გაისმოდა პოეტის სიტყვები:

„დედა სამშობლო, დედა ალაგი მიწა, ხანძრებით ბევრჯერ დამწვარი, ქართლის ველების ქვა და ბაღი, და წინაპართა ძელების ნაკარი, გვეძახის შვილებს, — ვეწლან გვეძახის, ამ ქვეყანაზე წმინდა რაც არის.“

სოციალისტური სამშობლოს დაცვა, მტრის განადგურება პოეტს საბჭოთა აღაზიანის უმაღლეს მოვალეობად მიაჩნია. სიცოცხლეს, პოეტის აზრით, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ფასი, თუ იგი შერწყმულია თავისუფალი სამშობლოს არსებობასთან:

„არა სიცოცხლე რა იხრად გვინდა, — ძიხს ვგდოს როგორც მონა, მკედარსული, რად გვინდა მიწა, კვა, სამშობლო — შევინებელი და გაძარცვული, — რომ მტრის შურდაღმა ფეხმა გასთელოს მისი აწმყო და მისი წარსული.“

პოეტი მგზნებარე პატრიოტულ ლექსებში მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს — დაეცვა ჩვენი ბედნიერი აწმყო, დაეცვა მოსკოვი — სამშობლოს ბურჯი, კრემლი — ქვეყნის გული და ფარი.

ილო მოსაშვილს აქვს რამდენიმე ლირიკული ლექსი, რომლებშიაც შესანიშნავად არის ნაგაჩინოებული დრო, ახალი ცხოვრება, განახლებული ყოფა. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია ძლიერი ლირიზმი, ღრმა ინტიმური ინტონაცია. მაგრამ ეს როლია ის ნეიტრალური, კამერული მანერა წერისა, რაც ადრე ახასიათებდა პოეტს. არა, აქ უაღრესად ნათელი ფერებითაა დახატული ახალი ცხოვრების დიდი მოვლენები. აი, ლექსი „კოლხიდის დილა“. დილის იდილური სურათი აქ განახლებული ცხოვრების შუქითაა განათებული, ძველი ლეგენდის სახობრივი მასალა გამოყენებულია ახალი ყოფის გამოსახატავად. პოეტი ხატავს, თუ როგორ „შევიდა ბაღში მედეა და ოქროს თიები ტოტზე დატოვა“ და შემდეგ ამბობს:

„და ხე, რომელიც ვერ პოვა „არგომ“ ტკბილა ხილით და ოქროიდულით, მეგრულმა ბიჭმა ეზოში დარგო და ზედ დაიკადა მზე კოლხიდური“.

ლექსის დასკვნითი სტროფი შეიცავს ბელოდის საქმის მძაფრ ლირიკულ გრძობას:

„მეუხდა მიწაც, რიონის ღელაც,
გაფრინდა დილა, მტრდევით წყნარი,
და განთიადთან ბელადის ხელმა
უცებ გააღო კოლხიდის კარი“.

სახეების სიმდიდრით, პოეტური
ენის დახვეწილობით იპყრობს მკითხვე-
ლის ყურადღებას ი. მოსაშვილის ლი-
რიკული ლექსები. ამ ლექსების ყოვე-
ლი სახე შეგიძლიათ პლასტიკურად
წარმოიდგინოთ.

ლირიკული ლექსების მთელი ციკ-
ლია წარმოდგენილი ილო მოსაშვილის
ლექსების წიგნის იმ განყოფილებაში,
რომელსაც პოეტმა „მისი ბარათი“
უწოდა. ორიგინალურად არის გადმო-
ცემული საბჭოთა ადამიანის ლირიკუ-
ლი განცდები. მაღალი მორალური
თვისებებით და დიდი საზოგადოებრი-
ვი შეგნებით არის გაშინაარსიანებული
საბჭოთა ადამიანების ის უაღრესად ინ-
ტიმური გრძნობებიც კი, რომლებიც
„კერძო ბარათების საიდუმლოებას“
შეადგენენ.

როგორც აღვნიშნეთ, ილო მოსაშვი-
ლისათვის დამახასიათებელია მოვლე-
ნების და სურათების კონტრასტული
ხატვის ხერხი. ამ ხერხით არის დაწე-
რილი მისი საუკეთესო ლექსები.

ილო მოსაშვილი პოეტური ფრაზის
საინტერესო ოსტატია. იგი მკაცრად
იკავს თანამედროვე სალიტერატურო
ქართული ენის ნორმებს. პოეტი გა-
ურბის გამოგონილ ხელოვნურ სიტ-
ყევებსა და ბუნდოვან პოეტურ ფორ-
მებს. ილო მოსაშვილი დიდ ყურადღე-
ბას აქცევს ლექსის „სისუფთავეს“, ყო-
ველ მის ლექსში ჩანს დიდი დაფიქრე-
ბა და გონების თვალით შემოწმება
ცალკეული ფრაზისა და სტრიქონისა.
ნაწილობრივ შესაძლოა, ამ დიდი სი-
ფრთხილითა და პასუხისმგებლობის
გრძნობით აიხსნას ის, რომ ილო მო-
საშვილის შემოქმედებით ნაყოფიერე-
ბა არ შეიფერება მის პოეტურ შესაძ-
ლებლობას.

ილო მოსაშვილის პოეზიაში არ უპო-
ვია სათანადო გამოხატულება სოცია-
ლისტური მრეწველობის, მუშათა კლას-
ის ცხოვრებისა და ყოფის თემატიკას.
ეს უნდა აღინიშნოს როგორც სერიო-
ზული შემოქმედებითი ხარვეზი. ისე,
როგორც მეტ წილად ჩვენი პოეტე-
ბი, სამწუხაროდ, ილო მოსაშვილიც
სოფლის თემატიკითაა განსაზღვრული.
მომავალ მუშაობაში პოეტმა ეს უნდა

გაითვალისწინოს, რომ ეს ქვემოთი
მხატვარი თემატიკურად უფრო სრულ-
ყოფილად წარსდგეს სამჭრთამ მკით-
ხველების წინაშე.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.



უკანასკნელ წლებში ქართული სა-
ბჭოთა დრამატურგიის აღმავლობის სა-
ქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა
ილო მოსაშვილმა. მან ზედიზედ გამოა-
ქვეყნა საინტერესო დრამატული ნაწა-
რმოებები: „სადგურის უფროსი“, „ჩა-
ძირული ქვები“ და „მისი ვარსკვლავი“.

ამ პიესებმა საიესებით დამსახურე-
ბულად მიიქციეს ჩვენი ლიტერატურუ-
ლი და თეატრალური საზოგადოების
ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ
ილო მოსაშვილმა ქართულ დრამატურ-
გიაში თან მოიტანა დახვეწილი ლიტე-
რატურული გემოვნება და მდიდარი
პოეტური ენა, რაც მან როგორც პოეტ-
მა წლების განმავლობაში გამოიმუშავა.

ილო მოსაშვილის პირველი პიესა
„სადგურის უფროსი“ დიდი სამამულო
ომის თემას შეეხება.

1942 წელი. ჩრდილოეთ კავკასიის
რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე არეუ-
ლია მგზავრები: აქ არიან მოხუცები,
ბავშვები, ქალები, ინჟინდები — ტო-
რებით, კალათებით, ჩემოდნებით, მეკ-
რული ლოგინებითა და ბარჯით. შორი-
დან მოისმის საარტილერიო სროლის
ხმა. მოხუცი მეფანდურე მღერის გულ-
ში ჩამწვდომ სიმღერას:

„ბრმა ვარ და უსინათლო —
ბნელეთის მოსვლას ვეხდავ. —
შვი, იხსენი ხალხი,
შვი, სინათლას დედაკ...“

უკვე ექსპოზიციაშივე არის გარ-
კვეული პიესის მთელი დედაზარი.
მართლაც, ბნელეთის მოსვლას ჰგავდა
კავკასიის მისადგომებზე მომდგარი
სისხლიანი აგრესორები, გერმანელ-
ფაშისტური ურდოები. მწერალი ოს-
ტატურად უპირდაპირებს პიესაში ორ-
ძალას: ერთ მხარესაა მონობის და ბო-
რობების მომტანი ფაშისტური გერმა-
ნია, მეორე მხარეს — თავისუფლების,
სინათლის, ხალხთა დამოკიდებულებისა
და ბედნიერების დამცველი სოციალის-
ტური სახელმწიფო და მისი ძლიერე-
ბის ბურჯი — საბჭოთა არმია. მეფან-
დურის სიტყვებში გამოხატული დედა-
ზარი განსაზღვრავს პიესის იდეურ

კონცეპციას, მოქმედი პირების ხასიათს. ამასვე ექვემდებარება კომპოზიციის სხვა ელემენტები. ფინალში კვლავ გამოჩნდნენ მხოვეტი შეფანდურე, რომლის სიტყვებში სიმბოლიურად გამოხატულია საბჭოთა ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენა.

პიესა სცენიურად მეტად დაძაბულია. გერმანელებმა სადგური ორლოვკა აიღეს. სადგურის უფროსს პიესის მთავარ გმირს—ჩადუნელს რაიკომის მდივნის—სერგეი პეტროვიჩის განკარგულებით წინადადება ეძლევა დარჩეს გერმანელებთან. მას ევალება დამალოს დაჭრილი რაიკომის მდივანი და ბრმა შეფანდურის საშუალებით კავშირი დაამყაროს პარტიზანებთან. ეს დავალება მხოლოდ რაიკომის მდივანმა—მძიმედ დაჭრილმა სერგეი პეტროვიჩმა იცის. ლევან ჩადუნელის „კავშირს“ გერმანულ ოკუპანტებთან ზიზით შეყურებენ ორლოვკაში მცხოვრები საბჭოთა ადამიანები. ისინი ზშირად გასაგონად ეძახიან მას იუდას. სამშობლოს პატრიოტი ჩადუნელი ამ მძიმე შეურაცხყოფას მწვევედ განიცდის, მაგრამ დავალების გამო იგი იძულებულია მოჩვენებით ეპირფეროს ფაშისტ დამპყრობლებს. სადგურის უფროსის „ლაპატის“ ცნობა პარტიზანებამდე აღწევს, რომელთა შორის ჩადუნელის შვილი—მარინეც არის. შეძრწუნებული და შეურაცხყოფილი მარინე ფარულად მოდის გერმანელების მიერ დაპყრობილ სადგურ ორლოვკაში და მეზობლებისაგან შეიტყობს, რომ მამა „მოლაღატეა“. მარინეს აპატიმრებენ. მწერალს შესანიშნავად აქვს დახატული საბჭოთა პატრიოტი ქალის მარინეს შეხვედრა მამასთან. ამ ვითარებაშიაც არ უმხელს მამა შვილს—პარტიზან მარინეს თავის მოქმედების ნამდვილ შენაარსს. ფაშისტები ეძებენ პარტიზანების მეთაურს სერგეი პეტროვიჩს, მაგრამ ვერ აგნებენ მის კვალს, რადგან მისი უშიშროება თვით გერმანელების „ერთგული კაცის“ ხელშია. რაც უფრო ძლიერია ფაშისტი ბარბაროსების მიერ ხალხის შევიწროვება, მით უფრო აშკარაა საბჭოთა პატრიოტების აღშფოთება ჩადუნელის მიმართ. მწერალი აქაც შესანიშნავად ხატავს სპეტაკი საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ თავდადებას სამშობლოსადმი.

ჩადუნელის მეგობარი კეთილშობილი პატრიოტი კუზმიჩი, რომელსაც

შვილი თვალწინ დაუხვრიტეს ფაშისტებმა, გადაწყვეტს შური იძიოს „მოლაღატე“—ლევანზე. უორან ტყეში ხელებიან ისინი პირისპირ ერთმანეთს. ამ დაძაბულ ვითარებაში კუზმიჩი გაიგებს, რომ ლევანი ნამდვილი საბჭოთა პატრიოტია და რაიკომის მდივნის დავალებით მოქმედობს. ეს ერთერთი ყველაზე საინტერესო სცენაა პიესაში.

პიესის ფინალში მეტად ძლიერია წამების სცენა. ფაშისტები გაიგებენ, რომ ლევან ჩადუნელი მათი მეგობარია როდია, არამედ პარტიზანების ერთგული მეკავშირეა. ჩადუნელსა და მარინეს, ისე როგორც ორლოვკას საბჭოთა მცხოვრებთ, წამებისა და სიკვდილისაგან იხსნის საბჭოთა ჯარი, რომელიც, ახორციელებს რა დიდი ბედოლის სტალინის სტრატეგიულ გეგმას, შეტევაზე გადადის ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით. ასეთია პიესის სიუჟეტი. იგი უაღრესად დრამატიზირებული და დაძაბულია. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მკითხველი თუ მაყურებელი გრძნობს იმ მეტისმეტად არატიმიურ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააყენა დრამატურგმა საბჭოთა პატრიოტი—ლევან ჩადუნელი.

პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანის ერთგულება და თავდადება დედა სამშობლოსადმი, სტალინისადმი; კარგად არის დახატული საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა და ერთიანობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთნაირი თავდადებით იბრძვიან საბჭოთა სამშობლოს დანაცვალები—კუზმიჩი, პელაგია, სერგეი პეტროვიჩი, ბორის ვოლკოვი და ქართველებიც—არსენ ლეჟავა, არჩილ მენაბდე, ლევან ჩადუნელი და მარინე. საბჭოთა ადამიანების ხასიათსა და სახეს პიესაში მოქმედილი აქვს მდგომარეობის გამოუმჯობესებელი მკვეთრი თვისება. სამამულო ომის მდგომარეობის გამომხატველი ასეთი თვისება პატრიოტიზმია.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა კარგადაა გამოხატული ბორის ვოლკოვის სიტყვებში: „დიდმა სიყვარულმა დიდი დავალება იცის... სტალინი და სამშობლო ხალხის გულში განუყოფელია...“

რაგინდ დიდი მხატვარი იყოს მისი მხატვარი, რა ბრწყინვალე, ნაწარმოებიც უნდა გამოუდიოდეს, ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ადამიანის სიყვარული მისადმი უფრო დიდია, ვიდრე ადამიანს ამ სიყვარულის გამოხატვა შეუძლია... მხოლოდ ეს სიყვარულია საჭირო.. ეს სიყვარული მიუძღვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს, ცეცხლში მიდიან და ცეცხლს არ გრძობენ, კვდებიან და მაინც ცოცხლობენ! კავკასიონამდღე დაიხიეს და აქედან ისევ ბერლინს გასცქერიან. ეს სიყვარული თოფსაც გასწავლის, ცურვასაც, მხედრობასაც...

ამ სიტყვებში მთელი ჩვენი ხალხის აზრი და ფიქრია გამოხატული. ამ პატრიოტული აზრით ხელმძღვანელობენ, ცოცხლობენ, მოქმედობენ და იბრძვიან ამ პიესის გმირებიც. მწერალმა მათ ხასიათსა და მოქმედებაში განზოგადოებულად გამოძერწა საბჭოთა ადამიანების თავდადება დედა სამშობლოსათვის, და ამაშია ამ პიესის უპირველესი ღირსება. სამამულო ომის თემაზე დაწერილ პიესებს შორის ილო მოსაშვილის — „სადგურის უფროსი“ უთუოდ გამოირჩევა თავის დრამატიულობა და მხატვრული სიძლიერით.

ილო მოსაშვილის მეორე პიესა, რომელშიაც დრამატურგიული ოსტატობა უფრო სრულყოფილი გამოჩნდა, იყო „ჩაბირული ქვები“. პიესაში ნაჩვენებია თურქების მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველთა ბედი. პიესის პირველ მოქმედებიდან ჩვენს წინაშე იშლება ისტორიული ძეგლებით მდიდარი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, საქართველოს უძველესი კულტურის აგანი, რომლის წაშლა განუზრახავთ ახლა თურქ ბარბაროსებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მიწა-წყალზე მოსახლე ქართველებს, მიუხედავად თურქი მტარვალების ძალადობისა, მაინც შემოუნახავთ ეროვნული აზრები. აქ მოსახლე გლეხების გერბიც, სახელოც, ენაც თურქი ბარბაროსების წყალობით დამახინჯებულია, მაგრამ ყოფაცხოვრების მრავალი დეტალი და ისტორიული ნაშთი წარსული კულტურისა მაინც მოწმობს, რომ ისინი ქართველები არიან, ისინი თვალის ჩინებოვით უფროთხილდებიან ისტორიულ ძეგლებს, რომლებშიაც დაცულია მათი წარსული, მათი ეროვნული კულტურა-

ლი მემკვიდრეობა. თურქთა ბარბაროსებს კი სურთ დაანგრიონ, წაშალონ ეს ისტორიული საბუთი. თურქი იმპერიალისტები ვეკვიტ და შიშით ეკიდებიან ქართველებს, აღვივებენ ერთგულ შუღლს ქართველებსა და თურქებს შორის; უფლებო გურჯებს სამსახურიდან ითხოვენ როგორც საეკვო ადამიანებს.

ამ პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — ქართველი მებრძოლი თურქი შიშით შეწყურებს თავის ხეაღიწილელ დღეს, მან იცის, რომ თურქი ბარბაროსები არ დაიხდობენ მას. იგი სატრფოს საიდუმლოდ ეუბნება: „ამ ბოლო დროს გურჯი წარმოშობის მებრძოლებს აღმაცერად უცქერიან... ამას წინათ მეორე გემზე, რომელსაც შავი ზღვის ნავსადგურებში დადილავდა, ხუთი გურჯი იყო და ხუთივე დაიჭირეს...“.

პიესა დაძაბული დრამატიზმით ვითარდება. კარგად არის გათამაშებული ორი მანდილის ამბავი: გაიანე ერთსა და იმავე დროს ღებულობს ორ მანდილს — ერთს თავის შვიკარებულ შოკრისაგან, ხოლო მეორე მანდილის გამოგზავნის ვინაობა მან ჯერ არ იცის. მეორე მანდილი გამოგზავნა აბდულ სადაყმა, ვილაიეთის უფროსმა, რომელსაც პარამხანაში ეს ულამაზესი გურჯის ქალი თავისი ბინძური ვნების დასაკმაყოფილებლად და შეაბნელი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად უხდა. ამერიკის იმპერიალიზმის წარმომადგენელი ინჟინერი ჯონ რაიტი ურჩევს სადაყს თავიიდან მოიცილოს ორჩი გურჯები, შეაფიქროვოს და დათრგუნოს მათი უფლებები, მოსაწი ქართველობის ისტორიული საბუთები, დაანგრიოს ხელოვნების უძველესი ძეგლები. ამ განზრახვის განსახორციელებლად აბდულ სადაყი გადაწყვეტს გამოიყენოს გურჯი ჯემალი და მისი და — გაიანე. აბდულ სადაყი განზრახავს ცოლად შეერთოს გაიანე და ამით „ერთგულდება“ დაუმტკიცოს ურჩ გურჯებს. ილო მოსაშვილს კარგად აქვს პიესაში ნაჩვენები თურქეთის მმართველი წრეების ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ამერიკელი კოლონიზატორები. ეს პოლიტიკა აგებულია მატყურაობაზე, სიცრუეზე, ადამიანების აბუხად აღდებაზე, ამ პოლიტიკის ტიპური გამომხატველი აბდულ სადაყი ახერხებს პატიოსანი ჯემალი თავის

ბინძური ინტრიგების ქსელში გახვიოს და ბრმად გამოიყენოს გურჯების წინააღმდეგ. აბდულ სადაყის და აერიკელი ინჟინერი ჯონ რაიტის ბინძური განზრახვანი თურქეთში მოსახლე ქართველების მოსპობის შესახებ — ჯემალისათვის უცნობია. მაგრამ, როდესაც ჯემალი ამ ინტრიგაში გაერკვევა, ის მთელი თავისი არსებით ილაშქრებს ამ ვერაგობის წინააღმდეგ. იგი თავს სწირავს თურქ ბარბაროსებისაგან დამცირებულ და შეურაცხყოფილ მოძმე გურჯების დასაცავად.

პიესაში თურქი ბარბაროსების ნაციონალისტური და იმპერიალისტური პოლიტიკის აზრი აბდულ სადაყის სიტყვებშია მოცემული. იგი ასე მიმართავს ჯონ რაიტს: „როდესაც ჩემი დანიშნვის ბრძანებას ხელი მოაწერა მისმა აღმატებულებამ ბატონმა მინისტრმა სიტყვა სიტყვით ასე მითხრა: როგორც ვიმინსკის გამოსვლა გენერალურ ასამბლეაზე, ისე ქართველ მეცნიერთა წერილები საბჭოთა პრესაში, ჩვენგან მოითხოვენ გადამწყვეტ მოქმედებას, რათა საბოლოოდ ბოლო მოეღოს ამგვარ პრეტენზიებს და თუ ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში კიდევ სადმე გადაარჩენილა ქართული კულტურის ნიშანწყალი, დუაყოვნებლივ უხდა აღიგავოს პირისაგან მიწისა“. ამ სიტყვებში კარგად მოჩანს დღევანდელი თურქი მმართველების პოლიტიკური ფიზიონომია. ისინი ეძებენ, ხელოვნურად აკოწიწებენ რაღაც „საბუთებს“, რომელთა გამოყენებით სურთ გაამართლონ თავიანთი ბნელი ზრახვები.

ილო მოსაშვილმა „ჩაძირულ ქვებში“ დახატა მართალი სურათი დამცირებული და აბუჩად აგდებული გურჯებისა. მათი მიმე ზვედრი გამოხატულება შუქრის სიტყვებში: „ღმერთმა დასწყევლოს, ვინც ქვეყანაზე გურჯის სახელი გააჩინა: რა იქნებოდა ამ ცის ქვეშ ერთი სრულყოფილებიანი კაცი მეცა ვყოფილიყავ?“

ზართალია, უთანასწორო ბრძოლაში ქართველები მარცხდებიან, მაგრამ მაყურებელი თუ მკითხველი გრძნობს, რომ სიმართლე დაჩაგრული გურჯების მხარეზეა. პიესაში ნაჩვენებია, თუ როგორ იზრდება პროტესტის გრძნობა მჩაგრელების წინააღმდეგ. ხალხის სამართლიანი საქმე, მსხვერპლისა და

ბრძოლის ის უშიშარი გზა, რომელიც დაჩაგრულ ხალხს აურჩევია და რომელსაც საბჭოთა ქვეყნის მფარველი ანუქებს, — გაიმარჯვებს დაიფარავს იდეა ნათლად არის გამოხატული. ამ მხრივ საინტერესოა ფინალი.

ჯემალი — (ლოდზე შედგა) გაიანე? გაიანე და შუქრი წუხელ ზიარეთიდან გავიდნენ... შენი მღევარი მათ ველარ დაეწევა...

აბდულ სადაყი — ზომ არ გაგიყებულხარ? რის სამშობლო? როგორი სამშობლო?

ჯემალი — რომელიც გინდა გულიდან ამოგვაცალო. როგორც ეს წმინდა ქვები ამოაცალე ზიარეთს და ქურდულად ზღვაში ჩაჰყარე!.. რომელი სამშობლო? — რომლის სიყვარულისათვის შენ ქურდულად მოჰკალი ბუჯან ალა და მე ჩემი მეგობრისათვის, ალაღმართალი კაცისთვის, ხელები შემაკვრევენე!..

აბდულ სადაყი — რამაზან ალი, შეიპყარით!.. გალავანი დაკეტეთ! ფეხი არაიენ მოიცივალის!

(რამაზან ალი და რამდენიმე პოლიციელი ჯემალს მისციევენ).

ჯემალი — (განზე გახტა) რა გეჩქარებათ, თქვენი აღმატებულება, ჯერ ანგარიში ვავასწოროთ... გურჯმა ვალის გადახდა იცის...

(აბდულ სადაყი რეეოლვერი დაახალა, იგი უსულოდ პირქვე დაემხო).

ს. პ. უფროსი — ესროლეთ!

(პოლიციელმა ჯემალს ზურგში დასცა თოფი. ჯემალი დეცა).

გოგჩი — (ჯემალს მივარდა) ჯემალი!..

ჯემალი — (წამოდგომას ბედობს) გოგჩი... შენი ჭირიმე... ბუჯან ალა მართალს გვეუბნებოდა — წვენ ქართველები ვართ. ესენი კი ოსმალები არიან... გიყვარდეს შენი სამშობლო... საქართველო!

მწერალი ფინალში გვიჩვენებს გურჯების პატრიოტული სულისკვთების გამოვლიძებას და თავისუფლებისათვის მისწრაფებას. დამცირებულმა ადამიანებმა, თურქი ბარბაროსების მიერ დაჩაგრულმა ხალხმა იცის, რომ ხსნა სოციალისტურ სახელმწიფოშია. მაყურებლის თუ მკითხველის თანაგრძნობაუ ბოროტმოქმედ თურქ ბარბაროსებისაგან დამონიჭული ხალხის მხარეზეა. თურქ ბარბაროსების მიერ დამონებული გურჯების პატრიოტული თავ-

დადება, გამარჯვებისადმი ურყევ რწმენას მგზნებარედ უმღერა ამ პიესაში დრამატურგმა.

ილო მოსაშვილის ეს პიესა გამსჭვალულია მაღალი პატრიოტული იდეით. ამ იდეისათვის მწერალს შესაფერისი მხატვრული ფორმაც აქვს მოძებნილი. მისი დიდი გამარჯვებაც ამით აიხსნება. პიესამ სავსებით სამართლიანად დაიმსახურა მაღალი ჯილოდ — „ჩამირული ქეები“ ზაინც არ არის დაზღვეული ზოგიერთი ნაკლისაგან. მთავარი ნაკლი, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ პიესა არ ეხება დღევანდელი თურქეთის კლასობრივ დიფერენციაციას, არ ეხება გურჯებისა და შიმშე სოციალური მდგომარეობაში მყოფი დაბეჩავებული თურქი ხალხის ნამდვილ ურთიერთობას. პიესის მხატვრულ და იდეურ დონეს კი უძველად ამაღლებდა სოციალური ვითარების ჩვენება.

სიახლის გრძნობა ყოველი ჰუმანიტატი მწერლის თვისებაა. პროგრესიული მწერლობა ყოველთვის ებრძოდა ძველს, დრომოკმულს, რაც ხელს უშლიდა ახლის განვითარებას. მწერლობის ეს როლი ჩვენს დროში კიდევ უფრო გაიზარდა. თუ წინათ მწერალი ებრძოდა ძველს, მისი ბრძოლა მაინც უთანასწორო პირობებში მიმდინარეობდა, რადგან სახელმწიფო და გეობატონებული კლასები ზურგს უმაგრებდნენ დრომოკმულსა და დახვეწებულს.

საბჭოთა სინამდვილეში არსებითად შეიცვალა მწერლის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

მოწინავე მწერალი ახლა კონფლიქტში კი არ არის საზოგადოებრივ წყობილებასთან, არამედ იგი სოციალისტური სახელმწიფოს პოზიციების გამამტკიცებლის როლში გამოდის. საბჭოთა მწერლობის დადებითი გმირები ჩვენი ცხოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლნი არიან. ჩვენში მოხსნილია წინააღმდეგობა დადებით გმირსა და საზოგადოებას შორის, მწერალსა და არსებულ სინამდვილეს შორის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს

აღარ იყოს წინააღმდეგობა ძველს გადანაშთსა და ახალს შორის, მომავლესა და ამომავალს შორის, ასეთი წინააღმდეგობა არსებობს და მომავალშიც იარსებებს. ძველის, დრომოკმულის გადანაშთი უბრძოლველად არ სტოვებს თავის პოზიციებს. და სწორედ ძველის, ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის გადანაშთებისა და ახლის ჭიდილში უნდა ეძიოს საბჭოთა მწერალმა კონფლიქტი თავისი ნაწარმოებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ყოველივე პროგრესიულს, ამომავალსა და ახალს ზურგს უმაგრებს საბჭოთა სახელმწიფო. ამ მხრივ საბჭოთა მწერლისათვის შეუდარებლად უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობს შემოქმედებითი გაბედულებისათვის. დღეს ის არის ჰუმანიტატი მხატვარი, ვინც კარგად ამჩნევს საბჭოთა ცხოვრებაში ახალ კონფლიქტს, ვინც აქტიურად ემბაუერება ჩვენი ცხოვრების მღელვარე კითხვებს და ვინც ნამოვილად გამოდის საბჭოთა ადამიანის სულის მშენებლის როლში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი ნაწარმოები გულისხმობს ცხოვრების ჩვენებას მთელი თავისი სირთულითა და წინააღმდეგობით.

ილო მოსაშვილის დიდი ღირსება რეალური მხატვრისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კარგად ამჩნევს ძვირისა და ახლის ბრძოლას ჩიენს ცხოვრებაში. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო ილო მოსაშვილის ახალი პიესა — „მისი ვარსკლავი“.

„მისი ვარსკლავის“ მთავარი გმირი გიორგი გიგაური დაჯილდოებულია ახლის გრძნობით. იგი ნოვატორია. მას წინ აღუდგება ძველის, ტრადიციული დამცველი სოლომონ ზანდუკელი. ზანდუკელი როდია ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოწინააღმდეგე. ასეთი სახე არ იქნებოდა ჩიენში ტიპიური. მაგრამ ზანდუკელი ჩამორჩენილია, იგი ებღაუტება იმ დებულებებს, რაც ოდესღაც უსწავლია, მიყვება ძველ გზას, ჩამორჩება ცხოვრებას და მისთვის უცხოა ახლის ის გრძნობა, რაც გიგაურს გააჩნია. ორ საბჭოთა ადამიანს შორის — ჩამორჩენილსა და მოწინავეს შორის ატეხილი პრინციპული დაე შეადგენს პიესის მთავარ კონ-

ფლიქტს. პიესის სიუჟეტი ამ კონფლიქტით ვითარდება. გიორგი იმარჯვებს როგორც ახლის წარმომადგენელი. მაგრამ ეს გამარჯვება იოლად მოპოვებული როდია. მას დიდი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება.

დრამატურგმა სავსებით სწორად უჩვენა, რომ გიორგის მოწინავე პროგრესიულ იდეას მხარს დაუჭერდა სოციალისტური სახელმწიფო. ეს იდეა ჯერ არ არის დამკვიდრებული ცხოვრებაში, მაგრამ მკითხველი თუ მსაყურებელი გრძნობს, რომ იგი გაიმარჯვებს.

ამის მიხედვით, ჩვენს პირობებში უკვე აღარ კმარა ტიპიური ხასიათების ხატვა ტიპიურ მდგომარეობაში, როგორც ამას ენგელსი მოითხოვდა რეალიზმისაგან, არამედ საჭიროა იმ პერსპექტივის ჩვენებაც, რომელიც ისახება და ჯერ ტიპიური არ გამხდარა. ჩვენის აზრით, ილო მოსაშვილის „მის ვარსკვლავში“ სწორედ ეს მომენტია საყურადღებო.

პიესა „მისი ვარსკვლავი“ მეცხოველეობის თემაზე იწერება. ერთმანეთს ეჯახება ორი თეორია—მორგანისტული დეალისტური, რომელსაც ზანდუკელი იცავს და მატერიალისტურ-მიჩურინული, რომელსაც იცავს ნოვატორი გიგაური. ეს ბრძოლა მწერალს საინტერესოდ აქვს გაშლილი მეცხოველეობის ფონზე. ამ ბრძოლის დამაჯერებლად ჩვენება არ იყო ადვილი საქმე, მით უმეტეს, რომ ქართულ ლიტერატურაში ამ მხრივ ტრადიცია არ არსებობდა.

მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა სიძველეების დამლევა და შექმნა საინტერესო დრამატული ნაწარმოები. პიესის ცენტრალური გმირი გიგაური ნოვატორი საბჭოთა მეცნიერის მართალი სახეა. ჯიმების გაუმჯობესების ის მეთოდი, რომელსაც იგი იყენებს მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე, თიულდელია მისი ყოფილი მასწავლებლისათვის — ზანდუკელისათვის. ზანდუკელს ზურგს უმაგრებენ მომხრეები, ძველი ავტორიტეტი, ძველი ტრადიცია და მეშინაური ოჯახი. ყოველივე ეს ირახმება ნოვატორი მეცნიერის — გიგაურის წინააღმდეგ. ამგვარ სიუჟეტურ ქარგაზე მწერალი მეტად მძაფრ დრამატულ სიტუაციებს ქმნის.

პიესაში სწორად არის ნაჩვენები ძველი ყოფისა და ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გადანაშთების უარყოფითი როლი ჩვენს ცხოვრებაში.

პიესა დაწერილია ილო მოსაშვილისათვის დამახასიათებელი ხატოანი ენით. მის მხატვრულ ღირსებას ამაღლებს ოსტატური დრამატული ინტრიგა და ბუნებრივი, სხარტი დიალოგები.

ილო მოსაშვილის სახით ქართულ საბჭოთა დრამატურგიას ჰყავს ნიჭირი ოსტატი. საბჭოთა მკითხველი სავსებით ბუნებრივად მოელოს მისგან ყლავ ახალ ნიჭიერ ნაწარმოებებს, რომლებშიც წარმოსახული იქნება ჩვენი დიდი ეპოქა, კომუნისმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება.

ბიბლიოგრაფია



სიგზო კლდიაშვილი — „ჩემი პირობა“

„საბჭოთა შწერალი“. 1951 წ.

საშუალო, უჩინარი ადამიანი, ფუტკარივით გამარჯვებული, ალაღმართალი, უანგარო, პატიოსანი შრომელი, — ასეთია ს. კლდიაშვილის ნაწარმოებთა მთავარი გმირი. მაგრამ ეს საშუალო მოჭალაქე როდი ჰგავს ამავე ადამიანს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც პიროვნება ყოველმხრივ შეზღუდულია, სადაც კაპიტალის პარყნებში მოწყვედილი, ილაგავიყვეტილი, უნაათო სიცოცხლეს მწარე და მძიმე ტვირთად მიათრევს იგი.

საბჭოთა სინამდვილემ ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა შრომელი ადამიანი, ფართო პერსპექტივები გადაშალა მის წინაშე, ყოველგვარი პირობა შეუქმნა ნამდვილი, სასიხარულო, თავისუფალი შემოქმედებითი შრომისათვის. არასოდეს და არსად ისეთი დაფასება წილად არ ზედმომა „ჩვეულებრივ მომსახურეს“, როგორც ზედა მას ჩვენი, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. ასეთი ტიპები არიან სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებთა გმირები: ტელეგრაფისტი სანდრო მინდიაშვილი, მეფუტკრე შოი ბერიშვილი, ავრონობი გაბრიელი, სოფლის მეურნე იპოლიტე თაბუკაშვილი, ინჟინრები არჩილ ხვედელიანი, ელენე მესხი და სხვა მრავალი.

„შენდ მივაბიჯებდი და გულს ადამიანისადმი სიყვარული და რწმენა მიქონდა“ — ამბობს აქტორი თავის ერთ-ერთ მოთხრობაში. ადამიანისადმი ასეთივე სიყვარულით და რწმენით არის აღსავსე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ლავრენტო ბერიას წერილი, გამოგზავნილი მეფუტკრე შოი ბერიშვილისადმი. „არც ერთი საქმე არაა პატარა, — ნათქვამია წერილში, — რომელიც ხალხს კეთილდღეობას ეწიხებოდა და სიყვარულით კეთდება. ვერძინობ, გიყვარო თქვენი ქვეყანა, შეხარით მის მომავალს და ადამიანისადმი სიყვარულით საყვარელი გაქვით. ეს კი ყველაზე უფრო ძვირფასია“.

ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული, რწმენა და შეუვრდელი ზრუნვა სჩანს ავტორს იმ ლინისტებში, რომელთაც ახორციელებენ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მოაზრობა. ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა

ბარაქიან და ნაყოფიერ ადგილებში დასახლება იმ ადამიანებისა, რომლებიც დღემდე მწირნი-დავიან მხარეებში ცხოვრობდნენ. ზეკარის შთის გადაღმიდან გადმოსული და ძველი მესხეთის მიწაყვალზე დასახლებული იპოლიტე თაბუკაშვილის ოჯახია აწერილი სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „პირწმო“. აქ, მამაპაპისეულა ძეგლებით მოკირწყვლულ მიდამოებში, შევიძინა პირველი შეილი იპოლიტე თაბუკაშვილს. გაჩნდა ახალი სიცოცხლე, თან მოიტანა სიიზობი, იმედი და სიხარული. იგი იცხოვრებს სტალინური სიბრძნით გაეცისკოვრებულ ქვეყანაში ლაღად და თავისუფლად. მის მზიურ ცხოვრებას ზრდილი არასოდეს მოეფიქრება. ეს ადამიანი ისარგებლებს ყველა სიკეთით, რასაც კი ჰქმნის სოციალისტური ეპოქა, რასაც უჭადის მას კომუნისმის დიად შწენებლობათა დამთავრება და მათ საფუძველზე მიღებული სახალხო ბარაქა.

სერგო კლდიაშვილის იმ ნაწარმოებშიც კი, რომელშიც უცხოეთის ცხოვრებაა აწერილი, საშუალო ადამიანი მწერლის უფრადღების მთავარი საგანია. ასეთ ლიტერატურულ სახეს წარმოადგენს, მაგალითად, მოთხრობა „დღვის კუნძულის“ გმირი პიტერ პრაისი — ღარაბთა სკოლის მასწავლებელი. მას ღრმად სწამდა, რომ სიყვარული და კაცთმოყვარეობა იქეთი მძალური იარაღია, რომლის საშუალებითაც ადამიანი ოდესმე დამარცხებდა თავის არსებობაში მხეცურ ინსტიტუტებს, მას სწამდა, რომ კეთილი გაიმარჯვებდა ბოროტზე და სინათლე დამარცხებდა სიბნელეს. კაპიტალისტური მორალისათვის კი, რადგან უცხო იყო ასეთი შეხედულება, ამიტომ პრაისს ვიგად თვლიდნენ, ვინაიდან მას უყვარდა ადამიანი, ვერ ურიგდებოდა ირგვლივ გამეფებულ უსამართლობას, კაპიტალიზმის მგლურ კანონს, რომლის მიხედვითაც ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ზრუნავდეს, ქვეყანა წყალსაც წაუღა, თუ კი თვითონ მოიპოვებს ბედნიერებას და უზრუნველ ცხოვრებას. ამ კანონის თვალსაზრისით გამობატრებას წარმოადგენს ტომის ბრედლი, რომლის გული ყველა კეთილშობილი ადამიანისადმი ბოროტებით არის სავ-

სე. ამიტომ მის მკერდში გული ქადა არის ქცეული.

კაპიტალისტურ სამყაროში დიდხანს ვერ შეინარჩუნა თავისი კეთილი გული პიტერ პრაისმა, ისიც ჩაება ომის გამჩალებელთა ფერხულში, ჩადგა ექსპლუატატორთა სამსახურში და პრეზიდენტის კანდიდატადაც კი წამოაყენეს.

„ო, რა დიდი სიკეთეა მზის ამოსვლა! რა მარადი სილამაზეა მთები, ველები, მდინარეები! რა სიხარულია, რომ ესუნაქე და მკერდში გული ფეფოსი, რომ ვიღაც მიყვარს, ვილაცს შეეხარის! რა კარგია, რომ თვალი მაქვს და ქვეყანას ვხედავ! რამდენი რამ არსებობს კიდევ იმოსათვის, რომ ბედნიერი ვიყო!“ — ამბობს ს. კლდიაშვილის მოთხრობა „ფერფლის“ გმირი. ეს მარტო ამ ლიტერატურული გმირის აზრი არ არის. ასე ფიქრობს და აზროვნებს ყველა მშრომელი, შვიდობისმოყვარე, ყველა პატიოსანი ადამიანი. ეს არის აზრი მთელი ხალხისა, რომელსაც არასოდეს არ სურდა და არც ავიზად სურს ომი, იგი შვიდობის მომხრეა პოეტი თავისი გრძობებითა და მისწრაფებით. ამას ნათლად ადასტურებს ის უღედესი მოძრაობა შვიდობის სასარგებლოდ, რაც მთელ მსოფლიოში გაიშალა. ეს მოძრაობა უმძალერესი საწინდარია იმისა, რომ ომის გამჩალებელი თავიანთ შავბუნელ ზრახვებს ვერ განახორციელებენ, ვინაიდან „შვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები შვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და მოლომედ დაიკავენ მას“ (ი. სტალინი). ხალხებმა უკვე აიღეს თავიანთ ხელში შვიდობის დაცვის საქმე, მათ უკვე ვეღარ მოახვედრებთ აგრესორები თავიანთ აგრესიულ გეგმებს.

„დღეის ენძელში“ ავტორი აფეთქებს დოქტრინით მოსაყიდელი გატყუარი ივ მაინის ცხოვრებას, ადამიანისა, რომელმაც ვერ გაუძლო ოქროს ცდუნებას, მიჰყვია სინიღისი და მოქალაქეობრივი ღირსება კაპიტალისტებს, გახდა უოლსტრიტის ლაქია და ყურმოჭრილი მონა, იგი იქცა მოძრავ მექანიზმად, რომელიც ზუსტად ასრულებს დამჭირავებლის ნება-სურვილს. პრაისი დაღის ქვეყნის ყველა კუთხეში, გამოღის მიტრინგებზე და თავდაფრთხილთ ქადაგებს ახალი ომის საჭიროებას, ზრისწის ჩაწვეტამდე გაკვივის ატომური იარაღის ძლევაშისილებაზე.

„დღეის ენძელში“ წარმოადგენს მწვავე ზამფლეტს ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ერთგვარი სქემატისისა და სახეთა პლაკატურობის გამო თავისი მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებით არ დგას ავტორის შესაძლებლობათა დონეზე, იგი მაინც მნიშვნელოვანი მოკლეწიგია მწერლის შემოქმედებაში, როგორც პუბლიცისტური სიმბავილით, ისე თავისი აქ-

ტულობით. ეს მოთხრობა დაეისებურო გამომხატრება მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე მისი მიზანია ამჩილოს ახალი ომის გამჩალებლების ისტერიკა, მათი პორტიტი ზრახვები, რომელთაც განხორციელება არ უწყრიათ; ხოლო მსოფლიო ყაჩაღები ამერიკელინგლისელი იმპერიალისტები თუ მინც შესბლენ ახალი მსოფლიო ომის ხანძრის დათებას, „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში“ (ი. სტალინი). ასეთია ისტორიულ მოვლენათა განვითარების ლოგიკა და გარდევალი კანონი.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში სევანური მოთხრობების ციკლს. მათში მოცემულია საქართველოს ამ ერთ-ერთი საინტერესო და მომხიბლავი კუთხის შორეული და ახლი წარსული.

მოთხრობაში „ლაშხეთის ბატონი“ მწერალი გვიხატავს თავისუფლების მოყვარე სევანების ბრძოლას ლაშხეთის ბატონის დევლეთ ყიფიანის წინააღმდეგ. სხარტად მოკვეთილი ფრაზებით არის მასში აღწერილი ბატონის პრიპანებით მოთინებებიდან გამოსული სევანების აღმფითება და გულისწყრომა. მკითხველი ხელშესახები სიუხადით გრძნობს სევანეთის ზეად ბუნებას, ჩვენს ქვეყნის ამ შესანიშნავი და თრვისებური კუთხის მკედლათა ვიყავურ ბუნებას, მათ შემეშარებლობას და პირდაპირობას, მტრისადმი შეერიგებლობას. ძუნწად, ყოველგვარი მრავალსიტყვაობის გარეშეა წარმოადგენილი მოთხრობის ფინალი:

„თითქოს ისრების ზრიალით გამოფხიზლურული, ამართული შეხებით ხალხი სალტედ შემოურტყა კოშკს და უეცრად ათსმა ხმამ ერთბაშად იღრიალა:

— სიკედილი დევლეთს! სიკედილი! დევლეთმა თვლით მოსტენმა მაღალი სვანი, მომართა ხელში ხანჯალი და ესროლა. მხარში მოხვედრილმა სატევერმა სვანი ჩაყეცა. მაშინ დევლეთმა, რომელსაც ისრები ყოველ წუთს სიკედილით ემუქრებოდნენ, პირტევერი გადაისახა, ჩახება მუქარად ამართულ წვეტიან შეხებს და გადატა.

შუბებზე წამოგებული სხეული ლაშხეთულბმა იქვე დასტოვეს ცისკრამდე, სანამ ღრვობა დასრულდებოდა“.

ბეჭოს მთავარმა ფუთა დაჩქელანმა მრავალჯერ აიკლი უშგუელი; მას სურდა უშგულის დაყრობა, უშგულელები თავგანწირულად იცავდნენ დამოუცილებლობას, ისინი მტკიცე დაარჯად ედგნენ საყუთარ თავისუფლებას. უშგულს, რომელსაც ბატონი არასდროს არ აყოლია, არ სურდა მონობას მძიმე უფლე დაედგა. უშგულმა ზეახს მიმართა. მან იც-

დარჩეული სვანი ბეროში მძევლად ვავზავნა და ფუთა დაჩქელანი შესარიგებლად მოიწვია. უშვულის ყველა გვარისკაცმა მოიტანა ტყვიის ჩამონათალი. ტყვიის პაწაწინა ნაჭრები ერთ ტყვიად შეადრულეს და გადასწყვიტეს ამ ტყვიით გაეშათ მჭერად სისხლისმსმელი მთავრისათვის. ბეროს მთავარი ესტუმრა უშვულს. ნადიმის დროს ჩახმაში ჩაბმულ თოყს უშვულის ყველა გვარის წარმომადგენლებმა ჩასვიდა ხელი, დაიქვეა თოფმა და ტყვიანაკრავი ფუთა დაჩქელანი მიწაზე დაემხო. ასე იქა შურის მტარავლის წინააღმდეგ თავისუფლების მორტყილად ხალხმა.

ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების— მენშევიკების წინააღმდეგ პარტიზანთა გმირული ბრძოლების პერიოდს ეხება ს. კლდიაშვილის მოთხრობა „პარტიზანები“.

„ახალდუმი“ კი ავტორი ავციწერს რუსეთის თეთიმპერობების დამკვიდრების ხანას ავანეთში.

მწვემსი სვანი გოგონა მარბისხადმი სოზარის სურტაი ტრფილის შესახებ მოგვითხრობს „წარმართი“. ეს სიყვარული სოზარმა გამოიხატა საუდრის კედლის მხატვრობით, სადაც დახატა პურელი თავსაფრიალი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გარშემო დიდი ნათელი ეფენა. მისი სილამაზე შეტად მიწიერია იყო. წარბზე ჭრილობის კვლი ემჩნეოდა. კისრს მძივებით შემკული ჰქონდა. ფაფანაკით თვედბარილი ყრმა ქალის მკერდს მიკროდა და საეხე ჭრქეს ბარხად დასწავებოდა. ქვევით უსწორო ასოებით ეწერა: „წმინდაო მარბი, ღვთისმშობლის სწორო“.

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის ბოლოქარ ზოვლებს ეხება მწერალი მოთხრობაში „ციცინო გურიელი“. ბათუმიდან გამოქცეული რევოლუციონერი ნიკოლა სიციოტლის შენარჩუნების მიზნით დროებით თავს შეაფარებს თავისი ბავშვობის მეგობრის დიმიტრი გურიელის ოჯახში. დიმიტრის მამა მოხუცი თავადი იასე გურიელი ძველი პატრიარქალური ოჯახის პატრონია. როცა წამოიჭრება საკითხი, რომ დიმიტრი პოლიციის სამსახურში უნდა მოეწყოს, იასე გურიელი ამის წინააღმდეგია, ვინაიდან ეს სამარცხენო საქმედ მიანიჩა არისტოკრატიული წოდების კაცისათვის. მაგრამ მეზობელ-აიოვსაგების დაჟინებული რჩევით იგი თანხმდება პოლიციამში შეილის სამსახურს. დიმიტრისა და ნიკოლას შორის ღრმა უფსკრული გაითხარა. ერთ დღეს, როცა უცხოეთში გასაქცევად მომზადებული ნიკოლა გურიელის ოჯახიდან საიშედო კაცის თანხლებით გაიპარება, ვაზე მას დახვდება დიმიტრი შეიარაღებული ჩაფხებით და ყაზახებით. შვარსიშელები ქალაქენ ნიკოლას, ასეთია ამ მოთხრობის ფაბულა.

დიდი შინაგანი სიბოთით ჰყავს ავტორის დახატული დიმიტრი გურიელის უმცროსი და, მეოცნებე ციციხო, რომელსაც თვდავიწყებით შეუყვარდება ნიკოლა, და ჭრამილეს უფიქრინდება მისი მკვლელობა. უფიქრე უმცროსი არავის იყარება, განსაკუთრებით შეიძულა მამა, რომლის ხმის გაგონებაც კი თავზარს სცემდა.

ს. კლდიაშვილის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს ეკუთვნის წიგნში მოთავსებული მოთხრობები „ქალაქი ხევიში“, „პროვინციის ბოვარე“ და „ფერილი“.

პირველ მათგანში მეთხველი გენობა შორეულ ვიწრო ხევიში გაშენებული ქალაქის მკვიდრთა ცხოვრებას, მათ შემოზღუდულ ინტერესებს, დაკნინებულ არსებას, დაჩუქნებულ გონებას და უხალისო ყოფას. დუქნების წინ სკამებზე მყვინთავი ჭონჩორეული მიკიტნები, ღელესავით წყალდაკლებულ მდინარეში ჩაყრილი ღორბები, მდინარის ნაპირებზე დაყრილი ნავები, ქათმის ბუშბლი და კვერცხის ნაჭუჭები, ძირმომპალ ბოძზე დასკუებული მძეუტაი სანათი, ოჩოფებებზე შემდგარი ხის კოლოფები, სამიკიტნობში მომპარებული ღვინო, წინაპარსკეებს დაკლული ყვინილი, ცივი ღობი და დამქნარი ბოლოი — ამ ხევის ქალაქის დოვლათი და ავლადიდება, ქალაქისა, რომლის მოსახლეობიდან „ფრიად პატისაცემი“ პირებიც გამოირჩეოდნენ: ეჭიმი, ბებია ქალი, აფთაქის გამვე, ნესტორ ხუციცი, მღვდლის ქალიშვილი ლებტეია, სენისსიყვარე კლია ყანაყელი, რკინგზის საღვსრე მომუშევე გულთა და პირმცინარე ტელეგრაფისტი, რომელიც თავის ყოველდღიურ მოვალეობად თვლიდა დაერევა თბილისისათვის და ჰიგოროგორი ამინდი იყო. მაგრამ ხევის ქალაქის ყველაზე საინტერესო მკვიდრი გახლდათ ჰორიანა აფრასიონი. მას მთელი ქალაქი იცნობდა და ყველას საყირო კაცად მიანიდა. ერთს ერობაში უნდა წამყოლოდა საქმის მოსაგვარებლად, მეორეს — საავადმყოფოში, ზოგისთვის თხოვნა უნდა დაეწერა, ყველა კრებაზე უნდა შემეჭარიყო, ათასგვარი ამბავი უნდა შეეტყო და შემდეგ ხალხში გაეფრცელებინა.

მღარე და აემღვრეველად მიმდინარეობდა ვიწროხეველთა ერთფეროვანი, მოსაწყენი და უშინარსო ცხოვრება. მაგრამ ერთ ღამეს ტელეგრაფისტი თბილისიდან დეპეშა მიიღო ნესტორ ხუციცის სახელზე, და ამ ქალაქის ნიკუქმა აფთორიქა ღრმა ძილურ მყოფი მთელი ქალაქი.

მსუბუქე ჰუმორით ავციწერს ავტორი ვიწროხეველთა ყოველდღიური წერილმინებით აღსაყვ ცხოვრებას და მკითხველის გულში აღძრავს სიბრალულს ადამიანთა ასეთი ჩამორჩენილობისა და უშინარსობის გამო. იგი აღძ-

რაც სურვილს, რომ ადამიანმა უკეთ მოაწყოს თავისი ცხოვრება, იყოს ღირსია სიამაყით ატაროს ბუნების ქმნილებათა გვირგვინის საპატიო სახელი.

თემატიკურად ამ მოთხრობასთან ახლოს დგას „პროვინციის მთვარე“. მასშიც ხევის პატარა ქალაქის ცხოვრება აღწერილი, ოღონდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი პერიოდისა, როცა სინამდვილის გარდამქმნელი და განმახლებელი ქარიშხალი ჯერ კიდევ არ იყო მომპლავებელი, როცა ამ ქალაქის მკვიდრი სიმონ ბეროშვილი ჯერ კიდევ ფლობდა, როგორც ყრბა მესაქეთზე, კონიაკის პატარა ქარხანის. ეს ქარხანა მან სხვეულადაც შექმნილი ფულით ააგო.

მაგრამ საბჭოთა სისტემამ გამოიყვანა ხევში ჩაბუდებული ქალაქიც. მან ფერი იცვალა. თუ წინათ მესობლებმა ისიც კი იცოდნენ, რამდენი ფრთა ქათამი ჰყავდა მარამს და მარამსაც იყო, რამდენ კვერცხზე იჯდა გულქანის კრები, რეოლუციამ ახლებურად მომართა ადამიანთა ცხოვრება. უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ, რომ შალე ქალაქს გააფრთხილებდნენ და გაამწვენიერებდნენ, მოკლე ხანში რამდენიმე ქარხანა იიგებოდა; ქალაქის ახლოს ძვირფასი მადნის მარაგი აღმოჩნდა, რაც ქალაქს დიდ სამრეწველო მომავალს უჭადა; საფრთხე იყო, რომ ქალაქს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ხავსობდებულ კოხებს თანდათან ცვლიდნენ დიდი შენობები, ქალაქის გამოცოცლებამ და მშენებლობის ხმურმა მობლით ააგო სიმონ ბეროშვილის გული. მან იგრძნო აღსასრულის მოახლოება. ამას ზედ დართო ოჯახური უსიამოვნება, ცოლის განშორება და სიმონი დარჩა გარიყული, შეჩვენებულივით განმარტოებული: „ცხადი იყო მისთვის, რომ ზელიდან ვცდებოდა ქარხანა, ცოლი, პატარისცემა ნაცნობებს შორის და უფლაფერი, რამაც სიზმარივით გაიყვანა მის ცხოვრებაში“ — დაასკვნის ავტორი ნაწარმოების ფინალში.

იმპერიალისტური ომის საშინელებათა შედეგად ხალხის მასების ტანჯვა-წამება აღწერილი ს. კლდიაშვილის მოთხრობაში „ფერფლი“. მოთხრობის ცენტრში მთის ერთი სოფელი გლეხის დათიას ოჯახია. რაი ვაგი ჰყავდა დათიას და ორივე ფრანტზე წაიყვანეს, წაიყვანეს იქ, სადაც გმინავდნენ და სისხლისაგან იცლებოდნენ მილიონობით ადამიანები. დაატოვებინეს მისხული მშობლები, ერთ მათგანს კი — ახლად-შერთული ცოლი პატარა ბიჭუნათი, უცნის ქვეყანას, ცრემლად იღვრებთან, ოხრავენ და ჯავრისაგან წელში გაწყვეტილი დადიან ადამიანები, სჯადი მუსრს ავლებს მათ, ერთი მუჭა

ვიგინდარები კი ჯიბის ისქელეზენ და ომის ქარცეცხლს არად ავდებენ. სპეკულანტი მარტენ ლანასა და მისი მსგავსი წერბელებსაფრთხის ომი მხოლოდ გამდიდრების საშუალებაა. სიზარბითა და გაუმადრობით განხეცილულ მარტენ ლანა უკანასკნელ ლექმას აცლის გაჭირებაში ჩაყარდნილ ხალხს.

მოდოა ცხრასწიღამეტი წლის თებერვლის რეოლუცია, მაგრამ ხალხს მინც არაფერი ეშველა. ომი კვლავ გრძელდება. ხალხი საშინელ სიღატაკეს განიცდის. საქართველოში ხელისუფლების სათავეში მენშვეიკები მოქცენენ. ომის დროს ტყეში გაქცეული გიგა ბოლშევიკი გახდა. იგი განაგრძობს ბრძოლას მენშვეიკური მთავრობის წინააღმდეგ.

შაბატური ზომიერებით და უშუალობით აქვს მოცემული ს. კლდიაშვილს მოთხრობის ნაწილი, რომელიც დასათურებელია — „უცნობი ჯარისკაცის დღიურიდან“. შეიბეული აქ ღრმად განიცდის ომის მთელ საშინელებას.

სერგო კლდიაშვილის წიგნი „ჩრეული პროზა“ მთავრდება მოგონებებით ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის შესახებ. მასში ბევრი საინტერესო მომენტია აღბეჭდილი გამოჩინილი ქართული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებიდან. მოგონებათა ბევრი სტრიქონი გამოთარია დიდი სიყვარულითა და ინტიმური უშუალობით დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი საქაროსა და ყოველდღიურობისადმი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ს. კლდიაშვილის პროზას ახასიათებს ნათელი, ლაკონური სტილი, მარტივი გამოთქმები, კარგი ქართული ენა. მაგრამ სამწუხაროდ, ზოგჯერ მის მოთხრობებშიც ვხვდებით შეცდომით ნახმარი სიტყვა, იმერისში, ბუნდოვანი გამოთქმა. მაგალითად, სარეცენზო წიგნში შეიმჩნევა ასეთი ლაფსუსები: „იმოდნა“, „საქმეთ“, „იღვა“, „რამოდინა-მე“, „ჩაღვა“, „ყრუთ“, „როგორ-დაც“, „ისრე-საეს“, „საუცხოვო“, „ცალკედრით“, „კიყინა“ — უკან ვაზღია“, „უზარამზარი ხმა“, „ფალასკა“, „აიღილი დაეკავა“ და სხვ.

ისეთი გემოვნების მწერალს, როგორც არის ს. კლდიაშვილი, არ შეგვიძლია გამოთქმა: ატალახებულ ყანებს ღლეები სერავდნენ, მერე სადაც ერთდებოდნენ და პატარა მდინარედ მიიქარადა“ (გვ. 152).

მწერალმა მერე ყრადღება უნდა შეაქციოს ენის სიზუსტეს, მის ლიტერატურულ დახვეწასა და სავალდებულო ნორმებს დაეკას.

საყვედურის ღირსია სერგო კლდიაშვილი იმ

მხრივაც, რომ იგი ზედმეტ სიმწიფეს იჩენს და მთელი თავისი შესაძლებლობით არ მუშაობს შხატერული პროზის დარგში, მთელ თავის ძალებს არ ახმარს ლიტერატურის ამ უმნიშვნე-

ლოვანესი ენრის შემდგომი ვანითარების საქმეს.

ბიბლიოგრაფია
3. ვინაიღაუბრი

ბიბლიოგრაფიანი. ლირიკა. ეპოსი. თარგმანები.

აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. „საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.



გრიგოლ ორბელიანის ლექსთა სრული კრებულის პირველი გამოცემა (1873 წ.) ბ. უმიკა-შვილს ეკუთვნის, მეორე (1879 წ.) და მესამე (1884 წ.) — ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც წიგნის ბოლონიტყვაობაში გვაცნობს, რომ თვითონ პოეტმა მიიღო მონაწილეობა ამ კრებულების შერჩევასა და დასაბეჭდად გამზადებაში.

გრიგოლ ორბელიანის კრებული, რომელიც 1904 წელს „ცოდნამ“ გამოცემა, მხოლოდ რჩეული ლექსებია. შედარებით უფრო სრული და ახალმოპოვებული ლექსებით შევსებული კრებულებია 1928, 1935 და 1947 წლების გამოცემები, რაც შეეხება სარეცენზიო კრებულს, ეს ყველა აქ დასახელებულ გამოცემაზე მალა დგას თავისი სისრულითა და დახვეწილობით. წიგნში ქრონოლოგიურად დალაგებულია გრიგოლ ორბელიანის ყველა ლექსი. რედაქტორის დიდი მუშაობა ჩატარებულია იმ მხრივაც, რომ მას გადაუსინჯავს სხვადასხვა არქივებში დაცული ავტოგრაფები, სხვა არავტოგრაფული ხელნაწერები და ძველი გამოცემები.

მართებულად არის დაკავშირებული ლექსები ცალკე რკალების (1827 — 1832, 1833 — 1851, 1860 — 1883 წ.წ.) მიხედვით. შესაძლებლობის ფარგლებში თითოეულ რკალში მოქცეულ ლექსებშიც დაცულია ქრონოლოგია, თითქმის ყოველ ლექსს ახლავს დაწერის თარიღი და ადგილი, რაც დიდად უწყობს ხელს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

კრებული ოთხ ძირითად განყოფილებად არის წარმოდგენილი: ლირიკა, ეპოსი („სადღვრატელის“ სახით, რომელიც 1827 — 1870 წლებს შორის იწერებოდა და რომელსაც მრავალი ვარიაცია განუცდია), მიბაძევები და პუსიონის, კრილოვის, ყუყუბესის, რაღვევის და ლერ-მონტოვის რამდენიმე ლექსის თარგმანი და ვარიანტი. ე. წ. სადაო ლექსები რედაქტორის ამ კრებულში არ შეუტანია, თუმცა ერთი ლექსი ამ ციკლიდან „ამა სიღელს დამშობივს“ პოე-

ტისად უცენია, ამას მხარს უჭერს ორბელიანის ეტიმოლოგიური აღმოჩენა. რაც შეეხება ლექსს „დილას“, რომელიც 1860 წლის ჟურნალ „ციცქარში“ თ. გ. ო“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა, 1940 წლის ვაშეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 12) ი. გრიშაშვილმა საბოლოოდ გაარკვია, რომ ის გ. ერისთავის თეატრის ცნობილ მსახიობსა და მოღვაწეს ვიორაგი დვინაძეს ეკუთვნოდა, ასე რომ ამ დამტკიცებულის ხელახლა „მტკიცება“ აღარ იყო საჭირო. დანარჩენი ლექსები („სხმა ლობიანის საფლავიდან“, „ახ, ვითა გშვენის“, „ნისლი გარს მომეხვია“, „ოდეს მე პირველ ღმერთთან დამბადა“) რედაქტორს დამაჯერებელი არგუმენტაციით აქვს გარკვეული, რომ ისინი გრიგოლ ორბელიანს არ ეკუთვნის (გვ. 216 — 219). ამგვარად, ეს უკანასკნელი გამოცემა სავსებით ნაბეჭდად წინ გრიგოლ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის დადგენის საქმეში.

რედაქტორ აკ. გაწერელიას მიერ შესავალ წერილში უთხოვლად ახლებურად არის გაშუქებული გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი გზები, მისი ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან, ქართული რომანტიზმის თვისებებთან და გრიგოლ ორბელიანის ადგილი მასში, პოეტის იდეოლოგიის ძირითადი მოტივები და სხვ.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მოხდენილად წამოჭრილი ასაკობებია, რომელთა გადაწყვეტა სქემატურია, ღრმა ანალიზისა და დამაჯერებელ არგუმენტაციას მოკლებული. არც ერთ აქ მოყვანილ დიბოლებს თან არ ახლავს ის წყარო და საბუთი, რომელიც მათხველის ცნობიერებაში საფუძვლიანად ვანამტკიცებდა რომელიმე მათგანს.

აქედით, თუ გნებავთ, გრიგოლ ორბელიანის ისეთი დიდი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაწარმოები, როგორც არის „სადღვრატელი“. აქ პოეტი წარსულ დროთა და ქართველი ერის საყვარელ ისტორიულ გმირთა. იდეალიზაციის

გზით აწმყოსაც ეხმარება მრავალი ახალი საკითხის წაიჭრით. აღნიშნულ "შეავალ წერილში კი ყველაფერი ეს უგულვებელყოფილია. მართალია, ავტორს ამ პოეტიკაში მოყვას რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ ეს მხოლოდ პოეტის კონსტრუქციის სულ სხვა საკადის ვასარკვევად და არა პოემის ახალიზისათვის. პოემა აქ მხოლოდ ერთხელ არის წახსენები და ისიც ამგვარად: „პოეტი ადამიანის არსებობის ნამდვილ აზრს მამულისადმი სიყვარულსა და მისი მტრების მოგვრებაში ვულისხმობდა“... რასაც მოსდევს 4 სტრიქონი „სადღევრძელოდან“ „სოფელი მად არა ღირს“... და სხვა, რომელიც თავდება პოეტის „ეპიკურის შეძახილით“: „და მოგკედით თუ კი სიყვდილით ვადიდებთ მისსა მამულსა“. ამის შემდეგ წერიალის ავტორი დასკვნის: „სადღევრძელოს“ შემოქმედის ეს ეპიკურის ხმა უმეველად შეეფერება კაცობრიობის მაღალ ჰუმანიურ იდეალებს“.

აი, ყველაფერი ის, რაც თქმულია ამ, თავის დროზე ქართულ მწერლობაში მთელ მოვლენად მიჩნეულ პოემაზე. ასევე გვერდავლილია დასახელებულ წერილში გრ. ორბელიანის ისეთი პოეტური შედევრები როგორც არის „ჩემს დას ეფუძის“, „სალამო გამოსაღმებისა“, „მუხამბაში“ („გინდ მეძინოს“), „მუშა ბოჭუღაჲ“, „პასუხი შვილთა“ და სხვ. საჭირო და აუცილებელიც იყო, რომ ამგვარი აკადემიური ხასიათის გამოცემის დართოდა ისეთი კრიტიკული ერთად მიანი, სადაც მოცემული იქნებოდა გრ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრების ყოველმხრივი ვარჯევა, მისი პოეტური აზროვნებისა და მხატვრული სხეულების ღრმა ანალიზი და კრიტიკული მიმოხილვა. თვითონვე აღნიშნავს რედაქტორი, რომ „დღემდე არ დუკარავს მნიშვნელობა გრ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრებისა, რომლის კრიტიკული ათვისება საჭიროა და აუცილებელიცა“ (გვ. XII), მაგრამ თვითონვე უარყოფს ამ დაბარებას, როცა ის შეითხველს აწუდის საქრესტო-მათიოდ ან სახელდახელო მოხსენების მსგავსად შედგენილ ამ შესავალ წერილს.

აღნიშნული წერილის ნაკლებ მარტო ამით როდღ ამოიწერება. მხატვრული ანალიზის ვარდა, მასში აუცილებელიც იყო გრავოლ ორბელიანის პოეტიკის ვარჯევა „მამათა და შვილთა“ ლიტერატურულ პერსონაჲში. რედაქტორის საშუალება ჰქონდა გაეფანტა ზოგიერთი ის ყალბი შეხედულება, რომელიც ამ საკითხის ვარჯემოდ დღემდე არსებობს ქართულ ლიტერატურაში. გრავოლ ორბელიანი მართლაც იყო თუ არა პლატონ ოსვლიანის თანაბარი ტიპიური არქაისტები და „მამათა“ იდეური ბელადი? აქ ვაწარმოებია ამ საკითხის ვარჯემოდ შესავალ წერილში ვარჯერის ამბობს, ზოლო ლექსის „პა-

სუბი შვილთს“ კომენტარში მოვითხოვს. ეს საკითხი ვრცელად ვარჯეული ვაქმეს ნარკვევში „პლატონ ოსვლიანი“ ედაქტოვებ ნახევრო. იქ კი ავტორი ამტკიცებს, რომ პლატონ ოსვლიანი და გრავოლ ორბელიანი ენის საკითხში იყვნენ უკიდურესი კონსერვატორები, ტიპიური არქაისტები და „მამათა“ იდეური ბელადები (გვ. 111 — 114).

ამგვარი მტკიცება ჩვენ შევდომად მიგვაჩნია, და იმ ბრატომ: ახალი თაობის პირველი ბრძოლა ქართული საწერლო ენის რეფორმისათვის 1861 — 1863 წლებში მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ძველი თაობის შეხედულებათა, ე. ი. ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის“ თეორიის დამკველუნად გამოიდინენ ბ. გორჯაძე, რეე. ერისთავი, ნ. მესხი-შვილი, გ. ბარათაშვილი, ნაწილობრივ ალექსანდრე ორბელიანი და სხვ. გრავოლ ორბელიანს ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც ვიცით, კამათი შვილთა გამარჯვებით დასრულდა. ილია ჭავჭავაძის ეურნალმა „საქართულის მოამბემ“ (1863) და შემდეგ ვ. წერეთლისა და სურგვი მესხის ვაზეთმა „დროებამ“ (1866 წ.) ახალი ლიტერატურული ენა და წერის ახალი ორთოგრაფია განამტკიცეს ქართულ მწერლობაში.

ამ პოლემიკისა და რეფორმის დასრულების შემდეგ 12 წელი გავიდა. ძველი თაობისა და ზოგიერთი ახალი თაობის წარმომადგენელთაგან განაწევნებული ილია ჭავჭავაძე წერს იმ ცნობილ გამოცანებს, რომელსაც უმთავრესად პოლიტიკური სარჩული ჰქონდა საფუძელად და არა ენის რეფორმის საკითხი, რომელიც 12 წლის წინათ იყო ვადამწვეტილი. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, 1871 წ. საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II -სათვის უნდა ეთხოვით უნივერსიტეტის ვახსნა თბილისში, რისთვისაც ახალი თაობის ჯგუფის ვაქლენით შედგენილ იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავდაზნაურობის წინამძღოლმა რეე. ანდრონიკა-შვილმა, მეფის ნაცელის ვაქლენით, შეცვალა ეს მიმართვა და მოითხოვა კადეტთა კორპუსის ვახსნა. ცხადია, თხოვნის ეს შეცვლა მან შეაბნა იმ კომისიასთან, რომელშიც შედიოდნენ. გორავი ზავრატონ-მუხრანელი, დიმი. გორჯაძე, ასევე ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოლობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი. ამოკანებშიც სწორედ ესენია პირველ რიგში ვამართაბებული, თუმცა სხვა, მათი წრის მოღვაწეებიც ბევრი მოკვეა და მათ შორის გრავოლ ორბელიანიც, რომელიც ილიამ სხეულებით ვერ ვამოგტა და ამგვარად დაახსნათა:

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი ტანდაბალი,

საქმით წმინდა, გულმზურავლი,
სიტყვა ტაბილი, მკვამალაო.

ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით საესე, გონიერი,
ზაგრამ გაუბედავია,
თუმცა უფვარს თვისი ვრი.
ის ძველის და ახლის შუა,
შემეერთავი ზილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

ეს უბრალო გამოცანა კი არა, მთელი პორტრეტია გრივოდ ორბელიანისა, რომლის პოლიტიკური მრწამსი, ცხადია, საგრძნობლად განსხვავებულია ილიას შეხედულებათაგან. სწორედ ამ იდეათა სხვადასხვაობამ გამოიწვია გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“, სადაც ორბელიანმა სცადა ილიას გამოცანებში შეურაცხყოფილ ქართველ მოღვაწეთა ძველი თაობის დაცვა. აქ ორბელიანი მოითხოვს მხოლოდ ენის სიწმინდის დაცვას და არა ანტონ კათალიკოსის ნორმების აღდგენას. „არა ენა წაბლენ, ვრიც დაეცეს“... ამზობს ის და ამ „ენის წაბლენას“ უკეთილებს „დროების“ რედაქტორს ს. მესხს, რომელმაც გრ. ორბელიანის სიტყვით რომ ვთქვათ: „ვერს ისწავლა წერა ვერა“... მართლაც ამ საკითხის გასარკვევად მეტად საგულისხმოა გრ. ორბელიანის ამ ლექსის („დროების“ 10 წლის იუბილე“, გვ. 73) ის ადგილები, სადაც ის ქებით იხსენიებს ჟურნალებს „მნათობსა“ (1869 — 1872 წ.წ.) და „კრებულს“ (1871—1874), რომელთა რედაქტორები იყვნენ პირველისა—ნ. ავილი-შვილი, ხოლო მეორისა—ნ. ნიკოლაძე და ვ. წერეთელი. ორივე ეს ჟურნალი ახალი თაობის ორგანო იყო, სადაც უმთავრესად თანამშრომლობდნენ ი. შავჭავჭავიძე, აკაკი წერეთელი, ა. გიგეზაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ცხევიძე და სხვ, როგორც დასახელებული ლექსიდან ჩანს, ვრივოდ ორბელიანის ეს ჟურნალები ძლიერ მოსწონს, რაკ ისინი ენას არ ამზაბდებენ. მაშასადამე, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გრ. ორბელიანი მომხრეა ახალი სალიბერატურო ქართული ენისა, რომელიც უნდა იყოს დაცული ყოველგვარი ბარბარისმისა და პროვინციალიზმისაგან. პოეტის მხოლოდ ამას უსაყვედურებს „დროების“ და მის რედაქტორ სერგეი მესხს, თორემ „ახლანდელ მწერართა“ თაობის სიტყვაში, — აღნიშნავს გრ. ორბელიანი ვრთ თავის სიტყვაში, — უფრო მარტივია და ხალხისათვის გასაგებია, რასაც ნაყოფიერ კარგი ტქნება, მაგრამ ენის კანონის დარღვევა კი არ შეიძლება... ახლა რედაქციის მეტი ვინდა დავგერჩა ენის მტარველია,

რომ ესეც ასე დაუდევრელად,
გულშემატკივრად, შექდავს სო-
ველსა არჩეულად დაწერილსა?
ჩემის აზრით, რედაქციის მტკიცეს
მოვალეობა, რომ სასტრუქანს გუგუშა-
დლება მიატყობის ჩვენს მართლ-
წერას, თორემ სრულებით უსარ-
გებლოდ დაჰშთება მისი ესოდენი
ღვაწლი, მისი ესოდენი შრომა
და შეცადინეობაო“ (იხ. ზუგდიდის
მუზეუმში დაცული ი. მეუნარგიას სამასოკრო
წიგნები, ფ. VI).

პოეტის მიოგრაფის — ი. მეუნარგიას აზრით, „პოეტის ნაწილობრივ მაინც იყო მართალი. ვახუ-
თი „დროების“ ამ ხანების ფურცლები მართლაც
იყო აქრელებული ასეთი უკანონო ფორმებით:
„ამ სოფელს შორიდან ეტყობოდა, რომ ცეცხლს
დაწვეა...“ „სტრუდენტები დაევიხედა“, „თავი ვა-
ვიტნიე“, „შავი წვერები“, „ჯერ გარბაღლის
ფონი გასავალსა აქვს...“ და სხვა ამგვარები, რომ-
ელსაც გრ. ორბელიანი ვერ ითმენდა და იერი-
ში „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხზე მი-
ქონდა“ (იქვე).

ამ საკითხის უფრო ნათელსაყოფად საინტერ-
ესოა აგრეთვე 1883 წლის ვახუთ „დროებაში“
(№ 176) გამოქვეყნებული გრ. ორბელიანის წე-
რილი იკითხე მესხიშვილისადმი. ამ წერილში
გრ. ორბელიანი უმტიციებს ი. მესხიშვილს, რომ
ძველი ენა უკვე არ ვაგუბა დღევანდელი ქართ-
ულის მეტყველებას, მოძველდა ენის ძველი კა-
ნონებით, ამზობს ის, და მოვავს სათანადო მავა-
ლოთებზე: „უწინ იყო ლამაზს თვალეზს-
ში ი, ეგლა კი გვესმის ლამაზს თვალეზში
და სხვ. ამზობდნენ: ქვეყანასა ზედა.
სახლსა შინა — ახლა კი ქვეყანაზე,
სახლში და ა. შ.“

პოეტის აქვე აღნიშნავს, რომ „ენიცობაა თუ
ეს ძველი თვრია მართლა დაძველდა, ვაცუდ-
და და აღარა შეენის აწინდელს ჩვენს ენასა“. მაშინ
ახალი კანონი უნდა შემუშავდეს „უკანონობა
კი არ შეიძლებაო“. ამ კანონის პროექტსაც
მოკლედ თვითონვე ადგენს და ურჩევს თავის
ადრესატს, რომ უმჯობესია თანდებუ-
ლები შემოკლებით ვიხმართ, მავალითად,
მოაზე, სახლში და სხვა, ხოლო თანდებულან
სახელებს ზედსართავი უნდა იყოს მიცემით-
შო: მაღალს მთაზე, ფოთლიანს ხეზე და სხვ.
რამდენიმე ამგვარი მავალითის შემდეგ პოე-
ტი წერს: „მგონია ეს უკანასკნელი კანონი უფ-
რო ადვილად შეეფერება აწინდელ წესს: მაგ-
რამ მე თვით ვგრძნობ, რომ არც ეს არის ის
შეორყვეული დედაბოძი, რომელზედაც უნდა
დამკვიდრდეს ახალი კანონი ახლანდელ მწე-
რალთათვისო“.

ამაზე კიდევ უფრო აღინდელს ერის წე-

რალში გრ. ორბელიანი ურჩევს ცნობილ არქაისტ სარდიონ მესხიშვილს: „რა საჭიროა არამეთუ, უკეთუ, მიერთ“ და სხვა მკვლარი სიტყვები, რომელნიც სცხოვრობენ მხოლოდ დაბადებაში და ძველ წიგნებში და ეხლა აღარ ხმარობს ხალხში“ (წერილები ტ. II, გვ. 55).

ამასთანავე ხომ საყოველთაოდ ცნობილია გრ. ორბელიანის სიმპათია აკაკი წერეთლის ლექსების ვნისადმი: „ბარაქალა აკაკი!“ „მამალა აკაკი“, „შენ მიინერ გააშვენიერე ეს ჩვენი ენა“ და სხვ. (ალიტ. მატანიე 1—2 გვ. 321). მის ასევე მოსწონდა ილია ჭავჭავაძის ენაც. გ. წერეთლის მოთხრობის ვარჩვეის დროს, მან აშკარად განაცხადა თავის სტატიასში, რომ „ყოცი ადამიანის“ ენა კარგია და სისიამოვნო.

ამის შემდეგ გრიგოლ ორბელიანის მოთავსება პლატონ ოსელიანის გვერდით როგორც ტიპური არქაისტისა და „მამათა“ იდეოლოგიური ბელადისა, ყოვლად გაუმართლებელია. ენის შესახებ ზოგადად აქ წარმოდგენილი მის თეორიას მისი პრაქტიკა ამართლებს. გრიგოლ ორბელიანის ლექსებში და პოემებში ვერსად ვერ იპოვიო ანტიონსეულ გამბრტყელებულ მაღალ „შტილს“, უაზრო რიტორიკას, მაღალფარდოვანი სიტყვების უაზრო კორინტელს და გაუგებრობამდე აყვანილ არქაიზმს.

ასეთივე მარტივია, სადა და გასაგები გრიგოლ ორბელიანის წერილებიც, განსაკუთრებით კი სამოციანი წლებიდან დაწყებული. „მუშა ბოქულის“ ავტორმა, როგორც თავის დროის სიმალეზე მდგომმა განათლებულმა ადამიანმა უშეუღლად უფრო დაუგდო ახალ ეპოქას, შეიცნო ახალი ცხოვრების ახალი ხმები და შეიღობა შემოტყვევასთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. პირიქით, ის სიმატოლეს შეიღობის მხარეზე ხედვდა, თუნდაც ენის რეფორმის საკითხში. ის მალე დარწმუნდა იმაში, რომ ამგვარი რეფორმით ენა არ წახდებოდა, მართლაც მისი ენა და წერის მანერა 60-ანი წლებიდან კიდევ უფრო მარტივდება როგორც პოეტური ნიმუშებში, ისე კერძო წერილებშიც. ამ მხარე შეუძლებელია მისი შედარება პლატონ ოსელიანთან, რომელმაც სიკვდილამდე (1875) შეინარჩუნა არქაული წერის მანერა და ქართული სალიტერატურო ენის ანტონ კათალიკოსისეული ნორმები.

ყველა ამის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ გრიგოლ ორბელიანი ენის საკითხში „მამათა“ იდეური ბელადი და უკიდურესი კონსერვატორი არ იყო. მართალია, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი ქართული ენის განვითარების ჰესმარტივი გზები. ქართული ენის განახლება და რეფორმირება ილია ჭავჭავაძემ იოსობა მაკრამ ის აღრიდინევი გრწმობდა, რომ ენის განახლება აუცილებელი და გარდაუვალი იყო.

აღნიშნულ ნაცლოვანებათა გარდა შესავალი წერილის მთელი რიგი ადგილები ბუნდოვანი და გაუგებარი, რაც გამოწვეულია მაღალფარდოვანი წერის მანერითა და წინადადების უცხო სიტყვებით გადატვირთვით. მაგალითად, ავტორი თავის წერილს ასე იწყებს:

„პოეტის პერალდისა გამო უნდა შევიწინოთ, რომ წარმოშობით იმ საგვარეულო შტოს ეკუთვნოდნა, რომლის გენეალოგიური ხაზი ორბელ ბარათაშვილის სახლამდე აღწევს (16 საუკ.)“.

არსებითად, ეს წინადადება არაფრის მოქმედია, ჯერ ერთი, სიტყვა „პოეტის“ არ არის შემანახებული შემასწავლელთან „მეუფონოდა“; გამოდის — „პოეტის ეკუთვნოდა“, რაც მიუღებელი ფორმაა. სიტყვა „პერალდისა“ ხმარებამდე უნდა გილოთ, რადგან ეს ლათინური სიტყვა ნიშნავს ლერბომცოდნებას, მეცნიერებას ლერბების შედგენისა და ახსნის შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში არაფერ შეუძია. თუ გრიგოლ ორბელიანის გენეალოგიისათვის სურდა ხაზი გაესვა ავტორს, შეეძლო ეთქვა: პოეტის გენეალოგიური ხაზი ორბელ ბარათაშვილამდე აღწევს...

შესავალ წერილში არის ასეთი ადგილი: „ამ ლაშქრობათა (ლაპარაკია 1826 — 1828 წ.წ. ორანთან ლაშქრობაზე — ს. ც.) ამბები საფუძვლად დაედო მის „სადღვერძელს“ და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართული ოფიცისის სიამაყისა იმ დროს, როცა კავკასიის მზღვრების მიერ ძლეული ორანელი და თურქი სერასკიარები თავიანთ ბაირალებს მხრიდნენ სევასტოპოლთან და აბას-აბადთან, ერევანთან და ირაკლის თავსთან“, ზურთისის, ახალციხის და ყარსის მისადლომებთან“ (გვ. VI).

დაკვირვებული მკითხველი მიხედება, რომ აქ ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ამბები, თარალები, მოვლენები, ქვეყნისა და ლაშქართა სახელწოდებანი და ტერმინებიც კი.

ავტორის სტილის დასახასიათებლად მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ადგილს: „ოდესღაც ქარიშხლიანი ბიოგრაფიის მქონე სარდლის ცხოვრების უკანასკნელი ათეული წელი სევედნარევი პემორითაა აღმუქვლილი. სრულიად ორიგინალურ ელფერს მშატებს ყოველი მის ნათქვამს, ქვეყნისა თუ ნაწერს ასეთი შეხამება იერემიის გოდებისა და სანგვიწურ სხალისესთან. ბრწყინვალე სამხედრო წარსულის მოგონებებით გართული პოეტი პრედერანს თამაშობს მოხუცი გენერლებისა და მეგობრების სინდრიოლში“... (გვ. XI).

ძნელია მკითხველისათვის იმის გაგება, თუ რის თქმა სურს აქ ავტორს. სად არის გრ. ორბელიანის პოეზიაში იერემიას გოდება, ან რატომ იქცა პოეტის ბინა სინდრიონად, რომელიც

ქველ ებრავლთა სასულიერო და საერო საქმეების უმაღლესი სამსჯავრო იყო? ან კიდევ ვისთვისაა საჭირო ამგვარი გამოთქმები?

„სოფლის წარმავლობაზე“ ჰუმუნა და ზოგიერთი ლექსის ფსალმუნური მათემატიკა გრ. ორბელიანის ლირიკაში განყენებული მისტიკური დღემის ხარისხში არაა აყვანილი“.

„ასეთი, არც თუ ისე მოხერხებულად ვუაღი-რებელი რეალიზმი ახასიათებს ნიკ. ბარათაშვილის მთელ რიგ ლირიკულ პიესებსაც“. რა გამოთქმაა „ეკლარიტული რეალიზმი“ და ისიც ბარათაშვილის მიმართ თქმული?

„მათს (ლაბარაკია გრ. ორბელიანის მუხამბა-ზეზე, გ. ც.) სასიმღერო მოტივის შემცველს სტროფებში შენახულა ჰმა ქართული პოეზიის შორეული და პერიფერიული უბნისა, ისევე როგორც ეანრული გამოხატულებანი თბილისის გარეუბანთა აიენიანი სახლებისა...“ (გვ. XVIII).

მსავალი ადგილების ამოწერა ძლიერ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ავტორის სტილის ნიმუშად მოვეყვანო ადგილობრივ კმარს.

ვადავლეთ ახლა სარეცენზიო წიგნის სხვა მხარეების განხილვაზე.

აქ გაწერელა შესავალი წერილის დასაწყის-შივე წერს, რომ ვრავოლ ორბელიანი დაიბადა 1800 წლის 7 (19) ივნისს და არავითარ მანად დამდასტრებელ წყაროს არ ასახელებს, მაშინ, როცა ეს თარიღი პირველად ქვეყნდება იმგვარს გამოცემაში. აქ გაწერელა თავდაპირველად ვრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად 1804 წელს ასახელებდა, ხოლო თვე და რიცხვი მისთვის საუხეებით უცნობი იყო (იხ. გრ. ორბელიანის წერილები, ტ. II, აქ გაწერელის რედაქციით, გვ. 278, გენეალოგიური ტაბულა, 1937 წ.). ამ გამოცემაში კი მას მოჰყავს ი. მეუნარგას მიერ დადგენილი 1800 წ. და თვესა და დღესაც უმატებს იმ წყაროს დაუსახებულად, საიდანაც ეს ცნობები ამოაქვს (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 345).

წიგნს დართული აქვს რედაქტორის შენიშვნები, „ტექსტისათვის“ და ბიბლიოგრაფია, რომლებიც უმეკველად დიდი გულმოდგინებით არის დამუშავებული. ამ მხრივ საუფრადლებოა ერთი ლექსის „მ-დმ“-ს ადრესატის გამოფერა. (გვ. 158). წარსულში ამ ლექსის ადრესატის ვინაობა არ იყო ამოცნობილი, ვრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულის 1928 წლის გამოცემის სარედაქციო შენიშვნებში ის მანანა ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსად იქნა მიჩნეული, თუმცა ლექსის ფაქტურა, შინაარსი და განწყობა მანანასა და ვრიგოლ ორბელიანის ურთიერთობას არ შეესაბამებოდა. სარეცენზიო გამოცემაში რედაქტორი ამოშორავად და დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ამ ლექსის ადრესატია ნინო ჰუბუაძე, რომ ის თავდაპირველად „ცის-

კარში“ დაბეჭდა ინიციალით „ნ-დმ“, მაგრამ შემდგომი, პოეტი ვრიდებოდა ლექსის ადრესატის ვინაობის გამოვლენას და მას ეს ინიციალი შესცვალა. საინტერესოა, რომ ეს ლექსი „მ...“ ასე აქვს გამოფერული პოეტის ცნობების შემართებლ თანა შეუნარგასაც, რომელსაც 1884 წლის ს. ჰიქინაიასეულ გრ. ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემაში ლექსის გასწერაც მიუწერია „ნ. ვრიგოლდოვისადმი“, ხოლო ლექსის ქვეშ დასმული თარიღი 1829 წ. ი. მეუნარგას გადაუსწორებია 1830 წლად, რისთვისაც, ცხადია, საიმისო საბუთი ექნებოდა მას.

დაკვირვებით არის დამუშავებული განყოფილება „ტექსტისათვის“ (გვ. 174 — 219), სადაც მრავალი სადავო საკითხია გარკვეული, გასწორებულია წინა გამოცემებში დაშვებული შეცდომები, პოეტის ავტოგრაფებთან შედარებით აღდგენილია რამდენიმე სტროფი და სტრიქონი, რაც შეეხება პოეტის ბიბლიოგრაფიას, იგი შეიცავს პოეზიას, პროზას (გამოუქვეყნებელი მასალების დასახელებით), კრიტიკას, ეპისტოლარულ მეგვიდრებობას და პოეტის თხზულებათა თავკმანებს რუსულ და უცხოურ ენებზე. ამას მოსდევს პოეტის საბიოგრაფიო წყაროების ბიბლიოგრაფია, პოეტური მიძღვნები და კრიტიკულ-ბიოგრაფიული ლიტერატურა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. როგორც უხედავ, წიგნში მდიდარი მასალა გამოტანილია და დასახელებული, თუმცა, როგორც ავტორივე შენიშნავს ზოგიერთი რუბრიკი მთელი სისრულით არაა წარმოდგენილი.

მაგრამ ამგვარი შენიშვნა საქმეს ვერ შევლის. ნებისთ თუ უნებლიეთ რედაქტორს გამოუტრევიბია პოეტის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი წყაროები. მაგალითად, ბიბლიოგრაფიის ზ რუბრიკში აუცილებლად უნდა უოფილიყო შეტანილი 1949 წ. ექრნალ „მნათობი“ (№ 8) გამოქვეყნებული „მასალები ვრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიისათვის“, მაშინ, როცა ამ რუბრიკში დასახელებულია სრულიად უმნიშვნელო მასალებიც (სასკოლო ქრესტომათიები, თითონ რედაქტორის ლექცია „გრ. ორბელიანი“ და სხვ.). რედაქტორს ვერ დაევიანებებით იმაში, რომ 1933 წელს ვითომც მან პირველად აღმოაჩინა ზუგდიდის მუზეუმში იონა მიქნარგას შრომის „ცხოვრება და ღვაწლი ვრიგოლ ორბელიანისა“ — დაუბეჭდავი თავები და რომ ის 1940 წ. ზვენი გამოაქვეყნეთ ექრნალ „ლიტერატურის მტკიანეში“ (№ 1 — 2) „აღმომჩენის“ დაუსახელებლად (გვ. 232).

ვერ ერთი, ზვენითვის აღმოაჩენი არ იყო ის მასალა, რომლიც ზვენიც ხელით ჩაბარდა ზუგდიდის მუზეუმს 1925 წელს, მეთრედ, რისხელებოლი მასალა წარმოათავინდა აღნიშნული შრომის პირველი ბელნიშვარების ფრაგმენტებს.

მ. მეუნარგისა ჯერ გამოქვეყნებული მონოგრაფიისა „გრიგოლ დადიანი“. ისინი ერთიმეორეში იყო არეული. ამის გარკვევა-დალაგება მოხდა მხოლოდ 1945 წელს, მუზეუმში კატალოგიზაციის ჩატარების დროს, ასე, რომ შეკლუვარს 1933 წ. მისი „დალაგება და დანომრვა“ არ შეეძლო. ყურნალ „ლიტერატურის მატრიანში“ გამოქვეყნებული ტექსტი წარმოადგენს არა იმ ფრაგმენტებს, რომელთა არც ერთი გვერდი ურთი-მეორეს არ მისდევს, არამედ ავტორის მიერ იმ გადათვარებულ ვარიანტს, რომელიც დატული იყო თბილისში ექიმ კაპიტონ მეუნარგის ოჯახში (ამის შესახებ იხილეთ ჩვენს განცხადება, „ლიტერატურის მატრიან“, 1940 წ. № 1 — 2, გვ. 297, სქოლიო).

აქაც გაწერელას განცხადება, რომ მან რ წლით ადრე (?) შეისწავლა ზუგდიდის მუზეუმში დატული გრიგოლ ორბელიანის არქივი, დაუჯერებელია. მაშინ ის ზომ ნახავდა გრ. ორბელიანის მიერ ეკატერინე დადიანისა და სხვა პირთაღმე მიწერილ საინტერესო 24 წერილს, პოეტის ნაშაბურობითის სიას, რომელსაც რედაქტორი რატომღაც полнымъ служебнымъ список-ისა (გამოქვეყნებულ იქნა 1947 წ. ზუგდიდის მუზეუმის შრომებში, I, გვ. 297 — 334) და აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის ლექსების „მუში ზოქულისა“ და „ფსალმუნის“ ავტორად დასახვდა, რომელთა შესახებ რედაქტორი თავის შენიშვნებში აღნიშნავს, მათი ავტოგრაფები არა ჩანსო (გვ. 200 — 201); ის იქვე იპოვიდა აგრეთვე პოეტის ბიოგრაფის „სამახსოვრო წიგნებას“ და გრიგოლ ორბელიანის ლექსთა კრებული 1884 წ. გამოცემულ იმ ვერსიას, რომელიც უამრავი საფულისხმო შენიშვნებით არის აპრელბებული.

წიგნში მოთავსებულია ოთხი ფოტოსურათი: გრიგოლ ორბელიანისა, ეკატერინე ქავჭავაძე — დადიანისა, ნინო ქავჭავაძე — გრიგოლ ორბელიანისა და გრ. ორბელიანის ლექსების — 1884 წ. გამოცემის უდის ფოტოპირი.

რედაქტორის განცხადება, რომ აქ წარმოდგენილი ნინო ქავჭავაძის სურათის ორიგინალი დატულია საქ. ლიტერატურულ მუზეუმში, გაუგებრობაზეა აგებული. მხატვარ ლეონის მიერ შესრულებული ნინო ქავჭავაძის ამ პორტრეტის ორიგინალი დატულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

სამწუხაროა, რომ ლექსებში გაბარულია რამდენიმე უხეში კორექტურული შეცდომა (გვ. 29, 106, 118, 162, და სხვ.). არის სხვა ხასიათის შეცდომაც: მაგალითად, საეჭვოა, რომ გრ. ორბელიანის შესანიშნავი ლექსი „ღამე“ დაწერილიყოს ჯელალედ-დინ რუმის „ღაზელის“ რუსული თარგმანის გაყვლით (გვ. 160); შეცდომაა აგრეთვე გვ. 18 საუკუნის მოღვაწის გიორგი თუმანიშვილის გამოცხადება ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგობად. ბარათაშვილის თანამედროვე და მეგობარი იყო მიხეილ თუმანიშვილი. რედაქტორის მიერ აქ წარმოდგენილი თარიღები (1818—1875) მას ვეუთენის და არა „მრავალუფავილოვანის“ ავტორს, „მოქალაქე“ წოდებულ გიორგი იოსების-ძე თუმანიშვილს (გვ. 162). მსგავსი შეცდომები წიგნში მრავალია (ივ. 163, 167, 200, 217 და სხვ.). აღნიშნულ ნაკლოვანებათა მრუხდავად, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ეს გამოცემა წარსულ გამოცემებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია.

სოლომონ ტაიშვილი

სეზგი ზილანია — „გალაკტიონ ტაიშვილი“



ქართული პოეზიის ერთ-ერთი, თვალსაჩინო წარმომადგენლის გალაკტიონ ტაიშვილის შემოქმედება ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას ჯერ კიდევ სათანადო სიღრმით და ამომწურავად არა აქვს შესწავლილი. პერიოდულ გამოცემებში აქა-იქ გაბნეული სტატიები გ. ტაიშვილის პოეზიის შესახებ სრულიადე არ არის საეჭვარისი იმისათვის, რომ მკითხველთა ფართო ფენებს ზოლომდე დასრულებული წარმოდგენა ჰქონდეთ ამ უპარესად თავისებურ, საინტერესო და ორიგინალურ შემოქმედზე.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს სერგი ტილაის მონოგრაფია „გალაკტიონ ტაიშვილის პოეზია“, რომელიც ამას წინათ გამოცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემულაა.

წიგნის ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის შემდეგ ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას გალაკტიონ ტაიშვიზე უფრო მაღალი პოეტური ტალანტის მქონე შესანიშნავი ლირიკოსი არა აქოლია. ს. ტილაია თავის მო-



წიგნების დანერგვით განიხილავს იმ უარესად რთულ შემოქმედების გზას, რომელიც პოეტმა ვანელ თავისი პირველი ლექსის გამოქვეყნებიდან დაიდ სტალინურ ეპოქამდე. კომუნისმის მშენებლობის მღელვარე დღეებამდე.

მონოგრაფიის ავტორი სპეციალურ თავს მიუძღვნის გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობის საკითხს და ასახულებს იმ მოსაზრებას, რომ პოეტის შემოქმედების პირველ პერიოდში მკაფიოდ გამოვლინდა 1905 წლის რევოლუციის, 1917 წლის თებერვლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ვითარებანი, რომ აღნიშნული ისტორიული მოვლენების მიმართ პოეტს მუდამ მებრძოლი, რევოლუციის პოეტის პოზიცია ეკონია, მიუხედავად მის შემოქმედებაში არსებული სიმბოლისტური, დეკადენტური, მისტერიული განწყობილებების საკმაოდ მძლავრი ნაქაღისა.

ს. ჭილაია გვერდს არ უვლის იმ საყურადღებო გარემოებას, რომ გ. ტაბიძის მსოფლმხედველობა ოქტომბრის რევოლუციამდე ხასიათდებოდა მერყეობითა და წინააღმდეგობებით; რომ იგი ბევრ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას წვრილბერევაზიული ინტელიგენციის თვლით უყურებდა; რომ პოეტს ზოგჯერ დაცლიებული იყო მებრძოლი მუშათა კლასის გზას, და თავის ლექსებში ცხოვრებისაგან განდგომასა და უნივერსალს ქადაგებდა. ამ მოსაზრების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შემდეგი მოკლე-ნა: ისეთი რევოლუციური ხასიათისა და ბრძოლის პათოთი აღსაქვს ლექსების გვერდით, როგორცაა „პირველი მისი“, „ხვეით ასწივით მზე, ზეითა“, „გურთის მთაებს“, „გვიმი დაღანდი“, გალაკტიონ ტაბიძე ქმნიდა მისტერიული განწყობილების შემცველ ლექსებს — „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „უდაბნო“, „მესაფლავე“, „ხელოვნება“.

მიუხედავად ასეთი მერყეობისა და კონტრასტული განწყობილებებისა, გ. ტაბიძის შემოქმედების რევოლუციამდელი პერიოდს წარმშრთველი ძალა მაინც მოიწინავე, რევოლუციური იღებია.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი „პირველი მისი“, რომელიც მან არალგალურად მომუშავე რევოლუციონერთა კრებაზე წაიკითხა, მკიდროდ არის დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ სულისკვეთებასთან, მასში მძლავრად ჩქეფს რევოლუციური ოპტიმიზმი, ხალხის საუკეთესო მომავლისათვის თავდადებული ბრძოლის მოტივები. პოეტს ღრმად სწამს, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს შავბნელ ძალებზე. იგი აღტაცებით უმღერის ამ გამარჯვებას:

„ღრო მოვა და ისევე პროლეტარიატი
მისის ვარდებით
სიცოცხლეს აიყვებს,
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწვევას,
იმ პირველ მისებს“.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ პოეტის რწმენა რევოლუციისადმი და ნათელი მომავლისადმი გაიხზარა, ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამარცხებამ, რეაქციის მძინვარე სუსხმა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებშიც გააშეშა სევედა, მისტერიული განწყობილება, უნივერსალი. პოეტს იტანჯება რეაქციის საშინელ მარწყებში, იგი გმინავს მშრომელ მასებთან ერთად ცარიზმის მიძე მონობის უღელქვეშ და ამ ტანჯვა-წამებას გამოხატავს პესიმისტური და მისტერიული იერით აღბეჭდილ ლექსებში. გულმოკლული პოეტი ამბობს:

„თავისუფლება აღარა გვაქვს,
თავისუფლება,
იტარეთ, მებო, ცრემლი დაგვჩა
მანუგეშებლად“.

მონოგრაფიაში ფართოდ არის განხილული გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულება ცხრაას ხუთი წლის რევოლუციასთან, პოეტის შემოქმედებითი ურთიერთობა რევოლუციურ მოვლენებთან. ავტორი ასახულებს იმ მოსაზრებას, რომ „გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის წინა პერაოდის შემოქმედებაში პესიმისტურ და მისტერიული განწყობილებასთან ერთად შეიშინევა ოპტიმისტური, თავისუფლებისაგან სწრაფების გამოხატველი განწყობილებანი. 1905 წლის რევოლუციის იღვებით შთაგონებული ეს გზა, რომელიც ქართული კლასიკური მწერლობის რეალისტურ ნაყადს შერთავის, ბოლომდე გასდევს გალაკტიონ ტაბიძის მთელს შემოქმედებას“.

ს. ჭილაიას აზრით, გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიას მძიმე სულიერ განწყობილებასთან ერთად ახასიათებდა მომავლის ღრმა რწმენაც, ხალხის საბოლოოდ გამარჯვების მისი უკეთესი მერამისისადმი გარდღეული რწმენაც.

დაწერილებით განიხილავს მონოგრაფიის ავტორი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, პოეტის ურთიერთობას სიმბოლიზმთან, უნივერსალს, სულიერი მარტობას, მისტერია და მძიმე სევედა ეუფლება პოეტს. ასეთიმა აანწყობილებამ პოეტი სიმბოლიზმამდე მიიყვანა. მისტრიზმი, დეკადენტური განწყობილება, ცხოვ-

რების არსებული პირობებით გამოწვეული ღრმა უცნაოფილება, ცხოვრებას სინამდვილისაგან განდევნა, — აი რა ახანაოებს გ. ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედებას. ყველაზე უფრო შეაფიქრეს განწყობილებანი პოეტმა გამოხატა თავის ლექსში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“.

ორეულების თემა დამკვიდრდა პოეტის შემოქმედებაში, იგი გახდა რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელი გზა. აქ უნდა აღინიშნოს გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „მე და ლამე“. ეს ლექსი გამოხატავს როდის წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, ბევრი სხვა მისი ლექსი არის აგრეთვე რომანტიკურ-დღევანდელ დაკავშირებული „მე და ლამესთან“. მაგრამ სრული ობიექტურობით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხასიათის ლექსები მთელი უკიდურესობით როდის იცავენ სიმბოლიზმის შემოქმედებით კრდის. პოეტი ზწირად გასცდება ზოლზე ამ ლიტერატურული მიმართულების ფარგლებს, გ. ტაბიძის შემოქმედებაში სიმბოლიზმის და დეკადანსის მოტივები სრულიად არ ყოფილა თვითმხიანი და მდღემივი გატაცება. იგი მთლიანად არასოდეს არ გამოთიშულა ქართული კლასიკური პოეზიის ჯანსაღი ტრადიციებიდან.

მეტწილად საუკუნის ქართულ პოეზიასთან გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულების საკითხის განხილვისას მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავისი ნაკონანდური საწყისებით ქართულ კლასიკურ პოეზიას უკავშირდება; რომ გ. ტაბიძის პოეზიის ქვეშეაბიტი და უშუალო შთამაგონებელი საქართველოს სინამდვილე და ქართული კლასიკური მწერლობა იყო. უდავლად სწორია ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ყველა დიდი პოეტის შემოქმედებაში მისი ეპოქის მოწინავე იდეები პოულობენ გამოხატულებას და ამ იდეების განმარტოვებისათვის ბრძოლისაგან მოუწოდებს ხალხს პოეტის თვითველი სიტყვა. ამიტომ გ. ტაბიძის შემოქმედებაშიც უთუოდ აისახა „მეოცე საუკუნის მღელვარე ეპოქის, სამი რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები და მოვლენები“.

სწორია ავტორის მტკიცება, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რეალისტური თემები მეტწილად რომანტიზმის შუქით არის გაშუქებული; რომ მისი ადრინდელი რომანტიკული ლექსების სათავე არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. ამ დებულების ნათელსაყოფად ს. ჭილაძის მოკაყის ბეგრის მაგალითი და ანალოგიები ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის შემოქმედებიდან. სწორია აგრეთვე ავტორის დაცევა იმის შესახებ, რომ გ. ტაბიძემ, განიცადა რა ნ. ბარათაშვილის პოეზიის გავლენა, სავსებით შეინარჩუნა სრული დამოუკიდებლობა და ორიგინალობა.

უდიდესი გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედებაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. იგი მისინ პეტროგრადულ მოწყობებოდა. გ. ტაბიძემ უშუალოდ განიცადა რევოლუციის მოსაპოვებლად აჯანყებული ხალხთა მსუენის ჯერ არსებული აზიერება. პოეტი აღფრთოვანებით მღეროდა:

„დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
 ვინც მდგარად დახვდება მტრის რისხვას,
 მეუბრას,
 გათენდა! შეერთდით, შეერთდით,
 შეერთდით!
 დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!“

გალაკტიონ ტაბიძემ ქართველ პოეტთა შორის თავის ლექსში პირველად დაუკავშირა ერთმანეთს საქართველო, მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი და კრემლი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, საშობლოს განახლების მტკიცე რწმენამ ღრმა შთამაგონებელი გავლენა მოახდინა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. იგი ძველი თაობის ქართველ პოეტთა შორის პირველი ამოუდგა მხარში რევოლუციის გარდამქმნელი ძალით განახლებულ საბჭოთა საქართველოს.

1922 წელს გ. ტაბიძე სწერდა: „ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია; არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება. ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის — რა არის ზიზი, მაგრამ იცის სივარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვა. ეხლა მას სწეურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოიცილოს შემოკრული სიტყვი გარდამავალ ლანდებისა“.

ამავე წელს დაარსებულ საკუთარ კურსანლში გალაკტიონ ტაბიძე მგზნებარად მოუწოდებდა თანამემამულეთ საბჭოთა საქართველოს ერთგულებისაგან, რევოლუციით შონაშუბული ბედნიერების დაცვისაგან. კიდევ უფრო აღრე პოეტი ამბობდა: „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვეყოთ ყველაშანტაჟების პოეზია. იგი დამახასიათებელია საშინლად დაკეშის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის“. ასე გაბედოლად და გადამრით დაჰგმო მან „ციხეფარეზანულებისა“ და ფრტურისტების პოეზია.

განახლებული საშობლოს წარმატებებით აღფრთოვანებული პოეტის შემოქმედება წარმართა ობტიმიზმის, ბრწუნვალე პერსპექტივებისადმი მტკიცე რწმენის გზით თავის ერთერთ შესანიშნავ ლექსში „ჩვენ, პოეტები საქართველოს“ გალაკტიონ ტაბიძე მზურვალედ მოუწოდებს საბჭოთა პოეტებს:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალი და სიხლინი დგას ანგელოსი, ახალ გრივლებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“

აღორძინებულ საქართველოს უმღერის გატაცებით პოეტის ჩანგი. ლექსში „სტალინი“ პოეტი ხატავს საშობლოს შიმში წარსულისა და პედნიერი აწმყოს კონტრასტულ სურათებს და დიდებით ამკობს ბრძენ ბელადს, რომელმაც შექმნა ახალი ეპოქა და თავისუფლება მიანიჭა მსოფლიოს ერთ მეექვსედს.

საბჭოთა სინამდვილის გაეღვნიტ მან შექმნა ბევრი ღრმსწესანიშნავი ნაწარმოები. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „პაციფიზმი“. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება მტკიცედ წარმართა სოციალისტური რეალიზმის გზით. იგი წარმოიღვნს კომუნისმის მშენებელი ქვეყნის ზვალინდელ დღეს და რომანტიკული ფერადებით გვიხატავს მას:

„იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...
ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,
რამდენ შეებას და სიცოცხლეს
მოქაენებს მომავალი.
ვერვის შესძლებს ამ სტიქიას
დაუჯარვოს ფეროვნება —
რომ თანასწორ მზესთან შივა
თვითფული ეროვნება“.

ასეთია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის იღვურ-მხატვრული შთავონების ანკრა წყარო.

დადი სიმამულ ომის დღეებში გალაკტიონ ტაბიძემ ბევრი საყურადღებო ნაწარმოები გამოაქვეყნა. იგი თავისი მხატვრული სიტყვის ძალით ილაფრთოვანებდა საბჭოთა ქვეყნის პატრიოტებს თავდადებული ბრძოლისათვის ვერავი მტრის წინააღმდეგ.

უყანასკნელ თავში მონოგრაფიის ავტორი განიხილავს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სტილის ზოგიერთ მხარეს. იგი საცესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოეტმა ახლებურად აედღერა ქართული ლექსი, დანერგა ლექსის ახალი ფორმა, ორიგინალურად ააწყო რითმა და რიტმი.

მოუხედავად იმისა, რომ მონოგრაფია ძირითადში სწორად და ამოწურავად განიხილავს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის დამახასიათებელ შტრიხებს, მაინც გვხვდება ზოგიერთი სადავო დაუბუღება. დაზუსტებას საჭიროებს, მაგალითად, სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის ურთიერთობის საკითხი. მონოგრაფიის მე-100 გვერდზე ავტორი

წერს: „ასე გაიარა გ. ტაბიძემ საკმაოდ მრცელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა — რომანტიკულ-მისტიკური, სიმბოლისტური განწყობილებებით დაწყებული ზღაპრულ-სოციალისტური რეალიზმის — რევოლუციონერი (1) რომანტიზმის — ჯანსაღი განწყობილებებით გათავებულო“.

აქ ნათლად და გარკვევით არ ჩანს, რევოლუციური რომანტიზმი სოციალისტური რეალიზმის შემადგენელი ნაწილია. თუ ისიც დამოუკიდებელი მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, უყანასკნელი თვალსაზრისი ძირშივე შემცდარა იქნებოდა.

მონოგრაფიაში ვხვდებით აგრეთვე ზოგიერთ გაუმართავ წინადადებას და დაუზუსტებელ გამოთქმას. ასე, მაგალითად, ბუნდოვანია შემდეგი წინადადება: „იმის წყალობით, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ამ დროშიაც ამგვარი ლექსების გვერდით საკმაოდ ძლიერად გაიანდა რეალისტური ლექსები (და იმის გამო არ შეიძლებოდა უოფილიყო ორტილოქსალური დამკველი სიმბოლისმისა), თავისებურ ადგილს იკავებს რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში“ (გვ. 28). მონოგრაფიის 66-ე გვერდზე კითხულობთ: „სვედიან ფიქრზე გამარჯვების იმედს პოეტს რევოლუციის პოლოდინი აძლევდა“. 67-ე გვერდზე: „1918 წელს დაწერილ ლექსში „გემი დალანდა“ იგი წერს.“ 83-ე გვერდზე: „რომანტიკული ფერებით ცოცხლდება მოვლენები იმ ლექსებში, რომელშიც...“ 89-ე გვერდზე: „გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან წარმომდგარი რიტმის ზემა თითქოს გესმით ზეზირად (ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც ზეზირად მიმართავს ფორმალისტურ სტილიზაციას).“ 90-ე გვერდზე: „...სტროფები ხასიათდება არა მარტო შინაგანი რითმებით... არამედ ახასიათებს ძლიერი რიტმითაც“. 91-ე გვერდზე: „...ერთსა და იმავე ლექსში იძლევა მეტრიკის ნაირნაირი ვარიაციის შექმნას“.

როცა ს. ჭილაია ლაბარაკობს გ. ტაბიძის შემოქმედებაში სოფლის კოლექტივიზაციის ასახვზე, საილუსტრაციოდ, მას მოხუავს მხატვრულად არც თუ ისე ძლიერი ადგილი — „მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტივო, მხარი მხარს!“ (გვ. 76).

მოუხედავად აღნიშნული ცალკეული ნაკლისა, ს. ჭილაიას მონოგრაფია გალაკტიონ ტაბიძის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში.

ხუთი საბავშვო წიგნი



საბოლოოში გამოცდა დ. გაჩეჩილაძის პოემა „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“, მ. შიქვლაძის „გარდაშედილი დროში“, ლ. კვიციანიძის „საბავშვო მოთხრობები“, ე. გოგიაშვილის „ტყის სტუდია“, გ. ლევანას „თეთრი ბატი“.

დ. გაჩეჩილაძის ახალი პოემის სიუჟეტი ბავშვისათვის სასარგებლო რჩევა — დარბევებზე აცხადებს, ავტორი პაწიბისათვის ხელმისაწვდომ ფორმებში ავითარებს იმ აზრს, რომ ტყუილი ადამიანის სერიოზული ნაკლია. ნაწარმოების მთავარი გმირების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ზედ ჯუჯი (პატარებში ყვარტიველა ქათამს შედუმებ სახელად ჯუჯი შეარქვას) გარეგნული შეხედულებით შეაფასეს, ვინა და მზია ჯუჯის იმის გამო დასცილოდნენ, რომ ის ყვარტიველა იყო. „უცხო ქათამის დანახვებზე აუყვანდა იხვიც, წინ ცუგრიაც გადაუდგა, შეუყვება რიხით“. ამრიგად პირველი შეთქმულება ჯუჯიმ ცუდი დასტურა. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ყვარტიველა ქათამი არც ისე სასაცილო იყო. პირიქით, ის სანაშენო კვერცხებს დებდა, ეშვინად, ტყბილად კაკანებდა და სხვა. თანდათანობით პაწიბებმა ჯუჯი იმდენად შეიყვარეს, რომ დასაწილად ტაბტიც კი გაუტყვეს. როგორც ვხედავთ, ავტორი ბავშვებისადგან სავანათა ნათელ ხედვას მოითხოვს. პოეტს საგნის შეფასებაში გაუმართლებელი სიჩქარე სამართლიანად საზიანოდ მიიჩნია. პოემის მეორე ნაწილში ვგებულობთ, თუ როგორ ჩაითრია ვინა და მზია ჯუჯის კვერცხის ქურდობაში. ბებო ჯუჯის კვერცხებს სანაშენოდ აგროვებდა. მართალია მზია პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო ვინას, მაგრამ ვინას „დაშაჯერებელმა“ სიტყვებმა და შემდეგ კი მისმა მკაცრმა მოთხოვნამ პატარა გოგონა „დიდი“ საქმის მონაწილე გახადა. ამრიგად ორივემ ერთად ჯუჯის კვერცხი მოიპარეს და დედასთან თავი უკრეს.

ავტორი კარგად გადმოგვცემს იმ შიშს, რომელიც ბავშვებმა განიცადეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ. პოეტის სიტყვებით: „თუნდაც კომნდებს ლომის გული და არწივის თვალი, თუ ცუდი საქმის წამოიწყებ, მყის გახდები მხალა“, — თავის გამოხატულებას პოელობს გადასა და მზიას შექმედებაში. სინამ ისინი ციადრადან კვერცხს ამოიღებდნენ და ჩადენილ დანაშაულს დაფარვდნენ, დიდი სულიერია მღელვარება განიცადეს. ყოველ წუთში ბებოს მოლოდინში იყვნენ. ის-ის იყო ვინამ საკეცე ხელში მოიპარა, უცებ ბაბოს ჩახვილება გააგონა კართან. ბავშვები შეშინდნენ და დადარბოდან კვერცხის ამოღება ვერ მოახერხეს. ბებოს

კითხვას, თუ ისინი მისი მოსვლის გამო რად შეშინდნენ ან აგრე განცვიფრებული რატომ შესცქერიან მას, ვინამ არა სწორი პასუხი გასცა. აქ მან მეორე დანაშაული ჩაიდინა — ბებოს ტყუილი უთხრა, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აღმოაჩნდა. ამ დღიდან ქათმის კვერცხი ორთქლით გაიბერა, ცხელი ორთქლით გაიბერა, გასკდა, დაიქუზა და დედას და ნაკვერცხები შეეყარა ბუხარს.

აქ უკვე ბებოსათვის ყველაფერი ნათელი გახდა. მიუხედავად ამისა ვინამ ტყუილს ტყუილი დაუმატა და განაცხადა: თუ როგორ გაჩნდა კვერცხი დადარბო ამის შესახებ არაფერი იცი. მანინ ბებომ ხერხი იხმარა და ბავშვებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დამისობრა... ვითომ, ცხელ დადარბო შესაწყევად კვერცხი ჩაქვრა თვითონ... — და თუ არის სისულელე ის, რაც გვეისობრება, მაშინ ჯუჯის დაუწყვია ცეცხლი კვერცხის დება“. ვინამ მოწონა ბებოს მსჯელობა და თავის შხრივ დაუდსატურა, რომ მანაც ნახა ჯუჯი ცეცხლის პირას. ბებომ „სარკმლიდან კვერცხი დასცა შორს, საღორის კართან, წუწყი ცუგრა საღორისკენ ტუნკვით გაემართა. მხოლოდ ერთი უბის მოქნევა და გათავდა კვერცხი... ჩანს, ცუდი გზით ნაშოვინ არის ძაღლის კერძი“, ამ სიტყვებით მთავრდება პოემის მეორე ნაწილი, რომლის შინაარსიდან გასაგები ხდება, თუ ვინას და მზიას დანაშაულმა რაოდენ სერიოზული ხასიათი მიიღო. პოემის მესამე ნაწილს დასაწყისს: „და გაეარდა გარეთ ბებო, გულმოსოლი, მწყურია, ვინამ მზიას გადახედა და ჩაუყრა თვალში.“ შემდეგი სტრიქონები მოსდევს: „ბავშვებისკენ მოდის ბებო, თანაც ჯუჯი მოჰყავს, თითქმის ჩრდილი დაჰყენია ბებოს შუბლს და ლოყას... მოახლოვდა... ეს რა არის? მიხვდნენ ბებოს წაღილს. ბებომ ჯუჯი მზიას მისცა და ვინა კი წაღი. აბუღუნდა: — ხომ ეპობობდი, ეშვას მოგაგს-მეთქი... თურმე მართლა ეშვია, მიწა-გასახეთში იყო დასცული იქნებ ბოლოს კვერცხიც დასდოს შავი. პოდა, დაგვლათ, ავტო ჯირკვე წაუწყინეთ თავი... — ვინა ჯუჯი, ჩემო ჯუჯი! — ანერჩილდა მზია თვალში ძლივსა იფურება, ცრემლებს აუვსია. — არა ბებო — ამბობს ვინა, ჯუჯის ცოდვით იწყის, — თუ საჯიმე ქათამს დაგვლათ, ვინ გამოჩეხს წიწილს?“ ამ სცენას მოსდევს ვინას და მზიას მიერ დანაშაულის სრული აღიარება. როგორც ვხედავთ ტყუილს მოყვებამ დიდი ბოროტება... ამიტომ ტყუილი, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, დანაშაულია და მისდამი წყურება შეუძლებელია.

ნაწარმოების სიუჟეტი ვითარდება თანმიმდევრულად, დამატებულად, მასში არცერთი ეპიზოდი და დეტალი ზედმეტი არაა. პოემის ბოლო ნაწილი, რომელშიც ვია და მზია კვლავ რჩება საყვარელ ბავშვებად, მხატვრულად კარგადაა დამუშავებული. მკითხველს სურავა ვიასი და მზიასი, მათ კეთილ ბუნებაში ეჭვი არ ეპარება. პოემა იღვრად და მხატვრულად გამართლებულია. მისი ტენდენცია ბავშვს ღრმად წვდება გულში და ეხმარება ესთეტიკურ-მორალურ აღზრდაში.

მ. მიქელაძის მოთხრობაში „გარდამავალი დროში“ ხასიათების დაპირისპირების ხერხია გამოყენებული. რამაზ შეგვულოზე ზარმაცი და ცელი ბავშვია, მან პიონერთა ბანაკში მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ლალი დავლიანიც შეაშინა — ლალის ლოგინში ჩემად ბავაყი შესვა; შიშისაგან ლალი ავად გახდა რამაზ შეგვულოზე აბნულად იგდებდა თავის ტოლებს და უფროსებსაც კი უხეშად მიმართავდა. სულ სხვა ხასიათისაა ნოდარი, ნოდარი, ჯგმალი და ჯონდო გონებასათელი ბავშვებია. იცავენ პიონერის მღალღ ღირსებას და სახელს. ნოდარისა და მის ტოლებში რამაზის მოქმედება სიმშაობის არ იმსახურებს. რამაზიც ვერ ეგუება მათ ხასიათს, მათ შორის არსებულმა წინააღმდეგობამ მკვეთრად იჩინა თავი განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც რამაზმა ლალი შეაშინა. ჯონდომ ამის გამო რამაზს ცემა, რამაზის ცემაზე ბანაკში აურზაური გამოიწვია. საქმეში თვით ბანაკის ხელმძღვანელი ჩაერია, მის შეკითხვაზე, თუ ვინ სცემა რამაზს, ყველა დედაა. დეიდა ნინოს ტაქტის გრძნობა საკმაოდ გააჩნდა. მან სწრაფად რაღაც მოიფიქრა და პიონერებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: — „მე კარგი, თქვენ არ ამბობთ, მგერამ თვითონ ის, ვინც ეს ჩაიდინა? მას რატომ არ უფლის ვეცაკობა, რომ თავისი დანაშაული აღიაროს? დავ დამანაშავემ ერთი ნაბიჯი წინ გადმოვდგას. პიონერები არ იძებოდნენ. — მამს ის ვაეხატონი ლაპარაკი უფილია! — შწარე დავინივით თქვა დედა ნინომ, ამის ატანა კი აღარ შეეძლო პატარა ვეცაკის ვულს, ჯონდომ თავი აიღო და მტკიცედ გადმოვდა წინ ერთი ნაბიჯი. იმე ვწუთს შეგვულოზემაც ნაბიჯი წინ წადგა და სწორედ დეიდა ნინოს წინ აიტუხა. ყველა-ნი საბტად დარჩნენ.

— როგორ, შეგვულოზე, შენც სცემე შენს თავს? — გაოცებით ჰკითხა დეიდა ნინომ. — თუ ვცემე, მე ვცემე, თორემ სხვა ვინ, პატიუციშულად დეიდა ნინომ — და რამაზმა ისე ამოოღარა, გვაონებოდათ გული თან ამოაფო-ღარა, — ამე რომ ლალის ლოგინში ბავაყი არ შემესვა, არც არავინ შეეშდა“. მართალია ბანაკის ხელმძღვანელის ტაქტიკა გასჭრა, მგერამ

აქ მარტო ტაქტის საკითხი როდია, რამაზ შეგვულოზემ გარდაქმნაში დიდი როლი შეასრულა პიონერ-ხელმძღვანელმა. პიონერთა ბანაკში რამაზს ცუდ ქცევებს არავინ უწყობდა, უფროოდროს საბანაოდ არ მიყვებოდნენ. მანათი საქმეს არ გაუბრძოდნენ, პირიქით წესიერებისა-კენ მოუწოდებდნენ, საქმით, კარგი ქცევისათვის მასზე გავლენის ახდენდნენ. ამიტომაც დამატებელი რამაზის შინაგანი გარდაქმნა, რამაზი არაა ტიპური სახე. ნოდარი, ჯონდო და ჯგმალი დადებითი ტიპებია. მოთხრობაში მათი სახე იმდენად მკაფიოდ არის დახატული, რომ პატარა მკითხველი ყოველთვის შეეცდება მათ მიმართ და არა რამაზს. ამანა ნაწარმოების მხატვრული ღირსება, მისი აღზრდელ-ობითი მხარე.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მ. გორკი ამბობდა: რომ ჩვენს ბავშვებს მხატვრული სახეებით უნდა გავაცნოთ იმ წყობი-ლების მთელი სამყაროება, რომელიც მათმა მამებმა მისსეს და განადგურესო, მ. გორკის ამ მოთხოვნას პასუხობს ბევრი ნიჭიერად და-წერილი საბავშვო ნაწარმოები, მათ შორის მ. მიქელაძის მოთხრობა „შეხვედრა“. ამ ნაწარმოებში ვეცნობით საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარებისათვის წარმოებულ ბრძოლების ერთ ეპიზოდს. „სკოლა ზეი-მობს საქართველოში საბჭოთა ზელისუფლებ-ბის დამყარების წლისთავს“. საზვიმო კრება გახსნა თმაშვერცხლილმა სკოლის ღირეე-ტორმა. მომხსენებელი, დამსახურებული მას-წავლებელი თეიმურაზ ცისკარიძე, ბავშვებს უამბობს, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობ-და ხალხი საქართველოში მენშევიკების ბატო-ნობის პერიოდში. აქვი ცისკარიძე მოვფიქო-რობს პატარა თემურისა და ქეთონოს ვეცე-ცობის შესახებ, რომლებმაც საბჭოთა ჯარისკე-ცებს აცნობეს ხიდის აფეთქების ამბავი. ამ ხიდზე უნდა გაველო პირველ საბჭოთა მატა-რებელს. მოთხრობაში მტეცი გვარდიელები კარგად არიან დახატულნი, ისინი მკითხ-ველში ზიზღს იწვევენ. თემური და ქეთვიანი პატარა მკითხველის საყვარელი გმირებია. ხერ-ხი, რომლითაც მწერალი ჩვენს ბედნიერ ბავ-შევს მენშევიკების რეჟიმის საშინელებას აც-ნობს, იღვრად და მხატვრულად გამართლე-ბულია.

საინტერესო მოთხრობაა „ნაძვის ხე“. მართა-ლია ეს მოთხრობა ფორმით პატარაა, მგერამ იგი ნათლად წარმოგვისსახავს საბჭოთა ბავშვე-ბის ბედნიერების სხივით გაბრწყინებულ სა-ხეებს.

თანამედროვე საბჭოთა ზღაპარი დიდად გან-სხვავდება ყველა ეპოქის ზღაპრებისაგან ზღა-პარიც ზელს უნდა უწყობდეს ბავშვის აღზრ-

დას, მის განვითარებას. მწერალს აქვს უფლები ძველი ხალხური ზღაპრის გამოყენებისა, მაგრამ მან იგი უნდა გაამდიდროს ჩვენი დროის მაღალი, კეთილშობილური მორალით. ავტორი ყოველთვის არ იქცევა ასე. მაგალითად, ზღაპარი „დედმამის გამოდევნილი შვილი“ მხატვრულ აღმზრდელობითი თვალსაზრისით გაუმართლებელია. შეუძლებელია დღეს ბავშვს შეეწოდოთ ისეთი ზღაპარი, რომელშიაც შვილი თავისი პირადი სიამოვნებისათვის მშობლებს ჰყიდის, წიგნი ბევრს მოგვბდა, რომ ეს ზღაპარი მასში შეტანილი არ ყოფილიყო.

ლ. ჭიჭინაძის წიგნში ხეთმეტი საბავშვო მოთხრობათა მითათვისებელი. მათ შორის საყურადღებოა „გამარჯვებული“, „პატარა მსახიობი“, „გვიც ვაყოჩაღდა“, „შერიდენენ“, „ყოჩაღი, ზურა“ და სხვ. უკანასკნელი მოთხრობა ყალბი მეგობრობის წინააღმდეგ არის მიმართული. გვიც გამოცდებისათვის ემსაღებება ზურა კი მის თხოვს გამოცდებზე ისე დაჯდეს, რომ მისვან გადაწერა მოახერხოს. იგი პირველად დავთამაშა ზურას, მაგრამ შემდეგ უარი თქვა. — იცი, რა გითხრა? წელს გადაწერ, მაგრამ ამით შენ არაფერი არ მოგემატება, ხოლო შემდეგ სწავლა უფრო გაგიძირდება. თუ მასწავლებელმა დაგეინება, მაშინ შენი საქმეც გაფუჭდება და ჩემიც“. ეს სიტყვები ისე მკაფიოდ იყო თქმული, რომ ზურა იძულებული გახდა მეგობრის რჩევისათვის ანგარიში გაეწია. ამის შემდეგ ზურა ყოველდღე დადიოდა გვიისთან. ისინი ერთად მუცადინებოდნენ და ემსაღებოდნენ გამოცდებისათვის. ზურამ გამოცდები ჩინებულად ჩააბარა, გვიის მეგობრულმა დახმარებამ ნაყოფი გამოიღო. კარგად მოფიქრებული სიუჟეტი სწორი ხაზით ეთარდება, ამხავი მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული არაა. ზურას მსგავსი ყმაწვილები არ ისურვებენ მეგობარი შეცდომაში შეიყვანონ და თავისი თავი მოატყუონ. მოთხრობაში „გამარჯვებული“ პატარა გურამის სახე ცოცხალად დახატული. გურამი „შერცხალივით ცქრილა ბიჭია“, უყვარს სკოლა. წიგნი და სწავლა. გურამს კარგად აქვს შეგნებული რომ: „ოქტომბრული ბეჯითი უნდა იყოს“. გურამი ოქტომბრელის მაღალ ღირსებას მტკიცედ იცავს და თავის ტოლებს არაფერიც არ ჩამორჩება. მწერალმა კონკრეტული ფაქტებით გვიჩვენა, თუ რაოდენ ბედნიერად ცხოვრობენ ჩვენი ნორჩები სოციალისტურ ეპოქაში. ავტორს კარგად ეხერხება პაწიების გამოყენებების ასახვა, მათი ხასიათის გამომწივანება. მოთხრობაში „გვიც ვაყოჩაღდა“ ჩინებულად არის დახატული გურამისა და გიას სახე. „პატარა მსახიობი“ (ნიმდელი ამხავი) ავტო-

რი სინტეზის ამახავს გადმოგვიცვლა. პატარა ვალოდა მეტად ცოცხალი, ცქვიტი ბიჭუნა იყო. სკოლაში როცა საღამო გაემართებოდა, ვალოდა სცენაზე ბევრ ტაქტიკურ სურათს მღეროდა, ლექსებსაც კითხულობდა, ცქვიტდა, უკრავდა და ხელბუღივით უსტვენდა. ყველას აოცებდა ეს პატარა ცუკრუმი ბიჭი. ერთხელ ლენინგრადში ბავშვების თვითშემაჯობების დათვლიერება მოეწყო. დათვლიერებას კიროვი დაესწრო. ვალოდას ცოცხალმა სახემ, მისმა ნიჭმა კიროვის ყურადღება მიიპყრო, კიროვს უსაზღვროდ უყვარდა ჩვენი ქვეყანა, მისი შვილები. მწერალს ამ დღი აღამაინის დამოკიდებულება საბჭოთა ბავშვებისადმი კარგად აქვს დახატული. მოთხრობის ღირსება იმაშია, რომ სინამდვილე მხატვრულ სურათებში კარგადაა მოცემული.

კრებულში მითათვისებელია სუსტი მოთხრობებიც. ასეთ მოთხრობების რიცხვს ეკუთვნის „ქუცია და ხატურა“. ძნელი გასარკვევია თუ რატომ წაიხიზნებენ კატარა ფისო და ყურპანტარა ქუცია. ამ კი უნდა აინტერესდეს მათი ჩხუბის ამხავი. ამ ნაწარმოებს არ ვაანინა კონკრეტული მიზანდასახულება. იგი მხატვრულად და იდეურად სუსტია. ლ. ჭიჭინაძე კარგი საბავშვო მოთხრობების ავტორია. მის მოთხრობებში ნათლად ჩანს საბჭოთა ბავშვების შინაგანი სამყარო, ის პარობები, რომლებშიაც იზრდებიან ისინი. ავტორი მხატვრული სახეებით ჩვენს ბავშვებს მნიშვნელოვან რჩევა-დარჩევებს აძლევს. ლ. ჭიჭინაძეს აქვს კარგი მხატვრული გემოვნება და ალღო. იგი უნდა მოერიდოს ისეთი მოთხრობების წერას, რომლის შინაარსი ზელს არ უწყობს ჩვენი ბავშვების აღზრდას, მათ გონებრივ განვითარებას.

კ. გოგიაშვილის „ტყის სტოპარი“, „მირიჯხალა და კოდალა“ ნორჩი, მკითხველის ყურადღებას იმსახურებს. „ტყის სტოპარში“ ავტორი ნუგზარის თავგადასავალს მოგიეთხრობს და ბუნების ლამაზ სურათებს ხატავს. ვახაობოლი აღფრთოვანებული ნუგზარი „ტყის“ ქვებით მინდორ-ეღს შემოიარბნის. მინდორში ნუგზარი იის მოწყვეტას გადაწყვეტს, მაგრამ იამ თავი დახარა თქვა: — ნუ მოწყვეტ, პატარავ! ჯერ ხომ გაუშლელი ვარ, ნამით სულ მთლად სველი ვარ; თუ შენს ხელში მოვხვდები, ისე ნორჩი მოგვეცდება, როცა დავუკავდები, მოდი, მეც აქ დაგვკვდები“. ნუგზარა გაიმსქვალა იისადმი სიყვარულით და ჯერ კიდევ გაუშლელს თავი აჩენა, არ მოსწყვიტა. ამის შემდეგ ნუგზარს ყვავებულ მსხლის ხესთან ვხვდებით. აქ ნუგზარმა საქანელას გამართვა გადასწყვიტა. მაგრამ შეჩერდა „არა! — ფიქრობს ნუგზარი, — ვე ხომ ნორ-

ნი ხე არი; ეს თოკი რომ ჩაება, აღბათ ასე მოხდება; ის ტოტი ჯერ ნორჩია, უმკველად მოტყდება. ცოდვა არის საწვავი დაქენება და მოკვდება". ამრიგად ნუგზარმა ხელი აიღო თავისი პირვანდელ განზრახვაზე. ნუგზარის გონებაში ღრმად არის შეჭრილი ის მოსაზრება, რომ ნორჩი ტოტების მტრეცა მოსპობა-განადგურება — დანაშაულია. დედის კითხვაზე თუ რა ვაყვება ნუგზარმა ტყეში, ის შემდეგ პასუხს იძლევა: — "არაფერი... მინდორში არ მოკვალი ფურტარი... არ დაეცხე ტოტები, არ გაველე იები, არ დაეხოცე შურდულით ჭრელი ჩიტუნები". სულეირად და ფიზიკურად ჯანსაღი ნუგზარი საღი გონების თვალთ ჰყვრება მოვლენებს და თავის ტოტებს კარგი ქცევებით აყვარებს თავს. ავტორი კარგად ავითარებს სიუჟეტს. ნუგზარი ტიპური სახეა, მისი მოქმედება და ხასიათი დამახასიათებელია ჩვენი ნორჩი თაობისათვის.

"ზღაპარი მერცხალი და კოდლა" ბავშვებში კეთილ გრძნობებს აღრმავენს, შრომისადმი სიყვარულს აძლიერებს. პოეტს ფრინველების ცხოვრება ღამაზად აქვს აღწერილი. ავტორი ბავშვებს საყურადღებო რჩევა-დარჩევებს აძლევს: — "რა ჯობს შრომაში სიბეჯითეს, სიმარდეს, ყოველგვარი ხელობა გულით უნდა გიყვარდეს!" მაგრამ თანამედროვე ზღაპარში უმთავრესად აღამიანები უნდა მოქმედებდნენ, და არა ფრინველები, როგორც ეს ავტორს ამ ზღაპარში ჰყავს გამოყენილი. საბჭოთა ბავშვებისათვის არაფრის მოქმედია ისეთი ზღაპარი, რომელშიც ლანდები მოძრაობენ, უსულს სავნები მოქმედებენ.

გ. ლუცაძის წიგნი ორი პოემა მოთავსებული. მათ შორის აღსანიშნავია "თეთრი ბატი", რომლის მთავარი გმირი ხუთოსანი მოსწავლეა. პიონერი კატო თავისი ტოტების ყურადღებას, არა მხოლოდ კარგი სწავლით, არამედ ფიზიკური შრომითაც იპყრობს. პატარა კატო სყო-

ლიდან რომ დაბრუნდება ისვენებს, გავეთოლებს სწავლობს, მხოლოდ ამის შემდეგ თავის საყვარელ ბაღში შრომობს; ბაღს რწყევს, ხეხილის ნერგებს უვლის და სხვა. ავტორმა ახალგაზრდა მიწურინელის სახე სწავლაში და შრომაში დასატა. მხატვრულ სახეებში გვიჩვენებს, რომ შრომა არამც თუ ღლის მოსწავლის გონებას, არამედ ფიზიკურად და სულიერად აჯანსაღებს, ხელს უწყობს ხასიათის ჩამოყალიბებაში. ნაწარმოების შინაარსი აქტიურად მოქმედებს მკითხველზე. ბავშვი წაიკითხავს რა ამ პოემას, შეეცდება მიხაძოს კატოს, მასავით ბეჯითი, შრომისა და სწავლის მოყვარული გახდეს. კატოს მოქმედება მხატვრული სიმართლითაა სავსე. დამჯერებელია მისი სიხარული და შწუხარებაც. შწუხარება, რომელიც კატოში თეთრი ბატის მოქმედებამ გამოიწვია — კატოს ბოსტანი გადათელა, ჭინძი და ნორჩი ნერგები გადაიწვინა, — მხატვრულად კარგადაა გამოხატული.

პოემის მორალის მიხედვით ტყეში დიდი ნაკლია, მსუნაგობა კიდევ უფრო მეტი. პოემას აქვს გააცვეული ნაკლიც. ავტორი პოემაში უფრო მეტ ადგილს ფრინველებს უთმობს, ვინემ ბავშვების მოქმედებას.

"ფისოს დანაშაული" საყურადღებო ნაწარმოებია. ფისომ კოსტა ბაქიას უმიზეზოდ სისხლი აღინა. ავტორმა პაწიებისათვის ხელმისაწვდომ ფორმაში გაიკცხა ფისოს მოქმედება. პატარა მკითხველი, არასოდეს არ იფიქრებს გამართლოს ფისო, რომელიც უმიზეზოდ ბაქია დაჩაგრა. ავტორს ეჩერება პატარებისათვის სინატრების თემების შირჩევა, საგნებისა და მოვლენების მკაფიოდ ახსნა; წერალმა მიტი ყურადღება უნდა მიჰქციოს სიუჟეტის გამართვას.

ვლ. ჯიჯუაძი

ბ. აბზიანიძე. „მართველი კლასიკოსები“. 1950 წ.



ლიტერატურული შემვიდრებობის ღრმად შესწავლას და კრიტიკულად ათვისებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კულტურის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის, მშრომელთა კომ-ნისტრ-ოი აღზრდისათვის.

ამ მხრივ უკანასკნელ ოთხი-ხუთი წლის მანძილზე მართული ლიტერატურის კრიტიკოსებმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს.

გასულ წელს გამოქვეყნებულ კრიტიკულ-ლიტერატორულ ნაშრომთა შორის ყურადღებას იმსახურებს გიორგი აბზიანიძის წიგნი „მართველი კლასიკოსები“, რომელშიც განხილულია კლასიკური შვეტრობის დიდი წარმომადგენლების — ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა, საზოგადო-

დახსიათებას. ეს ნარკვევი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივ საზოგადოებრივსა და კულტურულ მოღვაწეობაზე, მის ლიტერატურულ-პედაგოგიკურ მემკვიდრეობაზე. ნ. ნიკოლაძე ილიასა და აკაკის გვერდით დაუღალავად იბრძოდა პროგრესული იდეებისათვის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის.

წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლოვანება. ცალკეულ ლიტერატურული მემკვიდრეობის დახასიათებისას ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათი იდეების, მათი შემოქმედების კავშირს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასთან, სიბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკური იღბრდის ამოცანებთან. ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსმა თუ ისტორიკოსმა ყოველი მოვლენა და განიხილოს მარქსისტულ-დიალექტიკური მეთოდის თვალსაზრისით, ნათლად უნდა დავხატოს მკითხველს ყოველივე ის, რაც ძვირფასია და პროგრესულია წარსულ თაობათა მემკვიდრეობაში, რაც გამოსადეგი და სასარგებლოა ჩვენი დღეებისათვის, ჩვენი ხალხისათვის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. უკეთა ამ საკითხების მიმართ ავტორი გულგრილობას იჩენს, რაც ერთგვარ ჩრდილს აყენებს მისი წიგნის ღირსებას.

მართალია ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში შინაარსობრივი და იდეური მხარე მთავარია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ნაწარ-

მოების დორმას, მის მხატვრულ მხარე მნიშვნელობა უქონდეს. თუ არ მივიღებთ შედეგობაში რამდენიმე სტრიქონს ალ. ჭავჭავაძის პოეტიკის შესახებ, წიგნში არ არის მოცემული ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების მხატვრული ანალიზი.

ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური პირობების დახასიათებას, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა მწერალს. ავტორი სრულ უყურადღებობას იჩენს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, როგორც იყო მათი თავდადებული ბრძოლა ახალი ქართული ლიტერატურული ენის სრულყოფისა და განვითარებისათვის.

წიგნში აქა-იქ ვხვდებით გრამტიკული წიგნის ზოგიერთ დარღვევებს, არაზუსტ სიტყვებსა და გამოთქმებს, პუნქტუაციური ხასიათის შეცდომებს.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, გ. აბზიანის შრომა „ქართული კლასიკოსები“ ჩვენს სტუდენტობას და მასწავლებლობას დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და ათვისების საქმეში.

დ. მარუაშვილი

იოსებ ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერბი“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა



იოსებ ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერბი“ ქართული მემორიული მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი დეტალურად გადმოსცემს მე-18 საუკუნის საქართველოს შინაგანი ცხოვრების მოვლენებს და დაწერილია იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლის მიერ.

იოსებ ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერბი“ დღემდე სამკერ გამოცემა პირველად 1871 — 1872 წ.წ. ჟურნალ „ციცქარში“ ნაწილ-ნაწილად ეჭვს ნაყოფად, მეორედ 1913 წ. ს. კაკაბაძის მიერ, ხოლო მესამედ 1950 წ. ავთანდილ იოსელიანმა გამოსცა შესავალით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძებლებით.

ამ სამი გამოცემიდან ყველაზე სრულირებული და მეცნიერულია ავთანდილ იოსელიანის გამოცემა, და რომ მესამე გამოცემას ამკარა მეცნიერული უპირატესობა გააჩნია „ციცქარში-სი-ლ“ და კაკაბაძისეულ, გამოცემებთან, ეს მტკიცდება მათი ურთიერთშედარებისას.

„ციცქარისეული“ ხელნაწერი ზეენთვის იყენობა და, კიდევ რომ ხელთ გვექონდეს, მას უპირატესობას ვერ მიანიჭებდა ტექსტის გამოცემული ა. იოსელიანი, არსებულ ხელნაწერებთან შედარებით, მისი დეფექტურობის გამო.

საკმაოდ დიდი ნაკლოვანებებით არის დატვირთული აგრეთვე პროფ. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ტექსტიც.

მესამე, აკადემიური გამოცემა, რომელიც ა. ოსელიანს ეკუთვნის, ეყრდნობა ორ ხელნაწერს: პირველი ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო მეორე ხელნაწერი დაკრულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო სისტორიო არქივში.

იესე ოსეძე პარათაშვილი დაიბადა 1728 წ. 10 ნოემბერს ძველი სტილით. მამამისი ოსე იყო სიონის დეკანოზის იესეს შვილი, რომელიც სიონის ეკლესიის მღვდლად ირიცხებოდა. იგი საქმოდ განსწავლული კაცი იყო საღვთისმეტყველო და საფილოსოფიო დარგში. იესეს დედა ყოფილა აზნაურ გვიგინეაშვილის ასული, ხოლო ნათლებად მყოფი იყო ღარიბ მღვიანეშვილი და ვახტანგ ყაფლანიშვილი. როდესაც იესე ორი წლისა შესრულდა, მიიყვანეს ბიარქიის ციხეში და ხუთ წლამდე იქ იზრდებოდა. აქედან დაბრუნეს თბილისში, ხოლო 1734 წ. გამგზავრეს წვერის ციხეში, სადაც იზრდებოდა გლეხებთან. ამავე წელს მომხდარა იესეს გაღარიბება, ელემბში ჩაყარდნა, რის შედეგადაც „სასახლევ მოვალეს დაუგარავა (ოსემ — ვ. ა.) და გალაყენის სენაკებში შევედი და იქ დაედექითო“. — გულისტკივლით აღნიშნავს ავტორი. იესემ რომ მე-7 წელში გადაიდა ფეხი (ვ. ა. 1735 წ.), თბილისში ნაღრამში შემოვიდა, რის შედეგადაც გაქირვებაში მყოფი ოჯახი უფრო მეტ განსაცდელში ჩაყარდა. სიღარიბეს და ვალებს მოემატა ტყვედ წაყვანის შიში. მტრისაგან ხალხის განაგებებს ზედ დავითო „ასეთი ჭირვება, რომ სახეყარი ქალაქი ამოწყდა“ (გვ. 4). ამ უბედურებას ემსხვერპლა იესეს და ახუა და მარტოდ დარჩენილი იესე გავზავნეს ლოლოვანს და სენის გადაყარდნამდე იქ იმყოფებოდა. ამ წლებში იესემ კარგად შეისწავლა მხედრული და ხუცობა წერა, ხოლო ვალობა შეისწავლა იორამ შატბერაშვილისაგან და იოსებ მროვლისაგან. ლოლოვანთან იესე 9 წლისა დაბრუნდა (1737 წ.). 1740 წელს ოსემ იყოდა მამისდაბა, ხოლო 1742 წელს ელემბისგან შეწუხებული იმერეთს წავიდა და 60 თუმნით დავალიანებული ოჯახი იესეს იმედზე დასტოვა.

ოსემ იმერეთში 20 თვე დაჰყო, მაგრამ საქმარისი ფული მიიწი ვერ იშოვნა. დაამირა საბერძნეთში წასვლა, და ოდიშს რომ ჩაივლიდა, იქ შეხვდა იესეს ნათლია ვახტანგ ყაფლანიშვილი. ვახტანგმა შეიტყო ნათლიამის შიშით ოჯახორი მდღომარეობა და დახმარების აღმოჩენის მიზნით მიჰგვარა ბესარიონ კათალიკოსს, ოსემ ბესარიონთან და ვახტანგთან ერთი თვე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში „დასახლიან, დამეიან თუ იარიან, სამნიე ერთად შეეცეკოდნენ და დიდად მოიქონა ოსეს ქვევა, ცოდნა ზრდილობა, მდივნობა და წერა ორისავე ხელისა. ადგა და

უთხრა: არც შენ დაგარგავ და არც შენს ცოლსა და შვილსაო. მისცა ორასი ფლური, ცხენი და ერთხელად ასე გამოისტუმრა... და წიგნი მოსწერა ქართულთა ენით... რაც დარჩა, ისიც მოსცა და გარდასწყვიტა“ (გვ. 6).

ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ოსეს შეკალმასობის „რიგი“ შეუსრულებია. კალმასობა ყოფაცხოვრებითი მოვლენა იყო ძველ საქართველოში, რომლის შესახებ მდიდარ ცნობებს გვწვდის ცნობილი მოღვაწე, „კალმასობის“ ავტორი, იოანე ბატონიშვილი, კალმასობის წესით შეგროვებული პურის ხედვრითი წონა საქმოდ მნიშვნელოვანი ყოფილა სამონასტრო მეურნეობაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკლესია-მონასტრების გარდა კალმასობდნენ „მსოფლიონი“, „წერილი ერა“, რომლის დამადასტურებლად გამოდგება ეთნოგრაფიულ ყოფაში ადრეად ჩარჩენილი „ბაზმაკალმასი“ და „კალმასობისავე“ სახესხვაობა „ოხხარი“, რაც ითვალისწინებდა კომლზე „სტვრის მოგროვებას“ გაქირვებული კაცის ფეხზე წამოყენების მიზნით. იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“ ეტყობილობთ, რომ მეკალმასეობას ეწეოდნენ როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური წესით. „ანდერძის“ ეს ადგილიც მოწმობს, რომ სამეკალმასო პრაქტიკაში ინდივიდუალური ხასიათის ჩამოთხოვა-ჩამორბენაც ყოფილა მიღებული.

ჩვენ მიერ „ანდერძიდან“ მოტანილ ტექსტში იხსენიება აგრეთვე ნუმიზმატიკური ერთეული ფლური, რომელიც აღმოსავლეთდასავლეთის ქვეყნების ბაზრებზე ტრიალებდა სხვადასხვა სახელწოდებით და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ბრუნავდა.

ვ. დონდუას განმარტებით „ფლური — იტალ. „ფლორინი“, ფლორენციული წარმოშობის აჭრის მონეტის სახელია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასობის აღნიშვნელი“ (იხ. ვ. დონდუა „კალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში“. 1948 წ., გვ. 24). მკვალითად, თბილისში 1748 წელს, „სპარსელების მიერ მოჭრილი (ოჭროს) ფლური ევრცხლის ფლად ნანგარიშევი 30 შუბრანი, ანუ 7½ აბაზიანი ყოფილა“. (იხ. იე. ჯეიანიშვილი „ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ 1925 წ., გვ. 54).

იესესათვის განსაკუთრებით დიდი სიზარალი მოუგვრია თეიმურაზის ქართლში გამეფებას 1744 წ. სამეფო კარზე ქართლი წესრიგის აღდგენამ იესეს მაკისცემაე ამომრავა და ბატონოტული სული მოათქმევინა. როდესაც იესე 16 წლისა შესრულდა, ჯვარი დასწერეს ჩაიკაშვილის ქალზე. მეორე ხნის შემდეგ ანტონ

კათალიკოსისაგან დიაცნად ეკრძა და ქალქს დაბრუნდა.

1747 წ. 6 თებერვალს „ნადირ შაჰს წყრომა მოვალა საქართველოსად და ურიცხვი და უნაკარიშო თეთრი ეთხოვა მეფეებისათვის ცალკე, თავადებისათვის ცალკე, ქვეყნისათვის ცალკე“ (გვ. 9). ტყვეობაში ჩაყარდნისაგან შეშინებული იესეს ოჯახი დღშეთს ვახიზნა და მანამდე არ დაბრუნებულან, სანამ ნადირშაჰი არ მოკლეს. ამის შემდეგ იესემ ერთი წელიწადი ჩაიკაშვილონისას ვატიარა.

როდესაც იესე 22 წლისა შეიქნა (1750 წ.), სიმი საკომლო მამული შეიძინა და ამავე დროს მუშაობდა მდივანად მეფის კარზე. 1751 წ. თებერვალს გარდაეცვალა ჩაჩიაშვილის ქალი. გამწარებული ყმაწვილი ხან ბერად შედგომას ფიქრობდა, ხან — სამუდამოდ დიაცნად ყოფნას, მაგრამ საბოლოოდ ერისკაცობა აირჩია და მეფის სამსახურში დაიწყო მუშაობა მდივნის თანამდებობაზე. 1755 წ. იყოთა ეენახი, ზოლო ამავე წლის ქრისტესშობის ათს შეფე-დედოფლის ინიციატივითა და რჩევით, ცოლად შეირთო აფხაზისშვილის დავითის ქალი.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ეპოქის კარგ ცოდნას ამჟღავნებს და თავის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საქვეყნო ამბებს დეტალურად ვაღმოსცემს, მაინც თავმდ ბლურად აცხადებს, რომ „წელთა მრავლებლად არა მცალის მე, არცა ენათა ამბავნი შეძიებინა მე“ (გვ. 20) და უბრუნდება ამხენ მამალების შექენასთან დაკავშირებული სიმწილეების ვაღმოსცემს და შევლებსადმი გულშემატიკერაი მამა, კვლავ მათდამი ვანკუთენილი „ანდერძის“ წერას ახმარებს თავის შემოქმედებით ენერჯიას.

1758 წ. იესეს მამა გარდაეცვალა. ამის ლეკიანობაც ზედ დაერთო. იესეს ოჯახს გაჭირვება გაუორკვედა, მაგრამ ეს გაჭირვება აღარაფრად ეჩვენებოდა იესეს, იმ უზღვევრებასთან „შედარებით, რომელიც სისახლის ინტრიგენისაგან იყო გამოწვეული ფრანგი პატარების საკითხთან დაკავშირებით და რომელსაც ზედ დაერთო ქურდობის დაბრალებაც. ამ ამბავს ავტორი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური განვლითა და მწუხარებით აღმუქდაც (გვ. 24 — 27).

მომდევნო გვერდებზე „ანდერძის“ ავტორი განაგრძობს თხრობას შამულების შესყიდვისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ზუსტად არის აღნიშნული მამულების შექენის თარიღები, გამყიდველის ენაობა და სათანადო დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ რომელი ადგილი სად შეიძინა, რა საშუალებით და ვისი თანდასწრებითა თუ დამოწმებით.

ერთი სიტყვით, იესე ბარათაშვილი თავის „ანდერძს“ ისეთი დოკუმენტაციით გამაგრებულს სტოვებს, რომ მისი შევლები მაშუღებს ყოველგვარი დავის გარეშე შეინარჩუნებდნენ. იესეს „ანდერძი“ რომ დოკუმენტური ძეგლია და სავსებით სანდო ისტორიული წყარო, ამას საარქივო მასალებიც ადასტურებენ, რომელთა შესახებ თავის ადგილას მიუთითებს ა. ოსიელაინი (მეც., გვ. 49, სქოლიოში).

იესე მზრუნველობას იჩენს არა მარტო ვაჟებისადმი, არამედ ქალებისადმიც. — „მაგრამ ღმერთმა ნუ ქმნას, რომ ქალებსაც წილი არ დაუღვიათ“, (52). ამავე დროს არ დაღატობს ქართულ ტრადიციებს და არ იეიწყებს მიცვალებულებსაც. როგორც „ანდერძიდან“ ვტყობილობთ, ძველ საქართველოში მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ვანკუთენილი იყო მამულის ვარკვეული ნაწილი და აქედან მოწვეული ქირანბალი, როგორც ჩანს. მიცვალებულების შესანდობარში იხარჯებოდა. ეს კულტი დადასტურებას პოელომს ძველ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, და ვაღმონაშთების სხვათა გვიანსანობამდე შემორჩა ქართველ ტომებს.

იესე ბარათაშვილის შემუარებს ეს ღირსეზაც ვაჩნია, რომ საქართველოს საშინაო მდგომარეობის ვარდა აღწერილია სავარყო ვითარებაც, კერძოდ ეს ფაქტები, რომლებსაც საქართველოს ისტორიისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. აღწერს ავტორივე ჩვენი სამშობლოს მეზობლად მყოფი მანქადიანური სახელმწიფოების ცხოვრების ეპიზოდებს, რაც აღინიშნა ყოზილბაშებისა და თურქების ურთიერთქმობით. დინასტიური არელობით, პოლიტიკური შეხლა-შემოხლით, ისტორიულ-დოკუმენტური მასალის მზრივ განსაკუთრებით მდიდარია ნაშრომის ეს ნაწილი, რომელიც ეხება იესეს სრულწლოვანების პერიოდს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ამ შემთხვევაში მასალის დაფიქსირება ხდება არა ვაღმოსცემებზე თუ წერილობით წყაროებზე. დაყუდნობით, არამედ ეპოქის ცოცხალი მემუტიანის მიერ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მემუარების ავტორის მიერ პოლიტიკური და სასოციალური ამბების აღწერა ფრამონტური ხასიათისაა, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ იესეს ყარდლების ცენტრში იყო თავისი ცხოვრების აღწერა, ანდერძის შექენა, ისტორიულ ამბებს კი ვაღმოსცემდა იმდენად, რამდენადაც ეს მას ესამართებოდა ანდერძის დოკუმენტაციის მიზნით.

მიუთხველი „ანდერძიდან“ ვაეცნობა თეიმურაზ მეორისა და მისი შვილის ერეკლეს ცხოვრების ეპიზოდებს, მათი ბრძოლების ისტო-

რიას, მათ წრესა და საყოფაცხოვრებო მდგომარეობას, ქართველი ერისთავებისა და თავადების შინაურ ბრძოლებს, მოწინავე ადამიანების ბიოგრაფიულ ცნობებს, ლეკიანობის მიმეწეულს, რუსეთში გამგზავრებული ქართველი ელჩების წასვლისა და დაბრუნების თარიღებს და სხვ.

მწერალი ქართული საერო (მღვიან-მწიგნობრული) ხალხური ენისა და ორთოგრაფიის თანამიმდევრულად დამკვიდრებას და პირდაპირ წინააღმდეგობას ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის სტილთან. იესე ბარათაშვილის ენის არსენალს ხალხურ ცოცხალ მეტყველებაშია. მისი ენის ხალხურობა კარგად ვლინდება ავტორისაგან მოტანილ ანდაზებში, აფორიზმებში და მკვეთრ ლაკონიურ ფრაზიოლოგიაში. ამდენად ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია ენობრივ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც.

დასასრულ, საჭიროა მოკლედ განვმარტოთ რამდენად შესატყვისია და გამართლებული სახელწოდება „ცხოვრება-ანდერძი“ შინაარსობრივად და ფორმალურად იესეს ამ თხზულებითათვის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომავლადის სიტყვიერად, თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას „ანდერძი“ ეწოდებოდა...

„როდესაც ნების გამოცხადება დიდმნიშვნელოვან საქმეს შეეხებოდა, ანდერძი დაწერილი უნდა ყოფილიყო და უმეტესად წესიერი და კანონიერი სახით უნდა ყოფილიყო შედგენილი“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი 2, გვ. 380. 1929 წ.).

მართალია, იესეს თავის თხზულებაში დღესათურებია, მაგრამ ავტორისვე მიერ შეტყვევული სახელები (მაგ. „აღწერა ცხოვრებისა ჩემისა“, ან „ანდერძი“ დატოვებულნი შეიღებულნი) და ტექსტუალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, რომ მას „ანდერძი“ ეწოდებოდა.

ენიდან იესე ბარათაშვილის განსაზღვრით ეს ნაშრომი პირადი ცხოვრების აღწერას და შვლებისათვის დატოვებულ ძველს წარმოადგენდა, ამდენად სახელწოდება „ცხოვრება-ანდერძი“, რომელიც ახალ გამოცემაშია შეტანილი, უმეორად ასახავს ძველის შინაარსს.

ავტორის განცხადებიდან ვეცობილობთ, რომ იგი ნაშრომის წერას შესდგომია 1768 წელს და გავფრქველებია, როგორც ნაშრომის უკანასკნელ გვერდზე აღნიშნული თარიღით შეიძლება ვაირკვეს, 1786 წლამდე, ე. ი. უწერია 18 წლის განმეობაში.

ა. იოსელიანის გამოცემა რომ სრულია, ეს დსტურდება ნაშრომის უკანასკნელი სტრიქონებიდან, სადაც ვკითხულობთ: „შვიდობით, შეილხო, შვიდობით, მოყვასხო, შვიდობით, ყოველხო ზემო მწეალობელხო, ქრისტემ შეგვკრიბოს სასუფეველში“ (გვ. 108).

გარდა იმისა, რომ ტექსტი ყველაზე სრულდრებული სახითაა გამოცემული, მას ის უპარატესობაც გააჩნია, რომ შეიარაღებულია კარგი მეცნიერული აპარატურით.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითვთად ითქვას, რომ ა. იოსელიანის მიერ ამ ძეგლის გამოცემა მისასაღებელი მოვლენაა ქართული საისტორიო-მემორიული ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით.

შალვაბრან ითონიფილი

ქართული მისენიკატი

საბლიტგამი, 1951 წ.



სარეცენზიო წიგნის ავტორებს დაუხაზავთ კეთილშობილურთ მიზანი — გააცნონ საბჭოთა ახალგაზრდობას ქართული მეცნიერების ზოვიერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. კრებულში ვადმოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის, დავით ბატონიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, ივანე თარხნიშვილის, ვასილ პეტრიაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, გიორგი ნიკოლაძის და ან-

დრია რაზმაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელი მომენტები.

კრებულის პირველ ორ წერილში (ავტორები დოკ. ვ. გაბაშვილი და დოკ. ი. შაქარიაშვილი) მოკლედ და საინტერესოდაა დახასიათებული ვახუშტი ბაგრატიონი, მე-18 საუკუნის გამომჩენილი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე.

ისტორიკოსი, გეოგრაფი, ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი.

მე-18 საუკუნის საქართველოს მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიაში ვახუშტის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან ძვირფასი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა საქართველოს ისტორიულ და გეოგრაფიულ მეცნიერებას. წიგნში სამართლიანადაა მითითებული იმ გარემოებაზე, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა საქართველოს ისტორიის შესწავლა მეცნიერებად აქცია. „ამით ვახუშტმა უკან მოიტოვა მე—17-18 საუკუნეების ევროპულ ისტორიკოსთა დიდი უშედეგობა. რადგან ქვეყნის „შინაგანი“ ისტორიით მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს ვ. წ. განმანათლებლთა ისტორიოგრაფია იყო დაინტერესებულა“. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ძირითადი ნაშრომის „საქართველოს ისტორიის“ დაწერისას უხვად გამოყენებია არა მარტო ქართული, არამედ რუსული, სომხური, ბერძენ-ლი, პოლონური, დასავლეთ ევროპული და სპარსული საისტორიო თხზულებებიც. აღასანიშნავია ის გარემოება, რომ უცხო-რი წყაროები მის კრიტიკულად აქვს გამოყენებული, რაც მაშინ იშვიათი შემთხვევა იყო. „ფაქტობრივად ვახუშტის ნაშრომით იწვეება ქართული სახელმწიფოს და სამართლის, რელიგიის, კულტურის, ქართული ხელოვნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლა“. ვახ-შტი ბაგრატიონის, „როგორც ისტორიკოსის, მთავარი დამსახურება ისაა, რომ მის მიერ პირველად დაყენებული და იმ დროის კვალობაზე სანიმუშოდაც შესწავლილ-გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხებია“.

წიგნში სწორადაა მიქცეული მთავარი ყურადღება იმაზე, რომ ვახ-შტი ბაგრატიონმა თავისი ნაშრომით „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და საუკებოდ შეადგინა რუკებით სავსე ძალიან ჩაუყარა საქართალიოში მეცნიერულ გეოგრაფიას. ამ რუკების შედარებას, როგორც რუსეთის, ის ევროპის იმდროინდელ კარტოგრაფიულ შრომებთან, იმ უტყუარ დასკვნამდე მივყავართ, რომ „ვახუშტის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა არა მარტო არ ჩ-მორჩიბა კარტოგრაფიის იმ დონეს, როგორც ახასიათებდა კარტოგრაფიას მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში“.

მონოგრაფიულ ნარკვევში „დავით ბატონიშვილი“, (ავტორი დოქ. ვ. პარკაძე) ვაღმოცემოლა ირაკლე მეორის შვილიშვილის დავით ბატონიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის გზა. მრავალი ენების მცოდნე დავით ბატონიშვილი თავის დროისათვის საღუ-

ძვლიანად იხილავდა ისტორიას, ფილოსოფიას, გრამატიკას, ლირიკას, ესთეტიკას, მითოლოგიას, სამართალს, კონსმოგრაფიას, ქიმიკას, მედიცინას, ანატომიას, ფარმაკოლოგიას, მატერიალურ ფილოსოფიას, გეოფიზიკას და ფორტიფიკაციას.

წიგნში დეტალურადაა განხილული დავით ბატონიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „შემოკლებული ფისიკა“, რომელიც დაწერილია

1818 წელს. ავტორი ამ ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე საინტერესო დასკვნას აკეთებს: „დავით ბატონიშვილის მიხედვით ყოველი სხეული მოძრაობს; ბუნების ყოველი მოვლენა განხილული უნდა იქნეს მოძრაობაში; ყოველი სხეული იშლება და ამ დამლას თითქმის არ აქვს დასასრ-ლი; ყოველ ნივთს აქვს საკუთარი ატომი რომელიც სხვა ნივთის ატომისაგან განსხვავდება ატომს შიგნით არსებული ნივთიერების რაოდენობით; და რაც უფრო ნაკლებ რაოდენობას შეიცავს ესა თუ ის ატომი თავის შიგნით, მით უფრო ადვილად იშლება იგი; სხვადასხვა ნივთიერებათა შინაგან ნაწილაკთა ურთიერთ მოძრაობის შედეგად წარმოებს პირველთა დაშლა და ახალი ნივთიერების შექმნა“. ესაა საკითხები, რომელიც დღეს ასე აინტერესებს თანამედროვე ფიზიკას. მართალია დავით ბატონიშვილის მატერიალიზმი მექანიკური იყო, მაგრამ ეს მინიმ არ ამცირებს მის დამსახურებას იდეალისმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წერილში ვარჩეულია „შემოკლებულ ფისიკაში“ განხილული სხვა საკითხებიც (სითბოს კინეტიკური თეორია და სხვ.), საიდანაც ჩანს, რომ ნაშრომი მნიშვნელოვანი განძია ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში, ხოლო მისი ავტორი იყო ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე.

კრებულში მოთავსებულ შემდეგ წერილში გამოქვეყნდება პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონის კოლი მიცენიერებაში. ევროპასა და ამერიკაში კეთილშობილური ლიბონების დამუშავება ამ ეპოქად ბაგრატიონის შეთოღით სწარმოიბს. ელექტროდინი ოქროს ციანირიბის პროცესში ზუსტი მეცნიერების ისტორიაში პირველად მხოლოდ ბაგრატიონმა გამოიყინა. მანვე დანერგა ელექტროდინის გამოყენების საჭიროება საინჟინრო და საარტილერიო საქმეშიაც. კრისტალი, რომელიც ბაგრატიონმა აღმოაჩინა და შეისწავლა გეოლოგიური გათხრების დროს ურალში, 1845 წლიდან დღემდე ცნობილია ბაგრატიონიტის სახელწოდებით.

კრებულში საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს საინტერესო მასალებს გამოჩენილი ფიზიკოს-

გან ივანე ჩამბის-ზე თარხნიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ავტორი გამოგვეცხადებს ცნობებს თარხნიშვილების მოწინავე კულტურული ოჯახისა და იმ მახლობლების შესახებ, რომელთა უშუალო ზეგავლენით იზრდებოდა პატარა ივანე. თარხნიშვილის აღზრდაში მონაწილეობა მიუღია ისეთ პირებს, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ხესაჩიან ლაღობერიძე.

საინტერესოა აღწერილი თარხნიშვილის ახალგაზრდობის წლები, როცა იგი პეტერბურგის ს:მედიცინო-ქირურგიული აკადემიის მსმენელად ყოფნის დროს ა. ბ. სტენსონმა გაატაცა თავისი აღმოჩენებით და ბრწყინვალე ლექციებით. არც სტენსონს გამოჩნა მხედველობიდან ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელმაც სტენსონის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში მთელი რიგი საინტერესო გამოკვლევები ჩაატარა. ხოლო 24 წლისამ სადოქტორო გამოცდების ჩაბარების შემდეგ დაიცვა დისერტაცია. სტენსონი მაღალ შეფასებას აძლევდა თარხნიშვილის სადისერტაციო თემას „გათბობისა და გააციობის გეულენა თავისა და ზურგის ტვინის მგრძობიარე ნერვებზე“.

წერაში კარგადაა დასურათებული, თუ როგორ ხელმძღვანელობდა თარხნიშვილი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრას, როგორ მოაწყო მან ლაბორატორია, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ლაბორატორია იყო არა მარტო რუსეთში, არამედ მთლიან ევროპაში. სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიოლოგიურ პროცესთა შესწავლის ევოლუციურ მეთოდს. „ამ მეთოდმა, როგორც ცნობილია, თავის სრულყოფას მხოლოდ თანამედროვე საბჭოთა ბიოლოგიური მენიერების პირობებში მიაღწია და იგი იხვევლთა სამყაროს შესწავლისა და შეცნობის ერთ-ერთი მოქმედი მატერიალისტური მეთოდ-თაგანია“, — დაასკვნის ავტორი.

თარხნიშვილმა მრავალი საინტერესო გამოკვლევები დაავითრვა უმალეს ცხოველთა თავის ტვინის ქირქის ფიზიოლოგიიდან. იგი პირველი შეინიერა, რომელმაც სცადა გესპერი-მენტალურად დაემტკიცებინა ფ. წ. ძილის ცენტრის არსებობა. თარხნიშვილის მიერ იქნა პირველად დადგენილი „კენტრალურ და პერიფერი-ლ ნერვულ სისტემათა შორის არსებ-ლი კონონომიებიანი ცოცხალი ორგანიზმის ლოკალიზაციის პროცესში და შესწავლილ იქნენ მოზარეობისა და წონასწორობის რეგულ-ქსები“.

თარხნიშვილის, როგორც მეცნიერის ავტორიტეტი აღიარებული იყო და მას ანგარიშს უწყვედნენ არა მარტო რუსეთში, არამედ ევრო-

პაშიაც. ფიზიოლოგიის დრმა მკოდნე და შესანიშნავი ლექტორი იგი ფიზიოლოგიის სხვადასხვა დარგებიდან ლექციების წასაკითხავად ხშირად იყო მიწვეული დასავლეთ ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებში: წერაის ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ უდიდეს გამოხმაურებას, რომელიც ქართველ სოფიოლოგებში პიოვა თავისი ლექციებით 1871 წელს თბილისში ჩამოსოლმა 25 წლის უკვე სახელგანთქმულმა მეცნიერმა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის ხელმძღვანელობით ფართოდ გაჩაღდა მეშაობა ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად. ავტორის სიტყვებით ამ კეთილშობილურ საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. თარხნიშვილის ლექციებს, რომელმაც „აღრმა უმალესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში“ (გ. წერეთლის გამოთქმა).

კრებულში საეხებით გასაგებად, სხარტად და საკითხის კარგი ცოდნითაა გამოცემული, თუ რა დუხპირ პირობებში უხდებოდა ბავშვობისა და ახალგაზრდობის საუღირო წლების გატარება გამოჩინილ ქართველ ქიმიკოს ვასილ მოსეს-ზე პეტრიაშვილს (ავტორი გ. წულაძე).

ავტორს მოზარტებულად აქვს გამოყენებ-ლი გ. პეტრიაშვილის მოგონებებიდან ის აღილი, სადაც მკვეთრადაა დახასიათებული სასულოერო სასწავლებელი: „მასწავლებელი ხან მარტებდა, ხან ცალ ფხზე მყენებდა, ხან მუხლებზემუ დანაყულ აგ-რს მყრალი, ხან თითის წყარებზე ღინიეთ მციმებდა, ხან როზიანი და ხან მიჯგირდებოდა. მარტმ მე კი ვერა მიშველარა“, — წერდა პეტრიაშვილი.

შემდეგ მოთხრობილია, როგორ გაემგზავრა პეტრიაშვილი მამის სურვილის წინააღმდეგ ოდისის უნივერსიტეტში, როგორ დაეწაფა გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის პროგრესულ იდეებს და ბრწყინიადილ დოკია საზგანბტრო დისერტაცია თემაზე „მასალუბი აზონანზიონის უკვფდის შესასწავლად“. 1907 წელს პეტრიაშვილი ოდისის უნივერსიტეტის პირველი არჩეული რექტორია, მაგრამ მოწინავე იდეებისა და პოლიტიური თითუნებობისაგან სტოინარობის დაციესათვის ჩქარა მოხსნეს რექტორობიდან.

ორანიულ ქიმიამი პეტრიაშვილის ღიხმე-სანიშნავმა შრომებმა, სადაც კრიტიკ-ლად არის განხილული გაბატონებული თეორიები და უარყოფილია ავტორიტეტად მიღებული ზოგენ-ები თუხილელ ქიმიკოსთა მკდარი შეხედოლუ-ები. — მაღალი შეთისება მიიღო, როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში.

კრებულში საინტერესოადაა მოთხრობილი რომ ვ. პეტრიაშვილი აქტიურად ეხმარებოდა თავის დროის მნიშვნელოვან ამბებს. მავალი-თად, მას საყურადღებო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული სოფლის მეურნეობის შესახებ და გლეხკაცობის მდგომარეობაზე.

„ვ. პეტრიაშვილი ქართული სტუდენტობისათვის არა მარტო მაწარგლებელი იყო, არამედ ნამდიელი მწრუნველი მამა, გზის მაჩვენებელი და დამრიგებელი, — წერს ავტორი. — მისი სტუდენტთაგანე რვაჯი იოდესი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული საზოგადოების შემკავშირებელ ცენტრს წარმოადგენდა. მის ბინაზე პოელობდა თავშესაფარს ყველა ქართველი... მის ოჯახში ქართველი ახალგაზრდობა ხელობდა თავის უფროს თანამემაროლებს, იოდესის პროგრესული წრეების წარმომადგენლებს, იმართებოდა საუბრები ყოველდღიურ საპირბორტო საკითხებზე, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აქ შეიძლობდა გავება თუ რა ზღობდა საქართველოში“.

დასასრულ ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს თავის პირად შობებულებას იმ ადგილების დათვალიერების გამო, რომელიც დაკავშირებულია იოდესის ვ. პეტრიაშვილის და მისი განუყრელი მეგობრის პ. მელიქიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ფაისიტებმა ცეცხლწამილი ყუმბარებით გაანადგურეს ოდესის უნივერსიტეტის შენობის ის ნაწილი, სადაც ჭიშის ლაბორატორიები იყო მოთავსებული, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ლენინურმა კომკავშირმა, სტუდენტთა ახალგაზრდობამ შენობა მოაწყვეს და კარპუსი აღადგინეს. ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის საყვარელ ლაბორატორიებში ახლა შემოქმედებითი მუშაობა გააღებელი ვ. პეტრიაშვილისა და პ. მ. მელიქიშვილის „კავასიელი პროფესორების“ სსოენა ცოცხლობს ამ გმირ ქალაქში, სადაც მათ გაატარეს თვინათი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები, — დასკვნის ავტორი.

მეცნიერებისადმი შეუწინაღებელ სიყვარულს და შრომისადმი უსაზღვრო გატაცებაზე, სიძნელეთა დაძლევისათვის შეუპოვარ ბრძოლას და სახალხო ინტერესებისათვის თავდადებაზე მიუთითებს ცხოვრება და შემოქმედება მეორე გამოჩენილი ჭიშკოსის პეტრე გრიგოლისძე მელიქიშვილისა, რომლის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის დოც. ე. წულაძე.

წიგნში თანამიმდევრულადაა გადმოცემული მელიქიშვილის ბავშვობა, ყრბობა, მეცნიერებაში დაჯავჯლება და ზენდინრა მოხუცებულობაზე ოცენა სინამდვილედ იქცა და დიდი ქი-

მიკოსი საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულ უნივერსიტეტში გააღებულ შემოქმედებით მუშაობას სათავეში ჩაუდგა.

„გაერო მომდის — წერს მელიქიშვილი ერთ თავის მეგობარს, ოდესში, — რომ მოხუცებულობის გამო მონაწილეობის მიღება არ შემიძლია ისეთ გამოცვლევებში, რომლებიც შეეხება ბორის მოძღვრებას, მოზლის კანონს, ჰანდემის აღმოჩენას, ავადმყოფობა, რომ არ მიშლიდეს, ხელს მოგვიდებდი უმაღლესი მათემატიკის შესწავლას, ურომლისოდაც ძნელია თვალუფრის დევნება ლიტერატურისათვის ატომის აღნაგობის შესახებ. ასაკი და ავადმყოფობა უბრძოლვად ამხედრდენ ჩემს წინააღმდეგ და კალამოტიდან ამომავლეს“ (გვ. 43).

წიგნში შესანიშნავადაა გადმოცემული ის ყურადღება და დაფანება, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა დიდი მეცნიერისადმი.

გიორგი ნიკოლოზისძე ნიკოლაძის — მეტალურგიის პრაქტიკოსის, თეორიული მათემატიკის ნიჭიერი მკვლევარის, მთაშველი გეოგრაფის, მათემატიკის ტრანზილოგის შემქმნელის; ინჟინერ გამოთვანლის, პროფესიონალი სპორტსმენის და ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელის შესახებ მოგვითხრობს პრიფ. გ. ჭოლოშვილის მიერ კარგად შედგენილი მონოგრაფიული ნარკვევი „გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძე“.

კრებულის უკანასკნელი ნარკვევი მიძენილია მოწინავე საბჭოთა მეცნიერის, თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის პირველი ფუქემდებლის, ქართული მათემატიკის განათლების მწრუნველისა და მოსავის პროფესორი ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი (ავტორი დოც. ელ. წითლაძე).

ანდრია რაზმაძემ დამოუკიდებლად დასვა კლასიკური ვარიაციათა აღრიცხვის მთელი რიგი ახალი პრობლემები და ბრწყინვალედ ამოხსნა ისინი ბოლომდე, — წერს ავტორი. — მის ძლევაშისილ აზრს წილად ხედა ამოგეთობა და გადაწყვეტა იმ დრომდე საიდუმლოებით მოცული ამოცანები ვარიაციათა აღრიცხვისა, დიდი მეცნიერის დამახასიათებელი სიმტკიცით, შეუპოვარი დაყენებით და ჰარმონიული თანმიმდევრობით აფართოებდა იგი მათემატიკური ანალიზის ამ მოშობლავ საგანს. ანდრია რაზმაძემ თავისი პირველხარისხოვანი შედეგებით ვარიაციათა აღრიცხვის კლასიკოსების შორის უქცნობი ადგილი დაიმკვიდრა და საბელი უკვადვი მეცნიერის შარავანდელით შეიმკრა. თანამედროვე ლიტერატურა რაზმაძის მოყოლითში ცნობილ ვარიაციონისტების გვერდით ასა-

ბელებს". შემდეგ წერილში მოთხრობილია, თუ როგორ განვითარდა ა. რაზმაძის ძვირფასი მემკვიდრეობის საფუძველზე საბჭოთა ბელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ქართული მათემატიკური მეცნიერება. ქართველ მათემატიკოს მეცნიერთა სახელები დღეს ცნობილია არიან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

კრებულში წარმოდგენილი მასალები შესაბამისად გადმოგვცემენ, თუ როგორ იბრძოდნენ სახელოვანი ქართველი მეცნიერები უცხოეთის კულტურის წინაშე მონურად ქედის მობ-

რის წინააღმდეგ ნაშღვილი მეცნიერული ჯიხრის განვითარებისათვის.

წიგნი „ქართველი მეცნიერები“ (საბჭო-ქარია ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად) მასა-სალმებელია საბლიტვამის განზრახვა „შემდგომში კვლავ განაგრძოს დაწყებული საქმე და ქართველ ახალგაზრდობას რაც შეიძლება მეტი ქართველი მეცნიერის ცხოვრება-შემოქმედება გააცნოს“.

ბ. ანთიძე





სახელმწიფო გამომცემლობა

- ვ. ი. ლენინი — მე-19 ტომი, გვ. 738, ფასი 8 მან.
- ვ. ი. ლენინი — მე-20 ტომი, გვ. 759, ფასი 8 მან.
- ვ. ი. ლენინი — 21-ე ტომი, გვ. 609, ფასი 8 მან.
- ვ. ი. ლენინი — 22-ე ტომი, გვ. 497, ფასი 8 მან.
- ვ. ი. ლენინი — 23-ე ტომი, გვ. 542, ფასი 8 მან.
- ვ. ი. ლენინი — 24-ე ტომი, გვ. 754, ფასი 8 მან.
- ი. სტალინი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) მე-14 ურბოლბას, გვ. 303, ფასი 6 მან.
- ი. სტალინი — ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. გვ. 69, ფასი 4 მან.
- ლ. პ. ბერია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი. გვ. 47, ფასი 1 მან.
- ი. სტალინი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) მე-15 ურბოლბას, გვ. 240, ფასი 6 მან.
- ი. სტალინი — მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. გვ. 183, ფასი 6 მან.
- პროკუვევი — თვალსაზრისი სახელმძღვანელოების გამოყენება დაწყებითი პოლიტწრის მუცადინობაზე. ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ვ. ტოკაიშვილი — ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება. რედ. მ. ბერძენიშვილი, გვ. 174, ფასი 8 მან.
- კ. ქავთარაძე — რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, რედ. ზ. სიმონიშვილი, გვ. 63, ფასი 2 მან.
- ბ. ნანიტაშვილი — სტატიები. რედ. ი. ნატროშვილი, გვ. 231, ფასი 8 მან.
- ილია ჭავჭავაძე — ოთარაანთ ქვირილი. რედ. ლ. ტრტვიანიძე, გვ. 76, ფასი მან. 50 კაპ.
- ილია ჭავჭავაძე — ვანდელილი. გვ. 21, ფასი 1 მან.
- ადამ მიცევიჩი — რჩეული. რედ. ვრ. აბაშიძე, კ. კალაძე, კ. ჭიჭინაძე, გვ. 186, ფასი 10 მან.
- გიორგი ჭურციანი — ლექსები, პოემები, ტომი 3, რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 298, ფასი 15 მან.
- ხ. შანშიაშვილი — პიესები. რედ. ი. დოლიძე, გვ. 329, ფასი 15 მან.
- ივ. აბაშიძე — რჩეული. რედ. ს. ჭილაია, გვ. 314, ფასი 12 მან.
- ი. ნოშვილი — ლექსები და პოემები. რედ. ვ. კუპრაძე, გვ. 302, ფასი 12 მან.
- არჩილ სულაქაური — ლექსები. რედ. რ. თაყაიშვილი, ფასი 5 მან.
- კონსტ. ჭიჭინაძე — ლექსები და პოემები. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 183, ფასი 8 მან.
- სოფრომ მგალობლიშვილი — რჩეული მოთხრობები. რედ. გ. თავიშვილი, გვ. 704, ფასი 28 მან.
- ანტონ ფურცელაძე — რჩეული ნაწერები. რედაქტორი ს. ჭილაია, გვ. 562, ფასი 26 მან. 60 კაპ.
- მანს ლებერტტი — სინათლე კოორდში (თარგ. ს. ფაშალიშვილისა). რედ. ლ. ასათიანი, გვ. 256, ფასი 11 მან.
- ვ. პატარია — უჩა უჩარდია. რედ. დ. ფანჩულაძე, გვ. 66, ფასი 5 მან.
- ბ. იაკობაშვილი — ი. ვ. მიჩურინი. რედ. ფ. მამფორია, გვ. 91, ფასი 3 მან.
- ბ. იაკობაშვილი — ნარინჯოვანთა სელექცია. რედ. ე. თოფურაძე, გვ. 174, ფასი 6 მან.
- ტ. გუგუბიძე — სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შენობები და მათი გამოყენების მნიშვნელობა, რედ. თ. შამიაშვილი, გვ. 47, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- დ. შირიანაშვილი — ძროხის სარძევე ჯირკვლის დაავადებები და მათი პროფილაქტიკა. რედ. ა. სულაძე, გვ. 39, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ბ. ფარცვანია — ცხვრის გადაშენების სწავლებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა. რედ. ე. კვხიტაძე, გვ. 156, ფასი 6 მან.

29 NH

МЕТ НАБ БИБ: ЕД

722 / 465



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ